043

ეროვნული ბიბლიოთეკა

114/2

მნათობი

1

11-12

თბილისი
1943

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცე

3984

11-12

19 ოქტომბერი — დეკემბერი 43
ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გამსახურდია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე გალაქტიონ
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III—44 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდენობა 16 ფ.
შეკვ. № 3478. უე 01163. ტირაჟი 4500.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი. ეორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13, მწერალთა კავშირი. ტელეფ. 3—04—64.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პრონინი სიტყვას აძლევს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დამსწრენი მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციებით მიესალმებიან.

დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!“, „ვაშა დიდ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“.

დაუცხრომელი მჭუხარე ოვაცია დიდხანს გრძელდება. ამხანაგი სტალინი იწყებს მოხსენებას).

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავს.

ჩვენი ქვეყანა მესამედ აღნიშნავს თავისი სახალხო რევოლუციის წლისთავს სამამულო ომის ვიზარებაში.

1941 წლის ოქტომბერში მძიმე დღეებს განიცდიდა ჩვენი სამშობლო. მტერი დედაქალაქს მოადგა. ხმელეთიდან შემოერტყა ლენინგრადს. ჩვენი ჯარები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. საჭირო გახდა არმიის უდიდესი ღონისძიებანი და ხალხის მთელი ძალ-ღონის დაძაბვა, რათა შეგვეკავებინა მტერი და სერიოზულად დაგვერტყა მისთვის მოსკოვთან.

1942 წლის ოქტომბერში საფრთხე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ჩვენი სამშობლოსათვის. მტერი მაშინ სულ რაღაც 120 კილომეტრზე იყო მოსკოვთან, სტალინგრადში შეიჭრა, კავკასიის მთის კალთებზე შესდგა ფეხი. მაგრამ არმია და ხალხი ამ მძიმე დღეებშიც სულიერად კი არ დაცემულან, არამედ მედგრად იტანდნენ ყოველგვარ განსაცდელს. მათ ჰპოვეს თავისში ძალა, რათა შეეკავებინათ მტერი და საპასუხო დარტყმა ეგემებინათ მისთვის. დიდი ლენინის ანდერძის ერთგულნი, ისინი ძალ-ღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად იცავდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ. როგორც ცნობილია, არმიისა და ხალხის ამ ღონისძიებებმა ამაოდ არ ჩაიარა.

გასული წლის ოქტომბრის დღეების შემდეგ ჩვენი ჯარები მალე შეტევაზე გადავიდნენ და ახალი მძლავრი დარტყმა აგემეს გერმანელებს ჯერ სტალინგრადთან, კავკასიაში, დონის შუაწელის რაიონში, ხოლო შემდეგ, 1943 წლის დასაწყისში, ველიკიე ლუკისთან, ლენინგრადთან, რჟევისა და ვიაზმის რაიონში. ამის შემდეგ წითელ არმიას უკვე აღარ გაუშვია ხელიდან ინიციატივა. ამა წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მისი დარტყმები სულ უფრო და უფრო მაგარი ხდებოდა, მისი მეომრული ოსტატობა თვიდან თვემდე ძლიერდებოდა. მას აქეთ ჩვენი ჯარები დიდ გამარჯვებებს აღწევენ, გერმანელები კი ზედიზედ მარცხდებიან. ბევრს ეცადა მტერი, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია ვერც ერთ რამდენადმე სერიოზულ წარმატებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

ძირფესვიანი გარდატეხის წელი ომის მსვლელობაში

ოქტომბრის 25-ე წლისთავიდან 26-ე წლისთავამდე განვლილი წელი სამამულო ომის გარდატეხის წელია.

ეს წელიწადი გარდატეხის წელი იყო პირველყოვლისა იმიტომ, რომ ამ წელს წითელმა არმიამ ომის განმავლობაში პირველად შესძლო განეხორციელებინა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ ზაფხულის დიდი შეტევა, ამასთან, ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად, გერმანელ ფაშისტთა ჯარები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია, ზოგჯერ გაქცევით გადარჩენილიყვნენ გარშემორტყმას და ბრძოლის ველზე მიეტოვებინათ დიდძალი ტექნიკა, საჭურვლისა და საომარი მასალის საწყობები, დაჭრილი ჯარისკაცები და ოფიცრები.

ამგვარად, ამა წლის მეორე ნახევრის ჩვენი ზაფხულის კამპანიის წარმატებები ამა წლის დასაწყისის ჩვენი ზამთრის კამპანიის წარმატებათა გაგრძელება და დაგვირგვინება იყო.

ახლა, როდესაც წითელმა არმიამ, ავითარებდა რა ზამთრის კამპანიის წარმატებებს, მძლავრად დაარტყა გერმანელთა ჯარებს ზაფხულში, შეიძლება საბოლოოდ დასამარებულად ჩაითვალოს ზღაპარი იმის შესახებ, რომ წითელ არმიას ვითომდა უნარი არ შესწევს აწარმოოს წარმატებითი შეტევა ზაფხულში. გასულმა წელმა ცხადჰყო, რომ წითელ არმიას ისევე კარგად შეუძლია შეტევა ზაფხულში, როგორც ზამთარში.

ამ შეტევითი ოპერაციების შედეგად ჩვენმა ჯარებმა შესძლეს გასული წლის განმავლობაში ბრძოლებით გაევლოთ 500 კილომეტრიდან ფრონტის ცენტრალურ ნაწილში 1.300 კილომეტრამდე სამხრეთში (ტაში) და გაეთავისუფლებინათ 1 მილიონამდე კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ე. ი. მტრის მიერ დროებით ხელში ჩაგდებული საბჭოთა მიწა-წყლის $^{2}/_{3}$-მდე, ამასთან მტრის ჯარები უკუგდებული აღმოჩნდნენ კავკავიდან ხერსონამდე, ელისტიდან კრივოი როგამდე, სტალინგრადიდან კიევამდე, ვორონეჟიდან გომელამდე, ვიაზმიდან და რჟევიდან ორშისა და ვიტებსკის მისადგომებამდე.

გერმანელები, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავიანთ წინანდელ წარმატებათა სიმტკიცე არა სჯეროდათ, — წინასწარ, ხანგრძლივი დროის მანძილზე აშენებდნენ მძლავრ თავდაცვითს ზოლებს, განსაკუთრებით დიდი მდინარეების გასწვრივ. მაგრამ ამა წლის ბრძოლებში გერმანელები ვერ იხსნეს ვერც მდინარეებმა და ვერც მძლავრმა სიმაგრეებმა. ჩვენმა ჯარებმა დაანგრიეს გერმანელთა თავდაცვა და 1943 წლის ზაფხულის მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ოსტატურად გადალახეს წყლის ოთხი მეტად სერიოზული ზღუდე — სევერნი დონეცი, დესნა, სოჟი და დნეპრი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ ისეთ ზღუდეებზე, როგორიც იყო გერმანელთა თავდაცვა მდინარე მიუსის რაიონში — როსტოვის დასავლეთით და თავდაცვა მდინარე მოლოჩნაიას რაიონში — მელიტოპოლის მახლობლად. ახლა წითელი არმია წარმატებით ანადგურებს მტერს დნეპრს გაღმა.

ეს წელი გარდატეხის წელი იყო კიდევ იმიტომ, რომ წითელმა არმიამ შესძლო შედარებით მოკლე ვადაში გაეელიტა და გაენადგურებინა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ყველაზე გამოცდილი ძველი კადრები — ... ერთად გამოეწვრთო და გაემრავლებინა თავისი საკუთარი კადრები წლის მანძილზე წარმოებულ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებში. გასული წლის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა არმიამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში დაჰკარგა ოთხ მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აქედან არანაკლებ 1 მილიონ 800 ათასისა მოკლულთა სახით. გარდა ამისა, გერმანელებმა ამ წლის განმავლობაში დაჰკარგეს 14.000-ზე მეტი თვითმფრინავი, 25.000-ზე მეტი ტანკი და არანაკლებ 40.000 ქვემეხისა.

ახლა გერმანელ ფაშისტთა არმია უკვე ის აღარ არის, რაც იგი ომის დასაწყისში იყო. თუ ომის დასაწყისში მას გამოცდილი კადრების საკმაო რაოდენობა ჰყავდა, ახლა მასში შერეული არიან ახლადგამომცხვარი ახალგაზრდა გამოუცდელი ოფიცრები, რომლებიც გერმანელებს ნაჩქარევად გამოჰყავთ ფრონტზე, რადგან მათ არც აუცილებელი ოფიცერთა რეზერვები ჰყავთ და არც დრო აქვთ, რომ ისინი გაწვრთნან.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ახლა წითელი არმია. მისი კადრები გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებში გასული წლის მანძილზე. მისი მებრძოლი კადრების რაოდენობა იზრდება და კვლავ გაიზრდება, რადგან აუცილებელი ოფიცერთა რეზერვების არსებობა აძლევს მას დროსაც და შესაძლებლობასაც — გაწვრთნას ახალგაზრდა ოფიცერთა კადრები და პასუხსაგებ პოსტებზე დააწინაუროს ისინი.

დამახასიათებელია, რომ ნაცვლად 240 დივიზიისა, რომლებიც გასულ წელს ჩვენი ფრონტის წინ იდგნენ და რომელთაგან 179 დივიზია გერმანელების იყო, — წელს წითელი არმიის ფრონტის წინ დგას 257 დივიზია, რომელთაგან 207 დივიზია გერმანელებისაა. გერმანელები, ეტყობა, ვარაუდობენ თავიანთი დივიზიების ხარისხის გაუარესება მათი რაოდენობის გადიდებით აინაზღაურონ. მაგრამ განვლილი წლის მანძილზე გერმანელთა მიერ განცდილი დამარცხება გვიჩვენებს, რომ დივიზიების გაუარესებული ხარისხი შეუძლებელია მათი რაოდენობის გადიდებით იქნას ანაზღაურებული.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით გერმანელთა ჯარების დამარცხება ჩვენს ფრონტზე ამა წლის მიწურულისათვის წინასწარ იყო განსაზღვრული ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენით: — ბრძოლით სტალინგრადთან და ბრძოლით კურსკთან.

სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლა დამთავრდა გერმანელთა 300-ათასიანი არმიის გარშემორტყმით, მისი განადგურებით და გარშემორტყმული ჯარების დაახლოებით $^1/_3$-ის დატყვევებით. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ისტორიაში იმ უმაგალითო ხოცვა-ჟლეტის ფარგლებზე, რაც სტალინგრადის ველებზე დატრიალდა, უნდა ვიცოდეთ, რომ სტალინგრადის ბრძოლის დამთავრებისას აკრეფილ და დამარხულ იქნა 147.200 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და 46.700 მოკლული საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შესძლეს წელში გამართულიყვნენ.

რაც შეეხება კურსკთან მომხდარ ბრძოლას, იგი დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ორი ძირითადი შემტევი ჯგუფის განადგურებით და ჩვენი

ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლით, რაც შემდეგ წითელი არმიის ზაფხულის მძლავრ შეტევად გადაიქცა. კურსკთან ბრძოლა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კურსკზე გერმანელების შეტევით დაიწყო. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი ცდა — განეხორციელებინათ ზაფხულის დიდი შეტევა და მისი წარმატების შემთხვევაში აენაზღაურებინათ ის, რაც დაჰკარგეს. როგორც ცნობილია, შეტევა მარცხით დამთავრდა. წითელმა არმიამ არა მარტო მოიგერია გერმანელთა შემოტევა, არამედ თვითონ გადავიდა შეტევაზე და ზაფხულის პერიოდის განმავლობაში მთელი რიგი თანმიმდევრული დარტყმებით დნეპრს გადამღა გადარეკა გერმანელ ფაშისტთა ჯარები.

თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა.

დასასრულ, ეს წელიწადი გარდატეხის წელი იყო იმიტომ, რომ წითელი არმიის წარმატებითმა შეტევამ ძირფესვიანად გააუარესა ფაშისტური გერმანიის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა და ულრმესი კრიზისის წინაშე დააყენა იგი.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ ამა წლის ზაფხულში წარმატებითს შეტევას განახორციელებდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რითაც აინაზღაურებდნენ იმას, რაც დაჰკარგეს, და თავიანთ შერყეულ ავტორიტეტს აამაღლებდნენ ევროპაში. მაგრამ წითელმა არმიამ ჩაშალა გერმანელთა ვარაუდები, მოიგერია მათი შემოტევა, თვითონ გადავიდა შეტევაზე, დასავლეთისაკენ გარეკა გერმანელები და ამით გასთელა გერმანელთა იარაღის ავტორიტეტი.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ კურსს აიღებდნენ ომის გაჭიანურებაზე, თავდაცვითი მიჯნებისა და „ზღუდეების“ აგება დაიწყეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ მათი ახალი პოზიციები მიუვალია. მაგრამ წითელმა არმიამ აქაც ჩაშალა გერმანელთა ვარაუდები, გაარღვია მათი მიჯნები და „ზღუდეები“, წარმატებით განაგრძობს შეტევას და დროს არ აძლევს მათ ომის გასაჭიანურებლად.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ „ტოტალური“ მობილიზაციის საშუალებით გამოასწორებდნენ მდგომარეობას ფრონტზე. მაგრამ მომხდარმა ამბებმა აქაც ჩაშალეს გერმანელთა ვარაუდები. ზაფხულის კამპანიამ უკვე შთანთქა „ტოტალურად“ მობილიზებულთა ორი მესამედი, მაგრამ არ ეტყობა, რომ ამ გარემოებას რაიმე გაუმჯობესება შეეტანოს გერმანელ ფაშისტთა არმიის მდგომარეობაში. შესაძლოა, საჭირო გახდეს კიდევ ერთი „ტოტალური“ მობილიზაციის გამოცხადება, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ღონისძიების განმეორება რომელიღაც სახელმწიფოს „ტოტალურ“ დანგრევას არ გამოიწვევს. (მქუხარე ტაში).

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ მტკიცედ შეინარჩუნებდნენ უკრაინას და გამოიყენებდნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს თავიანთი არმიისა და მოსახლეობისათვის, ხოლო დონეცის ქვანახშირს — ქარხნებისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, რომლებიც გერმანიის არმიას ემსახურებიან. მაგრამ ისინი აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში. წითელი არმიის წარმატებითი შეტევის შედეგად გერმანელებმა დაჰკარგეს არა მარტო დონეცის ქვანახშირი, არამედ უკრაინის პურით ყველაზე უფრო მდიდარი ოლქებიც, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი უკრაინის დანარჩენ ნაწილსაც არ დაჰკარგავენ უახლოეს ხანში. (მქუხარე ტაში).

ცხადია, რომ ყველა ამ ვარაუდის ჩაშლას არ შეეძლო არ გაუარესებია და ნამდვილადაც ძირფესვიანად გააუარესა ფაშისტური გერმანიის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტური გერმანია ღრმა კრიზისს განიცდის. იგი თავისი კატასტროფის წინაშე დგას.

2

საყოველთაო-სახალხო დახმარება ფრონტისადმი

წითელი არმიის წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ყოფილიყო ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხალხმა ომიანობის მძიმე პირობებში შესძლო უზრუნველეყო თავისი არმია ყველაფრით, რაც კი მინიმალურად საჭიროა, და განუწყვეტლივ აუმჯობესებდა მის საბრძოლო ტექნიკას. მტერმა მთელი ომის განმავლობაში ვერ მოახერხა ეჯობნა ჩვენი არმიისათვის საჭურვლის ხარისხის მხრივ. ამავე დროს ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით აწვდიდა ფრონტს საბრძოლო ტექნიკას.

გასული წელი გარდატეხის წელი იყო არა მარტო სამხედრო მოქმედების მსვლელობაში, არამედ ჩვენი ზურგის მუშაობაშიც. ჩვენს წინაშე უკვე აღარ იდგა ისეთი ამოცანები, როგორიც არის საწარმოთა ევაკუაცია ამღოსავლეთში და მრეწველობის გადაყვანა საჭურვლის წარმოებაზე. ახლა საბჭოთა სახელმწიფოს გამართული სამხედრო მეურნეობა აქვს, რომელიც სწრაფად იზრდება. მაშასადამე, ხალხის მთელი ღონისძიებანი შეიძლებოდა მთლიანად მოგვეხმარებინა წარმოების გადიდებისათვის და საჭურვლის, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხებისა და თვითმავალი არტილერიის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. წითელი არმია, რომელიც საყოველთაო-სახალხო დახმარებას ემყარებოდა, განუწყვეტლივ იღებდა საბრძოლო საჭურველს, აყრიდა მტერს მილიონობით ბომბებს, ნაღმებსა და ყუმბარებს, ათასობით ტანკი და თვითმფრინავი გამოჰყავდა ბრძოლაში. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად, შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის მუშებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში უაღრესად განვითარებული მძლავრი სოციალისტური მრეწველობა შეჰქმნეს, სამამულო ომის დროს დაძაბული და მჩქეფარე მუშაობა გაშალეს ფრონტის დასახმარებლად და ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენდნენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჰიტლერელებს ჰქონდათ არა მარტო გერმანიის ძლიერ განვითარებული მრეწველობა, არამედ ვასალური და ოკუპირებული ქვეყნების საკმაოდ მძლავრი მრეწველობაც. მაგრამ ჰიტლერელებმა მაინც ვერ შეინარჩუნეს რაოდენობრივი უპირატესობა სამხედრო ტექნიკაში, რაც მათ ომის დასაწყისში ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან შედარებით. თუ ახლა ლიკვიდირებულია მტრის ყოფი-

ლი უპირატესობა ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების მხრივ, თუ ჩვენი არმია ახლა აღარ განიცდის იარაღის, საომარი მასალებისა და საჭურველის სერიოზულ ნაკლებობას, ეს უწინარეს ყოვლისა **ჩვენი მუშათა კლასის** დამსახურებას უნდა მივაწეროთ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის გლეხებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე მოწინავე სოფლის მეურნეობად გარდაქმნეს ჩამორჩენილი მიწათმოქმედება, სამამულო ომის დროს გამოიჩინეს სოფლის ისტორიაში არნახული მაღალი შეგნება საყოველთაო-სახალხო ინტერესებისა. მათ ფრონტის დასახმარებლად თავდადებული შრომით ცხადჰყვეს, რომ საბჭოთა გლეხობას გერმანელთა წინააღმდეგ ახლანდელი ომი თავის საარსებო საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ომად მიაჩნია.

ცნობილია, რომ ფაშისტთა ურდოების შემოსევის შედეგად ჩვენს ქვეყანას დროებით მოაკლდა უკრაინის, დონისა და ყუბანის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მაგრამ მაინც ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ისე ამარაგებდნენ სურსათით არმიასა და ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საქმეში სერიოზული შეფერხებები არა ყოფილა. რასაკვირველია, საკოლმეურნეო წყობილება რომ არა ყოფილიყო, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა თავდადებული შრომა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ამ უძნელეს ამოცანას ვერ გადავწყვეტდით. თუ ომის მესამე წელს ჩვენი არმია სურსათის ნაკლებობას არ განიცდის, თუ მოსახლეობა მარაგდება სურსათით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით, ამაში თავი იჩინა საკოლმეურნეო წყობილების ძალამ და სიცოცხლისუნარიანობამ, **კოლმეურნე გლეხობის** პატრიოტიზმმა. (ხანგრძლივი ტაში).

ფრონტისადმი დახმარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ტრანსპორტმა, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტმა, აგრეთვე სამდინარო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტმა. როგორც ცნობილია, ტრანსპორტი ზურგსა და ფრონტს შორის კავშირგაბმულობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. შეიძლება საჭურველი და საომარი მასალები დიდი რაოდენობით დავამზადოთ, მაგრამ, თუ მათ დროზე არ მივაწვდით ფრონტს ტრანსპორტის საშუალებით, ისინი შეიძლება ფრონტის საქმისათვის უსარგებლო ტვირთად დარჩნენ. უნდა ითქვას, რომ ფრონტზე საჭურველის, საომარი მასალების, სურსათის, ჩაცმულობის და სხვათა თავის დროზე მიტანის საქმეში ტრანსპორტის როლი გადამწყვეტია. და თუ ომიანობის დროის სიძნელეთა და სათბობის ნაკლებობის მიუხედავად ჩვენ მაინც შევძელით მოგვემარაგებინა ფრონტი ყოველივე იმით, რაც მას სჭირდება, ამაში ჩვენ უნდა ვცნოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი **ტრანსპორტელი მუშებისა და მოსამსახურეების** დამსახურება. (ხანგრძლივი ტაში).

ფრონტისადმი დახმარების საქმეში მუშათა კლასსა და გლეხობას ჩვენი ინტელიგენციაც არ ჩამორჩება. საბჭოთა ინტელიგენცია თავდადებით მუშაობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის, განუწყვეტლივ სრულჰყოფს წითელი არმიის შეიარაღებას, წარმოების ტექნიკასა და ორგანიზაციას. იგი ეხმარება მუშებსა და კოლმეურნეებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, წინ სწევს ომის პირობებში საბჭოთა მეცნიერებასა და კულტურას.

ეს პატივსა სდებს **ჩვენს ინტელიგენციას.** (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, რადგან მათ ახლანდელი სამამულო ომი სამართლიანად მიიჩნიათ ყველა მშრომელის საერთო საქმედ განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსები ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ვარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი. **ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ** ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია. არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს. და ეს გასაგებია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაოსახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს.

ამაშია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების წყარო. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ახლანდელმა ომმა მთელი ძალით დაადასტურა ლენინის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ ომი ყოველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გამოცდაა. ომების ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ის სახელმწიფოები უძლებდნენ ამ გამოცდას, რომლებიც თავიანთ მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ მეურნეობის განვითარებითა და ორგანიზაციით, თავიანთი ჯარების გამოცდილებით, ოსტატობითა და საბრძოლო სულისკვეთებით, ხალხის გამძლეობითა და ერთიანობით ომის მთელ მანძილზე. სწორედ ასეთი სახელმწიფოა ჩვენი სახელმწიფო.

საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე და ურყევი, როგორიც არის ახლა, სამამულო ომის მესამე წელს. ომის გაკვეთილები მოწმობენ, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა. 26 წლის წინათ შექმნილმა საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიულ ვადაში ურყევ სიმაგრედ გადააქცია. წითელ არმიას მსოფლიოს ყველა არმიათა შორის ყველაზე მტკიცე და საიმედო ზურგი აქვს.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო. (მქუხარე, ხანგრძ-ლივი ტაში).

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო ძლიერი და კიდევ უფრო გაძ-მტკიცებული გამოვა ომიდან. გერმანელი დამპყრობლები იკლებენ და აოხ-რებენ ჩვენს მიწა-წყალს, ცდილობენ შეარყიონ ჩვენი სახელმწიფოს ძლი-ერება. წითელი არმიის შეტევამ წინანდელზე უფრო მეტად გამოამჟღავნა ჰიტლერული არმიის ბარბაროსული, ბანდიტური ხასიათი. გერმანელებმა ასიათასობით ჩვენი მშვიდობიანი ადამიანი გაჟლიტეს მათ მიერ დაკავებულ რაიონებში. გერმანელი ბოროტმოქმედნი შუა საუკუნეთა ბარბაროსებისა და ატილას ურდოების მსგავსად სთელავენ მიწდვრებს, სწვავენ სოფლებსა და ქალაქებს, ანგრევენ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწეს-ებულებებს. გერმანელთა ბოროტმოქმედებანი ფაშისტ დამპყრობთა სისუს-ტეს მოწმობენ, ვინაიდან ასე იქცევიან მხოლოდ მედროვენი, რომელთაც თვითონაც არა სწამთ თავიანთი გამარჯვება. და რაც უფრო უიმედო ხდება ჰიტლერელთა მდგომარეობა, მით უფრო მეტი მძვინვარებით ეწევიან ისინი მხეცობასა და ძარცვას. ჩვენი ხალხი არ აპატიებს ამ დანაშაულობებს გერმა-ნელ მტარვალებს. ჩვენ ვაიძულებთ გერმანელ დამნაშავეებს პასუხი აგონ ყველა თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის! (მქუხარე, ხანგრძლი-ვი ტაში).

იმ რაიონებში, სადაც დროებით ბატონობდნენ ფაშისტი დამრბევნი, ჩვენ მოგვიხდება დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, მრეწველობის, ტრანს-პორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურული დაწესებულებების აღდგენა, ფაშისტური მონობისაგან დახსნილი საბჭოთა ადამიანებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. ახლავე მთელი ენერგიით არის გაშლილი მუშაობა მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობისა და კულ-ტურის აღსადგენად. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ მთლიანად უნდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებ-ში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპაციისაგან. ეს დი-დი, საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გა-დავწყვიტოთ ეს დიდი და ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში.

3

ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცება. ფაშისტური ბლოკის რღვევა

გასული წელი გარდატეხის წელი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის სამა-მულო ომში, არამედ მთელ მსოფლიო ომშიც.

ცვლილებანი, რომლებიც ამ წლის მანძილზე მოხდა სამხედრო და საგა-რეო-პოლიტიკურ ვითარებაში, ხელსაყრელი იყო სსრ კავშირისა და მის მე-გობრულ მოკავშირე სახელმწიფოთათვის, საზიანო იყო გერმანიისა და ყა-ჩაღობაში მის ევროპელ თანამზრახველთათვის.

წითელი არმიის გამარჯვებათა შედეგები შორს გასცილდა საბჭოთა კავ-შირ-გერმანიის ფრონტის ფარგლებს; ამ შედეგებმა მსოფლიო ომის მთელი შემდგომი მიმდინარეობა შესცვალა და უდიდესი საერთაშორისო მნიშვნე-

ლობა მოიპოვა. საერთო მტერზე მოკავშირე ქვეყნების გამარჯვება მოახლოვდა, ხოლო მოკავშირეთა ურთიერთობა, მათი არმიების საბრძოლო მეგობრობა, მტრების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, [illegible] ამას შესუსტდა, არამედ, პირიქით, გაძლიერდა და განმტკიცდა. [illegible] მეტყველურად მოწმობენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციის ისტორიული დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ამასწინათ პრესაში. ახლა ჩვენს გაერთიანებულ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ერთობლივად დაარტყან მტერს, რაც შედეგად მოგვიტანს მასზე საბოლოო გამარჯვებას.

წელს წითელი არმიის დარტყმებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ჩვენი მოკავშირეების საბრძოლო მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის ბასეინში და სამხრეთ იტალიაში. ამასთან ერთად მოკავშირეები საფუძვლიანად ბომბავდნენ და კვლავ ბომბავენ გერმანიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს და ამით შესამჩნევად ასუსტებენ მტრის სამხედრო ძლიერებას. თუ ყოველივე ამას იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ მოკავშირეები რეგულარულად გვაწვდიან სხვადასხვა საჭურველსა და ნედლეულს, შეგვიძლია გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ მათ ყოველივე ამით მნიშვნელოვნად გააადვილეს ჩვენი ზაფხულის კამპანიის წარმატებანი. რასაკვირველია, სამხრეთ ევროპაში მოკავშირეთა არმიების ახლანდელი მოქმედება ჯერ კიდევ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მეორე ფრონტად. მაგრამ ეს მაინც რაღაც მსგავსია მეორე ფრონტისა. ცხადია, რომ ევროპაში ნამდვილი მეორე ფრონტის გახსნა, რაც შორს არ არის, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებას და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მოკავშირე სახელმწიფოთა საბრძოლო მეგობრობას.

ამრიგად, გასული წლის ამბები გვიჩვენებს, რომ ანტიჰიტლერული კოალიცია ხალხთა მტკიცე გაერთიანებას წარმოადგენს და მკვიდრ საძირკველზეა დამყარებული.

ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ ჰიტლერულმა ხროვამ, გააჩაღა რა ახლანდელი ომი, გამოუვალ ჩიხში მოაქცია გერმანია და მისი მაჩანჩალები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტთა ჯარების დამარცხებებმა და ჩვენი მოკავშირეების დარტყმებმა იტალია-გერმანიის ჯარების წინააღმდეგ შეარყიეს ფაშისტური ბლოკის მთელი შენობა და იგი ახლა ჩვენს თვალწინ ინგრევა.

იტალია სამუდამოდ გამოვარდა ჰიტლერული კოალიციიდან. მუსოლინის არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ვინაიდან ის არსებითად გერმანელთა ტყვეა. ჯერი მიმდგარია კოალიციის სხვა მონაწილეებზე. ფინეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა და ჰიტლერის სხვა ვასალებმა, გერმანიის სამხედრო დამარცხებებით თავგზადაბნეულებმა, ახლა უკვე საბოლოოდ დაჰკარგეს იმის რწმენა, რომ ომი მათთვის ხელსაყრელად დამთავრდება, და ის აფიქრებთ, თუ როგორ დააღწიონ თავი იმ ჭაობს, სადაც ისინი ჰიტლერმა ჩაითრია. ძარცვაში ჰიტლერული გერმანიის თანამონაწილენი, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ერთგულნი იყვნენ თავიანთი ბატონ-პატრონისა, ახლა, როდესაც დადგა დრო — პასუხი აგონ ყაჩაღობისათვის, ბუჩქებისაკენ იცქირებიან და მარჯვე მომენტს ირჩევენ, რომ შეუმჩნევლად გაძვრნენ ყაჩაღთა ხროვიდან.

(ს ი ც ი ლ ი).

ებმებოდნენ რა ომში, ჰიტლერული ბლოკის მონაწილენი სწრაფ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მათ უკვე წინასწარ გაინაწილეს, თუ ვის რა ერგებოდა: ზოგს ქადა-ნაზუქი, ზოგს კი დაქეჟვა და კოპები. (სიცილი, ტაში). ცხადია, რომ დაქეჟვასა და კოპებს ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეებს უმზადებდნენ, თავისთვის კი ქადა-ნაზუქს იტოვებდნენ. მაგრამ ახლა ცხადია, რომ გერმანიასა და მის ლაქიებს ქადა-ნაზუქი არ შეხვდებათ, რომ მათ ახლა მოუხდებათ ერთმანეთს შორის გაიყონ დაქეჟვა და კოპები. (სიცილი, ტაში).

ჰიტლერის თანამონაწილენი ითვალისწინებენ ამ არასახარბიელო პერსპექტივას და ახლა თავს იმტვრევენ იმაზე, თუ როგორ დაუძვრნენ ომს ისე, რომ ამასთან რაც შეიძლება ნაკლები დაქეჟვა და კოპები ხვდეთ წილად. (სიცილი).

იტალიის მაგალითი ჰიტლერის ვასალებს უჩვენებს, რომ რაც უფრო აჭიანურებენ ისინი გერმანელებთან კავშირის გარდუვალ გაწყვეტას და საშუალებას აძლევენ მათ იპარპაშონ მათს სახელმწიფოებში, მით უფრო მეტი გაჩანაგება მოელის მათს ქვეყნებს, მით უფრო მეტი ტანჯვის გადატანა მოუხდებათ მათს ხალხებს. იტალიის მაგალითი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ჰიტლერული გერმანია არც კი ფიქრობს დაიცვას თავისი ვასალური ქვეყნები, არამედ განზრახვა აქვს გადააქციოს ისინი ამაოხრებელი ომის ასპარეზად, ოღონდ გადასწიოს საკუთარი განადგურების ჟამი.

გერმანიის ფაშიზმის საქმე წაგებულია, ხოლო მის მიერ შექმნილი სისხლიანი „ახალი წესრიგი" კრახისაკენ მიდის. ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში იზრდება ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ აღშფოთების საყოველთაო-სახალხო აფეთქება. სამუდამოდ გაჰქრა გერმანიის ყოფილი პრესტიჟი მის მოკავშირე და ნეიტრალურ ქვეყნებში, მოშლილია მისი ეკონომიური და პოლიტიკური კავშირურთიერთობა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან.

ის დრო, როცა ჰიტლერული ხროვა გერმანელთა მიერ მსოფლიო ბატონობის მოპოვებას ბაქიბუქობდა, შორს, უკან დარჩა. ახლა, როგორც ცნობილია, გერმანელებს მსოფლიო ბატონობისათვის აღარა სცხელათ — გასუქებას ვინ დაეძებს, ოღონდ გადავრჩეო. (სიცილი, ტაში).

ამრიგად, ომის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ფაშისტური სახელმწიფოების კავშირს არა ჰქონია და არა აქვს მტკიცე საფუძველი. ჰიტლერული კოალიცია მისი მონაწილეების მტაცებლურ, ყაჩაღურ მისწრაფებათა ბაზაზე შეიქმნა. სანამ ჰიტლერელებს სამხედრო წარმატებანი ჰქონდათ, ფაშისტური კოალიცია მტკიცე გაერთიანებად სჩანდა. მაგრამ ფაშისტური ჯარების პირველმავე დამარცხებებმა გამოიწვიეს ყაჩაღური ბლოკის ფაქტიური დაშლა.

ჰიტლერული გერმანია და მისი ვასალები თავიანთი კატასტროფის წინაშე დგანან.

ჰიტლერულ გერმანიაზე მოკავშირე ქვეყნების გამარჯვება დღის წესრიგში დასვამს ევროპის ხალხთა სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციისა და აღდგენის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებში ჩვენი მთავრობის პოლიტიკა უცვლელი რჩება. ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ჩვენ:

1) უნდა გავათავისუფლოთ ფაშისტ დამპყრობლებისაგან ევროპის ხალხები და ხელი შევუწყოთ მათ ფაშისტ დამმონებელთა მიერ დანაწევრებულ თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოთა აღდგენაში, — საფრანგეთის, ბელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოთა ხალხები, რომლებიც კი გერმანელთა უღელქვეშ იმყოფებიან, კვლავ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი უნდა გახდნენ.

2) უნდა მივანიჭოთ ევროპის განთავისუფლებულ ხალხებს სრული უფლება და თავისუფლება — თვითონ გადასწყვიტონ თავიანთი სახელმწიფო წყობილების საკითხი;

3) ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ყველა ფაშისტი დამნაშავენი, ვისაც ბრალი მიუძღვის ახლანდელ ომში და ხალხთა ტანჯვაში, რა ქვეყანაშიც უნდა იმალებოდნენ ისინი, სასტიკად დაისაჯონ და მისაზღვეველი მიიღონ მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის;

4) უნდა დავამყაროთ ევროპაში ისეთი წესრიგი, რომელიც სრულიად გამორიცხავდეს გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობას;

5) უნდა შევქმნათ ევროპის ხალხთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთნდობასა და ურთიერთდახმარებაზე, რათა აღდგენილ იქნას გერმანელთა მიერ დანგრეული მეურნეობა და კულტურა.

* * *

წითელმა არმიამ და საბჭოთა ხალხმა გასული წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ომში ჩვენ მივაღწიეთ ძირფესვიან გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, და ახლა ომი საბოლოო დასასრულს უახლოვდება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ შეჰფერით მიღწეულით დაკმაყოფილება, თავიანთი წარმატებებით დატკბობა. გამარჯვება შეიძლება ხელიდან გავუშვათ, თუ ჩვენს რიგებში თვითდამშვიდებამ იჩინა თავი. გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე. დანაშაული იქნება სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ადამიანების წინაშე, რომელნიც დროებით მოექცნენ ფაშისტთა უღელქვეშ, ევროპის ხალხთა წინაშე, რომელნიც გერმანელთა უღელქვეშ ატანჯებიან, ყველა შესაძლებლობა რომ არ გამოვიყენოთ მტრის განადგურების დასაჩქარებლად. არ უნდა მივცეთ მტერს შესვენების საშუალება. ეი ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა დავძაბოთ, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი.

საბჭოთა ხალხი და წითელი არმია ნათლად ხედავენ მომავალი ბრძოლის სიძნელეებს. მაგრამ ახლა უკვე ცხადია, რომ ჩვენი გამარჯვების დღე ახლოვდება. ომი იმ სტადიაში შევიდა, როცა საქმე ეხება საბჭოთა მიწაწყლიდან ოკუპანტების სრულ განდევნას და ევროპაში ფაშისტური „ახალი წესრიგის“ ლიკვიდაციას. შორს არ არის ის ჟამი, როცა ჩვენ დავამთავრებთ უკრაინისა და ბელორუსიის, ლენინგრადისა და კალინინის ოლქების გაწმენდას მტრისაგან, გავათავისუფლებთ გერმანელ დამპყრობთაგან ყირიმის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და კარელია-ფინეთის რესპუბლიკათა ხალხებს.

ამხანაგებო!

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებისათვის! (ტაში).

ფაშისტური უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებისათვის! (ტაში).

ჩვენი მიწა-წყლიდან გერმანელ მტარვალთა სრული განდევნისათვის! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს მამაც პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს! (ტაში).

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი დგებიან. მთელი დარბაზის ოვაცია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წ. 7 ნოემბერი № 309 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავს.

ჩვენი დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცდამეექვსე წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს მტრებზე წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა დღეებში.

უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი განმათავისუფლებელ ომს ეწევა გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. ერთი წლის წინათ ჩვენი სამშობლო მძიმე დღეებს განიცდიდა. იმ დროისათვის მტერმა დიდი ტერიტორია წაგვართვა. მილიონობით საბჭოთა ადამიანები გერმანელთა მონობაში იტანჯებოდნენ. მტრის ურდოები ვოლგისაკენ მოიწევდნენ, რომ მოსკოვისათვის შემოევლოთ აღმოსავლეთიდან, გარს ერტყმოდნენ ამიერკავკასიის მისადგომებს. მაგრამ წითელმა არმიამ თავისი მკერდით გადაუღობა გზა მტერს. ჩვენმა ჯარებმა შეაჩერეს უცხოელთა ყაჩაღური ურდოები, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან დაამარცხეს ისინი და სწრაფად გარეკეს დასავლეთისაკენ. მას შემდეგ წითელ არმიას განუწყვეტლივ უჭირავს ხელთ საომარი მოქმედების ინიციატივა.

1942-43 წ.წ. ზამთარში ჩვენმა სახელოვანმა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა, იტალიელთა, რუმინელთა და უნგრელთა რჩეული არმიები, დახოცეს და დაატყვევეს მტრის მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და გაათავისუფლეს უზარმაზარი ტერიტორია — ნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე ფართობი.

1943 წლის ზაფხულში წითელმა არმიამ ახალი გამანადგურებელი დარტყმა აგემა მტერს. ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დღის განმავლობაში მოახდინეს გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ლიკვიდაცია და ამით დაასამარეს ჰიტლერელთა გეგმა — გაენადგურებინათ წითელი არმიის ძირითადი ძალები და მოსკოვისათვის შემოევლოთ ორიოლ-კურსკის მხრიდან. უფრო მეტიც. წითელი არმია თვითონ გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე, გასტეხა მოწინააღმდეგის მძლავრი თავდაცვითი ზოლები და სამი თვის განმავლობაში უკუაგდო იგი დასავლეთისაკენ, ზოგან 400 — 450 კილომეტრით. ზაფხულის კამპანიის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინიდან, დონბასიდან, ტამანიდან, ორლოვშჩინიდან, სმოლენშჩინიდან, შევიდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, დაიკავეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი — კიევი, შევიდნენ ბელორუსიაში, დაიკავეს ყირიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისადგომები, გაათავისუფლეს 160-ზე მეტი ქალაქი და 38.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

გასული წლის მანძილზე წითელმა არმიამ გერმანელებს წაართვა მათ მიერ წინათ დაპყრობილი ჩვენი მიწა-წყლის თითქმის ორი მესამედი და გერმანელთა უღლისაგან გაათავისუფლა ათეულმილიონობით საბჭოთა ადამიანები.

გასული წლის მანძილზე გერმანელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჰკარგეს 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის არანაკლებ 1.800.000 კაცისა მოკლულთა სახით.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სამარცხვინო აღსასრული ჰპოვეს გერმანელ ფაშისტთა არმიის რჩეულმა კადრის დივიზიებმა. მათთან ერთად სამუდამოდ დაიმარხა მსოფლიოს დაპყრობისა და ხალხთა დამონების ჰიტლერული გეგმები.

მართალია, გერმანელთა არმია ახლაც შეუპოვრად იბრძვის, ყოველ ზღუდეს ებღაუჭება. მაგრამ იმ დამარცხებებმა, რომელნიც გერმანელებმა განიცადეს სტალინგრადთან მათი ჯარების განადგურების შემდეგ, გასტეხეს გერმანელთა არმიის საბრძოლო სულისკვეთება. ახლა გერმანელებს ისე ეშინიათ გარშემორტყმისა, როგორც ცეცხლისა, და როცა ჩვენი ჯარების მიერ შემოვლის საფრთხე ისახება, თავიანთ ტექნიკასა და დაჭრილ ჯარისკაცებს სტოვებენ ბრძოლის ველზე და გარბიან.

გასული წლის შეტევითს ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა თანამედროვე ომის წარმოების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ჩვენი ოფიცრები და გენერლები უნარიანად ხელმძღვანელობენ ჯარებს, წარმატებით ეუფლებიან ჯარების წინამძღოლობის ხელოვნებას. წითელი არმია ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი თანამედროვე არმია გახდა.

წითელი არმიის გამარჯვებებმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენი არმიის შეტევას ხელს უწყობდა მოკავშირეთა ჯარების საბრძოლო მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიის კუნძულებზე და სამხრეთ იტალიაში. ჩვენი მოკავშირეების ავიაცია სერიოზულად ბომბავდა გერმანიის სამრეწველო ცენტრებს. ეჭვი არ არის, რომ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის დარტყმები აღმოსავლეთიდან, რასაც ხელს შეუწყობს მოკავშირეთა ძირითადი ძალების დარტყმები დასავლეთიდან, გამოიწვევენ ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერების განადგურებას და ანტიჰიტლერული კოალიციის სრულ გამარჯვებას.

წითელი არმია ამა წლის დიად გამარჯვებებს ვერ მოიპოვებდა, ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარება რომ არ ყოფილიყო. საბჭოთა ხალხი მთელ ძალებს ანდომებს თავისი არმიისადმი დახმარებას. დაუსრულებელ ნაკადად მიედინება ფრონტისაკენ იარაღი, საომარი მასალები, სურსათი, საჭურველი. ურალი და კუზბასი, მოსკოვი და ვოლგისპირეთი, ლენინგრადი და ბაქო, ყაზახეთი და უზბეკეთი, საქართველო და სომხეთი, ყველა ჩვენი რესპუბლიკა და ოლქი წითელი არმიის მძლავრი არსენალი გახდა. საბჭოთა ხალხი წარმატებით ეწევა მტრისაგან ბრძოლით დაბრუნებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების აღდგენას, მწყობრში შეჰყავს ფაბრიკები, ქარხნები, შახტები და რკინიგზები, ეწევა საბჭოთა მეურნეობებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების აღდგენას, ფრონტისადმი სამსახურის გასაწევად თავს განთავისუფლებული რაიონების რესურსებს.

ჩვენი წარმატებანი მართლაც დიდია. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა მიღწეული წარმატებებით დავმშვიდებულიყავით. ახლა, როცა წითელი არმია ურტყამს მტერს დნეპრს გაღმა და გზას იკაფავს ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვრებისაკენ, განსაკუთრებით საშიში იქნებოდა თავი მიგვეცა უდარდელობისათვის, თვითდამშვიდებისათვის და სათანადოდ არ შეგვეფასებინა მომავალი ბრძოლის სერიოზული სიძნელენი. ახლა მტერი განსაკუთრებული გააფთრებით იბრძოლებს მის მიერ ხელში ჩაგდებული თითოეული ნაჭერი ტერიტორიისათვის, ვინაიდან ჩვენი არმიის მიერ წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი აახლოებს ჟამს, როცა გერმანელებს სამაგიერო მიეზღვევათ მათ მიერ ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლა არმიისა და ხალხისაგან კიდევ დიდ ღონისძიებებსა და ახალ საგმირო საქმეებს მოითხოვს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო!

მოსისხლე მტერთან დიად ბრძოლებში თქვენ დიდი გამარჯვებანი მოიპოვეთ და უჭკნობი დიდებით შემოსეთ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო დროშები. წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს ახლა ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ უახლოეს დროში სავსებით გასწმინდონ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან.

გერმანელ ფაშისტ მტარვალებზე ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისათვის

ვბრძანებ:

1. მთელმა რიგითმა და სერჟანტთა შემადგენლობამ დაუცხრომლად სრულჰყოს თავისი საბრძოლო ოსტატობა, უსასტიკესად შეასრულოს წესდებათა და დარიგებათა მოთხოვნები, მეთაურთა და უფროსთა ბრძანებები, ყველგან და ყოველთვის დაიცვას სანიმუშო წესრიგი, მტკიცე დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა.

2. ყველა გვარეობის ჯარების ოფიცრებმა და გენერლებმა სრულჰყონ ჯარების მართვა ბრძოლის ველზე და ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედება, მკვიდრად განამტკიცონ შეტევის წარმატებანი, მძაფრად სდიონ მოწინააღმდეგის ჯარებს, უფრო სწრაფად მიიახლოონ ზურგი, უფრო გაბედულად გამოიყენონ რეზერვები ახალი დარტყმებისათვის.

3. მთელმა წითელმა არმიამ გაბედულად და გადაჭრით ამსხვრიოს მტრის თავდაცვა, დღედაღამ სდიოს მტერს, არ მისცეს მას საშუალება გამაგრდეს შუალედ ზღუდეებზე, ოსტატური და გაბედული მანევრით გადასჭრას მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყას მის ჯარებს და დააქუცმაცოს ისინი, მოსპოს და ხელში ჩაიგდოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

4. პარტიზანებმა და პარტიზანმა ქალებმა ფეხზე დააყენონ საბჭოთა ადამიანები გერმანელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის, ყოველნაირად გააძლიერონ შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება, ანადგურონ

მტრის ზურგი და შტაბები, გადაარჩინონ საბჭოთა ადამიანები გაჟლეტას და გერმანიის კატორღაში გარეკვას, ულმობლად მოსპონ გერმანელ ფაშისტი არამზადები!

წითელი არმიის მეომრებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მამაც პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

შურისგება და სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲐᲨᲔᲚᲘ

წითელი ყვავილები

ჩვენ გვიყვარს ჩვენი კერის ნაცარი,
როგორც წარსულის ძვირფასი კვალი.
ჩვენ გვიყვარს მიწის გულში რაც არი —
ჩვენი სიცოცხლის ფერფლი და ძვალი, —

რადგან ჩვენს გმირულ წარსულზე მღერის
ყოველი ბელტი მშობელი მიწის,
რადგან ამ მიწის უბრალო მტვერიც
წინაპართ სისხლის ნათელში იწვის.

და როცა მინდვრებს შორდება რხევით,
დილის ნიავით აყრილი ნისლი,
წითელ ყვავილებს ამოაქვთ ზევით
მიწის გულიდან ეს ძველი სისხლი, —

რომ შავი ზღვიდან მყინვარ ქედამდე
ხალხი ისმენდეს წინაპართ ძახილს
და ყოველ დილით ნიშანს ხედავდეს:
იმათ სისხლ-წვეთებს, მიწაზე დაყრილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როგორც ქარში თაფლის სანთელი

ქართლის ცხოვრების გმირულ წიგნს გავშლი,—
წინ მიდევს, როგორც ძველი ბიბლია,
გავხედავ წარსულს: ცეცხლსა და ქარში,
ო, რა დიდი გზა გამოგვივლია.

ეს გზა, წარსულის უსიერ ტყიდან
ჩვენს ნათელ დღემდე გადმოსროლილი,
მუდამ ბრძოლათა ნაპერწკლებს ჰყრიდა,
ღრუბელზე გაკრულ ელვის ზოლივით.

და როგორც ქარში თაფლის სანთელი
წაიღოს მგზავრმა ხელმოფარებით
ისე მოგვქონდა კერის ნათელი,
და ზუზუნებდნენ ირგვლივ ქარები.

მტრებთან ბრძოლაში თუ სისხლი ვღვარეთ,
კერას ვიცავდით ამ სისხლის ფასად.
მამა-პაპათა საფლავის გარეთ
ჩვენ არ გვინდოდა სიცოცხლე არსად.

იქნებ ახსოვდეთ უკვდავ ვარსკვლავებს,
ან ჩვენს მაღალ მთებს თუ აგონდებათ,
ეს ვაჟკაცობა როგორ გვასწავლეს,
ეს სიყვარული როგორ გროვდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ავალიანი

პიროვის პორტრეტი

ნოველა

ყოველი თვის პირველ რიცხვში, დღის თერთმეტ საათზე ჩემი მეგობარი მოქანდაკე სახელოსნოში მელოდება. ეს ურყევი პირობა აგერ სამ წელზე მეტია, რაც ძალაში რჩება და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ამ პირობისათვის გადამეხვიოს.

ძახილზე მოქანდაკის მეუღლე გამომეგება. მისმა იერმა უნებურად შემაკრთო, — ლალი ძალზე გაფითრებული და გამხდარი მეჩვენა. უკანასკნელად მე მას ორი დღის წინ შევხვდი ქუჩაში. რა საოცარია! ორი დღის წინ ის ჯანსაღად გამოიყურებოდა, გავეხუმრე კიდეც — სახით რენუარის „შიშველ ქალს“ მაგონებთ-მეთქი. ამ შენიშვნამ ბევრი გვაცინა, რადგან ქალმა თავისებურად გაიგო შენიშვნა და მეგობრულად მომღიმარი — თითით დამემუქრა — ასეთი რამ მეორედ აღარ გამიბედოთო. მე თავი ვიმართლე: მაპატიეთ, თუ შედარება ზუსტი და მოხდენილი ვერ გამომივიდა, — ეს მხოლოდ დიდ მწერლებს ემარჯვებათ-მეთქი. „დიდ მწერლებს, იშვიათად უპოვით შედარებასო“, — მომიგო ლალიმ. მართალს ბრძანებთ, როგორც ახლა დავრწმუნდით — შედარება სახიფათო რამ ყოფილა!.. საგულისხმოა მარსელ პრუსტის აზრი — სამარადისოდ მარტო მეტაფორა რჩებაო. „პარადოქსალური აზრიაო“ — მომიგო ლალიმ და ტყავის ხელთათმანში გამოკვართული თითები მკლავზე შემახო. ვითომ?.. მაგალითები ახლა არ მაგონდება, თორემ დარწმუნდებოდით... „მაშ, როცა მოგაგონდებათ, უსათუოდ ჩვენთან შემოიარეთო“ — მომიგო და ნაზი მოხდენილი სიცილით გამომემშვიდობა, გზა განაგრძო.

ერთხანს მე უძრავად ვიდექი და მიმავალ ლალის გავსცქეროდი... ოცნებამ გამიტაცა. ვოცნებობდი ისეთ შემთხვევაზე, რომელმაც ლალი ჩემს მეგობარ მოქანდაკეს შეახვედრა, ისეთ კეთილშობილ ადამიანზე და ერთგულ მეგობარზე, როგორც ლალი იყო. მას არც ქალური მომხიბლაობა აკლდა, არც განათლება, არც ინტუიციის უნარი. მოქანდაკე მეუღლის სამივე თვისებას განუსაზღვრელად აფასებდა და მისი სიყვარულით მაშინაც კი გატაცებით მუშაობდა, როცა შემოქმედებით აღმაფრენას არა გრძნობდა.

ჩემს შეგნებაშიაც ამ თვისებების წყალობით ლალი წარმოდგენილი მყავდა, როგორც უკეთილშობილესი არსება და იდეალიც კი. ახლა ამ ადამიანის სასოწარკვეთილმა გამომეტყველებამ უნებურად შემაძრწუნა, გამაშეშა და ენაც დამიბა. ლალი უმალვე მიხვდა ჩემი შეშფოთების მიზეზს, უხალისოდ გამიღიმა, მკლავზე ხელი მომჭიდა და მეც დაუყოვნებლივ შინ შევყევი.

მე კიდევ უფრო გამაოცა მისაღებ ოთახის სანახაობამ. ოთახს არევ-დარევის დაღი ეჩნდა. არც ერთი საგანი თავის ადგილზე აღარ მეჩვენა. მაგრამ ეს

არ იყო მთავარი. როგორც კი ლალიმ კარი მიხურა და მომიახლოვდა, უმალვე აღელვებით ვკითხე: — ლევანი სადღაა? ქალმა იდუმალი სასოწარკვეთილებით გაიღიმა, სული მოითქვა და მერე ისე შემომხედა, რომ [illegible] ... ხა, მისი გამოხედვა თითქო რაღაც უბედურებას მაუწყებდა. [illegible] ... მე ვიგრძენი, რომ ლალის უკანასკნელ იმედად დავრჩენოდი და ახლა, რაკი თავის ვარაუდში მოსტყუვდა, დაბარბაცდა, მაგრამ ვიდრე ხელს მივაშველებდი, თვითონვე შეიკავა თავი; მე ველარ გავბედე შევხებოდი, თუმცა მძიმე წუთებში, განსაცდელის ჟამს, ხელით მიალერსება ზოგჯერ საამო და დამამშვიდებელია.

მცირე დუმილის შემდეგ ლალიმ მითხრა: რამდენიმე წუთია, რაც ბავშვი სკოლაში გავისტუმრე და ახლა შენთან წამოსვლას ვაპირებდიო.

— გამაგებინე... რა მოხდა?!

ქალმა ისევ შემომხედა; იგი ძლივს იკავებდა თვალებზე მომდგარ ცრემლებს.

— გამაგებინე, ქალო! — წამოვიყვირე და ჩემდაუნებურად მკლავზე ხელი წავავლე.

— სულხან, მაშ არაფერი იცი... ლევანი არ გინახავს გუშინ დილას აქეთ?

ვიგრძენი, რომ ფერი მეცვალა ამ სიტყვების გაგონებაზე.

რაკი არაფერი ვიცოდი, რაკი ლევანი არ მინახავს, ლალიმ მოკლედ მიამბო, რა ტანჯვაც გამოიარა გუშინ დილას აქეთ.

— გუშინ დილით ადრე გამეღვიძა, — დაიწყო ლალიმ, — ლევანს ფანჯრის დარაბები მიხურული დარჩენოდა და ოთახში ბნელოდა. ის იყო, საათმა შვიდჯერ დარეკა. მე გვერდი ვიბრუნე და ლევანს ნამძინარევი ხმით გადავძახე — ფანჯრის დარაბები გააღე-მეთქი. ლევანის საწოლი ხომ ფანჯარასთან დგას. პასუხი არ იყო. მეც გავინაბე, ყური მივუგდე. ლევანს ძილში ხვრინვა არა სჩვევია, მაგრამ სიწყნარეში მაინც შეიძლება გაიგონო ძალზე ჭშვიდად მძინარე ადამიანის სუნთქვის ხმაც. მე ბევრჯერ დამიგდია ყური ლევანის სუნთქვის ხმისათვის... ახლა კი ვერც ეს ხმა გავიგონე, თუმც ოთახში სამარისებური მყუდროება სუფევდა... უეცრად მარტოობით აღძრული შიში ვიგრძენი და თითქო ჩემი ხმით გულის გამაგრებას ვლამობდი, უფრო ხმამაღლა დავიძახე:

— ლევან, გაიღვიძე, გათენდა!

ხმა არავინ გამცა. ჩემს ძახილზე ბავშვმა გაიღვიძა, ამოიკვნესა და წამოიძახა: — დე-და! — გამეხარდა, უმალვე ხმა გავეცი. გული დავიმშვიდე. ლოგინიდან წამომდგარ ვახტანგს ხელი შევაგებე და ჩემს ლოგინში გადმოვიწვინე; შემდეგ მესამედ, გაჯავრებით დავიძახე — „ლევან!“, მაგრამ რაკი ახლაც არავინ მიპასუხა, ერთ წუთს კიდევ მეყო მოთმინება, ბავშვს მივუალერსე, ვაკოცე და ძალაუნებურად ავდექი... როცა დარაბები გავაღე და სინათლემ ოთახი ბუნდოვანად გაანათა, გავშტერდი... ლევანის ლოგინი ცალიერი იყო. გულმა გამალებით მიწყო ცემა, მაგრამ ლევანის მალე ნახვის იმედი გულს ჯერ კიდევ მიმაგრებდა. ჩავიცვი თუ არა, უმალვე სახელოსნოში გავედი. სახელოსნოს კარი დაკეტილი დამიხვდა. არც გასაღები მოჩანდა საკეტის ხვრელში. გამოვბრუნდი. ბევრი ვიფიქრე, თავი ვიტეხე, მაგრამ ვერავითარმა მოსაზრებამ ვერ დამამშვიდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ლევანი გაუფრთხილებლად სახლიდან წასულიყო. საშინლად გავბრაზდი. საგონებელში ჩამაგდო თქვენმა ძვირფასმა მეგობარმა. ცალკე ფიქრები არ მასვენებდნენ,

ცალკე ვახტანგი. როგორც კი სკოლაში წასვლის დრო მოუვიდა, ცალკე შემომინთო. აქამდე ხომ ლევანს დაჰყავდა იგი. შვილთან ერთად დილით გასეირნება ძალზე ესიამოვნებოდა მამასაც. რას ვიზამდი, ბავშვი სკოლაში მე თვითონ მივიყვანე და საჩქაროდ ისევ სახლში დავბრუნდი იმ იმედით, ალბათ ლევანი იქნებ შინ დამხვდეს-მეთქი, მაგრამ არა... მთელი დღე ლოდინში გავატარე. ვახტანგი მეზობელმა მომიყვანა სკოლიდან. ბავშვმა ცოტა გამართო, მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდდი... ვისაც მოლოდინი არ გამოუცდია!.. რაღაც საშინელება ყოფილა... მით უმეტეს, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ჩემთვის ეს საშინელება...

ლალიმ ღრმად ამოიოხრა, სული მოითქვა და მცირე შესვენების შემდეგ კვლავ განაგრძო. ის ჩქარა, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობდა და ამიტომაც არც ერთი სიტყვა არ გამომრჩენია.

— მე ფანჯარასთან ვიდექი და ველოდი, — განაგრძო ლალიმ, — ღამდებოდა. ბნელი ფიქრები მერეოდა. ამ ფიქრებს ალბათ თავს ველარ დავალწევდი დილამდე.

დაწოლის წინ ვახტანგმა კალენდრის ფურცელი ბავშვური სიხარულით ჩამოჰხია და მოულოდნელად მკითხა: დედა, ხვალ პირველი დეკემბერია?

— პირველია! — მივუგე უაზროდ.

მას შემდეგ, რაც ვახტანგი დავაწვინე, ათიოდე წუთი გავიდა. მეგონა, რომ ბავშვმა დაიძინა, მაგრამ უცებ ისევ მომესმა მისი ხმა.

— დედა!

— რა გინდა, რატომ არ გეძინება?

— დედა... რატომ მოჰკლეს კიროვი?

ბავშვის მოულოდნელმა კითხვამ,—კიროვის მოკვლის გახსენებამ გამაოცა და ტანში შემაჟრჟოლა. რადგან ბავშვი პასუხს ელოდა, მეც მივუგე:

— იმიტომ, რომ მას არ უყვარდა ხალხის, საშობლოს მტრები!..

კიროვის ვერაგულად მოკვლის გახსენებაზე კიდევ უფრო მეტად შემიპყრო შიშმა, ახლა ჩემი ფიქრები მარტო სიკვდილს ჩასციებოდა. ყველგან მოკლული ლევანი მელანდებოდა. მარტო ველარ გავძელი, ბავშვს გვერდით მივუწექი, ზღაპრები გავახსენე, მოვაყოლე, შემდეგ ლექსებიც ვათქმევინე. ბოლოს ვახტანგს ჩაეძინა. კვლავ მარტო დავრჩი. ოთახში სინათლე ჩავაქრე, დარაბები გავაღე და დილამდე ფანჯარას არ მოვშორებივარ, ჩემი თვალი ერთი წუთითაც არ მოხუჭულა. დილით ბავშვი გვიან წავიყვანე სკოლაში. იქიდან შენთან უნდა გამომეევლო, მაგრამ გზაში გამახსენდა, რომ დღეს პირველი რიცხვი იყო და თვითონ მოხვიდოდი ლევანის სანახავად. ისევ შინ დავბრუნდი. გელოდი და აი შენც მოხვედი სულხან!.. ლევანი კი... არსად სჩანს...

გაოცებულმა მხრები ოდნავ ავიჩეჩე, სანამ ქალს ვუსმენდი, ქუდი ისე დამეჭმუჭნა ხელით, რომ აღარ დაიხურებოდა. დადგა წუთი, როცა ჩემი აზრი უნდა გამომეთქვა, ლალი მენუგეშებინა, მაგრამ სამწუხაროდ ნუგეშისმცემლის როლი არ მეხერხება და ვერც კრიმინალურ საქმეებში ვერკვევი. მაგრამ იმ აზრმა, რომ ადამიანის დაკარგვის შემთხვევაში მილიციას მიმართავენ ხოლმე, გაჭირვებისაგან მიხსნა, უმალვე ვუსაყვედურე ლალის:

— მერე, შე ქალო, აქამდე რას ელოდი, რატომ არ შეატყობინე მილიციას?..

ლალის უთუოდ მოეწონა ჩემი რჩევა. მან საჩქაროდ ჩაიცვა პალტო და სანამ სახლიდან გავიდოდით, ერთხელ კიდევ ვცადეთ ბედი: ხან ყური მივუგდეთ, ხან ვაკაკუნეთ სახელოსნოს კარზე, მაგრამ ამაოდ. რაკი [illegible] ვიფიქრეთ, რომ ლევანი სახელოსნოში არ იმყოფებოდა, ჩქარი ნაბიჯით გავეშურეთ მილიციისაკენ. ქუჩის მოსახვევიდან მე უნებურად გავიხედე ლევანის სახელოსნოსაკენ, რომელიც დიდ ეზოში სახლის უკან არის მიდგმული. გაოცებული, უმალვე შევდექი. სახელოსნოს ბუხრის მილიდან კვამლი ამოდიოდა. ამ გარემოებამ მეც და ლალიც ძალზე გაგვაოცა... სირბილით გამოვეშურეთ უკან. გზაში ლალის ტუფლის ქუსლი მოსძვრა და ძალაუნებურად ჩემი მიშველება დასჭირდა. მან მაგრად ჩამჭიდა მკლავში ხელი და კოჭლობით აჰყვა ჩემს ნაბიჯს.

სახელოსნოს კართან რომ მივაღწიეთ, სულს ძლივს-ღა ვიბრუნებდით. ლალიმ ეზოში ნაპოვნი ქვა მოიმარჯვა და მაგრად დასცხო კარს.

— ნუ-თუ... აქ არის?

— ყველაფერი მოსალოდნელია! — მშვიდად მივუგე და ორივემ ყური მივუგდეთ. სახელოსნოდან ხმა არავის გაუცია. ლალიმ კვლავ განაახლა კარზე კაკუნი, თუმც ახლა ეტყობოდა, რომ ლევანის აქ აღმოჩენის იმედი უკვე გადაიწყვიტა. მეც დავეჭვდი, მაგრამ კვამლი!..

— კი მაგრამ, თავისით ხომ არ აინთებოდა ბუხარი?

ძირს დაშვებულ ხელიდან ქვა თავისთავად გაუვარდა ლალის. მან ერთხელ კიდევ გადმომხედა ეჭვის თვალით და კარს ზურგი შეაქცია. ლალის ეტყობოდა, რომ ღონე აღარ შესწევდა. ამიტომაც ვურჩიე — შინ შესულიყო, დაესვენებინა, მე კი ლევანის დაკარგვის ამბავს მილიციას შევატყობინებდი. ლალის ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო... მოულოდნელად, სახელოსნოს კარის შიგნით საკეტის ხმა გაისმა. ორივენი დავბარბაცდით და სასწაულის მოლოდინში გავშტერდით...

სახელოსნოს ვეებერთელა კარი ნელა, ჭრიალით გაიღო; ზღურბლზე გამოჩნდა გამხდარი, წვერმოშვებული კაცი. იდაყვებამდე დაკაპიწებული მკლავები მას თიხაში ჰქონდა ამოვლებული. თიხა მჭიდროდ მიჰკვროდა ბალნიან კანს. ეტყობოდა, რომ ამ კაცს ახლახან გამოელვიძნა: ქუთუთოებს მალიმალ ახამხამებდა და მორჩილად იღიმებოდა, თითქო ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი ძილის ბურანიდან.

ლევანის დანახვაზე ლალის განვლილი ტანჯვა მსწრაფლ გადაავიწყდა, უცნაურად აუჩუყდა გული; მივარდა, მოეხვია და სიყვარულით აკოცა. მე ვიგრძენი, რომ ამ კოცნით მან კეთილშობილური დიდსულოვნება და პატიება გამოჰხატა.

— ე, სად იყავი ძმობილო! — გავეხუმრე ლევანს და მხარზე ხელი დავკარი. მანაც შემომხედა.

— არაფერი არ მახსოვს, სულხან!.. არა, მე მხოლოდ ის მახსოვს, რომ გუშინ მთელი დღე და წუხელაც, ჩემთან იყო კიროვი!..

— კიროვი? — გავიმეორე გაკვირვებით.

— ჰო, რა გაგიკვირდა... სერგეი მირონის-ძე, მარადმგზნებარე ტრიბუნი!.. მე ძლივს მოვასწარი მისი პორტრეტის გამოძერწვა... ცოტა დამაკლდა, მაგრამ ახლა უკვე ზეპირად შემიძლია დავამთავრო!.. ხუთი წელიწადი ველოდი... და აი ბოლოს გაუღიმა ბედმა შემოქმედს!..

ლევანმა თიხაში გამოძერწილ პორტრეტს სველი ტილო შემოხსნა და იდუმალი სიხარულით გაბრწყინვებული თვალები მოგვაპყრო მე და ლალის.

შევხედე თუ არა კიროვის პორტრეტს, პირველად ვიგრძენი მეხიბარე ტრიბუნის იერიში—მისი უკვდავი მებრძოლი სული—და იმ სიტყვების ძალა, რომლებიც ასე ამღელვარებდა და რაზმავდა მასებს... მეგონა, რომ მგზნებარე ტრიბუნი მილიონიან აუდიტორიას მიმართავდა სიტყვით, მისი თვალი ზვერავდა უშორეს სივრცეებს, მას სულგანაბული უსმენდა მთელი ქვეყანა.

ლალიმ კვლავ აკოცა დაქანცულ მეგობარს, რომელიც ბედნიერი ადამიანის თვალით გვაკვირდებოდა და თითქო ვებრალებოდით, რომ ჩვენ არ განგვიცდია ის წუთები, ის აღმაფრენა, რაც მან იგემა და განიცადა.

— ლევან, ეს პირველი შემთხვევაა, რომ შენ არ გამაფრთხილე... ამიერიდან კი იცოდე...

— ო, ღმერთმა ნუ ქნას შეგობარო, რომ ეს პირველი შემთხვევა აღარ განმეორდეს! — ღიმილით შენიშნა ლევანმა და პორტრეტი კვლავ სველ ტილოში გაჰხვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

დედაჩემი

მშობელი ჩემი მომკვდარა ადრე,
თურმე ყოფილა მწუხრივით ჩუმი.
მშრომელი, ტურფა, შემკული აგრე,
ოქროსთმიანი და აბრეშუმი.

აკვნის მახლობლად ჩამქრალა დედა,
არ მოლწეულა ხატება მისი.
როგორ შევიძლო ვიხილო, ნეტავ, —
შევიქმნე მხოლოდ შეხვედრის ღირსი!

დედავ, ხატება არ დაგრჩა არსად,
ჭაში ვიცქირო დამჩემდა სენი.
შენ ხომ იდექი გვიმიან ჭასთან, —
ეგებ შიგ ჩარჩა სახება შენი.

ან იქნებ შენი ოქროს თმა არი
ოლხურ კერაზე ამდგარი ალი!
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი!

როგორ შეგიცნო, თუ განახე სადმე!
მოდი გვალვაში მიგრილე რტოთი.
მე უკულმართი განგება დავგმე,
რტო დამირხიე, ჩამიქრე შფოთი.

როგორც სკაშია ზუზუნი ფუტკრის —
შენი ხმები მყავს გულის ბუდეში.
არ დამეკარგოს, ვუვლი და ვუფრთხი,
არ გამიფრინდეს შენი ნუგეში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანგრევის სურო

სიყრმის ჟამიდან მოვუხმობ დედას
მოხედოს ობოლს, მომაპყრას თვალი!
ნანგრევთა შორის ვეძებ და ვხედავ
ქვად ალბეჭდილა პატარა კვალი.

მან უჩინარად მარგუნა სიტკბო,
მიშველოს, არსად დამეცეს ელდა.
ციხის კოშკიდან მეძახის თითქო,
ვისმენ და ვერსად ვიპოვე დედა.

ეგებ ნანგრევში ჩაჰკირა მკლავი!
კოშკთან დავეძებ ცოდვილი შვილი.
გახსნას სუროთი შემკული კარი,
ფრთა დამაფაროს თვალივით წყვილი.

ეგებ იშვილა ქართული ციხეც,
წინაპრის ძვლით რომ ააგო ხურომ.
შიგ შეიფუთნა, როდესაც ვიხმე,
კედელს ჩუქურთმად მიაკრა სურო.

ნანგრევებს სურო ეხვევა სალტედ,
ეგებ ეს არის ხელები დედის!
არ დაეკარგოს წარსული სადმე,
მტკიცედ უპყრია წინაპრის ხვედრი.

მეც ტაძარი ვარ, ჩამიკარ დედავ,
მომხვიე ტოტი, ცივი და მზრალი.
სმენა არ მაქვს და გალობას ვბედავ,
მოდი, მაჩუქე ბუნების თვალი.

მეც დამაყენე ნანგრევის გვერდით,
სუროს პერანგი მამულმა მომცა.
მხარზე დამასვი ლულუნა მტრედი,
მკერდზე ამომჭრან ქართული ლოცვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხით შობილი

დედავ — იმედო, ციხე — ქალაქო.

ხალხური.

ჩაკირულ ვიყავ ციხეში წინად,
მერმე ნანგრევმა დამბადა თურმე.
კედლით დავეცი მდინარის პირად
და იმ ხმაურში ვერავის ვუხმე,
სუროს პერანგით ნაპირზე ვეგდე,
თავს დამტიროდა მშობელი ჩემი.
აღვდეგ, შევწმინდე შემომქმედ კედელს
სამწრის ოფლი და მჟონავი ცრემლი.
ეხლაც კურთხევას ნანგრევში ვიღებ,
ილება ჩემი ალსავლის კარი,
მშობელ დედაკაცს ვამგვანე ციხე,
პაპის შერჩეულ მაღლობზე მდგარი.
სურამის ციხე, ხერთვისის კოშკი,
ორივე ჩემი დედაა მგონი.
მე მათი ხავსი მათბობდა თოვლში,
მათვე მაჩვენეს მდინარის ფონი.
მე დავიბადე ქართული ციხით,
როგორ ღვივოდი კედელში, ნეტავ!
მე გული მქონდა — ჟურჟელი თიხის
და უკვდავ წყაროდ გარდამქმნა დედამ.
მე ზურაბივით სამშობლოს ვენდე,
დიდხანს ვშფოთავდი ფიქალში ალბად.
შემდეგ ჩამოვწყდი მომტირალ კედელს,
რადგან ცრემლებით კედელი დალბა.
მე დავიბადე ქართული ციხით,
მას შევენივთე სუროზე მეტად.
ყოველი ცრემლი სიცოცხლედ მიღირს
და იგი მღერით შევწმინდე დედას.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

კარაბადინი

კარაბადინში ჩაწერილი ზოგს იქვმიუტანელი ჰგონია. კარაბადინიც რომ სცდება, ამაში ერთმა ამბავმა დამარწმუნა.

კარაბადინში სწერია: „ხოლო ვინც იშვას მთვარესა ძველს, ამინდსა უქაროს,—ცხოვრებას მშვიდათ გაატარებდეს, ხანგრძლივი სიცოცხლე ექნეს“.

იმ დღეს, როცა პარმენ კვირია დაიბადა, თვე იყო ივნისი, დილა წყნარი და მზიანი, ღამით მთვარე პირსავსე.

ადამიანს არ ეკითხებიან, როცა ბადებენ: სურს თუ არა გაჩენა? მას მხოლოდ იძულებულს ხდიან სიცოცხლე დაიწყოს.

ქვეყნად გაჩენის წუთიდანვე პარმენის ცხოვრება დიდხანს სიმშვიდეში მდინარებდა. გარემო ქვეყანა მის წარმოდგენაში თვალუწვდენი დამდგარი ტბორი იყო. თუ მის ზედაპირს ხანდახან უცაბედი ქარი აამღვრევდა, ჩაიკეტებოდა ოთახში, როგორც ლოკოკინა ქერქში, ჩაჰკეტდა გულსაც და გასუდრული უცდიდა გამოდარებას... ქარი გადაივლის და გარემო ისევ ტბორი იქნება, ყუდრო და თბილი.

ასე შეხედეს კვირიას ჩხაკმა თვალებმა ქვეყანას და მისმა გულმაც სიმშვიდე მოიპოვა.

სწამდა ეს სიმშვიდე მარად ექნებოდა. მაგრამ ერთხელ ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ისე ძლიერად გადაიარა მან, რომ ტბორი წალეკა და მიწიდან ახვეტა, რაც ასახვეტი იყო.

პარმენ კვირია შემთხვევით გადაურჩა ქარიშხალს. ერთხანს უცადა თავის ამინდს. ეგონა, გარემო ისევ ძველ სახეს მიიღებდა. უცადა, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა.

ბევრი იფიქრა თავის ბედზე პარმენმა. ბოლოს, როცა იმედი გადაუწყდა, დაშინდა, დაფრთხა. ეხლა უკვე ყველაფრის ეშინოდა, ყველაფერს გაურბოდა. არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა. შერჩა მხოლოდ ერთი, მისთვისაც გაურკვეველი, წადილი: ეცოცხლა, მხოლოდ ეცოცხლა, ესუნთქა, ჰაერი ეყლაპა, საკუთარი გულის ძგერა ეგრძნო. ხომ ცოცხლობს, მაგალითად, ჭია, მუდო, მახრა, მწერი...

იქნებ ეს სურვილიც შიშით იყო გამოწვეული? შიშით სიკვდილის წინაშე ეს ცხოვრება საშინელებად ეჩვენებოდა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სიკვდილის შემდეგ მეორე ცხოვრება არსებობდეს და ის კიდევ მეტი სატანჯავი იქნეს?

ზაფხულის თვეები ყველაზე აუტანელი დრო იყო პარმენისათვის. მოქალაქენი ცისკრიდანვე ქუჩას ეტანებიან. რაღაც სხვანაირად, თითქო მის

ჯიბრზე, გადამეტებით ხმაურობს ტრამვაი. ცხელ ოთახებიდან გამორეკილი ბავშვები დილიდან შუაღამემდე ტროტუარზე შეუსვენებლივ დარბიან და ცელქობენ. ყველგან და ყველას ღია აქვს ფანჯარა. რომ მეეძლოთ, ალბათ კედლებსაც დახსნიდნენ. მზეც ჭორიკანა დედაბერივით ტუტუცურად იჭვრიტება ოთახში და თუმცა პარმენი ცდილობს ფარდებით თავი დაიცვას, ოქროს სვეტი საიდანღაც მაინც შემოიჭრება და იატაკს დაეფინება.

ყოველთვის, როცა აუცილებლობა ქუჩაში გასვლას აიძულებდა, პარმენი ტემპერატურას გაისინჯავდა. თუ რატომღაც ერთი თერმომეტრის სისწორეში დაეჭვდებოდა, მეორეთი გაისინჯავდა. ხანდახან კი ორივე იღლიაში ერთდაიმავე დროს შეჩრილი ჰქონდა სიცხის საზომები. და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დარწმუნდებოდა ტემპერატურა ნორმალური მაქვსო, ქალაქში გასვლას გაბედავდა.

ბინიდან ისე გავიდოდა, თითქო ჯვარსაცმელად იყო დაბარებული. დაფრთხალი ნუკრის თვალებით იხედებოდა. თავწაგდებული მიფაჩფაჩებდა. მარჯვენა ხელს გულჯიბეს არ აშორებდა, თითქო შიშობდა გული საბუდარიდან არ ამოვარდნოდა.

ქალაქი დღითიდღე სახეს იცვლიდა, შენდებოდა, ლამაზდებოდა. პარმენს კი ამის დანახვაზე რეტი ესხმოდა.

— აღარ მოისვენებს ეს ხალხი? — ბრაზობდა კვირია, — რაღაც ორი დღის სიცოცხლე აქვთ, რას ცოდვილობენ, რად იჭირვებენ საქმეს?

შინ ბრუნდებოდა ძალა მილეული, გასავათებული. ღალავდა ყველაფერი: მზე, სიარული, ქუჩის ხმაური, ნაცნობის შეხვედრა და სალამის მიცემა.

დაბრუნდებოდა თუ არა, ტახტზე მიეგდებოდა და გასუდრული დიდხანს იწვა. ადგებოდა დასვენებული, მაგრამ გულში ხანგრძლივად შერჩებოდა გაურკვეველი შეშფოთება და მოუსვენრობა. ეს გრძნობა ხშირად ძილშიაც გაჰყოლია. ასეთ ღამეებში მუდამ საოცარი რამ ესიზმრებოდა. ხანდახან სულაც არაფერი დაესიზმრებოდა, მაგრამ რატომღაც უეცრად გაეღვიძებოდა და ბნელ ოთახში თვალებით დაფოთარობდა. თუ შიშს ვეღარ დასძლევდა, მაშინ ცოლს გააღვიძებდა და ფრთხილად, რომ ხმას ოთახის სიჩუმე არ აემღვრია, ყურზე ტუჩებს მიადებდა და ჩაჰკითხავდა:

— დაფინე, ქალო, არაფერი გესმის? შეიძლება ქვეყანა ინგრევა და ჩვენ არაფერი ვიცით?

ძილდამფრთხალი დედაკაცი შეშინებულ თვალებს მოავლებდა ბნელ ოთახს და გაბრაზებული წაიბურტყუნებდა:

— თუ ინგრევა, დაინგრეს ბარემ. ძილს აღარ მაცლი, ადამიანო?

ამის გამგონე პარმენი ცოლს გუნებაში შეუკურთხებდა, თავზე საბანს გადაიხურავდა და მოიკრუნჩხებოდა.

პარმენ კვირიას ცხოვრება არ უყვარდა, მაგრამ ამავე დროს გასაოცრად ებღაუჭებოდა მას. მუდამ იმის შიშში იყო, რომ სიცოცხლე არ მოსწრაფოდა.

საკვირველი ამბავია: ვისაც ცხოვრება ნამდვილად უყვარს და სურს კარგი და გონიერი გახადოს თავისთვისა და სხვისთვისაც, თავი არ ეზოგება, თავისი სიცოცხლე ხშირად სასიკვდილოდ გამეტებული აქვს. საოცარია, მაგრამ შიში სიკვდილის წინაშე უფრო ხშირად იმ ადამიანსა აქვს, ვისაც თავისი და სხვისი ცხოვრებაც ფუჭად მიაჩნია.

ყველაფერს, რასაც ადამიანი ერიდება და უფრთხის, რისი დანახვაც კი ჩვენში მხოლოდ მწუხარებას იწვევს, პარმენი თავისთვის იმარაგებდა. დინახავდა აფთიაქში მალალი სიცხის დროს თავზედასადებ ყინულს, ბალიშს იყიდდა. გაიგონებდა, რომ ქალაქში დიფტერიტია — ხსნარს შეიძენდა. ქუჩაში გავლისას, სადაც კი ექიმის გვარს წაიკითხავდა, უბის წიგნაკში მის მისამართს ჩაიწერდა. ექიმები დახარისხებული ჰყავდა მათი სპეციალობის მიხედვით. ვინ იცის, რომელი რა დროს დასჭირდება! ოთახის ყველა კუთხეში თაროები ჰქონდა, რომელზედაც ელაგა შუშები წამლებით, ათასნაირი ფხვნილი, პინცეტები, შეკინძული რეცეპტები. უჯრებში ჩალაგებული ჰქონდა საექიმო ხელსაწყოები, სადოსტაქარო დანები, მაკრატლები, მრავალნაირი იარაღი.

პარმენს ძლიერ უყვარდა თევზი, მაგრამ ფხა აშინებდა. თევზებში ამიტომ ლოქოს სჯერდებოდა. ხოლო ვინაიდან ლოქომაც ფხა იცის, ყოველშემთხვევისთვის მოიმარაგა იარაღი, რომლითაც ექიმები ყელში გაჩხერილ ძვალს ამოათრევენ.

ერთი სიტყვით, პარმენი ყოველნაირად მზად იყო სიკვდილს შებმოდა. ყველაფერში და ყველაში ის ხედავდა მტერს, ცხოვრება წარმოდგენილი ჰყავდა ავაზაკად, რომელიც ყოველ კუთხეში ჩასაფრებოდა და მოსპობით ემუქრებოდა. ეშინოდა ადამიანის, ეშინოდა მზის, — გაწყრა ღმერთი და დაჭკრა მზემ! — ეშინოდა ღრუბლის, — ვაი თუ წვიმად იქცეს და დაასველოს! ეშინოდა დღისა და ღამის, — ვაი თუ აღარ გათენდეს ხვალ!

ერთად-ერთი, რასაც პარმენ კვირია ენდობოდა, ეს იყო ნადუღარი წყალი. ცხოვრებაში რომ შემთხვევა არ ყოფილიყო, არც მრავალი ბედნიერი და უბედური დღე გაუთენდებოდა ადამიანს. მრავალის სიცოცხლე მოულოდნელობით სავსეა. ზოგიერთისა კი იმდენად, რომ მისი არსებობაც მხოლოდ ბრმა შემთხვევას უნდა მიეწეროს.

პარმენ კვირიაზე მატიანე არაფერს იტყვის. ამის მეტად აღარც ჩვენ მოვიგონებთ. დაგვრჩა მხოლოდ პატარა ამბავი, თუ რა საკვირველად დაასრულა მან სიცოცხლე. ყველაფერს თავისი ბოლო აქვს.

იმ დღეს პარმენმა ჩვეულებრივად გაისინჯა ტემპერატურა. ყოველშემთხვევისთვის, — რადგან სადღაც ცაზე თვალი მოჰკრა ღრუბლის ნაჭერს, — წაიღო საწვიმარი, გაზეთში გახვეული კალოშები და ქალაქში გავიდა. ჩვეულებრივი სიფრთხილით გადიარა ქუჩა, გულის ფეთქის შესანელებლად ბაღში შეისვენა და შემდეგ მოედნისკენ წავიდა. როდესაც მოედანს მიუახლოვდა, დაინახა: დანგრეულ ფარატინა სახლების ადგილზე დიდი შენობის ასაგებად მუშაობდნენ.

— აღარ დამშვიდდება ეს ხალხი? გაგონილა ამდენი ნგრევა და შენება? — გაბრაზებით გაიფიქრა პარმენმა და რადგან სხვა გზა არ იყო, ძალაუნებურად სამუშაოთა ახლო გაიარა. დამუწა პირი, რომ მტვერი არ ესუნთქა, მაგრამ მალე იგრძნო — მაინც საკმაოდ ჩაეყლაპა.

საჩქარრდ მოათავა საქმე და შინ დაბრუნდა.

— დაფინე, ჩემი წყალი მომაშველე, გენაცვალე! — კარებშივე შესძახა ცოლს.

შეისხა ნადუღარი წყალი თვალებში, ნესტოები გამოირეცხა, ყელში გამოივლო.

უეცრად ერთი ყლაპი სასუნთქში გადასცდა... მოასწრო და გადმოაქცია. გადმოაქცია, მაგრამ მაინც დაასლოკინა. დაასლოკინა ერთხელ, მეორედ. მესამეს მეოთხე წაება და აღარ იქნა, აღარ შეჩერდა.

ეცა პარმენი უჯრას, გადმოიღო ფხვნილი, ჩაყლაპა, მაგრამ [illegible] შემდეგ შეუწყდა. სცადა სხვა საშუალებაც, — ფეხები თბილ წყალში ჩაჰყარა, შაქარი შეჭამა, მკერდი დაიზილა, ბოლოს ლოგინში ჩაწვა და ჩაიფუთნა, მაგრამ მაინც ვერ შეიჩერა.

საღამომდე სამმა მკურნალმა ინახულა. სამივემ იმედი მისცა. სამივემ სხვადასხვა საშუალება ურჩია. პარმენმა სამივეს დარიგება შეისმინა და მაინც არაფერი ესაშველა.

იწვა ლოგინში თვალდაჭყეტილი და შიშისაგან გაბრუებული გრძნობდა, რომ გული უსუსტდებოდა. თანდათან ყველა რეცეპტები გადმოაღებინა ცოლს, ლოგინის წინ სკამებზე დაილაგა დიდხნიდან მომარაგებული წამლები, მუცელზე სათბური ბალიშები დაიდვა, კომპრესები შემოირტყა... მაინც უქმი გამოდგა ყველაფერი... ასლოკინა დღე, ორი და მესამეზე უკანასკნელ ამოსლოკინს სულიც თან გააყოლა. სიკვდილის წინ მხოლოდ ეს მოასწრო ეკითხა:

— დაფინე, ნადუღარი იყო ის წყალი? ხომ არ შეგშლია?

ისე ეცა სიკვდილი, პასუხის მიღებაც არ აცალა.

იმ დღეს, როცა პარმენ კვირიას მიასვენებდნენ, მზიანი ამინდი იყო და ქარიც ლონიერი. ასეთ დარში პარმენი ქუჩაში არასოდეს არ გასულა.

ეხლა კი, თავტიტველა, თავახდილი კუბოთი მიჰქონდათ. ორიოდე მეზობელი მიაცილებდა. ამათზე მეტი მუსიკის დამკვრელნი იყვნენ. უბერავდნენ სპილენძის საკრავებში, გუგუნებდა ორკესტრი და ბარაბანიც თავხედურად ხმაურობდა.

პარმენი მკვდარიც შეშინებული სჩანდა. თითქო დამფრთხალი იყო, რომ თვალღიათ დაჰყურებდა მზე და სახეში ქარი ურტყამდა.

საფლავთან არავის უტირნია. მგონი არც ცოლს. მხოლოდ ისე, მეზობლების შესახედავად, სანამუსოდ, გამოთხოვებისას შუბლზე აკოცა. აკოცა და ეჩვენა, ოითქო წუთით შეირხნენ პარმენის ტუჩები და წაიჩურჩულეს:

— დაფინე, რაღა მეშველება მე უბედურს, თუ მეორედ მოსვლის დროს ადგომა მაიძულეს?!

ასე დასრულდა პარმენ კვირიას დღე და წუთისოფელი, კარაბადინის წინასწარმეტყველება არ გაუმართლდა.

კარაბადინსაც ტყუილი სცოდნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა აფხაიძე

ნერილი დედას

სად ვიყავით, და ახლა სადა ვართ,
დედა, ეს ალბათ გაოცებს დიდათ,
ამხელა მანძილს და ამ სისწრაფით
შგონი გრიგალიც ვერ გაივლიდა.

მართლაც, ბევრი მთა და ბევრი ველი
ჩვენ ხომ ბრძოლებით გამოვიარეთ,
ყველგან ვხვდებოდით ნახშირის ზვინებს
და ჩვენი მიწის გახსნილ იარებს.

ვინ იცის, რამდენ ქოჩორა გმირის
მდუღარე გული აქ დაიმარხა!
დარეკავს ეამი და კიდევ რამდენ
მე ამხანაგის სახეს ვერ ვნახავ.

და ვერ გადმოგცემ მაინც, ვით მიყვარს
ამ ეკლიან გზის გოჯა ყოველი,
შლვიძარ ბალების ეს ნაჩრდილარი,
დღეს უკვდავების შუქის მთოველი.

მიყვარს, რადგან აქ ბევრმა დასტოვა
ვაუკაცურ სისხლით — მხურვალე ძვალი,
მოდგმიდან მოდგმას გადაუნათებს
მათი დიდების გახსნილი თვალი.

რაღაც სიამით და ნაზი თრთოლით
ბნელ ნანგრევებსაც ვეალერსები,
რადგან მე მათთან სისხლი მაერთებს
და გულს ამ მიწის მითბობს ფესვები.

მშობლიურია აქ ყოველი ხე,
ყველა მდინარე და ღამის ცვარი.
მრავალ ჩაქცეულ სახლის აგური
ხომ ჩვენს სისხლშია აქ გამომწვარი?

ამიტომ ვეტრფი აქაურ მინდვრებს,
ხალხს ძმადშეფიცულს და ცაში მერცხალს!
მწამს, ამხედრებულ ამ დიდ სიყვარულს
დროს ნიაღვარი ვეღარ წარეცხავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა[1]

მალე გორაკზე დაწინაურებული ოფიცერი ავიდა ორი ჯარისკაცის თანხლებით. და როდესაც ბინდ-ბუნდში დამხდურები ვერ შეიცნო, შორიდანვე გასძახა:

— ვინა ხართ თქვენ, ბატონებო?

— ბატონიშვილი და მეფის მდივანი, — უპასუხა თავისი დამტვრეული რუსულით ბესიკმა.

— ბატონიშვილი? — გაკვირვებით იკითხა ოფიცერმა და როდესაც ახლო მოვიდა, იცნო: — აა, თქვენო ბრწყინვალებავ ლეონ ირაკლიევიჩ, ნება მომეცით, ამ გორაკზე არტილერია დავაყენო.

— რაო? რას ამბობს, — ჰკითხა ლეონმა ბესიკს, რადგან რუსული ძალიან ცუდად იცოდა.

— ნებართვასა გთხოვს, ამ გორაკზე არტილერია დავაყენოთო.

— დააყენოს. მე ხომ არ ვუშლი. ერთი ისიც ჰკითხე, განა შესძლებენ თქვენი ზარბაზნები ამ ციხის კედლების დანგრევასა-თქო.

ბესიკმა ჰკითხა ოფიცერს, მაგრამ მან ორაზროვნად უპასუხა:

— ციხის კედლებზე და ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული.

— მაშ ტოტლებენს განუზრახავს ციხის აღება? — იკითხა ლეონმა.

— რასაკვირველია. მაშ აქ რისთვის მოვედით.

მეზარბაზნეები გორაკზე ავიდნენ. დაღლილი ცხენები მძიმედ სუნთქავდნენ. ოფიცერმა განკარგულება გასცა ზარბაზნები ახლავე დაეყენებინათ და ყოველ ბატარიას თავისი ადგილი მიუჩინა. თორმეტგირვანქიანი ზარბაზნები გორაკზე ჩაამწკრივეს, სამგირვანქიანი „ედინოროგები“ წინ წასწიეს და უფრო დაბლა ფერდობზე დააყენეს.

ბესიკი და ლეონი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ჯარისკაცების ფუსფუსს, რომელნიც უსიტყვოდ და სწრაფად ასრულებდნენ უფროსების განკარგულებებს. ერთი ზარბაზანი ბესიკისა და ლეონის ახლო გამართეს. ხანში შესული ულვაშებ-ჩამოკიდებული უფროსი ბომბარდირი ბოხი ხმით იძლეოდა განკარგულებებს. მან დადგმული ზარბაზანი შეათვალიერა, მერე ციხისაკენ გაიხედა. უკვე ბნელოდა და აწყურის ციხე შავ ლანდად მოსჩანდა.

— არა უშავს-რა, დილაადრიან დავუმიზნებთ, — ჩაილაპარაკა ბომბარდირმა. — მხოლოდ არა გამოვა-რა.

---

[1] გაგრძელება იხ. „მნათობი“ №№ 5 — 6, 7, 8, 9 — 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? — შეეკითხა ბესიკი, რომელმაც კარგად გაიგონა ბომბარდირის სიტყვები.

— არა გამოვა-რა, თქვენო... — ბომბარდირი შედგა, არ იცოდა, როგორ მიემართა ბესიკისათვის, რადგან ქართველებში ვერ არჩევდა, რომელი იყო დიდგვაროვანი და რომელი მდაბიო: — თქვენო ბრწყინვალებავ, — სთქვა მან ბოლოს. — სად გაგონილა, რომ თორმეტგირვანქიანი ზარბაზნებით ციხის კედლები დაენგრიოთ. ამით მხოლოდ ხის ჯიხურებისა, თხრილებისა და ტრანშეების დანგრევა შეიძლება. ასეთ ციხეს საალყო მძიმე ზარბაზნები სჭირდება.

გაოცებულმა ბესიკმა გადაუთარგმნა ლეონს, რაც გაიგო ბომბარდირის სიტყვებიდან.

— მაშ რისთვის ემზადებით? — ჰკითხა ბორძიკით ბესიკმა ბომბარდირს.

— ვესვრით, — სიცილით უთხრა ბომბარდირმა, — იქნება შეეშინდეთ. ისინი ხომ კურდღლებივით მხდალები არიან.

ბესიკი და ლეონი თავიანთ ბანაკისაკენ გაემართნენ. ორივე თითქო რაღაც სევდას შეეპყრა. ბნელაში ფრთხილად მიაბიჯებდნენ ღორღით დაფარულ ფერდობებზე. ქართველთა და რუსთა ბანაკში აქა-იქ კიაფობდნენ კოცონები. კოცონის სინათლე თითქო თან ასდევდა ადენილ ბოლს და ეს ბოლი ნათელი ბამბის ფთილებივით ირხეოდა ბნელ ღამეში.

ინათლა თუ არა, გაისმა ზარბაზნების ქუხილი. ჩაფერფლილი ცეცხლის პირად წამოწოლილი ბესიკი მაშინვე წამოიჭრა ფეხზე და მიმოიხედა. მხედრები უკვე აშლილიყვნენ და ჯგუფებად შეგროვილნი გასცქეროდნენ გორაკს, საიდანაც ისმოდა რუსების ზარბაზნების გრიალი.

ბატარეები რიგრიგობით ისროდნენ. თითო მათგანში სამ-სამი ზარბაზანი იყო და სანამ უკანასკნელი ბატარეის გასროლის ჯერი დადგებოდა, ბომბარდირებს პირველი უკვე გატენილი ჰქონდათ. ოფიცერი ხმალის აქნევით აძლევდა ნიშანს და მაშინვე ქვემეხებიდან რიგრიგობით გამოხტოდა ბამბის ქულებივით შეკუმშული თეთრი ბოლი. ცოტა მოგვიანებით ისმოდა უცნაური მრავალხმიანი გრიალი.

ქართველი მხედრები აღტაცებით ადევნებდნენ თვალს ზარბაზნების სროლას და მხიარული ყიჟინით გასძახოდნენ:

— აგრე მაგათ...

— მოგხვდა, თათარო! თუ ბიჭი ხარ, გაუძელ!

— კიდევ, კიდევ, თქვენი ჭირიმეთ...

ქვემეხების გრიალი არა წყდებოდა და ქართველთა ლაშქარი უფრო და უფრო შედიოდა ეშხში. მხედრები ველარ ისვენებდნენ, ადგილზე ცმუკავდნენ. საკმარისი იყო ერთი დაძახილი, რომ ყველანი ერთის ყიჟინით და ხმლების ტრიალით გადაშვებულიყვნენ ბრძოლაში.

ერთად-ერთი ერეკლე არ იზიარებდა საერთო აღტაცებას. ის ღამის განმავლობაში რამდენჯერმე ეთათბირა ტოტლებენს და ურჩევდა, რომ ორივეს აწყურის ციხესთან მცირე საალყო რაზმი დაეტოვებინათ, დანარჩენი ჯარით კი დაუყოვნებლივ გაელაშქრათ ახალციხის მიდამოებისაკენ. მით უმეტეს, რომ მათი ჯარი უკვე ისე იყო განლაგებული, რომ დაუყოვნებლივ შეიძლებოდა სწრაფი მოქმედების დაწყება. ქართველები აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, როკითისკენ მიმართულ ხეობის პირას იყვნენ დაბანაკებულნი. რუსები ჩრდილოეთით იდგნენ. მათ შეეძლოთ სწრაფად გასულიყვნენ ხად-

ზე და დაეწყოთ შეტევა ახალციხისაკენ. სანამ ტოტლებენის ქვეითი ჯარი ახალციხეს მიაღწევდა, ერეკლე თავისი ცხენოსნებით როკოსმეს ციხეს უკვე იქ დახვდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აწყურის ციხის ალება გაჭიანურდებოდა, მათ შესაძლებელია ისეთივე მარცხი ეგემათ, როგორიც წილად ხვდა შემოდგომაზე ტოტლებენს შორაპნის ციხესთან. დაუშენდნენ ზარბაზნებს, ციხეს ვერას დააკლებდნენ, ჯარს გული გაუფუჭდებოდა, ამას ზედ დაერთვოდა მოსალოდნელი შიმშილი და მტერი ადვილად შეიძლებდა მათ განადგურებას.

ტოტლებენი უარზე იყო. მისი აზრით, აწყურის ციხის ძველი გამოფიტული კედლები ერთ გასროლასაც ვერ გაუძლებდნენ, არა თუ თორმეტი ზარბაზნის განუწყვეტელ დაშენას. ნახევარი საათის განმავლობაში კედელს გაანგრევდა და ერთი კარგი იერიშით ციხეს აიღებდა. იქ კი ხელთ იგდებდნენ უამრავ სურსათს, ქონებას, ხოლო ზეგ შეეძლოთ განეგრძოთ წინსვლა.

რაც უფრო ცდილობდა ერეკლე დაერწმუნებინა ტოტლებენი, ის მით უფრო ჯიუტობდა და თავისას გაიძახოდა. მაშინ ერეკლემ თავი ანება.

— გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა, — უთხრა ერეკლემ მოურავოვს, როდესაც ისინი ერთად ბრუნდებოდნენ თავიანთ ბანაკში. — ხვალ რომ არა გამოვა-რა, მაშინ რაღას იტყვის?

— მაშინ, ალბათ, იძულებული იქნება თქვენი აზრი გაიზიაროს, — უნიათოდ ანუგეშა ერეკლე მოურავოვმა.

ატყდა თუ არა დილით ზარბაზნების სროლა, ერეკლემ ჭოგრიტით დაუწყო თვალთვალი ციხეს. მეზარბაზნეები, ეტყობოდა კარგი მსროლელები იყვნენ, რადგან ყუმბარებს კედლის ერთ ამონიშნულ ადგილს ახვედრებდნენ. სულ მცირე ხნის განმავლობაში ორასზე მეტი ყუმბარა მოხვდა ამომიზნებულ კედელს, მაგრამ ერთი კენჭიც კი ვერ შეატეხა. გასიპული, ჩაკირული კედელი კაკლებივით ისხლეტდა ყუმბარებს.

ჯარმა მალე შეამჩნია, რომ ეს სროლა შედეგს არ იძლეოდა და მხედრების პირვანდელი აღტაცება უცბად დაცხრა. ახლა აღარ ისმოდა მხიარული შეძახილები, მხოლოდ ხანდახან გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

— არ ინგრევა ეს სატიალო?

— ჯერ დააცა და! — ამშვიდებდნენ ერთმანეთს ზოგიერთნი.

— რაღა დააცა, დალოცვილო, ბეღელს რომ გარედან კაკალი დაუშინო, რას დააკლებს!

მოულოდნელად რუსებმა ზარბაზნის სროლა შეწყვიტეს. მაშინვე საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. უნებურად ყველამ გორაკისაკენ გაიხედა. რუსებმა ცხენები მოდენეს, ზარბაზნებს დაუბეს და სათითაოდ გადაეშვნენ ფერდობის გადაღმა.

— ე რა არი, კაცო, მიდიან? — დაიძახა ვილაცამ.

ჯარი აჩოჩქოლდა. ვილაცა გაიქცა გორაკისაკენ ამბის გასაგებად. მინბაშები სარდლებთან მიცვივდნენ, ეკითხებოდნენ, რა მოხდაო.

მოურავოვი შეშფოთდა. მაშინვე ტოტლებენის ბანაკში თავის ამალიდან კაზაკი გაგზავნა ამბის შესატყობად. მას თითქო გულმა უგრძნო, რომ ცუდი ამბავი მოხდა.

ჯარში ჩოჩქოლი თანდათან მატულობდა.

თუ აწყურის ციხის შიგნით და ქონგურებს შორის აქამდე არავინ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანდა, ახლა ყოველი კუთხიდან ამოჰყვეს თავი დელიბაშებმა და იქიდან ქართველებს ყიჟინა დასცეს:

— ჰაი, დონლუზ!.. გურჯი დონლუზ!.. ურუს გედირ!..

ყვირილმა და ღრიანცელმა იმატა. ქაჩალ გორაკზე გამოჩნდა ვიღაც ქართველი მხედარი, რომელიც თავ-ქუდ მოგლეჯილი მოაჭენებდა ცხენს. მან დაურიდებლად გააპო ამბის საკითხავად მასეული მხედრები და ცხენი ბატონის კარავთან მიაგდო. მოწყვეტით ჩამოხტა ცხენიდან, მეფის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და მოახსენა:

— რუსის ჯარი წავიდა, მეფევ.

— წავიდაო? — გაოცდა ერეკლე. — განა რა იცი, რომ წავიდა.

— გზაზე ვიდექი. თქვენ რომ მიბრძანეთ, იმ ადგილას. დილიდანვე მიდიოდნენ, მაგრამ რას ვიფიქრებდი. აქ ზარბაზნები გრიალებდნენ და მეგონა, ალბათ, საიდანმე უნდა შემოატაროს ჯარი-მეთქი. ახლა, ზარბაზნებიც რომ ჩაატარეს, მაშინ კი მივხვდი, რომ მიიპარებოდნენ. დიდ მინდორზედ ერთი კაციც ალარ დარჩა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ჯარს. ისეთი ხმაური და ღრიანცელი ატყდა, რომ ყურთასმენა ალარ იყო. ყველანი გაფაციცებით ჰკრავდნენ თავიანთ ბარგს, ზოგი ცხენებს მოერეკებოდა და ჰკაზმავდა. ყოველ კუთხეში ისმოდა ყვირილი:

— დავიტუპეთ, ხალხო!..

— რუსის ჯარი წასულა...

— გაგვწირეს, თათრის ხელში ჩაგვყარეს...

— თავს ვუშველოთ, ხალხო!..

ამ ყვირილსა და ღრიანცელში ვერც კი შეამჩნიეს, რომ თურქებს ციხის კარი გაეღოთ და ხუთასი გულადი მეომარი ერთის ყიჟინით მოულოდნელად ეკვეთა ქალაქში დაბანაკებულ ქართველთა რაზმს, ალყა შემოარტყა, სამოცდაათი კაცი ტყვედ ჩაიგდო და ციხეში შერეკა.

ქალაქიდან თავდაღწეული მხედრები გულგახეთქილნი შეცვივდნენ მთავარ ბანაკში. ამათ უარესი ალიაქოთი ასტეხეს. ჯარმა უცბად იგუვლა და დაფანტვა დაიწყო.

სარდლებიც დაიბნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მუქარით ცდილობდნენ ჯარი შეეჩერებინათ, მაგრამ ყვირილსა და ღრიანცელში მათი ხმა არავის ესმოდა.

დავით სარდალი ცხენზე შეჯდა. მინბაშები იახლა და გაქცეულებს დაედევნა, რათა შეეჩერებინა თავგზააბნეული მხედრები.

თავზარდაცემული ერეკლე გაოცებული შესცქეროდა ამბის მომტანს.

ახლა მოაგონდა რემენნიკოვისა და დანარჩენ შეთქმულ ოფიცერთა სიტყვები ტოტლებენის შესახებ, მოაგონდა ზაქარია გაბაშვილის უსტარი, და გულში მწვავედ გაჰკრა სინანულის გრძნობამ.

რატომ არიდებდა თვალს ყოველ მამხილებელ საბუთს?

რატომ არ დაეთანხმა რემენნიკოვს და ურჩია ხელი აეღოთ ტოტლებენის დატუსაღების განზრახვაზე.

მიმოიხედა.

მისი ლაშქარი აშლილიყო. აქეთ-იქით დაფანტული გუნდები გასაქცევ გზებს ეძებდნენ.

გიორგი ბატონიშვილი იხმო.

— წადი, დაეწიე იმ იუდას. ერთი ჰკითხე, რისთვის წავიდა. იქნებ დაბრუნო. აქ მოგვიყვანა, მახეში გაგვაბა და მიგვატოვა. ეს რაგვარი ეშმაკია!

— კარგი, მეფევ ბატონო, — უთხრა მოღუშულმა გიორგიმ [illegible] ვეტყვი, რაც ეკადრება.

— თავდაჭერით ელაპარაკე. საბაბს ნუ მისცემ.

— ვიცი.

გიორგი მაშინვე შეჯდა ცხენზე და თავისი ამალის თანხლებით გაემართა პეტრეს ციხისაკენ.

ერეკლე მიხვდა, რომ დაბნეულ ლაშქარს იქ ვერ შეაჩერებდა. ამისათვის გადასწყვიტა, ერთი ეჯის მანძილზე, თიხრევის ჭალისკენ დაეხია. ამალას უბრძანა ბანაკი აეშალათ და მწყობრად წასულიყვნენ თიხრევის ჭალისაკენ. მხოლოდ ასეთი ხერხით შეიძლებოდა, რომ მიმოფანტული გუნდები მიჰყოლოდნენ მეფეს.

ის იყო ჯილავდარებმა ერეკლეს ცხენი მიჰგვარეს, რომ ციხეზე თურქებმა გამარჯვების საყვირი დაუკრეს. შემდეგ ზურნის გამყივარმა ხმამ ქრუანტელის მომგვრელად დასერა ჰაერი, გაისმა დოლის ბაგაბუგი და ციხის კედლებზე გადმოეფინენ აღფრთოვანებული მეციხოვნენი. ისინი მეორე მხარისაკენ იცქირებოდნენ და ხელების ქნევით ესალმებოდნენ ვილაცეებს.

მტკვარგალმა, შარაზე, ახალციხიდან მომავალი ოსმალ იანიჩართა ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა არტაანის ბატონის ყალიმბეგის მეთაურობით. ისინი თქარა-თქურით მოაჭენებდნენ ცხენებს. მხრებზე წითელ-ყვითლად შემკული წამოსასხამები — დელმიბანიშები უფრიალებდათ. ერთის ყიჟინით და ხმლების ტრიალით გამოიარეს ხიდი და ციხის ბჭესთან შეჩერდნენ. იქ მათ მეციხოვნენი გაეგებენ და მხიარულად შეეგებენ ახალმისულებს.

მეციხოვნენი იანიჩრებს ქართველთა ბანაკისაკენ უთითებდნენ და საიერიშოდ აჩქარებდნენ.

ყალიმბეგმა ციხის კოშკიდან გადახედა ქართველთა ბანაკს და დარწმუნდა, რომ ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა მას არასოდეს არ ეღირსებოდა. მაშინვე შეუდგა თავისი რაზმის საიერიშოდ მზადებას.

— ნახევარ საათში ერეკლე ხელში მეყოლება, — სიცილით სთქვა ყალიმბეგმა, — სუფჰავ-ხანი და მალაჩინი თუ არ გადამემტერნენ.

ყალიმბეგმა თავისი რაზმი ათ გუნდად გაჰყო და გუნდების მეთაურებს უბრძანა, რომ ქართველთა ბანაკისათვის ალყა დაერტყათ.

— აბა, ჩქარა, ჩქარა, ნულარ დავაყოვნებთ, — აჩქარებდა მათ ყალიმბეგი. შემდეგ ცხენზე შეჯდა, გუნდებად დაწყობილ რაზმებს წინ ჩაუარა, ხელები მაღლა აღაპყრო, ალლაჰს გამარჯვებას შეევედრა და თავისი ცხენი უცბად ადგილიდან მოსწყვიტა.

იანიჩრებმა დასჭყივლეს, ცხენებს მათრახი გადაჰკრეს, და მინდორს ხანძარივით მოედო მათი აფრიალებული წამოსასხამები. ცხენთა ფეხის ცემისაგან მიწას გუგუნი გაჰქონდა.

ქართველთა ბანაკში ძრევა-დარევა უფრო მატულობდა. აქა-იქ უკვე შესხდნენ ცხენებზე და გუნდ-გუნდად დაიწყეს გაქცევა. სარდლები ყვირილითა და მუქარით რომ ვერას გახდნენ, ხმლები იშიშვლეს და სცადეს გაქცეულთათვის გზა გადაეღობათ.

გაფითრებული ბესიკი აქეთ-იქით დარბოდა და თავის ცხენს დაეძებდა, მაგრამ ალიაქოთში ვერც ერთი ჯილავდარი ვერ ნახა, რომ თავისი აფხა-

ზურა მოეყვანინებინა. ბოლოს ვიღაცის მიტოვებულ ცხენს სტაცა ხელი, ზედ მოეკვლო, ხმალი იშიშვლა და სხვებთან ერთად სცადა გაქცეულები შეეჩერებინა. რომელღაც მხედარს წამოეწია და ხმალი ... დაარტყა მხრებზე.

— სად მირბიხარ? — დასჭყივლა მან მხედარს, რომელმაც ვერ გაუძლო ბესიკის ხმალს და წაიქცა. — ეხლავე უკან დაბრუნდი!

წაქცეულმა მხედარმა შეშინებული თვალებით ახედა ბესიკს. მერე ფეხზე წამოხტა და უარესი სისწრაფით მიჰკურცხლა. ბესიკმა გამოკიდება სცადა, მაგრამ ახლა მეორემ გაურბინა გვერდით და იმას გადაუღობა გზა:

— სად მიდიხარ, ლაჩარო? — დაუყვირა ბესიკმა გაქცეულ მხედარს და ხმალი მოუქნია.

მხედარი შეედგა, უკან გადაქანდა და დაბნეულად მიმოიხედა.

— ქაიხოსრო, შენა? — გაოცებით წამოიძახა ბესიკმა. მის წინ ქაიხოსრო მურვანიშვილი იდგა. — რა მოგვიდა, არა გრცხვენიან?

— ეშმაკმა ნუ იცის ჩემი თავი! — წამოიძახა ქაიხოსრომ, — მგონია, გავიქეცი. ხალხმა გამაგიჟა. სად მიდიხარ, შენი ჯიგარი კი ჩაიქცეს, შენი! — იშიშვლა ხმალი ქაიხოსრომ და ახლა თითონ გადაუღობა გზა სამ ახალგაზრდა მეომარს: — დაბრუნდით უკან, თორემ, მამის სულს ვფიცავ, ცოცხალი ვერ წამიხვალთ!

ისეთი მტკიცე ხმით შეუტია მათ ქაიხოსრომ, რომ მეომრები ადგილზევე გაქვავდნენ.

— გაგიჟდით? — იყვირა ქაიხოსრომ, ხმა უცბად ჩაუწყდა და ხავილით განაგრძო: — მეც გამაგიჟეთ! ლეჩაქები რა უყავით? მოშყვეთ სამნივე!

ახალგაზრდები მორჩილად მიჰყვნენ ქაიხოსროს, რომელიც გაქცეულების ახალ ჯგუფს დაეძგერა.

ბესიკი უკვე მეორე მხრით მისდევდა გაქცეულებს და ამ აურზაურში ენებურად ერეკლეს კარავთან გაჩნდა.

ერეკლე ცხენზე იჯდა, ჯარის ამ ღრიანცელსა და აურზაურს არც კი აქცევდა ყურადღებას და გაფაციცებული ბასრი თვალებით გასცქეროდა აწყურის ციხესთან ახლად მისულ იანიჩრებს. მათ მოძრაობაზე უცბად მიხვდა, რასაც აპირებდა მტერი, სწრაფად მიმოიხედა და ლეონი იხმო:

— შვილო, იანიჩრებმა დრო გვიშოვეს და მთლად წაგვახდენენ. მე, ეს ხევსურს გავიყოლებ და ლაშქარს თიხრევის ვაკეზე დავაყენებ, აქ მათ ვერ შევაჩერებთ. შენ ორასი ხევსური წაიყვანე და იანიჩრებს დაუხვდი. ფარგალი გაშალე და მხარიდან დაარტყი. თუ წაახდინო, ციხემდე სდიე და შემდეგ უკან გამობრუნდი. თუ გძლიონ, თავს ნუ წაახდენინებ, ჩემსკენ გამოიტყუე. ღმერთი იყოს შენი შემწე!

ლეონმა თავი დაუკრა მეფეს, მაშინვე მიაბრუნა ცხენი და ხევსურების რაზმისკენ მიაშურა. ბესიკი ლეონს თან მიჰყვა და ახლა შენიშნა, რომ მხოლოდ ხევსურთა რაზმი არ არეულიყო. ესენი მძიმედ ისხდნენ ცხენებზე და მეფის ბრძანებას ელოდნენ. მათი სარდალი ბეჭებ-განიერი აბჯაროსანი სუმბატა ლოხაყრიშვილი ლეონს შორიდან მიეგება.

— გუდამაყრელნი მეფეს ეახლონ, — უბრძანა ლეონმა სუმბატს; — დანარჩენნი ორ მწკრივად დაეწყონ. ფერდობს ამოეფარენით. არავინ გამოჩნდეს.

სწორედ ამ დროს გაისმა შორიდან იანიჩრების საბრძოლო ყიჟინა და ცხენთა ფეხის გრიალი.

ლეონმა მიიხედა. თვალში ჯერ ბესიკი მოხვდა და გაკვირვებულმა ასეა მოიძახა:

— შენ აქ რა გინდა?

— შენთან უნდა ვიბრძოლო, — უთხრა ბესიკმა.

ორივენი ციხისაკენ იცქირებოდნენ. იანიჩრები უცბად ამოიჭრენ ველზე. მათი წითელ-ყვითელი ფერადებით აჭრელებული გრძელი მწკრივი უნასივით მოიკლაკნებოდა მინდორზე.

— რა გულდაგულ მოდიან! — წამოიძახა ლეონმა, ბესიკს მიუბრუნდა:— შენ განზე გადექ. ხევსურებმა არ გაგსრისონ. მხარდაყენილი სად გვეჩრები!

სუმბატამ ცხენი ლეონის გვერდით დააყენა, მინდორზე გაშლილ იანიჩრებს წარბებ-ქვეშიდან გაჰხედა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ბევრნი არიან, ტიალნი!

— ჩვენი შედრეკა არ იქნების, სუმბატ! — სწრაფად უპასუხა ლეონმა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ იქნების, მაგრამ ჩვენ კი ჩვენი დაგვემართება, ბატონიშვილო.

ბლოელი ხევსური აბაი ბიტურაული ველარ ისვენებდა. ცხენი გამოაჭენა და შორიდან გასძახა ლეონს:

— რაღას ველოდებით, ბატონიშვილო?

— დაიცა, აბაი, — მიუბრუნდა ლეონი ბიტურაულს, რომელიც მას მეორე მხრიდან ამოუდგა:—პირისპირ წაგვაქცევენ, მხარიდან უნდა ვეკვეთნეთ.

იანიჩრებმა მალე ამოივაკეს, ყიჟინა დასცეს და ცხენებს მათრახი უჭირეს.

— ახლა კი დროა, — სთქვა ლეონმა, როდესაც თვალდათვალ მანძილი გაზომა და იავარაუდა, სადაც უნდა დასწეოდა იანიჩრებს:—წავიდეთ, სუმბატ, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

პირჯვარი გადაიწერეს. ცხენები მიაბრუნეს და ჩასაფრებულ ხევსურებთან მივიდნენ.

ბესიკი გრძნობდა, რომ აქ ის სრულიად ზედმეტი იყო, რადგან მხარნაღრძობი ამ გოლიათებთან თანამებრძოლად არ გამოდგებოდა, მაგრამ წასვლაც ეუხერხულებოდა. ლეონმა ეს თითქო იგრძნო და ბესიკს ღიმილით უთხრა:

— არ გესმის, წადი-მეთქი! ეგ საპალნის ცხენი სად იპოვე?

მერე უზანგებზე აიმართა. ხმალი იშიშვლა და ხევსურებს გასძახა:

— მადლი თქვენს მარჯვენას, ხევსურნო! გვწყალობდეს წმინდა გიორგი!

ერთ მწკრივს თითონ ჩაუდგა სათავეში, მეორე მწკრივს — სუმბატა ლოხაყრიშვილი. ბესიკმა ძლივს მოასწრო განზე გადგომა, რომ გრიგალივით ჩაუქროლეს ფოლადში ჩამსხდარმა ხევსურებმა. მათი ორლესული პრიალა მახვილები ცეცხლის ნაპერწკლებივით აფრქვევდნენ მზის ასხლეტილ სხივებს.

ხევსურთა ორი მწკრივი ისარივით გაიჭიმა მინდორზე და შემდეგ უცბად ფარგალივით გაიშალა. ერთ მწკრივს ლეონი მიუძღოდა, მეორეს — სუმბატა.

ბესიკი ახლა მიხვდა, ერეკლეს სიტყვების მიხედვით რას ნიშნავდა ფარგალის გაშლა.

„აგრე, აგრე, ჩაუქნო, — აქეზებდა გუნებაში მებრძოლებს ბესიკი: — თავი გაუსრისეთ მაგ ურჯულოებს!“

იანიჩრების მწკრივი ისეთივე სისწრაფით და კლაკნით მიისწრაფოდა წინ. მოწინავეებმა ცხენები პირდაპირ მიწაზე გააკრეს, რათა უკვე წასულ ქართველთა არეულ ჯარს დასწეოდნენ. მათი ამართული მოკაკული ხმლები თითქო ქარს გადაედრიკა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა:

— ალლაა... იაურ... ა�ა...

ლეონმა თავისი ყარაბაღული ბედაური ისე გააფრინა, რომ ხევსურთა მწკრივი კინაღამ გაწყვიტა. თითქო ამ მართლა და უნასავით მოსრიალე იანიჩრების მწყობრს მარწუხით ჩაფრენოდნენ თავში, ისე დაეძგერა მას ხევსურთა რაზმი მარჯვენა მხრიდან და ადგილზე დაალა. იანიჩრების მწკრივი გველივით დაიკლაკნა, ბოლო მოიქნია და ხვევა დაიწყო.

ყალიმბეგისთვის ეს თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მან მაშინვე მოზიდა სადავე, გაქანებული ბედაური ძლივს შეაჩერა და შეეცადა იანიჩრების მწკრივი მიებრუნებინა ხევსურების საწინააღმდეგოდ. იერიშის გაგრძელება ქართველთა მთავარი ძალების წინააღმდეგ შეუძლებელი იყო, რადგან ხევსურები მას ზურგში მოექცეოდნენ და მთელ რაზმს ისე აჰკაფავდნენ, რომ ერთი კაციც კი არ გადარჩებოდა ცოცხალი. მხოლოდ ახლა მიხვდა ყალიმბეგი, თუ როგორ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე. ერთ წუთს იმ ფიქრმაც-კი გაუელვა, რომ ქართველთა ბანაკის აღრევა, იქნებ ერეკლეს სამხედრო თვალთმაქცობა იყოო, რათა თურქები ციხიდან გამოეტყუებინა.

მარჯვედ მიაბრუნა ცხენი ყალიმბეგმა. იანიჩრებს ნიშანი მისცა და ხევსურებისკენ გაექანა, მაგრამ უკვე გვიან იყო:

ხევსურებმა სწრაფად გასრისეს პირველი გუნდი და ისე გულმოდგინედ დაუწყეს ჩეხვა მთელ მწკრივს, რომ ეს თავმოჭრილი უნასი უცბად დაწყდა, აირია და ციხისაკენ მოჰკურცხლა. ხევსურებმა იანიჩრების მთელი არეული გროვა შემორკალეს, დაედევნენ. ციხის ბჭეებამდე ერეკებოდნენ. იქიდან კი იძულებულნი იყვნენ სწრაფად დაეხიათ უკან, რადგან გაქცეულებმა ციხეში შეასწრეს, ბჭეები ჩაკეტეს, ხოლო მეციხოვნეებმა ხევსურებს შაშხანები დაუშინეს. ხუთი ხევსური დასჭრეს, სამს ცხენი მოუკლეს.

მინდორზე, სადაც შაშხანის ტყვია აღარ სწვდებოდა, ხევსურები შეჩერდნენ, დაჭრილებს მოუარეს, ჭრილობები შეუხვიეს და ველზე მოფანტული იანიჩრების იარაღი მოჰკრიფეს. ზოგიერთები უპატრონოდ დარჩენილ ცხენებს დაედევნენ.

აღტაცებული ბესიკი გორაკიდან გამალებული დაეშვა თავქვე. უნდოდა ლეონს გადახვეოდა და გამარჯვება მიელოცნა.

ლეონი, ცალ მუხლზე დაჩოქილი, თავდახრილი იდგა მომაკვდავი ჭალარა ხევსურის წინ. ბესიკის მიახლოება არც-კი შეუმჩნევია. ხევსურს ტყვია ილლიაში მოხვედროდა და მეორე მხარეს ჯაჭვის პერანგი გაეზნიქა.

— ხევსურთ უთხარით, — ჩამქრალი ხმით ამბობდა მოხუცი: — მამიგონებდით... ფანდურზე დამამღერებდით... ჩვენს მიწას მიმბარეთ...

ხევსურს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა. ჰაერი არ ეყო, სცადა მძიმეთ ჩაესუნთქა და... უცბად სული დალია. სახეზე ისეთი გამომეტყველება შერჩა, თითქო კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა.

ლეონმა უბიდან აბრეშუმის ქალალია ამოიღო და ხევსურს გადაუფარა. მერე ადგა და მიმოიხედა.

ბესიკმა შეამჩნია, რომ ბატონიშვილს თვალებში ცრემლი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

არასოდეს არ ახსოვდა ჯარს მეფე ასე განრისხებული. ძველ მეომრებსაც კი, რომელნიც ერეკლეს ავღანეთში და ინდოეთშიაც კი ხლებიან, არ ახსოვდათ, რომ ოდესმე ბატონი ასე გაეცეცხლებინა რამეს.

ერთი ეჯის გავლის შემდეგ, თიხრევის ჭალაში, შეჩერდა ლაშქარი. მხედრები ნელ-ნელა მოგროვდნენ მინდორზე. გუდამაყრელთა ასეული, რომელიც ერეკლემ წინასწარ გაგზავნა გზის ჩასაკეტად, მინდვრის ბოლოში, ხეობის პირად იყო ჩამწკრივებული, მაგრამ ჯარს ეს ჯებირი აღარ სჭირდებოდა. პირვანდელმა შიშმა და თავზარდაცემამ უკვე გაიარა. ჩამორჩენილებმაც სასიხარულო ამბავი მიიტანეს. მათ საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორ იფრინეს იანიჩრები ხევსურებმა. ამ ცნობამ ელვის სისწრაფით დაირბინა რიგებში. ბევრმა მათგანმა უკან დაბრუნება დააპირა, ისინი თავიანთ მინბაშებს ეხვეწებოდნენ, გაგვიძეხითო. მაგრამ ამ დროს მოსახვევიდან ერეკლე გამოჩნდა დავითისა და თავისი მუდმივი შვიდი ხევსურის თანხლებით. მან სწრაფად გაიარა ლაშქრის რიგები, შუაგულ ადგილას ცხენი შეაჩერა და ჯარს ისე მოავლო თვალი, რომ ყველას მუხლებში შიშის ერუანტელმა დაუარა.

მეფის მედროშემ ვოგია ფატრელმაც კი ვერ გაუძლო მის მზერას, დროშის ტარს მაგრა მოსჭიდა ხელი და ნელა დაეშვა მუხლის თავებზე. აქა-იქ მხედრებმა ნელ-ნელა მიჰბაძეს და მალე მთელმა ლაშქარმა მუხლი მოიყარა.

— ადექი, ვოგიავ! — წყნარი ხმით უბრძანა ერეკლემ თავის მედროშეს. შემდეგ ლაშქარს გადახედა და უცბად მეხივით დაიჭექა:

— ადექით!

ცხენიდან ჩამოხტა, სადავე ჯილავდარებს გადაუგდო, სამეფო ხალათი რომელიც ქილებიანი ჩოხის ზემოდან ეცვა, გაიძრო და ძირს დაანარცხა.

— თქვენ მეფის წინაშე უნდა დაიჩოქოთ და პატიება ითხოვოთ. მე ხომ მეფე არა ვყოფილვარ. ცხვარს უბრალო მწყემსი და ნაგაზი სჭირდება პატრონად. დღემდე მეგონა, ხმალი მერტყა და ხელთ სამეფო სკიპტრა მეჭირა, ახლა ვატყობ, ჩემი ხმალი კომბალი ყოფილა, სკიპტრა სალამური და ჩემთა დიდებულ მამა-პაპათა ბადლად მარტოოდენ ცხვრის ფარა შემრჩენია. წადით, გამცილდით ყოველნი! წადით და უამბეთ თქვენს ოჯახს, თქვენს მოხუც მამებს, მოახსენეთ ჭალარა დედებს, როგორ გარბოდით ჩვენთა წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე! მე კი, ამ სირცხვილის ატანას მიჯობს ჩემის ფეხით ვეახლო ახალციხის ფაშას, მორჩილად დავიჩოქო მის წინაშე და შევევედრო, თულუხჩობა მაინც მიბოძოს.

ყველანი თავდახრილნი უსმენდნენ მეფეს და უნებლიედ ცდილობდნენ ერთმანეთს ამოფარებოდნენ. რაც უფრო ცხარობდა ერეკლე, მით უფრო დაბლა ხრიდნენ თავს მეომრები და მალე მთელი ლაშქარი მაჰმადიანი მლოცველებივით იყო დამხობილი მეფის წინაშე.

დავით სარდალმა და ასე ერისთავმა მორიდებულად აიღეს სამეფო ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათი, მათ ალექსანდრე ციციშვილი და დანარჩენი სარდლებიც შეუერთდნენ, მეფეს გარს შემოერტყნენ და სთხოვეს, ისევ შემოსილიყო.

ერეკლემ საპასუხოდ ახლა ხმალიც აიხსნა.

— მეგონა, ღირსი ვიყავ ხმალი მეტარებინა. უღირსი ვყოფილვარ. რისთვის მთავაზობთ სამეფო ხალათს? აი ეს ხმალიც, — მიმართა სარდლებს ერეკლემ: — მე უცხო ტომის არა ვარ. ჩვენ ერთი სისხლისა და ხორცის, ერთი მოდგმისანი ვართ და მაშ მეც გავერევი ამათ მარაქაში. ჩემთვის უპრიანია — ჯაბანს ჯაბანი უნდა ამშვენებდეს.

— შეგვინდე, მეფეო! — წამოიძახა უცბათ მოხუცმა დულაბამ.

თითქო მთელ ლაშქარს წინასწარ გაეზეპირებინოს ეს ორი სიტყვა, ისე ერთად ამოიგმინა ყველამ:

— შეგვინდე, მეფეო!

მერე დულაბამ თავი ასწია და მეფეს თამამად შეხედა თვალებში:

— შენთან დავბერდი, მეფევ, ნუ გამირისხდები და ნება მიბოძე, სიტყვა მოგახსენო.

— განა ამ საქმეს სამართალი ეყვება, ჩემო დულაბავ? — უთხრა ოდნავ დამშვიდებული ხმით ერეკლემ თავის ძველ თანამებრძოლს. — ავღანეთში ვიბრძოდით მე და შენ ერთად, ყანდაარის კოშკზე შენ ახველ პირველად. მაშინ ყაენს ვმსახურებდით და აგრე ვიბრძოდით. ახლა იმას მოვესწრათ, რომ ჩვენს მიწაზე ასე გაგვიცუდდეს ხმალი? სიკვდილი გვიჯობს მე და შენ, ჩემო დულაბავ, ვიდრე ამას მოვესწრებოდეთ!

დულაბა წელში გაიმართა, ლაშქარს თვალი მოავლო, მერე მეფეს შეხედა, გულზე ხელი დაიდო, თავი დაუკრა და უთხრა:

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ.

— სთქვი!

— მეფევ, ეს მარჯვენა შემახმეს, თუ ოდესმე გავბედო და ლაჩარს თავდებად დავუდგე. ლაჩარი სიკვდილის ღირსია, მაგრამ...

დულაბა შედგა. თითქო შესაფერ სიტყვებს ეძებდა, ტუჩზე ხელი მიიდო, ოდნავ შეფიქრდა.

ყველანი სულგანაბული უსმენდნენ.

— ...მაგრამ, ჩვენ, მეფეო, სულ მუდამ მარტონი ვიბრძოდით მტრის წინააღმდეგ, არასოდეს სხვის იმედით ჩვენი მკლავი არა ყოფილა. მტერიც ყოველთვის დაგვიმარცხებია. ახლა, მეფევ, ე რუსის ჯარი რო ვნახეთ, იმათი გაწყობილი სიარული, შუბებიანი თოფები, ვიფიქრეთ, ოსმალი, ფუტკარზე უმრავლესიც რომ იყოს, ამისთანა ლაშქრით მაინც წავაქცევთ ურჯულოებსა-მეთქი. ასე არ არი, ბიჭებო? — მიუბრუნდა ლაშქარს დულაბა.

— აგრეა, აგრე! — დაიგრიალა ჯარმა.

— ჰო-დე... იმას მოგახსენებდით, — განაგრძო დულაბამ, — ერთი ანდაზისა არ იყოს, სხვის ამარად ფართო კარავს ნუ დაიდგამო, ან კიდევ, რომ იტყვიან, სხვისი ხელით გველი არ მოიკვლებაო. ჩვენც ისე მოგვივიდა. სხვის მოშველებას შეუჩვეველს, რუსების წასვლა მეხივით დაგვატყდა თავს. ხალხს უნებურად გონება აერია. განა ლაჩრობით! დაღლილი კაცი რო ბეჭით დედაბოძს მიენდო, თუ დედაბოძი წაგექცა, განა არ დაბარბაცდები, შეიძლება კიდევაც წაიქცე, მაგრამ მაშინვე ფეხზე დადგები. ჩვენც აგრე შეგვემთხვა, მეფევ, და ამისთვის ნუ გაგვირისხდები. მართალს არ ვამბობ, ხალხო? — მიუბრუნდა ისევ ლაშქარს დულაბა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სწორია, მართალს ამბობს! — იგრიალა ჯარმა და უკანა რიგებში ტეფრო შეთამამებულმა ბიჭებმა დაიძახეს:

— რუსების ბრალია!

— იმათ აგვრიეს!

— გვიღალატეს!

ერთმა პირტიტველა მხედარმა ხელი გაიშვირა კაზაკებისაკენ, რომელნიც მოურავოვთან ერთად განზე იდგნენ და ამ ამბავს შორიდან თვალყურს ადევნებდნენ.

— ხალხო, ამათი ბრალია, ავკაფოთ ყველანი! — იყვირა ჭაბუკმა მეომარმა და ხმალი იშიშვლა.

— დასცხეთ, მაგათი გაჩენის დღეც! — იგუვლა ლაშქარმა, მხედრები წამოიშალნენ, ხმლები იშიშვლეს და ეს ამოდენა ხალხი ფაფარაყრილ ტალღასავით ზათქით გაექანა კაზაკებისაკენ.

ბედად, მოურავოვი თავის კაზაკებით ერეკლეს მხარმარცხნივ იდგა და საკმარისი იყო მეფის ერთი ხელის აქნევა, რომ ეს ბობოქარი ხალხის ტალღა ისევ უკან გაქანებულიყო.

— რას სჩადით, უგუნურნო! — დაიძახა ერეკლემ.

ხალხი თუმცა შედგა, მაგრამ ხმალი არც ერთს არ ჩაუგია. თითქო ყოველი მათგანი გრძნობდა, რომ მეფეც ისეთივე გრძნობით იყო შეპყრობილი და ეს ყოველ მათგანს თავხედურ სითამამეს მატებდა. აქა-იქ ისევ გაისმოდა მუქარა. ერეკლემ ის იყო დააპირა, ჯარისთვის დაჩუმება ებრძანებინა, რომ ამ დროს გაისმა ცხენების ძლიერი თქარათქური, ყიჟინა და მხიარული შეძახილები. ყველამ უნებურად გაიხედა იმ მხარეს, საიდანაც ეს ხმები მოისმა და დაინახეს ბანაკისაკენ მომავალი ხევსურთა რაზმი, რომელთა შორის აქა-იქ მოსჩანდნენ რუსი მხედრები.

მალე ხევსურების რაზმი მთელ ლაშქარს შეერია. მათ გაარღვიეს მხედართა მჭიდრო რიგები, მეფის წინ შეჩერდნენ და ცხენებიდან ჩამოხტნენ. ბატონიშვილი ლეონი, ბესიკი და სამი რუსი ოფიცერი წარსდგა ერეკლეს წინაშე.

მეფეს რუსი ოფიცრების დანახვაზე იმედი მოეცა. იფიქრა, გიორგის უმარჯვნია, ეს რუსები გამოუგზავნია, ალბათ, საქმე კარგად მიდისო.

გაღიმებული შეეგება ლეონს.

ლეონმა თითქო იგრძნო და მაშინვე მოახსენა მამას:

— ეს სამი ოფიცერი სამოცი კაზაკით გვეახლენ და ფიცსა სდებენ, ჩვენთან იბრძოლონ. იარანალს გასცლიან და ასე მოგახსენებენ, ერეკლე ბატონთან სიკვდილი გვიჯობს, მოღალატე იარანალთან თავის შერცხვენასო.

ერეკლეს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ გიორგი ბატონიშვილი ტოტლებენს დააბრუნებდა, მაგრამ ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის ღალატით გაეცალა და ყოველი ცდა ამაო იყო. ამ ფიქრით შეპყრობილი ერეკლე, ერთხანს გარინდებული იდგა, თითქო ლეონის სიტყვები არც კი გაეგონოს. მერე უცბად გამოერკვა, ოფიცრებს სათითაოდ მოეხვია, ერთგულებისათვის მადლობა გადაუხადა და ჯარს ხმამაღლა მიმართა:

— ხომ ხედავთ: აქ რუსებს ბრალი არა აქვთ, იარანალმა გვიღალატა, მაგრამ ვაზღვევინებთ. ის რუსი არ არის, ტომით ნემენცია, ღალატსაც ჩვეული ყოფილა. ახლა გვიჯობს, ჩვენი თადარიგი დავიჭიროთ, წესრიგზე ვიყვნეთ და მაშინ შეგინდობთ, როდესაც თქვენვე გამხდით ღირსად სამეფო ხა-

ლათი ისევ ჩავიცვა. მანამდე თავს კვლავ ულირსად ვრაცხ და სირცვილ-ნურც შემიბრუნებთ. სარდალო დავით, უბრძანეთ ჯარი მოემზადოს სამგზავ-როდ. ცხენები მოიძიონ, ბარგი შეკრან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვესურთ არიერგარდში ჩავაყენებ, მეფევ, — მოახსენა [illegible].

— როგორაო? — ერეკლემ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა არიერგარდი.

— ბოლოში მოვაქცევ.

— აგრე აჯობებს. ბესიკ, შვილო, — მიუბრუნდა მას ერეკლე: — ერთი კარგი ადგილი მოგვიძიე, მოშორებით, სარდლებთან და ბატონ მოურავოვ-თან თათბირი ვყოთ.

ბესიკმა მალე მოსძებნა მოხერხებული ადგილი. ფარეშებს ნაბდები დაა-ფენინა და მეფეს მოახსენა, სათათბიროდ მიბრძანებულიყო. ერეკლემ სარდლები, მოურავოვი და რუსი ოფიცრები იხმო, ყველანი ბესიკის არ-ჩეულ ადგილას შეგროვდნენ და ნაბდებზე დასხდნენ.

— ჩვენთვის დასაფარავი არა არის-რა, — დაიწყო ერეკლემ, — ორ ცეცხლს შუა ვართ. აქედან ჩვენი უვნებლად გასვლა სასწაული იქნება. აწყურთან იანიჩრებს ველარ გაუვალთ. ისინი უკვე გონს არიან მოსული და ციხიდანაც რომ არ გამოვიდნენ, იმ ვიწროში შაშხანებით დაგვცხრილავენ. კიდევაც რომ დავუსხლტეთ და ტოტლებენს მივყვეთ, იმან შეიძლება უარესი და-გვმართოს. რადგან გვიმუხთლა, აღარც დაგვინდობს და პეტრეს ციხესთან თუ გადაგვეღობა, არსად გასაქცევი გზა აღარ გვექნება. ერთი გზა გვაქვს: როკითზე უნდა გადავიდეთ და ახალქალაქის ზეგანზე თუ დავუსხლტით თურქებს, იქნებ გადვურჩეთ მტერს. საფარ-ფაშას, რაც თავი ლაშქარი ჰყავს, თუ აწყურისკენ მოჰყავს, მაშინ არა გვიშავს-რა, აგვცდებიან და გა-ვალწევთ, მაგრამ თუ აქედან აცნობეს, რა გზითაც წავალთ, მაშინვე ის თა-ვის ლაშქარს რუსთავზე წაიყვანს და გზას გადაგვიჭრის. იქ კი ვერა გვიხს-ნის-რა.

ბანაკიდან რაღაც ჩოჩქოლი გაისმა. ერეკლემ მიმოიხედა, ბესიკი მოხვ-და თვალში, ჯერ უნდოდა მისთვის დაევალებინა გაეგო, თუ რა მოხდა, მაგრამ გადაიფიქრა და ჭაბუკ სოლომონ ლეონიძეს უთხრა:

— შვილო, გაიგე, რა ამბავია იმათ თავს. კიდევ ხომ არა აუტყდათ-რა, — შემდეგ ბესიკს შეხედა და სთქვა, — ახლა მართლა დავრწმუნდი, რომ ზაქა-რია ნამდვილ ამბავს გვაცნობებდა. ამ ამაგს მამი-შენისას არასოდეს არ დავივიწყებ. ეს რა მიყო ამ უღვთომ! — მიუბრუნდა ერეკლე მოურავოვს: — გამყიდა, როგორ მახეში ვამაბა.

დაბნეული იყო ერეკლე.

— მეფევ, ნება მომეცით, მოგახსენოთ, — მოურავოვი მძიმედ ლაპარა-კობდა, — ტოტლებენი წავიდა, მაგრამ რას ვიზამთ, ამ საქმეს დედოფალს მოვახსენებ და თავის სასჯელსაც მივაზღვევინებ. მაგრამ ახლა ფიქრის დრო არ არის. ჩვენთვის უმჯობესი იქნება, აწყურთან თურქებს თავს დავესხათ, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ. თქვენი მარჯვენის მადლით გავიმარჯვებთ, დედოფალს კი მოვახსენებთ, შენმა გამოგზავნილმა გრაფმა გვიღალატა, მაგრამ ჩვენ თქვენი ერთგული დავრჩით, თურქნი დავამარცხეთ და ახლა, თქვენ როგორც გენებოთ, განსაჯეთ-თქო. მამი-ჩემის ცხონებამ, მგონი, ღრაფის გასამართლება თითონ თქვენს უმაღლესობას მიანდოს.

სოლომონ ლეონიძე დაბრუნდა და მეფეს მოახსენა გიორგი უფლისწულის მოსვლა.

— სად არის? — მოუთმენლად იკითხა ერეკლემ.

— აგერ გვახლათ კიდევაც.

დაღლილი გიორგი, ათრეული ნაბიჯით მოდიოდა.

— რაო, ბატონიშვილო? — მიაძახა ერეკლემ, — როგორი ამბავი — [illegible]

გიორგიმ ხელი ჩაიქნია, მოწყვეტით დაეშვა ნაბადზე, მარცხენა იდაყვზე დაეყრდნო, მარჯვენა ხელით მათრახი მიწაზე გაატლაშუნა და ამოოხვრით წამოიძახა:

— წავიდა.

— მიზეზი?

— ერთი იმის ოხერი... — შუკურთხა გიორგიმ, — მიზეზი, რა ვიცი! ჯერა სთქვა, დედოფლის ბრძანება მივიღე და იმისთვის მივდივარო. საბუთი რო მოვთხოვე, მერე მითხრა, სურსათი გამომელია და ჯარს მშიერს ხომ ვერ დავყრიდიო. აქაც რომ დავიჭირე, გამლანძღა და დამემუქრა, წადი, დაიკარგე, თორემ გაგთოკავო.

— მაშ აგრე, — სთქვა ერეკლემ და ადგა, — თავს თუ არ ვუპატრონეთ, გვიან იქნება. ბატონო დავით სარდალო, უბრძანეთ ახლავე სალაშქრო ნაღარა დაუკრან. დღეს არა გვიშავს-რა, ხვალ თუ გადვურჩით და რუსთავთან არა შეგვემთხვა-რა, იმედი მაქვს, მშვიდობით დავალწიოთ თავი ამ ხაფანგს. ბატონო ანტონ, — მოუბრუნდა მოურავოვს ერეკლე, — თქვენი თათბირი კარგია, მაგრამ შეუძლებელი. ჩვენ აწყურისკენ ვეღარ გავილაშქრებთ, ჩაკეტილი ვართ ამ ხეობაში. მარტო ერთი გზა გვაქვს. ეს გზა ვიწრო ბილიკებით მაღალ მთაზე გადადის. თუ დაღამებამდე იმ უნაგირაზე მოვასწარით გადასვლა, კიდევ მექნება იმედი, რომ მტერს დავუსხლტებით, მაგრამ თუ ურუმებმა უნაგირაზე მიგვასწრეს, მაშინ მეორე კარიც დაიკეტება და...

შედგა.

მძიმედ ამოისუნთქა.

— მაშინ, ახალციხის ფაშას ნატვრა აუსრულდება და ჩვენს მოკვეთილ თავებს საჩუქრად მიართმევს ხონთქარს.

*
* *

სამ მეგობარს — ლეონს, დავითს და ბესიკს — კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს. თავთავიანთ ფიქრებში გართულნი, მდუმარედ ისხდნენ ცხენებზე და ერთმანეთს მიჰყვებოდნენ. ბესიკი ისევ თავის აფხაზურაზე იჯდა, რომელიც დიდის გაჭირვებით მონახა.

ლაშქარს საცალფეხო ბილიკით უნდა ევლო. ეს ბილიკი ჯერ ხევს მიუყვებოდა, მერე ერთის ხვევითა და კლაკვნით ქედზე ადიოდა და უნაგირამდე ხან ქედს მიჰყვებოდა, ხან ფერდობს. მხედრები სულ კვალდაკვალ უნდა მიჰყოლოდნენ ერთმანეთს, რის გამო ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. მეწინავეებმა უნაგირას მხოლოდ დაბინდების ჟამს მიაღწიეს.

დავითი და ბესიკი წინ წავიდნენ. დავითს უნდოდა მოხერხებული ადგილი თითონ აერჩია ჯარის დასაბანაკებლად. ლეონი იქვე დარჩა. მას მზვერავები უნდა გამოეყო და სანამ ერეკლე მიბრძანდებოდა, ჯარი დავითის მიერ არჩეულ მინდორზე დაებანაკებინა, თანაც ახლო-მახლო მიდამოები დაეზვერა.

უნაგირადან მთელი მიდამო გადამწვარსა ჰგავდა. თუ აქამდე სულ დაბურვილი ტყით უხდებოდათ სიარული, ახლა უცბად თითქო იალაღებს ასცილებოდნენ, ბალახიც კი არ იყო ლორღით დაფარულ ფერდობებზე.

დავითმა მოხერხებული ადგილი ამოირჩია, სადაც შეიძლებოდა დაბანაკება. ორივენი შეჩერდნენ ლაშქრის მოლოდინში. ცხენებიდან ჩამოხტნენ, ქვებზე დასხდნენ. დავითმა მიმოიხედა.

— დალახვროს ეშმაკმა, ალბათ, აქ მთვარის ამოსკლამდე მოგვიხდება ცდა. ამ ლორღებში ცხენები მშივრები დაგვირჩებიან. არა და შორს ვერ გავრეკავთ საბალახოდ.

ბესიკმა ამოიოხრა. დავითმა გაკვირვებით შეხედა.

— რა იყო, ბიჭო? — ჰკითხა დავითმა.

— არაფერი. ახლა ვხედავ, რა მძიმე ყოფილა მეფობა, — უთხრა ბესიკმა დავითს, — ზოგიერთს ჰგონია, ნეტავ მეფედ დამსვა და ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებაო. ბატონის განსაცდელს რომ ვუცქერ, ახლა ვხედავ, მეფობა მართლა რაოდენად ძნელი ყოფილა. ღმერთსა ვფიცავ, თუ უბრალო ქეთხუდა უფრო ბედნიერი არ იყოს იმაზე.

— მაშა, — გაიცინა დავითმა, — აგრეა. მდაბიო ვინმე ბეჩავს მეფობა მხოლოდ შემწვარ-მოხრაკულის ჭამა ჰგონია.

— შენ როგორ ფიქრობ, გავედით სამშვიდობოს?

— თუ ტოტლებენი ისე წავიდა, რომ თურქებმა წინასწარ არა იცოდენრა, მაშინ არაფერი გვიშავს, გავასწრებთ, მაგრამ თუ გაყიდულნი ვართ, მაშინ თურქები წინ დაგვიხვდებიან და ჩვენს ხმალზე იქნება ჩვენი ბედი დაკიდული.

— მაშ ბრძოლა არ აგვცდება, — დარწმუნებით სთქვა ბესიკმა.

— მეც აგრე მგონია. შენ რაო, შიშმა ხომ არ შეგიპყრო?

— აბა რას ამბობ! — თითქო გაკვირვებით უთხრა ბესიკმა, მაგრამ გულებაში გრძნობდა, რომ მართალს არ ამბობდა. ამ გამოუვალი მდგომარეობის შეფასებამ მასში თანდათან დაბადა იდუმალი შიშის გრძნობა. ათასნაირ ფანდებს იგონებდა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად და რადგან აზრად არაფერი მოსდიოდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ მათი ბედი ბეწვზე ეკიდა. მან დავითისაგან იცოდა, ახალციხის ფაშას რომ თორმეტი ათასი მხედარი ჰყავდა მზად: ეს ჯარი ახლა, ალბათ, მოიჩქაროდა გზის გადასაჭრელად და თუ აწყურთან მარტო რუსების წასვლამ ასე დააფრთხო ქართველი ლაშქარი, როდესაც ოთხჯერ მეტ მოწინააღმდეგეს წააწყდებოდნენ, მაშინ, ალბათ, უარესი დაემართებოდა.

— განა ჩემი თავის შიში მაქვს, — განაგრძო ბესიკმა მცირე დუმილის შემდეგ, — ლაშქარი მადარდებს.

— ეგ არაფერია, ჩემო მგოსანო, — უთხრა დავითმა და მეგობრულად მხარზე ხელი შემოკრა.

ბესიკმა უნებურად ამოიკვნესა და მხარი მოარიდა.

— უჰ, მაპატიე, — წამოიძახა დავითმა, — კიდევ გტკივა?

— ნაღრძობმა აგრე იცის. მეგონა, გამივლიდა. მარცხენა მხარზე ვერა ვწვები.

— არა უშავს-რა, თუ მშვიდობით დავაღწიეთ თავი, სანამ ტფილისში ჩავიდოდეთ, გაგივლის. ჰო, იმას ვამბობდი. ლაშქრის ნუ გეშინიან. განა დილას ისანი მტრის სიმრავლემ დააფრთხო? მტერი მათ თვალით არც კი დაუ-

ნახავთ. ლენერალი რომ გაბრუნდა, იმან აურია ყველას დავთარი. მტერიან პირისპირ შეხვედრა ლაშქარს ვერ შეაშინებს.

— ეგ რაო? მე გინდა მანუგეშო? — ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა ბესიკმა.

— არა, აბა რაებს ლაპარაკობ, — უთხრა დავითმა, შემდეგ [illegible] მინბაშს ხელით ანიშნა მინდორზე გადმოფენილ მხედრებზე და უბრძანა, — აქ დადგნენ, წინ არავინ წავიდესო.

მინბაში მაშინვე გაბრუნდა, დავითმა-კი ისევ განაგრძო ბესიკთან საუბარი.

— შენ ბავშვობაში შიში არ განგიცდია?

— როგორ არა. შიში ვის არ უნახავს? — ღიმილით უთხრა ბესიკმა.

— ყური მიგდე, რა გიამბო. ერთხელ შუაბაზარში უქნარა ვაჭრებმა ხარი გააგიჟეს. მივდივარ, ვხედავ გააფთრებული ხარი ჩემსკენ მორბის. ყველანი ერთის წივილ-კივილით აქეთ-იქით გარბი-გამორბიან და თაგვებივით სოროებს დაეძებენ. მაშინ ბავშვი ვიყავი, თოთხმეტი წლისა, მაგრამ შიში არ მიგრძვნია. თითქო კატას დავხვედროდე, ხმალი ვიშიშვლე, ხარს უშიშრად გადავეღობე, კოხტად შევბრუნდი და მართალია, თავი მთლიანად ვერ მოვკვეთე, მაგრამ იქვე კი ჩავკეცე. მაგრამ, ყური მიგდე. ერთხელ რა შემემთხვა. სანამ რუსეთში წავიდოდი, იმ ზაფხულს ალაზანზე ვეფხებზე სანადიროდ ვიყავით. ხირიმი ხელში მიჭირავს და ჩემის გუნებით ვეფხს ვეპარები. მაშინ უკვე ოცი წლისაზე მეტის ხნისა ვიყავი. გარშემო სიჩუმეა. ფრთხილად მივდივარ და ისეთი დაძაბვით ვუგდებ ყურს ყოველგვარ ხმაურს, რომ კოღოს გაფრენის ხმაც კი მესმის. უცბათ, ღმერთო ჩემო, ერთი-კი იფეთქა ჩემის ცხვირის წინ ხოხობმა და ისე გადმომიქანდა გული შიშისაგან, რომ კინაღამ ადგილზევე გავთავდი. გონს რომ მოვედი, მიმოვიხედე, არც ხოხობია, არც ვეფხი. მართლა, ვეფხი მაშინ მთელ კვირას ვეძებეთ, მაგრამ კვალიც ვერ ვნახეთ. ხოხობზე განა არ მენადირა, რამდენჯერ ამფრენია ფეხებთან, მაგრამ ვეფხზე ფიქრში ჩემ წინ აფრენილმა ხოხობმა ისე შემაკრთო, რომ მთელი დღე ხელების ძაგძაგი ვერ შევიკავე. აგრეა, ჩემო ბესიკ. მტერს სანამ დაინახავ, მანამდეა შიშის მომგვრელი. აგერ ბატონიც მობრძანდება. წავიდეთ, ვეახლოთ.

გორაკზე ერეკლე გამოჩნდა თავის ამალით. დავითი ადგა, ცხენზე შეჯდა და მეფესთან შესაგებებლად წავიდა. ბესიკი იქვე დარჩა და ჩაფიქრებული გასცქეროდა მინდორს, სადაც ნელ-ნელა გროვდებოდა ლაშქარი.

აფხაზურა გულმოდგინედ ხრავდა ახლად წამოზრდილ ბალახს, ხანგამოშვებით სადავეს ჰქაჩავდა, რომ ქუჩ-ქუჩად წამოზრდილ ბულულებს მისწვდომოდა, თან ძუის სხაპუნით იგერიებდა ბუზებს. ბესიკი ადგა, ცხენს ლაგამი გამოუხსნა და საბალახოდ მიუშვა.

მალე ჩამოწვა ბინდი. ცა დაფერილი იყო ლურჯად ამღვრეული ღრუბლებით. საღამოს ნიავს ხანგამოშვებით მოჰქონდა ქარაფებზე აფრენილი ჭილყვავების ჟრიამული.

ლაშქარი უკვე დაგროვდა მინდორზე, და ბესიკმა დაინახა, რომ სარდლებმა ისინი სადროშოებად დააწყეს. ეტყობოდა, იქ ლამის გასათევად არ დადგებოდნენ. მართლაც, მალე მთელი ლაშქარი ჩამოქვეითდა, მხედრებმა ცხენებს ლაგამი აუხსნეს და დას-დასად დაწყობილებმა ნელ-ნელა ცხენების ძოვებით განაგრძეს გზა. ბესიკი მიხვდა, რომ მთვარის ამოსვლამდე ერეკლე ჯარს სულ ასე ატარებდა. სანამ ცხენები გაძღებოდნენ, მათ უკვე კარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილი ექნებოდათ გავლილი. ბნელაში არც სიარული გაუბედავთ. შთვარის ამოსვლის შემდეგ უკვე თამამად შეეძლოთ შემსხდარიყვნენ ცხენებზე და ჩვეულებრივი სიჩქარით ევლოთ.

ბესიკმაც შეაბრუნა თავისი ცხენი და თავისდა უნებურად არც-კი შეუმჩნევია, როგორ დაწინაურდა. უნაგირადან მთის გასწვრივ საკმაო ფართო ზეგანი მიუყვებოდა. ეს ზეგანი ალაგ-ალაგ ღორღიანი ბორცვებით იყო დაფარული და მარცხნივ მას მაღალი მთები ზღუდავდნენ. მარჯვნივ, დაახლოებით ნახევარი ეჯის შემდეგ, ციცაბო ნაპრალი იწყებოდა და ამ ნაპრალში მხუილით მიჰქროდა ადიდებული მტკვარი.

ზეგანზე მოფანტული ლაშქარი ცხენების ძოვებით ნელა მიიწევდა წინ. ბნელაში ხანგამოშვებით ისმოდა ცხენების ფრუტუნი. მეომრები ჩუმად მიჰყვებოდნენ თავიანთ ცხენებს. თითქო აჩრდილთა ლაშქარი მოსდებოდეს ბთელს მიდამოს.

მოულოდნელად ბესიკის ცხენმა ყურები დასცქვიტა, თავი მაღლა ასწია და დაიფრუტუნა. ბესიკი ფიქრებიდან გამოერკვა და წინ გაიხედა. ბინდბუნდში მან სამი ცხენოსანი დაინახა. მათ ჩქარი ნაბიჯით მოჰყავდათ ცხენები, რომელთა ფეხის ხმა ბალახით დაფარულ მინდორზე არ მოისმოდა. ბესიკმა მოიხედა. ლაშქარი შორს იყო.

„ნეტავ ვინ უნდა იყვნენ? — გაიფიქრა ბესიკმა, — მტრები არიან თუ მოყვრები?"

მაშინვე თავის აფხაზურას მოახტა. მაგრამ ვერ გადასწყვიტა, ლაშქრისკენ გაქცეულიყო, თუ უცნობებს დახვედროდა. თუ მხედრები მტრის მოგზავნილი მზვერავები იყვნენ, სანამ ბესიკი ლაშქარს მათ შესახებ აცნობებდა, ისინი გაქცევას მოასწრებდნენ. წინ დახვედროდა, ერთი სამის წინააღმდეგ რას გააწყობდა. ვიდრე თავისიანები მიეშველებოდნენ, მტრის მზვერავები, ალბათ, ანდერძს აუგებდნენ.

„ეს რა მემართება. შიშმა შემიპყრო?"

აფხაზურას მათრახი გადაჰკრა, დამბაჩა იძრო და როდესაც მხედრებს დაუახლოვდა, მკექარე ხმით გასძახა:

— არდა გედირსან!

უცნობები შედგნენ და ერთმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ეს ურჯულო საიდან გამოტყვრა... ჰკა მაგ თათარს!

სამივემ ხმლები იშიშვლა. ისეთის სისწრაფით გამოაქანეს მათ ცხენები ბესიკისკენ, რომ მან ძლივს მოასწრო შეძახება:

— ქართველები ხართ?

უცნობებმა ცხენების სადავე მოზიდეს და ერთმა მათგანმა გაკვირვებით იკითხა:

— შენ ვინა ხარ? ურჯულო თუ ქრისტიანი?

— ქრისტიანი ვარ, ერეკლეს მოლაშქრე.

— აგრე თქვი, შე დალოცვილო, კინაღამ ცოდვა დავატრიალეთ.

— არ იტყვით, რომლები ხართ?

— დაიცა, შენ ბესიკი ხომ არა ხარ? ამ ბნელაში ვერ გიცან.

— ბესიკი ვარ. შენ რომელი ხარ?

— აკი ვთქვი გუნებაში, ეს ბესიკი უნდა იყოს-მეთქი. სირინოზის ხმაზე გიცან, შე ქალების მუსუსო, შენა, — სიცილით ჩაილაპარაკა უცნობმა. —

ჩვენა ვართ: ვასო ვარ კოტეტიშვილი. ეს კიდევ გუდანელი ჯანშათა ივანეურია. სამანა მჭედელიც აქ არის.

— ვასო, შენა ხარ? ველარ გაცან ბიჭო ამ ბნელაში. საიდან ჩამოდიხართ?

— ბატონმა გაგვგზავნა ამბის გასაგებად, — უპასუხა ვასომ და მერე თითონ ჰკითხა, — ჩვენები შორს არიან?

— არა, აგე... მოსჩანან კიდევაც. რა გაიგეთ? ნახეთ რამე? თათრებს ხომ არ წაწყდომიხართ?

ვასომ გაიცინა, ცხენი შეაბრუნა და წასასვლელად მოემზადა.

— აბა ეგ რა შენი საქმეა, ჯეელი ხარ, ბევრის ცოდნით ადრე დაბერდები. წავიდეთ, ბიჭებო, — მიმართა ვასომ თავის თანამგზავრებს და ცხენს მათრახი მოუქნია.

— დაიცა, ვასო, — სადავეში ცხენს ხელი უტაცა ბესიკმა ვასოს და ხვეწნით სთხოვა, ყველაფერი ეთქვა მისთვის.

— აბა ეგ როგორ იქნება, — გაკვირვებით წამოიძახა ვასომ, — ბატონის მოსახსენებელი სიტყვა პირველად შენ როგორ გითხრა. გინდა, რომ ანძუხზე დამკიდოს?

ცხენს მათრახი გადაჰკრა და თავის თანამგზავრებთან ერთად ლაშქრისაკენ გაემართა.

ბესიკმა ველარ მოითმინა, ამბის გაგების სურვილმა ისე შეიპყრო, რომ მაშინვე დაედევნა მზვერავებს.

როდესაც ლაშქარს შეერივნენ, ბესიკი რომელიღაც მხედარმა შეაჩერა და სანამ მას შეკითხვაზე უპასუხებდა, ვასოს ჯგუფი დაეკარგა. კითხვა კითხვით და კარგახნის ძებნის შემდეგ უცაბედად გიორგი ბატონიშვილს შეეჩეხა. მაშინვე ჰკითხა, თუ გაეგო რამე მტრის შესახებ. გიორგიმ ამოიხვნეშა, კითხვაზე არ უპასუხა და მხარმარჯვნივ ხელუკუღმა ცერით ანიშნა.

— იქ არიან ყველანი.

— მერე? — გაკვირვებით გაიხედა ბესიკმა იქით, საითაც გიორგი ბატონიშვილი უჩვენებდა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა და ისევ უფლისწულს შეხედა.

— მერე და ის, რომ თათბირობენ.

— რაზე?

— ექვსი ათასი თურქი და ლეკი ვადმოსულა ხიდზე ასპინძასთან და იქვე დაბანაკებულა. მზვერავები ამბობენ, ჩვენ რომ გამოვბრუნდით, ჯარი კიდევ მოდიოდა ხიდზეო.

— მაშ... — ბესიკს მეტი მღელვარებით ხმა ჩაუწყდა.

გიორგი მიუხვდა და მისი აზრი დააბოლოვა.

— ჩაკეტილნი ვართ, ჩემო ბესიკ, და ხვალ გზა ხმლით უნდა გავიკაფოთ. გაგვყიდა ღრაფმა.

*
* *

ერეკლემ ბრძანა, ლაშქარი შეჩერებულიყო და მხედრებს თვალის მოსატყუებლად მთვარის ამოსვლამდე წაეძინებინათ. შემდეგ აღაბაბ ერისთავი, სვიმონ მუხრან-ბატონი და ხუდია ბორჩალოელი იხმო. მათ დაავალა, ახლავე გამგზავრებულიყვნენ, ასპინძის თავზე მარცხნიდან მოევლოთ, ხიდთან ჩაპარულიყვნენ და ისე დაეხერხათ ხიდის ბოძები, რომ შეხედ-

ვით არა შესტყობოდა-რა. მაგრამ ერთი კაცის შედგომითაც კი ჩაბეჭულიყო. მათ მთვარის ამოსვლამდე უნდა მოესწროთ ამ დავალების შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მცირე რაზმი გადაარჩია და გათენების ხანს ასპინძაში შეკრა ბრძანა. მას სოფლისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინა. ერეკლეს უნდოდა ამით მტრის ყურადღება მიეპყრო და ქვემოდან, რუსთავზე მოვლით, მოულოდნელად ზურგიდან მიეტანა იერიში. გორაკებზე ამოფარებით ერეკლეს შეეძლო თითქმის ას ნაბიჯზე მიეპარვოდა თურქებს.

ლეონ ბატონიშვილს ხუთასი კაცი გამოუყო. მას გათენებამდე თავისი რაზმი ასპინძის თავზე უნდა გადაეტარებინა, სადარაჯო კოშკი აეღო, ახალქალაქიდან მომავალი გზა ჩაეკეტა და ისე ჩასაფრებულიყო, რომ მტერს არაფერი შეემჩნია. როდესაც საჭირო იქნებოდა, ანიშნებდა და ლეონი მაშინვე უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში.

შვიდასი რჩეული მხედარი დავით სარდალს ჩააბარა, რომელსაც მარჯვნიდან პირველად უნდა მიეტანა იერიში მტერზე.

დანარჩენი ლაშქარი სამ ჯგუფად გაჰყო, ერთ ჯგუფს იასე ერისთავი სარდლობდა, მეორეს — ალექსანდრე ციციშვილი, მესამეს — სოლომონ თარხნიშვილი. ესენი თითონ ერეკლეს უნდა წაეყვანა იერიშზე. სამასი კაცი ცალკე გამოჰყო და გიორგი უფლისწულის სარდლობით ზურგში ჩააყენა.

ყველა ეს განკარგულება სწრაფად იქნა შესრულებული, ჯარჩები მაშინვე შეუდგნენ სარდლების ხელმძღვანელობით ჯარის დაჯგუფებას.

მართალია, ბატონმა ბრძანა მთვარის ამოსვლამდე წაეძინებინათ (მთვარე თითქმის გათენების ხანს ამოდიოდა ნახევრად-მილეული), მაგრამ თვალი არავის მოულულავს. ყველანი უხმოდ და სწრაფად ასრულებდნენ სარდლებისა და მინბაშების განკარგულებებს. თუ მანამდე მთელი ლაშქარი დაბურდულ მორგვივით იყო ერთმანეთში არეული, ერთი საათის შემდეგ ყველანი თავ-თავიანთ დროშებთან იყვნენ ჩარაზმულნი.

ერეკლემ მწკრივებს ჩაუარა. მხედრებს გამოესაუბრა. ყოველ მხედარს ხმის კილოზე ეტყობოდა აღელვება, მაგრამ ეს აღელვება არ იყო შიშით გამოწვეული. მათ სიტყვა-პასუხში რაღაც უჩვეულო სიმტკიცე და ხალისი ისმოდა.

— ესენი რომელნი არიან, კახელნი?—იკითხა ერეკლემ, როდესაც ნაბდისქუდიან მხედრების მწკრივს ჩაუარა.

ბნელაში უკანა რიგებიდან მოისმა ხმები:

— ქიზიყის სამოურავოსი გახლავართ.

— თქვენ იცით, შვილებო, თუ არ შემარცხვენთ, — ჩაულაპარაკა მათ ერეკლემ, — დღეს სამეფო ხალათი გამაძრეთ, ხვალ თქვენის ხელით უნდა შევიმოსო.

— ერთი ათასს დავხვდებით, ბატონო! — მოისმა არეული ხმები.

— „კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება სწორების ჯობინობაზედ, გონჯაი ბოსლის კარებზედ ქალების ლოდინობაზედ“, ხომ გაგიგონიათ, მეფეო ბატონო? — ბოხის ხმით უთხრა ახლო მდგარმა მხედარმა.

ერეკლე დააკვირდა. ბნელაში ძნელი იყო ვინმეს ცნობა.

— შენ ფირანა ხარ? — ჰკითხა ერეკლემ.

— ფირანა გახლავართ, — დაიჩოქა მხედარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადექ, ჩემო ფირანავ. „ჩვენ ბევრის ხმალი გვექადნის, ზოგის მოის, ქვეით ბარისა, ვერავინ ვერას დაგვაკლებს, მკლავნი გვასხია „კაეისა“. ესეც რომ ესეა, ჩემო ფირან?

ხელი შეაშველა წამოსაყენებლად. ფირანა მუხლზე ეამბორა მეფეს. მერე მსუბუქად ადგა და ერეკლეს ზევიდან დააცქერდა. ორი ადლი ჰქონდა სიმაღლე.

ერეკლემ მეორე გუნდს მიაშურა.

— ესენი ვინ არიან?

— ყარაჩოხელები გახლავან, თქვენო უმაღლესობავ. — მოახსენა დავით სარდალმა.

— რას დადუმებულხართ, ოსტატებო? — ჰკითხა მათ ერეკლემ თავისი მომხიბლავი ტკბილი ხმით, — ცმუნვას ნუ მისცემიხართ.

— არა, მეფევ ბატონო, ამ მუდრეგებს თავიანთი საქვრივოები მოაგონდათ და შახპარუნას ვირებივით ყურები ჩამოჰყარეს, — მოისმა ჯარის შუაგულიდან მოკრივე ფალავანის ქარაფ-ქანდოღლას რიხიანი ხმა.

ყარაჩოხელებში სიცილმა იფეთქა.

— შენ რაო, ორი ცოლი უკვე გაგისვენებია და აღარას დარდობ? — მიაძახა ვილაცამ ქარაფ-ქანდოღლას.

— არა, იმათმა მზემ ჩემს გასვენებას მოვასწრობდი! — უპასუხა ქარაფ-ქანდოღლამ, — თქვენ დამაცათ, მეოთხეჯერ ბეჭზე რომ გვირგვინს დავიდგამ, მაშინ ნახეთ.

სიცილი რომ მიწყნარდა, ერეკლემ ყარაჩოხელებს ხმადაბლა უთხრა:

— იცოდეთ, ჩემი სადროშის მხედრები თქვენა ხართ და წინანდებურად მასახელეთ.

აქა-იქ გაისმა ხმები:

— ეგ აგრე იქნება, მეფეო...

— ჩვენზე არ იდარდო, ბატონო.

— რაც დილას იყო, ის საღამოს აღარ გამეორდება...

ერეკლე მიბრუნდა, ჯარჩები იხმო და უბრძანა, ლაშქარი დაიარეთ, ყურადღება მოგვაპყრონ, სიტყვა რამე უნდა ვბრძანოთო.

ჯარჩები მაშინვე დაიფანტნენ და ყოველი კუთხიდან მოისმა მათი ხმამაღალი ძახილი.

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება... ბატონის ბრძანება ისმინეთ!

ერეკლე თავის ამალით პატარა გორაკზე ავიდა. ჯარი ამოძრავდა, მწკრივების აურევლად გორაკის გარშემო დალაგდა და სმენად გაინაბა. მოლაშქრეების დათვალიერებამ, მათთან გასაუბრებამ, ერეკლე დაარწმუნა, რომ ჯარის განწყობილება ჩვეულებრივზე უფრო მტკიცე იყო. ეს სიმტკიცე რომ ბოლომდე შერჩენოდათ და მტრის სიმრავლეს ჯარი მოულოდნელად არ წაეხდინა, ერეკლემ გადასწყვიტა ნაცადი ხერხისთვის მიემართა და გულახდილად აეხსნა მათთვის ყველაფერი.

როდესაც სრული სიჩუმე ჩამოდგა, ერეკლემ ოდნავ ხმამაღლა, ისე რომ უკანა რიგებსაც გაეგონათ, თავისი ჩვეული ტკბილი ხმით დაიწყო:

— შვილებო, ხვალ ჩვენი ბედი ჩვენს მარჯვენაზეა. ნუგეში გცეთ, დედაკაცები არა ხართ, მოგატყუოთ, დაგამშვიდოთ ბალღები არა ხართ. ნამდვილს მოგახსენებთ. საფარ-ფაშას თორმეტი სადროშო ლაშქარი მოჰყავს. თორმეტი ათასი კაცი უნდა ჰყავდეს ჩემის ვარაუდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუნდაც ასი ათასი იყოს, არ გვეშინის! — გაისმა ჯარის შუაგულიდან ვილაცის ახალგაზრდული ხმა, მაგრამ მას მაშინვე შეუტიეს:

— სსს!.. ჩუმად!..

— ბატონს სიტყვას აწყვეტინებ?

— როგორ ბედავ!

დაიყარეს აქეთ-იქიდან მხედრებმა თამამ ახალგაზრდას. მცირე ჩოჩქოლის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ერეკლეს გაეხარდა ეს შეძახილი. თითქოს ლაშქარს თავისი გულიდან ამოეძახოს ეს ვაჟკაცური სიტყვები.

— კარგი სიტყვა კარგ ყმას ხმალივით უნდა ამშვენებდეს. კარგი სიტყვა მოგვახსენა მხედარმა, — განაგრძო ერეკლემ, — მტრის ლაშქრის სიმრავლე არას ნიშნავს. „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო, თვალი ქორულებ მჭვრეტელი, ხელმუხლი შავარდნისაო“...

ერეკლე ერთ წუთს შედგა, ხმაში ღიმილი ეტყობოდა, როდესაც მესამე ხანაც წარმოსთქვა:

— „ხარი კამეჩი თავისი, ცოლი მოსწონდეს სხვისაო“.

ლაშქარზე ერიალით გადაირბინა სიცილმა.

— თუ გულმაგრად ვიქნებით, — განაგრძო ერეკლემ, როდესაც სიცილი მიწყნარდა, — წავახდენთ მტერს. აზატ-ხანს ოცდათასი კაცი ჰყავდა. მეორე ათასი მახლდა. დუღაბა, ხომ გახსოვს? — გასძახა სიბნელეში ერეკლემ იმ მხარისაკენ, სადაც მისი ვარაუდით დუღაბა უნდა მდგარიყო.

— როგორ არა, შენი კვნესამე, — მოისმა მეორე მხრიდან დუღაბას ხმა.

ერეკლემ ახლა ამ მხარისაკენ მიიხედა და განაგრძო.

— ერთი ათის წინააღმდეგ წავედით, მაგრამ ისეთი დღე დავაყენეთ მტერს, რომ იმოდენა ჯარიდან მარტო ხუთმეტი კაცი გაგვექცა. ლაშქარი თუ შედრკა, მერე ბავშვები რომ მიუსიო, ისინიც-კი სძლევენ. განა დილაზე ათი კაცი არ კმაროდა თქვენთვის? გული წაგიხდათ და ცხვრებად იქეცით. მაგრამ თუ ხვალ გულმაგრად დახვდებით, ერთი ოცსაც ვეყოფით. სუმბატავ, შენც გახსოვს, ბორჯომის ხევში ოცი კაცით ორიათასი ლეკი რომ ვიფრინეთ.

— ჰაი, ჰაი, რომ მახსოვს, მეფევ! — უპასუხა სუმბატამ, რომელიც სარდლებთან ერთად მეფის ამალაში ერია და იქვე ახლო იდგა.

— ახლა წადით, მწყობრად ყავით, სარდლებს მიჰყევით და არ დაგავიწყდეთ, ხვალ ან უნდა ყველანი გავწყდეთ, მეც თქვენთან ერთად, და მაშინ მთლად საქართველო მოკვდება, ან უნდა გავიმარჯვოთ. უსსოვარ დროიდან სოცოცხლობს ჩვენი ქვეყანა, ჩვენს გმირ მამა-პაპას თავისი სისხლით მოურწყავს ეს ქვები, ეს მინდორი, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ, მაგრამ დღემდე შევუნახვივართ. ნუთუ ხვალინდელ დღეს საქართველოს შავად გავუთენებთ? ნუთუ ჩვენი შვილები, დედები, ცოლები მტრის კერძი უნდა გახდენ? ნუ თუ ჩვენი სახლები უნდა შეჰბილწონ მტრის ურდოებმა? ნუ ვაკადრებთ ჩვენს თავს სიმხდალეს. სჯობს გულგანგმირულნი დავეცეთ ბრძოლაში, ვიდრე ჩვენის თვალით ვიხილოთ ჩვენივე წახდენა.

ლაშქარი უცბად ახმაურდა. გაისმა შეძახილები:

— ხვალ მტერს მზეს დავუბნელებთ!

— ერთი გათენდეს და!

— ვაჰ, ჩემის პაპის ხანჯალი ტყუილად წამომიღია!

— ერთი გათენდეს და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლეს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ რადგან ჯარში გუგუნი არა სწყდებოდა, გადაიფიქრა, სარდლებს უბრძანა, ლაშქარი ისევ წესრიგზე დაეწყოთ და გორაკიდან დაეშვა.

ფარეშებს უბრძანა, მცირე კარავი დაედგათ და შიგ სანთელი აენთოთ.

ფარეშები ძუნძულით გაიქცნენ, საპალნეებში კარავი მოძებნეს და მიხდორზე სწრაფად გაშალეს.

ლაშქარი ნელა დაიშალა და წინანდებურად დას-დასად დაწყობილი დაბანაკდა. ხმაური და მხიარული ყრიამული სწრაფად მიწყნარდა.

ერეკლემ მიმოიხედა და ვიღაცას თვალით დაუწყო ძებნა. მხლებლებს სათითაოდ დააკვირდა.

— ბესიკი მიხმეთ, სად არის?

— აქ გახლავართ, მეფევ, — უპასუხა ბესიკმა უკანა რიგებიდან და წინ წამოდგა.

— მოდი, შვილო, მცირედი რამ საქმე გვაქვს. თქვენ აქ დარჩით, — მიუბრუნდა ამალას ერეკლე, და შემდეგ კარავისაკენ გაემართა.

ბესიკი შორიახლოს მიჰყვა. კარავთან ერეკლე შეჩერდა, რადგან ფარეშებს ვერ მოესწროთ კარავის დადგმა, ერთი მათგანი პატრუქს აღვივებდა სანთლის ასანთებად.

ორივენი, ერეკლეც და ბესიკიც, მდუმარედ გასცქეროდნენ ბანაკს. ცა უკვე მოწმენდილიყო და ღამეც აღარ იყო ისეთი ბნელი. ახლა უკვე მთელი ბანაკის გარჩევა შეიძლებოდა. დას-დასად დაჯგუფებული მხედრები ქვეითად იყვნენ, ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი წამოწოლილიყო.

ვიღაცა სალამურს უკრავდა.

სალამურის ანკარა ხმები საამური ლიკლიკით ეფინებოდნენ მიდამოს, გულში სწვდებოდა ყველას, ეალერსებოდა, ხან შორს გაიქცეოდა, მაღლა აიწევდა და ოდნავ ისმოდა, ხან ახლო მოვარდებოდა და საოცნებო ჩიტივით სტვენდა.

„იქნებ უკანასკნელია ეს ღამე“, გაუელვა ბესიკს გუნებაში და გული შეეკუმშა. შეკრთა. რატომღაც ცას შეხედა.

უცბად წარმოიდგინა თავისი თავი ველზე, განგმირული, გულაღმა მწოლარე.

მაშინ ველარ დაინახავს ამ ვარსკვლავებს.

ველარ გაიგონებს ამ სალამურის ხმებს.

„არა, ეს არ მოხდება“, — გაიფიქრა ბესიკმა, თვალები მაგრა მოხუჭა, თითქო ამით სურდა ცუდი აზრები მოეშორებინა. შეაკრეჭილა, თავი გაიქნია და ერეკლეს იმედიანად შეხედა.

ფარეშებმა კარავში ხალიჩა გაშალეს, სანთელი აანთეს, ლიფლიფში დაამაგრეს და შუაში დაჰკიდეს.

ერეკლე სწრაფად შევიდა კარავში და ბესიკს ანიშნა შეჰყოლოდა.

— კალამი და ქაღალდი მოამზადე, შვილო, — უთხრა ერეკლემ, შემდეგ ფარეშებს უბრძანა: — კარვის გარშემო დადექით, არავინ შემოუშვათ.

ბესიკმა რუსთველურად მოიკეცა ხალიჩაზე, ტყავის ბრტყელი ჩანთა მუხლზე დაიყრდნო, ზედ ქაღალდი გაშალა და კალამი მოიმარჯვა.

— ეჰ! — წამოიძახა ერეკლემ, — მამა-შენის ბარათი მოსვენებას არ მაძლევს. ახლა გამიხდა სანანებლად, რომ არ დავუჯერე. იარანალი რომ დაშეტყვევებინა, რემენნიკოვი მთელი რუსის ჯარით ჩემთან იქნებოდა. რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, იყო! ახლა გვიანლაა ამაზე დარდი. დასწერე, შვილო, რასაც გეტყვი. ეგ ქაღალდი, იცოდე, შენ გექნება და თავის დროზე იმას გადასცემ, ვისაც ჯერ არს. დაიწყე.

„წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან-დავითიან-პანკრატოვანმან, საქართველოს მეფედ ცხებულის თეიმურაზის ძემან, მეფემან ქართუელთამან და მეფემან კახთამან, ფლობით მპყრობელ მჭონებელმან განჯისა, ერევნისა, ყაზახისა, შამშადილისა და ბორჩალოსა, მთავარმან კაკისა, მთავარმან შამახისა, მთავარმან შირვანის და მემკვიდრე მფლობელმან სამცხე-საათაბაგოსა, მეორემან ირაკლიმ დავსწერეთ სამემკვიდროდ ქართველთა ესე ანდერძის სიგელი“...

ბესიკს მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაურბინა და ხელი აუკანკალდა.

მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ისინი პირისპირ იდგნენ სიკვდილ-სიცოცხლის წინ და ხვალინდელი დღე შეიძლება არც გათენებოდათ.

ერეკლე შეჩერდა. კარნახის დროს ბესიკს შესცქეროდა. აშკარად შეამჩნია, როგორ შეკრთა მისი ჭაბუკი მდივანი. მაშინვე მიხვდა მიზეზს და გაიღიმა.

ბესიკმა თვალები მაგრა მოხუჭა, თავი გაიქნია და ისევ ქაღალდს დახედა. ასოები აღარ ცეკვავდნენ. კალამი მოიმარჯვა და კარნახის მოლოდინში მეფეს შეხედა. ერეკლე მას თვალებში უცქეროდა.

— შეკრთომა შეგატყე, შვილო.

— მაპატიე, მეფევ, უნებურად... მომიხდა.

— ანდერძს რომ გაწერინებ, იმის გამო განა? ეგ არაფერი, გულს დარდი არ გაივლო. შენ ბრძოლაში გამოცდილი არა ხარ, ბარში მოსიარულე კაცი რომ მთა ადგილას უფსკრულის პირად დააყენო, თვალი აუცილებლად აერევა. შეჩვეულ კაცს უფსკრული შიშს ვერ მოგვრის. ესეც იცოდე, — განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ ერეკლემ: — ხვალ თუ რაიმე უცნაურ ფათერაკს არ წავაწყდით, გავიმარჯვებთ. როდესაც ლაშქარმა წინასწარ დარწმუნებით იცის, რომ უკან დასახევი, გასაქცევი გზა არა აქვს, რა რიგ ურიცხვ მტერსაც არ უნდა შეებას, დაამარცხებს. კარგი სარდალი ყოველთვის ცდილობს თავის ჯარს გასაქცევი გზები მოუჭრას. ნადირ-შაჰი რომ ინდოეთს წაბრძანდა სალაშქროდ, მთელ ჯარში მას ყველაზე საუკეთესო მებრძოლნი ბახტიარები და ქართველები ჰყავდა. აბა თუ მიხვდები სად გაგზავნა ისინი ბრძოლის დროს ყაენმა?

— თავში ჩაუყენა თავის ლაშქარს?

— არა, შვილო: ზურგში ჩაუყენა და უბრძანა, თუ სპარსელებმა მტერს ზურგი უჩვენეს, არავინ დაინდოთ და ისე აჰკაფეთ, რომ ცოცხალი არც ერთი არ გაუშვათო. სპარსელებმა-კი გაგიხარია იცოდნენ ჩვენი და ბახტიარების ამბავი. არც ერთს არ გავუშვებდით. ეკვეთნენ მტერს, მაგრამ როგორ. ასიათასმა სპარსელმა ინდოეთის მაღალ შაჰის სამასოთხმოციათასიანი ლაშქარი სულ ერთიანად გასწყვიტა. აგრეა, შვილო. საფარ-ფაშას ხვალ ჩემს დასამარცხებლად ოცდაათიათასი კაციც რომ ჰყავდეს, ისიც არ იქნებოდა მისთვის საკმარ, არა თუ ექვსი ან შვიდი ათასი: ანდერძს იმისთვის გაწერინებ, რომ კაცნი ვართ, ვინ იცის, რა შემემთხვას. განაგრძე, შვილო, სად შევჩერდით?

— „დავსწერეთ სამემკვიდროდ ქართველთა ესე ანდერძის სიგელი“, — ამოიკითხა ბესიკმა.

— „ტახტი ჩვენი, — განაგრძო ერეკლემ, — შემდგომად მეფობისა ჩვენ-
სა განეკუთნოს ღირსეულს მემკვიდრესა ჩვენსა, მხნეობით და ყოველსა
სიკეთით აღსავსესა ბატონიშვილს ლეონს“...

ბესიკს სახეზე ღიმილი დაეტყო. თვალები საამოვნებით აუციმციმდა. გან-
საკუთრებულად ნაბეჭდივით ჩასწერა თავისი მფარველისა და მეგობარ ბა-
ტონიშვილის სახელი.

ერეკლემ უცბათ შესწყვიტა კარნახი, ბესიკს დახედა და მამაშვილური და-
რიგების კილოთი უთხრა:

— იცოდე, შვილო, სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს არავის არ ეთქმის, თვით
ბატონიშვილ ლეონსაც. მდივანთა დებულება ხომ იცი. ბატონის საიდუმლოს
გამჟღავნების უმცირესი სასჯელი ენის მოკვეთაა.

— ვიცი, მეფევ ბატონო.

— აგრე. განაგრძე წერა.

*
* *

ცალგვერდა მიმცხრალი მთვარე ნელა ამოიწვერა მთის კენწეროდან.

ბუკის ხმამ უცბად დასერა ჰაერი და ბანაკს შემოურბინა. ქართველთა
ლაშქარი სწრაფად აიშალა. დილის სიცივით გათოშილი მხედრები ცოცხლად
ამოძრავდნენ. ცხენები მოძებნეს, მოსართავები აუკრეს, უნაგირები მოსინ-
ჯეს, მკლავები აამოძრავეს, შეხურდნენ და ცხენებზე ხალისიანად შესხდნენ.
პირველად დავით სარდლის ჯარი დაიძრა, მარჯვნით გაუხვია და მტკვრის
მხარე დაიჭირა. დავითმა თავისი ჯარი ორ გუნდათ გაჰყო, წინ კახელები
გაუშვა დავით დემეურაშვილის, ზაალ ბარათაშვილის და თუშის კოხიო ბობ-
ლიაშვილის მეთაურობით. მეორე გუნდს, რომელიც მთლიანად ხევსურები-
საგან შესდგებოდა, თითონ გაუძღვა. ამ გუნდს მარჯვნივ აბაი ბიტურაული
უფროსობდა, მარცხნივ — სუმბატა ლოხაურიშვილი. შუაში თითონ ჩადგა.

თითქმის იმავე წამში დაიძრა ბატონიშვილ ლეონის რაზმიც, რომელსაც
სწრაფად უნდა ევლო მარცხნივ, მთების გასწვრივ და ასპინძის ზემოთ,
ახალქალაქის გზაზე ჩასაფრებულიყო. ლეონმა ჩვეული სიმარდით გააფრინა
თავისი ბედაური, გადაასწორა აღმართ-დაღმართი. მხედრებიც ისეთივე სახ-
წრაფით, ტალღებივით გადაევლენ გორაკებს. სულ მალე ისინი თვალთაგან
მიეფარნენ.

დანარჩენი ლაშქარიც მაშინვე დაიძრა. ჯერ იასე ერისთავის გუნდი წავი-
და, მას ალექსანდრე ციციშვილის გუნდი მიჰყვა და ბოლოს სოლომონ თარხ-
ნაშვილის გუნდი გაემართა.

ერეკლე თავის ამალით გორაკიდან თვალყურს ადევნებდა ჯარის მოძრაო-
ბას და როდესაც ლაშქარი მთლიანად გაუდგა გზას, თავის ამალას უბრძანა
გიორგი ბატონიშვილის რაზმს გაჰყოლოდნენ. თითონ კი თავისი შვიდი ხევ-
სურისა, ორი მდივნის — სოლომონ ლეონიძისა და ბესიკის და რუსების
თანხლებით მიჰყვა მთავარ ლაშქარს.

ბესიკმა მალე შეამჩნია, მეფე ისეთი გეზით მიდიოდა, რომ მთელი ჯარის
მოძრაობისთვის შეეძლო თვალყური ედევნებინა. მათ მართალია, რამდენ-
ჯერმე მოუხდათ ოღრო-ჩოღრო გორაკების გადავლა, ღელის პირებით სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული, მაგრამ ერეკლე ყოველთვის ისეთ ტოგონებზე ადიოდა, რომ ჯარის განლაგებას მუდამ ხედავდა.

ჯერ კიდევ დიდი მანძილი არ ჰქონდათ გავლილი, რომ საკვირველად ... და. ერთი ეჯის სიგრძეზე ნამგალივით ნახევრად მორკალული ქართული ჯარი სწრაფად მიიწევდა წინ. მარცხენა მხარეზე განლაგებული რაზმები, რომელთაც უშუალოდ ერეკლე მეთაურობდა, გორაკებს ამოფარებულნი ისე მიდიოდნენ, რომ მტერს მათი დანახვა არ შეეძლო. მხოლოდ დავითის მემარჯვენე ჯარი მოსჩანდა კარგა მანძილზე, რადგან ის ვაკეზე მიდიოდა.

მოულოდნელად ბესიკმა დაინახა ასპინძის მხრიდან მომავალი ცხენოსნები. ბესიკი არ იყო შეჩვეული თვალდათვალ ჯარის რაოდენობის უცბად გამორკვევას და მტრის ლაშქარი იმდენად ბევრი ეჩვენა, რომ ეგონა, თურქთა მთელი ჯარი დაძრულა ჩვენკენო.

ერეკლემ ცხენი შეაჩერა, მტრის ჯარს დააკვირდა, შემდეგ დავითის რაზმისკენ მიიხედა. ესენი, როგორც ეტყობოდა, ჯერ ვერ ხედავდნენ თურქებს და ჩვეულებრივი თოხარიკით განაგრძობდნენ წინსვლას.

ერეკლემ ერთი ხევსური იხმო და იასე ერისთავთან აფრინა.

— უთხარი, რაც არ უნდა მოხდეს, არ შეჩერდეს და გზა განაგრძოს, — დაავალა ერეკლემ ხევსურს. მერე მიიხედა და ბესიკის აფხაზურა მოხვდა თვალში. ალბათ, ცხენი მოეწონა და იმისთვის არგუნა ბესიკს შიკრიკობა:

— შვილო, ბესიკ, დავითს აცნობე ათასხუთასი დელიბაში და ლევანდი მოდის შენკენა-თქო. იქიდან ურთიერთს ვერა ხედავენ.

ბესიკმა მაშინვე მიაბრუნა ცხენი და თავდალმართში თავგამეტებულად გააჭენა. დაივაკა თუ არა, მაშინვე გაიხედა მტრისაკენ. დელიბაშები იქიდან ზართლა არა სჩანდნენ.

დავითმა შორიდან შენიშნა მისკენ გამოქროლებული მხედარი და თითონ გაემართა შესაგებებლად.

— ამბავი? — გასძახა მან შორიდან ბესიკს.

— დელიბაშები მოდიან, — უპასუხა ბესიკმა და როდესაც სულ ახლო მიაგდო ცხენი, უფრო დაბალი ხმით უთხრა. — ათასხუთასი ცხენოსანი მოდის.

— კარგი. გაბრუნდი, — უპასუხა დავითმა, — ბატონს მოახსენე, შველა არ დამჭირდება-თქო.

შორიდან უკვე მოისმა ყიჟინა და თქარა-თქური. ბესიკმა ცხენი გააბრუნა და გორაკზე იმავე გზით ააჭენა. ტოგონზე რომ ავიდა, დაინახა, რომ დავითის წინა რაზმი უკვე თავგამეტებით მიჰქროდა მტრის შესაგებებლად. მებრძოლთა ხმლები შეწყობილად ელავდნენ საბრძოლო ყიჟინთან ერთად.

დელიბაშებმაც იშიშვლეს ხმლები, დასჭყივლეს და შესაგებებლად გამოექანენ.

ეს ორი მწკრივი, ქართველების უფრო მცირე და თხელი, ხოლო თურქების გაცილებით უფრო მრავალი, სწრაფად დაუახლოვდა ერთმანეთს, შეეჯახა და თითქო ადგილზე შედგა. მხოლოდ ხმლების ტრიალზე და ჩხარა-ჩხურზე ეტყობოდა, რომ მოწინააღმდეგენი თავგამეტებით იბრძოდნენ. დელიბაშთა მწკრივი მართალია შეჩერდა, შეგუბდა, მაგრამ მალე ქართველთა მწკრივს ორივე მხრიდან ისე დაუწყო შემოვლა, როგორც ნიაღვარმა საგუბარს.

ღელვისაგან ბესიკს გული სულ ბაგაბუგით უცემდა. ის იყო სასოწარკვეთილმა გადასწყვიტა, რომ მტერი სამბოლოოდ მოახრჩობდა ქართველებს, მაგრამ ამ დროს სათადარიგოდ ჩასაფრებულმა ხევსურებმა, ეცნენ მტერს, ანგრიეს ცხენები. ისეთი ყიჟინა დასცეს, ისე იელვეს მათმა ჩაჩქანებმა, ჯაჭვის პერანგებმა და ორლესულმა მახვილებმა, რომ დელიბაშები უცბად შედრკნენ.

ყველაზე წინ დავითი მიაქროლებდა თავის თეთრ ცხენს და პირველი ის შეიჭრა მტრის რიგებში. თითქო შუბი დასჯახებოდეს ამ ცხენებისა და ადამიანების მორევს, ისე გააპო დავითმა მწკრივი. იმავე წამს ფოლადით აელვარებული ხევსურებიც შეიჭრნენ უკვე გასაქცევად ამოძრავებულ დელიბაშებს შორის.

ერთ წუთს მთელი ეს ერთად შეკრული ქართველ-თურქთა ლაშქარი თითქო ტორტმანობდა ერთ ადგილას, მაგრამ მალე ამოძრავდა, უკან დახევა იწყო, გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ სავსებით გამოისახნენ გაქცეული დელიბაშები და დადევნებული ქართველები.

ბესიკმა მხოლოდ ახლა მიიხედა იმ ადგილისაკენ, სადაც ერეკლე ეგულებოდა. ბრძოლის სანახაობით გატაცებულს, სრულიად დაავიწყდა ერეკლესთან მისულიყო, მაგრამ ახლა იმ ადგილას ვერავინ ვერ დაინახა. ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჩვეული სიმარდით გააქანა, რომ ერეკლეს დასწეოდა.

ხეობაში ჩაირბინა, ისევ გორაკზე ავარდა, ტოგონს გაუყვა, ისევ ხეობაში ჩასვლა მოუხდა და გაკვირვებას მიეცა. თითქო უდაბნოში დაკარგულიყოს. ადამიანის ნასახიც კი ვერ დაინახა.

„მხარი ხომ არ მომექცა, — გაიფიქრა ბესიკმა, ცხენი შეაჩერა და მიმოიხედა: — სად მივდივარ“.

ტოგონს გადაღმა ცაში ავარდნილ ბოლს მოჰკრა თვალი. ცხენი ფერდობზე ააჭენა და როდესაც სერზე ავიდა, მის თვალწინ უცბათ გადაიშალა ვაკე ზეგანი. მარცხნივ მთის კალთაზე სოფელი იწვოდა.

„ასპინძა იწვის,“ — გაუელვა ბესიკს.

მარჯვნივ, ვაკეზე მტკვრის პირას თურქთა მთავარი ლაშქარი მოსჩანდა. გაქცეული დელიბაშები ჩქარა შეერივნენ თავისიანებს და ერთი ალიაქოთი ასტეხეს. მათი მწყობრი რიგები აირია. დელიბაშები დადევნებულ ქართველების მხრისაკენ უთითებდნენ და მისაშველებლად დანარჩენებს აჩქარებდნენ.

ბესიკმა თავისი ცხენი ტოგონის გასწვრივ გააჭენა. ტოგონის გადაღმა, მარცხნივ, ჩამოქვეითებულ მხედრების ჯგუფს მოჰკრა თვალი. მოურავოვი იცნო და მისკენ გაექანა.

— ბატონი სადა ბრძანდება? — მიაძახა ბესიკმა მოურავოვს, რომელიც რამდენიმე კაზაკის და თავისი საელჩოს მდივნის თანხლებით გორაკს ამოფარებული თვალყურს ადევნებდა თურქთა მოძრაობას.

მოურავოვმა უსიტყვოდ მიუთითა პატარა ბორცვზე, რომლის ძირას ამოფარებული ქართველები მოსჩანდნენ. ბესიკი მაშინვე გაემართა იმ ჯგუფისაკენ და როდესაც მიუახლოვდა, დაინახა ნახევრად მორკალული ქედის გასწვრივ ჩასაფრებული ქართველთა ჯარი. ქედზე გაწოლილი მინბაშები თვალყურს ადევნებდნენ თურქების მოძრაობას. ბესიკმა მეომრების უკან, ღარტაფში, გააჭენა ცხენი, შორიდან თვალი მოჰკრა ერეკლეს გუნდს, მაგრამ სანამ მას დაუახლოვდებოდა, ქართველებში ატეხილმა ჩოჩქოლმა და

ამოძრავებამ მიიქცია მისი ყურადღება. ჩამოქვეითებული მხედრები სწრაფად შესხდნენ ცხენებზე, სერი გადაირბინეს და ხმალამოწვდილები ყელით თავქვე დაეშვნენ. ბესიკმა განდაგან ააჭენა სერზე თავისი ბედაური და მთელი მიდამო მის თვალწინ ხელისგულივით გადაიშალა.

თურქთა არეული ლაშქარი თითქო დალაგებულიყო და, მწკრივებად დარაზმული, ტალღებივით მიექანებოდა დასავლეთისაკენ, საიდანაც დავით სარდლის რაზმი უნდა გამოჩენილიყო.

ბესიკი უზანგებზე შედგა, თითქო ასე უკეთ შეეძლო ქვემო გორაკის გადალმა გახედვა. მას დავითის რაზმი უნდოდა დაენახა. ის ჯერ კიდევ არა სჩანდა, მაგრამ მოულოდნელად, თითქო ის გორაკის გალმა ყოფილიყო ჩასაფრებული, უეცრად გამოიჭრა ველზე და ყიჟინა დასცა.

ხმალამოწვდილი დავითი თავის რაზმს წინ მოუძღოდა და დაოთხილი მოაქროლებდა თეთრ ბედაურს. ხევსურები ახლა პირველ რიგებში იყვნენ და ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დავითს. წინ გადაწოლილნი, ცხენებზე გაკრულნი, თავიანთი წვეტიანი ჩაჩქანებით და აელვარებული ჯაჭვის პერანგებით ისინი მშვილდზე ასხლეტილ ფოლადის ისრებივით მიაპობდნენ ჰაერს და ცხენთა ტორებით აგლეჯილ ბელტების კორიანტელში გახვეულიყვნენ.

თურქები ამ იერიშს თამამად შეეგებნენ, იანიჩრებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ ჩრდილოეთის მხრიდან ქართველთა ახალი ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ თურქები დააბნია. მათი მწყობრი უცბად აირია, რადგან აღარ იცოდნენ, რომელი მხრით განეგრძოთ იერიში. ზოგმა ცხენი მოაბრუნა და ყვირილით მოუხმობდა დანარჩენებს, გეზი ჩრდილოეთის მხრისაკენ ეცვალათ, ზოგი ისევ განაგრძობდა წინსვლას, ზოგი ადგილზე შეჩერდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამის გამო თურქთა რაზმები ერთმანეთში აირივნენ, სარდლები დაიბნენ. ყვირილითა და მუქარით ცდილობდნენ წესრიგი აღედგინათ, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებდა.

ერთ-ერთი მხედარი, რომელიც ამ არევ-დარევას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მალაჩინი იყო. ის გააფთრებული დააქროლებდა თავის ბედაურს მწკრივის გასწვრივ და საიერიშოდ გადასულ ქართველებს ქორივით ათვალიერებდა. მას მხოლოდ ერეკლე სურდა დაენახა. როდესაც დავითის თეთრ ცხენს მოჰკრა თვალი, მხედარს დააკვირდა. მიხვდა, რომ ერეკლე ჩრდილოეთის მხარეზე უნდა ყოფილიყო, მაშინვე მიაბრუნა თავისი ბედაური და უკან გაჰქუსლა იმ მიზნით, რომ როგორმე ერეკლეს პირისპირ შეჰყროდა. ჯარმა ეს შებრუნების ნიშნად ჩასთვალა და მრავალი მათგანი მალაჩინს მიჰყვა. თურქთა ლაშქრის ამ აღრევამ გამოიწვია ის, რომ მათ ვერც დასავლეთისკენ შესძლეს იერიშის გაგრძელება და ვერც ჩრდილოეთისკენ. ამასობაში სისწრაფით გაქანებული ქართველთა ლაშქარი მთელი სიმძლავრით დაეჯახა თურქთა არეულ გროვას.

თურქები მთლად აირივნენ, ჭიანჭველებივით აქეთ-იქით გაიბნენ და ხიდს მიაშურეს.

ბესიკი აშკარად ხედავდა, როგორ მიაქროლებდა, რომელიღაც მხედარი თავის ცხენს ხიდისკენ, როგორ დაეშვა თურქთა მთელი ლაშქარი ღელისაკენ ფერდობებიდან დაქანებული ღვარივით და როგორ მიაშურა ხიდს, მაგრამ შეაგდო თუ არა მოწინავე მხედარმა ცხენი ხიდზე და მას დანარჩენებიც წამოეწივნენ, ხიდი უცბათ ჩაიზნიქა, ისრები ნელა აყირავდნენ და

ერთმანეთში არეული მორები, ცხენოსნებთან ერთად დგაფუნით ჩაცვივდნენ ადიდებულ მტკვარში. ხიდის თავს მისეული ლაშქარი დაიბნა. წინ მყოფნი უკან მიბრუნდნენ, უკანანი-კი ისევ ხიდს აწყდებოდნენ და თავგზააბნეულებმა არ იცოდნენ, რომელ მხარეს გაქცეულიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს ახალქალაქის გზიდან მოულოდნელად გამოიჭრა ლეონის ჩასაფრებული რაზმი, ხიდის თავთან ყიჟინით შეესია დაფეთებულ თურქებს, უკანვე იფრინა, წამოეწია და პირწმინდად დაუწყო კაფვა.

ერეკლე, ამ ხნის განმავლობაში თავისი შვიდი ხევსურის თანხლებით ელვასავით დააჭროლებდა თავის ბედაურს და თუ სადმე გაჭირვებას შეამჩნევდა მაშინვე იქით მიაშურებდა. საკმაო იყო მისი ერთი გამოჩენა, რომ ქართველებს ძალა შემატოდათ — მაშინვე არღვევდნენ ისინი მოწინააღმდეგის გუნდებს.

ერეკლე ახლა მეორე მხრისკენ მიაჭროლებდა ცხენს.

ერთ-ერთ გორაკზე გადარბენის დროს ერეკლემ ცხენი შეაჩერა და ბრძოლის ველს თვალი მოავლო.

მტკვრის პირიდან მოწოლილი დავითის რაზმი თურქებს თავგამეტებით ერეკებოდა ზემოთ. დელიბაშები უკან გარბოდნენ და მხოლოდ ჩამორჩენილები ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას.

ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩაქცეულ ხიდიდან მოყოლებული, თურქები მთლიანად იყვნენ შემორკალული ერეკლეს ლაშქრის მიერ და მათ თითქო გასაქცევი გზა არსად აღარა ჰქონდათ. მხოლოდ ერთ ადგილას, იქ, სადაც დავითის რაზმის მარცხენა ფრთა იასე ერისთავის ათასეულის მარჯვენა ფრთასთან უნდა ყოფილიყო შეერთებული, ერეკლემ ხარვეზი შეამჩნია. იქ პატარა ღარტაფი მიუყვებოდა, რომელიც შუაზე ჰყოფდა ამ ორ რაზმს. გასაქცევად ამოძრავებულ თურქებს, თუ ამ დაუხურავ ღარტაფს წააწყდებოდნენ, შეეძლოთ უვნებლად გასულიყვნენ ბრძოლიდან, ქართველებს ზურგში მოქცეოდნენ და მაშინ შეიძლება ბრძოლის ბედი სულ სხვაგვარად წასულიყო. ერეკლეს სასწრაფოდ უნდა ჩაეკეტა ეს ღარტაფი და თურქების გარშემო შემოჭრილი სარტყელი მთლიანად შეეკრა.

ერეკლემ მიმოიხედა.

გვერდით ივანე თურმანიზე ედგა. ექიმბაში.

— ივანე, ახლავე გაიქე, გიორგი ბატონიშვილს მოახსენე, თავისი რაზმით ამხედრდეს და აგერ ის ღარტაფი დაიჭიროს. იქიდან ეკვეთოს თურქებს.

ივანემ ცხენს მათრახი გადაჰკრა.

— ვინც ჰყავს, მთლად წამოიყვანოს, ბარგს და აღალს თავი ანებონ, — მიაძახა ერეკლემ.

ივანემ გაჰქუსლა, რამდენიმე გორაკი გადაიჯვირითა და კარგა მოშორებით პატარა ჭალაში დაბანაკებულ გიორგის რაზმს წააწყდა.

გაშლილ ნაბადზე ნახევრად წამოწოლილი გიორგი თავის ამალასთან ერთად საუზმეს შეექცეოდა. ცალმუხლზე ჩაჩოქილი ფარეში ბანგამოშვებით პატარა ტიკჭორიდან ავსებდა ყანწს ატენური ღვინით და ბატონიშვილს აწვდიდა.

ამ სანახაობამ ივანე გააოცა. მას ეგონა, ბატონიშვილი მთელი თავისი რაზმით ამხედრებული და საიერიშოდ გამზადებული დაუხვდებოდა, ესე-

ნი კი, პირიქით, თითქო ამ ქვეყნად არაფერი მომხდარიყოს, — მხარეებზე წამოწოლილნი, არხეინად ლაზღანდარობდნენ.

ივანემ ცხენი პირდაპირ ბატონიშვილთან მიაგდო, ოფლით ... შუბლი სახელოთი მოიწმინდა და აღელვებული ხმით წამოიძახა:

— თქვე დალოცვილნო, რა დროს ეგეებია.

— ამბავი, ჩემო ივანე, რას გვეტყვი? — ჰკითხა გიორგიმ და ოდნავ წამოიწია.

— ბატონმა გიბრძანათ, ახლავე ეახლოთ თქვენს ჯარით.

— რაო, რა მინდაო?

— ახლავე უნდა წამობრძანდეთ. გზაში მოგახსენებთ ყოველსა.

— აქ რომ გვითხრა, ღმერთი გიწყენს? — ღიმილით ჰკითხა გიორგიმ, ჩამოხე ცხენიდან.

— განა ლაპარაკის დროა, ბატონიშვილო? ახლავე უნდა წამობრძანდეთ, — სასწრაფოდ მიახალა ივანემ და შემდეგ რაზმს გადასძახა, — ეჰეი... ბიჭებო! შესხედით ცხენებზე, ბატონი გიბარებთ!

ჯარისკაცები ფიცხლად წამოიჭრნენ ზეზე, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ არც ბატონიშვილი და არც მისი ამალა ადგილიდან არ იძროდა, უხერხულად შედგნენ და ერთმანეთს გადახედეს.

გიორგიმ ზანტად ახედა ივანეს. მოღუშულს, წარბებზე ეტყობოდა გაჯავრება, უნდოდა კიდევაც ასეთი უდიერობისთვის დაეტუქსა ივანე, რადგან ნებადაურთველად გასძახა ჯარს, ამხედრდითო, მაგრამ გადაიფიქრა. ივანე დაურიდებლად, ყველაფერს უამბობდა ერეკლეს და ამიტომ ისევ მოფერება არჩია.

— კაცო, ჩამო-მეთქი ცხენიდან, არ გესმის? — უთხრა გიორგიმ, — ბატონის, მამი-ჩემის სიტყვა მომახსენე და ძალიან კარგი, დანარჩომი ჩემი საქმეა. ჩამოდი, ღვინო დალიე, ისაუზმე, აბა სად გაგონილა, ბატონიშვილმა სუფრაზე მიგიწვიოს და უარი მოახსენო.

გიორგის სურდა დაწვრილებით გაეგო ამბავი, თუ-კი ერეკლე ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, რომ ჩალვადრებსაც კი საშველად ეძახდა, მაშინ ბატონიშვილს ერჩივნა მამას ახლოსაც არ გაჰკარებოდა და ახლავე გასდგომოდა გზას თბილისისაკენ. სწორეთ ამისთვის აირჩია ეს მყუდრო ბალა, საიდანაც თავისუფლად შეეძლო ბაკურიანის გზით შეუმჩნეველად გაპარულიყო შინისაკენ.

— ჩამო-მეთქი ცხენიდან, — გაუმეორა გიორგიმ.

— ვერა, შენი ჭირიმე, — უპასუხა ივანემ და უკან მიიხედა, — ბატონს თავს ვერ დავანებებ. თქვენთვინ მისი ბრძანება მოგვიხსენებია, თქვენ როგორც გენებოთ...

— შენც ერთი, დიდი მეომარი მყევხარ, — წაიფრუტუნა გიორგიმ, — ექიმბაშს თავისი საქმე აქვს, ომი რა შენი საქმეა.

ივანემ გიორგის არა უპასუხა-რა, სადავე მოზიდა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და უკანვე გაჰქუსლა. ბრაზისაგან სულ კბილებს ახრჭიალებდა.

„შენი გაჩენის დღე კი დაიქცეს, შენი! — სწყევლიდა გუნებაში გიორგის სიბრაზისაგან გაფითრებული ივანე, — შენს გაჩენას ერთი ვირი გაეჩინა ღმერთს, განა არა სჯობდა. ვის ოხერს დაემგვანე ეგეთი? შენი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ თვალი გააყოლა ივანეს, შემდეგ ისევ წამოწვა მხარეთეძოზე და ფარეშს უბრძანა:

— ყანწი ამივსე, ივანეს შესანდობარი დავლიოთ.

ამალის წევრებმა მლიქვნელურად ჩაიხითხითეს.

ჯარისკაცები ერთხანს უხერხულად ტრიალებდნენ ადგილზე, მაგრამ ვინაიდან ბატონიშვილმა არა უბრძანა-რა, ისევ დაიშალნენ და წინანდებურად ლაზღანდარობა დაიწყეს.

*
* *

ლოდინი შეუძლებელი იყო, ივანე იგვიანებდა და ერეკლემ არ იცოდა, რით ჩაეკეტა ეს საბედისწერო ღარტაფი, საითკენაც უკვე ნელ-ნელა იწყოდენა მტრის ლაშქარმა. ოღბლად გაახსენდა მოურავოვის კაზაკები, რომელნიც იქვე სამასიოდე ნაბიჯის მოშორებით იყვნენ ჩასაფრებულნი.

ერეკლემ თითონ გააჭენა ცხენი მათკენ და მოურავოვს შორიდან გასძახა:

— ანტონ, შენის კაზაკებით შველა გვჭირდება.

— ჩემი თავი თქვენს სანაცვლოდ იყოს, მეფეო, — უპასუხა მაშინვე მოურავოვმა, შემდეგ კაზაკებს გასძახა, — აბა, ბიჭებო, ვახსენოთ ღმერთი!

— უბრძანე, მომყვნენ, — უთხრა ერეკლემ მოურავოვს. მოურავოვი ცხენზე შეჯდა და კაზაკებიც იმ წამსვე ამხედრდენ.

— მეფეს მიჰყევით, თითონ გაგიძღვებათ, — დაიძახა მოურავოვმა და სანამ თითონ მოასწრებდა ადგილიდან დაძვრას, ერეკლემ ჰკრა ქუსლი თავის ბედაურს. კაზაკებმაც მოსწყვიტეს ცხენები და მიჰყვნენ ერეკლეს.

ერეკლემ სწორედ სულზე მიუსწრო ღარტაფში გამოქცეულ თურქებს, პირველი შეფეთებული მტრის ჯარისკაცი ერთის ხმლის მოქნევით გაჰკვეთა შუაზე. იმავე დროს წამოწეულმა კაზაკებმა სწრაფად გადათელეს თურქების პირველი რიგები, მეფეს წინ გაუსწრეს და უკანვე იფრინეს დამფრთხალი იანიჩრები. ქართველი ლაშქრის რკალი საბოლოოდ შეიკრა.

უკან ჩამორჩენილ მეფეს მოურავოვი წამოეწია. ბრძოლის სანახაობით გატაცებულებს ერთმანეთი არც კი შეუმჩნევიათ. ერეკლემ ცხენი მიაბრუნა, გორაკზე ავიდა, ბრძოლის ველს ქორივით გადახედა და როდესაც ერთის თვალის მოვლებით მდგომარეობა შეაფასა, ცხენი შეაჩერა და მშვიდად წამოიძახა:

— გათავდა თურქების საქმე!

ქართველები კი აღარ იბრძოდნენ, პირდაპირ ჰკაფავდნენ თურქებს, ყველას, ვისაც-კი წამოეწეოდნენ. მხოლოდ რამდენიმე ადგილას კიდევ იბრძოდნენ მტრის მცირე გუნდები.

ბოლოდნელად ერთმა თურქმა მხედარმა თითქო ძალით გამოარღვია ქართველთა რიგები, ცარიელ მინდორზე გამოიჭრა, ცხენი გამოაჭენა და ხმამაღლა დასჭყივლა:

— ერეკლე-ხან, დონღუზ... გიალ ბურია...

ერეკლემ მაშინვე იცნო მალაჩინი.

— ხმალში მიწვევს, — წამოიძახა ერეკლემ ისე, რომ ამალისკენ არც-კი მიუხედნია. მალაჩინს თვალს არ აშორებდა.

მხლებელმა ხევსურებმა და დანარჩენმა ამალის წევრებმა ხმლებზე გაიკრეს ხელი.

ხევსურმა ნაკუდა ქუისძეშვილმა ცხენს მათრახი გადაჰკრა, რამდენიმე ნახტომი გააკეთებინა, მეფეს ხმალამოწვდილი შეეგებდრა:

— ნება მომეცი, მეფეო, მაგ წუნკალს ჩავუხტე.

ერეკლემ ხელით ანიშნა, უკან მობრუნებულიყო.

— ნაკუდავ, ნუ ჩქარობ. აგერ შეხვედე...

მალაჩინის შესაგებებლად ვიღაც ქართველი მხედარი ამოგელვებდა ცხენს. ეტყობოდა, ადრევე შეემჩნია მას მალაჩინის ველზე გამოჭრა ან იქნებ შემთხვევით მოეკრა თვალი მისთვის და დასდევნებოდა.

მალაჩინმა მიიხედა, მაგრამ მისკენ გაქანებულ მხედარს ყურადღება არ მიაქცია. არც კი სცადა გაქცევა ან შეგებება. მოზიდული ლაგამით რაში დითქო ადგილზე დაბა, ხმალი ჰაერში შეატრიალა და ისევ დასჭყივლა:

— დონღუზ ხან. ერეკლე-ხან..., ჰეე...

ქართველი მხედარი სწრაფად უახლოვდებოდა მალაჩინს.

— სუმბატაა, — წამოიძახა ნაკუდამ, — სუმბატა ლოხაურისძე... ვეფხია... მახკალ მაგ ურჯულო... — ამხნევებდა ნაკუდა სუმბატას, — მახკალ...

ერეკლე თითქო გულდაწყვეტილი უცქეროდა ამ ორი ვაჟკაცის შეხვედრას, რადგან საკვლებით დარწმუნებული იყო, რომ სუმბატა სძლევდა მალაჩინს და ამით თითქო ოდნავ ჩრდილი ეფინებოდა ერეკლეს რაინდულ თვისებას.

სუმბატამ ცხენი მალაჩინთან მიაგდო, მახვილი ამართა, მაგრამ მალაჩინი ადგილიდან არც კი დაიძრა, მხოლოდ ერთი გაიელვა მისმა ხმალმა, სუმბატა გადაიზნიქა, ცხენზე ნელა გადაეკიდა და მერე უცბად მიწაზე ზღართანი მოიღო.

მალაჩინმა ადგილიდან მოსწყვიტა თავისი ცხენი, რამდენიმე ნახტომი გააკეთებინა და ისევ იყვირა:

— ერეკლე-ხან!.. ქოფაქ ოღლი!..

ამალა აირია, ყველამ მოისურვა შებრძოლებოდა ამ თავხედ მეომარს. ხმლები იშიშვლეს, ცხენს ქუსლი ჰკრეს, მაგრამ ერეკლემ ერთი დაძახილით ყველანი მიაბრუნა. საკვლებ ოდნავ მოზიდა და თავისი ბედაური მოკლე ნახტომებით მინდორზე ისე გაიყვანა, თითქო სასეირნოდ მიდიოდა. როდესაც თავის ამალას ასიოდე ნაბიჯით დაშორდა, მხოლოდ მაშინ დაინახა ის მალაჩინმა.

ამალა სულგანაბული ადევნებდა თვალს მათ შეხვედრას.

მალაჩინმა სიხარულით ჯერ ხელი მაღლა აღაპყრო, თითქო ლოცულობსო, შემდეგ ცხენს ქუსლი ჰკრა და ერეკლესკენ გააქანა.

ერეკლემაც მოსწყვიტა ადგილიდან თავისი ბედაური. ორი მოწინააღმდეგე ისე სწრაფად დაუახლოვდა და გვერდი ჩაუქროლა ერთმანეთს, რომ ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, როდის მოიქნია ხმალი ან ერეკლემ ან მალაჩინმა. მხოლოდ როდესაც ამალის მიმართულებით გამოქანებული მალაჩინი გადაიზნიქა, უნაგირიდან ჩამოცურდა და უზანგში ფეხგაჩხირული ცხენმა რამდენიმე მანძილზე ათრია, მაშინ ყველასათვის უკვე ცხადი გახდა ბრძოლის შედეგი.

ერეკლემ თავის გაქანებულ ბედაურს თავი დაუჭირა, მიბრუნდა და მალაჩინს დაუახლოვდა.

ის უკვე ძირს ეგდო გაშხლართული, ხოლო მისი ცხენი იქვე იდგა და პატრონს სახეზე ყნოსავდა. მერე თავი მაღლა აიღო და გამწარებით დაიჭიხვინა.

ამ სანახაობით მოჯადოებული ერეკლე შედგა. ხმალი ჩააგო, დამბაჩა ძირო და ცხენს დაუმიზნა. ზარბაზანივით დაიჭექა დამბაჩამ და თავში გაგანმირული მალაჩინის ბედაური დატორტმანდა, ჩაიკეცა და ძირს ზღარბასავით ფოთოლ-ალტაცებული მთელი ამალა მხიარული შეძახილებით ჩამოეგება მეფეს.

— ცხენი რატომღა მოჰკალ, მეფევ? — ჰკითხა ხევსურმა ნაკუდამ, რომელსაც ყველამ მიულოცა ბატონს გამარჯვება.

— კარგი ვაუკაცი იყო უბედური, — უპასუხა ერეკლემ, — ცხენიც კარგი ჰყოლია. ველარ ვაკადრე მაგის ცხენზე სხვა შემჯდარიყო. დაე პატრონთან დალიოს სული. არც იარაღი ახსნათ. აგრე დასტოვეთ. მხოლოდ თავი ხუნძახის ბატონს უნდა გავუგზავნო. ამისაგან მასაც სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული.

ერეკლე ცხენიდან ჩამოხტა, დასასვენებლად არჩეულ ადგილს მიაშურა, ქვაზედ ჩამოჯდა და დაბლობს გადახედა.

ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო. მხოლოდ მტკვრის გასწვრივ ჩალებში კიდევ მოსჩანდნენ ქართველი მეომრები, რომელნიც ცალკე გაბნეულ და მტკვრის პირზე მიდენილ მტრის ჯარის ნარჩენებს დასდევდნენ. დანარჩენები ზოგნი უკვე ჩამოქვეითებულიყვნენ და ალაფს აგროვებდნენ, ზოგნი გაქცეულ ცხენებს იჭერდნენ, დანარჩენები კი მტრის სარდლებისა და მეომრების მოკვეთილ თავებს მიარბენინებდნენ მეფესთან.

ხუდია ბორჩალოელმა სუფჰავ-ხანის თავი მიართვა მეფეს. მცირე ხნის შემდეგ აბაი ბიტურაულმა ორი სამთავროს პატრონის გოლა-ფაშას თავი დააგორა მეფის წინ. მალე ამათ დანარჩენ ბეგების თავები მიემატა და სათითაოდ იცნეს ბეგლარბეგ ემინის, ყალიმ-ბეგის, კისკიმ-ბეგის, ბაშ-ალას და ბაშ-დელის, ტაოსკარის ბეგის მუსალიმ რაჩას, არტაანის ბეგის და სხვათა თავები.

სარდლებიც ნელა მოგროვდნენ. დაღლილი, დავით სარდალი მეფეს ეახლა და გამარჯვება მიულოცა. ერეკლე გადაეხვია დავითს.

— შვილო, ეს გამარჯვება შენ მოგვაპოვებინე, — უთხრა დავითს ერეკლემ, — მე უნდა მოგილოცო გამარჯვება და არა შენ.

მალე ბესიკიც ეახლა მეფეს, დაკეცილი ქაღალდი უბიდან ამოიღო და გაუწოდა. ერეკლე ჯერ ვერ მიხვდა, რა ქაღალდს აწოდებდა მისი ჭაბუკი მდივანი, მერე უცბათ მოაგონდა და ღიმილით ჩამოართვა.

— ილბლიანი ხელი გქონია, შვილო. — უთხრა ერეკლემ ბესიკს და ქაღალდი უბეში შეინახა. — ახლა ნება მაქვს ჩემი სამეფო ხალათით კვლავ შევიმოსო.

სტავრის ხალათი მაშინვე მიართვეს ფარეშებმა, სარდლებმა მეფე თავის ხელით შემოსეს.

ჯარისკაცებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ მტრის მოკვეთილი თავები. მდივნებს ებრძანათ, ყველანი აღენუსხათ დავთრებში. ბესიკს არ შეეძლო ამ სურათისთვის ეცქირა და შეუმჩნევლად გაილალა დავითთან ერთად, რომელიც ღელისკენ წავიდა, რათა ხელ-პირი დაებანა.

ორივემ მარდად ჩაირბინეს დალმართი. დაქანცული მეომრები თითო-ოროლად მოდიოდნენ ღელის პირას. ზოგი ხელპირს იბანდა, ზოგი ნაალაფევ იარაღს ავლებდა წყალში.

დავითი და ბესიკი ერთ დიდ ქვასთან მივიდნენ, რომლის მეორე მხარეს ორი მეომარი ერეკლესა და კოხტა ბელადის ბრძოლაზე საუბრობდა. ისინ დავითსა და ბესიკს ვერ ხედავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახე? — ეკითხებოდა ერთი: — ბატონმა, რომ კოხტა ბელადს ანდერძი აუგო?

— არა, არ დამინახავს. შენ ნახე?

— სანახავი აბა ეგ იყო აი. ღელიდან ამოველ. ვხედავ, ვიღაცა ლეკი მდევივით ცხენს დააქროლებს აი იმ ადგილას, თათრების სასაფლაო-რია, თურბაო, თუ რას ეძახიან თათრები. ჰო-და, ხმალს ატრიალებს, თან იძახის, ერეკლე-ხან გამოდი, თუ ვაჟკაცი ხარო...

— ჰაი დედასა, მერე?

— ვხედავ, ვიღაცა ჩვენიანი გაექანა, ბატონი მეგონა. ხევსური რო ჰყავდა ბატონს, აი ჩოფურა ხევსური...

— სუმბატა.

— ჰო, ისა, თურმე ის არ ყოფილა. გამოაქანა ცხენი, მაგრამ თითქო არაფერიაო ერთი კი გადაუსვა ხმალი ლეკმა და ჩვენმა სუმბატამ, აგრე ხე რომ წააქცევო, ისე არ მოიღო ზღართანი ძირსა? გათამამდა ლეკი, მჯიღის ოდენა თვალები აზის. იძახის, დონღუზ ერეკლე გამოდი, თუ ბიჭი ხარო. ერთი კი დასჭყივლა ბატონმა, შენ თითონ დონღუზოვო და გააქანა თავისი ლურჯი ბედაური. მოუქნია ლეკმა ხმალი, მაგრამ სადღაა შენი ერეკლე უნაგირზე. ბატონი ცხენს მუცელზე ამოჰკვრია. აი არყაში კი გადააცალა ბატონის უნაგირს ლეკის ხმალმა, მეტი ვერა ავნო-რა. ამ დროს მეფე ისევ ცხენს მოევლო, ერთი კი დასჭყივლა, გამიძელ თუ ვაჟკაცი ხარო და მოუქნივა თავისი გორდა.

— მისი მარჯვენის ჭირიმე! მერე?

— მერე რაღა ვითხრა. ისე გაუარა ლეკს ხმალმა, რო მეგონა, ააცდინა-მეთქი, ლეკმა ვერც კი გაიგო და მიაძახა: „გიაურო, ამცდა შენი ხმალიო“. მაგრამ გადადგა თუ არა ორი ნაბიჯი მისმა ცხენმა, გადაქანდა უბედური. ტანი ძირს ჩამოვარდა, ფეხები უზანგში დარჩა.

— არა, მართლა?

— მაშ, კაცო, განა მე ვნახე მარტო. ჰკითხე, ვისაც გინდა. იგე არა გდია. წადი, ნახე, თუ გინდა.

— ნეტავი მეც მეცქირა. ქვევით ვიყავით ჩალებში. ეგ ვერა ვნახე, მაგრამ ბატონის სიძის დავითის ბიჭობა რო ვიხილე, უკეთესი ზღაპარშიაც არ ითქმება.

ბესიკმა მუჯლუგუნი წაჰკრა დავითს, ქვის გადაღმისაკენ მიუთითა და თვალი ჩაუკრა.

— ვისაც კი ხმალი მოუქნივა, — განაგრძობდა უცნობი მეომრის ხმა, — გოგრასავით შუაზე გააპო. ერთმა თურქმა შუბის ძგერება დაუპირა...

დავითმა ველარ მოითმინა და გადასძახა:

— თქვენ რომელნი ხართ მანდ?

ქვის მეორე მხრიდან თავი ამოჰყო ორმა პირტიტველა მეომარმა. დავითის დანახვაზე ორივენი შეკრთენ და გარინდულნი უცქეროდნენ სარდალს.

— მოდით აქ!

მხედრებმა ქვას შემოუარეს და დავითის წინ დადგნენ. ერთს მათგანს თურქული იარაღ-საჭურველი ეჭირა ხელში.

— სადაურნი ხართ? — ჰკითხა დავითმა.

— კახელები ვართ, ბატონო, ყვარელნი.

— ბიჭო, მერე და თქვენ თავზე იტრაბახოთ, არა სჯობია. სხვისი ნამოქმედარი რა სატრაბახოა, — სიცილით უთხრა დავითმა.

— ჩვენია, — გაიღრიჭა ერთმა და უხერხულად შეიშმუშნა. — ჩვენსა სახსენებელია, ბატონო.

— არა, მაინც განა არ გიბრძოლიათ?

— როგორ არა, ბატონო. მე ორი თათარი შემომაკვდა, ამას კიდევ სამი.

— ყოჩაღ, კარგად გიომნიათ, — შეაქო დავითმა, — წადით, თქვენი მინბაშები მოძებნეთ, საქმე კიდევ ბევრია. აქ დროს ნუ ჰკარგავთ. ალაფი ასაკრებია.

ჭაბუკმა მეომრებმა მორჩილად თავი დაუკრეს სარდალს, ცქვიტად შებრუნდნენ და ფერდობი მარდად აირბინეს.

ალაფისა და იარაღის გროვებას უფრო დიდხანს მოუნდნენ, ვიდრე თვით ბრძოლას, რაც ორ საათზე მეტი არც გაგრძელებულა.

ქართველებიდან მოკლული სულ ოცდახუთი კაცი აღმოჩნდა, ხუთიც დაჭრილი. მტრის ლაშქარი-კი თითქმის სულ გაწყდა. ოთხიათას ხუთასზე მეტი მოკვეთილი თავი დააგროვეს მეომრებმა. ამათ გარდა ამბობდნენ, რომ ათასზე მეტი მტკვარში უნდა დამხრჩვალიყო და მხოლოდ ასიოდე კაცმა თუ გაასწრო ახალქალაქისაკენ. ოცდა რვა კაცი რუსებს წამოეყვანათ ტყვედ; ისინი მაშინვე ბატონს მიჰგვარეს. კაზაკები მცველებივით შემოერტყნენ გარს თურქებს და გზადაგზა სიცილით იგერიებდნენ ქართველ მეომრებს, რომელნიც ტყვე თურქების დასახოცად მიიწევდნენ.

მოურავოვი სიხარულით ფეხზე არ იყო. ჯერ კიდევ საამოდ ის დაურჩა, რომ მისმა კაზაკებმა და რუსის ოფიცრებმა თავი ისახელეს ამ ბრძოლაში და მერე მთავარი ის იყო, რომ მას, როგორც ქართველს და იმავე დროს რუსეთის დესპანს, ყველაზე უფრო აშინებდა ერეკლეს მოსალოდნელი განადგურება. მაშინ ტოტლებენი ადვილად იმართლებდა თავს დედოფლის წინაშე და საქართველოს ბედი სულ სხვაგვარად წავიდოდა. მოურავოვი-კი საქართველოს ამ უბედურების უნებლიე ხელის შემწყობი იქნებოდა.

ახლა კი...

— მეფევ, — მიმართა მოურავოვმა ერეკლეს, როდესაც გამარჯვება მიუღოცა და მუხლზე ეამბორა: — ახლა კი დროა, რომ დღესვე გავილაშქროთ ახალციხისკენ. ქალაქს უომრად ავიღებთ და რუსეთის დედოფალს შევუთვალოთ, შენი გენერალი აწყვეტილ თხასავით სხვის ბოსტანში დაეხეტება, ჩვენ კი თურქებს ვანადგურებთ-თქო.

— მართალია, ჩემო ანტონ, ახალციხის აღებას შევძლებთ, მაგრამ...

ერეკლე შეჩერდა, თავის დიდებულებს თვალი მოავლო...

— ახალციხეს ავიღებთ... — განაგრძო ერეკლემ, — ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, საქართველოს ეს ძვირფასი კუთხე დავუბრუნოთ, მაგრამ ჩვენ ახალციხე ავიღოთ და ღრაფმა კიდევ თბილისი დაიპყრას?

— თბილისი? — გაოცდა მოურავოვი, — ეგ ვინ მოგახსენათ, მეფევ?

— ზაქარია გაბაშვილმა, — უპასუხა ერეკლემ, — ზაქარიამ, ჩვენის ბესიკის მამამ, ჩემგან დევნილმა, მოსკოვიდან შემატყობინა, მაგრამ არ დავუჯერე. მართალი უთქვამთ, თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასო. ხვალ თბილისისაკენ გავემგზავრებით, თორემ მერე გვიან-ღა იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

*
* *

ყოველ საათში ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდათ თბილისში ტოტლებენის შესახებ. სურამში დაბრუნებისთანავე მას ახლო-მახლო მცხოვრებნი შეეკრიბა, სამღვდელოება მოეყვანა და მთელი ხალხი რუსეთის დედოფლის ერთგულებაზე დაეფიცებინა. ხალხისთვის გამოეცხადებინა, რომ ერეკლე თავის უჭკუო მოქმედებით დაიღუპაო.

შემდეგ ამბავი მოიტანეს, რომ ტოტლებენთან ამილახვრის, არაგვის ერისთავების და ფავლენიშვილთა გვარეულობის თავადები გამოცხადდნენ, რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღეს და ღრაფმა მათ ბატონის მიერ ჩამორთმეული მამულები დაუბრუნაო.

მალე გორის მოურავმა დედოფალთან კაცი აფრინა და შეატყობინა, ტოტლებენი ცხინვალში ჩამოვიდა, მთელი მოსახლეობა შეჰყარა, ერეკლეს დაღუპვა მიულოცა, რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა, ხვალ გორში აპირებს ჩამოსვლას და როგორ მოვიქცეო.

თავგზააბნეული დედოფალი ხან მდივანბეგებს ეკითხებოდა რჩევა-დარიგებას, ხან კათალიკოსს, ხან თავის სეფე-ქალებს, მაგრამ ისინი დედოფალზე უფრო დაიბნენ და არც ერთს არ შეეძლო დარეჯანისთვის რაიმე ერჩია.

სალამოს ხალხში ხმა გავარდა, მტკვარს დამხრჩვალი და დახოცილი ქართველთა გვამები მოაქვსო. მთელი ქალაქი მტკვრის ნაპირებს მიაწყდა. ადიდებული მტკვარი შხუილით მოაქანებდა მღვრიე ტალღებს და რამდენიმე დამხრჩვალი გვამი მართლაც ჩამოატარა. მათი ცნობა, თურქები იყვნენ ისინი თუ ქართველები, ძნელი იყო, რადგან ტალღებში ხან ამოშვერილი ხელი გამოჩნდებოდა, ხან ზურგი, ხან ფეხი. ქალები კივილით და ლოყების კაწრვით უთითებდნენ მტკვრის ტალღებზე და ფეთიანებივით დარბოდნენ. მამაკაცები მდუმარედ გასცქეროდნენ მდინარეს.

გვიან დალამებამდე და მეორე დილასაც არ მოშორებია ხალხი მტკვრის ნაპირებს. ქალაქში გავრცელებული ხმებით, ყოველ წუთს მატულობდა მდინარის მიერ ჩამოტარებული გვამების რიცხვი. თუ პირველად დანამდვილებით ამბობდნენ, თორმეტი ჩამოატარაო, სულ მალე ბევრი ირწმუნებოდა — რის თორმეტი, ჩვენის თვალით სამასი დავითვალეთო. დილას კი სარწმუნოდ ამბობდნენ, ხუთიათასი კაცი ჩაატარაო. რასაკვირველია, ეს ცნობა არც ერთი ~~ა~~ იყო ნამდვილი, და გარდა იმ რამდენიმე გვამისა, რომლებიც პირველად დაინახეს თბილისელებმა, მათ მეტი არ დაუნახავთ, მაგრამ ისე იყო ხალხი დამფრთხალი შიშით, რომ ყოველგვარი ჭორი სჯეროდა.

საღილობისას, დაახლოვებით თერთმეტ საათზე, გორიდან ახალი შიკრიკი მოვარდა და ამბავი ჩამოიტანა, რომ ტოტლებენი წუხელ გორს მოვიდა, ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩააყენა და დღეს ხალხი რუსეთის დედოფლის ერთგულებაზე უნდა დააფიცოსო.

ამ ცნობამ მთლად არია ყველანი. დედოფალმა სასწრაფოდ მდივანბეგები დაიბარა რჩევისათვის. თმებგაშლილი და სახედაკაწრული ეგედრებოდა, ერჩიათ რამე. მდივანბეგი ჭაბუა ორბელიანი მალიმალ იგრეხავდა ულვაშებს, თითქო ამ ულვაშების ბოლოებიდან უნდა დაეთრია რაიმე აზრი, მაგრამ ვერაფერს სანუგეშოს ვერ ეუბნებოდა დედოფალს. მას თუმცა გუნებაში იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი უღვივოდა, რუსები უპატრონოდ არ დამტოვებენო და ამის გამო ინა-
დენჯერმე ინახულა ვასილ პეტროვიჩ ლვოვი. ამ დღესაც ეწვია რეზიდენტს
და სთხოვა დედოფალს ხლებოდა.

ვასილ პეტროვიჩი მართლაც ეახლა დედოფალს, მწუხარება გამოსთქვა
საქართველოს სიმაყის, ბრწყინვალე მეფის დამარცხების გამო და ანუგეშა,
ჩვენ თქვენს ქვეყანას უპატრონოდ ხომ ვერ დავტოვებდით, დარდი ნუ
გაქვთ ნურაფრისაო.

დარეჯანმა პატარა იულონს ხელი მოჰხვია და ლვოვს შეევედრა:

— ამის მეტი მემკვიდრე აღარ გაგვაჩნია. მეფედ ეს უნდა მიკურთხოთ.
ვაი ჩემს მოსწრებას, ვაი ჩემს შავ დღეს!

მალე დედოფალს ახალი ამბავი აცნობეს: რუსებს ტახტზე ალექსანდრე
ბაქარის-ძე აჰყავთ. ის თურმე ანანურში კიდევაც მოსულაო.

ახლა კი ძოლად გაგიჟდა დარეჯანი. ხან მოურავს ევედრებოდა, ქალაქის
ბჭეები ჩაჰკეტე და კახეთიდან ჯარს გამოუძახეო, ხან გასაქცევად ემზადე-
ბოდა, ქერიმ-ხანს ვეახლები სპარსეთში და იქნება იმან მიპატრონოსო. ხან
დამხობილი ლოცულობდა ხატებთან და ღმერთს შველას ევედრებოდა. მე-
რე საბოლოოდ გადასწყვიტა, თელავში გაქცეულიყო, რომ რუსებს ხელში
არ ჩავარდნოდა და თუ გრაფს დარეჯანისთვის მართლა სიკეთე სურდა, მხო-
ლოდ მაშინ მობრუნებულიყო თელავიდან. თუ არა და იქიდან პირდაპირ
გაუდგებოდა გზას ისპაჰანისაკენ. გადასწყვიტა ეს თუ არა, მაშინვე საჩი-
ნოდან სასახლეში ჩაიჭრა და გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა. ფუსფუ-
სით ჰყრიდა ზანდუკებში განძეულს და საპალნეებად აკვრევინებდა.

— ჩემო ძულო, თქვენ რაღას უდგეხართ? — მიმართა დარეჯანმა ანას,
როდესაც მას დიდ დარბაზში შეეჩეხა, — თავს ვუშველოთ, თორემ მერე
გვიან იქნება.

ანა შედგა, თავისი გრძელწამწამებიანი ნუშისმაგვარი თვალები ნელა
მოხუჭა და გარინდებულმა მძიმედ ამოიხვნეშა:

— რაღად მინდა თავის შველა, დედოფალო: ჩემი სიცოცხლე, — ხელი
მძიმედ აზიდა ანამ და დასავლეთისკენ გაიშვირა, — იქ დამთავრდა.

ანა გულში ბესიკს გულისხმობდა. დარეჯანმა-კი გაიფიქრა, ერეკლეს
ბლოვობსო და ფუსფუსით უპასუხა:

— განა ჩემი სინათლეც არ ჩაქრა, მაგრამ ჩემი თავისთვის ხომ არა ვდარ-
დობ, ჩემო ანა, შვილები, თქვენი ძმისწულები... იმათ უნდა ვუპატრონო...

— მე აქ დავრჩები, — წყნარი ხმით უპასუხა ანამ. — თამარიც აქ დარ-
ჩება, ორივენი გავიზიარებთ ჩვენთა პატრონთა ბედს.

დარეჯანმა ბოდიშივით კიდევ უთხრა ანას, რომ შვილებზე ზრუნვამ
აფიქრებინა თელავს გამგზავრება და ისევ თავის პალატებისკენ მიაშურა.

ანა გაბრუნდა პატარა ფრანგულ დარბაზში, სადაც თმებგაშლილი თამა-
რი, მაია და პატარა ანიკო ერთად ისხდნენ და ხანგამოშვებით ქვითინებდნენ.

— შენი დედინაცვალი თელავს მიბრძანდება, — უთხრა ანამ თამარს, —
თავსა შველის.

— წავიდეს სადაც უნდა, — სლოკინით და ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა
თამარმა, — წავიდეს... წავიდეს...

— ჩვენც წავალთ, — ისევ წყნარის ხმით წარმოსთქვა ანამ და ხატების
წინ დაიჩოქა, — ღმერთო დიდებულო, ღვთისმშობელო მარიამ, მოგვიტევე შე-
ცოდებანი ჩვენნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში ატეხილმა უჩვეულო ხმაურმა უნებურად მიიპყრო ოთხივეს ყურადღება. თამარმა ფანჯარაში გაიხედა, ანამ კი მაიას უთხრა:

— რა მოხდა, რუსები ხომ არ მოსულან? წადი გაიგე...

მაია მაშინვე ადგა და წელათრეული გავიდა ოთახიდან.

თამარმა გაკვირვებით წამოიძახა:

— ეს რა ამბავია, ხალხი სასახლისკენ მორბის!

ვერ მოასწრო კიდევ სიტყვის თქმა, რომ თვით სასახლეში გაისმა გულშემზარავი კივილი. თითქო მიწა ძრულიყვეს, ისე აზრიალდნენ მთელი კედლები. სამივენი გაფითრებულნი ზეზე წამოიჭრნენ, მაგრამ ამ დროს ოთახში სახე ატკეცილი მაია შევარდა და იკივლა:

— მახარობელი...

დაბარბაცდა, სული მოითქვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა:

— მახარობელი... ბატონს გაუმარჯვნია, თურქთა ლაშქარი მთლად გაუწყვეტია...

— მაია რას ამბობ?! — იკივლა ანამ.

— მიშველეთ... — უცბად დაჰკარგა ფერი თამარმა და წაიქცა.

თამარის გულის შეღონებამ ოდნავ გონს მოიყვანა სამივენი. სახეში წყალი და ფრანგული სურნელი აპკურეს თამარს და გონს მოიყვანეს. შემდეგ ოთხივენი ერთის კივილით და კაბების ფრიალით გაცვივდნენ ოთახიდან, დარბაზები გაირბინეს და სასახლის მოედანზე გაიჭრნენ.

მთელი მოსახლეობა — ქალი, კაცი, დიდი და პატარა, ყველანი სასახლის მოედნისაკენ გარბოდნენ. ბანებზე, სახურავებზე ხტოდნენ, ღობეებს და ყორეებს ევლებოდნენ, დუქნებს, სახელოსნოებს, ყაფაზებს უპატრონოდ სტოვებდნენ და ყველანი მოედნისკენ ეშურებოდნენ.

ელვასავით გავარდა ხმა ქალაქში:

ბატონს გაუმარჯვნიაო.

თურქთა ლაშქარი გაუქლეტიაო.

სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაში, კოშკიდან კოშკში ყველანი გასძახოდნენ ერთმანეთს და ნამდვილი ამბის გასაგებად სასახლისაკენ გარბოდნენ.

სასახლის წინ მართლაც იდგა ბეჭებგანიერი ცხენოსანი გოგია ფატრელი, რომელსაც ხალხი ისე შემოჰკროდა გარშემო, რომ ცხენი აღარც კი ჩანდა. თითქო გოგია ხელში აეტაცებინოთ. ჟრიამულსა და ყვირილში გოგიას ხმა არ ისმოდა, ის კი ხალხს ღიმილით ეხვეწებოდა, სასახლის კარამდე მიმიშვითო.

როდესაც სასახლის წინ დარეჯანი, ანა, თამარი და სეფე-ქალები გამოცვივდნენ, გოგიამ დამხაჩა იძრო, ჰაერში გაისროლა, თავი ოდნავ გაინთავისუფლა და ცხენი სასახლის კიბეებთან მიაგდო. ცხენიდან ჩამოხტა, დაიჩოქა და დედოფალს მოახსენა:

— გამარჯვება ნუ მოაკლოს ჩემს ბატონს ერეკლე მეფეს!

— ღმერთმა სიხარული ნუ მოგაკლოს, შვილო, — უპასუხა დარეჯანმა, სწრაფად მიბრუნდა, თავის მოლარეთუხუცეს ოსეფა ყორღანაშვილს მძიმე ქისა ჩამოართვა, თავი მოუხსნა და მის წინ დაჩოქილ გოგიას ოქროები თავზე დააყარა.

გოგიამ თავის გაუნძრევლად მარტო თვალების მოძრაობით მიმოიხედა, ოქროები შორს არ გაგორდნენო, თუმცა კარგად იცოდა, რომ მახარობლის

საჩუქრისათვის სიონის გლახაც კი ვერ გაბედავდა ხელი ეხლო. მერე თავი აიღო და დაწვრილებით უამბო დედოფალს ყველაფერი.

ხალხის ერიამული არა სწყდებოდა. სადღაც ზურნა დაუკრეს, ბოლოს ბად ასტყდა ზარების რეკვა. მთელი ეს ზღვა ხალხი მოუთმენლად იჭერდა მახარობლის ყოველ სიტყვას და ერთმანეთს გადასცემდა. როდესაც მახარობელმა დედოფალს მოახსენა, ჩვენ მანგლისის გზით წყნეთისკენ ჩამოვიარეთ, ვაკეზე გამოველით და ბატონი ახლა მთელი ლაშქრით ვერაზე იქნებაო, ხალხმა იგუვლა და ყველანი შესაგებებლად გაემართნენ. ქალაქის ბჭეებთან ტევა აღარ იყო, ყველას ერთად სურდა ალაყაფის კარებში გასვლა. ბევრმა არ დაუცადა კათალიკოსს, რომელიც შემოსილი მთელი სამღვდელოების თანხლებით დედოფალთან, სეფე-ქალებთან და დიდებულებთან ერთად წაბრძანდა მეფის შესაგებებლად. კათალიკოსმა ანჩის სასწაულმოქმედი ხატი წაასვენა და მთელი ეს სტავრითა და ძვირფასი თვლებით შემკული სამღვდელოება გალობით გაემართა ქალაქ გარეთ.

ხალხი ორი ნაკადივით გვერდებზე უვლიდა დიდებულთა მწკრივებს, წინ უსწრებდა და ვერისაკენ გარბოდა.

ყველაზე წინ გოგო-ბიჭები გარბოდნენ კუნტრუშით და ერთის ერიამულით.

მათ ქალიშვილები მისდევდნენ, რომელნიც თავიანთ აბრეშუმის თავშალებს აფრიალებდნენ და ერთის ტკრციალითა და სიცილ-კისკისით ცდილობდნენ ერთმანეთისთვის გაესწროთ.

ანა და მაია დარეჯანთან ერთად დინჯად მიაბიჯებდნენ, თუმცა, ალბათ, ისინიც თავდავიწყებით გაექანებოდნენ ლაშქრის შესაგებებლად, რომ მათ წინ ამოდენა მღვდლების გროვა არ ყოფილიყო.

პატარა ანამ კი დრო იხელთა, ხალხის ნაკადს გაჰყვა, გოგოებში გაერია, მათთან ერთად მალე გაუსწრო დიდებულებსაც, სეფე-ქალებსაც, მღვდლებსაც, და როდესაც მუხრან-ბატონის ციხე-დარბაზის გასწვრივ მომავალი ლაშქარი დაინახა, შველივით გაფრინდა.

*

* *

ბესიკი აფორიაქებული, გაბრუებული შევარდა თავის ოთახში; ამდენი ხმაური, ყიჟინა, ხვევნა-კოცნა, ზურნისა და ნაღარის ხმა, ცეკვა მას არასოდეს საზმარშიაც არ ენახა.

მოწყვეტით დაჯდა. ყელზე შემოხვეული ქალაღაია მოიხსნა.

ახლა გაახსენდა. პირველად პატარა ანა შეეგება და ქალაღაია კისერზე შემოახვია.

გაშალა. დახედა.

ამოქარგულ სიტყვებს მოჰკრა თვალი.

„ვერ დავადარებ გუბესა რიონს“.

გაიცინა.

ქალაღაია ტახტზე დააგდო. სკივრს თავი ახადა და სადარბაზო ტანსაცმელს დაუფათურდა. ლეონთან და დავითთან ერთად აბანოში უნდა წასულიყვნენ. წვერი უნდა გაეპარსათ, ტანსაცმელი გამოეცვალათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში შლიდნენ სანადიმო დიდ სუფრას. ქალაქში-კი უკვე ნადიმობდნენ. ყოველ კუთხიდან ისმოდა ზურნის, საზანდრის, თარისა და დაირის ხმები.

ტანსაცმელი მოსძებნა, სათითაოდ ამოკრიფა აბრეშუმის საცვლები, მარვალი, კაბა, ახალუხი, ქუქუნაკი, საჩეხი ქუდი, მაშიები.

ხელში ქაღალდები მოხვდა. ერთი გაშალა.

„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო"...

შეკრთა.

ანა ქანდაკებასავით იდგა დარეჯანის გვერდით. ბესიკს უცქეროდა და თავის თავს ვერ ამჩნევდა, რომ ლოყებზე განუწყვეტლად სდიოდა ცრემლები.

„ანა".

ტანსაცმელს ხელი დაავლო ბესიკმა. ქაღალდები ისევ სკივრში ჩაყარა. ლეონი და დავითი, ალბათ, უკვე ჭყუმპალაობენ ლურჯად აკამკამებულ აუზში. ჩქარა მათთან.

სიხარულით ტიროდა ანა.

მაია, მაია ეშმაკურად უცინოდა. სხვა არავინ შეუმჩნევია.

„ანა."

აჩქარებული ნაბიჯებით გაიარა დერეფნები ბესიკმა. ტანსაცმელი იღლიით მიჰქონდა.

ლეონი და დავითი მართლა უკვე დაუხვდნენ იქ. ტანთ იხდიდნენ.

ჰასანაც იქ იყო, ერეკლე ბატონის მექისე ჰასანა.

— აბა, ჰა, მოვინათლოთ,—სთქვა ლეონმა და აუზში დგაფუნით ჩაეშვა.— ბესიკ, შენი გულნარა არ შეგეგება?

— კარგი, თუ ძმა ხარ, — წყრომით შეუტია ბესიკმა. — დამაცა ერთი მოვიდე. გაზიარებ.

დავითმა გაიცინა.

სამივენი ბავშვებივით მხიარულად ადგაფუნებდნენ წყალს, ერთმანეთს აყურყუმალავებდნენ და ქშუოდნენ.

მერე სამივემ წვერი გაიპარსა. იქვე ტიტლიკანები ისხდნენ რიგრიგობით და სანამ ერთს მექისე ჰასანა ზურგს უზელდა, მეორეს სახე დალაქისთვის მიეშვირა. ლეონს, მართალია, ჯერ სახეზე არა მოეპოებოდა-რა, მაგრამ წვერის ამოსვლა ეჩქარებოდა და მუდამ აფხეკინებდა ლოყებს დალაქს.

კარგახანს მოუხდათ იქ დარჩენა მეგობრებს. ყველაზე დიდხანს ჩაცმას მოუნდნენ.

მერე რიგრიგობით ჩაიხედეს მრგვალ სარკეში:

ერთმანეთი მოეწონათ.

— ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, — სიცილით სთქვა ბესიკმა, — მგონი ვგევართ.

ხუმრობითა და ლაღი სიცილით გამოცვივდნენ სამივენი აბანოდან, უკვე ბინდებოდა. ლამაზად და მდიდრულად ჩაცმულებმა, მსუბუქი, მოხდენილი ნაბიჯით გაიარეს სასახლის დერეფნები და მთავარ დარბაზში შეეიდნენ.

სარკეებითა და ბროლით მოჩუქურთმებული დარბაზი ზღაპრულად იყო აელვარებული. მაჯის სიმსხო კელაპტრებისა და უამრავი სანთლების შუქზე კედლებიც და ჭერიც ისე ბრწყინავდნენ, თითქოს ალმასებით ყოფილიყვნენ მოჭედილი.

დარბაზი სავსე იყო საზეიმოდ მორთული სეფე-ქალებით და დიდებულებით. მეფე-დედოფლის გამობრძანების მოლოდინში ისინი ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყვნენ. ზოგი ხუმრობა-შაირობით ირთობდა თავს, ზოგი ეფეის ლაშქრობა-გამარჯვებაზე მსჯელობდა. საერთოდ კი ყველას მხიარულებისთვის მიეცა თავი. ისმოდა განუწყვეტელი სიცილ-კისკისი.

თამარი და ანა ერთად ისხდნენ დარბაზის კუთხეში. თამარი განსაკუთრებულად მოირთო ამ საღამოს და თავისი მამიდაც აიძულა ასევე კარგად მორთულიყო. ორივეს მოქარგული აბრეშუმის კაბები ეცვა და მკერდზე ფრანგულად გათლილი ლალისთვლიანი გულქანდები ჰქონდა დამაგრებული.

რაღაცაზედ ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს ყურში რიგრიგობით ჩასცინოდნენ.

— აი მოვიდნენ ჩვენი რაინდები, — უთხრა თამარმა ანას და იმ მხრისკენ მიახედა, საიდანაც დავითი, ლეონი და ბესიკი შემოვიდნენ.

სამთავემ დარბაზში მყოფთ საერთო სალამი მისცეს და პირველად ანა-ხანუმთან მივიდნენ. ქვრივი დედოფალი თავაზიანად შოიკითხეს და ხელზე ეამბორნენ. შემდეგ ანასთან მივიდნენ და იმავე წესით მიესალმნენ.

თამარმა ლეონს ხელი მოჰკიდა, შეატრიალ-შემოატრიალა, აბრეშუმის ყელსახვევი შეუსწორა და კისერში ხელი წაუთათუნა.

— კარგი ხარ.

მერე ბესიკი შეათვალიერა.

— აქ მოდი, შეგხედო, შენ ხომ კარგი ხარ და კარგი.

— ეს, ეს როგორია? — სიცილით ანიშნა ბესიკმა დავითზე.

თამარს ვითომ გული მოუვიდა, მაგრამ მერე დავითი იდუმალად შეათვალიერა და ბესიკს თვალებით ანიშნა, მომწონს, კარგიაო.

სამთავემ ასეთი წესით დაიარეს მთელი დარბაზი და რიგრიგობით, უფროს-უმცროსობის მიხედვით მიესალმნენ მანდილოსნებს.

როდესაც გულნარას და ჯაფაირას ეახლნენ მისასალმებლად, ლეონმა იდუმალად უჩქმიტა ბესიკს.

გაოცებულმა ბესიკმა თვალები შეანათა ლეონს, რომელმაც სანადიმო დარბაზისკენ მიახედა (ვითომ იმისთვის უჩქმიტა).

— შეხედე.

მეორე, უფრო დიდსა და განიერ, ოქროს სვეტებიან დარბაზში ფარეშები ტრიალებდნენ. სუფრაზე ფაიფურის საინებს, ვერცხლის ლანგრებს და ბროლის სასასმოებს აწყობდნენ.

— ვხედავ, — უპასუხა ბესიკმა, შემდეგ სოვდაგრის ჯალაბს უცნობივით გულგრილად მიესალმა და მაშინვე სხვა მანდილოსანთა გუნდისაკენ გაემართა.

მალე ქანდარაზე მყოფმა მესაკრავეებმა თავიანთი საზები, ჭიანურები და ქამანჩები მომართეს, ხმები შეაწყეს და საცეკვაო დაუკრეს.

დარბაზის შუაგული სწრაფად დაცარიელდა. ყველანი კედლებთან მილაგდნენ, ზოგნი, უმთავრესად ქალები, სავარძლებზე დასხდნენ, დანარჩენნი კედლებთან ჩამწკრივდნენ და ტაში დასცხეს.

მეფის სახელოვანმა მოცეკვავემ, ახალგაზრდა ბექა ხეთაგურმა ხელები გაშალა და ფეხისცერებზე ტრიალით ქორივით ჩაუქროლა ტაშის დამკვრელებს, მერე უცბათ ნელის რხევით და ფეხის გულების ორმაგი ერთდროული გასმით თითქო შეეცურდა დარბაზის შუაგულს, ღიმილით თვალი მოავ-

ლო მთელ დარბაზს, თითქო ირჩევდა, რომელი გაეწვია საცეკვაოდ, სწრაფად ტანი მოსწყვიტა, ცალმუხლზე წაიჩოქა და დარბაზის შუა გულიდან პატარა ანამდე, ასე დაჩოქილი მისრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ანა მაშინვე გამოვიდა საცეკვაოდ, ხელები მოხდენილად გაშალა და ისე წაიღო ტანი, თითქო ფეხების გასმით კი არ მიდიოდა არამედ ნიავი მიაქანებდა.

როდესაც ბესიკს ჩაუარა, თვალებში ჩახედა, იდუმალად გაუღიმა...

ბესიკი თითქო შეკრთა. მერე უფროს ანას შეხედა.

ანა დარბაზის თავში სავარძელში იჯდა და ტაშს უკრავდა. ისიც ბესიკს უცქეროდა. ალმურ-მოდებული ლოყები ვარდისფრად ულვიოდა.

ანთებული კელაპტარივით ციმციმებდა.

მისი გავარვარებული ტუჩების შეხება თითქო ისევ იგრძნო ბესიკმა

თავბრუ დაესხა და გარეთ გავიდა.

აპრილის თბილი ღამით გამთბარი მთელი ქალაქი სიონის დიდი კანდელივით ლივლივებდა. ყოველ სახურავზე, ყოველ კუთხეში, დუქნებში, სახელოსნოებში, მოედნებზე, — ყველგან ყაყაჩოებივით ღვიოდნენ ჩირაღდნები, ლიფლიფები, შუშისა და ქაღალდის ფარნები და ცამდე აზიდული ნარიყალის ციხის კედლებიც ისე იყო განათებული ქალაქიდან აფენილი შუქით, თითქო ანასავით ამ კოშკებსაც სიხარულით ატკეცოდეთ ლოყები.

სასახლის მოედანზე, თეთრწვერა შვაბი სამფეხა დაზგებზე დამაგრებულ შუშხუნებს ანთებდა.

ანთებული შუშხუნები კუდიანი ვარსკვლავებივით ირკალებოდნენ ცაზე და აფეთქების დროს ფერად ცეცხლის ფოთლებს ფანტავდნენ.

ობილისი გამარჯვებას ზეიმობდა.

(პირველი წიგნის დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

კავკასიონის კარებთან[1]

რომანი

XI

ფინაპართა სული

— აბა, ბიჭებო, არ მოიწყინოთ! — შესვლისთანავე წამოიძახა კოლია ბარბაქაძემ და თავის მიერ საგანგებოდ გაწყობილ სუფრას თვალი მოავლო: — ია გეშველებათ, მე რომ არ გყავდეთ? რავა ჩაგიქინდრავთ თავები, მიცვალებულს ხომ არ უზიხართ? ფიქრისა და მოწყენის დრო გვაქვს ახლა ჩვენ? ფიქრი ნისლია, გაჰკარი ხელი, და გაიფანტება!

— უსვინდისო ვიყო, შენისთანა უდარდელი კაცი თუ მენახოს! — მეგობრული გულახდილობით შეაგება სიტყვა დავით ჯამაიამ. — მოგსწრებიათ ასეთი? ერთხელ მაინც მენახა ჩაფიქრებული.

— მართალს ბრძანებ, სკანი გოლუაფირო, ჩვენო ფილოსოფოსო, მართალს, — დაუდასტურა ბარბაქაძემ. — კოლიას სადარდელი ვინ მისცა? მართალია, შინ ცოლი და ორი პატარა ბავშვი ჰყავს დატოვებული, მოხუცი დედა ჯოხდაუბიჯებლად გარეთ ვერ გამოდის, შვილივით მოვლილი ვენახი ახლა დასაკრეფია, მარა რაი მერე, ამაზე იდარდოს კოლიამ? თქვენ არ მოგიკვდეთ. გაივლის, ძმებო, ყველაფერი გაივლის! მარა იცით, რა? ამ წამს, თქვენ გგონიათ, მეც უსაშველოდ არ მიმძიმს, ჩვენი ბიჭები რომ აქ არ არიან? ეჰ, რა ნიჭიერი ყმაწვილი იყო საწყალი არჩილი. გახსოვთ, ლექსს რომ წაგვიკითხავდა, რავა გაუბრწყინდებოდა სახე, ხმაც რავა აუთრთოლდებოდა... ახლა ჩვენი გივი ჯიქია? საიერიშოდ რომ დავიძარით, ჩემდა საუბედუროდ, „ზესტაფონო, გშორდები“ წამოვიწყე. ხომ ნახეთ, რავა მომვარდა, თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია. ვინ იცის, ეგება გულში საწყენად ჩარჩა. ნეტავი ის ტყვია მე მომხვედროდა, მასთან ვიყავი, გვერდში ვუწექი. თავი რომ ავუწიე და სახეზე დავხედე... ეჰ!

თავი დახარა კოლიამ, რომ ამხანაგებს მოძალებული ცრემლი არ შეემჩნიათ. მერე უცებ ხელები დარდიმანდულად გაშალა:

— არაფერია, ბიჭებო! დედა უტირეთ იმ წუნკლებს! ვინც გადარჩა, ვერც ისინი წაგვივლენ. ჩაგვივარდებიან ხელში და ისეთ დღეს დავაყრით, რომ გაჩენას იწყევლიდნენ. ახლა-კი, ირაკლი, თუ გიყვარდე, გაშალე შუბლი!

---

[1]) იხ. „მნათობი“ №№ 7, 8, 9 — 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც, დავით, ლადიმე, ყველამ, ჩვენებურად, ქართველურად ასწიეთ ჭიქა! აი მასე, გენაცვალეთ სულში!.. ეს, ძმებო, იცით, ვისი საღოგრძელი იყოს? ირაკლის მეტი აქ ყველანი ცოლშვილიანი ვართ. მოდით, ეს ჩვენ ბატარებს გაუმარჯოთ, რომლებიც, ჩვენ რომ არ ვიქნებით, ჩვეხს სახელს არ შეარცხვენენ, კერას არ გააცივებენ, მტერს თვალს დაუყენებენ. ისეთი ვაჟები და ქალები გაიზრდებიან, რომ ამომავალ მზეს შეედრებიან, იტყვიან: იყვნენო ამქვეყნად ერთი თავზე ხელაღებული, მოქეიფე და უდარდელი კოლია ბარბაქაძე, ბრძენი და ფილოსოფოსი დავით ჯამაია, ამხანაგებისათვის თავდადებული, თოფის წამალივით ფიცხი ლადიმე გიორგაძე, ტარიელივით გულჯავრიანი ირაკლი კარაშვილი, განუკურნელი რევმატიზმით დაავადებული შაქრო მაისაშვილი, დაჭრილთა და მიცვალებულთა მიმართ გულშემატკივარი ბესო გოგოლაძე... ჰო-და, რაც შეეძლოთ, ქე იბრძოლესო, მტერს კუდით ქვა ასროლინესო, მერე საფეხურებად ჩაწვნენო და ამ საფეხურებით ზევით, სულ ზევით ავდივართო, ჩვენს ამაყ მთებს უტოლდებითო... იტყვიან, ასე იტყვიან, მაშ! ვენაცვალე იმათ სულში!

ნელი-ნელ, აუჩქარებლად დასცალა კოლიამ სასმისი, მერე ჩვეულებისამებრ გადააბრუნა და დასძინა:

— ასე დაგეცალოთ მტერი და ორგული!

საჭმელი ბლომად ჰქონდათ, ღვინოც საკმაოდ დალიეს, მაგრამ არც ერთს არ მოეკიდა, ყველას რაღაც ხინჯი ჰქონდა გულში, ყველა გრძნობდა, რომ მათ ნადიმს აკლდა ის ხალისი, რომელიც ავიწყებს ადამიანს განვლილ და მოსალოდნელ განსაცდელს.

კოლიამ დაბალი ხმით სიმღერა წამოიწყო, მაგრამ არ გამოუვიდა. ირაკლის მიმართა, მათ შორის ყველაზე უკეთეს მომღერალს — სთქვი კახური მრავალჟამიერიო, მაგრამ ძმაზე მგლოვიარე ირაკლიმ თავი ისე კუშტად დახარა, ისეთი მწუხარე ელფერი გადაეფინა მზისაგან გარუჯულ სახეზე, რომ კოლიამ მწვავედ იგრძნო, თუ რა იარას შეახო ხელი.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ამ დუმილში ის ამხანაგები წარმოუდგათ, რომლებიც ახლა მათთან არ იყვნენ.

კოლიამ სანადიმო განწყობილების აღსადგენად ხერხს მიმართა:

— ბიჭებო, ახლა სიტყვა ჩვენს დავითს ეკუთვნის. აბა, დავით, გენაცვალე სულში, ერთი შენებურად გვითხარი რამე.

— ერთი ამას უყურეთ! — გაიკვირვა დავითმა: — როდის გთხოვე, კაცო, მე შენ სიტყვა?

— არ გითხოვია, მარა მე ხომ შენს გულში ვზივარ, — უპასუხა ბარბაქაძემ და ჭიქები ღვინით გაავსო.

— კი, კი, ძამია, დაგვალევინე ერთი ჭიქა. ახლა აგერ ვზივართ, ვინ იცის, ხვალე სად ვიქნებით, — სთქვა ლადიმე გიორგაძემ და დავითს ხელი სიყვარულით მოჰხვია.

დავითმა სასმისი ასწია, ისევ დადგა, ცისფერი თვალები ერთ წერტილს მიაპყრო, სახე წამოეგზნო, სწორედ ისე, შემოქმედებითი წვის დროს რომ სჩვევია ადამიანს. მღელვარე ხმით დაიწყო:

— წეღან კოლიამ სთქვა: ფიქრი ნისლიაო. არა, ბიჭებო, ფიქრი ნისლი არ არის, თუმცა არც ნისლი ჰქრება უკვალოდ, სახეს იცვლის მხოლოდ. მეც ამ ცვლილებაზე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. აი ვაკვირდები ჩემს თავს, თქვენც გაკვირდებით და ნათლად ვხედავ, რომ ჩვენ ახლა ის აღარა ვართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ფრონტზე მოსვლამდე ვიყავით. მეტად დიდი ცვლილება მოხდა ჩვენში. უსვინდისო ვიყო, თუ დავფარო, პირველად სამსონმა რომ დაზვერვაზე წაგვიყვანა, ძალიან მეშინოდა, თავს ვამხნევებდი, მაგრამ რაღაცა ყველ ჩამოდარი ჩემში, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი ელანდებოდა... არა, სიკვდილი კი არა, რაღაც შავი, უსახო... უსვინდისო ვიყო, თუ ამისი სიტყვით გამოთქმა შეიძლებოდეს. არც თვალი აქვს, არც ხელი. გგონია, მთელი ქვეყნიერება, წყვდიადად შეკუმშული ქვეყნიერება გეხვევა გარს და გბოჭავს, სულს გიხუთავს. მაგრამ მერე, როცა მტერს თვალი შევავლე, თავის თავად მოხდა ჩემში ცვლილება. გეფიცებით, ბიჭებო, ისეთი ლონე ვიგრძენი, რომ შემდეგ მე თვითონ გამიკვირდა. ვთქვი: როგორ უნდა მაჯობოს ჩემს ქვეყანაში საავაზაკოდ შემოჭრილმა გარეწარმა-მეთქი. ესეც იმ ახალმა ძალამ სთქვა, რომელიც ჩემში და უსათუოდ თქვენშიაც იშვა. საიდან მოდის ეს ძალა? რატომ არ შეიძლება ჩვენი დამარცხება? იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანას ვიცავთ, ვიცავთ ისე, როგორც ჩვენი წინაპრები იცავდნენ. ჩვენს მამებს კი ბრძოლაში თავი არასოდეს არ შეურცხვენიათ. ამიტომ გადაურჩა ჩვენი სამშობლო მრავალ-სისხლიან მტარვალს. ადამიანის ხასიათი და მიდრეკილება ასეული წლობით მუშავდება. ჩვენში ჩვენი მამა-პაპების სული სცოცხლობს. ახლა, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავებით, იმ სულმა მთელი თავისი სიძლიერით იფეთქა და გაგვასალკლდევა. ამას გარდა, ჩვენ მთელს მსოფლიოში ყველაზე უბრწყინვალესი იდეა გვამოძრავებს. ამ იდეის დამარცხება არავის არ შეუძლია. ამიტომ... როგორ ვთქვა? უსვინდისო ვიყო, თუ ამას ისე ვამბობდე, როგორც სადღეგრძელოში გვჩვევია ხოლმე. ამ ბრძოლაში სიკვდილიც-კი სიცოცხლეს უდრის. ძნელი გასაგებია ეს, სიკვდილი სიკვდილიაო, იტყვით თქვენ. მაგრამ აბა დაუკვირდით: თუ გაზაფხულზე მიწაში თესლი არ ჩააგდე, ისე ხომ ნაყოფი არ ამოვა. აი სწორედ თესლივით გაიდგამს ფესვს ყოველი ჩვენგანი, ვინც ამ ბრძოლაში დაეცემა, გაიდგამს ფესვს და ახალ ცხოვრებას გადაეზრდება. ამიტომ, ბიჭებო, მოდით დავლიოთ იმ ახალი ადამიანის სადღეგრძელო, რომელიც ჩვენი მხრებით აგვყავს მაღლა. გაუმარჯოს მას, გაწმენდილს, გასხივოსნებულს, უკეთილშობილესი გრძნობებით აღსავსეს! ჩვენც მასთან ერთად ვივლით წინ, სულ წინ!

— გენაცვალე სულში! — წამოიძახა კოლიამ. — ეს მესმის, ნამდვილი სადღეგრძელოა! მხოლოდ ერთში-კი ვერ დავეთანხმები ჩვენს ფილოსოფოსს. სიკვდილი... ჩვენი მტრების ოჯახში სიკვდილი და ვაი უბედურება! რა ეშმაკად მინდა, ბიჭო, მე სიკვდილი? რა სჯობია იმას, შინ რომ გამარჯვებული დაბრუნდები, მკერდზე კაი ორდენი გეკნება დაკერებული. გიყვარდეს მაშინ ქეიფი და დროსტარება! გაიხედავ აგერ და აქით მეზობელი გეპატიჟება, მობრძანდი, კოლია, შენი ჭირიმე, გვეცი პატივიო. იქით მეორე არ გეშვება, არ დამკლა კაცი, უშენოდ ჩემს სუფრას არავითარი შნო არ ექნებაო. ნუ გეშინიათ ბიჭებო, მაშინ თქვენც არ დაგივიწყებთ, ყველგან წაგიყვანთ.

— ნუ შემარცხვინე, ბიჭო, აი გურული კაცი! — ღიმილით სთქვა ლადიმე გიორგაძემ. — რა შენი წაყვანა გვინდა? ერთი ჩვენში, გურიაში მომასწრო თქვენი თავი და მაშინ ნახავ, თუ გურულები რამეში ჩამოგრჩებით... ისე კი, ახლა დავითმა რომ ილაპარაკა, იმაზე მინდა ვთქვა. რაცხა უნდა გეტკინოს, თუ არა ისე გული არ აგეწვება. აქანაი რომ მოვედი და აი თავით ფეხამდე შეიარაღებული წუნკლები დავინახე, ყელამდე ავივსე მათი სიძულვილით. ზოგიერთი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობს. რა ეშმაკად მინდა ჩემი თა-

ვი, თუ მაგ სისხლისმსმელების ოხტში არ ამოვედი? ახლა უფრო მომდის გული იმ უკანდახეულებზე, ჩვენ რომ გზაზე გავიარაღეთ. კაი, ჩვენებიც კი ერიენ იგენში. ახლა რომ კიდევ შემხვდეს ისეთი, არ დავინდობ, ტყვეს ვკრავ გულში. გეთანხმები დავით — სიკვდილი სჯობია ზოგიერთი კაცის სიცოცხლეს. მართალია, კაცი ამ ქვეყანაზე მეორეჯერ არ მოვა, მარა კაის გამკეთებელს ის კაი მაინც დარჩება სახსოვრად. აი ჩვენი პოეტი რომ მოგვიკლეს, არჩილი, რაცხა დარწმუნებული ვარ, რომ მისი სახე ამ ქვეყანაში არ წაიშლება... მე, ბიჭებო, ერთი წინადადება შემომაქვს: მოდით, არჩილის ხსოვნის აღსანიშნავად ამ დღეებში თითოულმა ჩვენგანმა თითო ფაშისტი მაინც ჩააძალოს.

— დიდებულია! გენაცვალე სულში! — წამოიძახა კოლიამ, წამოხტა და სასმისი ასწია:

— ძმებო, ეს ჩვენი არჩილის სადღეგრძელო იყოს. გაუმარჯოს იმის მარჯვენას, ვინც არჩილის ხსოვნის აღსანიშნავად თითო ფაშისტს საიქიოს გაგზავნის მოციქულად თავის წინაპრებთან. მივიდენ იქ და მაგათ რომ ჩვევიათ, ისე გამოეჯგიმონ იმ სულკატიანებს და მოახსენონ — ასე სცოდნიათ ქართველებს შურისძიებაო. ასწიეთ სასმისი! ასე, გენაცვალეთ სულში!

კვლავ აუჩქარებლად დასცალა სასმისი კოლიამ. მოკლედ შეკრეჭილ წაბლისფერ ულვაშებზე თითები გადაისვა, მერე ლადიმეს მიაპყრო სიყვარულით გაბრწყინვებული თვალები.

— არა, ძმაო, ნუ გეწყინება და ამ წინადადებისათვის ერთი უნდა გაკოცო.

გადაიხარა, ლადიმეს კეფაზე ხელი მოჰხვია, მხურვალედ აკოცა, მერე ამხანაგებს დამნაშავესავით მოავლო თვალი, ხელები გაშალა, აღფრთოვანებით შესძახა:

— გენაცვალეთ სულში! ყველას, ყველას უნდა გაკოცოთ.

სათითაოდ ჩამოუარა ამხანაგებს, აკოცა, მერე კედელზე ჩამოკიდებულ მკრთალ სანათს შეჰხედა, ოდნავ აუწია, მიბრუნდა, ხელები გაშალა:

— განათდეს, განათდეს აქაურობა! კუპრი ჩაესხას თვალებში ჩვენს მტრებს! აბა, ირაკლი, გენაცვალე სულში, ერთი შენებურად ხმა შემომაწიე.

დაიხარა, ირაკლის ლოყას ლოყა მიაყრდნო და წკრიალა ხმით წამოიწყო:

— ჰაი და მრავალჟამიერ...

ირაკლის სახე უფრო მოეღრუბლა. ჭიქას მისწვდა, უსიტყვოდ დასცალა.

— კარგი, რაკი არ გსურს, მეც გავჩუმდები, — წყენით ჩაილაპარაკა კოლიამ და თავის ადგილზე დაჯდა.

ლადიმე გიორგაძემ ირაკლის სანუგეშებლად სთქვა:

— არა, ძმაო, არასოდეს არ დამავიწყდება ის სიხარული, გუშინ რომ ვიგრძენი. გერმანელი სნაიპერი გასაქანს არ გვაძლევდა, გივი ჯიქია იმან დაგვიჭრა. ვერ მივხვდი, საიდან ისროდა. ირაკლიმ შენიშნა: ხის ფოთლებში ყოფილიყო ჩამალული. შაშვი რომ გადმოგიგდია ხიდან, ისე გადმოაყირავა. მაშინ ვთქვი გუნებაში — ასე უნდა ძმის სისხლის აღება-მეთქი.

ირაკლიმ სქელი წარბები შეარხია, თვალები მოჭუტა, სიმწრისაგან ტუჩებზე იკბინა, მერე თავი გაიქნია და ყრუ ხმით სთქვა:

— დამაცადონ! ჯერ სად არის! ეგ შორიდან მოვკალ. ერთი მაგათი მეთაური უნდა ჩავიგდო ხელში, თვალებში ჩავხედო, ისეთი ზარი დავსცე, რომ სიკვდილშიაც სიკვდილს ნატრობდეს.

— გენაცვალე სულში, ირაკლი! ასე, ძმაო, ასე, ამოიღე ხმა! — მიეფერა კოლია. — ვაჟკაცი ვერავითარმა ნაღველმა ვერ უნდა შებოჭოს, ეცი შენ, რამდენი ჩვენგანი იხსენი, ის სნაიპერი რომ ჩამოაგდე? ჯიქია ლოდ, ეგეცვალე, სწორედ სულზე მომისწარი, თორემ მეც მიზანში ვყავდი ამოღებული.

ბესო გოგოლაძე მეტად კარგ გუნებაზე იყო. გამოძინება მოასწრო. ახლა დანაყრდა. ღვინოც ოდნავ მოეკიდა. საერთოდ ლაპარაკი არა სჩვეოდა, მაგრამ ლადიმემ რომ ირაკლი შეაქო, მასაც მოესურვა ეამბნა, თუ როგორ ჩამოაგდო ხიდან გერმანელი. თავის საქებრად როდი უნდოდა ეს, არა, გულმა უკარხანა ეთქვა, რომ ისიც არ ჩამორჩა ამხანაგებს. თან კიდევ რაღაც დიდმა გრძნობამ შეიპყრო და არ იცოდა, როგორ გამოეთქვა იგი. მოკრძალებით მიმართა ბარბაქაძეს:

— ერთი მეც მათქმევინეთ.

— გენაცვალე სულში, სთქვი, ბესოჯან, სთქვი. შენ ხარ ჩვენი ჭირისუფალი. მხოლოდ იცი რა, ძმობას გაფიცებ, თუ მკვდარი მნახო, ისეთ ადგილზე დამმარხე, რომ პირი ჩვენი მთებისკენ მქონდეს. ვინ იცის, ეგება ოდესმე მოვკრა თვალი ჩემს ოჯახს, ჩემს ვენახს. თუმცა რას ვამბობ, ვის უნახავს დამარხული რომ იმზირებოდეს, მარა მაინც ხომ იცით, კაცი იმედით ცოცხლობს.

— აი სწორედ მანდა ვარ მეცა, — წამოიწყო ბესომ. — მაგრამ ჯერ იმას გეტყვით, თუ როგორ მოვხვდით ტყვიის ბადეში მე და ჩვენი სანინსტრუქტორი, ეთერი, სამსონის დანიშნული. თქვენ ხომ ყველანი კარგად იცნობთ მას. აბა, ძმაო, ქალი ვარო, მაგას ეთქმის. რა ცეცხლში გამოვიარეთ, რა ცეცხლში!.. ჰო, იმას ვამბობდი, გავიხედეთ და ხეზე გადმომდგარი, ავტომატმომართული გერმანელი ხელს გვიქნევს, ცოცხლად ჩამბარდითო. ეთერმა მოჰკრა უწინ თვალი. ვითომ არ დაუნახავს. მომყევიო, მომაძახა და შველივით გადახტა. სიმინდში ჩავწექით. მაგრამ გასვლა არ გინდა? მოზუზუნე ტყვიებით ვართ შემოლობილი. მაშინ გავმართე ჩემი თოფი, კარგა დავუმიზნე. მოგეცათ ლხენა, უსულოდ გადმოყირავდა.

— გენაცვალე ხელებში, ვაჟკაცი ყოფილხარ! მერე, ბესოჯან. მერე?

— შემდეგ ორ ცეცხლში მოვყევით. ნალმებმა სული ამოიღო. მაგრამ ეგ ხო თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია. მე მინდა... როგორა ვთქვა? იმ ჯოჯოხეთში რომ ვართ და სული მეხუთება, იმ დროს დამავლო ხელი, ადგილი გამომაცვლევინა, გამამხნევა...

— ვინ, ბესო, ვინ დაგავლო ხელი?

— ვინა და ჩვენმა სამშობლომ. აი იმ ძალამ, რომელზედაც დავითმა ილაპარაკა. არა, ძმებო, ამას მე ვერ გამოვთქვამ, ვერ გაგაგებინებთ, მხოლოდ რა არის, იცით? რაღაც არის გაბმული ოქროს ძეწკვივით თითოეულ ჩვენთაგანსა და ჩვენს სამშობლოს შორის. თვალს რო ავლებ, ვერა ხედავ, ისე კი გრძნობ. გეგონება გულიდან ამოდისო და... ეჰ, ე ოხერი ენა რო არ მიჭრის!

— არაფერია, გული და თვალი ხომ გიჭრის? განაგრძე, — მიეშველა ბარბაქაძე.

— მე, ძმებო, წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი ვარ, ახალგაზრდობაში გაჭირვებამ კინალამ დამაბეჩავა. შეხედულებითაც არა ვარ დევგმირი, მაგრამ თუ სადმე ჩამოგრჩეთ, ნულარ მეღირსოს ჩემი ბალღების ნახვა.

ხმა აუთრთოლდა ბესოს, დიდრონი თვალები ცრემლით დაენამა, სასმისს ხარბად დაეწაფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად წრფელი, ინტიმური ძაფი გაიბა სუფრის ირგვლივ შემომსხდარ მებრძოლთა შორის. გულგაშლილად საუბრობდნენ, ურთიერთს გამარჯვების იმედს უნერგავდნენ.

ირაკლი კარაშვილის ნაღვლიან თვალებშიაც გაიელვა ღიმილის შუქმა, მოუფიქრებლად აიღო ჭიქა და რიხიანი ხმით სთქვა:

— ეს, ძმებო, იმას გაუმარჯოს, ვინც ცეცხლის ნიალვარს არ დაერიდება, ვაუკაცურად გადაალაჯებს. ყოველი მხრიდან ტყვიებს აყრიდნენ, ის მაინც წინ მიდიოდეს, მტერს სთელავდეს და კვლავ მათი შემუსვრა ენატრებოდეს, ერთი დაღუპული ძმის ნაცვლად ასი მტერი გაჟლიტოს, მაინც შურისძიება სწყუროდეს.

ამ სიტყვებში ირაკლიმ იმდენი გრძნობა ჩასდო, ისე მგზნებარედ გამოიყურებოდა, რომ ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ყველას ძარღვებში დაურღვეველი ფიცის ცეცხლოვანი ნაკადი აჩქროლდა.

დასხდნენ. თამბაქო გააბოლეს. კოლიამ ახალი სადღეგრძელო მოიფიქრა. ის იყო, უნდა დაეწყო, რომ შაქრო მაისაშვილმა ხელით ანიშნა: მე მაცალეო.

— აჰ, შენ, შაქრო! გენაცვალე სულში! ბიჭებო, სიტყვა შაქროს ეკუთვნის.

— თქვენ რა გიშავთ, შვილოსა, რა! — დინჯად დაიწყო შაქრომ, — ვეფხვებივითა ხართ. იმას კი არ კითხულობთ, ამოტელა კაცი როგორ უსამართლოდ ვიტანჯები...

— აპაპა! — წამოიძახა ბარბაქაძემ. — ეგენი არ იყოს, სხვა, სხვა; კაი რამე გვითხარი.

— დამაცა, შე დალოცვილო, ბურთი ხო არა ხარ, პირში რომ მეჩრები. იქნება მეცა ვთქვა ისეთი, რო თქვენ გესიამოვნოთ. არ მინდოდა ამ შემთხვევის გამხელა, მაგრამ თქვენ ვის არ შეაცდენთ. ეხლა ე ჩია კაცი შინ უნდა ვიჯდე, იქნებ ოჯახს რამეში გამოვდგომოდი. დაუჩემებიათ ამ ჩვენ დალოცვილ ექიმებს, გული კარგა მუშაობსო. შე კაი კაცო, გულიც რო აღარ მუშაობდეს, მაშინ რიღასი მაქნისი ვიქნებოდი...

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! თამადა ვარ და გართმევ სიტყვას!

შაქრომ შავ ულვაშებზე თითები მოისვა, წვრილ თვალებში ეშმაკური სხივი აუკიაფდა, დინჯად განაგრძო:

— მოიცა, ნუ ჩქარობ, გეთაყვა. საქმეს თუ თავი არ მოაბი, ისე ბოლო არ ივარგებს. მართალია, ჩია კაცი ვარ, მაგრამ ერთ ბობოლა ფაშისტს ვანანე ჩვენს მიწაზე თარეში.

— სად, როგორ?

— როგორა და... საბარგულზე ვიჯექი. სოფლის ბოლოს მოტოციკლისტი გაილანდა. თვალი კარგა მიჭრის. გადავხტი, მოსახვევში ჩავუსაფრდი. ყვარლის მთებში შველზე რო მინადირნია, ისეთ გუნებაზე ვიყავი. გავიხედე და დამფრთხალი ნადირივით გამოძვრა სწორედ იქ, საცა ველოდი. რას გავუშვებდი, შიგ გულში მოვარტყი. მიწამდე სული არ დაჰყოლია. ის მოტოციკლი, ავტომატი და ჩანთა აქ მოვიტანე.

— ვაშა შაქრო! გენაცვალე ხელებში! ემატოს ჩვენს ოჯახს.

— სადაა, შაქრო, ის ჩანთა? ვინ იცის, რა საბუთებია შიგ? — იკითხა დავითმა.

— ეგ როდი მიფიქრია.

— წადი, თუ ძმა ხარ, მოიტანე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ეხლავე.

— შენი ფანდურიც გამოიძღვანიე, — მიაძახა კოლიამ.

— გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, რომაა ნაქ�, სწორედ შაქროზეა ზედ-გამოჭრილი.

— არა, ლადიმე, — შეესიტყვა დავითი: — აქ სულ სხვა მიზეზია. მაგის გულშიაც ანთებულა ჩვენი წინაპრების სული. ცოტა კიდევ და ნახავ, რა მებრძოლი დადგება.

— აი დედასა, ე ოხერი, ფეხი არა მტკიოდეს! — ჩაილაპარაკა შემობრუნებულმა შაქრომ და ჩანთა დავითს გაუწოდა. — ნახე ერთი, იქნება მართლა იყოს შიგ რაიმე გამოსადეგი.

დავითმა ჩანთიდან ქაღალდები ამოიღო, თვალი გადაავლო.

— არა, ძმაო, ამას ჩვენ ვერაფერს გავუგებთ. შტაბს უნდა გადავცეთ. იქ არის ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი, საუცხოოდ იცის გერმანული.

— მაშ ეგ საკითხი მოხსნილია. ისმინეთ თამადის ბრძანება. შაქრო, დაუკარ შენებურად ეგ ფანდური!

— მე რად მავალებ, შენი ჭირიმე, ირაკლი ხომ აქ არის, — სთქვა შაქრომ და ფანდური ირაკლის გაუწოდა.

ირაკლიმ ჯერ შუბლშეკრულმა დახედა ფანდურს, მერე უცებ მძლავრად შეირხა:

— მაიტა.

სიმებს ყური მიაპყრო, ააწყო. თვალები მილულა, საკუთარ სულში ჩაიხედა, თავისი არსების სიღრმიდან უკუქცეული შუქით სახე გაუბრწყინდა. მძლავრად დაჰკრა თითები სიმებს, დაჰკრა და აერიალდნენ ჟრუანტელის მომგვრელი ხმები, დასდასად დაიყვნენ, ურთიერთს კილო შეუწყეს და გულაჩქროლებულ მებრძოლთ მშობლიური ალერსით მიეხმატკბილნენ.

ანკარა წყაროსავით სუფთა ხმით დაიწყო ირაკლიმ:

„შირაქში ერთმა მეცხვარემ...“

ირაკლის ხმა გაუბზარავი იყო. ოდნავ მოჭუტულ თვალთაგან გამომკრთალი შუქი ყველას თავისაკენ იზიდავდა. მაგრამ თვით სიმღერაში, მის მთრთოლვარე ჰანგში იყო რაღაც უსაზღვრო ნაღველი, არა მსუსხავი, არამედ მაამებელი, ზეაღმტაცი.

თითოეულ მათგანს მოუსმენია ეს სიმღერა, ირაკლისაც დაუმღერებია იგი ფანდურზე, მაგრამ ახლა, პირველი ცხარე ბრძოლის შემდეგ, როცა რამდენიმე თანამებრძოლი მათთან აღარ იყო, როცა ირაკლის უფროსი ძმა სამარეში იწვა, სულ სხვანაირად ესალბუნა მათ გულს ეს ძველი, ცრემლნარევი ჰანგი. იყო ერთი უწყვეტი წუხილი, საუკუნიდან საუკუნემდის მომდინარე, დაწმენდილი, მრავალთაობათა სულში გამოვლილი, თანაც თითოეულ მსმენელს თავისებური ელფერი შეჰქონდა შიგ, თავის ქვეყნიერებას ხედავდა.

თვითონ ირაკლი თავისავე ხმას გაჰყვა, ალაზნის ველს გაჰხედა. ნელინელ აიკრიბა ნისლი და სპეტაკი თოვლით მოსილი მწვერვალები გამოჩნდნენ, ისეთი უბიწონი, ისეთი ლამაზნი, თითქო გარსშემოფენილი გამსჭვირვალე ლაჟვარდი მათი გულიდან ამოდისო. მთიდან შირაქის მინდვრებს დააცქერდა. დაიძრნენ ცხვრის ფარები, შავნაბდიანი მწყემსები. მათ მოჰყვნენ ხმალ-ხანჯლიანი მხედრები და... უცებ ფერდობზე შეფენილი სასაფლაო, ძველისძველი სასაფლაო გამოჩნდა. [illegible]აწყვეტილი დედა ლოდთან ზის და მოსთქვამს. ირაკლისაც თვალები ცრემლით ენისლება. ახლა დედის ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის რძალს ხედავს, თებროს, რამდენიმე დღის წინათ ბრძოლაში დაღუპული ძმის მეუღლეს. თებროს უმცროსი ბავშვი აუყვანია და სევდიან თვალებს არ აშორებს იმ გზას, რომლითაც ქმარი უნდა დაბრუნდეს.

მღერის ცრემლით თვალდანამული ირაკლი და თან თითქო მომლოდინე თებროს ეუბნება:

— ველარ მოგივა, ბედშავო, შენი ქმარი, ველარ მოგივა...

*
* *

სამსონი ფარდულს მიუახლოვდა. სიმღერა მოესმა. უნებლიედ შესდგა. საოცრად ეამა ეს სევდიანი ჰანგი, თითქო იგი მის გულს შორეული ძახილივით გამოხმაურებოდეს. სწორედ ასეთ გუნებაზე იყო ახლა, როგორც ეს ფანდური ყღერს, სწორედ ასეთი გრძნობა გამოჰყვა, ბინიდან რომ გამოვიდა.

რატომ არ შეხედა ეთერს? მომდურებულივით რატომ დაშორდა? რა უსაზღვრო ბედნიერება მოეშხამა ამ საღამოს. ჯერ რაღაც უცნაური სიმძაფრით იგრძნო ის საფრთხე, რომელიც ეთერს ფრონტზე მოელის. მერე კი... რაა მართლა ეს, თვალთმაქცობაა თუ... ნუ თუ შალვას მხოლოდ ბრძოლის ველზე აქვს ნებისყოფა, ქალის წინაშე კი სანთელივით დნება? შეიძლება ამაში არც ხედავდეს რაიმე საძრახისს. ეთერი? ახ, ნეტავი ის ღიმილი არ დაეჭირა? სწორედ ისე გაუღიმა შალვას, როგორც სამსონს უღიმის ხოლმე. არა, წარმოუდგენელია. ამას სამსონი ვერ აიტანს. უნდა გაეცალოს ამ შხამიან ჯადოს, თორემ სუნთქვა აღარ ძალუძს. მალე, მალე უნდა შევიდეს ბნელ ღამეში, უფსკრულზე გაბმულ ბეწვის ხიდს გაჰყვეს, რომ ეს საზიზღარი ეჭვი გულს არა ღრღნიდეს.

სიმღერა შესწყდა. სამსონმა ხელი ჩაიქნია, თავის თავს უთხრა:

„ნუ სულელობ, საქმეს მიხედე“.

ფარდულში რომ შევიდა, სიმღერისაგან დაყენებული ბურანი მალე გაიფანტა და ბიჭებმა სამსონს სახეზე შეატყვეს, რომ მეტად მწვავე ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ.

XII

ოთხი ჯვარი

სოფელს რომ გასცილდნენ, წინ მიმავალი სამსონი უნებლიედ შესდგა.

— გაჰყევით, მოგეწევით, — უთხრა ბიჭებს და ხეს მიეყრდნო.

ლამის გული შეუღონდეს, ისე მძაფრად მოენატრა: ერთხელ მაინც შეევლო თვალი ეთერისათვის, ეხილა ის გამომეტყველება, რომელიც უდიდეს ნეტარებას ანიჭებდა.

აი ეს ბადრი სახე, შუქმფენი თვალების ეშხით გაბრწყინვებული, ეს ღიმილი, რომელიც მარტოოდენ სამსონს ეკუთვნის და მთელ ქვეყნიერებას კი შეიცავს.

ამ წამს სამსონისათვის თითქმის ხელშესახები გახდა ის გრძნობა, რასაც

სიყვარული ეწოდება, იმდენად შენივთდა იგი, იმდენად შემოემსჭვალა მის გულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას აჰხედა, მერე თვალი ირგვლივ მოავლო, მაგრამ არაფერი დაუნახავს. მხოლოდ ეთერს ხედავდა, ხედავდა იმ მწარტკბილი ჟრჟოლვით, რომელიც განშორებისას შეიპყრობს ხოლმე მიჯნურს. ამ წამს თითქო არც ომია, არც რაიმე საფრთხე მოელის ვისმეს, არის მხოლოდ სულზე უტკბესი არსებიდან გამომკრთალი შუქი, ესოდენ ახლობელი და თანაც სანატრელი.

— მოდი, ჩემო ძვირფასო! — ჩაილაპარაკა სამსონმა და თავისივე ხმამ შეაკრთო.

მყისვე საოცრად შეეცვალა ეთერს სახე. ეს სულ სხვა სახეა, უცხო, ცბიერი. შალვას შეჰყურებს თვალებში და ულიმის. ოჰ, ეს ღიმილი! რა გულუბრყვილო ყოფილა სამსონი. მას ეგონა, რომ ეთერი ასე სხვას ვერავის გაუღიმებდა, რომ ის სხივები მხოლოდ მისთვის ამოდიოდა ეთერის გულიდან. ახლა კი... შალვასთან ზის და ტკბილად საუბრობს. ან იქნება გარედ გაისეირნეს, ხელგამოდებულნი მიდიან ხეხილის ბაღში და არც ერთს, არც ეთერს და არც შალვას, არ ახსოვს, რომ სამსონი მტრის ბანაკისაკენ მიეშურება, იქნება ვერც კი დაბრუნდეს.

ნუთუ შეიძლება ასე უკვალოდ გაჰქრეს სიყვარულიცა და მეგობრობაც?

ვერავითარი პასუხი ვერ გასცა სამსონმა ამ კითხვას. მხოლოდ შეიგრძნო, რომ ტანში რაღაც სიცივე შეეპარა და ნერვიულმა ცახცახმა აიტანა.

თავისი თავი შეეცოდა და, საოცარია, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ მეომარს დედა მოენატრა, ბავშვივით მოუნდა მიეყრდნო თავი დედის მკერდზე, ეამბნა მისთვის, თუ როგორ დარჩა ობლად უცხო ქვეყანაში, როგორ დაჰკარგა სატრფოცა და მეგობარიც.

— სამსონი რატომღაც ძალიან უგუნებოდაა, — უთხრა კოლიამ ამხანაგებს. — დამიცადეთ, მივხედავ.

ფრთხილად მიუახლოვდა ხესთან მდგარ სამსონს. „რაღაცა აწუხებს ამ კაცს, მარა...“ გაიფიქრა თუ არა ეს, სამსონმა შენიშნა და გამოეხმაურა:

— ოჰ, კოლია, შენა ხარ? მგონი, დავიგვიანე... დიდხანს ხომ არ გალოდინეთ?

„საოცარია, — გაივლო გულში კოლიამ, — ისე მეკითხება, თითქო ჩასძინებოდეს და ახლა გამოღვიძებოდეს“.

— არა... მაინც მოვედი, ერთმანეთს არ დავშორდეთ-მეთქი.

— ეჰ, ჩემო კოლია, იქნება შენც გამოგიცდია ეს: ხანდახან კაცს თავი მობეზრდება, იტყვის, მოხდეს, რაც მოსახდენიაო.

— რატომ ბრძანებთ მაგას? ეგ თქვენ სულ არ შეგფერით.

სამსონს მწარედ გაეღიმა, კოლიასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო.

— ასე ოფიციალურად რატომ მელაპარაკები, კოლია?

— ბოდიში, სამსონ, რაღაც მეუცხოვე ამალამ... ძმობას გაფიცებ, ნუ დამიფარავ, რა გაწუხებს?

სამსონს ძალიან უნდოდა სავსებით გულახდილი ყოფილიყო კოლიასთან, მაგრამ თქმა რომ დააპირა, მაშინ მიხვდა, რომ ის, რაც მას ახლა სტანჯავდა, იმდენად დიდი იყო, რომ ენით არ გამოითქმებოდა. ამიტომ მხოლოდ ეს-ღა უთხრა:

— ჰმ! მაგის თქმა რომ ასე ადვილი იყოს...

— რატომ, შე კაცო, თუ კი გულს უნდა...

— საქმეც ისაა, რომ მე თვითონ არ ვიცი, რა უნდა ამ ეხერ გულს... დავანებოთ ამას თავი... შუალამეს გადაცილებულია, უნდა ვეძალოთ

კარგა მანძილი გაიარეს. კოლია, დავითი, ლადიმე და ირაკლი საკმაოდ ნასვამები იყვნენ, მაგრამ უკვე სავსებით გამოფხიზლდნენ, მხოლოდ იმ შეუმჩნეველი მღელვარებით იყვნენ შეპყრობილნი, რასაც ადამიანი მოახლოებული საფრთხის წინაშე გრძნობს ხოლმე.

სამსონი შესდგა. მებრძოლნი გარს შემოიკრიბა.

— როგორც ეტყობა, არავითარი კონტრიერიში არ არის მოსალოდნელი. ჩვენ მაინც მტრის ძალა უნდა შევისწავლოთ. გერმანელების სანგრებს შევუაროთ, ღრმა ზურგში შევიჭრათ. მე ერთი გეგმა მაქვს. მომყევით და მერე გაგიზიარებთ.

კოლია ბარბაქაძე სამსონის მშვიდმა და მტკიცე ხმამ გააოცა. ახლა სამსონი თითქო სულ სხვა კაცი იყო, მარტოოდენ საქმეზე ფიქრობდა, სხვა არაფერი არ აწუხებდა.

— გენაცვალე სულში! ღრმა ზურგში კი არა, თუ გინდა ბერლინში ჩაგყვები! — წამოიძახა გახარებულმა კოლიამ. მერე ირაკლის მიუბრუნდა:— აბა, ჩემო გულჯავრიანო ტარიელო, ახლა აგისრულდეს, მგონია, შენი ნატვრა.

რიეერაჟი მოახლოვდა. სამხრეთით, ცის მაღალ თაღთან, მტრედისფერ გუმბათებივით გამოინაკვთნენ კავკასიონის მწვერვალები.

სოფელი, რომელსაც სამსონი და მისი ამხანაგები მიადგნენ, გერმანელებს ჰქონდათ დაკავებული. სამსონს არავითარი გარკვეული გეგმა არა ჰქონდა. ბიჭებს რომ უთხრა, მე ერთი გეგმა მაქვსო, მაშინ თვითონაც ეგონა, რომ ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ალღოს მიჰყვებოდა. უფრო ის გრძნობა ამოქმედებდა, რომელიც თავზე ხელაღებულ ადამიანს დაებადება ხოლმე. შეუპოვრად მიუძღვებოდა წინ მებრძოლთ და ხანდახან გუნებაში იდუმლად იმუქრებოდა: „ხომ გამწირეთ... კარგი... არც მე დავინდობ ჩემს თავს... ვნახოთ, იქნება ინანოთ“...

თემშარის პირად გუშაგს მოჰკრეს თვალი. ცვრიან ბალახში ჩაწვნენ.

სამსონს წყაროს წყალივით შემოესხურა უცებ ნაფეთქი ფიქრი: „მე კარგი, თავს არ ვიზოგავ, მაგრამ ბიჭები?.. არ წახდე, ახლა გინდა ვაკაცობა“...

ერთბაშად მიხვდა, თუ რა ბავშვური მიამიტობა, რა მავნებლობა იქნებოდა, თავისი პირადი წუხილი რომ საერთო საქმესთან დაეკავშირებინა.

ხელმარცხნივ ჩირგვნარიანი ფერდობი იყო. იქით გახოხდნენ. სამსონს უნდოდა ერთი რაიმე გარკვეული გეგმა შეედგინა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ერთი მეორის საწინააღმდეგო შესაძლებლობა ესახებოდა.

— უსვინდისო ვიყო, თუ ვიცოდე, სად მივძვრებით, ან რა უნდა გავაკეთოთ? — სამსონის გასაგონად ჩაილაპარაკა დავითმა.

სამსონმა ეს საყვედური თავის თავზე მიიღო. მეტის-მეტად ემწვავა. ახლა დაეინებით გადასწყვიტა: რაღაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე უნდა გააკეთოს და თან ეს ბიჭები მშვიდობით გაიყვანოს.

— თქვენ აქ დამიცადეთ. მე ცოტას მივიხედ-მოვიხედავ და მოვბრუნდები, — სთქვა სამსონმა და ბუჩქებში გაძვრა.

— ბიჭებო, ამაღამ სამსონი რატომღაც ძალიან არეულ გუნებაზე მეჩვენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, — ჩუმი ხმით მიმართა კოლიამ ამხანაგებს. — რაღაც უჭირს გულში მაგ ბიჭს. უკან გავყვები.

— მეც მოვდივარ, — გადაჭრით სთქვა ირაკლიმ.

— კაი ახლა, თუ წასვლაა, ყველანი წავიდეთ, თუ არა და, დავიცადოთ, — გაჯავრდა ლადიმე გიორგაძე. — ის კაცი ჩვენი უფროსია, ბრძანება უნდა შევასრულოთ.

— დამიწყო ახლა! რა დროს ბრძანებაა, კაცო, სადაცაა გათენდება, ხაფანგში ვართ მომწყვდეული, — შეესიტყვა კოლია — დამიცადეთ, გავხედავ ერთი, საით მიდის. თუ დავუსტვინო, მოგვეშველენით.

სწრაფი ნაბიჯით გაეშურა. სამსონს ძლივს დაეწია.

სამსონმა ცალყბად შეხედა. არაფერი უთხრა, გზა განაგრძო. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ამხანაგების წინაშე თავი არ შეერცხვინა, ისეთი რამე მოემოქმედნა, რომ თავისიანებთან გამარჯვებული დაბრუნებულიყვნენ. მხოლოდ წამიერი ლანდივით თუ გაუელვებდა თვალწინ ეთერი და შალვა, მყისვე შუბლს შეიკრავდა, თვალებს მკაცრად მოჭუტავდა და გამოსავლის ძიებას შეუდგებოდა.

განთიადის შუქში თანდათან გამოჩნდა გრძლად გაფენილი სოფელი, რომელსაც შუაში ფართო გზატკეცილი ჩაუდიოდა. იმ ფერდობის ძირში-კი, რომელზედაც ახლა სამსონი და კოლია გადადგნენ, ერთი კარგი სახლი იდგა განმარტოებით, მშვენიერი ბაღით გარშემორტყმული. ჩასასვლელთან ბოსელი უნდა იყოს.

სამსონი სახლს დააკვირდა. ეზოში სამგზავრო მანქანა დაინახა.

„აჰა, იქ უეჭველად ოფიცრები იქნებიან", — გაიფიქრა და უმალვე გადაწყვიტა, რომ სწორედ ამ საქმისათვის მივიდა იქ.

— წადი, ბიჭებს დაუძახე, — უთხრა კოლიას და ხის ძირას ჩაჯდა, ავტომატი მუხლზე დაიდო, გარემოს დააკვირდა. „მალე გათენდება... ეს ცუდია, დღისით გასვლა შეუძლებელი იქნება... უნდა მოვასწროთ..."

ამ ფიქრში რომ იყო, ბოსელთან ვიღაცის ლანდს მოჰკრა თვალი. ქალი უნდა იყოს, თითქო ვიღაცას ემალებაო. აგერ კართან აიტუზა.

სამსონი კორდს მიეფარა და ისე ჩავიდა ბოსელთან.

ასეთ საბედისწერო წუთში ხანდახან ადამიანს ალღო გულთამხილაობის უნარს ანიჭებს. სამსონს იმ წამს ეჭვი არა ჰქონდა, რომ ის ქალი სანდო უნდა ყოფილიყო. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ჩუმი ხმით უთხრა:

— ნუ გეშინიან, დედა, შენიანი ვარ.

ქალი შეკრთა, დაფეთებული თვალები მიანათა სამსონს.

— ვინ ცხოვრობს ამ სახლში? — ისეთი ხმით შეეკითხა უცნობ ქალს, თითქო უკვე ურთიერთს გამოეცნაურნენო.

— შენ ვინა ხარ?

ქალი მკაცრად გამოიყურებოდა, ხმაში კი ალერსი გამოსჭვივოდა.

— ხომ გითხარი, შენიანი ვარ-მეთქი... დროს ნუ მაკარგვინებ, რა ხალხია აქ? რამდენია?

— მოიცა, შვილო, მაგ ერთმა კაცმა რა უნდა გააწყო?

— მაგისი ჯავრი ნუ გაქვს. მე აქ მთელი რაზმი მყავს.

— ღმერთო, ნუთუ მართლა? — აღმოხდა ქალს, სამსონს მხარზე ხელი დაადო, თვალებში ჩახედა: — ქართველი ხარ? — შეეკითხა ქართულად.

ამ ორმა სიტყვამ ისე გაახარა სამსონი, თითქო ღვიძლი დედა ენახოს.

— ჰო... ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

— ახლავე, შვილო. აქ მაგათი მეთაურია, ობერი.

ქალი ქართულად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ სამსონმა ბანც შეატყო, რომ იგი ოსი იყო. არ გაუკვირდა, სამხრეთ ოსეთიდან იქნებაო, გაიფიქრა.

— ამასთან მოჰყავთ, შვილო, ტყვეები, — განაგრძო ქალმა: — გუშინ რამდენიმე ქართველი მოიყვანეს. იმიტომ გკითხე ქართველი თუ ხარ-მეთქი. ამაღამ მარტო არის, თავისი ხასა ჩამოუვიდა. მხოლოდ აგერ, ჭიშკართან რომ ფარდულია, იმაშია სამი დარაჯი. მორიგეობით ყარაულობენ...

მამლებმა იყივლეს. მძინარე სოფელს მტრედისფერი ნათელი ეფინებოდა. ირგვლივ გამეფებულ დუმილს მხოლოდ ხანდახან ქვემეხების შორეული ქუხილი არღვევდა.

სამსონმა მოახლოვებულ ამხანაგებს ხელი დაუქნია. გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა. მხოლოდ ერთი დაბრკოლება აფიქრებდა: ობერთან როგორ უნდა შესულიყვნენ, მას ხომ კარი ჩაკეტილი ექნებოდა? მთავარი ის იყო, ეს საქმე უხმაუროდ გაკეთებულიყო, თორემ ისე გასვლა შეუძლებელი იქნებოდა. კვლავ ქალმა უშველა. ასწავლა, თუ როგორ შეიძლებოდა ფანჯრის ჩუმად გაღება.

— აბა, დედი, თქვენს სადგომში შედით. ჩვენ საქმეს რომ მოვრჩებით, მერე თავს უშველეთ, სანდო მეზობლები გეყოლებათ.

— ღმერთმა გიშველოთ, შვილებო, — წარსთქვა ქალმა და თავის სადგომისაკენ გაემართა.

ათი წუთიც არ გასულა, რომ გუშაგები უკვე თავიდან მოცილებული იყვნენ. პირველი, მღვიძარი გუშაგი ირაკლიმ გაგუდა: მიეპარა, ვეფხვივით გადახტა, წამსვე ძირს დასცა და ხელები ყელში წაუჭირა. ამის შემდეგ საძნელო აღარაფერი იყო.

ჭიშკართან დავითი დასტოვეს. სხვები მაღლა ავიდნენ. ფანჯარა სამსონმა გააღო, რევოლვერი მოიმარჯვა, ფრთხილად გადახტა.

ლოგინს რიჟრაჟის მკრთალი შუქი ეფინა. მწოლარენი ღრმა ძილში იყვნენ. მაგრამ აგერ კოლიამ ფანჯრიდან გადასვლის დროს იატაკზე ფეხი დაჰკრა. ობერმა მყისვე თავი წამოსწია. ასე ეღვიძება ხოლმე გულში შიშჩარჩენილ კაცს. გაშეშდა. თვალები გაუფართოვდა.

სამსონს გულისამრევი ზიზღი აღეძრა არა მარტო ამ გარეწარისადმი, არამედ საერთოდ ერთად მწოლარე ქალ-ვაჟისადმი. სადღაც, გონების რომელიღაც კუნჭულს წარმოესახა, რომ შესაძლოა ეთერიც ასე დაწვეს სხვასთან, იქნებ შალვა ყიფშიძესთან. იმდენად შემაძრწუნებელი იყო ეს წარმოდგენა, რომ ვერ შეამჩნია, თუ როგორ აპარებდა ხელს ობერი სასთუმალთან მდებარე რევოლვერისაკენ.

ირაკლი როდი გადახტა, გადაფრინდა და ობერი ტახტიდან ძირს დაითრია.

— დაიცა, არ დაახრჩო! — უბრძანა სამსონმა.

— რაო? — გაკვირვებით აჰხედა ირაკლიმ. — ჰო, სწორია... სიკვდილშიაც სიკვდილი ინატროს! — ყრუდ ჩაილაპარაკა და ზარდაცემულ ფაშისტს ხელები შეუშვა.

ამასობაში ქალს გაეღვიძა. თავი წამოსწია. გაქვავდა. მერე უცებ შეირხა, წამოხტომა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო, რალაც მელიის ხავილის მსგავსი ხმა აღმოხდა.

ქალს მწიფე ფორთოხლისფერი თმა ჰქონდა, თეთრი, ახლა შიმშისაგან მთლად გაფითრებული სახე და ჭრელი თვალები, ისეთი ცივი, თითქო ნახტომისათვის მომზადებული კატა გამოიყურებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონი რომ ჩანთაში ქაღალდებს ალაგებდა, ლადიმემ ვერ მოითმინა და ქალს ჰკითხა:

— სადაური ხარ?

ქალმა ტუჩები უმწეოდ შეარხია, ხმის ამოღება ვერ შესძლო.

— ფუ რა საძაგელი ხარ! შენი ქვეყნის ჯალათს გვერდში უწევხარ.

ამ შერისხვამ ქალს ცნობიერება დაუბრუნა, რაღაც იმედი მიეცა:

— ღვთის გულისათვის, ნუ მომკლავთ...

კოლია ბარბაქაძემ ოთახს თვალი მოავლო, დარბაზში გავიდა. მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი იდგა, მათ შორის ორი ბოთლი კონიაკი გაუხსნელი იყო. ულვაშებში ოდნავ ჩაიღიმა, ერთი ბოთლი თითონ ჩაიდგა ჯიბეში, მეორე ლადიმეს ჩაუდო. მესამეს, ნაკლულს, თავი მაგრა მოუცო, ჩანთაში მოათავსა.

ამასობაში დილის სინათლემ ოთახი გააშუქა.

„შემოგვათენდა“, — გაიფიქრა სამსონმა და ბიჭებს უბრძანა:

— ეგ შეჰკარით, პირში რაიმე ჩასჩარეთ, რომ კრინტი ვერ დასძრას. თუ თავისი ფეხით არ წამოვიდეს, წამოიღეთ. ეგ ქალი კი აქ ჩაკეტეთ. ნუ გეშინიან, ქალო, მალე მოვლენ და კარს გაგიღებენ. უთხარი, პარტიზანები იყვნენ-თქო. ეგ ჯერ დასაწყისია, ამიერიდან ნახეთ, რა დღეს დაგაყრიან-თქო.

სთქვა ეს სამსონმა და ობერს გადახედა. ირაკლი პირში ქალის მანდილსა სჩრიდა. პერანგის საკინძი გახსნილი ჰქონდა. სხვა არა ეცვა რა.

— ასე შიშველი სად უნდა ვათრიოთ. აუშვი, ტანთ ჩაიცვას. — ბრძანა კვლავ სამსონმა. აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ წამს მასში ძველი ქართველი რაინდების სულმა გაიღვიძა, იმ რაინდებისა, რომელნიც მტერს მხოლოდ თანაბარი იარაღით შეებრძოლებოდნენ.

ობერი მყისვე წამოხტა. ტანადი კაცი იყო, მოგრძო სახე ჰქონდა, ქერა თმა, ცისფერი თვალები. შარვალი მარდად ჩაიცვა, ხალათის ასაღებად დაიხარა, საოცარი სისწრაფით შებრუნდა, რევოლვერი გამართა.

ტყვიამ სამსონს ყურის ძირთან გაუარა.

იმავე წამს ირაკლის ხელში იმ დანამ იელვა, რომლითაც გერმანელმა მისი ძმა მოჰკლა. მარცხენა ხელი რევოლვერზე აუკრა ობერს, ხოლო მარჯვენათი გულში დანა ჩასცა.

ლადიმემ ჩაკეცილ ობერს ხელიდან რევოლვერი გამოგლიჯა.

„საქმე ცუდად შეტრიალდა. სროლას გაიგონებდნენ, ვეღარ გავალთ“. — გადასწყვიტა სამსონმა და აჩქარდა.

— აბა, მომყევით, — წამოიძახა და ძირს ჩაირბინა. შეშფოთებული დავითი კიბესთან დახვდა.

*
* *

კარგა ხანს იყო ქალი გაშეშებული. მერე გამოერკვა, აწეწილ თმაზე ხელი გადაისვა. წამოიმართა, იატაკზე გულაღმა გაწოლილ ობერს დააცქერდა. მკერდიდან სისხლი ჯერ კიდევ მოჟონავდა, რამდენიმე ნაკადი კედელს სწვდებოდა.

ქალს ტუჩები ისე შეერხა, თითქო უნდა აქვითინდესო. მაგრამ წამსვე შეგლი შეიკრა და საყვარლის ცხედარს ზიზღით თვალი აარიდა. ადგა, ტანთ ჩაიცვა. სარკესთან მივიდა, თმა დაივარცხნა, ლოყებზე პუდრიანი ხელი-ამოისვა, ტუჩები შეიღება. მერე ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა. თვალუწვდენელ ჭალას ამომავალი მზის შუქი ლივლივით ეფინებოდა. ამ ლამაზმა დილამ ქალს თითქო რაღაც სასწრაფო საქმე მოაგონა, უმალვე შეტრიალდა, მოკლულთან მივიდა, შარვლის ჯიბიდან ქაღალდები ამოუღო, გაშეშებულ თითიდან ბეჭდები წააძრო, შემდეგ ხალათის ჯიბეები გაუჩხრიკა, საათი და ფული თავის ჩემოდანში ჩააწყო.

ამ დროს კიბეზე გარნიზონის უფროსმა აირბინა. აივანზე ჯარისკაცები გამოიჯგიმნენ.

ქალმა მეტად მწუხარე გამომეტყველება მიიღო, იმდენად მწუხარე, თითქო ამ ქვეყნად აღარაფერი აღარ დარჩენიაო ცრემლად დაწურულს.

გარნიზონის უფროსი, წითური, ჩასუქებული გერმანელი ზღურბლთან შესდგა, მოკლულს დააცქერდა, მერე თვალი ქალზე გადაიტანა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია?! — აღმოხდა მას. — ვინ? როგორ?

მწუხარებისაგან გაქვავებულივით გაუძნელდა ქალს თავის აწევა. ცრემლები წამოსცვივდა, ატირდა.

გერმანელი მოკლულს მივარდა, ოთახში მიიხედ-მოიხედა, მერე უცებ ბრაზი მოერია, მკაცრი ხმით მიმართა აქვითინებულ ქალს:

— გეკითხებით, ვინ ჩაიდინა ეს? მალე, დროს ნუ გვაკარგვინებთ!

— პარტიზანები იყვნენ, პარტიზანები, — ჩაილაპარაკა ქალმა და ამ სიტყვებში თავისდა უნებლიედ ჩააწვეთა გულში ბალლამივით დაგროვილი გესლი.

— პარტიზანები?! სად? როგორ? რამდენი?

გერმანელს მთელი სხეული აუცახცახდა. ქალს მიაშურა, თავი აუწია, თვალებში ჩახედა.

— რამდენი იყო? საით წავიდნენ?

— არ დამითვლია, ბევრნი იყვნენ. ქვევითაც იდგნენ.

— პარტიზანები! გესმით, პარტიზანები! — აროხროხდა გერმანელი და გარეთ გაიჭრა. — ასე მალე სად წავიდოდნენ. ახლოს იქნებიან. მდევრები, ჩქარა!

სოფელს ალყა შემოარტყეს, საეჭვო მხარისაკენ რაზმი აფრინეს, მაგრამ პარტიზანების კვალს ვერსად მიაგნეს.

ბოლოს თავიანთ ცხედრებს მიხედეს. სოფლის ბაღში დამარხეს. საბჭოთა მიწაში ჩაწოლილ დამპყრობელთა უდღეურ სახსოვრებს ოთხი ჯვარი მიემატა.

XIII

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ბოსლის მახლობლად, თივას ვეებერთელა ზვინებს შორის, ფართო გამოქვაბულის შესასვლელთან იჯდა სამსონი. მთავარი საფრთხე უკვე განვლილი იყო, მაგრამ მაინც ფხიზლობდა, სმენად იყო გადაქცეული. ყოველ ჩქამს აკვირდებოდა. საეჭვო ხმა თუ შემოესმებოდა, ადგებოდა, ჭუჭრუტანიდან

ეზოს გახედავდა, მერე ისევ თივაზე ჩამოჯდებოდა, ავტომატს შუბლზე დაიდებდა და ნაღვლიან ფიქრს განაგრძობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი კადნიერება იყო ეს, იმავე ეზოში რომ დარჩენ, სადაც ბანაკებული გერმანელები პარტიზანების კვალს ეძებდნენ. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. თავისიანებისაგან ძალიან მოშორებულნი იყვნენ, ბრძოლით გასვლა არ ხერხდებოდა, აქ დარჩენა-კი დიასახლისის მეოხებით მოისაზრეს.

ერთის წამით ჩაფიქრებული სამსონი რომ წასასვლელ გზას ირჩევდა, იმ დროს მიაშურა დიასახლისმა:

— უკვე დღეა, შვილო, ვერ გახვალთ. საღამომდე ისევ აქ დაიმალენით. აგერ თივებში. როცა მოვლენ, ვეტყვი, ტყისკენ გაიქცნენ-მეთქი.

— დიდებულია! — წამოიძახა კოლიამ. — აბა მალე, თვალი არავინ მოგვკრას.

სამსონს მაინცადამაინც არ მოეწონა დიასახლისის რჩევა, — ამ ხაფანგში ყოფნას ბრძოლით გზის გაკაფვას ამჯობინებდა. მაგრამ რაკი ბიჭებმა აქ დარჩენა ისურვეს, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მეტადრე იმის გამო, რომ თავს დამნაშავედ სთვლიდა: ასე შორს არ უნდა შემოვჭრილიყავი, მაშინ თავზე აღარ დაგვათენდებოდაო. ახლა მხოლოდ იმას ნატრობდა, ეს ბიჭები როგორმე მშვიდობით გაეყვანა.

შუა დღე მოახლოვდა. სამსონმა კინაღამ ჩასთვლიმა. დახრილი თვალები ფართოდ გააღო და, ძილი რომ არ მორეოდა, ტვინში ჩამჯდარი, მოუშორებელი ფიქრი გაამძაფრა:

„მოცლილი ნუ ხარ, რა დროს სიყვარულია! ქვეყანა სისხლში ცურავს. შენ-კი რაღაც უცვლელ და ამამაღლებელ გრძნობაზე ფიქრობ. ვის რად უნდა? ან ვისა სცალიან ამისთვის? შენ კი ანგელოზებს დაეძებ. ნესტანი და ტარიელი გელანდება. შენ გინდა, ეთერი თინათინს ჰგავდეს. ზღაპარია, ჩემო კარგო, ეგ, ზღაპარი. სინამდვილე-კი საშინელი ომია...“

უცებ შეკრთა წამწამებ-დამძიმებული სამსონი. თავი გაიქნია, თავის თავს შეედავა:

„ფუ! რას არ გაიფიქრებს კაცი! აგერ ეს ბიჭები... განა ესენი უკეთილშობილესი ადამიანები არ არიან? თავისი ქვეყნისთვის სიცოცხლეს არა ზოგავენ. ერთმანეთისათვის თავს სდებენ. მიუტოვებიათ მშობლები, ცოლ-შვილი და სიკვდილს თვალებში შეჰყურებენ... არა, სწორედ ახლა ანათებს იგი — უდიდესი სიყვარული, ეს უკვდავი გრძნობა, რომელიც სრულიად უბრალო ადამიანს ნამდვილ გმირად აქცევს. კი, მაგრამ იმათაც ხომ უყვართ... ამ იმ ახმახ გერმანელს, რომელსაც ამ დილით ირაკლიმ გულში დანა ჩასცა... რაო? — წამოიძახა სამსონმა და გული მოუვიდა, შუბლი შეიკრა, თვალები მკაცრად მოჭუტა: — ვის გაუგონია მაგათი სიყვარული? სწორედ ეგენი არიან მხეცები, ბარბაროსები. სწორედ მაგათი ფესვი უნდა ამოვარდეს. მაგათ, მაგ კაციჭამიებმა წამოიწყეს ეს ხოცვა-ჟლეტა. სწოლედ ის სული უნდა აღმოიფხვრას, რომელიც მაგათ ამოძრავებს. მაშინ

გაშლის ფრთას ის გრძნობა, რომელიც აგერ ამ ბიჭებში, მთელ ჩვენს სამშობლოში ღვივის, — ქვეყნისათვის თავდადება, შრომა, სიყვარული... მერე იცი შენ, რა არის სიყვარული? აი ახლა ეთერი რომ დამანახა, მისი ხმა რომ გამაგონა... არა, არ გემდური, ეთერ... იქნება მეტის-მეტად რომ მიყვარხარ, იმიტომ მეჩვენება... რად მინდა სიცოცხლე უშენოდ! აი შენ კვლავ ჩემსკენ იხედები, შენი ლამაზი თვალების სხივი სწვდება ჩემს გულს. მოდი, ჩემო ძვირფასო! ახლა მე ისევ მხნე ვარ და უძლეველი...“

— სამსონ! — მოესმა ამ დროს დავითის ხმა: — მოდი ახლა, მოისვენე. კარგა ხანია მღვიძავს, თვალს გადევნებ. ბევრს ფიქრობ, ძამია, ბევრს. თუ ხათრი გაქვს, მოდი, მიწექი. მე ვიფხიზლებ.

— კარგი, — დაეთანხმა სამსონი. თივაზე მიწვა. თვალი რომ დახუჭა, ვიდრე ჩაეძინებოდა, ოცნებით ეთერს ეამბორა.

დავითმა ხელმანდილით თვალები ამოიწმინდა, სახეზე ხელები ისე ჩამოისვა, თითქო პირს იბანსო. მერე ავტომატს დახედა, დისკოზე დაყრილ თივის მტვერს სული შეუბერა, ხალათის კალთით გაწმინდა. მხრები გაშალა. წელზე ხელყუმბარები გაისწორა. მაინც თავს რაღაც შეხუთულად გრძნობდა, თითქო ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულაო. დავითს ჩვეულებად ჰქონდა ფიქრიდან ფიქრზე სწრაფი გადასვლა, ყველაფრის აწონ-დაწონა. მაგრამ ახლა მისი გონება მეტად ზანტად მუშაობდა. ისეთ გუნებაზე იყო, თითქო უცნაურ ჯურღმულში მომწყვდეულიყოს და იქიდან გასვლის შესაძლებლობა რაღაც უხილავი ძალის ნებაზე იყოს დამოკიდებული. შესაძლოა, ასეთი მდგომარეობა ადამიანისათვის ყველაზე უფრო მტანჯველი იყოს, რადგან თუ კაცს თავის თავის იმედი დაეკარგა, მეტად საცოდავ არსებად იქცევა. დავითს ძალიან უნდოდა გამოცოცხლებულიყო, თივის ზვინებით შემოზღუდული ბუნაგის მიღმა გადაეხედნა, მაგრამ ძალა არა ჰყოფნიდა, ეგონა, იქ ისეთი ქაოსი იყო გაბატონებული, რომ სანუგეშოს ვერას ჰპოვებდა. ვერც ეს გამაოგნებელი უმოქმედობა აეტანა. გულის ჯიბიდან დაჭმუჭვნილი წერილი ამოიღო. კარგახნის წინათ მიიღო ეს წერილი. ზეპირად იცოდა. მაგრამ ასოების მოყვანილობას რომ აკვირდებოდა, სიტყვებსა და სიტყვებს შუა ნაგულისხმევ აზრს რომ კითხულობდა, დიდ სიხარულსა გრძნობდა.

„გულიდან მოუშორებელო, ჩემო იმედო დავით, — სწერდა ცოლი, — ჩვენ ყველანი კარგად ვართ, ჩვენზე არ იდარდო. შენი გამარჯვების იმედით ვცოცხლობთ. რა ბედნიერი ვიქნებით, შინ რომ მშვიდობით დაგვიბრუნდები...“

დავითმა წერილს თვალი მოსწყვიტა. უცებ წარმოიდგინა, თუ როგორ შეუხვია თემშარიდან თავის ეზოსაკენ.

ბიჭიკო ოდის წინ კოინდარში თამაშობს. ყველაზე უწინ მაინც დედამ დანახა შინ მიმავალი დავითი. მას ცოლი აედევნა. ბიჭიკო შესდგა, თითი პირში ჩაიდო და დავითს განცვიფრებით მისჩერებია.

— ნენა, შვილო! შენი სულის ჭირიმე, შვილო! — ისე ცხადად მოესმა ეს სიტყვები, რომ ჟრუანტელმა დაუარა, ამოიოხრა. კვლავ წერილს დააცქერდა.

„...მოსავალი ძალიან კარგია. ჩვენ, მე და დედას ასოცი შრომა დღე გვაქვს ჯერჯერობით...“

ამ სიტყვებმა დავითი თავის სოფელში მიმოატარა. კოლმეურნეობის ყანებს გადახედა. აგერ ხეხილის ბაღებიც, მტევნებით დახუნძული ვენახი, ბოსტანი, სანერგე. ყოველივე ეს გულგაშლილი მასპინძელივით თავისკენ

ეპატიჟება დავითს. იქვე ახლოსაა ფართო ეზოში აღმართული ორსართულიანი საშუალო სკოლის შენობა. აქ ასწავლიდა დავითი ენასა და ლიტერატურას უფროსი კლასის მოწაფეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კლასში შეიხედა დავითმა. ნაცნობებს გაუღიმა. მერე ისევ თავის ეზოს დაუბრუნდა. ბიჭიკოს მოეხვია, აიყვანა, ბოსტანში გადააბიჯა, თეთრი, შაქარივით ტკბილი ლეღვი მოჭრიფა.

ამ დროს მეზობლის სახლიდან კივილი მოესმა. ეს ხომ გივი ჯიქიას დედაა! ნუთუ ასე მალე გაიგო, რომ გივი მძიმედ არის დაჭრილი?

წერილი დაკეცა დავითმა, ჯიბეში ჩაიდო, ოდნავ გასაგონი ხმით შეეკითხა თავის თავს: „ნეტავი როგორაა ახლა გივი?“

თავისმავე ხმამ გამოარკვია, მძინარე ამხანაგებს სათითაოდ თვალი მოავლო, შემდეგ ადგა და ეზოში გაიჭვრიტა.

რა სიმშვიდეა იქ, თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს. იქნებ ამ სახლმა და ეზომ მისტიური შიშიც-კი აღუძრა გერმანელებს. მართლაც, უსაზღვროდ გაოცებული იქნებიან ისინი. რასა ჰგავს ეს: მზის ამოსვლისას პარტიზანები აქ იყვნენ, ოთხი კაცი მოუკლეს და სულ რაღაც ოც წუთში ისე გაჭრნენ, რომ მათ კვალს ვერსად მიაგნეს!

„ჩვენ-კი აქა ვართ, — გაიფიქრა დავითმა და ღიმილი მოერია, კარგ გუნებაზე დადგა. — მაშ როგორ გგონიათ? ჩვენ შინა ვართ, ჩვენს ქვეყანაში. აქ ადამიანები კი არა, თვით მიწა, ყოველი სულდგმული, ყოველ მცენარე ჩვენი შემწეა, ჩვენ გვიმაგრებს ზურგს. თქვენ კი (აქ დავითმა ფიქრში მრისხანე მუქარა ჩაადუღა) ცოფიანი მგლებივით გამოვარდნილხართ თქვენი ბუნაგებიდან, ადამიანის ნასახიც აღარ შეგრჩენიათ. სად მოთარეშობთ? რა იმედით? კავკასიონის კარები უნდა შელეწოთ? ვერ მოგართვით. აქედან დაიწყება თქვენი განადგურება. დაგვაცალეთ, შავ დღეს დაგაყრით, ისეთ დღეს, რომ სიკვდილი გენატრებოდეთ. არა, ირაკლი უფრო კარგად ამბობს: სიკვდილშიაც სიკვდილი გენატრებოდეთ. თორემ რაა სიკვდილი იმისთვის, ვისაც მომავალი ეკუთვნის, ვინც მართალი საქმისათვის იბრძვის? ასეთი მებრძოლის სიკვდილი სიცოცხლეს უდრის, მუდამ იხარებენ მისი ფესვები, თაობიდან თაობას გადაეცემიან...“

ფაჩუნი მოესმა. ავტომატი აიღო, ეზოში გაიჭვრიტა. ვიღაცის ფეხის ხმაა, ზვინს ეფარება.

— ბიჭებო, გაიღვიძეთ! — სისინით გასძახა ამხანაგებს. თან თითქო დასამშვიდებლად უთხრა თავის თავს: გარს თუ შემოგვერტყნენ, ვერ გავალთ... არაფერია, ძვირად დავუსვამთ...

— არ შეგეშინდეთ, შვილო, მე ვარ, — მოესმა ამ დროს დიასახლისის ხმა და მოულოდნელმა სიხარულმა ერუანტელივით დაუარა თავიდან ფეხამდის.

აგერ შემოძვრა იგი ვიწრო შემოსასვლელში. აბრეშუმის წამოსასხამი მხრებიდან გადაუჩოჩდა, ხელში აბგა უჭირავს.

— რა ამბავია? — იკითხა შეშფოთებულმა ირაკლიმ.

სამსონი, კოლია და ლადიმეც წამოხტნენ. ავტომატებს ეცნენ.

— არაფერია, ჩვენმა დედობილმა მოგვაკითხა, — დაამშვიდა ყველანი დავითმა.

— დავაგვიანე, თქვენი ჭირიმე, — მოიბოდიშა დიასახლისმა და აბგა ძირს დასდო. თითონაც ჩაიმუხლა, რადგან იმდენად მაღალი და ტანსავსე იყო, რომ სადგომში ვერ იმართებოდა. ბამბის ფთილასავით თეთრი თმა ჰქონდა,

შავი წარბები, ღაჟღაჟა ღაწვები და დიდრონი, სიცოცხლით სავსე თვალები. მაღალი ცხვირი და წინწამოხრილი პრტყელი ნიკაპი ისეთი სიმტკიცეს ეფერს აძლევდა მის გამომეტყველებას, რომ უნებლიედ იფიქრებდი: ეს ქალი არავითარი დაბრკოლების წინაშე უკან არ დაიხევსო.

— მოშივებული იქნებით, თქვენი ჭირიმეთ. აქამდის უნდა მოვსულიყავი, მაგრამ მაგ წყეულებს ვერიდებოდი. ესეც მეზობლისას დავამზადებინე, — სთქვა დიასახლისმა და აბგას გოგრის ფოთოლი გადააძრო.

— თქვენ ნუ სწუხდებით, დედა-ბატონო, — წამოიძახა კოლიამ, დიასახლისთან მიჩოჩდა, აბგა წინ დაიდო, თავისებური ეშხით შეუდგა სუფრის გაშლას.

— რა ამბავია, დედი, სოფელში? — იკითხა სამსონმა.

— იჰ, მაგათი სიკვდილი, მაგ წყეულებისა! სულ გადაქექეს ყველაფერი. აგრემც გამჩენი თქვენს თავს მიცოცხლებს, როგორადაც მაგათ ზარი დაეცათ. ხალხისა ეშინიანთ, თქვენი ჭირიმე, ხალხისა. ისე გვიყურებენ, ვითომ ყოველ ჩვენგანს შეუძლიან ყუმბარად იქცეს და აფეთქდესო. დილას, ეგ ამბავი რომ გაიგეს, ლობე-ყორეს მოედვნენ, რა ექნათ, არ იცოდნენ. ბოლოს ყველა კუთხე გაჩხრიკეს, გასასვლელისაკენ ჯარისკაცები აფრინეს, მახლობლად ერთი ტყეა, იმას შეესივნენ. აბა, როგორ წარმოიდგენენ, თქვენ თუ აქა ხართ, იმავე ეზოში. აგრემც თქვენ გაიხარენით, როგორადაც ჩვენ გული მოგვაოხებინეთ.

— რა, სხვებმაც იციან ჩვენი აქ ყოფნა? — უნებლიედ იკითხა შეშფოთებულმა სამსონმა.

— არა, შვილო, სხვებს რად ვეტყოდი. მაგრამ ხო გაიგეს, რაც მოხდა. სასიხარულოდ ესეც ეყოფათ.

— გმადლობთ, დედი, თქვენს პატივისცემას არასოდეს არ დავივიწყებთ.

— რასა ბრძანებთ, შენი ჭირიმე, — შეესიტყვა სამსონს დიასახლისი. — ეგ რა პატივისცემაა, ეგ ჩვენი მოვალეობაა... მე, შვილო, აგრე ნუ კი მიყურებ, მარტოხელა ქალს რო მხედავ. თერთმეტი შვილის დედა ვარ. ამათგან შვიდი ცოცხალი მყავს. სამი ქალიშვილი გათხოვილია, ოთხი ვაჟიდან სამი ჯარშია, ერთი კავკავშია, დიდი ადგილი უჭირავს, მთავრობის კაცია. რძლები და შვილიშვილები გახიზნულები მყვანან. მე ოჯახის მცველად ჩამოვრჩი... რას იზამ, შენი ჭირიმე, ძნელია ამოდენა ნაწვავ-ნადაგის მიტოვება... ერთი სიძე პარტიზანებთანაა. ამ დილას იმას ველოდი. სწორედ მაშინ გამოჩნდით თქვენ.

— ბედი გვქონია, — სთქვა კოლიამ, რომელიც მარილში მოხარშულ ქათამს სამართებელივით ბასრი დანით სჭრიდა და გოგრის ფოთლებზე ალაგებდა.

— ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული ვიგრძენი, თქვენგან რომ ქართული სიტყვა გავიგონე, — მოკრძალებული სიყვარულით უთხრა სამსონმა.

— მე, შენი ჭირიმე, ქართლში გავიზარდე, გედევანიშვილის ოჯახში. ოსური ენა აქეთ რო გამოვთხოვდი, მერე ვისწავლე. მეცა, შვილებს გეფიცებით, ცას ვეწიე, ქართველები რო დაგინახეთ. ისე კი გაგებული მქონდა, აქ რო ქართველები იბრძვით. აკი ვთქვი, გუშინ სამი ტყვე მოიყვანეს-მეთქი...

— ბოდიში, დედა-ბატონო, — შეაჩერა კოლია ბარბაქაძემ, — ამათ რო უყურებთ, შიმშილისაგან კუჭი ეწვით.

ეს რომ სთქვა, პურის ნაჭრები მიაწყო-მოაწყო, მასპინძელივით მოიბოდიშა:

— უკაცრავად კი ვარ, მარა ამაზე უკეთესად აღარ მომიხერხდა სუფრის გაწყობა. აბა, მიირთვით. თქვენც, დედა-ბატონო, თქვენც დაგვეწვიეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გმადლობთ, შვილო. მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ.

ყველანი მადიანად შეუდგნენ ჭამას. რაღაც უსაზომოდ გემრიელი იყო ამ თივაში, მტრის ცხვირწინ გაშლილი სუფრა, ეს სუფთა ხორბლის პური, ეს ყველი, ეს მსუქანი ქათამი.

კოლიას გულმა არ მოუთმინა, დიასახლისი რომ არაფერს სჭამდა, ქათმის მკერდი და პურის ნატეხი აიღო, მოწიწებით გაუწოდა.

— თუ ხათრი გაქვთ, დედა-ბატონო, გატეხეთ ჩვენთან ერთი ლუკმა.

დიასახლისს ამ გულითადმა შეპატიჟებამ ღიმილი მოჰგვარა, მიწოდებული გამოართვა.

— აი ეს მესმის, ახლა დაშვენდება დედაშვილობის მადლი ამ დიდებულ პურ-მარილს. — სთქვა კოლიამ და სასთუმლიდან კონიაკიანი ბოთლი ამოაცერინა. თავისი განუშორებელი პატარა ყანწი მაღლა აისროლა, მოხდენილად დაიჭირა, კონიაკით გაავსო.

— რა გაეწყობა: ვიცი თქვენი ამბავი, თამადობისაგან არ გამანთავისუფლებთ და ისევ აქედანვე შევუდგები, — დაიწყო კოლიამ. — ეს, ძმებო, ჩვენს არმიას გაუმარჯოს. ჩვენს არმიასთან ერთად თქვენს შვილებს გაუმარჯოს, დედა-ბატონო!

— ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს, შვილებო! — მღელვარე ხმით ჩაილაპარაკა დიასახლისმა და ხელი თვალზე მოისვა.

ყანწი სწრაფად ჩამოატარა კოლიამ. მეორე აავსო. მოიარებით დაიწყო:

— ეს, ბიჭებო, იმან იდღეგრძელოს, ვისი ახალგაზრდობაც ქართლის მზეში გაფურჩქვნილა, თავისი წინაპრების ცხოველმყოფელი ძალით აღვსილა, აქ, ჩრდილო-კავკასიაში, გაუდგამს ღრმად ფესვები, გამრავლებულა, დედაშვილობის მადლით ჩვენთვის დაუვიწყარი სამსახური გაუწევია, ეს თქვენ იცოცხლეთ, დედა-ბატონო. მოვსწრებოდე თქვენს ოჯახში ლხენას და ბედნიერებას. მართალია, მეტად მრავალრიცხოვანი ბრძანებულხართ, მარა ნეტავი მთელი თქვენი შემადგენლობით, შვილებით, შვილიშვილებით, მობრძანებულიყოთ ჩემს ოჯახში... რას იცინი, ლადიმე? ნუ გეშინიან, კოლია ბარბაქაძე თავს არ შეირცხვენს, ყველას გაუძღვება.

— არა, კოლია, მაგაში ეჭვი ვის ეპარება. მე იმაზე მეცინება, ამ თივაში რომ თამადობა წამომიწყე, — უპასუხა ლადიმემ.

— ერთი ამას უყურე: ბიჭო, აქ უნდა სიტყვის თქმა და ვაქაცობა, აბა, ქორწილში ყველა მოილხენს.

დავითი შესასვლელთან იჯდა. ადგა, ეზოში გაიხედა. დიასახლისმა თვალი შეასწრო.

— ნურასი გეფიქრებათ, შვილო, აქ დღეს არავინ მოგაკითხავთ. საღამოს-კი...

— მართლა, დედი, თქვენ ბრძანეთ, ქართველი ტყვეები მოიყვანესო. საით გაგზავნეს თუ იცით? — შეეკითხა სამსონი.

— რა ვიცი, შვილო, შორსა გზავნიან. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაუტოვებიათ. იქ ჩემი ნათესავი ქალი ცხოვრობს და იმან მიამბო. საშინლად აწამებდნენ თურმე ბედშავს.

— ვაჰ, დედასა! — აღმოხდა ირაკლის. — კაცს ჩვენს გვერდით სტანჯავენ და ჩვენ კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ეს მიბრძანეთ, — დაინტერესდა კოლია: — თქვენ შეგიძლიათ ამ ახლომახლო მისვლა, სადაც ის ბიჭია მოთავსებული?

— რატომ არა. მხოლოდ ნახვა და ხმის გაცემა შეუძლებელია.

კოლია ჩაფიქრდა. ხელი ულვაშებზე გადაისვა.

— სამსონ, მოდი ერთი ვქნათ ჩვენ... ეს დიდებული იქნება! გენაცვალე სულში! დედა-ბატონო, თქვენ ქალის ძველ ტანისამოსს ვერ მიშოვნით? პირობას გაძლევთ, თუ ცოცხალი დავრჩები, არ დაგიკარგავთ.

— რისთვის გჭირდება?

— ახლავე. ჯერ ჩემი უფროსისაგან ავიღებ ნებას... სამსონ, აგერ გეტყვი და თუ მოგეწონოს. რას ვიზამ, იცი? ქალის ტანისამოსს ჩავიცვამ. ამაში გამოცდილი ვარ, სცენაზე ვთამაშობდი ქალის მაგივრად. ისე დავიმშვენებ, რომ მგონია ქეც გამეარშიყოთ. ჰო-და, წავალ, ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ. მართლა, ასე ხელცარიელი ხომ არ უნდა წავიდეთ ამაღამ აქედან.

სამსონი ჩაფიქრდა. არ მოსწონს ეს, საქმე რომ საქმეს წამოედება და თავის ნებაზე გატარებს. თუმცა ომში ყველაფერი ისე როდი კეთდება, როგორც წინასწარ განიზრახავ. საქმე ის არის, ყოველ ვითარებაში მტერზე გამარჯვების შესაძლებლობა გამონახო.

— არა, რამე-კი უნდა ვიფიქროთ, — სთქვა ლადიმემ. — ბარე, რაკი აქ ჩავრჩით, ხელდამშვენებული წავიდეთ.

— ნეტავი ის ახალგაზრდა მებრძოლი გაგვანთავისუფლებინა და, — ინატრა ირაკლიმ.

— მოიცათ, ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ქალის ტანისამოსი რაღაც არ მომწონს, — გამოერკვა ფიქრისაგან სამსონი. — უცხო ქალს განა ვერ შენიშნავენ?

— მაგის თუ გეშინიან, — შეესიტყვა კოლია: — აგერ დედა-ბატონს გამოვკითხავ წინასწარ ყველაფერს. მას გავყვები. საქმეს საათივით აწყობილს ჩაგაბარებ.

— მიკვირს თქვენი ამბავი, დროს რაზე ჰკარგავთ! — წამოიძახა ლადიმემ: — სად გინახავს, ბიჭო, ამხელა ულვაშებიანი ქალი? რამე სხვა მოვიფიქროთ.

— მოდი ახლა და, — გაჯავრდა კოლია: — კაცო, სამშობლოს სიცოცხლეს ვწირავთ და ულვაში აღარ გემეტება? ამას ხელად გადვიფხეკავ.

ბოლოს კოლიამ თავისი მაინც გაიტანა. ვიდრე დიასახლისი ტანისამოსს მოიტანდა, თავისი ჯიბის დანა ქამარზე გაუსვ-გამოუსვა და მაჯის ბალანზე გაისინჯა.

— იფ! სანსალაა, სანსალა! — წამოიძახა გახარებულმა. შემდეგ უცებ მოიწყინა, მეტად მწუხარე გამომეტყველება მიიღო.

— კაცო, ჩემი არ მიკვირს! რა მახარებს? ჩვენი წინაპრები ერთ ღერ ულვაშში მთელ თავის ქონებას არ გაცვლიდენ, მე კი... მარა არაფერია, თუ ვყოფილვარ კოლია ბარბაქაძე, თუ ეს ულვაში ძაღლის ბალანი არაა, დოუჯენ მაგ წუნკლებს ამას ფასად!

საპნის ნატეხი გაქაფა, ულვაშებზე წაისვა.

— ლადიმე, ეს შენ გევალებოდეს. ხელის გულზე დაგიწყობ და კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაითვალე, არ შეგცდეს. თითო ღერი ულვაში თითო ფაშისტადაა, ეცოდე, დაფასებული.

დიასახლისი მალე მოვიდა. კოლია სწრაფად გამოეწყო. ბიბლიოთეკა ... ლი ჩერქეზულად გადაიხურა, ნიკაპზე შემოიფარა. ახალგაპარსულ, ქარდაკრულ სავსე ლოყებს მანდილმა ნაზი ელფერი მისცა. კოლიამ ეს ისე შეიფერა, თავისი ეშხიანი თვალები ისეთი გამომეტყველებით ააელვარა, რომ ბიჭებს უნებლიეთ სიცილი წასკდათ.

— რა გაცინებთ? — გაჯავრდა ვითომ კოლია: — ერთი დედა-ბატონი აქ არ ბრძანდებოდეს, მე თქვენ გეტყოდით საკადრისს.

ტანთ რომ ჩაიცვა, დიასახლისს დაწვრილებით მოელაპარაკა, წინ გაისტუმრა, ადგილი დაუნიშნა, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ.

— აბა, შენ იცი ახლა, კოლია, — მღელვარე ხმით უთხრა სამსონმა. — არ დაიგვიანო, როლმა არ გაგიტაცოს.

— მესმის, ამხანაგო უფროსო, — დინჯად უპასუხა კოლიამ, მაგრამ როგორც კი ნაბიჯი გადადგა, ისე ეშმაკურად შეარხია ტანი, ისე თვალმოჭუტულად შეხედა ამხანაგებს, რომ წამსვე ყოველგვარი საფრთხე დაავიწყდათ და გულიანად გადიხარხარეს.

გასასვლელთან თივის ზვინს მიეყრდნო კოლია. მთელი მიდამო, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა, გულდასმით დაათვალიერა. ირგვლივ თითქო რაღაც გულჩათხრობილი მყუდროებაა. სექტემბრის მზიანი დღეა. მაღალი ხეების ფოთლები მზვარეში სთვლემენ. ხეხილის ბაღებში უხვი შემოდგომის ელფერი ბიბინებს. მდუმარე სახლები, უკაცრიელი თემშარა, მთელი ეს გრძლად გაფენილი სოფელი ამ წამს ორგვარ გრძნობას უღვივებს კოლიას. ერთის მხრივ, ყველაფერი მშობლიურია აქ, ჩვენი კუთხეა, ჩვენი ხალხის შრომით გაშენებული, ხოლო მეორეს მხრივ, თითქო შხამიანი გველები შემოპარულან შიგ, და ყოველი გაშრიალება უნებლიე შიშს იწვევს.

პირველად, თივის ზვინებს რომ გასცილდა, ისეთ გუნებაზე დადგა კოლია, თითქო მეტად სახიფათო მორევში შესცურაო. მაგრამ შემდეგ თანდათან გამხნევდა, თავისი როლი შეიფერა, ქმარ-შვილიანი ქალის მიხვრა-მოხვრა დაიმშვენა.

აგერ დიასახლისმა გადმოუხვია. წინდას ქსოვს. მეტად მოხერხებული ქალია. ანკი რისი უნდა ეშინოდეს? შინ არის.

მაინც რა არასასიამოვნო დუმილია ირგვლივ. ამ დუმილს ორი სიღრმე აქვს თითქო: ერთი გლოვობს, მეორე მოელის. ამდენი სახლებია ჩამწკრივებული თვალუწვდენელი თემშარის პირად და არსად, არც ერთი ბავშვი არ თამაშობს. არ ისმის არც სიცილი, არც სიმღერა. ამ სოფელზე ბრძოლის ქარცეცხლს არ გადაუვლია, მაგრამ ომის იდუმალ ქსელშია იგი გახვეული. აქ ყოველი სულდგმული გრძნობს, რომ საცაა იელვებს, დასჭექს, იგრიალებს და მტერს თავზე მეხი დაატყდება.

დიასახლისი შინაურულად გამოესაუბრა კოლიას. თან ირგვლივ მიმოიხედა, საეჭვო ხომ არავინ გვიყურებსო. მერე თემსაბჭოს შენობისაკენ გაიყოლია.

— აგერ, გრძელი სახლი როა, ახალ-გადახურული, იმაშია მაგათი მეთაური. ის ბედშავი ბიჭიც იქა ჰყავთ სარდაფში.

— გმადლობთ, დედა-ბატ... უკაცრავად, ჩემო კარგო მეზობელო, ჩემო

ნათლიდედავ, — ღიმილით გაასწორა კოლიამ. — ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერს გავიგებთ, სად არის მაგათი მთავარი ძალა, საიდან შეიძლება [illegible]

ახლა უფრო გათამამდა კოლია, ისე მოშინაურდა, თითქო [illegible] ბი გაეტარებინოს.

ამ დროს მოსახვევიდან მათკენ გერმანელთა მცირე რაზმი გამოეძარცა. დიასახლისი გვერდით ამოუდგა კოლიას.

„რა მწყობრად მოდიან, რა მტკიცე ნაბიჯით“, გაიფიქრა კოლიამ. ახლოს რომ ჩაუარეს, მანდილი ცხვირამდის ასწია მორცხვი ქალივით. მერე გულმა არ მოუთმინა, ჩუმად გააყოლა თვალი მწყობრად მიმავალთ.

„არა, ბიძია, მე კი არა, თქვენ გაქვთ აქ გამჯდარი შიში ძვალსა და რბილში, თქვე წუნკლებო, მე რისი უნდა მეშინოდეს, მე აქ ჩემს ქვეყანაში ვარ, შინაურებთან“.

XIV

სიძულვილი

ჩამავალი მზის შუქით მკრთალად განათებულ ფართო ოთახში მაგიდასთან ზის ტანადი ობერ-ლეიტენანტი. მოგრძო, სწორად გამოკვეთილი, სახე აქვს, ცისფერი თვალები, ცივი, როგორც მთვარის სხივით განათებული ყინული.

სამი ხელებ-გაკრული ტყვე დგას ობერის წინ. სამოსი ჩამოფლეთილი აქვთ, სახე — გამურული, ნაოფლარი. ორი დასრულებული ვაჟკაცია, ხოლო ერთი — ავთანდილ ძნელაძე — 19 წლის ჭაბუკია.

სრულიად უნაოჭო მაღალი შუბლი, წვრილი, ნამგალივით მოხრილი, შავი წარბები, კეთილი, ღია თაფლისფერი თვალები, მზისაგან ოდნავ ფერგადაკრული ნაზი ლოყები და თხელი, უულვაშო, სულ მცირედ შეღინღლული ტუჩი, — ყოველივე ეს ისეთ გამომეტყველებას აძლევს მის სახეს, რომ ბევრად უფრო უმცროსი გეგონებათ.

ობერმა დაკითხვა დაამთავრა. ვერავითარი სამხედრო საიდუმლოება ტყვეებს ვერ გამოსტყუა. არც მაცდურმა შეპირებამ გასჭრა, არც მუქარამ. ახლა განზრახ სდუმდა, განაჩენის გამოტანას აგვიანებდა. სადისტებს ასე სჩვევიათ: ადამიანის სიცოცხლეს რომ ხელთ იგდებენ, სტკბებიან მისი წამების გახანგრძლივებით. სადისტი ქონდრის კაცია, ლაჩარი, მაგრამ შეპყრობილის წინაშე მედიდურია და ზვიადი.

ოთახში ტყვეების მძიმე სუნთქვის მეტი არა ისმოდა-რა. ამ ულმობელ დუმილში მხოლოდ ერთი რამ ელავდა — სიკვდილი.

მაგრამ როგორი სიკვდილი?

აგებ ობერმა მშვიდად გაჭკრა ასანთს, პაპიროსს მოუკიდა, ნელა მოსწია. მერე მოცლილი კაცივით ფრჩხილებზე დაიხედა, თითები შეათამაშა.

„ვაი დედასა, როგორ ჩავარდი?“ — ამოიოხრა ერთმა ტყვემ და კბილები დააკრაჭუნა.

მართლაც მეტად სამარცხვინოდ მოხდა ეს: მზვერავთა დიდი ჯგუფი ბრძოლით შეიჭრა მტრის ბანაკში. უკან გამოსვლისას ეს სამნი ამხანაგებს ჩამოშორდნენ, ბევრი იარეს, გზა დაებნათ. ტყის პირად მკვდრებივით ჩაეძინათ. აქ წაადგათ თავს გერმანელთა რაზმი.

— მაშ კარგი! — დაარღვია ბოლოს დუმილი ობერმა. — თქვენ პარტიზა-

ნები ხართ. პარტიზანების მიმართ-კი ჩვენ ერთი სასჯელი გვაქვს — ჩამოხრჩობა.

ეს რომ სთქვა, თავი ნელა ასწია, თვალები მოჭუტა, ტყვეებს-ამოსულებს აჰხედა, რათა გაეგო, თუ როგორ იმოქმედა მათზე ამ განაჩენმა.

და სწორედ ამ დროს მოხდა ის უცნაური რამ, ავთანდილ ძნელაძეს რომ თავისი თავი შეაზიზღა.

ამბობენ, გველმა იცისო ასე ცქერით თავისი მსხვერპლის მონუსხვა: ტკბობით დაასობს თვალთა ისარს, შეჰკრავს, მიიზიდავს, თავის შხამიან ქსელში გაჰხვევს.

ობერმა რომ ჩამოხრჩობა გამოაცხადა და ტყვეებს აჰხედა, ავთანდილს გულში ჩასწვდა ყინულივით ცივი, ჭრელი თვალების ისარი, შემაძრწუნებელი ძალით მიიზიდა თავისკენ.

ავთანდილმა უნებლიედ ობერისაკენ ნაბიჯი გადადგა, ტუჩები შეარხია, მაგრამ პირთან მომდგარი სიტყვა უცებ დაიჭირა, სახე წამოეფაკლა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და წელში გაიმართა, განზე მიიხედა.

ობერმა მყისვე მოისაზრა, თუ რას ნიშნავდა ტყვეთა შორის ყველაზე უმცროსის ეს მოძრაობა. სახეზე კმაყოფილების შუქმა გადაუქროლა.

— კეთილი!—სთქვა მან. მერე ჯარისკაცებს უბრძანა: — გაიყვანეთ ეს ორი.

შემდეგ ადგა, თავდახრილ ავთანდილს მხარზე ხელი დაადო, დაყვავებით უთხრა:

— ძალიან კარგს შვრები, ახალგაზრდავ, თავს რომ არ იღუპავ. ჩვენ ორსამ კვირაში საქართველოში ვიქნებით. ფიურერი ქართველებს კარგი თვალით უცქერის. სულ მალე დავამყარებთ იქ წესრიგს. შენც გაგიჩენთ საქმეს...

ავთანდილმა საშუალო სასწავლებელი წინა წელიწადს დაამთავრა თავის სოფელში, მაგრამ რუსული ენა ძალიან ცუდად იცოდა. მიუხედავად ამისა, ობერის სიტყვების აზრი მაინც გაიგო. ახლა მიხვდა, თუ რა საბედისწერო ცეცხლში მოექცა.

— ჰო-და, სთქვი ყველაფერი, რაც იცი, — განაგრძო ობერმა. — ამით ჩვენც და შენს ქვეყანასაც დიდ სამსახურს გაუწევ.

ავთანდილმა თავი ასწია, მოკლედ მოსჭრა:

— არაფერი არ ვიცი.

ობერმა რაღაც მეტად დამამცირებელი სიბრალულით ახედ-დახედა ავთანდილს, მის დამცინავ ღიმილშიაც თითქო სიბრალული გამოკრთა.

— ნუ ჯიუტობ, ახლა უკვე გვიანაა. შენი თავი შენ თვითონ გამოამჟღავნე. აგალაპარაკებ.

გაშეშდა ავთანდილი. თან თითქო გაორდა. აგერ თვალწინ უდგას თავისი თავი, სავსებით მარტო, უმწეო. ამხანაგები წავიდნენ. ვერავინ ვერ დაინახავს, თუ როგორ დალევს წამებაში ავთანდილი სულს. ეს სიკვდილი როდია, ეს მეტია, ეს წარმოუდგენელი საშინელებაა.

— რამ დაგამუნჯა? ხმა ამოიღე!—დაუყვირა ობერმა. ფეხი იატაკს დაჰკრა.

ახლა უცებ გამთელდა, შეიკუმშა ავთანდილი. ობერს თვალი გაუსწორა. ყინულივით ცივ შუქში ბასრმა მახვილმა გაიელვა. იმავე დროს მთელ სხეულზე თითქო ცეცხლი შემოენთო, არა მწველი, არამედ მწრთობელი, გამკაქებელი, და ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელმა ჭაბუკმა პირველად იგრძნო მთელი თავისი სისავსით, თუ რა არის სიძულვილი.

— მე ვერ შემაშინებ, ხომ გესმის, ვერ შემაშინებ, შე საზიზღარო! — ეს

სიტყვები ქართულად სთქვა ავთანდილმა და უკან შეკრული ხელები ისე მაგრა მოსწია, რომ ფრჩხილებში სისხლი წამოაწვა.

ობერმა ავთანდილის სახეში ისეთი ზიზღი და სიძულვილი ამოიკითხა, ბრაზისაგან აღარ იცოდა რა ექნა. ჯერ მუშტი აღმართა, მერე უცებ შეტრიალდა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო ავთანდილი ამ ქვეყნად არც კი არსებობსო. დაჯდა, მაგიდაზე ხელი დააკაკუნა.

ავტომატივით შემოვიდა ჯარისკაცი, ოფიცრის წინ გამოიჭიმა.

— ადოლფს დაუძახე!

ავთანდილი მიხვდა, რომ რაღაც საშინელ წამებას უმზადებდნენ. ობერის მრისხანე თვალები და ეს ბზარავი დუმილი, რომელშიაც მხოლოდ საკუთარი გულისცემა ისმის, აუტანელი სიმძიმით აწვება ავთანდილს, ლამის ძირს დასცეს, მიწასთან გაასწოროს. მაგრამ იმავე დროს ისეთი მძაფრი გრძნობითაა შემსჭვალული, რომ მზადაა ყველაფერი აიტანოს, ოღონდ ამ მხეცს, აგერ მაგიდასთან რომ ზის, არ დაემორჩილოს, თავი არ შეირცხვინოს.

კარები გაიღო და ობერს ტანმორჩილი, დაღრაკნილი ჯარისკაცი გამოეჭიმა. ავთანდილს მოეჩვენა, თითქო ამ გაფარჩხულ ფაშისტს კიბორჩხალივით რამდენიმე ხელი და ფეხი ჰქონდა.

ობერს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თვალით ანიშნა.

ავთანდილი თავის ამხანაგებში ყველაზე უფრო მშვიდ მოწაფედ ითვლებოდა. არასოდეს არ უჩხუბნია, ლაზღანდარობა ეზარებოდა, ჭიდაობასაც შორიდან უყურებდა. მაგრამ ახლა, ეს თვალბოროტი ფაშისტი რომ კიბორჩხალასავით მისკენ დაიძრა, უცებ დაებადა აზრი, თავით დავეჯახები და ძირს დავცემო. ის იყო კიდევაც მოიკრიბა ძალ-ღონე და თავი დასწია, რომ ფაშისტი მოულოდნელი სისწრაფით განზე გახტა, წამსვე თავისი დაღრაკნილი ფეხი მოწყვეტით გაიქნია და ხელებშეკრული ავთანდილი იატაკზე დაანარცხა. სახე ისე მაგრა დაჰკრა ფიცარს, რომ ცხვირიდან სისხლი წასკდა.

ფაშისტი აუჩქარებლად დაიხარა, ავთანდილს მუხლი დააჭირა.

უთუოდ საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი ადამიანის აღნაგობა. იცოდა, სად და როგორ შეიძლებოდა უფრო მეტი ტკივილის მიყენება ისე, რომ კაცი სავსებით არ დასახიჩრებულიყო.

ავთანდილმა ტუჩები მომუწა, კბილი კბილზე დააჭირა, მოიკრუნჩხა, გულში თითქო შანთი გაეყარა, უნებლიედ გმინვა აღმოხდა. ამ ხმის გამო თავისი თავი შესძაგდა, გაჯიქდა. აუტანელ ტკივილებზე მეტად იმის წარმოდგენა აწამებდა, რომ ამ ბოროტი სულების წინაშე ქედი არ მოვიხაროო, არ გავთახსირდეო. ოღონდ რითიმე შევსძლო მათთან ბრძოლა, მათი მედიდურობის არარად ჩაგდება და ყველაფერს ავიტანო. მაგრამ ფაშისტი თითქო მის გულში იჯდა, კარგად იცოდა, რას ფიქრობდა იგი, გრძნობდა იმ მრისხანე სიძულვილს, რომელიც სიკვდილის დამთრგუნველ ძალას ანიჭებდა ჯერ კიდევ ზრდა-დაუმთავრებელ ჭაბუკს. გრძნობდა და ისე სჯიჯგნიდა, სახსრებს უმსხვრევდა ავთანდილს. ჭაბუკს უნდოდა დაეყვირა, რითიმე გამოეთქვა თავისი აუტანელი წამება. ბოლოს ერთ სიტყვას მიაგნო, არა, კი არ მიაგნო. უნებლიედ აღმოხდა და შემდეგ დაებღაუჭა მას:

„ვაი, დედა... დედა... დედა...“

გმინავდა ავთანდილი და დარწმუნებული იყო, რომ მართლა შეელოდა მწუხარე დედა, შორიდან უწვდიდა ხელს, უძირო სიყვარულით სავსე თვალებით ეუბნებოდა:

„გამაგრდი, შვილო... არ გატყდე, დედა, შენი სულის ჭირიმე, დედა...“

— ააყენე! — ბრძანა ობერმა.

ფაშისტმა ავთანდილს, თითქმის გულწასულს, სულშეხუთულს, [illegible]-ში ჩაავლო ხელი და ფეხზე დააყენა. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადაადგმევინა, ობერს მიუახლოვა.

სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი ავთანდილს. მარტოოდენ მისი ფართო თვალები ამჟღავნებდნენ, რომ კიდევ შერჩენოდა ძალა სულისა, ის რვალივით მტკიცე ნებისყოფა, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდის შეირჩენს დიდი რწმენით შეპყრობილი ადამიანი, ხოლო ეს რწმენა ავთანდილს ამ საზიზღარი ობერისა და მისი დამქაშების მიმართ აღძრულმა სიძულვილმა ჩაუნერგა. ამიტომ, თუმცა გული მისდის, თავბრუ ესხმის, მაგრამ რა კი ეს მხეცები აქ არიან და მის დაცემას ელიან, ავთანდილი არ შედრკება, არ გატყდება, რომ მათ გული მოუკლას, რომ მათ თავისი უსაზომო ზიზღი აგრძნობინოს.

— ახლა ხომ მოჭკვიანდები? ხომ იტყვი ყველაფერს? — შეეკითხა ობერი. მაგრამ რაკი ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო, დასძინა: — თუ გაჯიუტდები, ისეთ დღეს დაგაყენებთ, იტყვი, ნეტავი არ გავჩენილიყავიო.

ავთანდილს მთელი სხეული უცახცახებდა, თხელი ტუჩები უთრთოდა. მხოლოდ ფართო თვალებს თაფლისფერი აღარა ჰქონდათ ახლა, გაუტეხელი სულის სიძლიერით ანთებულიყვნენ, ალმასივით ბასრად გამოიყურებოდნენ. სხვა იარაღი არც გააჩნდა, მარტოოდენ დუმილით და სიძულვილის ცეცხლით ანთებულ თვალებით განაგრძობდა ბრძოლას ობერთან, რომელიც ავთანდილის წარმოდგენაში თანდათან რაღაც უსაზიზღრესი მხეცის ფორმას იღებდა: სახე ადამიანისა აქვს, სწორად გამოკვეთილი, მაგრამ ეს სახე მოჩვენებაა მხოლოდ, მასში შხამიანი ქვეწარმავალნი ბუდობენ, თვალებში მზაკვრობის შუქი უღვივით. აგერ ნიღაბიც ეხდება მის ნამდვილ არსებას. აი ვეება ობობასავით შლის იგი ბრჭყალებს და ირგვლივ ქსელს აბამს, თვალუწვდენელ ქსელს. მერე კუთხეში ჯდება, მოაზროვნე ადამიანის სახეს იღებს და მშვიდად უცქერის, თუ როგორ იღუპებიან მის მიერ გაბმულ ქსელში თავისი ქვეყნისათვის თავდადებული ვაჟკაცები, როგორ ისრისებიან ბავშვები და დედები, როგორ იწვის და ნადგურდება შემომქმედი შრომით შექმნილი ავლა-დიდება. მშვიდად ზის იგი მაგიდასთან, მაგრამ მას უკვე ადამიანის სახე აღარა აქვს, იგი უზარმაზარ ობობად იქცა.

დინჯად ზის იგი მაგიდასთან და ელის, თუ როდის გაეხვევა ავთანდილი მის მიერ გაბმულ ქსელში, როდის აქცევს არარად სიძულვილისაგან გაღვივებულ ძალას.

ოჰ, რა საზიზღარია ეს მისი უგულო სიმშვიდე, ეს უნამუსო მედიდურება! არა, ამას არასოდეს არ ჰყვარებია, არ იცის, რა არის კეთილშობილება, რა არის სათნოება. ამან არ იცის, რაა სიბრალული. ეს აი ასე დინჯად გამოგლეჯს დედას ხელიდან ნორჩ ბავშვს და ცეცხლის მორევში გადაისვრის, მერე თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს, მწუხარე დედას უბრძანებს — ხასად გამომყევიო.

— თავს ნუ იკატუნებ! ლაპარაკი კარგად შეგიძლიან. სთქვი მალე! — დაუყვირა ობერმა.

„ააჰ, მგონი მოთმინება აღარ ჰყოფნის“, — გაიფიქრა ავთანდილმა და იმავე დროს თითონაც იგრძნო, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, რომ სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეოდენ ბეწვს ებღაუჭებოდა მისი ძალ-ღონე. ყველაზე მეტად ისა სტანჯავდა, რომ გული საძაგლად ერეოდა, თითქო მთელი მისი შინაგანი ორსება ყელში აწვებოდა და სისხლად გადმონთხევას ლამობდა. ავთანდილმა თავის შესამაგრებლად პირში ნერწყვი დააგროვა და როცა ობერმა კვლავ დაუყვირა, მთელის ძალით გააფურთხა.

ნაფურთხი ობერს მხარზე მოხვდა. ჯერ გაუკვირდა ეს, ბრძანების მომლოდინე ადოლფს შეჰხედა, მერე უცებ წამოიჭრა, სახე დაემანჭა, თვალები დაწკურა. ისე ნელა გადადგა ნაბიჯი ავთანდილისაკენ, თითქო მაეცი თავის მსხვერპლს ეპარებაო, და ნაწამებ, სისხლით მოსვრილ, ხელებშეკრულ ყმაწვილს სილა გაარტყა.

ავთანდილი დაბარბაცდა, მუხლები მოეკვეთა, იატაკზე დაეცა. ობერმა ზედიზედ ჩასცხო ფეხი. კვნესა რომ ვერ გაიგონა, უფრო გააფთრდა, თავზე დაჰკრა წვრილნალიანი ჩექმის ქუსლი.

ავთანდილს ოეიჩვენა, თითქო თავის ქალა კი არ გაუსკდა, მთელი ქვეყნიერება გაიბზარა და თვითონ უჰაერო ნაპრალში დაეკიდა. ცოტაოდენი ძალა და ცნობიერება მაინც შერჩა. ამ სიმტკიცეს საფუძვლად ედგა შეგრძნობა იმისა, რომ გულბილწი ფაშისტი ვერ მოერია, რომ დაუცხრომელ შურისგების ძალად აქცია მის სულში ანთებული სიძულვილი.

— გაათრიეთ! — ბრძანა ობერმა.

ფანჯარას მიადგა. ახლად ჩასული მზის მკრთალი შუქით განათებულ სოფელს გაჰხედა. არ უნდოდა ხელქვეითებისათვის ეჩვენებინა თავისი სახე, ბრაზისაგან გაფითრებული. უცებ პირდაპირ, თემშარის პირად, მისკენ მაცქერალი ქალი დაინახა. მწიფე ფორთოხლისფერი თმა ჰქონდა ამ ქალს. ობერს მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ბინაზე იმ დღეს ჩამოსული ხასა ელოდა. აჩქარდა. ავთანდილს, რომელსაც ჯარისკაცები მიათრევდნენ, ზიზღით თვალი აარიდა.

ბნელ სარდაფში შმორის სუნი იდგა, მაგრამ ავთანდილს არ უგრძვნია, ნესტიან იატაკზე დაეცა ძალმილეული. არ ახსოვს, რამდენ ხანს იწვა უგონოდ, ხოლო როცა მეტის-მეტად დამძიმებული ქუთუთოები ასწია და წყვდიადში ვერაფერი ვერ დაინახა, ისეთი ტკივილები იგრძნო, თითქო მთლად დაკეპილი ყოფილიყოს, თითქო გულღვიძლიც ნაგვემი ჰქონოდეს.

„ვაი, დედა, როგორ გიკვდები!“—ხმამაღლა წამოიძახა ავთანდილმა, რადგან იქ არავისი არ ერიდებოდა, იცოდა, რომ მის ხმას ვერავინ გაიგონებდა. „ეს რა ჯალათების ხელში ჩავვარდი! ეჰ, ნეტავი ერთი მომესწრებოდეს ფეხზე დადგომა და მერე მე ვიცი!“

გაილურსა, გულის გადასაყოლებლად ამ მუქარის აზრს ჩაუფიქრდა. რაღას უნდა მოესწროს? თვითონ დაიღუპა თავი. რამ უბიძგა მაშინ, ობერისაკენ რომ გადადგა ნაბიჯი? ნუთუ იგი ადამიანი ეგონა? ახლა ხომ დაინახა, რაც ყოფილა. ჰატ, შე გლახა, გლახა! შერისხა თავისი თავი, სიმწრისაგან კბილები დააკრაჭუნა, მოიკრუნჩხა. ჰა, ეს რაა? ნუთუ ხელები შეხსნილი აქვს? შვებით ამოისუნთქა. წამოჯდა, მკლავები ძლივს ასწია. ცხვირის ნესტოებში მიმხმარი სისხლი მოიცილა, მერე თავის ქალა გაისინჯა. თითები შედედებულ სისხლში ჩაეფლო. თან სხეულში მზარავმა ნაკადმა დაურბინა. მთელ ტანზე კანი აეწვა. დაიკვნესა. კვლავ დედას უხმო...

წამებულისათვის ძილი მალამოა. თვალი რომ გაახილა, სარდაფში მცირეოდენი შუქი შეჭრილიყო. „გათენებულა“, — გაიფიქრა ავთანდილმა და, რა-

კი მთლად ადგომა ვერ შესძლო, მუხლებზე წამოიჩოქა. ყოველის უწინარეს ის აზრი დაებადა, იქნება სადმედან გაძრომა შეიძლებაო. გულდასმით დაათვალიერა ჭერი, კედლები, კარები. წამოიმართა, კედელს გაყოლებულ-დასხმულივით ჩაჯდა კართან. „სისულელეა! კაცი ძლივს დავლასლასებ და აქედან როგორ უნდა გავიდე?“ — სთქვა ეს გუნებაში და ამხანაგები მოაგონდა. ისე აუჩვილდა გული, თითქო ისინი-კი არ წაიყვანეს, თვითონ წავიდნენ და ავთანდილი მარტოდ დასტოვეს. ეს კი, ეს უსაშველო მარტოობა ყოველგვარ წამებაზე უარესი ყოფილა.

ეს ჯურღმული, სადაც ახლა ავთანდილი ზის, ქვეყნიერების უმცირეს ნაწილსაც კი არ შეადგენს, ყველაფერს მოწყვეტილია, და თვითონაც თავისთავად არავითარ ღირებულებას არ შეიცავს. ამ არარაობის ტყვეა ავთანდილი...

„არა გრცხვენიან, ბიჭო, ასე უნდა მოიძულო კაცი?“ — უსაყვედურა ვიღაცას და თვალებზე ცრემლი მოადგა, რაღაც მწარ-ტკბილი შვება იგრძნო, ტანშიაც შეთბა.

კარგა ხანს იყო გარინდებული. მერე თვალები დახუჭა და შინაგანი მხედველობით დაინახა ის, ვისაც აუტანელი ტანჯვის დროს უხმობდა ხოლმე. ეს იყო შუახნის ქალი, სიცოცხლით სავსე, ლამაზი, ხუთი შვილის დედა. ამათში ავთანდილი ყველაზე უფროსი იყო. აგერ ოდის აივანზე ზის ის და უმცროს გოგონას ძუძუს აწოვებს. „ეჰ, რა იცი, დედიკო, რა დღეშია ახლა შენი ბიჭი!“ ხმა არ ამოუღია, ისე გაივლო ავთანდილმა ეს გულში.

„ისე კი, — განაგრძო ფიქრი, — სასწაული რომ მოხდეს და ერთი იმ ჩვენს ქედზე ფეხი დავაბიჯო, ერთხელ კიდევ მოვავლო თვალი ჩვენს კუთხეს, ჩვენს წყაროსთან მივიდე, ჩემი ამხანაგები ვნახო, ჩემს ეზოში... ამდენხანს აურმე არ მცოდნია, რაა ბედნიერება. რაც კაცს თავის-თავად გაქვს, იმას არ აფასებ...“

ახლა იმაზე გაბა ფიქრი ავთანდილმა, თუ რას არ აფასებდა. იმდენი რამ მოიგონა, რომ ცოტათი გაერთო, გული მოეცა. რაღაც იმედი ჩაესახა. თვითონაც არ იცოდა, საიდან მოდიოდა ეს შუქი, მაგრამ რატომღაც რწმუნდებოდა, რომ მეტის-მეტად მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული მშობელ ქვეყანასთან, ხოლო ეს ძაფები ზოალერსე სხივებივით გარს ევლებოდნენ ნესტიან სარდაფში დამწყვდეულ ავთანდილს, ათბობდნენ, ანუგეშებდნენ.

თავისდა უნებლიედ განუახლდა ის გრძნობა, რომელიც შინიდან წამოსვლისას აღეძრა. მეტად მხიარული ნადიმი გაიმართა. უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ, სკოლის ამხანაგები. ავთანდილმა პირველად ივაჟკაცა და ყველაზე მეტი დალია. სახლიდან რომ გამოვიდნენ, ისე გამოეთხოვა ყველას, თითქოს სულ მალე უნდა დაბრუნდესო. მერე სიმღერა შემოსძახეს და ღელემდის ხმაშეწყობილი მაყრებივით ჩავიდნენ. იქ-კი ამხანაგებს რომ გამოემშვიდობა, პატარა მანძილი გაიარა და გორაკზე შესდგა. რაღაც უცნაური ნათელი მოეფინა ირგვლივ ყველაფერს. ეს ნათელი თითქო ავთანდილის გულიდან ამოდიოდა, ტკბილად, ნარნარად იშლებოდა და დედაშვილური ალერსით ეფსოვებოდა სიყრმიდანვე შესისხლხორცებულ გარემოს.

აგერ ახლაც ნათლად ხედავს ავთანდილი იმ არე-მარეს და ისეთსავე სიამეს განიცდის, რადგან ერთის წამით ავიწყდება, თუ სად იმყოფება. რა მოელის...

თანდათან შემოაწვა გულზე რაღაც... სარდაფში მიმოიხედა, გმინვა აღმოხდა. გაორკეცებულად ემწვავა ეს გამოუვალი მდგომარეობა. სიცოცხლის

წყურვილმა შეიპყრო. ისე წამოხტა, თითქო არაფერი არა ტკიოდეს, კარი მოსწია, კუთხეები დაათვალიერა, მერე პატარა სარკმელთან ასულა, ეგონა, აქედან შეიძლებაო გაძრომა. ფეხი დაუცდა, იატაკზე დაეცა. [illegible] მორჩა! საშველი არ არის. აგერ მაგიდასთან ზის ის გველი, ტაბება ავთანდილის წამებით, ობობასავით არხევს თავის ქსელს, რომ მსხვერპლი მიიახლოვოს და სისხლი გამოსწოვოს. თუმცა მოიცა... მას სისხლი არა ჰყოფნის, მას სულ სხვა რამე სწადია, მას ავთანდილის სული უნდა.

ავთანდილს ჯერ ამაყი ღიმილი მოერია, მერე თითქო ამაღლდა და ყინულივით ცივ-თვალებიან ფაშისტს ზემოდან დაჰხედა.

— ვერ მოგართვი! — ნიშნისგებით უთხრა ხმამაღლა, — მე ვერ მომერევი, გესმის, ვერ მომერევი! ისე მძაგხარ, ისეთი გესლიანი გველი ხარ, რომ თავს უდიდესი სიამოვნებით გაგისრეს... რა, შენს ხელში ვარ? არაფერია, ჩემი ამხანაგები გაგისრესენ. ვის აშინებ? აჰა, კიდევ გაფურთხებ, შენც და შენს სახრჩობელასაც. მოდი და მომერიე, თუ ბიჭი ხარ... ვერ მოგართვი, ვერა!

ხმამაღლა ლაპარაკმა ააგზნო ავთანდილი. ადგა, კარგახანს მიმოდიოდა კედლიდან კედლამდე. უცებ მოაგონდა, რომ მესამე დღეა არაფერი უჭამია. საშინლად მოშივდა, გულზე მოუკრიალა. ხელზე იკბინა....

„აჰ, რა საშინლად მშიან!" — ჩაილაპარაკა ავთანდილმა და წამოდგა, კვლავ შეუდგა სიარულს კედლიდან კედლამდე.

„რა მოუვიდათ? ხომ არ დამივიწყეს? რაღაც აგვიანებენ... ეს კარგია, ხელები რომ გახსნილი მაქვს. გააღებენ თუ არა კარს, მაშინვე ვეცემი, თავს შევაკლავ... იქნება... ვინ იცის? საწყალმა ბაბუამ იცოდა: ცოცხალს იმედი მუდამ უნდა ჰქონდესო..."

ძალა გამოელია, კართან ჩაჯდა. ახლა თითქო შიმშილი იმდენად აღარ აწუხებს, წყურვილი ჰკლავს. თურმე უჭმელობა უფრო ადვილი მოსათმენია, ვიდრე წყურვილი.

მცირე ხანს ამაზე ფიქრს გაჰყვა, მერე ზაფრა მოერია: რა ეშველება, საკვებით რომ გამოიფიტოს? ვაი თუ იმდენი ძალ-ღონე არ შერჩეს, რომ ბოლომდე გამარჯვებული დარჩეს.

„ნუ გეშინიან, — ანუგეშა ბოლოს თავისი თავი, — უკანასკნელი წვეთი სისხლი ხომ შემრჩება, ისიც მეყოფა. მაგათი ზიზღი ცეცხლად მაქცევს..."

სარდაფში სინათლემ იკლო, ამითი შეატყო, რომ მზის ჩასვლის დრო იყო. კარს მიაწვა, თვალები დახუჭა, უცნაურ ზმანებას გაჰყვა. სადღაც ახლოს წყალი მოწვეთავს, ისეთი წკაპა-წკუპით მოწვეთავს, თითქო თავის სოფელში, სიპნარის ძირას იჯდეს და ხავსზე დაცურებული ცვრების ხმა ესმოდეს. რატომ არ შეუძლიან ადგეს და იმ ცვრებს პირი შეუშვიროს?

თავი გაიქნია, ნერწყვი გადაყლაპა. სახეცვლილ ზმანებას მიჰყვა.

ახლა წყაროს ჩქრიალი ესმის. წყარო სულ ახლოსაა, მხოლოდ ავთანდილია შეჯაჭვული და მისვლა არ ძალუძს. ისე კი გარკვევით ხედავს, როგორ მოსწყდა წყაროსთან აღმართულ კაკლის ხის წვეროს ჩამავალი მზის სხივი. შეგიძლიან წამოწვე იქვე, მდელოზე, და უსმინო წყაროს რაკრაკს...

აგერ ვილაცა მოდის წყაროზე. ჰო, მაროა, ავთანდილის სკოლის ამხანაგი. შარშან ერთად დაამთავრეს სწავლა. ნიშნებიც ერთნაირი ჰქონდათ. ბავშვობიდანვე შეჩვეულნი იყვნენ ურთიერთს. ბოლოს კი... რატომ ... ისეთ მოკრძალებას ერთმანეთის წინაშე? არმიაში რომ წამოვიდა, მაროს გამოაცილა. გამოთხოვებისას მის თვალებში ისეთი შუქი გამოკრთა, რომელიც ახლაც ულვივის გულში ავთანდილს...

მარომ დოქი შეუდგა წყაროს, აავსო. მხარზე შეიდგა და მიდის.

— მარო, მარო! — იძახის ავთანდილი. — დამალევინე, გო, წყურვილით ვკვდები!

ხმაც ჩავარდნილი ჰქონია ავთანდილს, ვერ გააგონა. თვალს მიეფარა მარო და წყაროს ჩქრიალიც შესწყდა.

XV

ხაისბარ

თივის ზვინების მახლობლად, ხეხილის ბაღში შაშვი აჭახჭახდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ დღისა და ღამის გაყრა იწყებოდა. გამოქვაბულის შესასვლელს უკვე მწუხრის ბინდი შეეფინა და სამსონი ამაოდ ცდილობდა თვალი ეზოს მიღმა მიეწვდინა. მღელვარებამ აიტანა. მეტის-მეტად დააგვიანდა კოლიას. ვაი თუ... მერე როგორ-ღა მიეშველოს? რაღაც ცუდ ფეხზე წამოვიდა იმ ღამეს, ეთერსაც არ გამოეთხოვა, არ გამოიყოლია მისი თვალების სხივი... წელან მცირე ხნით ჩაეძინა და საძაგელი სიზმარი ნახა: ვითომ ფაშისტებმა შეიპყრეს, სიკვდილი მიუსაჯეს. სახრჩობელასთან მიიყვანეს. ბოძზე თოკი არ აღმოჩნდა. სამსონს არა სურს შედრკეს მტრების წინაშე და უკვირს: კაცს სიკვდილისა არ ეშინოდეს და თოკი არ იშოვებოდეს!

ფეხის ხმა მოესმა. დააკვირდა.

— მოდის, — თავშეუბრუნებლად გასძახა დავითს, ლადიმესა და ირაკლის. ყველანი შესასვლელთან შეჯგუფდნენ.

— რატომ დაიგვიანე? — შეეკითხნენ მორცხვი ქალივით თავდახრილ კოლიას.

თავი ასწია, ამხანაგებს გაუღიმა. თავსაფარი მოიხსნა და შვებით ამოისუნთქა:

— მოვრჩი კაცი. სული მეხუთებოდა. შიგ შუაგულ ფაშისტებში ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა, მე კი ქალივით განაზებული უნდა ვყოფილიყავი. ამას ატანა არ უნდა?

— კაი ახლა, ნუ გადაგვაყოლებ, — უთხრა ლადიმემ, — რა ნახე, როგორაა საქმე?

— როგორ იქნება, კოლია საქმეზე წავა და ცარიელი დაბრუნდება? — უბიდან ბოთლი ამოიღო. მაღლა ასწია: — ამ ერთი ბოთლის მეტი ვერ ვიშოვნე, ისიც ოსურია, რახივით რბილი.

— მოდი ახლა და ნუ გასკდები გულზე! ამისთვის გაგზავნეთ, კაცო?

— მოიცა, ლადიმე, გურული კი ხარ, მარა... რავა ფიქრობ ახლა, შენ, — კოლიას თვალი დავსებული ჰქონდა, რომ ვერაფერი ენახა? მაცალე, სული მოვითქვა.

ბოთლი მოწიწებით დადგა, კაბა გაიხადა.

— მეტი არაფერი მინდოდა, ერთი რომელიმე ფაშისტი გამარშიყებოდა და ამ გრანატზე ხელი მოესვა. კარგ გუნებაზე არ დადგებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა, ბიჭო, გაათავე ეგ შენი წილადობილა.

— ახლავე, ძმებო, გენაცვალეთ სულში... დაჯექით, მოგიყვებით აგერ და მოვითათბიროთ. უნდა გამოგიტყდეთ, პირველად ძალიან მიკვირს, ... ბობდნენ — მტრის ზურგში შეიჭრაო, ასე და ასე მოიმოქმედაო. ცოტა ტრაბახობაც ქე მეგონა. მარა ახლა რომ დავაკვირდი, იცით, რა ყოფილა? აგერ წარმოიდგინეთ. ვთქვათ, წყალდიდობაა. რიონმა ნაპირი გადალახა, ჭალებს მოედო. რა მოხდება მერე? იარს, იარს და აქა-იქ ჩადგება, ყველგან ხომ ვერ გაწვდება. ასეა ჩვენი მტრების საქმეც. საბჭოთა ქვეყანა იმოდენაა, რომ გერმანელები რაც არ უნდა გაიბერონ, მას წელამდის ვერ მისწვდებიან. რაზე მოგიყევით ეს? იმაზე, რომ აგერ ვითომ ჩვენ მაგენის ბანაკში ვიმყოფებით, ხაფანგში ვართ მომწყვდეული. არ მოგიკვდეს კოლიე, თვითონ მაგენი არიან ჩვენს ხელში. ამაში მე სავსებით დავრწმუნდი, როცა ყველაფერი დავათვალიერე.

— მოიცა, ეგ საერთო მსჯელობა მერე იყოს, შენ კონკრეტულად სთქვი, სად, როგორ?

— ახლავე, სამსონ... არც ისეა საქმე, რომ მიხვიდე, გაისეირნო და წახვიდე შინ. კაი მოზრდილი დაბრკოლება შეგვხვდება, მარა მებრძოლი, რის მებრძოლია, თუ სიძნელეს არ გადალახავს.

მთელი სოფელი დაეთვალიერებინა კოლიას, ყველაფერი თავისი თვალით ენახა. იცოდა, სად იდგა გერმანელების მთავარი ძალა, რომელიც იმ დღეს სულ ერთი ოცეულისაგან შესდგებოდა, სად ჰქონდათ დაზგის ტყვიამფრქვევი, სად ჰყავდათ დამწყვდეული ის ახალგაზრდა ტყვე, რომლის განთავისუფლებაც რამდენჯერმე ინატრეს. ისიც დაწვრილებით გამოეკვლია, თუ რომელი მიმართულებით უფრო ადვილი იყო გასვლა.

— მარა მთავარი მე ჯერ არ მითქვამს, — განაგრძო კოლიამ — ჩვენმა დიასახლისმა ერთი მოხუცი გამაცნო. აბედივით გამომწვარი კაცია. დიდი ეშმაკი, სად გინდა, რომ იმან ხვრელი არ იპოვნოს. აქაური ოსია, მარა ქართული და სვანური მშვენივრად იცის. მე მგონია, თავზე იმდენი ბალანი არ მექნება, რაც მაგას სვანეთიდან საქონელი ეყოლება გადმოყვანილი. ისე კი ნამდვილად სანდოა. რავაც შევხედე, იმ წუთში დავრწმუნდი.

— უსვინდისო ვიყო, თუ ამ შენს დახასიათებაში რაიმე ლოგიკა იყოს! — შეესიტყვა დავითი: — სად გინახავს, ბიჭო შენ, კაცი ეშმაკიც იყოს, ჭურდიც და...

— მოიცა, დავით, თუ ძმა ხარ. შენ ყველაფერი სწორად გამოკოპიტებული გგონია. აქეთ კარგია, იქით ცუდი. ცხოვრებაში ასე არ არის, ჩემო ფილოსოფოსო. ზოგიერთს კარგი მხარეც აქვს და ცუდიც. მერე კიდევ, როცა ის ბერიკაცი ახალგაზრდა იყო და სვანეთიდან საქონელი მოჰყავდა, ხომ გესმის, მოჰყავდა, ხომ არ მითქვამს იპარავდა-მეთქი, მაშინ ეს სასახელო საქმედ ითვლებოდა. თუმცა ვის ველაპარაკები ამას? ვინ იცის, შენს წინაპრებში რომელი რომელს სჯობდა ცხენის ქურდობაში. აჰა, იგიც შენ! ხომ დაგიჭირე... ჰო-და, საქმეს რომ მოვითავებთ, ის მოხუცი გაგვყობა.

— ჩვენ ბევრს ვერ მოვედებით, — დაასკვნა ბოლოს თათბირი სამსონმა: — შტაბში შევიჭრათ, საბუთები წავიღოთ, ტყვეც გავანთავისუფლოთ.

— სწორეა, მხოლოდ მაგას ერთი უნდა დავუმატო: სოფელში შემოსასვლელთან ძელმიწურია. მოდი, ერთი-ორი გრანატი იმისათვისაც მოვიძულოთ. მაგენი ახლა პარტიზანებისაგან ისე თავზარდაცემული არიან, რომ

მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, სოფელში არავინ შემოგვეპაროსო. უნდა ნახო, რა გუნებაზე დადგებიან, როცა ზურგიდან იფეთქებს.

— მოიცა, კოლია. ჩვენ ახლა იმდენი ძვირფასი ცნობები გვაქვს, ალბათ მთავარი გასვლაა და ამ ცნობების გამოყენება. ხვალ თუ არა, ზეგ ეგ ძელმიწურიც ჩვენი იქნება და მთელი ეს სოფელიც.

— შენი ნებაა, მე კი ძალიან მქავა ხელის გული, მარა რა გაეწყობა. მოიცა, აგერ მგონი ისინიც მოდიან.

ჯერ დიასახლისი შემოიმართა, მერე ძლივს გაარჩიეს სიბნელეში ჩოხიანი მოხუცი, რომელსაც ბალყარული ნაბდის ქუდი ეხურა, მაგრამ ახლა არც ქუდი მოსჩანდა და არც მისი გრძელი, ჩერქეზული სახე.

— აქა მშვიდობა და გამარჯვება! — მკვეთრი ხმით მიესალმა ყველას მოხუცი.

— თქვენი თავი გვიცოცხლოს ღმერთმა, ბატონო ხაისბარ! — ძველი ნაცნობივით მიეგება კოლია, ხელი მოჰხვია. მერე ამხანაგებს მიმართა:

— ა, ბიჭებო, ეს გახლავთ პატივცემული ხაისბარი, ჩვენი წინამძღოლი.

ერთ წამს დუმილი ჩამოვარდა, რადგან ამ სიბნელეში უცხო მოხუცთან ყველანი თავს უხერხულად გრძნობდნენ, ყველას უნდოდა დაენახა მისი გამომეტყველება, მაგრამ რაკი ეს შეუძლებელი იყო, ყველა თავისებურად ცდილობდა გარკვეულიყო, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მოიშველია სამსონმა ძველებური სიდარბაისლე.

— მასპინძელივით მეგებები, ვაჟკაცო, — მიუგო მოხუცმა: — მასპინძელი მე უნდა ვიყო აქ, მაგრამ... ეჰ, არაფერია, მაგასაც მოვესწრებით, თქვენი ჭირიმე... ეხლა თქვენ უთუოდ გინდათ გაიგოთ, ვინ არის ეს ბებერი ხაისბარიო... მოკლედ გეტყვით: სამი ვაჟი, ორი სიძე და ოთხი შვილიშვილი მყავს ჯარში, ამათ კიდევ ძმის-შვილები და დისშვილები რომ მივუმატო, ბარე თხუთმეტამდის მოიყრის თავს. ასე რომ მთელი ჩემი სისხლი და ხორცი თქვენთან არის. ამას რაღა უნდა დავუმატო. მიმსახურეთ, რაშიაც გამოგადგებით.

— გმადლობთ, — უპასუხა სამსონმა, გვერდით მოისვა, დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი. შემდეგ სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, ყოველი ნაბიჯი გაითვალისწინეს.

მთავარი სიძნელე ის იყო, რომ შტაბში შეჭრა და ტყვის განთავისუფლება უხმაუროდ არ ხერხდებოდა. არც ხელცარიელი წასვლა უნდოდათ.

— აბა, დრო არის ეხლა. დიდი გზა გვაქვს გასავლელი, შორიდან უნდა მოვიაროთ. — აჩქარდა ხაისბარი.

დიასახლისს ღვიძლ დედასავით გამოეთხოვნენ.

— მალე გნახავთ, დედა-ბატონო, მალე, ოღონდ თქვენებური ხაჭაპური და კარგი არაყი დაგვახვედრე, — ხუმრობის კილოთი უთხრა კოლიამ, თვალებზე კი ცრემლები მოადგა, მხურვალედ აკოცა.

თივის ზვინებიდან თითო-თითოდ გავიდნენ, ბოსელს მიეფარნენ. ბნელოდა. ღრუბლებ-შეფენილ ცის სიღრმიდან მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდნენ შუქდამცხრალი ვარსკვლავები.

სოფელში სამარისებური დუმილი იყო. მხოლოდ ხანდახან მოისმოდა შორეული ქუხილი და მოწყვეტილი ვარსკვლავივით იელვებდა მაშხალა ფრონტის ხაზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალები გადასჭრეს. ხაისბარი მებრძოლთ წინ მიუძღოდა. სოფლსაბჭოს შენობის მახლობლად ჩასაფრდნენ.

— მანდ მხოლოდ ერთი ჯარისკაცი დგას. სხვები საყარაულოდ [illegible] ლი, — მოიტანა ცნობა ხაისბარმა.

— მაშ, მე მაცალეთ. — სთქვა ირაკლიმ და კოლიას ხელი ჩაავლო: — შენ უკან მომყევი, თუ გამიჭირდეს, მომეშველე.

ხოხვით შეიპარნენ ეზოში. ირაკლი დაწინაურდა. სახლის კუთხეს მიეფარა. ავტომატიანი გუშაგი მძიმედ მოაბიჯებდა. ირაკლი ვეფხვივით აიმართა, სუნთქვა შეიკრა. უცებ მოსწყდა და ზარდაცემულ გუშაგს ყელში ეცა. კოლია რომ მიეშველა, გუშაგი აღარ სუნთქავდა.

ამის შემდეგ საქმე ისე მოეწყო, რომ თუ იჩქარებდნენ, სოფლიდან უხმაუროდ გავიდოდნენ.

სამსონი, დავითი და ლადიმე შტაბში შეიჭრნენ, ხოლო კოლიამ და ირაკლიმ სარდაფს მიაშურეს. გასალები არა ჰქონდათ. კარის შენგრევა კი ხმაურს გამოიწვევდა. ამ დროს ხაისბარი გაჩნდა. წინასწარ მოესაზრებინა და სადღაც ძალაყინი ეშოვნა.

შიმშილ-წყურვილისაგან გამოფიტული, ნაწამები ავთანდილი კარზე იყო მიწოლილი. არც ეძინა, არც ეღვიძა, თითქო რაღაც უხილავი ბურუსი ეხვეოდა, სულში ობობას ქსელივით ეფინებოდა.

უცებ ჩხარუნი მოესმა. კარი შეირხა.

„მოვიდნენ, დასახრჩობად უნდა წამიყვანონ“. — გაიფიქრა ავთანდილმა და წამოხტა. ძალა არ ეყო, დაბარბაცდა. ტვინში თითქო ლურსმანი ჩაერჭო, ისე შეაძრწუნა ამ უძლურებამ.

— სადა ხარ, ბიჭო? გამოდი, ნუ გეშინიან, შენიანები ვართ, ქართველები.

ავთანდილი გაშეშდა, სუნთქვა შეეკრა, თითქო ყინულივით ცივ წყალში ჩაგდესო.

— რა მოუვიდა, იქნება ცოცხალი აღარ არის, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და სარდაფში შევიდა.

— ცოცხალი ვარ... მიშველეთ! — აღმოხდა ავთანდილს, მუხლები მოეკვეთა, ირაკლის მკლავებში ჩაიკეცა.

ამ დროს სამსონი, დავითი და ლადიმეც მოვიდნენ. ხაისბარმა ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა, მომყევითო და მსუბუქი, ჭაბუკური ნაბიჯით გაუძღვა მათ წინ.

სოფლიდან უკვე გასულები იყვნენ, როცა იქ განგაში ატყდა.

— აწი რამდენიც უნდათ გვეძებონ, ჩვენს კვალს ვეღარ იპოვნიან, — სთქვა ხაისბარმა და ბუჩქნარიდან სიმინდის ყანისაკენ გადაუხვია. იქ, პატარა ბილიკი იპოვნა, ნაბიჯი შეანელა.

— ბატონო ხაისბარ, იქნება სადმე წყალი იშოვნება? ყმაწვილი ძალიან შეწუხებულია, სამი დღეა წყალი არ დაულევია.

— ახლავე. მომყევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბნელეს თვალი შეაჩვიეს, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯს იქით არაფერი არა სჩანდა. ხაისბარი კი შეუფერხებლად მიაბიჯებდა, რადგან ამ ადგილს ყოველ ნაკვეთს იცნობდა.

რუს პირად ჩამოსხდნენ. ავთანდილი წყლით სავსე მათარას დაეწაფა.

ხაისბარი სადღაც გაძვრა. მალე მობრუნდა, ორი დიდი საზამთრო მოიტანა. ქარქაშიდან გრძელი დანა ამოიღო, გულმოდგინედ დასჭრა.

— აი ახლა კი ნამდვილი მასპინძელი ბრძანდებით, ბატონო ხაისბარ, — მიმართა კოლიამ, მხარზე სიყვარულით მოხვია ხელი მოხუცს.

— ეს, თქვენი ჭირიმე, რა მასპინძლობაა. აგერ ღმერთი მოგეგზავნებს და ჩემი ჯალაბობა შინ თავს მოიყრის, მაშინ უნდა მეწვიოთ. კაი პურმარილიანი ხალხი ხართ ქართველები, მაგრამ, ღვთის მადლით, არც ჩვენ ჩამოგრჩებით.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ხაისბარ, — დარბაისლურად შეესიტყვა კოლია: — რაც დღეს ჩვენმა დიასახლისმა, ჩვენმა დედა-ბატონმა და თქვენ ვალი დაგვდეთ, ჩვენს სიცოცხლეში ვერ გადავიხდით. ისე კი ნეტავი ერთი თქვენი თავი ჩემს ოჯახში მომასწრო და მერე მომკლა, არ ვჩივი.

ავთანდილს, როგორც კი მათარას პირი მოსწყვიტა, მაშინვე ციებ-ცხელებიანივით კანკალი დააწყებინა. კბილს კბილზე არაწკარუნებდა.

— წინადაც გაცივებდა? — შეეკითხა ირაკლი.

— არა... არასოდეს არ გაუცივებივარ. გამოფიტული ვარ და ძარღვებმა ვერ აიტანეს, — უპასუხა ცახცახით შეპყრობილმა ავთანდილმა.

— ნუ გეშინიან, შვილო, მალე გაგივლის, — დაუყვავა ხაისბარმა. — აჰა, საზამთრო ჭამე, პურიც დააყოლე. — ზურგიდან ტყავის აბგა მოიძრო, პური მოსტეხა და ავთანდილს გაუწოდა.

გზა განაგრძეს. ხან სიმინდის ყანებში მიძვრებოდნენ, ხან კანაფში, ხან მზისუმზირაში.

ცა მოიწმინდა. ცისკრის ვარსკვლავი გამოჩნდა. სწორედ ამ დროს მიუახლოვდნენ გერმანელთა სანგრებს.

— სხვა გზა არ არის, თუ შეგვამჩნიეს ბრძოლით უნდა გავიდეთ, — მცირე თათბირის შემდეგ სთქვა სამსონმა.

— მოიცა, შვილო, — დინჯად მიმართა ხაისბარმა, — მართალია, საცაა შემოგვათენდება, მაგრამ აქ ეხლა ბრძოლის გამართვა არა ღირს. ნათქვამია, შორიდან მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო. ისევ მე მომყევით, ისეთ ადგილას გაგიყვანთ, რომ იქიდან დღისითაც გაძვრებით.

— აგრე აჯობებს, — დაეთანხმა ხაისბარს დავითი. — ეს ბიჭი, ავთანდილი ძალიან სუსტადაა, ბრძოლას ვერ შესძლებს.

— არა, ჩემი გულისათვის უკან არ დაიხიოთ, — წამოიძახა ავთანდილმა. — ამ დღეს მოვესწარი, იარაღი ხელში მაქვს და...

— დამშვიდდი, შვილო, — შეაჩერა ხაისბარმა, — ბრძოლას მოესწრები, ჯერ მომჯობინდი. მე ერთი ძმობილი მყავდა, იგი მეტყოდა ხოლმე, რუსთაველს უთქვამსო: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

— გენაცვალე სულში! ამას „ვეფხის-ტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია! — წამოიძახა კოლიამ — გაგვიძეხ, ბატონო ხაისბარ!

კვლავ სიმინდის ყანაში მოხვდნენ. სიმინდი იმდენად ხშირი იყო, რომ შიგ უხმაუროდ გაძრომა ძალზე უჭირდათ. წინ მიმავალი ხაისბარი კი ნელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შეუჩერებლად განაგრძობდა სვლას. ისე მიიპარებოდა სიმინდებში, თითქო თასმასავით მოქნილი არისო.

ამბობენ, განთიადის წინ რამდენიმე წუთით მდინარეც ფიცარივით, არც ერთი არ ამხელდა, თორემ უზომოდ დაღლილნი იყვნენ. სულ მცირე ხნით რომ ჩაემუხლებინათ, ძალ-ღონის აღსადგენად ესეც საკმაო იყო, მაგრამ ხაისბარი შესვენებას არ აპირებდა, არც ჩქარობდა, ერთნაირი ნაბიჯით მიიწევდა იმ ადგილისაკენ, სადაც მზის ამოსვლამდის უნდა მისულიყვნენ.

ავთანდილს ძალა ელეოდა, სული ეხუთებოდა. მაგრამ თავს იმდენად ბედნიერად გრძნობდა, რომ არ უნდოდა სხვებისთვის ეგრძნობინებინა თავისი უძლურება. ხანდახან სისხლდალექილ, გაბზარულ თავის-ქალაზე სიმინდის ფოთოლი დანასავით გაესობოდა, მთელ ტანში უმწვავესი ტკივილი დაუვლიდა, დაიკლაკნებოდა, მაინც არა კვნესოდა.

ფოლადს რომ გრძნობა მისცა, გავარვარებული ქურიდან რომ გამოიღებენ და ცივ წყალში საწრთობად ჩასდებენ, უთუოდ ავთანდილისებური განცდა დაეუფლებოდა.

ავთანდილმა უსაშინელესი წამება უკვე გამოიარა და ახლა, ყოველ ნაბიჯზე რომ ფეხი ლურსმანზე დაებიჯებინა, მაინც ივლიდა, რადგან ეს წამება აღარ იყო, ეს ნამდვილი სიცოცხლისაკენ აღმავალი გზა იყო. ამიტომ მისთვის სავსებით მოულოდნელი იყო, როცა წონასწორობა დაჰკარგა და ძალმილეულმა მოცელილივით ჩაიკეცა.

გვერდით მიმავალი დავითი და ირაკლი მიეშველნენ.

— მოიკიდეთ და წამოიყვანეთ, მალე გავალთ, — სთქვა ხაისბარმა. — აქ ერთ გორას უნდა შემოვუაროთ. მერე შევისვენებთ.

ირაკლიმ თავისი საჭურველი დავითს გადასცა და ავთანდილი ბავშვივით ზურგზე შეისვა. გზა მსუბუქად განაგრძო.

დავითმა ირაკლის თვალი გააყოლა და სიყვარულით გაიფიქრა: „როგორ გამოიცვალა ეს ბიჭი! ყოველ დღე იზრდება, ძალღონე ემატება!“

ყანებს გასცილდნენ. ბუჩქნარიან ფერდობზე შეუხვიეს.

ვეება წიფლის ძირას შესდგა ხაისბარ. ხელით თვალი მოიჩრდილა, სამხრეთ-აღმოსავლეთს გაჰხედა.

მწვერვალებს ამომავალი მზის ნათელი ეფინებოდა. მთების კალთებზე ნისლის ნაირნაირი ტალღები იგრაგნებოდნენ, ზევით მიიწევდნენ. ზოგი ალისფრად ღვივდებოდა, ზოგი რძესავით იღვრებოდა ცისიერში და ნელნელა ჰქრებოდა ქვიშაზე დასხმული ქაფივით.

ჭალებს ჯერ კიდევ ბოლისფერი ბინდი ებურათ.

— აჰა, მოვედით, ღვთის მადლით, — სთქვა ხაისბარმა და ქაღალდივით თეთრ წიფელს ხელი მიადო. — ეს ჩემი ძველი მეგობარია. აქ შევისვენოთ.

ირაკლიმ ავთანდილი ძირს დასვა, სახეზე დაჰხედა.

— ხედავთ, რა დღეში ყოფილა?

ყველანი ავთანდილს დააცქერდნენ.

სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი, თვალების უპეები — ამოლილავებული, თხელი ტუჩების კუთხეებშიაც სისხლი შეხმობოდა. გახეთქილ თავის-ქალაზე, მარჯვენა ყურის ზემოთ, სისხლისფერი სითხე შედედებოდა, გადმონაყონი ყელამდის ჩამოღვროდა.

— საოცარია, იმდენხანს როგორ იარა თავისი ფეხით! — სთქვა სამსონმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავთანდილს დააკვირდა: — მოიცა... ეს ბიჭი... დავით, მოიტა შენ რომ სახვევი გაქვს... კოლია, დოლბანდი არაყში დაასველე და მომეცარეული სახე მოსწმინდა, იარა გაუსუფთავა. აუჩქარებლად შეუხვია ... მუხლზე დააფებინა და თვალებში ჩაჰხედა ოდნავ მოსულიერებულს.

— ბიჭო, ავთანდილ! ვერ მიცანი, ბიჭო? სამსონი ვარ, შენი მეზობელი.

ავთანდილი თითქო ტკბილ ბურანში იყო, თითქო ნებივრობდა და არ უნდოდა თვალის გახელა. თანაც ასე ეგონა, სამსონის ხმა ძალიან შორიდან ესმოდა და პასუხს ვერ მიაწვდენდა. ამიტომ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჰა? მიცალე... ახლავე...

— ფრონტიდან შინ რომ დაბრუნდი, ეს მაშინ ახალი გაწვეული იყო. ჩემი [illegible] მეზობელია. რამდენი მაბარა ამისმა დედამ — იქნება სადმე გადაეყაროო, თვალი გეჭიროსო. ხედავთ, ახლა სად შევხვდი? — უთხრა ამხანაგებს სამსონმა.

ეს სიტყვები გარკვევით გაიგონა ავთანდილმა. არ უნდოდა ნირვანისებური ბურანიდან გამოსვლა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თვალი გაახილა.

— მიცანი, ბიჭო? — შეეკითხა სამსონი.

ავთანდილს თხელი ტუჩები შეერხა, თეთრი კბილები გამოუჩნდა, ამოლილავებულ თვალებში ღიმილის შუქი აუკიაფდა. თავი ასწია, წამოჯდა.

— გმადლობ, სამსონ... გმადლობთ, ძმებო... თქვენ სიკვდილს გადამარჩინეთ. აწი თქვენთან სიკვდილიც ბედნიერება იქნება. — სულ არ უფიქრია ავთანდილს, ეს სიტყვები თავისთავად აღმოხდა. წამსვე წყურვილი მოაგონდა, მისუსტებული ხმით დასძინა: — იქნება დამალევინოთ რამე.

— მოგიკვდეს ჩემი თავი! — წამოიძახა კოლიამ. — წყალს კი არა, ჩიტის რძეს გავაჩენ.

ჯერ წყალი დაალევინა, მერე თავისი პატარა ყანწი არყით გაავსო.

— აბა, ახლა ეს დააყოლე, მთავარი წამალი ესაა.

ავთანდილი არაყს ბავშვობიდანვე შეჩვეული იყო. მუცელი რომ წამოსტკივდებოდა, დედა არაყს დაალევინებდა ხოლმე. ამიტომ ახლა როგორც კი გადაჰკრა, ისეთ გუნებაზე დადგა, თითქო შინ დაბრუნებულიყოს და დედის გაბრწყინვებული თვალები დაენახოს.

— ჰაი, ჰაი, რა არის ჯეელობა! — ჩაილაპარაკა ხაისბარმა, რომელსაც ავთანდილის გამოცოცხლებულმა გამომეტყველობამ თავისი სიჭაბუკე მოაგონა. — ერთ დროს, — მაშინ ჯერ კიდევ უცოლო ვიყავი, — კავკასიიდან თბილისამდე მეურმედ ვმუშაობდი, ქართველი ამხანაგი მყავდა, დუშელი ზაქარა. ჰო-და, წავიღებდით ხოლმე ტიკით ღვინოს, გზაზე შევისვენებდით, სოფელში გადავუხვევდით, კაი მსუქან ცხვარს დავაკვლევინებდით და გიყვარდეს ქეიფი.

ყველანი ხაისბარს მიაცქერდნენ.

რაღაცა იყო ჭარმაგ მოხუცში ისეთი, რაც ადამიანს წარსულისაკენ სიყვარულით მიახედებდა, კავკასიონის კალთებზე გამობრძმედილი ხალხის ცხოვრებას თვალწინ დაუყენებდა.

ფართო ფარფლებიანი ნაბდის ქუდი მოეხადა ხაისბარს, თოვლივით თეთრი თმა ნათელივით ადგა მის გრძელ, შავგვრემან სახეს.

ღრმად დალარული შუბლი, ჭაღარა-შერეული სქელი წარბები, ქუფრი, დაწმენდილი, ალმასივით ბასრი თვალები, არწივისებური ცხვირი, მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერი ნაოჭიან ლოყებზე და თამბაქოსაგან გაყვითლებუ-

ლი ულვაშები, — ყოველივე ეს ჰქმნიდა დაუვიწყარ სახეს კავკასიურ სახეთა შორის. ტუჩები ოდნავ ჩაწეული ჰქონდა ხაისბარს, რადგან [illegible] კბილი აღარ გააჩნდა, მაგრამ ეს უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევდა [illegible] მეტყველებას, მის ჭირნახულობას.

ნაცრისფერი შალის ჩოხა ეცვა. ტანადობასა და მხრებ-გაშლილობაში ხანდაზმულობა სრულიად არ ემჩნეოდა. მაღალ წვივებზე წყლისფერი პაიჭები ჰქონდა შემოგარსული, ხოლო ფეხებზე მესტებივით შეკერილი ქალამნები ეცვა, ტერფებს ქვეშ თასმებით გამოქსოვილი.

„ასე მგონია, ეს კაცი მრავალჯერ მენახოს, — გაიფიქრა სამსონმა. რაღაცა არის მასში ისეთი, რაც ძალიან ახლობელივით გიზიდავს“.

— წუხელის ბნელაში გაგიცანით. ახლა დაგაკვირდით და, ბოდიში, ძალიან შემიყვარდით, — მიმართა სამსონმა ხაისბარს, მიეახლა, ხელი გაუწოდა.

— სიყვარულს, შენი ჭირიმე, დიდი ამაგი სჭირია. მე თქვენთვის ჯერ არავითარი ამაგი არ გამიწევია, მაგრამ, ღვთის მადლით, ცოცხალი ვიყოთ და...

— გენაცვალე სულში! — ვეღარ მოითმინა კოლიამ. — ამ გაცნობას, ამ დაძმობილებას პურ-მარილი არ უნდა? ახლავე იქნება, მოგიკვდეთ კოლიე, თუ დავაგვიანო!

დატრიალდა. თითები გააწკაპუნა, ბუჩქებს მიაშურა, ნეშო მოსტეხა, წიფლის ძირას გაშალა. შემდეგ ჩანთებიდან სანოვაგე მოაგროვა, ფოთლებზე დააწყო. შუა ადგილას ოდნავ ნაკლული არყიანი ბოთლი ჩადგა, ბოლოს თავის ჩანთიდან საგანგებოდ შემონახული კონიაკი ამოიღო, მაღლა აისროლა.

— აბა, რაც არის, ეს არის, აი! ნადავლია! ამის პატრონი... იცით, ბიჭებო, სად არის ახლა ამის პატრონი?

— მიწაში, — მიაძახა ლადიმემ.

— უკაცრავად, ნუ ჩქარობ გურულო. ამის პატრონი ამ წუთას წარსდგა ჰიტლერის წინაშე და, ყურს თუ დაუგდებთ, თქვენც გაიგონებთ, რას ეუბნება. ხომ გესმით: დიდებულო ფიურერო, დავილუპეთ, ჩვენი საშველი აღარაა, ერთი კახელი ბიჭი გამოჩნდა, სახელად ირაკლი ჰქვიან, ვისაც ჩაავლებს ხელს ყელში, კაპუტ მისი საქმე. მაშ! ასე მოსთქვამს ის ღდინძაღლი. ჯანდაბას მისი თავი! აბა, გენაცვალეთ სულში, დაბრძანდით. ხომ მოგეხსენებათ, კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო.

მაღალი წიფლის ოდნავ შეყვითლებული ფოთლები ახალ ამოსულ მზის ხივებში ელვარებდნენ. თბილი, დამტკბარი დილა იყო.

თუმცა ფრონტის ხაზი ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა. ამიტომ აირჩია ხაისბარმა შესასვენებლად ეს ადგილი.

მადიანად შეექცნენ. კოლიამ ერთხელ ყანწი უკვე ჩამოატარა. ყველანი მეტად კარგ გუნებაზე დადგნენ. დიდ განსაცდელსა და გაჭირვებაში გამოვლილ ადამიანს ბევრი რამ არა სჭირდება. ეს მყუდრო ფერდობი, რაღაც განსაკუთრებით გემრიელი პური და ყველი, სასმელი, ურთიერთისადმი სიყვარულით გაშლილი გული, — განა ეს უდიდესი ბედნიერება არ იყო იმ ხიფათიან მოლოდინთან შედარებით, რომელშიაც მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ? მართალია, აქაც, სადღაც სულ ახლოს, მტერია ჩასაფრებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ალი ტრიალებს, მაგრამ ამ წამს ამაზე ფიქრის დრო არ იყო. ახლა შესვენება, ძალღონის მოკრება სჭირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, ხოლო როცა კაცი ძალღონის განახლებას გრძნობს, ეს მასში დიდ სიხარულს იწვევს.

ყველაზე მეტ ნეტარებას ავთანდილი განიცდიდა. ხან ერთ ბოროტებულ ბოდა, ხან მეორეს. შემდეგ დილის შუქით გაბრწყინვებულ გარემოს მოაელებდა თვალს და ყოველივე ამასთან ერთად თავის თავსაც ხედავდა, ახალი სიცოცხლის გზაზე გამოსულს. მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ ეს იყო მისი დავაჟკაცების დღე, რომელსაც საფუძვლად გამოვლილი წამება ედვა. თანაც მისი მგზნებარე გონების წინაშე თანდათან უფრო გარკვევით ისახებოდა ორი ქვეყანა: ერთს ის თვალბოროტი მტარვალი განაგებდა, რომელსაც მან პირისპირ ბრძოლაში თავი არ გააქელვინა, ხოლო მეორე ეს იყო, ეს მშობლიური სახეები, სამსონი, ირაკლი, კოლია, დავითი, ლადიმე, ეს კეთილი ხაისბარი, რომლის დაწმენდილ თვალებშიაც მამაშვილური შუქი გამოკრთოდა, მთელი ეს ლამაზი მიდამო, დილის მზით პირდაბანილი მთების კალთები, იისფრად მოხასხასე ნოხებით მოფარდაგებული ხევები და დიდებული კავკასიონის მწვერვალები.

ხაისბარმა კოლიას საპასუხოდ ყანწი ასწია, მარცხენა ხელის თითები ულვაშებზე გადაისვა, ჩაფიქრდა. ეშჩნეოდა, დიდ რამეზე აზროვნობდა, სიტყვებს ეძებდა.

— მართალი ბრძანე, შენი ჭირიმე: ჩვენი ძმობა, ღვთის მადლით, შორიდან მოდის, — დაიწყო მან. — კეთილისა და ბოროტის ბრძოლა დასაბამიდან მოდის. ბოროტმა სულმა ქვეყანა გველებით შემოღობა, კეთილი კი გაზაფხულის დღესავით ყველგან სიცოცხლეს სთესავს. აი თქვენ და ყველა ერების შვილებმა, რომლებიც თქვენთან ერთად იბრძვიან, უნდა გაარღვიოთ ავი სულებით შემოღობილი ზღუდე და, ღვთის მადლით, კიდევაც გაარღვევთ. ძველ წიგნში სწერია: დადგება დრო და კეთილი ბოროტსა სძლევსო. მე მწამს, რომ თქვენ და თქვენთან ერთად ჩემი შვილები და შვილიშვილები თავს გაუსრისავთ იმ შხამიან გველებს, რომლებიც კაცობრიობას სიცოცხლეს უწამლავენ. ჩვენი გამარჯვებისა იყოს, ვაჟკაცებო!

— გენაცვალე სულში! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა კოლიამ, — ისე რავა მოვკვდები, რომ თქვენ, პატივცემულო ხაისბარ, ჩემს ოჯახში არ მიგიწვიოთ და თამადად არ დაგაყენოთ. აი ნახავთ, თუ ასე არ იქნება. — ღიმჩამდგარი თვალები მოჭუტა, ყველას გადახედა: — რას მიყურებთ, ნუ გეშინიათ, თქვენთვისაც მექნება საპატიო ადგილი!

— აბა, კმარა! — ბრძანების კილოთი სთქვა სამსონმა: — გზას გავუდგეთ, შუადღემდე ჩვენებთან უნდა ვიყოთ.

სწრაფად მოემზადნენ. ხაისბარს ძალიან უნდოდა კვლავ გაჰყოლოდა მათ, მაგრამ სამსონმა არ ისურვა.

— აწი გზას გავიკვლევთ. თქვენ იქ, სოფელში, უფრო საჭირო ხართ. სულ მალე ვიქნებით თქვენთან, — უთხრა ხაისბარს სამსონმა და მხურვალედ მოეხვია.

ასოდენ ნაბიჯი რომ გაიარეს, კოლიამ უკან მიიხედა, ვეება წიფლის მახლობლად მდგომ ხაისბარს უკანასკნელად გაუღიმა და მოეჩვენა, თითქო იმ ცადაწვდილ წიფელზე უფრო ფესვგადგმულად იდგა იქ დილის მზის სხივით სახე-გაშუქებული ხაისბარ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ღიახვის პირას [1]

ჯარი მოსამე

თავი II

შალაურში სტუმრად ყოფნა სანანებლად არ გახდომიათ მეგობრებს. მასპინძელი მხიარული, ენაწყლიანი და გულუხვი აღმოჩნდა. განუწყვეტლად გუზგუზებდა ბუხარი. გარეთ გამუდმებით თოვდა. ნამუადღევს გლეხები თოვლავდნენ სახლებსა და ნამშრალებს.

სტუმრები და მასპინძლები საუბრით ერთობოდნენ. კითხულობდნენ ხმამაღლა აკაკის, ილიას, შოთას, ბარათაშვილს, პუშკინსა და ლერმონტოვს. თუშელაშვილებისას წიგნებიც მოიპოვებოდა. მეგობრებმა აქ გაიცნეს მესამე თუშელაშვილი — ვახტანგი, ბარძიმისა და იოკიმეს უმცროსი ძმა, მათსავით ტანმაღალი, მაგრამ პირხმელი და უფროსი ძმების საწინააღმდეგო ხასიათის პატრონი, აუღელვებელი, წყნარი, თითქმის ჩუმი ახალგაზრდა. შინაურობაში ვახტანგს იესოს ეძახდნენ. იოკიმემ სტუმრებს აცნობა: ეგ სახელი მაგას ბარძიმმა დაარქვა ქრისტეს ხასიათისა და ზნის გამოო. იესო პირველ დღეს არ მიჰკარებია ძმას და მის სტუმრებს. მხოლოდ მეორე დღეს გამოვიდა სადილად თავის ოთახიდან, შორიდან სალამი მისცა ყველას და სუფრასთან მდუმარედ ჩამოჯდა.

იესო თუშელაშვილი მართლაც არ ეკუთვნოდა თავისი უფროსი ძმების წრის საზოგადოებას. იგი უკანასკნელი იყო ბარძიმის მამის შვილებს შორის, ნაბოლარა, როგორც იმერლები ამბობდნენ. გათხოვილ დებსა და უფროს ძმებს მოესწროთ მასთვის მამის საცხოვრებლის მიჩემება და შეჭმა. ამიტომაც იესოს დიდ ხელმოკლეობაში მოუხდა ქუთაისის რეალური სასწავლებლის ატესტატის მიღება. ხშირად მჭადი და ლობიო ზურგით ჩაჰქონდა ქუთაისს. ცხრა წელი მდგმურად გაატარა დიასახლისთან. გაათავა რეალური სასწავლებელი. მოისურვა ძმებივით რუსეთის წასვლა, ისიც ყველაზე ძვირ ქალაქ პეტერბურგს, და იქ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ძმებმა უარი სტკიცეს, — მამი ჩვენის საცხოვრებელი უნივერსიტეტის ხარჯებს ველარ გაუძლებსო, — და ყველანი თავ-თავის გზას გაუდგნენ.

ერთად-ერთი გზა-ღა დარჩა: თვითონ იესოს ეპატრონებინა თავისთვის. ვაი-ვაგლახით მოიწყო ხელი. გასწია უკრაინის დედაქალაქ კიევისაკენ და იქაურ უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე შევიდა. კერ-

---

[1] გაგრძელება, იხ. „მნათობი" № 9—10.

ძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. ხუთი წელი დაჰყო კიევში. ძმები და შალაური აღარ მოუკითხნია, თავი აღარავისთვის აღარ გაუხსენებია.

მართალია, ბარძიმმა უარი უთხრა უნივერსიტეტში დახმარებაზე, თუმცა ძმა მაინც უყვარდა და მის გახსენებაზე ცეცხლი ეკიდებოდა. გახსენება-კი სიმთვრალის დროს ხდებოდა იესოს საბედნიეროდ. მაშინ ბარძიმი ფოსტისაკენ გარბოდა, ჯიბეს იცალიერებდა, უგზავნიდა ძმას იმდენს, რამდენიც ამოჰყვებოდა ხელს ჯიბიდან. იესოც მხოლოდ ფულის მიღების ამბავს ატყობინებდა კიევიდან. მეტს არც ერთ სიტყვას, არც ერთ მოკითხვას.

ხუთი წლის დამლევს ბარძიმი ძმის ბედმა დააფიქრა. კიევის ნახვაც მოსწყურდა. ჩაიდო სახარჯო და გასწია თავის საუნივერსიტეტო ქალაქისაკენ. ძლივს მონახა იესო ვიწრო მანსარდაში. გაჭირვებისაგან მთლად მილეული და ხავიწივით გამხმარი დახვდა ძმა. სამაგიეროდ გაიგო, რომ იესო თუშელა-შვილი ერთი საუკეთესო და დიდი იმედების მომცემი სტუდენტთაგანი იყო, რომლის მაგვარიც იშვიათად გამოერეოდა ქართველ სტუდენტობაში. პროფესორები მოხიბლულნი იყვნენ მისი ნიჭით და მუყაითობით, მას მოკრძალებით ეპყრობოდნენ ქართველი სტუდენტებიც. ძმის ჩასვლისას იესოს სახელმწიფო გამოცდები-ღა ჰქონდა ჩასაბარებელი. აღარ კი შეეძლო მეცადინეობა, ახველებდა, წარა-მარა ცივდებოდა, ღამით ოფლში იწურებოდა. ამიტომ ძმის უარის ყური აღარ ათხოვა ბარძიმმა, იქ მოემზადეო გამოცდებისათვის, გამოუცხადა. რბილ მატარებელში ჩასვა და ჯერ ლამის ყანას, შემდეგ კი შალაურს ჩამოიყვანა. აგვისტოს დამლევს იესო უკვე იმერეთში იყო. მან გულმოდგინედ განაგრძო სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადება. უფროსი ძმები, ბარძიმი და იოკიმე, უკვე ხელმომბარები იყვნენ და ძმის ფეხზე წამოსაყენებლად არაფერს იშურებდნენ.

პირველად, როგორც ძმების ყველა სხვა სტუმარს, გოლასა და გიტასაც ეჭვის თვალით შეხედა იესომ. უეჭველად ლოთები იქნებიანო, — გაიფიქრა. მაგრამ დაელაპარაკა თუ არა, სადილზე, წინააღმდეგში დარწმუნდა. მოეწონა ისინი, დაუმეგობრდა, გაუამხანაგდა. მეტადრე ენერგიულ გოლა კამკამიძეს. პირველად მოეწონა იესოს თავისი ძმა იოკიმეც, რომელიც სტუმრებთან საუბარში დიდ ნიჭს და ცოდნას იჩენდა.

თოვა არ ნელდებოდა, აყრიდა და აყრიდა ცა თეთრ ფიფქს მიწას. თოვლი მეორე სართულის სვეტებს მიუახლოვდა. ამაო იყო ფიქრი სოფლიდან დაძვრაზე, რაც მასპინძლებს ახარებდა. მაინც და მაინც დიდად არც სტუმრებს აწუხებდა ეს ამბავი.

— სულ ღვინის ნუ გადავყვებით. გავაკეთოთ რამე, — შეეტანა ერთხელ წინადადება გოლა კამკამიძემ.

— გავაკეთოთ!

— კარგია!

დაეთანხმნენ მას. იოკიმე ჩაეჭიდა გოლას წინადადებას. საშველი აღარ მისცა.

— ვვირჩიეთ, ნუღარ აყოვნებთ, თქვენ მხოლოდ მოიფიქრეთ, ჩემზე კი მისი სისრულეში მოყვანა იყოს. ნადირობა? ქალალდის თამაში? ექსკურსია?

— არც ერთი და არც მეორე. მოვილაპარაკოთ. — სთქვა გოლამ.

ვინ რა სთქვა, ვინ რა. გოლას მოსაზრებაზე შეჩერდნენ, გადასწყვიტეს, ყოველი მათგანი გააკეთებდა მოხსენებას თავისი ცოდნის მიხედვით. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევას პირველმა იესომ დაჭკრა კვერი, მას მიჰყვნენ იოკიმე და გიტა. გოლამ დაიწყო:

— იესო, აბა! გვაცნობეთ თქვენი თემის სათაური.

— ტექნიკური და მათემატიკური ცოდნის ფართოდ გავრცელება ქართველობაში.

— თქვენ, იოკიმე?

— მეც ჩემი სპეციალობის მიხედვით, — სთქვა მან. — ქართველი ბურჟუაზიის შექმნისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცების გზები, ვაჭრობა და მრეწველობა.

— თქვენ, აგრონომო?

— მიწის დამუშავების გადაყვანა ჩვენში მეცნიერულ საფუძვლებზე.

— კეთილი, — დაემოწმა მასაც გოლა. — ახლა მე მოგახსენებთ: იცით, სპეციალობა არა მაქვს. ამიტომ ჩემი თემა იქნება: როგორ ჩავიგდებთ ხელში მუშები და გლეხები სახელმწიფოს, როგორ მოვსპობთ ყოველგვარ ბურჟუაზიას და როგორ მოვექცევით ყოველ თქვენგანს.

გოლას სიტყვებზე ხარხარი ატყდა, ერთმანეთს აწყდებოდნენ, იესო-კი ვერდიდან ალარ სცილდებოდა.

— მართალია, ფანტაზიად მიმაჩნია ეგა, მაგრამ გულდასმით მოგისმენთ, არც ერთი სიტყვა არ გამომეპარება, — უთხრა მან გოლას და მერე ყველას მიმართა; — მაშ შევუდგეთ მზადებას მოხსენებისათვის, კმარა ამდენი თათქარიძეობა, ყველანი ჩავუჯდეთ სამუშაოს. ღვინო ალარ დაგვანახო, იოკიმე, სანამ საქმეს არ მოვრჩებით.

— ვგრძნობ, მცირე აუდიტორია გვეყოლება, თუ ზომები არ მივიღეთ, — სთქვა იოკიმემ, — თქვენ რმეცადინეთ, მე მაინც მოვასწრებ. დაე მასპინძელს ეგ საზრუნავიც მოემატოს, — და იოკიმე გარეთ გავიდა. მეზობლის ბიჭები იხმო თხილამურებით. დასვა, აქეიფა, თითო-ოროლა მჭადი ჩაუდო საგზლად, თოვლიანმა გზამ არ დაგძლიოთო და აფრინა ისანი ყვირილის ვალმაწერეთლებსა და აბაშიძეებში, დარკვეთელ ბაქრაძეებსა და ბეინეველ აბდუშელიშვილებში. წერილები გაატანა თან, მოიპატიჟა. ცალკე გაჰგზავნა კაცი ჭიათურელი ქართველი მრეწველების მოსაპატიჟებლადაც.

დიდი ხნის დადუმებული თუშელაშვილების აზნაურული პალატი და ოდა ვამხიარულდა. არავინ მოერიდა ღრმა თოვლს, გაივსო სახლი სტუმრებით და მოყვრებით. მოვიდა საწერეთლოს რჩეული ახალგაზრდობაც, ის, ვისაც თოვლი ვერ დააკავებდა. ქალებიც ერევნენ მათში, ბედის ძებნით გატაცებულნი, თუ ნამდვილი ინტერესით მოსულნი.

ამ კამათსა და დისპუტებში საწერეთლოს მოწინავე ინტელიგენცია იღებდა მონაწილეობას, გარდა დიდი პოეტის აკაკისა, რომელიც რუსეთს იმყოფებოდა, და კნეინა ელისაბედ წერეთელისა, რომელიც თვითონ ვერ ესტუმრა შალაურს, მაგრამ თავისი მდივანი-კი გამოგზავნა, — მეფუტკრე და სამრევლო სკოლის მასწავლებელი ყარამან ჩხეიძე, — იმის გასაგებად თუ რა მოხდებოდა თუშელაშვილებისას. ელისაბედს ბარძიმ თუშელაშვილი არ მიაჩნდა აზრიან კაცად. თუშელაშვილების ოჯახი, რომელმაც მიწაწყალი ვერ შეირჩინა, მას დაღუპულად და გაპარტახებულად მიაჩნდა, მაგრამ იქნებ ახალგაზრდები ვარგანო, — ფიქრობდა იგი, — იქნებ სასარგებლო ადამიანები გამოდიანო. მეტადრე აინტერესებდა იესოსა და აგრონომ მეზვრიშვილის ამბავი. ქართული გაზეთები ბევრსა სწერდნენ ამ აგრონომის ცოდნასა,

მომზადებასა და შრომის მოყვარეობაზე. აშკარა იყო, თავადმა ელიზბარმა თავისი მოშლილი საქმეები იმ აგრონომის წყალობით მოაგვარებინა.

თავადის მეუღლემ ელისაბედმა კარებამდე მიაცილა თავისი [illegible] რამან ჩხეიძე.

— ყარამან, — დაამბარა გარკვევით: — ინახულე თუშელაშვილების ოჯახი, მიიღე მონაწილეობა მათ სალამოებსა და დროსტარებაში. კარგად დაუკვირდი, თუ ღირსეულ ადამიანებად იცნო, დამიპატიჟე მასპინძლიანად.

— უსათუოდ, ქალბატონო!! — თავის დაკვრით გამოეთხოვა ყარამანი ქალსა და, მეკვლეების წინ გაძღოლით, თაფლისფერ ჯორზე შემჯდარი გაუყვა შალაურისკენ.

რამდენიმე დღეს გაგრძელდა სტუმრიანობა და კამათი თუშელაშვილებისას, ყარამანი პირდაღებული უსმენდა მათ, რაღაცეებს იწერდა უბის წიგნაკებში, იხსომებდა. სადილად თუ ვახშმად ყველაზე ადრე ჯდებოდა სუფრაზე, თითქოს ეშინოდა, უადგილოდ არ დავრჩეო. გაკვირვებული იყო ყარამანი: ეს როგორი ქართველები გაჩენილან ქვეყანაზე: ღვინით არ ახრჩობენ და ხანჯლითაც არ კუწავენ ერთმანეთსო. ეშინოდა გოლა კამკამიძისა — ამ კაცში ათასი ეშმაკი, ჭინკა და კუდიანი დაბუდებულაო. მოსწონდა აგრონომი, — მართლა ჭკვიანი კაცი სჩანსო. ხოლო იესო თუშელაშვილი იმაზე უკეთესი მოეჩვენა, რაც მის შესახებ გაეგონა. უფრო მეტიც: ის ფიქრობდა, იესოსთანა ყმაწვილი მთელ საწერეთლოში არ მოიძებნებაო. თავისი სიდინჯით და ნაკითხობით მარტო ის უძლებდა და არაფერში არ ჩამორჩებოდა ქართლელ სტუმრებს. ქართლი-კი სამრევლო სკოლის მასწავლებლის ღრმა რწმენით, საქართველოს ტვინი და გული იყო. ქართლია, ქართლია, რაც არ უნდა იყოსო, — იტყოდა ხოლმე ყარამანი.

ერთი სიტყვით, ყარამანმა რამდენიმე დღეს სწონა თუშელაშვილები და მათი ქართლელი სტუმრები. ბოლოს, გადასწყვიტა გაემეღავნებინა მათთვის კნეინა ელისაბედის დანაბარები — საჩხერეში მიპატიჟება. ყარამანი უფრო შორსაც წავიდა: ადგილობრივი სტუმრებიც დაუპატიჟა კნეინას. როცა ყველანი შეიპირა, მოაჯდა ჯორს და გასწია საჩხერისაკენ. ჯერ თავის სახლშიც არ შესულიყო, თავადის მეუღლემ ახმო:

— ყარამან, გაგიტკბა თუშელაშვილებისას ქეიფი?

— თქვენც დიდი ნასიამოვნები დარჩებოდით, იქ რომ ბრძანებულიყავით, — მიუგო მეფუტკრემ.

ჯორზე ჯდომით დაბრუჟებული და გაყინული მუხლები ბუხარს მიუფიცხა და დაწვრილებით მოუთვალა, რაც იხილა და ისმინა.

— ღირსეული ყმაწვილები არიან, — დაასკვნა ბოლოს.

— დამიპატიჟეთ?

— დიაღ, ხვალ სალამოთი გეახლებიან. აქედან პირდაპირ ქართლს წავლენ.

— აგრონომი როგორია?

— აგრონომი? ფეხდადგმული ნასწავლი კაცია. უფრო საინტერესო-კი ვილაც გოლა კამკამიძე გახლავთ, მეუმრავლესეთა პარტიელი, თუმცა მე ეგ პარტია არ მომწონს, მაგათი არა მესმის-რა.

— ჰა-ჰა-ჰა! ვიცი. ხომ დამიპატიჟე ეგ მეუმრავლესეთა ხელმძღვანელი? აქამდე ვერსად მოვიგდე ხელში სანახავად, — სიცილით სთქვა ელისაბედმა, მერე მსახურს მოუხმო და უბრძანა სტუმრების მისაღებად მოემზადებინა თბილი ოთახები. მერე მოიმწუხრა: რაღა ზამთარში მოვიდა აგრო-

ნომი, როგორ დავათვალიერებინო ადგილ-მამული ამ ზვავ თოვლში? არ მინდა იმ აზრით წავიდეს იმერეთიდან, თითქოს ერთად-ერთი ელიზბარი იყოს ქვეყანაზე ალაჰის მოციქული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აზრიანი კაცი ისეც მიგიხვდება, ქალბატონო, — დააიმედა ყარამანმა.

და იქვე შიშნარევი ხმით დაუმატა:

— მე მაინც არა მესმის-რა მაგათი.

იმერელ აზნაურებს, ჭიათურელ მრეწველებს და ვაჭრებს ზღაპრად მოეჩვენათ გოლა კამკამიძის აზრები. რას ბრძანებთ, ვინ დაანებებს მუშებსა და გლეხებს სახელმწიფოს? მაგრე რომ მოხდეს, ჩვენ რაღა გვეშველებაო. გულის ყურით მოუსმინეს, თავისი შენიშვნებიც გამოსთქვეს. მხარი და დასტური კი არავინ მისცა გოლას, გარდა ორი ახალგაზრდისა, რომლებიც გოლას მჭერმეტყველობით მოიხიბლნენ და ალუთქვეს მომხსენებელს ბრძოლაში ჩვენც შენთან ვიქნებითო. ნიკოლოზის გადმოგდებაზე, საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ აღიარებაზე-კი ყველანი თანახმა გახდნენ. ეგ ჰო, მაგისთვის ყველანი ვიბრძოლებთ, თავს დავდებთო.

გოლა კამკამიძე ამითაც კმაყოფილი დარჩა: — აი ეს საქმეა, — ეუბნებოდა იგი აგრონომს. — ისიც კარგია, ეგ ხალხი თუნდაც მარტო ნიკოლოზის გადაგდებაში გაიყოლიო. ჩვენ თესლი იქაც კი გადავაბნიეთ, სადაც ყველაზე ნაკლებ იხარებს.

— ტყუილად გვიშრომია.

— ტყუილად რადა, ის ორი ყმაწვილი ხომ ალმოვაჩინეთ, იესოც ჩვენია. ოქროს მაძებარს ნამცეცის ოდენა ოქროს პოვნისათვის ტონა მიწის გარეცხვა უხდება. ვინ ამბობს, ოქროს მაძებრის შრომა ამაოაო!

— როგორ, იესო თუშელაშვილი რევოლუციონერი გამოვა? — გაიკვირვა გიტამ.

— მაგ ფიქრისაგან ღმერთმა დამიფაროს.

— მაშ?

— იესო მშრომელი კაცია. ამიტომაც იგი მხოლოდ ჩვენთან იპოვნის ალთქმის ქვეყანას.

— მართალს ამბობ. როგორი დანახვის უნარი გაქვს. იესო მშვენიერი ვაჟკაცია, მე ვფიქრობ, იგი მათემატიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხს მიიღებს. იმ ხმელ თავში იმდენი ნიჭი აქვს, რამდენიც ბარძიმსა და იოკიმეს ერთად არ მოეპოებათ.

— მეც მაგან მაფიქრებინა ჩემი ნათქვამი, — ხედავ, ორივეს ერთი ძირისთვის მოგვივლია ხელი, — დაუდასტურა გოლამ.

ემზადებოდნენ ელისაბედ წერეთლისას წასასვლელად, გახარებული იყო იოკიმე, ბავშვივით ცქმუტავდა. ამ მიპატიჟებით მას კარი ეღებოდა იმერეთის მძლავრ ოჯახებში. მოდაში შედიოდა ფულიანი გვარიშვილი. სტუმრებიც იჩქარობდნენ.

ნაშუადღევს ცხენებით გასწიეს საჩხერისაკენ. დალამებულს მივიდნენ ელისაბედის სახლში, საწერეთლოს რომ დაჰყურებდა სადარაჯო კოშკივით.

სტუმრების დაბინავება დავალებული ჰქონდა ყარამანს. მანაც წყვილ-წყვილად დააბინავა ისინი ოთახებში. უჩვენა ბიბლიოთეკა, გაზეთები და გამოუცხადა, თავადის მეუღლეს ნათხოვნი აქვს, ხვალ ათ საათისათვის შევხვდეთო. ყარამანმა აცნობა კიდევ, რომ ზეგისთვის დანიშნული იყო დიდი წვეულება. გარდა მისული სტუმრებისა, ელისაბედს მიპატიჟებული ჰყავდა

ნათესავები, მეზობლები, საჩხერის გავლენიანი ვაჭრები, მარგანეცის სრეწველნი და სხვანი. ამრიგად, მოსულ სტუმრებს ერთი დღე [illegible] ჰქონდათ, თუ-კი თავადის მეუღლესთან ათ საათზე შეხვედრა [illegible] არ გაგრძელდებოდა.

თავადის მეუღლესთან საუზმემ და საუბარმა დიდხანს არ გასტანა იესოს და გოლას გასახარად. ელისაბედ პეტრეს ასულმა და გიტამ გადასწყვიტეს, ცხენებით შემოევლოთ ახლო-მახლო ზვრები, ბაღები, საფუტკრე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და ბოლოს დაეთვალიერებინათ ჭურ-მარანი. წავიდნენ ისინი თუ არა, იესო და გოლა ბიბლიოთეკას ეცნენ. მდიდარი წიგნსაცავი აღმოჩნდა. გოლას შეეხარბა კიდევაც, მკერდში მუშტი ჩაიკრა — ვაი დედასა, ვის ხელშია ეს წიგნები, მე უნდა მეწყოს ესენიო.

გიტას და თავადის მეუღლეს, თავისი ვანუყრელი ჯორით გამჭრიახი ყარამანი ახლდათ. აგრონომმა თავადის მეუღლის საუბრიდან გაიგო, რომ ყარამანის რჩევას, დასტურს და სურვილს დიდ ანგარიშს უწევდნენ. ყარამანი გიტას აგონებდა დიკენსის რომანის გმირს, მისს ტროტვუდის მეგობარს — დიკს. დიკივით აუღელვებელი და ახირებული იყო ეს კაცი. ოღონდ გიტამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ყარამანს დიკივით ფანტასტიური გეგმები, რანიც აგრე ხიბლავდა მისს ტროტვუდს.

ნასადილევს თავადის მეუღლემ გიტა მეზვრიშვილი თავის კაბინეტში მიიწვია ქმართან და მდივანთან ერთად სათათბიროდ. ვადაუშალა შემოსავალ-გასავლის წიგნი, სთხოვა აგრონომს, ენახა ისინი და შენიშვნები მიეცა.

გიტას უმალვე თვალში ეცა: წლიურად დახარჯული თანხა მამულის დამუშავებაზე მრავალჯერ აღემატებოდა მოწეული მოსავლის ფასს. რაღა თქმა უნდა, აგრონომი ითვალისწინებდა ამორტიზაციის გრძელ ვადებსაც, რაც მიწაზე დახარჯული ფულის აუცილებელი და კანონზომიერი თანამგზავრია.

— საიდან ადებთ ამოდენა ფულს მამულის დამუშავებას? — აკითხა აგრონომმა.

— გლეხთაგან აღებულ ფულიდან, მარგანეცის საბადოების ექსპლოატაციიდან და რენტიდან. საჩხერის ნახევარი ჩემს მიწაზეა გაშენებული, — მიუგო ელისაბედმა.

— ეგ სამუალება რომ არა გქონდეთ, თქვენი მიწა-წყალი ვერ აიტანდა ხარჯს, — გამოსთქვა აზრი აგრონომმა.

— სხვა რიგად მე ვერც წარმომიდგენია. შეიძლება კი? — გაიკვირვა თავადის მეუღლემ. — მირჩიეთ რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

— მიწა ისე უნდა დაამუშაოთ, რომ მოახერხოთ ხარჯების დაფარვა და მოგების მიღებაც. უბირი გლეხის მაგალითს დაუკვირდით: თქვენ ხოდაბუნზე ოცნებაც არ შეუძლიან, მწირ მიწას ამუშავებს, სად შეუძლიან ჯიბიდან დაადოს მიწას ფული. ოჯახს კი არჩენს, იცვამს, იხურავს, სახელმწიფოსა და მეპამულეს გადასახადს უხდის.

ელისაბედი მოთმინებით უსმენდა. გრძნობდა, რომ მეტი ეკუთვნოდა, ამიტომაც არა სწყრებოდა. ჭკვიანი დედაკაცი იყო.

გვიან გამოვიდნენ ვახშმად. მაგიდას შემოუსხდნენ, ხვალინდელ დღეზე ლაპარაკობდნენ. მოცეკვავეებსა და მომღერლებს მოელოდნენ. დიდი წვეულება იქნებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

იმერეთიდან აგრონომს სურდო ჩამოჰყვა. ჰაერის განსხვავებამ უხამა. სიცხესაც აძლევდა დრო და დრო. გამოკეთების უმალ საჯინიბო და ბოსელი შემოიარა. ცეცხლი მოეკიდა: სახბორეში ალარ იყო თეთრად ჭრელი რვა თვის ხბო ლამაზი. მომვლელები პირშეკრულივით ამბობდნენ, არა ვიცითრაო. საფიქრებელი იყო, ლამაზი მოიპარეს.

ორი წლის წინათ გიტამ თბილისიდან ბერმანული ჯიშის წითელი ფერის საბულე ჩამოიყვანა. გაზარდა მამულში. ვეებერთელა ხარად გადაიქცა, მნახველები შორიდან მოდიოდნენ. გასულ წელს პირველად გაუშვა შინაური ჯიშის ძროხებზე. დამაკდნენ, ხბოებიც მოიგეს. ათ ხბოდან ცხრა სახარე ალმოჩნდა, ერთი საფურე, რომელსაც მომვლელმა ქალმა ლამაზი დაარქვა. გიტამ იგი ცალკე გამოჰყო და საჯიშედ გამიზნა. მისი ტოლი ახალი საბულეც მოაყვანინა ნიკალა ჯინიუზაშვილს ქალაქიდან. ახალ ბულას ლომია დაარქვეს. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ მამულში ლომიას და ლამაზას.

გიტამ საათითაოდ დაჰკითხა მომვლელებს. ვერავინ გასტეხა. დაიკინეს, მოიპარეს ლამაზა, ჩვენ რა შეგვეძლო მავნე ადამიანის წინააღმდეგო. იქვე კი ურთავდნენ:

— აგეთი გასაკვირი, ღმერთმანი, ჩვენს დღეში არა გვინახავს-რა: აქ დავიბადენით, აქ მოვხუცდით, ჯერ აგრე უნიშნოთ და უამბოდ სულადობის დაკარგვა არ გაგვიგონიაო, არ მოვსწრებივართო. მგელს კი დაუგლეჯნია, ასეთი შემთხვევა ხშირი ყოფილა, მგელი კი იმის მგელია, საქონელი დააშაოსო.

სულ ბოლოს ორჭოფულად გაამხილა ლამაზას მომვლელმა:

— იქნებ იმან იცის რამე, ვინაც ლომია გააფუჭა.

— როგორ, ლომიას რაღა დაემართა? — გაცეცხლდა აგრონომი.

— რაღა რა დაემართა, თქვე დალოცვილო, — სთქვა ბებერმა, — ადგა პოზუაია და დაჰკოდა.

— რაო?

— რაღა ლომაია, დიდი ბულაცა.

— რას ამბობ, ქალო, ხომ არ გადაირიე, ამ შუა ზამთარში რა დროს დაკოდვა იყო? — იყვირა გიტამ.

— ასე მოგახსენათ, ბატონს ჭირნახული ბევრი უყრია ხაროებში, კარგად ვაჭმევ, გაზაფხულამდე მოიხდიან კიდევაც, გაზაფხულზე ადრე გატანილ გუთანში გავქნი, ბატონის მიწებს წელს ბევრი ხარ-კამეჩი დასჭირდება, ქირა ბევრი გაუვა, სხვის კარზე ხარის საქირაოდ თრევა შემიმსუბუქდებაო.

გიტა გაიქცა მოზვრებთან ბოსელში. დაკოდილები ზღვეზე ეყარნენ ხუზარაიანებივით ყურებ ჩამოყრილნი და სიცხისაგან თვალებ-დაწითლებულნი. ანთება ჰქონდათ. დიდხანს იდგა მოზვრებთან ხმა გაკმენდილი, სახე გაცრეცილი. არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ადამიანის ხელი ასე მავნედ მიეკარებოდა საჯიშე მოზვრებს. ფაქტს კი ვერსად გაექცეოდა. ნეტავ მგლებს დაეჭამა ყველანიო, — ნატრობდა. მერე ჭოსლიდან გავიდა, პოზუას

სახლს მიაშურა, ვნახავ, ვკითხავ, რასა ფიქრობდა ამ უმიზნო დანაშაულს რომ ჩადიოდა. ლამაზა სულაც გადაავიწყდა. მიუახლოვდა, [illegible] გამობრუნდა. აცნობეს: პოზუას ეს მეორე დღეა სტუმრად ჰყავს [illegible] და ურიადნიკი თავის სტრაქნიკებიანადო. პოზუას სახლიდან ხან ზურნის ხმა ისმოდა, ხან მთვრალების სიმღერა. ერთსა და იმავე მოსათვალავს იმეორებდნენ .უნიათო წისქვილივით:

ქალი უნდა დაროსავით ლამაზი.
ქალი უნდა დაროსავით ლამაზი.

ეჭვი არ არის, მაგიდაზე ლამაზას ნეკნები უდევთ, — გაიფიქრა აგრონომმა. სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. აღარ იცოდა, შევარდნოდა შინ, მოეკლა თუ გამოელანძღა.

„გავიდა ჩემი ყავლი", — გადასწყვიტა პოზუა ქენქაძემ პავლიას ბიჭის მამულში დანიშვნის დღიდანვე. მტრობით გულ-გამოტენილი დადიოდა ამ დღიდან. პირდაპირ ვერაფერი გაბედა, თავი არ წავაგოო. ჩუმად კი დიდხანს არ იცოდა, რა მოემოქმედნა. დიდი აწონ-დაწონვის შემდეგ გადასწყვიტა: აგრონომის არაფერ ნაამაგარს არ ვახეირებ, სანამ ხელს არ ავაღებინებ შრომაზე, გულს აუგორებ და აქედან წასვლას ვაიძულებო. შარშან ქერის საღი თესლის მაგივრად ქერის ალავო დათესა, ყანები მოაცდინა. ზამთრის პირად ერთ ახალშენ ვაშლის ბაღს ყინვების დაწყების წინა კვირაში ღამით წყალი მიუგდო. კიდევ კარგი, აგრონომმა დროით შეინიშნა, გამოწვრიტა ახალშენი, გველგუთანათი ააყრევინა და ნიადაგი გამოაშრობინა. უფრო დიდ საქმეებს პოზუა ჯერ არ კისრულობდა, რადგან იმედი ჰქონდა, როცა იქნება, ხელში ჩავიჭერ აგრონომს ბატონივით, ჩემს სიტყვაზე ვატარებ, ჩემს სალამურზე ვაცეკვებო. არ გამოუვიდა, აგრონომი ფრთხილი და მიხვედრილი აღმოჩნდა. პოზუას არაფერზე იკარებდა კეთროვანივით. ერთად-ერთი გზა რჩებოდა პოზუას, ნაცადი და გამოცდილი: ენება, ყველაფერს საქმეში გაჩხირვა, ხელის მოცარვა და ქირდაობა ზურგს უკან, ხოლო პირში ლაქუცი. მარტოკა დარჩენილი გულს ასკდებოდა ბოღმისაგან, თვალებს აბრაწავდა, ულვაშებს იკვნეტდა.

მცირეოდენი იმედი მიეცა პოზუას შობის დღესასწაულზე ელიზბარის სახლში გამართულ კამათის დროს. აგრონომს ყველა ედავებოდა. მათი თეორიული საუბრისა პოზუას არა გაეგებოდა-რა, გუმანით-კი ხვდებოდა. რომ საკმაოდ მტრობდნენ აგრონომს. იმასაც ამჩნევდა, რომ ვერაფრით სტეხდნენ მოწინააღმდეგენი. ნატრობდა გულში: აწამეთ თქვენი გამჩენი, დასტური მომეცით, მე ვასწავლი ჭკუას თქვენს მაგივრად, ნიორ-წყალივით გაუხდი გვერდებსო.

ბარძიმ თუშელაშვილის ლეკთა შავი რაზმი რომ დაინახა, ფრთა შეესხა, ესენი კი აუცილებლად მოუღებენ ბოლოსო და ყოველ წუთს უცდიდა გასაწყვეტის წვრილზე გაწყვეტას. მაგრამ ბარძიმის შავმა რაზმმა სოფელი ჩაითრია მხოლოდ. აგრონომს ხმაც არ გასცეს, არა ავნეს-რა. იქნებ მატყუებდნენო, შეეპარა ეჭვი მოურავს და მოიზღარბა თავის სურვილებისა და განზრახვების ბურანში. ახლა პირადად გასწორების აზრმაც მოიცვა მისი გონება. ამატომ ესტუმრა უთნელოვს. გამოცდილი კაცი იყო, უთნელოვი. ყოველნაირი თოფ-იარაღი ჰქონდა შინ. ხმარებაც იცოდა მათი. იმ იარაღში, პოზუას ყველაზე უფრო მოსწონდა ერთი ბეჭის ფორმის მაღაზიანი რე-

ვოლვერი. გამოსდებდა უთნელოვი ჩახმახს თითს — თორმეტ ტყვიას გაი-
როდა, ყველას ბეჭედში აძვრენდა, უტყუარად ახვედრებდა ნიშანში. ეძ-
ლურ საბძლის ორივე კედელს სჭრიდა ნასროლი. თავზარდამცემი [illegible]
სახელის დასწავლა გაუჭირდა პოზუას. მაუზერის მაგივრად „მუზარას“ ეძახდა.

— მასწავლე ე მაგ მუზარას ხმარება, — შეეხვეწა უთნელოვს.

— მაუზერი! — გაუსწორა მასპინძელმა.

— შე დალოცვილის შვილო, თუნდაც ყაფლანი ერქვას. მე მაგისი სახე-
ლი რად მინდა, კარგი ჭრა, სისწრაფე და ნიშანში მიტანა მესაჭიროება,
თორმეტ მტერს ხომ გააგორებს ზედი-ზედა?

— იქვე, ადგილზე!

— მაშ აბა მასწავლე, მერე თუ გინდ ჩემს კისერზე კალო დაატრიალე-
რაც ღირდეს, მთხოვე, ნუ დამერიდები, ოღონდაც, ერთი ეგ იარაღი მო-
ვიგდო ხელთა და ხმარებაც ვიცოდე. ეგრე შენ ნახევრად მაინცა. ჰო-და...
რა გამწარებული ვარ, ჩემზე უცოდესი დაბმული ნაგაზიც არ მეგულება.

— თავს ნუ მაცოდებ, გასწავლი, მომიხანი ერთი დღიური, — იყო პასუხი.

— ორიც შენი ჭირის სანაცვლო იყოს. ოღონდაც მასწავლე, ჩქარა, ამ
კვირაში, თუ გინდ დღესა, — დაელრიჯა პოზუა. — ჰო, ერთი იმისი წელები
მიჩვენა მიწაზე დაზვავებული, ერთი იმისი გული მიჩვენა ტყვიით გა-
ბზვრეტილი, ერთი გული მომაფხანია, როგორის ძალითაც მექავება, მერმე
მოვკვდე და აღარ დავრჩე თუნდაც...

— ერიჰა, შენ, პოზუავ, არ ხუმრობ, ვის გაუმწარებიხარ ეგრე? ვისი
ჯავრი გწვდენია ყელში, აგრონომისა ხომ არა?

— ჰო-მეთქი, იმ ძაღლის დაგდებულისა, იმისი. ეგ კიდევ არაფერი. შენ
მეორისა მკითხეი, ერთი არადელი „მაშინისტი“ დაძვრება კიდევ იმასთანა.
ბალთიაანთ იაგორას სიძეი, სონას ქმარი. ნიკალა ჯინიუზაშვილის ცოლის
ძმაი. ახლა თითონ ნიკალა, აბელა ეზიაშვილი და იაგორაცა! აქ კისერზე
მაზიან. მე და ისინი ერთი ცის ქვეშ ვერ ვიხარებთ, ვერ ვავარგებთ, რო-
გორც საბძელში თივა და ცეცხლი.

— შორს წასულხარ, პოზუა, ნიშანში ამოგიღია კიდევაც.

— კრებებს მართავენ, სოფლის ხელიდან გამოტაცებას ცდილობენ.

— თავადი ელიზბარი რაღას შეერება, არ იცის, რა ხდება?

— ბევრჯერ ჩამოუარაკე და მოვახსენე. ყური არ მათხოვა. ბრმაა და
ყრუა ჩემთვისა. ორჯერ მითხრა, ეგ შენი საქმე არ არისო. მეც შეუბრუნე
სიტყვა, ჯერ ჩემია, მერმე შენიც იქნება-მეთქი.

— და მაინც რა სთქვა, საბოლოოდ?

— გამიმეორა, შენი საქმე არ არისო. მაგაზე ლაპარაკს აქ თავი დავანე-
ბოთ, მე უკეთ ვიცი, სად უნდა ვილაპარაკოო.

— თუ ელიზბარი მაგ აზრისაა, შენც დაეტიე შენს ტყავში.

— ნეტავი ჩემი ტყავი გეცვათ ან შენა, ან იმ ელიზბარისა, ვნახავდი, რო-
გორადაც დაეტეოდით შიგა. გეუბნები საბოლოოდ გადავწყვიტე ელიზბარი
ელიზბარად დარჩეს, ის როგორც იქნება თავის თავს მოუვლის, მე კი ჩემი
თავი მაქვს მხრებზედა. ის მაწუხებს. შენც ეგ მასწავლე. დავშალო, ავაწყო,
ნიშანში უტყუვრად მივატანინო ცხელი ტყვიაი, დანარჩენი მე ვიცი, ავად
იქნება თუ კარგად, ჩემს მტერს მევე გაუსწორდები, ჩემს გზაა ვეწევი. ჩემ
ბედს დავიჭერ, ხომ კარგი, არა და ბევრი ძვალი გაუხრავს ჩვენი სასაფ-
ლაოს მიწასა, მეც ისე მომივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც მითხარი ორ დღიურს მომიხნავ?

— მოგიხნავ, ჰო-დე მოგიხნავ.

უთნელოვმა ჩამოხსნა კედლიდან მაუზერი. მაგიდაზე დაბრუნებულმა გამოაძრო სავაზნე, გასინჯა, ლულაში ხომ არ დარჩენილაო ვაზნა და დაშლას შეუდგა. ცალკეულ ნაწილებს აძლევდა ხელში პოზუას, არჩევდა ნაწილების სახელებს, იშველიებდა კვლავ აწყობაში.

პოზუა ჩაჰკირკიტებდა იარაღს, ცდილობდა ჩქარა შეეთვისნა ხმარება.

— ბარემ მაშოვნინე ეგ იარაღი,—შეეხვეწა მასწავლებელს პოზუა, როცა ერთხელ ორმოც ნაბიჯზე დადებულ სანიშნო ფიცარს სამი ტყვია მოახვედრა ზედიზედ. და იქნებ ახლავე მამყიდოსო, უბეში ხელი ჩაიყო, ერთი ბღუჯა წითელი ათმანეთიანების კონა ამოიღო, გაუშვირა უთნელოვს, როგორც ძროხას მარილი, მოსატყუებლად და მისაჩვევად. უთნელოვი ფულს არ დაბარბდა, ზედაც არ შეხედა.

— ამას ვერ მოგყიდი, ჩემია საკუთარი, ხელი და თვალი მაქვს ზედ მიჩვეული. დამიცდია, არ უმტყუნია.

— რა ვქნა, სად ვიშოვო?

— აიღე ნება იარაღის ტარებისა. გამოიწერე იარაღი.

— ეგ როგორღა მოვახერხო, — ჩასდია ძირში რჩევას პოზუამ.

— ნებართვას რა კი ღა მიიღებ და ხელთ გეჭირება, მისწერე იარაღით მოვაჭრე ფირმას. ისინიც გამოგიგზავნიან ფოსტით. გადაუხდი ფასსა. მათ ფული, შენ კი იარაღი გეჭირება ხელში. ნებართვაა მთავარი, დანარჩენი ადვილია.

— ეე... ვის რა ესაქმება, მე იარაღი მქონდეს? — იჭვნეულად სთქვა პოზუამ.

— ახა! — წამოიყვირა უთნელოვმა. — კედელს ცერცვი შეაყარე: როგორ თუ ვის რა ესაქმება, შენა გგონია მთავრობა ყველას აძლევს იარაღის ტარების უფლებას? ეგრე რომ იყოს, ვინ არ შეიძენდა მას. ახლა რომ დრო და ხალხია, ხელში სახრესავით ეჭირებოდათ.

— მერე, მომცემენ. მენდობიან?

— შენ რად არა, შენზე სანდო ვინ უნდა ჰყავდეთ? განა გაქვს რამე მთავრობის საწინააღმდეგოი? გაგიწყრა ღმერთი?

— ვინ ოხერსა და მუდრეგს! არაფერი, ღვთის მადლმა! ნებართვისათვის ვისლა მივმართო, თქვი და მამარჩინე ბარემლა დარღსა.

— ჯანი გავარდეს, მაგასაც აგაღებინებ. ოღონდ პურ-მარილი დაგჭირდება. ურიადნიკი ჩამოივლის თავის სტრაჟნიკიანად აქეთ. შინ შემოგივლით, გეწვევით. ვუთხრათ. დავიფიანხმოთ. ურიადნიკი ბოქაულთან მიგიყვანს, მოელაპარაკება, ბოქაულიც ჯანდართან გიშუამდგომლებს. სულ ეგ იქნება.

— მზად ვარ. მარტო პურმარილს არ დავაჯერებ, ჯიბეშიაც ჩაუდებ რამეს. რამდენი შევბედო, საწყენად რომ არ დარჩეს?

— ერთი ოქროს თუმნიანი თავს აუვა. გაგიკეთებს, მეც გითავდებებ, მიცნობენ ჯანდარმთან. მერე ცხინვალში მოაჭედინე ტარი ვერცხლითა.

— ოქროთი.

— ჰო, ეგ შენ იცი.

— შენი ჭირიმე.

ახლა სწორედ ეს ურიადნიკი თავისი სტრაჟნიკებით ქეიფობდა პოზუასას. მეორე დღე ღამდებოდა, სუფრას ესხდნენ. სადილს ვახშამი მოსდევდა,

ვახშამს — საუზმე. გაუმხილა პოზუამ იარაღის შეძენის სურვილი. ურიადნიკმა ცოტა გაიკვირვა, ეგეთი ძვირფასი იარაღი ჩვენც არა გვაქვს, შენ რად გინდაო. პოზუა თავისაზე იდგა. თუნდაც ერთი ულელი კამეჩი დამეჭედა, მაუზერი უნდა დავიკიდოო წელზე.

— მე ბოქაულთან მიგიყვან, სანდო კაცობას დაგიდასტურებ, რასა ვკარგავ, ოღონდ ძნელი საქმეა, პურ-მარილი არ ეყოფა.

— ვინ ოხერი და მამაძაღლი! პურ-მარილი თავის თავად. საჩუქარიც ჩემს კისერზე იყოს, — სთქვა პოზუამ და მაგიდის ქვეშ ხელი გააპარა, ურიადნიკს მოუთათუნა მუხლზე. მანაც ჩაჭყო ხელი მაგიდის ქვეშ, ხელი ხელს მოხვდა: თვალი ჩააპარა ურიადნიკმა, ორი ცალი ოქროს თუმნიანი უბრეჭყვიალებდა ხელის გულზე. წმინდა ბაჯაღლო, მეფის თავი რიომ ეხატა ზედ. ურიადნიკმა ხელი ჯიბისკენ წაიღო და ზეზე წამოიჭრა. სასმისს ხელი მოავლო.

— პოზუავ, თქვენი დღეგრძელობისა იყოს.

მის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს. წამოდგნენ, სასმისები აივსეს და შემოსძახეს:

ქალი უნდა დაროსავით ლამაზი.

გიტამ სცადა დაეკვიწყებია ხბორების გაფუჭების ამბავი, ხან სოფლის მოედანზე გავიდა, ხან სასახლეში სცადა დაოკება, ჯავრისაგან სასმელიც კი გადაჰკრა. ვერა, ვერ მოახერხა ბონებიდან მოეცილებინა გაუნაყოფებული მოზვრების და დაკარგულ ლამაზას ჯავრი. სასმელმა უფრო გააღიზიანა და ისევ გასწია პოზუას სახლისაკენ.

ცოლი შემოვიდა, ქმარს რაღაც შაუფუჩუნა ყურში. პოზუა სწრაფად წამოდგა, აივანზე გავიდა. აგრონომი კიბის თავზე იყო გაჩერებული.

— მობრძანდით, აი კეთილი! ბარემ აქამდეც აგრე მოიქცეოდი, შე კაი კაცო, — შეეპატიჟა იგი აგრონომს, რომელიც მღვრიე თვალებით მისჩერებოდა აივნის კუნჭულში მიგდებულ თეთრად ჭრელ ლამაზას ტყავსა და თავ-ფეხს.

— რას მიჩერებიხარ, შინ მობრძანდი, ე მაგისა მე და თავადმა ვიცოდეთ. ჩვენ მოვრიგდებით, — კვლავ უთხრა პოზუამ აგრონომს.

— პოზუა, — შეუღრინა აგრონომმა, — მაგ უმობელას კაცი კი არა, მგელიც არ მიაკარებდა კბილს. ჯანი გავარდნია, რახან აგრე მოიმოქმედე, მაგრამ იმ ბუღებს რაღას ერჩოდი?

— მაგ საქმისაც მე და თავადმა ვიცოდეთ! — უფრო გატრიზავებით უთხრა პოზუამ, ნაბიჯი გადადგა, ხელი წაატანა გიტას შინ შესაყვანად: მან უკან დაიწია, არ მოავლებინა ხელი.

— არც მე მომიხათრე, არც თავადი, ვთქვათ არაფრისა გრცხვენიან. ეს მაინც მითხარი, რა ხელში აიღე ლამაზას დასაკლავი დანა? კაცისა არ შეგრცხვა, პატრონისა არ მოგერიდა, შენ ღმერთს რაღას ეუბნებოდი?

— შენ სახლში შემოდი, პურ-მარილი მიიღე, პასუხს მერმე მოგცემ.

— მე ყველაფერს ვაცნობებ თავადსა. მოვთხოვ საკადრისად მოგექცეს.

გიტამ კიბე ჩაირბინა. წავიდა. უმალვე მისწერა წერილი ელიზბარს თბილისში. დაწვრილებით აუწერა პოზუას მიერ ჩადენილი თვითნებობა. დაკეცა ქაღალდი, კონვერტში ჩასდო და აფრინა ბიჭი გორს წერილის ფოსტაში ჩასაგდებად. მერე ისევ სოფელში ჩავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

საღამოვდებოდა. ფრინველი იბუდებდა. საქონელს ზზეს უყრიდნენ. იმ საღამოთი ბოსელში კრება იყო დანიშნული. უნდა გაეფრთხილებინა. გიტას გლეხები, კრება აღარ გაემართათ, გადაედოთ სხვა დღისათვის; რაკი-ღა პოზუასას ურიადნიკი იყო სტრაჟნიკებით. გლეხებმა შორს დაიჭირეს.

— მერე, რა, იყვნენ, იმათთვის ქეიფი და დროს ტარება არ არის აკრძალული, ჩვენთვის კი ბოსელში თავმოყრა და ლაპარაკი ცოდოა?

— ვის უგდია პოზუა, ვინ ოხერია.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს, მოვიდნენ, დავხვდებით, ვნახოთ, რას დაგვაკლებს ის ურიადნიკი თუ კვერცხები! — გაისმა აქეთ-იქიდან.

გიტა მოლაპარაკეს ხმაზე სცნობდა. დიდი ბოსელი იყო, ოთხ განაყოფ ძნას ეკუთვნოდა. ოცი სული თავნი და მოცალი ება შიგ. გლეხები საქონლის მომვლელის განყოფილებაში ისხდნენ ტახტსა და ლიახვის სიპ, გახარატებულ ქვებზე. საქონლის ნასუნთქის, ფუნის ოხშივარის და ნავთურას მძიმე და სქელი ბოლი იდგა. ბუხარში ჩალის კლერტოს წაჯექ-უკუჯექა ალი ხან ჩაქრებოდა, ხან უეცრად ავარდებოდა და გააბრდღვიალებდა ბოსელს.

ბუხრის ორივე მხარეს, კერიის პირად, ისხდნენ მამაშვილი იორდანე და იაგორა ბალთიაშვილები. კლერტოს შუქზე იორდანე თოვლის პაპას ჰგავდა, იაგორა გატრუსულ ჯირკს. კუთხეში მატრაბაზობდა ნიკალა ჯინიუზაშვილი, მუდამ ღვინისა და არყის სუნი რომ ასდიოდა ტიკჭორასავით: მერე სხვები ისხდნენ და იდგნენ კომბლებით, ფიწლებით, კოდალა ცულებით, ნაჯახებით. აქა-იქ ფილთებიც ეჭირათ ხელში. ერთს სადათვე შუბი წამოეღო, წვერი ჭერს სწვდებოდა, შუბის ტარზე დანდობილი პატრონი საშუალო საუკუნეების შუბოსანს ჰგავდა.

ხუმრობდნენ, ხმამაღლა ხარხარებდნენ, უწმაწურ მაირებით კენწლაობდნენ. სახრიანი პატარა ბიჭები სახეში მისჩერებოდნენ დიდებს. გიტას გამოჩენაზე ყველამ პირი მოკუმა, წამოიშალნენ. გზა დაუთმეს, შუაში გაატარეს, ბუხართან მიიყვანეს. იაგორა მკვირცხლად წამოდგა, გვერდით გადავიდა; თავისი ადგილი დაუთმო. აგრონომმა იუარა. მაინც დასვეს იაგორას ადგილზე. მოიკითხეს აგრონომის შინაურობა. მერე საუბარი სწვდა მკაცრ ზამთარს, ყინვის ქვეშ მოქცეულ ნათესს. ხეხილსა და ვაზსა. საქონლის კვებასა და საგაზაფხულო ხვნას.

— ვნახოთ, როგორი ხვნა გვექნება მომავალ გაზაფხულზე, — სთქვა ვილაცამ.

— ხვნა როგორი უნდა იყოს. გააბამ ხარსა და გაავლებ კვალსა — გამოელაპარაკნენ მას.

— ვითომ? — იკითხა ისევ პირველმა.

— გაზაფხულდეს. იქ გამოჩნდება, — ჩაურთო იაგორამ.

— ფიწალი და კომბალი, ჰო, მესმის, ერთით ჩალას აიღებ, მეორეთი ზზესა, ეგ ფილთები კი რალაის იარაღია, — იხუმრა გიტამ.

— იქნება ავად გადმამძახებელი ჩიტი შემოფრინდეს ხეზედა. ფილთაც იმისთვის მოგვიმზადებია. თორემ მოხისელ მონადირესავით ხომ ვერ დავიწყებთ იარაღის ძებნას, — იყო მეთოფის პასუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო, რა მოუვიდა მოხისელ მონადირესა? — ჰკითხეს მას.

— როგორ რა მოუვიდა: ვაუკაცობა არ აკლდა, გამბედავიც იყო, ოღონდ ეკი გაუშო.

— როგორა?

— გაიხედა მოხისელმა და დაინახა: დოლლოურის ნაწვერალებზე, მუხნარის ტყიდან, დათვი გამოსულა და სოფლისაკენ მოაბოტებს. მოხისელს თოფის ლულა საბძელში ეკიდა, კონდახი — ბოსელში, ჩახმახი ცოლისთვის მიებარებინა ზანდუკში შესანახად. დატრიალდა მოხისელი. აქეთ ლულას ეცა, იქით კონდახსა. დათვი კი მოაბოტებს სოფლისაკენ. ზაქს გამოუდგა, ქედში სწვდა, ზურგზე მოიდო და გააქანა ტყისაკენ. მოხისელმა გულში მუშტი ჩაიკრა. შეუკურთხა დათვსა.

— მე ვნახავდი შენ სეირს, დრო არ შეგერჩია, როცა თოფი დაშლილი მქონდაო.

— მერე?

— მერე ისა, რომ მოხისელმა ცოლი მიბეგვა, შენმა ჭორმა დათვის ყურამდეც მიაღწია, თორემ რა იცოდა, მე თოფი რა მდგომარეობაში მქონდაო.

— აი, თურმე როგორები ხართ, — გაიხუმრა გიტამ ყველავ.

— მა თქვენსავით მშვიდობიანი ხომ არ ვიქნებით. ჩვენ არც ჭიები ვართ, ფეხი დაგვადგან და მხოლოდ მაშინ მოვირკალოთ, არც ცხვარი, რომ გაცხარდება, მხოლოდ მაშინ რომ არის ცხარი, — ხუმრობითვე უთხრა გიტას მეორე ფილთის პატრონმა ახალგაზრდამ, ბაგის ფიცრის შვერილზე რომ იჯდა კამეჩის დაბლვერილ თვალთან და ლიპ რქებთან.

— გამოდის, იარაღს მაკვირვებთ, ვნახოთ, თუ თქვენზე ნაკლები იარაღი ალმომაჩნდება. — წარბშეჭმუხნით გამოედავა გიტა. წელში გაიმართა, შარვლის სათავეში იტაცა მარჯვენა. თეთრ წყალში გავლებული, მურწასავით კრიალა „სმიტ და ვისონი“ ამოაცურა.

— ოჰო! — გაისმა კმაყოფილი ხმაური.

— ახლოს გვიჩვენე!

— ხელი შეგვავლებინე!

— აი გაფერილი იარაღიც!

ხორხორით შემოეხვივნენ გარს. აგრონომმა რევოლვერის ხუნდიდან ვაზნები გამოჰყარა. ცარიელი რევოლვერი გადასცა მათ დასათვალიერებლად, ხელში სატრიალებლად, იარაღის ყინის გასალვივებლად. რევოლვერმა ყველას ხელი შემოიარა და პატრონს დაუბრუნდა. გიტამ იგი ისევ ჩაიდო შარვლის სათავეში.

— აგეთი იარაღი როგორიც ჩემი რევოლვერი და თქვენი ფილთებია, თუნდ გვქონია, თუნდაც არა. არც ერთი არ გამოდგება ბრძოლაში, ვეცადოთ უკეთესები მოვძებნოთ, შევიძინოთ, მზად დავხვდეთ დათვსა.

— თქვენ რა იცით, იქნება უკეთესები გვაქვს, — ჩაილაპარაკა იაგორამ და გაიცინა.

— ჰოდა, იქნება გვაქვს, — დაემოწმნენ მას.

— მაშ აბა, ვისაც უკეთესი იარაღი არა გაქვთ, ნუ გაგეცინებათ, — სთქვა ისევ იაგორამ და ბოსელს გადახედა.

ყველა იცინოდა, ღრმა მოხუცებს გარდა.

— მე რად არა ვიცოდი-რა, თუ აგრე იყო! — უსაყვედურა გიტამ იაგორას, რომელსაც პასუხი ალარ დააცალეს.

— აბელ ეზიაშვილმა იცოდა, ეს სამზადისი იმისი ვალი იყო და ამიტომ.

— ჰო-დე, აბელმა იცოდა, — დაუკრა კვერი იაგორამ, თან სიჩუმის ჩამოგდება მოითხოვა, — ნუ ვცდებით, მოუსმინოთ აგრონომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიტა საუბრებს აწყობდა გლეხებს შორის მყნობაზე, სასუქის დაგროვებასა და მის გატანის წესებზე, თესლბრუნვასა და ჯიშიან საქონლის გამოყვანა-მოშენებაზე. ამ საუბრებში იგი ურთავდა აგიტაციას. დღესაც ძველებურად აპირებდა გიტა საუბრის ჩატარებას, დაიწყო კიდევაც. იაგორამ ალარ აცალა. რიყის ქვა აგრონომის გვერდით მიაჩოჩა, ჩაერია.

— ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ, ლაპარაკი ლაპარაკსაო, ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო, ვხედამ არა გამოდის რა. მაჟალო დავმყნოთ—სად ჩავყაროთ ნამყენი? ჯიშიანი საქონელი მოვაშენოთ — სად მოვაძოვოთ, ზამთარში რით გამოვკვებოთ? თესლი დავაბრუნოთ — რომელ და ვის მინდორზე? გავარეცხოთ — საპონი სად არის? გვინდა ყველაფერი ეგა, მაგრამ ხელები მოკლე გვაქვს. უმიწო გლეხი და უძუძური დედაკაცი ერთია. არა გვაქვს მიწა ამაგის დასადები, შრომის გასაწევი, მარჯვენის მომღლელი და მარჩენალი. მოგვეცით მიწაი, თუ არ მოგვცემენ, ჩვენ თითონ ვიშოვოთ, გამოვგლიჯოთ ხელიდან მემამულეს. მაშინ ნახეთ თუ კიდევ გლახაკებს ვგვანდეთ. თუ არ ვივარგებთ, კალიასავით გაგველიტონ, ამოგვხოცონ, ლირსნი ვიქნებით.

— იაგორა მართალს ამბობს, — დაიძახა ვილაცამ, ხოლო სხვებმა დაუმატეს:

— მიწა, ეგ არის ჩვენი საწუხარი!

— ცოლშვილი გვეღუპება შიმშილითა და სიშიშვლითა, ბღერითა და კბენარითა. გაგვიხსენით ხელები, მიგვიშვით მიწაზე, ყოველ მტკაველზედ ხუთ ამოდენს მოვიყვანთ, რამდენიც აქამდე მოგვიყვანია.

— მიწას ნებით არავინ მოგცემთ. ბრძოლა უნდა მის მიღებას, — გასაღიზიანებლად განაცხადა გიტამ.

— მერმე რაღას გვათათბირებთ, თქვე მამაცხონებულის შვილებო, გაგვიძეხით, მოგყვებით, ვიბრძოლებთ, თუ საჭირო იქნება, საკირეში მივცემთ თავსა.

— კიდევ, კიდევ? — აქეზებდა გიტა ხალხს.

— თუშელაშვილს შავი რაზმი რად უნდა?

— ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს მიწის ქირა!

— ჩამონაჭრები ჩვენია!

— აიკრძალოს ხეხილის გაყიდვა ყვავილში!

— გიგო ჩარექაშვილისაგან დაგვიხსენით. ორმოცწლიან ერთ ძირ ვაშლის მოსავალში ერთი ნაჭერი საპნისა და სამი კოჭის ძაფის სასყიდელ გროშს არ იძლევა, ნებას არ მიჰყვება და ძალა არ არის, ხელში უჭირავხარ ობობას ქსელში გაბმულ პეპელასავით.

— ი კოოპერატია გახსენით!

— დრამის ფული მოშალეთ!

— ხალხო, თქვენ ისეთ რამეების შეცვლას მოითხოვთ, რაზედაც მთავრობა ემყარება: ისეთ რამეების ჩამორთმევას მოითხოვთ, რითაც ცხოვრობს მემამულე და ქარხნის პატრონი, — განმარტა გიტამ.

— ვიცით, დასამალი რაა, აგრეა. ძირს ეგეთი მთავრობა! — იგრიალა ბოსელმა:

— ძირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძირს!

— ძირს!

— ძირს ისეთი მთავრობა, რომელსაც არ ძალუძს საშრომა გაგვიმარტივოს, — ზეზე დგომით, მუშტების ქნევით გაიმეორა იაგორამ.

— გაუმარჯოს რევოლუციას! — მოაყოლა ნიკალა ჯინიუზაშვილმა.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— ძირს მემამულეების, ვაჭრებისა და ქარხნის პატრონების მთავრობა! ძირს პირველი მემამულე მეფე ნიკოლოზი და იმისი დამქაში მინისტრები. გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, გაუმარჯოს ჩვენი ბრძოლის გულსა და ტვინს, ხელმძღვანელს და მებაირაღტრეს მეუმრავლესეებს! გაუმარჯოს რევოლუციას! — ჩამოაყალიბა გიტამ.

— გაუმარჯოს რევოლუციას! — ერთბაშად იგრიალა ბოსელმა. მერე ერთბაშათვე მიწყდა ხმაური. ყველამ კერიისაკენ მიიხედა, ცეცხლის პირას წამოდგა ყავარჯნიანი იაგორა ბალთიაშვილის მამა, ოთხმოც წელს მიტანებული ბორდანე. ნელა გაიარა შუა გული. ბუხრის მეორე მხარეს გადავიდა, გიტას გვერდით დადგა. თუშური ქუდი მოიხადა, წვერზე ხელი ჩამოისვა და ღაღადჰყო:

— ხალხო, ღმერთმა და ადამიანმა უწყის, ცუდს არას ვშვრებით. იმ მიწას ვითხოვთ, რომელსაც თაობიდან თაობაში ვამუშავებთ, მონაგარი კი სხვას მიაქვს. ის ქვეყანა გვინდა ჩვენად, რომელსაც ჩვენი შრომა ჰკვებავს. ის მთავრობა გვინდა, რომელიცა სახელმწიფოს მამინაცვლად კი არა, მამად გაგვიხდის, — და იქვე მდუმარე აგრონომს მიუბრუნდა, — ჩვენი, ქართლის მიწის შვილი ხარ, ჩვენი ჯიშის ჩამომავალი, გონება გახსნილი, განათლებული გლეხკაცი. გაგვიგონე და ამცნე მთელ ქვეყანას. მიწა ჩვენ ტყუილად დასაგდებად როდი გვინდა. ჩვენ გვჭირდება ის ნაყოფის მოსაყვანად, რომ თავი გამოვიკვებოთ და ტანი შევიმოსოთ, ქვეყანასაც ვარგოთ. განა ჩვენი მოთხოვნა სამართლიანი არ არის? განა მიწაც ადამიანივით უფლის გაჩენილი არ არის? მაშ რად უნდა ეკუთვნოდეს იგი ზოგს ურიცხვად, ისე რომ თავსაც ვერ ართმევდეს, აქირავებდეს, საღალოდ გასცემდეს, ზოგს-კი, გლეხსა, ერთი საბოსტნე უჭირდეს? აგერა ჩვენი თავადი ელიზბარისა არ იყოს, იმოდენა მიწა-წყალი ჩაუგდია ხელში, რამდენიც ათი სოფლის გლეხობას არ მოგვეპოვება. მოისპოს ეს უკანონობა, ისე მოისპოს, მეც მოვესწრო ამ ნათელ დღესა. მიწამ არ მიიღოს იმისი ნაწილი, ვინაც ჩვენი სიტყვა არ ისმინოს, ვინაც ჩვენი სიმართლე არ იცნოს და თავიც არ დასდოს მისთვის.

— სწორია!

— ნამდვილია!

— ძირს ელიზბარი!

მოჰყვა შეძახილები ბორდანეს ბოლო სიტყვებსაც.

— დავდოთ ფიცი!

— დავდოთ!

— გასწყდეს და ამოიბუგოს ჩვენი ბრძოლის დუშმანი, ცოხის შიგნიდან გამტეხი, გამცემი და ორპირი! — სთქვა იაგორამ.

— გასწყდეს!

— ამინ, გასწყდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება დაიშალა. გიტამ და ნიკალა ჯინიუზაშვილმა ერთად გასწიეს. პოზუას სახლიდან ისევ ისმოდა მთვრალების არეულ-დარეული ხმაური.

— ურიადნიკ-ტრაუნიკი დაუპატიჟნია, — სთქვა ნიკალამ.

— ჯიშიანი უმობელა გაუყვანია სახბორიდან, დაუკლავს ბაგ მეჩვენებულს, — ყელში სიტყვების წყვეტით წამოსთქვა გიტამ, თითქოს საქონელი კი არა, ნათესავი მოუკლესო.

— ჭკუიდან არ შამშალო, კაცო! ლამაზაი?

— ლამაზა!

— აი ეგ კაცებში გამოსაწყვეტი, ეგა! — ჩაილაპარაკა ნიკალამ, — ეხვეწება თურმე ურიადნიკსა, იარაღის ნება მომეციოთო, ბევრი მტერი მყავსო. ალბათ, იგიც დაჰპირდა, თორემ ეგ პურის უბრალოდ მამას არ გაუტეხს.

— მაგას მისცემენ ნებართვას, შენ კი არა, ჩემო ნიკალა, — დაემოწმა გიტა და მეგობარი შინ შეიპატიჟა, თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა. წიგნებს შორის დასვა სკამზედ. ბუხარში გამომშრალი კუნძები შესდო. მერე თარიმს დაუტრიალდა. თონეული, ოსური ყველი, ლორი და ღვინო გადმოალაგა. ნიკალა მიიწვია, ცეცხლი გაღვივდა, თითო გადაჰკრეს. ივახშმეს. ჩქარა მოეწყინათ, ნიკალა ტოლი მოსაუბრე ვერ გამოდგა. იგივე სოფლის შემთხვევები იცოდა, რაც გიტასთვის ახალი არ იყო. თანაც იჩქაროდა ნიკალა, მთელი დღის ნამუშევარმა ერთი ჩარექიანი გამოაშრო. წამოდგა, ღიღინით გაიარა კარი და სოფლის შარა.

გიტა მარტოდ დარჩა ბუხართან. სკამის ზურგს მიეყრდნო, ერთობოდა ნაკვერჩხლების პრიალით. ფიქრებმა წაიღეს, თვალები მოხუჭა, თვლემა შეეპარა.

იგი დგას შაქრის თავივით აწვდილ ქარაფ მწვერვალზე. ქვემოდ ქართლის მინდორი გაშლილა, მდინარეებით დაქსელილი. მძლავრი ჭავლების ტორტმანით მოგორავს მტკვარი, მოშხუიან ლიახვი და მეჯუდა. მათი ნაპირები აყვავებული ბალებით დაფარულა. გაზაფხულია. მინდვრებში კურდღლობს მუხლნაყარი, თაველ-გაჩენილი ჯეჯილი. ამ ნათესებს, ბალებს, მდინარეებსა და ზვრებს შორის გაპნეულან სოფლები. ვიწრო შუკების მაგივრად — სახაზავით გავლებული ქუჩები, მიწურების მაგივრად ევროპულად ნაგები სახლები. მათი შუშაბანდებიდან გამოკიაფობს სინათლე. დღეობაა. ხალხი მოგროვილა სოფლის მოედანზე. იმღერიან, ცეკვავენ. ერთგან ვაჟკაცებს ერთმანეთისათვის ჩაუვლიათ ძარღვიანი ხელები. დასტა უკრავს საჭიდაოს. სიცილი, გადალაპარაკება, ყიჟინა. მეორედან წრე შეუკრავთ ქალებს. ჩრდილით იფარავენ თავს მცხუნვარე მზისაგან. ხელებში ყაყაჩოს თაიგულები უჭირავთ, ერთმანეთს ესვრიან და ფერხულს უვლიან.

იმ ქალების ჯგუფში მოწყენილი სდგას რუსუდანი. ხან გამოჩნდება, მნათობივით გაიბრწყინვებს, ხან მიეფარება, თავის ცეცხლივით ჩაჰქრება. ეძებს ვილაცას, ეძებს და ვერ პოულობს. უეცრად ყაყაჩოს თაიგულიან ხელს დაუქნევს გიტას, იმას, ვისაც დაეძებდა, ვის გამოც სწვავდა სევდა და კაეშანი. გიტა ეშვება მწვერვალიდან, მიდის, მირბის, სულ რამდენიმე ნაბიჯიც და რუსუდანის გამოწვდილ ყაყაჩოიან მკლავს ჩაავლებს ხელს, გიტა უსათუოდ გაიტაცებს მას და ქარაფის წვერზე აიყვანს. იქ დარჩებიან სამუდამოდ. აი მიალწია კიდეც. ხელი გაიშვირა. უეცრად ხალხის ტალღამ გაურბინა წინ. მოსწყვიტა იგი თავის ოცნებას, თავის გულს, თავის რუსუდანს. გიტა მაინც მიიწევს რუსუდანისკენ. ლამობს გაარღვიოს ხალხის ღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი. ათასი ხელით დაებღაუჭნენ ტანსაცმელზე, არ უშვებენ. გიტას ძალა ელევა, მორჩილდება ხალხს, ლონე-მიხდილი ტანსაცმელ-შემოხეული ეცემა მიწაზე.

გარშემო ხალხის გაურღვეველი წრე იქმნება. მერე ვიღაც გოლიათი მოვიდა, ვეებერთელა სასმისი მიაწოდა გიტას, წითელი ღვინით პირთამდე გაუვსო. ხმაც ესმის, დალიე! გიტა ლონეს იკრებს, სასმისი ტუჩებთან მიაქვს, სვამს და კვლავ ჯან-ლონით სავსე წელში იმართება. გოლიათს ხელი ჰკრა, გზიდან მოიცილა, ხალხიც გაარღვია და უზარმაზარი ნაბიჯებით მიიჩქარის იქით, სადაც ეს არის, კვლავ გამოჩნდა რუსუდანის სახე. მივიდა კიდევაც. მაგრამ რუსუდანი იქ აღარ არის, მოჩვენებასავით გამქრალა, ნიავივით გაფრენილა.

— რა იქნა, საით წავიდა?

— აი იქა დგას, მდინარის პირად, — უთითებენ მინდვრის ყვავილებით მორთული მოცეკვავე ქალები.

გიტაც ისევ მიისწრაფის იქითკენ. ეძახის:

— რუსუდან! რუსუდან!

გრძელი ქუჩები, მწვანედ შეღებილი შუშაბანდიანი სახლები, ბაღები და ზვრები, მინდვრები და ყანები ტევრებად ქცეულან. გიტა მედგრად მიიწევს წინ. დევის მუხლი გამოუბამს, ამირანის ძალა მოუპოვებია. მაშ რაღა დაეკავებს? სძლევს წინააღმდეგობას. აი მიუახლოვდა კიდეც. მაგრამ წინ მდინარეა, ლიახვი. კავკასიონიდან მოგლეჯილ სიპებს მოაგორებს. გიტა წყლის ნაპირას ჩერდება. უკვირს. კაცის ხელი მოხვედრია მდინარესაც. ერთი მთის ფერხთით იგი ჯებირით გადაულობავთ, რკინა-ცემენტის დამბებში ჩაუსვამთ. მთელ ქართლზე მიედინება. გზა და გზა ჭდეები დაუტანებიათ; ამ ჭდეებიდან ველებს ეფინება მისი სარწყავი არხები. გასცქერის გიტა და თვალთ უბნელდება. ეს ხომ ლიახვი არ არის, არც ეს სოფლებია ქართლის სოფლები.

რუსუდანი-კი აქეთ წამოვიდა. ნეტავ სად არის? დამბის ძირას ზის, ტირიფის ქვეშ, ხელში ფერადი ქოლგა უჭირავს, ჩინურ სათამაშოსავით აფრიალებს. მდინარის სარკეს დასცქერის. გიჟი წყალია, ეს უცხო მდინარე. მოულოდნელად მოვარდება და ყველაფერს წალეკავს გზაზე. ამიტომ გიტაც ჩქარა უნდა მივიდეს ტირიფამდე, სტაცოს ხელი, მოარიდოს რუსუდანი წარღვნას.

კვლავ მიდის, მირბის, მიჰფრინავს. ყურებს უგუბებს გრუხუნი, თვალებს უჭრელებს ყვითელი ქაფის ლაპლაპი. მდინარე უკვე გადმომსკდარა, დაუგლეჯია ჯებირები და დამბები.

— მიშველე, მიშველე! — ესმის მას. რუსუდანი უხმობს საშველად. გიტა თავგამეტებული ვარდება მოდიდებულ მდინარეში, მიარღვევს ჭავლებს, ყვითელ ტალღებს.

უეცრად შრება მდინარე. გიტა სილაზე გდია გულალმა. აღარც ტევრები, აღარც ბაღები, აღარც შუშაბანდიანი სახლები. ირგვლივ თვალუწვდენი მშიერი რიყეებია, უდაბნოსავით უნაყოფო და ვერანანი. ფესვებ გაშიშვლებულნი ჰყრიან წაქცეული ხეები. დამდგარ, მწვანე გუბეებში ტყაპუნებენ ბაყაყები. რიყეზე სდგას ბარძიმ თუშელაშვილი, თავისი შავი ცხენისთვის წინა ტორი აუწევინებია. ფლოქვი ფოლადის თითებით უჭირავს ალიბეგ არობელინსკის, თუშელაშვილი კი აკრავს ზედ ნალს, ჭედს, კვერს ცეცხლოვან

ნაპერწკლებს აყრევინებს. დაჭედეს, სხვა შავი ცხენებიც მოიყვანეს, შესხდნენ, მათრახები უჭირეს გავებზე. ალიბეგი ღრიალებს: „ღზა! ღზა! ღზა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილო, ავად გახდები, ადექ, ჩაწექი ლოგინში! ნეტავ, ძეხი სახე გაჩვენა, ნაწამებს გევხარ! — მოესმა ზმანებისაგან გაოგნებულ აგრონომს შინაყმობიდან შემოორჩენილი მომვლელი ქალის ხმა.

გათენებულიყო. ბუხარში ცეცხლი დაფერფლილიყო, ეზოდან ხმაური ისმოდა. საქონელს უვლიდნენ. ხაბაზს თონისთვის ჩაენთო. აგრონომი წამოდგა, ლოგინში ჩაწვა. უმალვე სიცხე მისცა — გაათარანა, ბურანში შთანთქა.

*
* *

სამ-ცხენიანი „ლინეიკა“ ექვნების საამური ჟღარუნით შეგრიალდა სოფელში. სისხამი დილა იყო, თოშიანი, ყინულის ჯავშნიანი.

იაგორა ბალთიაშვილი ბოსელში იყო. ხარ-კამეჩს უვლიდა. ბზითა და ჩალით გაუტენა საყვარელ პირუტყვებს ბაგა. ექვნების ხმა შემოესმა. ბეჭებზე თექა მოიგდო. ქუჩის პირად გამოვიდა დაინტერესებული, — ვის გაუმეტებია თავი ასეთ სიპი-ხეთქია ამინდში, რად ვაჩერდა ეტლი ჩემი სახლის მახლობლადო.

მეეტლე ძლივს აკავებდა ცხენებს. ეტლიდან მაღალი კაცი გადმოსულიყო. მის იდგილს სხვა მგზავრი იკავებდა. ჩამომხტარს ლაკის პრიალა ჩექმები უმშვენებდნენ გაბრუეებისა და სიცივისაგან გახევებულ ფეხებს. ღვინისფერ ჩოხა-ახალუხს ზემოდან ტყაპუჭი ეცვა. სახე და ყურები ბუხრის ქუდითურთ ყაბალახით აეხვია. მან ეტლიდან შეგორგლილად შეკრული ტომრები გადმოიღო, მარცხენა იღლიაში ამოიდო, იაგორასაკენ გასწია, მარჯვენათი კი ყაბალახი შეიხსნა. უცნობს შუბლი და წვერ-ულვაში გამოუჩნდა. წვერ-ულვაშს ზემოდან მოლურჯო, ნაპერწკლებიანი თვალები სდარაჯობდნენ. იაგორამ იცნო მომავალი.

— კაცო, ცუდი ხომ არაფერია, ამისთანაში როგორ გამოენდე გზასა! — დაუძახა და შესაგებებლად გადასდგა ფეხი.

— რა დროს ეგ არის, გამათბე! — მიუგო მოსულმა.

იაგორამ ტომრები გამოართვა, ბოსლისაკენ წაუძღვა. გზად შინაურობას მიაძახა:

— ქალებო, სახლი მიალაგეთ, სტუმარი გვეწვია გორიდანა — იაკობ ეგნატაშვილი.

ბოსელში შევიდნენ, სახლის გვერდით მიდგმულ დაბალ-ბანიან გომურში. იაგორამ ბუხარს მიაშურა, ჩალის კლერტო შეჰყარა შიგ ბლომად, ზემოდანაც სიმინდის ხმელი ნაქუჩი დააყარა. ცეცხლმა გაიპრიალა, ალი ავარდა, მჭვარტლის სუნი დააყენა.

— მოდი გათბი, — შეეპატიჟა იაგორა.

იაკობი ბუხარს არ მიეკარა ახლოს. ბოსელში უცეცხლოდ თბილოდა. ტყაპუჭი მოიხადა, სვეტზე ჩამოჰკიდა, ზღვეს მიაშურა. იაგორას ბოსელი

ჩამოეგავა და პირუტყვი დეეურვებინა. ახლა საქონელი კმაყოფილი ცოხნიდა საკვებს და თავმოლრეცილი, მსხვილი თვალებით მისჩერებოდა ბოსელში ერთი ულელი კამეჩისა და ერთი ულელი ხარის გარდა — [illegible] ლი მოცადიც ება.

იაკობი კამეჩებს შუა ჩადგა, ჯერ რქებში ჩახედა ნიკორებს, მერე მიტრიალდა და აქეთ-იქიდან ორივეს ხელები გაუსვა ქედიდან კუდის ძირამდე, ბოლოს ბალიშებივით ჩაფუვებულ რბილ ბოყვებში შეუტყაპუნა.

— რაო, იაკობ, არ მოგწონს ჩემი ნიკორები? — გამოელაპარაკა იაგორა.

— კაცო, რამოდენები დაზრდილან ეს დალოცვილები. შარშან ზაქები იყვნენ. კარგად გიჭმევია.

— საქონელი ჭმევისა და კვებისაა. რაც მაგათ ჭირნახული დაანელეს, ერთ მოსახლეს გაიტანდა. დაღონიერდნენ, დასრულდნენ. ეს ფუთს დაუდებ თამამად ურემზედ, გულში დარდი არ მექნება. მაგათი შამშინებელი შელმართი არ არის, ჩიტივით მიაფრენენ ურემს.

— ხარები როგორლა იწევენ?

— კამეჩებს არ ჩამორჩებიან. გინდა კამეჩები ჩამიბავს გუთანში, გინდა ეგ ხარები. ერთი ულელი მოზვერიც მეზდება, ძუძუთა დაყვერილი. მემრის იმათაც გაუბამ ყევარში, გუთანსა და კალოში.

— გუთნეულის დაბმა განგიზრახავს?

— არა, იაკობ, მე მაგ ორი ულლის შენახვის მეტის თავი არა მაქვს, მოზვერებს გამოვქნი და გავყიდი.

— მამილო, სტუმარი რად გაგიჩერებია ბოსელში, შინ შემოიყვანე, — მოისმა სონას ხმა.

— ქალიშვილი შინ გყოლია, — შენიშნა იაკობმა.

— ჰოდე, ჯერ შინა მყავს, ორსულად არის, მოლოგინებამდე ვერსად გაუშვებ.

— შენმა სიძემ კი გუშინწინ ჩამოგვიქროლა გორშია, თბილისში გასწია.

— ეჰ, მაშინაზე კი აღარ აყენებენ, — დარდიანად ჩაილაპარაკა იაგორამ.

— გაუშვი, თავისი საქმისა თითონ უკეთ იცის. რაც აბარია, ის გააკეთოს და დარდი ნუ გაქვს, იცხოვრებს, შიმშილით არ მოკვდება და არც ცოლშვილს გააუბედურებს.

— კაცო, პურსა და ღვინოს იმის ცოლშვილს არ დავამადლებ, მაგრამ რასა ჰგავს? თვე გავა, ერთხელ გიჟი ქარივით თუ შემოირბენს შინა. კაცი, რაც გინდა თქვი, თავის ცოლშვილში უნდა ტრიალებდეს.

— აგერ მე და შენსავით, იაგორა, ხომ?

— ჰოდე, ღმერთმანი.

— რაღა ეგ, აგერ ამოდენა ოჯახის კაცი ვარ და მეც კი ამიყოლია მოძრაობამ, კინაღამ ბალღები დამეშა აქეთ-იქით სიარულითა. ცოლმა მომიყვანა გონს, — ღიმილით თქვა იაკობმა.

ლაპარაკით შევიდნენ სახლში, ბუხარს მიუსხდნენ. იაგორას ცოლმა, — სტუმარი ჩქარა გათბესო, — განჯინადან არყიანი ბოთლი და ჭიქა გამოიღო. იაგორამ დაუშალა.

— მაიცა ქალო, ხამი არა ჰკრას. აგრე გათბეს, ბუნებითა, თანაც არაყმა ღვინისათვის გემოს წართმევა იცის პირშია. შეგვიმზადე რამეა, ღვინოს დავლევთ.

— აგრე აჯობებს, — დაემოწმა იაკობიც.

— მაშ ამ დილით, რაც ღმერთმა ხელდახელ მოგვცეს, ერბო-კვერცხი, მწნილი, კარაქი, ჰა? სხვას სადილად ვეცდები, — სთქვა იაგორამ ცოლმა.

— სადილამდე ვერ დავრჩები, — იუარა იაკობმა: — მიმეჩქარება.

— რადაო, ეგეთი რა არის?

— ხორბლის შესაძენად ამოვედი. ხუთიოდე კოდი მჭირდება. ახალგაზრდობის ქორები მეც შამიჯდნენ: კალოობას გორში არ ვიყავ. აგერ რა გამოვიდა, იანვარში დავრბივარ ჭირნახულზე.

— ხორბალი სოფელში აღარ არის. ამოგვიმარცვლა ხაროები იმ ოჯახ ქორ გიგო ჩარექაშვილის ნოქარმა. კაცო, საითაც არ უნდა გაექანო, ის ოხერი ჩარექაშვილი წამოგიდგება წინ, ეშმაკივით. რაც არ უნდა ითავცემო, არა გამოვა რა. ხაფანგში გაბმული თაგვივით იმის ხელში ხარ, ვერსად წაუხვალ.

— ნუ მიმიდ-მომიდე, იაგორა, შენ ახლა ხორბალი არა გაქვს?

— ჩემთვის მოვიკლებ, შენთვის გავაჩენ ორ კოდსა. დანარჩომიც სოფელში მოვძებნოთ. ქართლი არ გაწყვეტილა ჯერ, ღვთის მადლით.

— კარგი მარცვალი მაშოვნინე, თუ ძმობა გწამს.

— შავფხაი?

— ჰო-დე, ოლონდაც წმინდა.

— ავაცხრილვინებთ, შინაც ცოტათი გადაარჩევთ, გარეცხავთ, თასმასავით შოთები გამოვლენ.

— ფასი? რა ელირება?

— სულ უფასოდ აბა არც შენ წაიღებ და ვერც ჩვენ გაგატანთ. დაგიკლებთ სხვასთან შედარებით. გორში ჩატანის ქირიანად ერთი-ორად იაფად დაგიჯდეს, აბულსა ხარ? ჩატანის ქირაც არ გაგივა, შავ ორშაბათის კვირაში იარმუკაზე მოვდივარ მაინცა, კამეჩი მებმება, დაუდებ, შინ მოგიტან.

— დაჰკა ხელი!

— აჰა!

— თუ რამ განგიზრახავთ, — სთქვა იაკობმა, — მაიტათ სუფრაზე. პური მომშივნია, მამლის ყივილზე გამოვედით გორიდან. ე მაგ მეეტლების ამბავი თითონ იცით, გზაში რომ არაფერი გაუტყდეთ და არ გაგყინონ, ისე ადგილზე ვერ მიგიყვანენ. კარალეთის ბოლოზე ვეყარენით ტრიალ მინდორში ერთ საათს.

— მა, ეგ ოხრები ეგა. აბა ერთი ჩემი თელის ურემი და კამეჩები ყოფილიყვნენ! — ჩაილაპარაკა იაგორამ და სუფრას მოუსხდნენ. საამური, მადის მომგვრელი სუნი ასდიოდა ერბო-კვერცხს და თონეულს.

— დიდება ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯოს ხარის ქედსა და კაცის მარჯვენას! — დაილოცა მასპინძელმა და წითელი ღვინო დალია, პირველი ჭიქა. მეორე იაკობ ეგნატაშვილს გაუვსო.

— თქვენც გაგიმარჯოთ! — იყო იაკობის პასუხი, — სონავ, იქ ტომრები დევს, გასხენ, შიგ ლიტრა-ნახევარი ზურგიელია, ყველივრისთვინ ისიამოვნეთ.

— გმადლობთ, რად შესწუხდით? — სახე გაბრწყინებულმა მიუგო იაგორას ცოლმა. იაკობმა კი გაიმეორა „თქვენც გაგიმარჯოთო“, შუთი აიღო და გასტეხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ამინდი იანვრის მიწურულს აქეთ წახდა. ცა გაიჭედა სქელი, სეტყვასავით ცივი ღრუბლებით. კავკასიონს მიბჯენილი, მთელ ქართლს მოედო. შვიდ დღესა და ღამეს განუწყვეტლივ თოვდა. რიყის სილასავით ხოშორ ფარტენებს აფრქვევდა. ღამით ჭირხლავდა, დილით ნამქერობდა.

ბოლოს კასპიის ქარი ამოვარდა. ააფორიაქა ხეები, მიყარ-მოყარა ღრუბლები, გამოაჩინა ლურჯი გუმბათი და უეცრივ დაიკარგა მტკვრის ხეობაში, ახალციხეს გაპარულ ყმასავით.

ხოლო ერთ საღამოს ნამგალა მთვარეს მთლად მოჭედილი ცაც დაერთო. ხილეულისა და ნათესის მტერი, ხანგრძლივი ხმელარობა დაიწყო.

ანთებიანი ავადმყოფის პატრონივით შეაწრიალა გიტა ამ ხმელარობამ. ეზოს ტერმომეტრი შეუბრალებლად ეცემოდა, ვერცხლის წყალი ნულს ქვემოთ ოცდათხს აღარ ასცილდა და აღარც დასცილდა. ხბორებს ბოსლებში უზიდავდნენ გლეხები სასმელ წყალს ბალღებივით. ძაღლებიც დამალოდნენ გაასპიტებულ ამინდს, ყვავებიც-კი აღარ ყვანჩალებდნენ დილაობით.

ერთხელ, როცა ტერმომეტრმა ოცდათხიდანაც დაიწია ძირს, ოცდაშეექვსეს მისწვდა, გიტამ ტყაპუჭი გადაიცვა და ზვრისა და ნამყენებისაკენ გასწია. ჭიშკარს იქით შემოეყარა ახალ ჩოხა-ახალუხში გამოპრანჭული პოზუა ქენქაძე. ჩექმის ყელზე წკეპლის წკაპანით სახლისაკენ მოემართებოდა. წელზე მაუზერი ეკიდა, არყით შებინდული თვალით იარაღს დასცქეროდა. გიტას არ ეამა იმისი დანახვა. თითქოს ვერ შენიშნა მოურავი, მიუსალმებლად გვერდი აუქცია, მოჩქარებით წავიდა ზვრისაკენ. პოზუამ მიმავალ აგრონომს ავი თვალი გააყოლა, ამოიხვნეშა, ჩაიბურტყუნა: „ჰაი დედასა, როგორ დამაჯექ თავზე, მარამ, თუ პოზუა ვყოფილვარ, განანებ ჩემს არად ჩაგდებას“, საჩქაროდ მიბრუნდა აგრონომისაკენ, მიაძახა, თითქოს უიმისოდ გაძლება გაუჭირდაო:

— ბატონო, ნერგის ქვეშ მობრძანდით, ჭიდაობა იმართება, სამი დასტა დაუკრავს, გორელი სტუმარიც იქ არის.

გიტა სტუმრის ვინაობით უფრო დაინტერესდა, ვიდრე პოზუას მიპატიჟებით. მიბრუნდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გზა განაგრძო.

სოფლის ყრიამული ოოლად სწვდებოდა მის ყურს. ხალხი შეგროვილი იყო დიდი არყის ხის ძირში, სკოლასთან.

გუშინ საღამოთი, იმ ხის ძირში გიტამ თავისი მამა პავლია, ოორდანე ბალთიაშვილი და მათი ტოლი, სოფელში წონიანი და კეთილსინდისიერი გლეხები შენიშნა. ცეცხლის ალზე გრძელ შხოლარებს რუჯავდნენ, ქენჟლიდნენ. ურმის თვლის ოსტატს გრძელი, კაპიანი ხე გაესხვიპა, ბოლოში რიკის გასაყრელი გამოეთეგა და გაეყარა კიდევაც რიკი. პავლიამ იგი ვერხვის გადაშვერილ ტოტზე ჩამოჰკიდა და ქენჟლილებით მიამაგრა. საქანელა მზად იყო.

ამ საქანელასთან იყვნენ მოგროვილი სოფლელები. ძიძგილაობდნენ, ხუმრობდნენ, სიცივისაგან ენდროში შეღებილი საალდგომო კვერცხებივით დაწითლებულნი მოქანავეს გუნდებს ესროდნენ, გათოშილ თითებს ითბობ-

დნენ არყის ხის მახლობლად გაჩალებულ კოკონზე, რაზედაც შარვლის უბეგამოგლეჯილი ქალამნიანი ბავშვები ქაჯებივით არულს გადადიოდნენ.

ზვარსა და ნამყენში ქარსაფარის თავისი დანიშნულება შეესრულებინა. თოვლი ვერ გაეხვეტნა ქარს. ნება-ნება დაეცა, ჭიგო გამოგდებული ვაზი დაეწვინა, ზემოდან ბამბის საბანივით დაეთბო და დაჰფარებოდა.

გიტამ ლერწი ამოჩიჩქნა, წაამტვრია. ხასხასა ფერი ჰქონდა მწიფე ლერწს, უბეში ჩახუტებულივით გადარჩენილ ატენურას და რქა-წითელს.

იქიდან მან ძველ ბალს გამოუარა. მუხებივით ნირ-უცვლელად იდგნენ ქართული თურაშაულები და აბილაურები. ნაადრევ სითბოს კვირტი ვერ გამოეტყუებინა. სასინჯად მოგლეჯილი ტოტები იეენჟღებოდნენ და არა ტყდებოდნენ.

ყინვას აქა-იქ შეეშინებინა მხოლოდ ორწლიანი ხეხილის ნამყენი, რომელსაც ფოთლის დაცვენამდე ვერ მოესწრო ნორჩი ყლორტის დასრულება. მაგრამ მონაყინს მყნობის მუხლამდე მაინც ვერ მიელწია.

ძველი, ხის გუთნით ნახნავი ნაცარივით დაეფშვნა ყინვას. ბელტები მტვრის ბექობივით რიალდებოდნენ, ფეხი ნახნავის ფსკერამდე უწევდა.

დაიმედებულმა გიტამ არყის ხეს გვიან საღილობისას მიაღწია. მზეს ოდნავ მიენელებინა ყინვის სუსხი. რამდენიმე დასტა ზურნა უკრავდა. მხიარულებას არამკითხე პოზუა თაოსნობდა თითქოს. ჩალიჩის თამაშს დასტრიალებდა გარს, „მაგრა უჭირეო“, დასძახოდა და აქეზებდა მოთამაშეთ. გიტამ შორიდანვე შენიშნა გორიდან გუშინ ჩამოსული სტუმარი იაკობ ეგნატაშვილი. იგი იაგორასთან, ნიკალა ჯინიუზაშვილთან და პოზუა ქენქაძესთან იდგა.

გუშინ იაკობმა ნასაუზმევს ორი კოდი პური მიირწყო იაგორას ხარიდან. ფული იქვე დაუთვალა, ხოლო დანარჩენი სამი კოდის საშოვრად სოფელში გაეშურნენ. გაუჭირდათ შოვნა. „თქვე ოჯახაშენებულებო, კალოზე სად იყავითო“, — იყო ერთი და იგივე პასუხი გლეხებისაგან. ბოლოს, როგორც იყო ერთ გლეხს მიაგნეს და წამოიღეს ხორბალი იაგორასას. იქ იაკობმა ხორბალი თავის ტომრებში ჩაჰყარა, პირები მოუკერა და იაგორას ჩააბარა.

— აბა, რა კი-და მოხვალ ურმით გორში, შენი ჭირიმე, ჩამომიტანე, — უთხრა იაკობმა და შინ შემოვიდა გამოსამშვიდობებლად. იჩქაროდა იაკობი, შინ მიელოდნენ.

— ქალო, სტუმარი იჩქარის, — მიმართა ცოლს გულისწყვეტით იაგორამ.

— როგორ იჩქარის, ასეთი რა საქმე აქვს? ქადის გული მოვწვი, გაღუებული პური ამოსაკრავად მზად არის. სონა ყვერულებს პუტავს. მაშ ქადა, ჩვენი ქადა არ უნდა ჭამოს ამ დაურწყების კვირაში?

— ღმერთმა თქვენ შეგარგოთ, — გადაუხადა მადლობა იაკობმა.

— კაცო, ხვალ დილიდან სოფელში საქანელა და ჭიდაობა გვექნება, რა დროს გორში წასვლაა? წყალში ვდგავართ თუ, გასწრება რომ გადაგიწყვეტია.

— ჭიდაობა? — იკითხა იაკობმა.

— ჰო, ზურნითა, ჭიდაობაი!

იაკობი მოლბა. ჭიდაობა უხსენეს. დარჩება. ხვალ საღამოს წავა. სად გაიქცევა, მართლაც, გორი? ეშმაკია იაგორა, იცის საიდან მოუაროს კაცს. უყვარს იაკობს ჭიდაობა და კრივი, ყველა სანახაობას ურჩევნია. ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობისას, ცოლის შერთვამდე, და მერეც, თითონაც უსინჯავს ბალავი გორის მახლობელ მინდვრებში.

— ქადას ვინ გამოაცხობს? — კითხულობს.

— სონას უნდა გამოეცხო, მაგრამ გავაჩერებ თონეს ამოკვრამდე, მერე მე მოვკიდებ ხელს, — ეუბნება იაგორას ცოლი.

— აგრე, აგრე, აბა შენებურად, გული ბლომად, ქალალდივით იხდებოდეს, ზოგი ერბოში, ზოგიც ღორის ქონითა, ოლონდაც გული ბლომად.

— მა როგორა, — ემოწმება იაგორას ცოლიც.

— ჩვენ ცოტას გავივლით, მერე დავბრუნდებით, ქვევრს მოვხდით.

— აგრე!

იაკობმა და იაგორამ ისევ სოფელში გასწიეს, კიდევ ჰქონდათ მცირეოდენი საქმე, უფრო-კი გასასეირნებლად და თვალის გასართობად.

დაინახეს თუ არა აგრონომი, ხალხი მიიწ-მოიწია, შუაზე გაიყო, გზა გააკეთეს საქანელამდე მისასვლელად. გიტამ ხელი ჩამოართვა იაკობ ეგნატაშვილს. მოკითხვაც არ აცალეს, ბიჭებმა ჩაავლეს ხელი და საქანელისკენ წაიყვანეს. მობუქნავე ბიჭებმა საქანელა შეაჩერეს. გიტამ დაიკარწახა, რიკებზე შეხდა. ერთმა ყმაწვილმა წინიდან წამოუარა, საქანელა ასწია თავის სიმაღლემდე, მერე ქვეშ გაძვრა. გიტამ ჩაბუქნა, ერთხელ, ორჯერ და დასძახა ძველებურად, სოფლურად:

ჰერი, ჰერი, ჰო!
ასეთი უნდა ვაუკაცი:
საღამომდე ყანა მკასო,
ჰერი, ჰერი, ჰო!
საღამოზე შინ დაბრუნდეს,
გოგოს ხელი გადაჰყოსო!
ჰერი, ჰერი, ჰო!

უკანასკნელ სიტყვებზე ისევ ჩაბუქნა და გაჰკრა საქანელას. ხის წვერის ბორჯღლში შეფრინდა. ყველაზე გაბედული ბიჭებიც-კი გააკვირვა.

— გუნდა მაგას, გუნდა! — დაიძახა ვიღაცამ. დასწვდნენ თოვლს, ჩასაქოლივით დაუშინეს ბიჭებში.

ჰერი, ჰერი, ჰო!

გაჰკიოდა გიტა, საქანელას მაგრა ხელმოკიდებული, არყის ხე ძირიანად ინძრეოდა. არ ამოვარდესო, ხუმრობდნენ მაყურებლები.

პავლიაც იქ იყო. შვილისთვის არ ეცალა. იაკობ ეგნატაშვილთან დიდი ბჭობა გაემართა. რამდენიმე კაცი მოტკეპნილ თოვლზე დაფორებულ ბზეს ჰყრიდა გოდრებით, საჭიდაო მოედანს აწყობდნენ ნაშუადღევისათვის. იაკობი, პავლია, პოზუა, ნიკალა და იაგორა მოჭიდავე წყვილების ღირსებებს ატყობინებდნენ ეგნატაშვილს, რომელიც მათ აწყვილებდა, მერმე სათითაოდ დააძახებინებდა და თვალით ზომავდა. — ბიჭები კი არა ლომებია — ამბობდა იაკობი და აღიმებოდა.

*
* *

იმ სამახსოვრო კრების შემდეგ გიტა ყოველდღე, ყოველ საათს მოელოდა გლეხების აჯანყებას. მოძრაობა დაკავშირებული იყო ქალაქელი მუშების გამოსვლასთან. გაზეთებს მოჰქონდა ცნობები, რომ რუსეთის დიდ ქა-

ლაქებში მასობრივი დემონსტრაციები და გაფიცვები ეწყობოდა. სოფლად-კი იგვიანებდა მოძრაობა. გოლა კამკამიძე ერთთავად გაიძახოდა, ეგ საათიც დადგებაო. რას უცდიდა გოლა, გიტამ არ იცოდა. ხალხის [illegible] ბეწვზე ეკიდა, ეს აშკარა იყო. აგერ ახლაც გასართობად გამოსულ [illegible] თან ფილთები წამოეღოთ, ხან ნიშანში ესროდნენ, ხან ხეზე შემომჯდარ ფრინველს აგდებდნენ ძირს. ისროდნენ, არავის ერიდებოდნენ, თავი ზვიადად ეჭირათ.

გამოსაცდელად საღამოთი გიტამ მამასთან აზრი გამოსთქვა: „ამათ მოძრაობისთვის მზადყოფნა არაფერში არ ემჩნევათო“ და ყური მიუგდო მოხუცს, აცა რას იტყვისო. პავლიამ წარბები შეიკრა, შუბლზე ნაოჭები დაიყარა, ულვაშზე ხელი გადაისვა და შეუტია შვილს:

— რას ამბობ, კაცო, რას არ ემჩნევა: თუ მუცელში დედას ბავშვი არ უტირის, ეს იმას კი არ ნიშნავს, ცხრა თვის თავს ბავშვი არ დაჰბადოს. ყველაფერს თავისი მოსვლის საათი აქვს. აცალე, მიწამ პირი გამოჰყოს თოვლიდან, ენძელა მოედოს მინდორს, გლეხმა ბარის ტარს ჭობოსანი გაუსვას, გუთანი გაიტანოს გარეთ. ერთი მაშინაც თქვი, არა ემჩნევა რაო! დაემჩნევა კი არა, ასე მგონია, მეორედ მოსვლა დატრიალდეს. ხუმრობ შენა? სოფელში ისეთი კაცი არ არის, რომელიც ძალადობით მიწაში არ შევიდეს. და ვაი მას, ვინც მაშინ გლეხს წინ გადაუდგება!

„შეიძლება გოლაც ამ დროს უცდის, როგორც ყველაზე მოხერხებულ მომენტს აჯანყებისათვის“, — გაიფიქრა გიტამ და რომ თავი დაერწმუნებინა, იაგორასა და ნიკალასაც ჰკითხა.

მათაც პავლიას მაგვარი აზრი გამოსთქვეს. სოფელში ყველანი მზად იყვნენ მფლობელობა გამოეცხადებინათ იმ მიწებზე, რასაც ქირით, სალალოდ და საზიაროდ ამუშავებდნენ. უმიწაწყლოები ხომ სულ დალეესილები იყვნენ, რიღლის გამოჩენას მოელოდნენ, რომ ერთბაშად შესეოდნენ საბატონო მიწებს, გაეყოთ ურთიერთ შორის, მოეხნათ.

კარს მომდგარმა რევოლუციამ ახალგაზრდა აგრონომს საფიქრალი გაუორკეცა. ცხოვრება იმაზე მეტს მოითხოვდა იმისაგან, რასაც იგი აკეთებდა მოძრაობისათვის.

მოაგონდა იალტის სამეურნეო სასწავლებელში მარტოდ გატარებული წლები. ნაფიქრი და გადანაფიქრი. ერთხელ სიტყვა მისცა თავს, შინ დაბრუნებას მოსწრებოდა მხოლოდ და თავის სოფელს, თავის ხალხს ოქროს ციხე-კოშკებს აუგებდა.

დაბრუნდა და რა გააკეთა? ვის მოაშორა თავიდან ჭირი? მაშ თუ აქომამდე არაფერი გაუკეთებია, ახლა მაინც უნდა გააკეთოს რამე. ხალხი საცაა ალდგება, მას ხელმძღვანელი უნდა, მას მომავლის საძირკვლის ჩაყრის გეგმები ესაჭიროება...

დაურწყების კვირა გასული იყო. სოფელში ქალები ნაცარმოწმენდილში ხარშავდნენ ჭურჭელს. დიდი მარხვა დგებოდა. ყინვა და თოვლი მძვინვარებდა. გიტა მარტოდ იყო სახლში. იგი სამუშაოს ეკვეთა.

მან დაუშვა, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა. ხალხმა გადააგდო მეფის მთავრობა და აირჩია თავისი სახალხო მთავრობა. როგორც ყველა თავადაზნაურის, ისე ელიზბარის მამულიც სახალხო ქონებად გადაიქცა. დაუძახეს გიტასაც. მას შესთავაზეს რაღაც დიდი თანამდებობა. გიტას არა სურს. დაე საიქაოდ გოლამ სხვა გამონახოს. მას კი თავისი ამოცანა აქვს, — ქართ-

ლი, ლიახვის პირის სოფლები. გოლა მისი ძველი მეგობარია და ეუბნება, წადი გიტა, მიგულვე ძველებურად მეგობრად. იმუშავე, განახორციელე შენი იდეალები.

ეს დაუშვა გიტამ და ირწმუნა კიდევაც, ასე მოხდებოდა. [illegible] ველ ოცნებას ზედ მეორეც მოჰყვა. აგრონომი ჩაუჯდა სამუშაოს. იგი მთელ თვეს აღარავის იკარებდა და რუსუდანის წერილებსაც კი გაუხსნელად სდებდა უჯრაში.

თვის დამლევს ელიზბარის სახლის დიდ დარბაზში რომ ორი გრძელი მაგიდა იდგა, სავსე იყო აგრონომის მიერ შედგენილი რუკებით და ნახაზებით. ამ პროექტებში გიტა საფუძველშივე სცვლიდა ლიახვის სარწყავ სისტემას. მას წყალი სულ ახალი გზებით და კვლებით მიჰყავდა. ზოგჯერ ისინი ძალიან მაღლა ადიოდნენ და კვლავ ეშვებოდნენ ძირს.

გიტას აეყარა თავიანთ ადგილებიდან სოფლები და დაესახლებინა ისინი წყლის მოხმარების ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილას. სოფლებს შორის მდებარეობდნენ ზვრები, ხილის ბაღები, სათესი მიწები. ლარივით სწორად გამოიყურებოდნენ გიტას სოფლის ქუჩები, რომლებიც სასოფლო მოედნიდან მზის სხივებივით იშლებოდნენ ქაღალდზე.

აგრონომი აზუსტებდა პროექტს. იგი ყოველდღე ელოდა გოლა კამკამიძეს. და იმ პრაქტიკულ სამზადისთან, რაც სოფელში სწარმოებდა, გიტას უნდოდა განეცვიფრებინა იგი თავისი აზრებით და მომავალზე ზრუნვით.

გარეთაც დათბა, თოვლმა დნობა იწყო, გუბეებში ყინული გატყდა, ნიავს მიჰქონდა დაძრული კვირტის სურნელება.

დგებოდა დრო მინდორში გასვლისა. გიტას კი ორი კვირა მაინც სჭირდებოდა თავისი რუკებისა და ნახაზების დასასრულებლად. გული მოსდიოდა, მზე რომ მოიწევდა შუა ცისაკენ. იგი დაეინებით უჯდა სახლში თავის სამუშაოს. გაზაფხული-კი ძალით იჭრებოდა შინ.

ერთხელ სრულიად უნებართვოდ შემოვიდა გიტასთან პოზუა ქენქაძე. კათაკმეველივით დარბაზის შუაგულში გაჩერდა, გაშლილ ნახაზებს დააშტერდა ტანგადაზნექილი და კისერ წაგრძელებული. აგრონომმა ხმა არ გასცა. მაშინ პოზუამ კუთხიდან სკამი მიათრია, მაგიდის მახლობლად დაიდგა და დაჯდა. რაღაცას მიედ-მოედო. გიტა მიხვდა, მოურავს გამოლაპარაკება სწყუროდა და რომ თავიდან მოეშორებინა, უსულ-გულოდ მიუგო:

— რა გაგჭირვებია პოზუა?

— მე, შენი ჭირიმე, კლდესავით ვარ, რა უნდა გამიჭირდეს! საქმეზე გეახელ, ბატონის მიწების თაობაზედა. თქვენ სულ მუშაობთ. სალაპარაკოდ ვერ გიპოვეთ. შემოვალ, სულ ქაღალდს დასცქერი. ზედაც არ შემოგხედავ.

— რატომ ვერ მიპოვე, ხედავ, აქა ვარ სულ, დღისითაც და ღამითაც, — მიუგო გიტამ, თავმობეზრებულმა პოზუას უდროო შემოსვლით, კაკუნით, ბეზღობით და საჩივრებით.

— იმიტომა, რომ, რა ვიცი, რაც ჩემი საქმე არ არის, რაც მე არ მეკითხება, რად უნდა...

— სთქვი რაღა, რა მოხდა? რა არ გეკითხება, რად არ გეკითხება?

— იმ მიწებისა. ღმერთმანი, გული მტკივა, თორემ, ვინ მუდრეგი ხმას ამოიღებდა, ვინ ოხერი კრინტს დასძრავდა, ჩემს მზეს გეფიცები, როგორ გინდათ წელსა, ჰა?

— რა მიწებისა და რისი როგორ გვინდა?

— აი იმ მიწებისა, გლეხები რომ შავიდნენ შიგ, დაისაკუთრეს.

— მთვრალი ხომ არა ხარ, პოზუა, — გაიკვირვა აგრონომმა და უმალვე გაახსენდა მამის სიტყვები, აცალე მიწამ პირი გამოჰყოს თოვლიანში.

— მთვრალი რად უნდა ვიყო? გლეხები შევიდნენ თავი ნებითა თავადის მიწებში, მეც გავიგე და მოგახსენე. მერე როგორ შევიდნენ: ისე, თავი ნებით, უკითხავად. თქვენ, მოურავიო, გამგებელიო, ვინ ძაღლები ჰყრიხართ ქვეყანაზე, ვის დაჰკარგვიხართო.

— რომელი თავადის მიწებში?

— სხვა თავადთან მე რა საქმე მაქვს, ჩვენი ბატონის მამულზე მოგახსენებ. წინათ, აგერ გასულ შემოდგომაზედაც, გუთნის გატანის წინ, მიწაში შესვლის ნება ჩემთვინ უთხოვნიათ, ან თუ ბატონი აქა ბრძანდებოდა, იმისათვის უკითხნიათ, წელსაც ჩვენ გვაძლევთ თუ არა მიწასო. წესი იყო ძველთაგანვე, ასე მოქცეულიყვნენ, თორემ თვითონაც კარგად იცოდნენ, ჩვენ სხვას არავის მივცემდით. ამ გაზაფხულზე კი რის კითხვა, რის ნებართვა, რის ფლავიო, რის ფსტანიო. შესულან საბატონოში, ხარ-კამეჩი გაუბამთ, გაყინული ყამირები აუყრიათ, მოუგუთნიათ. მალე თესლსაც გაიტანენ, დააყრიან ხნულს, ჩაჰფარცხავენ. მკაზე ის არაფერს მოგცემს, ვისაც ხვნაზე არ გარიგებიხარ.

— სადა და სად შესულან? — შეკავებული სიხარულით იკითხა გიტამ. იქავ დაასკვნა: დაიწყო.

— რაღა სადა, განა ერთგან? სულ ყველგან, საცა ხელი მისწდომიათ. მარტო ჩვენი ბატონისაში კი არა, სულ ყველასში. საეკლესიოშიაც კი ღმერთის აღარ შაშინებიათ. ჩვენი ცოტაოდნად მოხათრებიათ კიდენა, თორემ კიბეებს შემოგვიხნავდნენ. ვაი არა აქვს პოზუას, ჩემმა მზემ, ჩემმა ღმერთმა.

— მერე?

— ეს არის და ეს. განა არა კმარა? ახლა სიტყვა თქვენზეა, დირექტორ-გამგებელი ბრძანდები, ბატონის სანდო კაცი. როგორ ბრძანებასაც მომცემ, მეც ისე მოვიქცევი. გლეხის ამბავი მოგეხსენებათ, გლეხის შვილი ხარ და მენაც გლეხი ვარ. თუ ნებას მიუშვი, რბილად მოექეცი, თავს გაუვა, მეტს მაინდომებს, გადაგაჯირგალებს.

— ახლა დამეხსენ, პოზუა, — უთხრა გიტამ. — მე თითონ ჩემით შემოვივლი სახნავებს, ვნახავ, რა სწადიათ, რას აპირებენ.

— თქვენი ნებაა, ბატონო, — ჩაილაპარაკა მოურავმაც უკმაყოფილოდ და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— ცხენი შემიკაზმონ! — გაადევნა სიტყვა გიტამ. მუშაობა შეწყვიტა, მაგიდა მიალაგა. განგებ არა უთხრა-რა პოზუას. არც არავითარი განკარგულება გასცა.

ორღა ააბო ნიავივით მიჰქროდა ველებისკენ. ცივი ქარით აკლებულ მინდვრებში ოროველა გუგუნებდა. მკვდარივით ცივ მიწაზე ნაადრევზე ნაადრი ხვნა იყო გაჩაღებული. წელში გაღვერილი კამეჩის გუთნეულები მძიმედ ეწეოდნენ ჭაპანს, ისმოდა ღირღიტას მკვახე „ღვიტ! ღვიტ! ღვიტ!“

ბაღების ბოლოში გიტა პავლიას შეხვდა. თავის უღელ ხარს მოერეკებოდა, ზურგზე ჯამბარა ეკიდა, მხარზე უღელი გაედო.

— სადა ჰყოფილხარ, მამილო? — მიაძახა გიტამ.

პავლია შეშინებულივით შეკრთა, შეკეცილი ჯამბარა მიწაზე დაუშვა, უღელი ჯოხივით დაიბიჯგა და შვილს მდუმარედ შეაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადა ყოფილხარ-მეთქი, მამილო? — გაუმეორა გიტამ.

— აგერა — სთქვა პავლიამ. მოხუცი არ აპირებდა ეთქვა, სად იყო.

— აგერ სადა?

— ხარი მება მეზობელთანა.

— ასე ადრე რად გამოუშვი?

— გამოვხანით.

— ღამე ვებათ?

პავლიამ კისერი მოიქექა და გამოტყდა.

— ჰო-დე, ღამე.

გიტა მაშინვე მიუხვდა. პავლია სხვებსავით მეზობელთან ერთად გუთნით შესულიყო სათავადო მიწაში, მთვარიანში ეხნათ.

— მაშ აგრე, მამილო?

პავლიამ ფიცსა და სალავათს მოხსნა თავი. თანაც გზის დაბლანდვაც სცადა.

— ეს თავი არ მომიკვდება, შენმა გაზრდამ, შვილო, აგერ სამოცდახუთი წლისა შევსრულდები, მაგრამ ასე ადრიან ხვნას არ შავსწრებივარ. ხვნა და როგორი ხვნა, ჩამონაჭრები და მემამულის საკუთრები სულ აჭყარეს. თავისები მოიტოვეს, ჩვენსაში ვინ შემოგვბედავს რასმეო, გადაირია ხალხი, ალარავის ეპუება!

— სწორა გარჯილან, ღმერთმა ხელი მოუმართოთ! — სთქვა შვილმა. პავლიამ ყური გაამახვილა, თვალები ფართოდ დააღო.

— რა სთქვი, შვილო? სწორა გარჯილანო! ღმერთმა ხელი მოუმართოთო!

— ჰო, მამილო.

— ჰა? სწორა გარჯილანო... სწორა კი გარჯილან, მაგრამ ღმერთი ხელს მოუმართავთ თუ არა, ამისა ალარა ვიცი რა. ჰეი, ჰეი, მიხსენ, უფალო, ფათერაკისაგან! ბევრი სისხლი დაიღვრება, ბევრი თავი გახმება.

პავლიამ ჯამბარა ისევ მოიდო ზურგზე, ულელიც ისევ გაიდო მხარზე და წინ წასულ ხარებს გამოუდგა. გიტამ ველებში გადაუხვია. მის დანახვაზე გლეხები გუთნეულს აჩერებდნენ. დამნაშავესავით ხრიდნენ თავებს, ქუდებს იხდიდნენ. გიტა ცხენიდან ხტებოდა, გუთნისდედას ხელს ართმევდა, მხოლოდ ამის შემდეგ ბედავდნენ გლეხები ეთქვათ გაზეპირებულივით ერთი და იგივე სათქმელი:

— ღმერთია მოწმე, გვიჭირს, თორემ საძალადო რა გვაქვს!

— აგერ მამაჩემიც იქა ხნავს სათავადოში. ნუ ცდებით, ხარს გაუჯავრდით, მოხანით, რამდენიც შეძლოთ. ნაღალები არ დასტოვოთ, იქიდან ბალახი ვრცელდება ხნულში, მიჯნები წაშალეთ, პირწმინდათ მიჭყეთ და მიდით!

— ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო! — ეუბნებოდნენ ისინიც და გაჰკიოდნენ: — ჰაამო!

— აგერ, ბატონო, მეც აქა ვარ, — უთხრა გიტას იორდანე ბალთიაშვილმა, რომელსაც პავლიასავით გუთანი ღამე გაეტანა მინდორში, ჩამონაჭერი ერთი დღიური მოეხნა და ახლა სხვაც მიეყოლებინა ზედ.

— ბარაქალა, გუთნისდედობა შეგძლებია კიდევ, — მოუწონა გიტამ.

— მკლავში ძალა დიდი ხანია ალარა მაქვს. ხერხით ვმუშაობ, ჩემს ხელს გუთნეული მიჩვეულია. ეგ არის, რომ მიწა, ბატონო...

— შენია, იორდანე, შენი. სხვისი არავისია. ეს არის, რომ...

— რაა, გვიბრძანე, შენი ჭირიმე.

— ის, რომ პირდაპირ შეხედეთ თვალში ბედსა. უბრალო საქმედ არ წარმოიდგინოთ, ადვილად არ დაგნებდებიან პატრონები. თადარიგი დაეჭირეთ.

— ღმერთმა თავისი წყალობის თვალი ნუ მაგაშოროს, საბედნიეროდ იზრუნოს შენზე მაგ სიმართლისათვისა, თადარიგი დაჭერილი გვაქვს. ბავშვები არა ვართ. სანამ გავბედავდი ამას, ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი ღამე ვწყვიტე უძილოდ. იმოდენა ვიფიქრე, იმოდენა, რომა... რაღა ვთქვა? ეს წელს მიტანებულმა კაცმა გადავწყვიტე თავი გავწირო. სადაც მთელი ხალხი ურევია, მეც იქ ვიყო, მეც იმათთან მოვკვდე, თუ ჩემი წერა ეს არის. გავაბი გუთანი, გავბედე. ეს არ ვიცი მხოლოდ, შენ რასა ფიქრობ, კაცის გული ზღვასავით ღრმაა. თაფლივით სიტყვა გაქვს. გულის სიღრმეში კი რა გიძევს? ეგ არის ჩვენი საწუხარი. ოღონდაც შენისთანა კაცი ნუ გამოგვედავება, თავისი მართალი გულით ჩვენი მხარი ეჭიროს, სხვისა ჩვენ ვიცით, გაუვალთ ან ავად, ან კარგად.

იორდანესა და გიტას მეხრეები შემოხვეოდნენ გარს. უსმენდნენ მათ ლაპარაკს, ერთ სიტყვას არა კარგავდნენ.

— თქვენ როგორღა ხართ, ბიჭებო? მარტო სახრეები გაქვთ სახნავში?— ჰკითხა იმათაც გიტამ.

— სახრეები ხელში გვაქ, — მიუგო ერთმა.

— იარაღი?

— იარაღი თავის ადგილას.

— სად?

— თუ საჭირო გახდება, სახრის მახლობლად გვაქვს.

— ყოჩაღ! — მოუწონა გიტამ და ცხენს მოეკრა. იორდანეს უზანგი ეჭირა. გიტა რომ შეეჯდა, იორდანე მის მუხლს მოეხვია, გულში ჩაიკრა და ჰკითხა:

— გული კი ნუ მოგივა, ვთქვათ, იარაღზე მიდგა საქმე. მაშინ როგორ-ღა, ვის მხარეს დაიჭერ?

— შენ როგორ გგონია, იორდანევ?

— გული მეუბნება (იორდანემ მკერდში ჩაიკრა მჯიღი) ჩვენი მხარი და ბოძი იქნები.

გიტა ისევ ჩამოხტა, იორდანეს მოეხვია, შეჰფიცა.

— გფიცავ, იორდანე, ჩემს სიცოცხლეს, არ შემცდარა შენი გული!

— ღმერთმა გიწინამძღვროს, ნათელ-დამდგარო ადამიანო. როცა შენისთანა ნასწავლ კაცში გლეხი თავის ქომაგს ხედავს, თუნდაც არა იყოს-რა, მაინც მაგარია. მარტო ის რაღა ღირს, ჩემისთანამ თავისი ჭირის გამართლება იპოვოს ნასწავლ ადამიანშია, რომელსაც ქვეყნისთვის მეცნიერის თვალით შეუხედავს, მშრომელის ბედზე დაფიქრებულა, მისთვის კეთილი კვალი გაუჭრია რუსავით სადენად.

გიტა გუთანთან მივიდა, სახვნელ-საკვეთი შეათვალიერა: ნახნავის სიღრმე გაზომა ჯიბის ადლით, მერე გუთნისდედის ადგილს დადგა. უღლებზე ჩამომჯდარ მეხრეებს ანიშნა, სახრეები გადაჰკარითო. გუთნეულმა დასძრა გუთანი. გიტამ ღრმად მოსდო მიწას სახვნელი. ჯამბარამ დაიწრიპინა, „ღვიტ! ღვიტ!“ — მისცა ხმა ღირღიტამაც. ბოლომდე გაჰყვა გიტა კვალს, შოიქცია და ისევ გამოჰყვა. მერე კვალის სისწორეს გახედა. სწორი იყო ლა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რივით, ღვიძლის წყებასავით ეწყნენ შავი ბელტები. ოხშივარი ასდიოდათ. გიტამ სილრმიდან ამოყრილი მიწა აიღო, ხელის გულზე დაიყარა, გადაჰქექა და უჩვენა იორდანეს.

— ხედავ, როგორი საბალე მიწაა?

— ვხედავ, შენი ჭირიმე.

— დასთხარე შემოდგომისთვის ორმოები, ნერგი ჩემს კისერზე იყოს.

— ღმერთმა გიშველოს.

ხნულს ჭილყვავი დასეოდა. შავ მიწას ფეხებით ქექავდნენ, ნისკარტით ჩიჩქნიდნენ. ჭუპრებით ქეიფობდნენ.

— იორდანე, შეხედე იმ თქვენ ნაგინებ ჭილ-ყვავსა. შენა ხნავ, ისინი მავნე მწერის ჭუპრსა და სხილს ჭკენკავენ... ყოველი იმათგანის ერთხელ მიწაში ჩაკრული ნისკარტი შენ ბეღელში ერთი პეშვი პურის ჩაყრის ფასად ღირს. სადაც ადამიანს ცხოვრება უხდება, იქ მტერიც ჰყავს და მოყვარეც.

იორდანეს აღარ ესმოდა მისი სიტყვები, საბოლოოდ განდობა განიზრახა. ხელი მოავლო გიტას, განზე გაიყვანა. ძეძვებთან ჩალიანი ურემი იდგა, ჩალის კონას გადასწია და საფენელებში გახვრეული ბერდანა გამოაძრო.

— ჩემი მეხრისა არის. მზადა ვართ, მზად! გაიარეი მინდორი და ყოველ ურემში ან მის მახლობელ ძეძვში ნახავ თოფს. ძვირად დაუჯდება მტერს ურჩობა და წინააღმდეგობა. ეგ არაფერი, ქართლის თავზე ბევრ უბედურებას გადაუვლია, მაგრამ იგი მაინც ცოცხლობს მარად.

გიტამ იორდანეს ბერდანა გამოართვა, საკეტი გადაუწია, გამოაღო, ბეჭზე მიიდო, გახედა კორას. მერე ძირს ჩამოიღო, მიაწოდა და ჰკითხა:

— მაშ ყველას აქვს თოფი?

— ვინც დედალი არ არის და თავზე ლეჩაქი არა ხურავს. დაბადებასავით სიკვდილისათვისაც ერთი დღე გვიწერია. დაე, დადგეს იგიც, გადაგვხდეს გადასახდელი მართალი საქმისთვის! პირბნელ მამა-პაპობას სიკვდილი ჯობია!

— თუ ჩვენში შვილთა და შვილიშვილთა წანამე თავის გამოჩენას და ზრუნვას გაუღვიძია, ჩვენ ხმას ველარავინ ჩაახშობს, ჩვენ გავიმარჯვებთ მტარვალთან ბრძოლაში, — უთხრა კვლავ გახარებულმა გიტამ და ტახტას ხელი მოავლო ცხენზე შესაჯდომად. იორდანემ ისევ შეაჩერა, გიტამაც ისევ გაუშვა ხელი ტახტას, თითქოს ერთს მოცილება ენანება, მეორეს დარჩენია.

— მაშ კიდევ მიბრძანე, ივარგებს ეს მიწა სახილედ? — შეეხვეწა იორდანე გიტას.

— უკულმა ჩარგული ნერგიც კი წალმა დატრიალდება ამ მიწაზე, წალმა ჩაგდებულს ხომ ველარაფერი დაუდგება წინ. ნაყოფით დაიხუნძება ფოთლის წვერამდე.

— აქვე მითქვამს, შემოგხვეწნივარ: მოსავალს ავიღებ, ორმოების გათხრას შეუდგები, თქვენ „დამიპლავნეთ“, ნერგიც შემირჩიეთ. თქვენი ვალი ჩემს კისერზე იყოს.

— მაცნობე და აქ გავჩნდები, თოკებსაც მოგაშველებ. მანამდე ერთი დღით მესტუმრე მამულში, ნერგის ჩაყრაზე მაყურე, — უთხრა გიტამ და გაჰქუსლა.

— ღმერთმა გაგაძლიეროს, გაცოცხლოს! ჰაი-და პავლია! კაცმა შვილი გაზარდოს, შენისთანამ დაიკვეხოს. ნაკურთხი, ცხებული ჯიშისა ყოფილხარ.

კარგა დიდი მინდვრის გავლის შემდეგ გიტამ ტყისაკენ ვიცო გუნი. ტყის პირად სარწყავი არხის მაგისტრალი მიდიოდა სოფლისკენ. გასულ წელს გიტამ არხი გააწმენდინა, გაალრმავებინა, რიყის ქვით ამოაგებინა. ახლა გადასწყვიტა შემთხვევა გამოეყენებინა და არხი თავით ბოლომდე დაეთვალიერებინა. განსაკუთრებით ის ადგილები აინტერესებდა, სადაც წყალი კალაპოტს ერეოდა, ხეთქავდა.

ტყიდან ადამიანების ხმაური შემოესმა. მამაკაცების ბოხი ხმა ცხენის ფრუტუნში და ფლოქვების თქარუნში იყო შერეული. გიტა ტყის ბილიკს გაჰყვა, მოკლედ მოსჭრა, არხს მიადგა. მეორე მხარეს ხუთიოდე კაცი შეამჩნია. ცხენები ბუჩქებზე მიებათ, წრე შეეკრათ და ვიღაცას დასცქეროდნენ ზემოდან, იგინებოდნენ, ილანძღებოდნენ, იმუქრებოდნენ. გიტამ ცხენი ასკუპა. მათ გვერდით აღმოჩნდა. იცნო მეზობელი აზნაურები, რომლებიც ხშირად უნახავს ელიზბარისას, ცოლებითურთ სადარბაზოდ მისულნი. ერთი აზნაური მიწაზე განართხული ეგდო, სულს ძლივს ითქვამდა, კვნესოდა. თავიდან სისხლი ღვარივით გადმოსდიოდა, ისიც იცნო გიტამ — უთნელოვი იყო.

— რა მოხდა, რა ამბავია? — იკითხა გიტამ.

— ღვთის რისხვა, რაღა რა ამბავია! კაცი თავის მამაპაპეულ, ერეკლეს ნაბოძებ და ნიკოლოზ პირველის დამტკიცებულ ადგილ-მამულში დასჩეხეს. ამის შემდეგ ამოწყვეტას-ღა უნდა მოველოდეთ, — იყო პასუხი.

გიტა ცხენიდან ჩამოხტა, დაჭრილს მიუახლოვდა, სწორედ ის იყო, უთნელოვი, დეკანოზს რომ მამული მიჰყიდა და დღე და ღამ პოზუა ქენქაძესას ქეიფობდა.

— მიწებში აღარ გვიშვებენ, — აკვნესდა იგი. — მომკლეს, კეფა გამიჩეხეს, მფლობელობაში მედავებიან, საკუთრებას მართმევენ. უკანასკნელმა გლეხმა დაღვარა ჩემი სისხლი, თავი ჯერაც რომ არ გამოუხსნია. ვნახოთ, არ მოვმკვდარვარ... მამი-ჩემის საფლავზე კი რა უქნიათ! არ შევარჩენ მე მაგათ ჩემ სისხლს. ერთი ათად გადვუხდი, ათასად მივუზღავ. თუ ასე არა ვქნა, კაცი არა ვყოფილვარ, თავზე ქუდი არა მხურებია. ვაი დედასა, მინდორში გავედი და უიარაღოთ წელზედა.

გიტას რატომღაც გაახსენდა რუსეთიდან, სემინარიიდან ატესტატის მიღების დღე, თავისი ნახაზები. ცხენს ქუსლი ჰკრა, შინისაკენ გაჰქუსლა. სისხლი ედგა თვალწინ.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდიონ ჟორჟია

ზღვის ლომი

„რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე!..“
ი ლ ი ა.

1

არის ერთი ძველი ქართული ზღაპარი: გველეშაპი ჩაწვა შავ ზღვაში, დრო-და-დრო ნაპირზე ამოდიოდა, ხალხს სჭამდა. დიდი ტანჯვა დაადგა ქვეყანას. ბოლოს, ხალხმა წარმოშვა გმირი. ეკვეთა გველეშაპს გმირი, გამოუფატრა მუცელი და მშობელი ქვეყანა იხსნა ტანჯვისაგან.

დღესაც გველეშაპი ჩაწოლილა შავს ზღვაში. ის ბინძური დღემარად ცდილობს ჩვენს ნაპირზე ამოსვლას, ჩვენი ხალხის შეჭმას, ჩვენი ქვეყნის დარბევას.

ქართველმა ხალხმა ბევრი გმირი გაგზავნა ფაშისტურ ურჩხულთან საბრძოლველად. ლომებივით დგანან ისინი სამშობლოს სადარაჯოზე და იცავენ ჩვენი ქვეყნის დიდებას. ასეთი ლომია სახაზო გემის მეთაურის უფროსი თანაშემწე, პირველი რანგის კაპიტანი, წითელი დროშის ორდენოსანი მიხეილ ჯინჭარაძე.

იგი გარეგნულადაც ლომსა ჰგავს. მაღალი, წარმოსადეგი, ბრგე, დინჯი მიხვრა-მოხვრით. უყურებთ და გრძნობთ დიდ, უდრეკ ძალას. არა მარტო ფიზიკურ ძალას, მორალურსაც. გამოელაპარაკებით და ვხიბლავთ მისი უბრალოება. ხოლო როცა დაუახლოვდებით, ხედავთ მრავალმხრივ განვითარებულსა და ძლიერი სამხედრო ნიჭით დაჯილდოებულ სარდალს.

მოულოდნელი ამაში არაფერია, რადგან იგი შვილია იმ ხალხისა, რომელიც შეჩვეულია ისტორიაში ფართო ნაბიჯით სიარულს. ჩვენი ხალხის ისტორია ხომ მებრძოლი ხალხის ისტორიაა. ამ ისტორიამ გამოიმუშავა ჩვენს ხალხში სამხედრო თვისებები: ვაჟკაცობა, მეგობრობის გრძნობა, სიმტკიცე, პატრიოტიზმი. მანვე გამოიმუშავა წმინდა ფიზიკური სამხედრო თვისებებიც: სისწრაფე, გამძლეობა და იარაღის მოხმარება. ამ სულიერმა და ფიზიკურმა თვისებებმა გადაარჩინეს ჩვენი ქვეყანა რომის არწივის, ირანის ლომის, არაბების მწვანე ფარჩის, მონღოლების ძუა-დროშის, თურქების ნახევარ-მთვარის, რომანოვების ორთავიანი არწივისაგან: და კვლავაც გადარჩენენ სხვა მტრების აგრესიისაგან. სამშობლოს სიყვარული ჩვენი ხალხის სისხლში ისე ბუნებრივად არის ჩაღვრილი, როგორც თვით სისხლი სხეულში. მიხეილ ჯინჭარაძეც თავისი ხალხის ამ საუკეთესო თვისებების საუკეთესო მატარებელია.

როცა სახაზო გემზე ავდიოდი, ერთი რამ მაფიქრებდა: ზღვა და ქართველი მეთაური? ზღვა მაინც და მაინც არასოდეს არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამოქმედო ასპარეზს, ზღვას ქართველი ერის ისტორიაში არასოდეს არ შეუსრულებია დიდი როლი. ისტორიული საქართველო ყალიბდებოდა როგორც ხმელეთის სახელმწიფო. ჩვენ ხალხს არ ახსოვს არც ერთი საზღვაო ომი, არც ერთი გმირი მეზღვაური. მართალია, იყო კოლხიდაში ანიკენტი. მან (70—60 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დაამარცხა რომაელები, გადაბუგა მათი ფლოტი, თავათ ააშენა ახალი და რომაელები შავი ზღვიდან გარეკა. მაგრამ ეს იყო და ეს... მართალია, კოლხიდა-ლაზიკის დროს ზღვას საკმაო ადგილი ეჭირა რომსა და ბიზანტიასთან ურთიერთობაში, მაგრამ მაინცდამაინც ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ზღვას ღრმა კვალი არ დაუმჩნევია. ჩვენს ფოლკლორშიაც მხოლოდ აქა-იქ ისმის ზღვის ყრუ ბუბუნი. არც მხატვრულ ლიტერატურაშია მაინცდამაინც ზღვის მღელვარე მკერდი ბრძოლის ასპარეზად ქცეული... არც ის შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ვეტანებოდეთ ზღვას, თუმცა მცირე მანძილი როდი გვიჭირავს ზღვის ნაპირისა. ზღვა არ არის ლმობიერი. ზღვა მოითხოვს მუდმივ შრომას, მიდგომას, დღისა და ღამის გაერთიანებას. ზღვა მკაცრია, სასტიკი. ჰო-და, როგორ გამოიყურება ქართველი მეთაური? შესძლო თუ არა მან მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებათა გამომჟღავნება? ზღვაზეც ისახელეს თავი ქართველებმა? გაუძლეს ზღვას? ხომ არ ჩამოუვარდებიან ისინი მოძმე ერთა ლომებს სამამულო ომში? აი რა მაფიქრებდა, როცა სახაზო გემის ტრაპზე ავდიოდი.

2

რომ გავიგოთ, თუ რა დიდია საერთოდ სახაზო გემი, უნდა წარმოვიდგინოთ იგი ხმელეთზე. თავისი სიგრძით იგი ქალაქის ერთ უბანს გასწვდება. სიგანით საშუალო მდინარეს გახერავს, ხოლო სიმაღლით ოთხსართულიან სახლს აღემატება — თუ ანძებისა და საბრძოლო კოშკების სიმაღლეც ვიანგარიშეთ, ორი-სამი სართულიც უნდა დავუმატოთ. სახაზო გემის ანძებისა და კოშკების წვერს რომ თვალი მიაწვდინო, თავი ისე მაღლა უნდა ასწიო — ქუდი გადაგივარდება.

სახაზო გემის აგებას, სულ ცოტა, სამი წელიწადი მაინც უნდა. იგი რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთად ჯდება—ოქროთი. მის მომსახურეობას რამდენიმე ასი ოფიცერი და მატროსი სჭირდება. სახაზო გემი მთელი მცურავი ციხე-ქალაქია. ამ ციხეზე ისეთი ქვემეხები დგას, რომელთა ლულაში ადამიანი თავისუფლად გაძვრება. ამ ქალაქში კი ყველაფერია, რაც ერთ საშუალო ქალაქს დასჭირდება. არის იქ თეატრი, კლუბი, სტამბა, რედაქცია, რადიო, მაცივარი, ელევატორი, ჩვეულებრივი და პნევმატიური ფოსტა, პურის საცხობი, სამრეცხაო, საპარიკმახერო, სამკერვალო, კოოპერატივი, საწყობები, სადაც ათასი ტონა ნავთი ინახება, — ელსადგური, რომლის ძალა დიდი ელსადგურის ძალას აღემატება. იქვე არის ყუმბარების შესანახი საწყობები, ლაზარეთი, სამანქანო, საზეინკლო... ერთის სიტყვით ყველაფერია იქ, გარდა „მმაჩისა“ (ქა-

ლის ყოფნა სამხედრო გემებზე „უბედურების“ მომასწავებლად მიიჩნიათ ზღვებსა და ოკეანეებზე ცურვის დროს). ასეთია სახაზო გემი.

აი დგას იგი ნავსადგურში. ქოთქოთით ჩაუარა მას სწრაფმა [illegible]ტერმა. თითქოს ბუზმა ჩაუფრინაო არწივს. აგერ ნალმოსანმა [illegible] ნაპირს მოსწყდა და რიხიანად ჩაუარა სახაზო გემს. თითქოს ბელურამ ჩაუფრინაო. აგერ ნავსადგურის კედელს მედიდურად მოსცილდა მრისხანე კრეისერი, ქიმზე ტალღების თეთრი ულვაშები აიგრიხა და სახაზო გემს დიდის ამბით ჩაუარა. თითქოს ბაბუას წინ ნორჩმა შვილიშვილმა გაირბინაო. და თუ ვეებერთელა კრეისერი ასე პატარად მოსჩანს სახაზო გემთან, წარმოიდგინეთ როგორი უნდა იყოს ეს გოლიათი?

სახაზო გემი დაცულია ჯავშნით, რომლის სისქეც... ერთის სიტყვით, ძალზე საიმედოა იგი.

აი, ამ გოლიათს, რკინა-ფოლადისაგან ჩამოსხმულს, ჯავშნით დაცულს, აი ამ ზღვის იალბუზს ხელმძღვანელობს ქართველი კაცი — მიხეილ ჯინჭარაძე.

მიხეილ ჯინჭარაძე გარე-კახელია, გლეხის შვილი. იგი დაიბადა 1904 წელს, სოფელ პატარძეულში. მამა მისი, ზაქარია — მეცხვარე იყო. დედა ნინო — დიასახლისი. მიხეილი ბავშვობიდანვე ფიზიკურად ლონიერი და ჯანმაგარი აღმოჩნდა. ვერც ერთი მისი ტოლი ვერ ერეოდა. ყველგან პირველობდა. არასოდეს არ დასთმობდა იმას, რასაც დაიჩემებდა. თავი ყარამანად და გიორგი საკაძედ მოჰქონდა. ყარამანისა და გიორგი საკაძის ამბები კი დედამ მოუთხრო. ქართული ოჯახის ამ შესანიშნავმა ტრადიციამ, — საგმირო-საისტორიო ეპოსზე შვილების აღზრდამ, — თავისი გავლენა იქონია პატარა მიხას ხასიათზე. ბავშვი გაიტაცა ოცნებამ გმირობაზე, ვაჟკაცობაზე, თავის გამოჩენაზე. ისტორიული ადგილებიც ხელს უწყობდნენ ვაჟკაცობაზე ოცნებას. აი მარტყოფი, სადაც სპარსელებს მუსრი გაავლო საკაძემ. აი ნორიო, საგარეჯო, სადაც მძვინვარე შაჰ-აბასმა ქართველობა აჰყარა და შორეულ ირანში გაირეკა. მდიდარი და ლამაზი გარე-კახეთი მოთხარა და მოწვა შაჰ-აბასმა, მაგრამ ქართული ფესვები მაინც ვერ ამოყარა და ქართული თესლი ვერ გაახმო. ქართველობას ღრმად გაედგა ფესვები მშობელ მიწაში და არ უთმობდა მტერს.

პატარა მიხეილი ყურს უგდებდა დედას და იმსჭვალებოდა წარსულ დროთა გმირული ტრადიციებით. ამ ტრადიციებს, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და „ვეფხვის-ტყაოსნის“ გმირებიც აღვივებდნენ.

დრო მიდიოდა, ბავშვობას ყრმობა მოჰყვა. ყრმობას—სიჭაბუკე. ეს ისეთი ხანაა, როცა ყმაწვილი ყოველ დილას დიდხანს იყურება სარკეში: ამოვიდა თუ არა ულვაში? ამ ხანაშიც მიხეილი გატაცებული იყო ჰეროიკით. ახლა ამ გატაცებამ სხვა სახე მიიღო: ის შესანიშნავი სპორტსმენი გახდა. დაეწაფა კრივს, ჭიდაობას, სროლას, ნადირობას, მთამსვლელობას, ცურვას... მაგრამ ფიზიკური კულტურით გატაცებას გონებრივი განვითარების მხარე არ დაუჩრდილავს. მიხეილი კარგად ხედავდა, რომ თანამედროვე გმირისათვის საჭირო იყო ცოდნა. და რადგან მას დიდი მიდრეკილება ჰქონდა სამხედრო საქმისადმი, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო სასწავლებელში შევიდა.

ერთმა გარემოებამაც ხელი შეუწყო ამ გადაწყვეტილებას. ეს იყო იარაღის სიყვარული და პატივისცემა. ეს მიდრეკილება მიხეილს მამისაგან გამოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამისი, ზაქარია მთელს კახეთში განთქმული მსროლელი იყო და ხანჯლის მოთამაშე.

თბილისის სამხედრო სასწავლებელში მიხეილი გულმოდგინედ ეუფლება სწავლას. იქ იგრძნო მან თავი საკუთარ სტიქიაში. აქვე, მასთან ერთად სწავლობდნენ სამამულო ომის მომავალი გმირი-გენერლები: ლესელიძე და ჩანჩიბაძე. ამ სასწავლებელში ყოფნისას მიხეილმა თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა სპორტსმენმა. იგი მონაწილე იყო მაშინდელი „კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის“ ყველა ოლიმპიადისა და ყველა შეჯიბრებიდან გამარჯვებული გამოდიოდა. ახლაც, თბილისში, დედა-მისს ნინოს დიდის სიყვარულით აქვს შენახული სპილოს ძვლით მოჭედილ კოლოფში მიხეილის პრიზები.

სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას მიხეილმა გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მთამსვლელთა ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. 1924 წელს ის ყაზბეგზე ავიდა. ძნელი იყო ეს ასვლა, მაგრამ მიხეილს სწორედ ის უყვარდა, რაც ძნელად მისაღწევი იყო. 1200 საფეხური ამოსჭრა მან ყინულზე და ყაზბეგის ჭალარა მწვერვალს მიაღწია.

თბილისის სამხედრო სასწავლებელში მიხეილმა დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოიჩინა, — ის ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში გადაიყვანეს. ამ სასწავლებელში მთელ საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ შერჩეულ და უნიჭიერესს ახალგაზრდებს იღებდნენ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მხოლოდ თითო ადგილი ჰქონდათ დათმობილი. ეს საპატიო ადგილი საქართველოდან მხოლოდ მიხეილს შეხვდა.

ლენინგრადის სასწავლებელი მიხეილმა 1929 წელს დაამთავრა. აქვე დაასრულა მან საზღვაო-საარტილერიო კურსები 1932 წელს. ამის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში დანიშნეს მონიტორ „ლენინის“ მეთაურად. ხოლო ცოტა ხნის მერე ამურის ფლოტილიის ბრიგადის მეთაურად - დაწინაურდა. ეს დიდი წარმატება იყო ახალგაზრდა მეთაურისათვის.

ამურის ფლოტილიაში მიხეილმა შვიდ წელიწადს დაჰყო. შვიდი წელი იცავდა საბჭოთა საზღვრებს იგი იაპონელებისაგან. შორეულ აღმოსავლეთში ყოფნას მიხეილისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველად იქ მიიღო მან დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. მართალია მას იაპონელებთან ბრძოლა არა ჰქონია, — რასაც მწუხარებით იგონებს, — სამაგიეროდ მას ბრძოლა მოუხდა ამურელ ვეფხვებთან. მიხეილი ხშირად დადიოდა ამურის ჯუნგლებში სანადიროდ. ერთხელ პირისპირ შეეფეთა ვეფხვს. ცნობილია, რომ ამურელი და სუნგარელი ვეფხვები კაციჭამიები არიან. მიხეილი არ დაიბნა. რამდენიმე ტყვია ზედიზედ დაახალა ვეფხვს. დაჭრილმა ვეფხვმა საზარლად დაიღრიალა და ეცა მონადირეს. მაგრამ ნახტომი შეეშალა: მარჯვე ტყვიამ ტვინში გაუარა, მეორემ ფეხში და ამურელმა ვეფხვმა ზღართანი მოადინა ქართველი ლომის ფეხებთან. ამურის ჯუნგლებში მიხეილს ორი ვეფხვი ჰყავს მოკლული...

შემდეგ მიხეილი ბალტიის ფლოტში გადაიყვანეს სახაზო გემის კოშკის მეთაურად. ამ ადგილზე ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ პირდაპირ შავ ზღვაზე სახაზო გემის „სევასტოპოლის“ მეთაურის უფროს თანაშემწედ დანიშნეს. ეს 1939 წელს მოხდა და მას შემდეგ იგი უცვლელად ამ გემზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

სამამულო ომმა მიხეილ ჯინჭარაძეს სახაზო გემზე მოუსწრო. გერმანელები საგანგებო საავიაციო ესკადრილიებს გზავნიდნენ სახაზო გემის დასალუპავად. მათ იცოდნენ, რომ ჩვენი შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ბურჯი ეს გემი იყო. გერმანელებმა რამდენიმე თავდასხმა მოაწყეს სახაზო გემზე, მაგრამ ვერა დააკლეს-რა. ჰებელსმა ორჯერ დაღუპულადაც კი გამოაცხადა. ხოლო გემი ისევ ისე დაცურავდა ჰებელსის გულის გასახეთქად.

ერთხელ გერმანელებმა დრო იხელთეს და თერთმეტ-ბალიან ფრთონის დროს დაესხნენ გემს. ეს იყო 1941 წლის ოქტომბრის 30-ს. ფრთონა იმდენად ძლიერი იყო, რომ გემი ბაზაში ვერ შევიდოდა, ის რეიდზე დადგა. ფრთონამ გემს ორი ღუზა მოსწყვიტა. თითო ღუზა კი 600 ფუთს იწონის. ტალღის ხეთქება მძლავრი იყო. გემი გმირულად ებრძოდა სტიქიონს და თავს იცავდა მთისოდენა ტალღებისაგან. უცებ ცაში მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ. მიხეილმა მათ სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ზღვა ღმუოდა, გრგვინავდა, ცა ჰქუხდა, სჭექდა. სახაზო გემი კი თან ღმუოდა და გრგვინავდა, თან ჰქუხდა და ჭექდა. დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა, მაგრამ მიხეილმა თავისი საყვარელი გემი არც სტიქიონს დაუთმო და არც გერმანელებს. იგი ლომივით იდგა თავის საკომანდო ადგილზე და მართავდა გემს. ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მიხეილმა სამი თვითმფრინავი ჩამოაგდო, ოთხი დააზიანა, ხოლო დანარჩენები გააქცია. ფრთონამ სამი მამაცი მატროსი შეიწირა. ისინი გადაიტანა ტალღამ და ზღვის სიღრმეში ჩასძირა.

4

შავ ზღვაზე სახაზო გემს შესაფერი მოწინააღმდეგე არა ჰყავს. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სისტემაში სახაზო გემი დიდი მნიშვნელობის ფაქტორია, ამიტომ მას მცირე მიზნებზე არ უშვებენ, გემი ერთ-ერთ ბაზაში დააყენეს. მიხეილსა და ეკიპაჟს კი გული იქითკენ უწევდათ, სადაც ქვემეხები გუგუნებდნენ და ომის გრიგალი ბობოქრობდა. ამ დაძაბულ ბოლოდინში ხუთმა თვემ განვლო. ბოლოს სანატრელმა საათმაც დაჰკრა. ვისაც ფრონტის ფსიქოლოგია გამოუცდია, დამეთანხმება, რომ ძნელია ხუთ თვეს ყუმბარების ქუხილში იყო და უმოძრაოდ იდგე.

1941 წლის ნოემბრის 20-ს გემზე ჩვეულებრივი მყუდროება იყო. სათვალთვალო კოშკიდან ცას უყურებდნენ — მტერი ხომ არ მოფრინავსო. კვლავ ზღვას გაჰყურებდნენ — ზღვის ფსკერიდან დუშმანი ხომ არ მოიპარებაო. იმქამად არც ციდან, არც ზღვიდან საშიშროება არა სჩანდა. გემიც ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდა. ზოგი კლუბში გაზეთს კითხულობდა, ზოგი წერილს სწერდა, ზოგი გარმონს უკრავდა, ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგიც ხმელეთზე შვებულებაში წასასვლელად ემზადებოდა. მეზღვაურები ყოველთვის დიდის ამბით ემზადებიან ხმელეთზე წასასვლელად.

უცებ გოლიათ გემს ერუანტელივით დაუარა ცნობამ:

— საბრძოლო განგაში!..

ყველა ანძაზე საბრძოლო დროშა აფრიალდა,—ეს დაუვიწყარი საზეიმო წუთებია გემის ცხოვრებაში. გემზე რამდენიმე ანძაა და ყველა ანძაზე ფარფატით მიჰქრიან ზევით პატარა დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუყოვნებლივ ამუშავდა პნევმატიური ფოსტა: მის მილებში მიჰქრი-ჰქრიან განკარგულებები. მეთვალყურეებმა ახლა ასი თვალი უნდა გამოისხან, ასი ყური უნდა გამოიბან.

ეცნენ ქვემეხებს. ისე შემოეხვივნენ, როგორც ძმას. ახლა განსაკუთრებულის იმედითა და სიყვარულით ათვალიერებენ მას. ახლა ამ ფოლადის ძმებზეა ადამიანებისა და გემის სიცოცხლე დამოკიდებული.

აგრუხუნდნენ ტურბინები და ელსადგურები. საბრძოლო კოშკებში წამსვე გაჩნდნენ მეთაურები, მატროსები.

ეს ვეებერთელა ციხე-ქალაქი წამსვე აღრინდა, ფაფარი აიყარა.

ზღვაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საომარ მომზადებას. ზღვამ არ იცის ლმობიერება. მცირე შეცდომასაც კი არ აპატიებს მეზღვაურს. ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად უნდა იყო. წავიდა ის დრო, როცა გემი გემს ებრძოდა. ახლა მტერი ქორივით ჩამოუქროლებს ღრუბლებიდან, ან ზღვის ღორივით ამოძვრება ტალღებიდან. მტერი ახლა სამი მიმართულებით მოდის და ბრძოლის პირობები გართულებულია.

გემის სარდლობამ ბრძანება მიიღო:

— გერმანელები აწვებიან ჩვენს ჯარებს ბაიდარის სიმაღლეზე. საჭიროა გერმანელებზე თავდასხმა და ჩვენი ჯარებისათვის გზის გახსნა იალტისაკენ...

ბრძანებას რომ გაეცვნენ, მეთაურებმა და მატროსებმა ერთმანეთს მიუსლოცეს. ეს იყო პირველ დიდ საბრძოლო ოპერაციაზე გასვლა. ეკიპაჟს აუსრულდა სურვილი: მათი საამაყო გემი მთელი თავისი დინჯი მრისხანებით ამხედრდა მტრის წინააღმდეგ.

— მცირე სვლა, წინ! — გაისმა ბრძანება საბრძოლო ხიდიდან და მრისხანე გოლიათი ნელი სვლით გავიდა ნავსადგურიდან.

მიხეილ ჯინჭარაძე საბრძოლო კოშკში იდგა და ზღვას გაჰყურებდა. ამინდი ცუდი იყო. მართალია, ღელვა არ იყო დიდი, მაგრამ უბერავდა ძლიერი ზენაქარი, ზენაქარს კი არ შეუძლიან ძლიერი ღელვის გამოწვევა. ზენაქარი მხოლოდ ტრაბახობდა გემბანზე: აქ დროშას ეცემოდა, იქ ანძას ეკვეთებოდა, ხან მატროსს შეუძვრებოდა ფეხებში და სანამ არ შეაგინებდნენ, არ მოშორდებოდა.

— სრული სვლა, წინ! — გასცა განკარგულება მიხეილმა ტელეფონში.

ზღვის გოლიათმა ღონივრად დაიქშინა, გასჭრა ტალღები და უკან თეთრად აშხეფებული კვალი დასტოვა. თითქოს ზღვის დედოფალს ზღაპრული ფესვედი გაუშლიაო.

მიდის გემი ჩრდილოეთისაკენ და შორს რჩება საქართველო. მაგრამ ვანა შორს არის საქართველო? განა საქართველოს ქარები იქ არა ჰკიდია, ყირიმის ანჯამაზე? განა მარტო საქართველოს იცავს მიხეილ ჯინჭარაძე? ოქტომბრის რევოლუციამ ძალუმად გასწია მისი სამშობლოს არე. ახლა სამშობლო შავი ზღვიდან ჩრდილოეთის ოკეანემდე და ბალტიის ზღვიდან დიდ ოკეანემდე არის გადაჭიმული. საქართველომ ძუძუ აწოვა მიხეილს, აკვანი დაურწია. ხოლო მიხეილი დაავაჟკაცა, სარდლის ცოდნით აღჭურვა და მას სახაზო გემი მიანდო იმ დიდმა სამშობლომ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება. ახლა უნდა დაუმტკიცოს მიხეილმა საბჭოთა კავშირს, რომ სახაზო გემი საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედო ხელშია. ახლა უნდა დაუმტკიცოს მიხეილმა საქართველოს, რომ მისი შვილი ასახელებს მას.

ღამეა. ზენაქარი რა ხანია დაიღალა და თავი ანება გემს. ბინდში ზღვას სხვა ქარი ჰქრის. ზღვაზე თოვს და ფრთონაა. ზვირთები მაგრა ეხეთქებიან კედლებს. მაგრამ ზღვის გოლიათი თამამად მიარღვევს ზვირთებს და მიეშურება ბაიდარისაკენ. საცაა ყირიმის მწვანე ნაპირებიც გამოჩნდებიან. მეთაურს მოსდის დაშიფრული დეპეშა: რომელ განივზე, რომელ სექტორზე, რომელ უბანზე დგას მტერი, გემი ანელებს სვლას. დგება საბრძოლო დისტანციაზე. სინათლე ჩამქრალია. დროშები მეთოლიას ფრთებივით ფარფატებენ ქარზე და თითქოს აქეზებენ მეზღვაურებს:

— ჩქარა! ჩქარა!

— მოემზადენით! ცეცხლი! — გაისმა მიხეილის ბრძანება და რეიდზე დამდგარი გემის ქვემეხებისაგან სიკვდილის ელვა გაექანა მტრისაკენ.

დიდხანს არ დაავიწყდებათ გერმანელთა ურდოებს ის საშინელი ღამე. მრავალმა ათასმა ფრიცმა ჰპოვა იმ ღამეს ბნელი სამარე იქ, სადაც მიწაწყლის საპოვნელად მოვიდა. სვასტიკიანი მხეცების გამომზრდელმა, მრავალმა ათასმა გერმანელმა ქალმა ჩაიცვა მეორე დღეს შავები.

ამ ვაჟკაცური ღამის შესახებ ერთს თავის წერილში ასე მწერს ამხ. მიხეილი:

„.... მე მქონდა სიამაყე ქართველისა, რათა მეც ჩემი ხალხის წინაშე ალალი ვალი მომეხადა და მტერი გავეტეხ...“

რადგან „მშვენიერი“ ამინდი იყო, სახაზო გემი დიდხანს უშენდა ბაიდარს. ბურუსი, საშინელი ზვირთები, ქარიშხალი და თოვლი მშვენიერ ამინდად ითვლება სახაზო გემისათვის, რადგან ასეთ ამინდში ვერც ყუმბარმშენი, ვერც წყალქვეშა ნავი, ვერც სატორპედო კატერი ვერ იმოქმედებს. გემმა ბრწყინვალედ შეასრულა ოპერაცია.

წითელი არმიის სარდლობამ ხმელეთიდან დიდი მადლობა გამოუცხადა რადიოთი გემის სარდლობას ძმური დახმარებისათვის.

გამარჯვებულ გოლიათს ზეიმითა და პატივით დახვდნენ უკან დაბრუნებას. მიხეილ ჯინჭარაძე ალალი გულით შემოვიდა საქართველოში.

5

სახაზო გემი ნოვოროსისკს იცავდა. ქვემეხების გრიალისაგან ყურთასმენა იყო წაღებული, მტერი ისეთი გაშმაგებით უშენდა ჩვენს ესკადრას, რომ გემების გარშემო ზღვა ადუღებულ ქვაბსა გავდა. სახაზო გემი ნავსადგურში იდგა და ნაპირს უშენდა. ნათელი დღე იდგა და კარგად მოსჩანდა ნაპირიც, ზღვაც, ქალაქიც. მტერმა ნაპირიდან რომ ვერა დააკლო რა გემს, ციდან შეუტია. წამოვიდა ორი ტალღა თვითმფრინავებისა. მიხეილი გადამღობი ცეცხლით შეხვდა სვასტიკიან სვავებს და არც ერთს არ მისცა მოახლოების საშუალება. ამავე დროს მტრის სანაპირო ბატარეებმა ყუმბარები სწორედ სახაზო გემს დაუშინეს. იცოდა მტერმა, თუ სახაზო გემს მწყობრიდან გამოიყვანდა, შავი ზღვის ნაპირებს დაიპყრობდა და ადვილი იქნებოდა გერმანიიდან მიღებულ დავალებათა შესრულება. დავალება კი ჩვეულებრი-

ვი იყო: ფრიცებს ჯიბეში ედოთ დედისა, ცოლისა, დისა თუ საყვარლისაგან მიღებული წერილები — გამოგვიგზავნეთ ქურქი, ტუფლები, ქონი, კარაქი...

სახაზო გემი თითქოს უშიშარ ადგილას იდგა და ეკიპაჟი იმედიანად ბრძოლობდა ბრძოლას. უცებ მიხეილმა განკარგულება გასცა, რომ გემი ადგილი გამოეცვალა. ეს ისეთი მოულოდნელი განკარგულება იყო, რომ ყველას გაუკვირდა. სარდლის ნიჭის ღირსება ისიც არის, რომ ხელქვეითებს უნდა სჯეროდეთ განკარგულების დროულობა და აუცილებლობა. გემი დაცულია, მაშ რატომ იცვლის იგი ადგილს?

გემი ახალ საბრძოლო პოზიციაზე დადგა. ცოტაც და იქ, სადაც გემი იდგა, ისეთი სიძლიერის ყუმბარები დააყარა მტერმა, რომ ზღვა ანთებული მაშხალასავით ავარდა ჰაერში. ასე იხსნა ჩვენი უდიდესი გემი სარდლის ნიჭმა.

ეს საინტერესო ეპიზოდი ასე ამიხსნა მიხეილმა.

— მტერი მეთოდურად ბომბავდა ნავსადგურს. მე ვიფიქრე, თუ მტრის შტაბში ჭკვიანი სარდალი ზის, მაგ სექტორსაც უნდა დასცხოს, სადაც მე ვდგევარ. საქმე მხოლოდ ის არის, როდის დასცხებს. ჩემი ანგარიში სწორი გამოდგა: მტერმა მართლა იმ ადგილს დაუშინა, სადაც მე ვიდექი.

— ჰო, მაგრამ დროს შერჩევა? ამას ხომ შეგრძნობა უნდა? ის რომ არავითარ წიგნში არ ისწავლება? — ვკითხე მე, — ცოდნის გარდა, აქ საჭიროა სხვა რაღაცა.

მიხეილმა მარჯვენა თვალი მოჭუტა (ასე იცის) და ღიმილით მომიგო:

— ეგ მართლაც, არსად მისწავლია. აქ მართლა სხვა რაღაცაა, არ ვიცი რა... ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ ეს „სხვა რაღაცა". (რასაკვირველია მიხეილმაც იცის...) კლაუზევიცი ამბობს, — ომი შემთხვევითობის სფეროა. ამ სფეროში, რომ გაიმარჯვო, ორი რამაა საჭირო: ჭკუა და ვაჟკაცობა. ჭკუა გაგინათებს თავისი შინაგანი სინათლის ციმციმით ნამდვილ მდგომარეობას. ვაჟკაცობა გაგაბედვინებს, მიჰყვე ამ მოციმციმე სინათლეს. პირველს ეწოდება ინტუიცია, მეორეს გამბედაობა. ორივეს ერთად კი სამხედრო ნიჭი...

6

სევასტოპოლის დაცვისათვის გააფთრებული ბრძოლა იყო. მტერმა მაღლობები იგდო ხელთ და გათამამებულს მეორე იერიში მიჰქონდა ქალაქზე. ქალაქი გმირულად ებრძოდა მტერს. სახაზო გემი ქალაქს იცავდა. საველე ლაზარეთში დაჭრილები იწვნენ, მათ შორის ბევრი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი. დაჭრილები შველას ელოდნენ, მტერი უკვე მაღლობიდან ჩამოვიდა და გარეუბანში შეიჭრა. ხმელეთზე გამოიანგარიშეს, რომ დაჭრილების გამოსაყვანად საჭიროა მთელი დღე და ღამე.

საჩქაროდ აცნობეს მიხეილს. მიხეილი ჩაფიქრდა. გემს ამდენი მოცდა არ შეეძლო. მას სხვა დავალება ჰქონდა და მეორე დღემდე ვერ დარჩებოდა სევასტოპოლში. ვერც დაჭრილების გადმოყვანას მოასწრებდნენ. მაშ დავუტოვოთ მტერს ჩვენი დაჭრილები? რამდენი დედა, მამა, ცოლი, შვილი, დაძმა, მეგობარი ელოდა შინ ამ დაჭრილებს? რამდენი გული შფოთავდა ახლა იქ, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში. თვითონ მიხეილსაც ხომ ელის იქ, თბილისში, თავისი ოჯახი? და განა მარტო თბილისშია მისი ოჯახი? მამა ზაქარია და დედა ნინო თბილისში არიან. მაგრამ და მარგო, ფინელებთან მებრძოლი, ყოჩაღი ქალიშვილი, მედიცინის მაიორი, ახლა ლენინგ-

რადის გარეუბანში ებრძვის გერმანელებს. მეორე და თამარი, რკინიგზის ინჟინერი, ვინ იცის, ახლა რომელ ქალაქშია, მაგრამ ფიქრობს-კი, თავის საყვარელ ძმაზე, მიხეილზე. ამრიგად გაიბა გულის ძაფები, სევასტოპოლიდან ვიდრე თბილისამდე, თბილისიდან ვიდრე ლენინგრადამდე, ლენინგრადიდან ვიდრე იმ უცნობ ქალაქამდე, სადაც თამარი თან მუშაობს, თან ძმაზე ფიქრობს. ირგვლივ კვლავ ქვემეხების ჭექა-ქუხილია, მაგრამ გულის ძაფების სინაზეს ვერაფერი სძლევს. გულის ძაფებით მთელი საბჭოთა ქვეყანა გადახლართულა ერთმანეთთან და სევასტოპოლში მიყენებული ჭრილობა თბილისსა და ლენინგრადში აჩენს ტკივილს. საველე ლაზარეთში დარჩენილი დაჭრილები ის ძმები არიან, რომელთაც უნდა უშველოს მიხეილმა. მან გადასწყვიტა მათი შველა და პირადად იკისრა დაჭრილების ევაკუაცია.

ეს გმირული საქმე მან ასე მოაგვარა: წინასწარ განსაზღვრა, სად რამდენი დაჭრილი უნდა მოთავსდეს. საიდან, რომელი გზით უნდა ამოიყვანოს ისინი გემზე.—გამოჰყო 200 კაცი დაჭრილთა გადმოსაყვანად, მიუჩინა მეთაურები, გამოიწვია მედიცინის პერსონალი და გამოაცხადა:

— დაიყავით ჯგუფებად: ლაზარეთებიდან გემამდე მანძილი დაიყოს სექტორებად. ყოველი ჯგუფი მუშაობს თავის სექტორზე. ეწყობა უწყვეტი გადაცემა დაჭრილებისა: კონვეიერი. მსუბუქად დაჭრილები თვითონ ამოვლენ გემზე. არც ერთი წუთი უსაქმოდ. არც ერთი მტკაველი გემმისადგომიდან გემამდე არ იქნება „მკვდარ არედ". ყოველი მტკაველი მისადგომებისა და თავათ გემისა უნდა მუშაობდეს დაჭრილებისათვის... გახსოვდეთ: ადამიანს ამარცხებს მხოლოდ „მკვდარი არე".

და სანამ დაჭრილების გადაყვანა გრძელდებოდა, მიხეილი არ ჩამოსულა საბრძოლო ხიდიდან. თან ბრძოლას ხელმძღვანელობდა, თან ამ უნახავ ევაკუაციას.

მართლაც, ასეთი წესი ევაკუაციისა ახალი და საჩვენებელი გამოდგა. შემდეგში ქ. კიროვში შემდგარ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სანმუშაკთა შეკრებაზე სახაზო გემის უფროსმა ექიმმა მოხსენება წაიკითხა ამ ევაკუაციაზე და შეკრებამ იგი საჩვენებელ-სანიმუშო ევაკუაციად მიიჩნია...

მიხეილმა გაიმარჯვა. დაჭრილთა ევაკუაცია იმავ საბრძოლო ოპერაციას უდრიდა.

დილით, როცა ბინძური გველეშაპი ხახას აღებდა ჩვენი დაჭრილი გმირების ჩასაყლაპად, ქართველი ლომის მიხეილ ჯინჭარაძის გემი ამაყად მიარღვევდა ტალღებს საქართველოსაკენ. რამდენი დედა დალოცავს მიხეილს. მართალია იმ დედებს ვერასოდეს ვერა ნახავს მიხეილი, მაგრამ საკუთარი დედა ხომ დალოცავს, მათ მაგივრად ხომ გაახსენებს პატარძეულში ნათქვამს:

— თუ გინდა გაიმარჯვო, მტერს არასოდეს არ დაუთმო!..

7

ომი არ უნდა წარმოვიდგინოთ გამუდმებულ სროლად და სისხლის ღვრად. არის გემის ცხოვრებაში ისეთი დღეებიც, როცა სისხლი არ იღვრება, მაგრამ ნაკლები დაძაბულობით როდი ცხოვრობს ეკიპაჟი. ასეთი დღეები დაუდგა გემს, როცა მას ბრძოლის შედეგად შეკეთება დასჭირდა. დიდი შეკეთება. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ რემონტს 6 ან 8 თვე სჭირდებოდა. მაგრამ

განა შეიძლებოდა 6 ან 8 თვე ეცადა გემს, როცა მტერი წინ მოწევდა მშობლიურ მიწაზე? ხომ დაღებული ჰქონდა გველეშაპს ხახა გმირების სისხლის შესახვრეპავად? საჭირო იყო სისწრაფე, სისწრაფე გემის შესაკეთებლად.

ზღვამ იცის წრფელი დაძმობილება. ხმელეთზე არ არის ისეთი სიახლოვე, როგორც ზღვაზე, მეზღვაურებში. ზღვა უფრო საშიშია, მოითხოვს მეტ შემჭიდროებას, ერთმანეთის გატანას, ნდობას და გულისათვის გულის მიცემას. მეზღვაური მეზღვაურის ძმაა მუდამ და ყველგან. მაგრამ ზღვა მარტო ადამიანებს როდი აახლოვებს ერთმანეთთან. ზღვა გემსაც უახლოებს მეზღვაურებს. წარმოუდგენელია ქვეით მებრძოლს ისე უყვარდეს ყაზარმა, როგორც მეზღვაურს თავისი გემი. გემის ეკიპაჟი იდეური შრომით და ზღვის მიმზიდველი საშიშროებით შეკრული კოლექტივია. ეს ითქმის საერთოდ ყველა სამხედრო გემზე. მაგრამ სახაზო გემზე ეს განსაკუთრებით ითქმის, რადგან ამ გემის ეკიპაჟს ბევრი რამ აქვს საამაყო. სახაზო გემი მარტო საბრძოლო გემი როდია, — იგი პოლიტიკური ფაქტორიც არის საბჭოთა კავშირისათვის. ბოლოს ისიც, რომ იცის გემის ეკიპაჟმა, თუ რა იმედებს ამყარებს ამ გემზე მთელი საბჭოთა კავშირი.

ასეთი გემის სარდლობას სრულიად არ გასჭირვებია შეკეთების დაჩქარებისათვის საგანგებო ზომების მიღება. მთელი ეკიპაჟი, როგორც ერთი კაცი, გრძნობდა შეკეთების ვადის შემოკლების აუცილებლობას. მოხდა არაჩვეულებრივი ამბავი: რვა თვის ნაცვლად თხუთმეტ დღეს შეაკეთეს საყვარელი და მშობლიური გემი.

სახაზო გემის საბრძოლო კოშკთან გემის დათვალიერების შემდეგ ამხ. მიხეილმა ეს საოცარი მოვლენა ასე ამიხსნა:

— ვმუშაობდით 18 საათს დღე-ღამეში. კი არ ვმუშაობდით — ვიბრძოდით. ჩვეულებრივ ასეთ სამუშაოს ასრულებენ დოკში. დოკი არა გვქონდა და... სამუშაოს ვასრულებდით შიგ წყალში... მყვინთავები ჩადიოდნენ წყალში და წყალში სჭედნენ, სჭრიდნენ, რჩილავდნენ. ყველას უნდოდა მოწინავე ყოფილიყო საყვარელი გემის შეკეთებაში. მართლაც, არაჩვეულებრივი იყო თავდადება. მაგრამ პირველობა მაინც მეოთხე კოშკმა დაინარჩუნა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი კოსტრიკოვი მეთაურობდა. გემის გაზეთი „სამშობლოს სადარაჯოზე“ აქეზებდა მებრძოლებს. იგი სწერდა:

„თუ გინდა შესწირო ფრონტს მთელი ძალები.
ავსწიოთ ხარისხი, ვამციროთ ვადები.
გმირობა რემონტში, გმირობა შრომაში
იგივე ნაღმია ფრიცებთან ბრძოლაში...“

ამ შესანიშნავი საბრძოლო ოპერაციისათვის (ეს იყო ნამდვილი საბრძოლო ოპერაცია) მთავრობამ რამდენიმე ათეული მებრძოლი დააჯილდოვა.

ასეთია გემის გმირული კოლექტივი და სარდლობა. ეს უდიდესი შეკეთება ნამდვილი საბრძოლო ოპერაცია იყო, და ამხ. მიხეილმა ღირსეულად და სახელოვნად შეასრულა იგი.

8

მიხეილის უშუალო მეთაურმა, პირველი რანგის კაპიტანმა იური კონსტანტინეს-ძე ზინოვიევმა ასე დამახასიათა იგი:

— ამხ. ჯინჭარაძე ერთ-ერთი საუკეთესო მეზღვაურია შავი ზღვის სამხედრო ფლოტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ვიცე-ადმირალმა ბასისტიმ, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სთქვა:

— ამბ. ჯინჭარაძეს ბრწყინვალე მომავალი აქვს.

მე მწამს მიხეილის ბრწყინვალე მომავალი. ამისი თავდებია ის, რომ შედარებით ახალგაზრდა იგი უდიდესი სამხედრო გემის, სახაზო გემის, მეთაურის უფროსი თანაშემწეა. მიხეილის ხელქვეითები ამაყობენ მისი სახელით.

— ჩვენ ჯინჭარაძესთან ვიბრძვით, — ამაყად ამბობენ ისინი.

ისინი კი ოდესისა და სევასტოპოლის დამცველები არიან, ზოგი მათგანის ტანზე უფრო მეტი ჭრილობაა, ვიდრე ზურგს უკან განვლილი წლები ცხოვრებისა. მათ სწამთ მიხეილის ნიჭი და ენდობიან მას. ორი კვირა დავყავი სახაზო გემზე და ხშირად გამიგონია ასეთი დახასიათება მიხეილისა.

— ასე ჰყავს ხელში მთელი გემი, აი იმასთან არ დაიკარგები. — და შეჰკრავდნენ მუშტს...

ეს შეფასება ერთსულოვანია როგორც ქართველებში, ისე რუსებსა და უკრაინელებში. ქართველობა ერთი წვეთია გემზე: სულ რამდენიმე ათეული კაცი. ესენი რჩეული ვაჟკაცები არიან, ვეფხვები, რომლებიც ღირსეულად შემოხვევიან გარს თავისს სარდალს, თავის ზღვის ლომს და ცდილობენ არ შეარცხვინონ ქართველი ხალხის სახელი...

უყურებთ ამ ლომს, მიხეილ ჯინჭარაძეს და გჯერათ, რომ ჩვენი ბედის ვარსკვლავი საიმედო ხელშია.

აი რა ლომები ებრძვიან ფაშისტურ გველეშაპს!

ამ ლომებმა უკვე ჩასცეს სასიკვდილო ლახვარი გერმანელ გველეშაპს, რომელიც შავს ზღვაში ჩაწვა და ღღემარად ცდილობდა ჩვენს ნაპირზე ამოსვლას, ჩვენი ხალხის შეჭმას, ჩვენი ქვეყნის აწიოკებას.

ჩვენს თვალწინ მართლდება ქართული ზღაპარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

ეროს კოღმეურნეები

მგზავრის დღიურიდან

3 აგვისტო, 1943 წ.

საღამოს ექვს საათზე ჩამოვედი სოფელ გუდანელებში. აი აგერ კოლექტივის თავმჯდომარის სახლიც.

თავმჯდომარე შინ არ არის, ტყეშია წასული. ცოლი, ოდნავ შეჭაღარებული, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანიანი ქალი, აივანზე სარეცხით არის გართული. ჩემი თანამგზავრი აცნობს ჩემს თავს, მოკლედ უხსნის ჩემი მისვლის მიზანს, სთხოვს, გადასცეს ქმარს, რომ მან საშუალება მომცეს გავეცნო ადგილობრივი კოლექტივის ცხოვრებას და მუშაობას.

ჩემი თანამგზავრი თიანეთისაკენ განაგრძობს გზას. მე ვრჩები მარტო.

თავმჯდომარის ცოლი სარეცხს უბრუნდება. მთხოვს, დავჯდე აივანზე.

აივანი ფართოა, მოაჯირი არა აქვს. ტახტი დგას, ძველი ფარდაგი აფარია. ფანჯარასთან მიყუდებულია დაშლილი რკინის-ბადიანი საწოლი და წითელი ლენტებით მოკაზმული, ხავერდის საჯდომიანი ველოსიპედი.

ვჯდები ტახტზე. ვიცქირები აივნიდან. პეიზაჟი უცხო არ არის ჩემთვის, ზემო იმერეთში გაზრდილი კაცისათვის. ფართო ველი, შემოზღუდული დაბალი ტყიანი მთებით. აი ეს პირდაპირ საბადურის მთაა, რომელიც ამ ნახევარი საათის წინათ გადმოვიარეთ მანქანით.

დიასახლისი განაგრძობს რეცხვას. მინდა მასთან საუბრის დაწყება და ვაძლევ პირველსავე კითხვას, რომელიც თავში მომდის.

მასპინძელს თურმე სამი შვილი ჰყავს, უფროსი 16 წლისაა, სწავლობს თბილისში.

შემდეგ ვეკითხები, როგორი ამინდებია ერწოში.

— წელს ძალიან გრილა, არც კი ვაგვიგია ზაფხული, — მიპასუხებს დიასახლისი.

ამაზე წყდება ჩვენი საუბარი.

თვალს ვავლებ სიმინდის ყანებს, ტყიან მთას, ეზოს, რომელიც ბალახით და ეკლით არის დაფარული. შორიდან ისმის მანქანის ხმა, ამ სოფელს ახლოს ჩაუდის თიანეთის გზა, მოძრაობა ხშირია.

ფიქრებში გართული ვერც-კი ვამჩნევ, როგორ მოვიდა შუატანის შავგვრემანი, ცისფერ-თვალება კაცი. პიჯაკი აცვია და ყვითელ ჩექმებში ჩატანებული შარვალი. მოდის და მეცნობა. აი თურმე ეს არის ილიკო ჭინჭარაული, გუდანელების კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან უკვე იცის ჩემი მოსვლის ამბავი. გზაზე მოანგარიშე შეხვედრია და იმას უთქვამს. სახის იერით ილიკო ნამდვილი ხევსურია. ცხადად მყავს წარმოდგენილი ხევსურულ ტანსაცმელში.

ვეკითხები კოლმეურნეობის ავან-ჩავანს.

გუდანელებმა პირველად დააარსეს კომუნა, 1929 წელს. კომუნამ 1934 წლამდე გასტანა. შემდეგ იგი გადაკეთდა კოლმეურნეობად. გუდანელების კოლმეურნეობა აერთიანებს რამდენიმე სოფელს: გუდანელებს, ღულელებს, ტოლათ-სოფელს, თრანს და სხვ., შესდგება 225 კომლისაგან. თივა უკვე მოუთიბავთ, პური ერთ კვირაში იქნება მზად და შეუდგებიან მკას.

ილიკო, ს. თრანს ზემოთ რომ ხატის ტყეა, იქ ყოფილა მთელ დღეს და საბძლისათვის მუხები მოუჭრია. ხატის ტყე წმინდა ადგილად ითვლებოდა ხევსურებისათვის, მას აქნამდე არავინ ეკარებოდა, მაგრამ საბძლის გაკეთება აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა, ილიკო არ შეეპუა სარწმუნოებრივ მოკრძალებას და ტრადიციას.

ვიცქირები ეზოს გადალმა — უზარმაზარი ხეები ჰყრია გზის პირას.

ილიკო ბოდიშს იხდის ჩემთან და სადღაც საქმეზე მიდის.

ეზოში ჭრელი ნაგაზი დადის, ჯაბო ჰქვიან. საქმე არაფერი აქვს. მოწყენილი დააბოტებს ეზოში. ხანდახან გზის პირას გადის და გამვლელთ ულრენს.

— ჯაბო! ვეძახი. მრდის და ძალიან ლოიალურად მიქნევს კუდს. პაპიროსის ნამწვს ვაგდებ. ძაღლი პირს აღებს, უნდა დაიჭიროს, მაგრამ სანამ დაიჭერდეს, ხვდება, რომ ეს პურის ნატეხი არ არის. ძალიან მელანქოლიურად მიცქერის ერთხანს, მერე იმედგაცრუებული ბრუნდება უკან და წვება ჭიშკართან.

საღამოს გვიან ბრუნდება ილიკო. ძალზე დაღლილია მთელი დღის ნამუშავარი. პიჯაკს იხდის, სახელოებს იკარწახებს და ხელპირს იბანს.

დიასახლისი სამზარეულოში საქმობს, ვახშმის თადარიგს ეწევა. აივანზე ყმაწვილები არიან. ერთი მათგანი შუათანა შვილია ილიკოსი. თოთხმეტი წლისაა, სახელად მარლენი ჰქვიან. მეორე—სტუმარია, დევი დუმბაძე, თექვსმეტი წლისა. ის ერთი თვით არის მოსული გეოდეზიის პრაქტიკაზე. მიწისმზომელს ეხმარება დახნული ფართობების ზომვაში. ყმაწვილები ვარჯიშობენ რგოლებზე. შემდეგ გულმოდგინედ უსინჯავენ ველოსიპედს დინამოთი ასანთებ ფარანს. ველოსიპედი მარლენის ყოფილა.

ილიკო ოთახში შემოდის. ეს ოთახი სასტუმროა. აქ ორი სუფთად გაწკობილი ნიკელის საწოლი დგას. არის ბუფეტის, ტანისამოსის და წიგნის კარადებიც. კედელთან მიდგმულია საწერი მაგიდა. კუთხეში მარმარილოს ბირსაბანია. კედელზე ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას დიდი პორტრეტებია გაკრული. პატარა მაგიდაზე სურათებია ჩარჩოში. ერთი მათგანი თვით ილიკოსია, მეორეზე კარგად შეკაზმული თეთრი ცხენია ასახული, მესამეზე—ქალი და კაცი, ეტყობა, ცოლ-ქმარი, ოჯახის მახლობელი ნათესავები.

ილიკო მაგიდასთან ჯდება.

— დევი!—ეძახის ის უფროს ყმაწვილს, მაგრამ დევი ამ დროს ეზოშია გასული, ხელში ნაჯახი უჭირავს და რიგრიგად აგდებინებს თავს ვარიებს.

ლამფები აანთეს. ილიკოს ნარდის თამაში ჰყვარებია. ვთამაშობთ. ყველას გვიგებს.

ვახშმად ილიკო მიამბობს ზოგიერთ დეტალს გუდანელთა ყოფა-ცხოვრებისა და საერთოდ ერწოს სოფლების შესახებ. ერწოში უმეტესად გადმოსახლებული ხევსურები ცხოვრობენ, არიან ფშაველებიც.

როდის გადმოსახლდნენ ხევსურეთიდან, ზუსტად არ შეუძლიან სთქვას. ისიც, მისი მამაც, ერწოში არიან დაბადებულნი, მხოლოდ პაპა არის მოსული. თითონ ილიკო 40 წლის კაცია. სჩანს, ხევსურები აქ საუკუნეზე მეტია, რაც მოსულან თავიანთი ხრიოკი მთებიდან.

ილიკოს მამას დავითი ჰქვიან, პაპას — ღვთისო. დავითი ცოცხალია, ეხლა მთაშია, იკვლივზე, სადაც გუდანელების საქონელია საზაფხულო იალაღებზე გარეკილი.

4 აგვისტო.

ღამე მკვდრის ძილით მეძინა. ერთხელ გაზმეღვიძა, იქნებოდა დილის 5 საათი. ფანჯარაში გავიხედე, მძიმე, ტყვიისფერი ღრუბელი აწვა მიდამოს.

ისევ დავიძინე. მესიზმრა, ვიყავით სადღაც ქალაქს გარეთ, ღამე. ბევრი ნაცნობი იყო. ამ დროს მოდის მოხუცი კაცი და გვეუბნება: ყმაწვილებო, გეხმით, დაიწყეს ქალაქის დაბომბვა! მე გარეთ გავდივარ და ვხედავ, რომ შორს, ქალაქში ყუმბარები სკდება. არ ვიცი, რა ქალაქია, არც ის ვიცი, სადა ვარ. საზარელი ალი ავარდება რამდენიმე ადგილას. ხანძრის შუქი არემარეს ანათებს. საჰაერო თავდასხმა გრძელდება. ყუმბარების დაცემა ახლოვდება და ვგრძნობ, რა უბედურება ტრიალებს იქ, იმ აფეთქებულ, დანგრეულ, ხანძარ-მოდებულ ქალაქში. გული ბოლმით მევსება, ზიზღი და შურისძიების გრძნობა მოიცავს მთელს ჩემს არსებას ბარბაროსი მტრის წინააღმდეგ. მზად ვარ ვიყვირო. ამ დროს მეღვიძება. ვწევარ მარცხენა გვერდზე. აი თურმე რის მიზეზია ეს კოშმარული სიზმარი.

ვდგები დილის ცხრა საათზე. წყაროს წყლით პირს ვიბან. ჯაბო ძალიან მეგობრულად მიქნევს კუდს.

დილის საუზმეზე ვსხდებით მე, ილიკო, დევი, მარლენი.

საუზმის შემდეგ ილიკო იცვამს და მიდის. წასვლის წინ ცას შეხედავს.

— თუ წვიმა არ იქნა — მეუბნება, — ორ დღეში მკას შევუდგებით!

მე და დევი მივდივართ მახლობელ სოფელ თრანში. გზა ყანების შუაგულში მიდის. ალაგ-ალაგ ნასვენი ადგილებია, ბალახით და ყვავილებით დაფარული. მაგონდება ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები მისი გეოგრაფიიდან. ერწოზე ამბობს — ეს არის ადგილი უვენახო, უხილო, სამაგიეროდ წყაროიანი, ბალახოვან-ყვავილოვანიო.

აი, თრანშიაც მივედით. ის გაცილებით მაღლა მდებარეობს, ვიდრე გუდანელები. აქედან როგორც ხელის გულზე, ისე მოსჩანს მთელი ერწო: აი შორს, გაღმა ველზე, ოაზისებივით მოფენილან სოფლები: საყდრიონი, ხევსოფელი, თოლენჯი, სვიმონიანთ ხევი, ცალუღელაანთ-კარი.

თრანში კოლმეურნეობის ბრიგადა მუშაობს, აკეთებენ კალოს და პურის დროებით შესანახ ფარდულს. ურმებით თივა მოუზიდნიათ. ფარდულს თივით ხურავენ.

ორ საათზე ისევ შინ ვართ. ვიძინებ (სულ მეძინება, ალბათ, მთის ბაერმა დამცადა). არ ვიცი, რამდენ ხან მძინავს. ვიღვიძებ. ეზოში უცხო ვაჟი შემოდის. ჩემი ნაცნობი აღმოჩნდება — თიანეთის რაიკომის მეორე მდივანი კიმოთე ჭინჭარაული. სუფთად აცვია, — მწვანე მაუდის კოსტუმი, ქვემოთ აბრეშუმის ხალათი, ახალი ფეხსაცმელი. ცისფერ-თვალება მწითური კაცია. 37 — 38 წლისა.

კიმოთე ჩამოსულა მოსავლის აღების სახელმძღვანელოდ ერწოს რაიონში. ის მეუბნება, რომ კვირაში მხოლოდ ორი დღეა თიანეთში, შაბათს ბიუროს სხდომაზე დასასწრებლად, კვირას დასასვენებლად. დანარჩენი დღეები სულ რაიონშია. ხან ფეხით, ხან ცხენით, ხან მანქანით გაკრულია გზაზე, სოფელ-სოფელ.

ის არ არის კმაყოფილი ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაობით. მოწინავეებთან ერთად არიან ზარმაცებიც, თორემ უფრო მეტი მოსავალი ექნებოდათო. აღსანიშნავია ისიც, რომ ომამდე ხშირად მოსავალი მინდორში დარჩენილა და გაფუჭებულა. ეხლა კი, მიუხედავად იმისა, რომ სოფელს მუშახელი დააკლდა, გეგმებს არამც თუ ასრულებენ, აჭარბებენ კიდეც. ყველანი ძალიან მონდომებულნი არიან მუშაობას.

ერთად ვსადილობთ. სადილი—ხაჭაპურები, პური, ყველი, კიტრები, მსხალი, ღვინო.

მაგიდაზე მოხუცი კაცი ზის. მსხალი და ღვინო. მისი მოტანილია. ის გლდანელია. ვირით ორი გოდორი მსხალი ამოუტანია თავისი ბაღიდან და სცვლის პურსა და სიმინდზე.

ნასადილევს კიმოთე და ილიკო მანქანით მიდიან თრანში, კალოს სანახავად. მეც მივყევართ. კალოს მახლობლად ჩემი თბილისელი ნაცნობები ცხოვრობენ თურმე. მე მივდივარ მათთან სახლში.

იქ ფართო აივანზე ვჯდები და გადავსცქერი პეიზაჟს. მზე ჩასვლას აპირებს და უკანასკნელ სხივებს უგზავნის ერწოს არე-მარეს. ყვითელი პურები ენაცვლებიან მწვანედ მოშრიალე სიმინდის ყანებს. თვალუწვდენი ველი უფრო მუქი ფერებით არის აელვარებული. გალმა, საყდრიონის ქვის სახლებს გვერდიდან აშუქებს ჩამავალი მზე და სოფელი უფრო რელიეფურად მოსჩანს სივრცეში. ეხლა უფრო მომწონს ეს პეიზაჟი, ვიდრე შუადღისას.

5 აგვისტო.

ღრუბლიანი დღე გათენდა. მკა ისევ გადაიდო. საჭიროა პურებს მზემ დახედოს ერთ დღეს მაინც, რომ გაშრეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მკის დაწყება.

დილას კოლმეურნეობის კანტორაში შევდივარ. ილიკო უკვე იქ არის. ზის მაგიდასთან და ცნობებს აგროვებს, ვის არ შეუსრულებია შრომადღეების დაწესებული მინიმუმი პირველი აგვისტოსათვის. მეზობელ მაგიდას მისჯდომია მოხუცი მოანგარიშე, ბესო წიკლაური.

ეს ბესო ბავშვობაში ვაჟა-ფშაველას ნამოწაფარია. ვაჟა აქ, ტოლათ-სოფელში ორ წელიწადს მასწავლებლობდა. ვაჟა მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. ბესოს ახსოვს, რომ ვაჟასთან აქ სტუმრად მოდიოდნენ მისი მამა, მღვდელი პავლე რაზიკაშვილი და აგრეთვე ძმა სანდრო.

წიკლაურები გუდამაყრიდან არიან ერწოში გადმოსულნი. სოფლების სახელწოდება — გუდანელები, ღულელები და სხვ. — ცხადად გვეუბნება ხევ-

სურთა პირვანდელ სამოსახლო ადგილებზე — გუდანი, ღული და სხვები. ეს არემარე, სადაც გუდანელების საკოლმეურნეო ფართობია, ეროვ. შემავალი სოფლებით, უწინ, მეფის დროს, სახელმწიფო ადგილი იყო. მაგ. ორივ. მხრივ სათავადო მიწები საზღვრავდნენ. აღმოსავლეთით მდებარე სოფელი თრახი მაგალითად, ბარათაშვილებს ეკუთვნოდა, იქით კიდევ, იორისაკენ, ჩოლაყაშვილების სამფლობელო იყო.

კანტორიდან გავდივარ. გზის პირას წყაროა და მცირე მინდორი, მთლად შოფენილი მსხვილი მორებით. ეს ვეება ხეები საბადურიდან ჩამოუტანიათ, ფიცრებად უნდა დაიხერხონ. კოლმეურნეობამ ახალი გომური და სახერხი ქარხანა უნდა გადახუროს.

მორებზე ახალგაზრდები სხედან. მე მათთან მივდივარ, სალამს ვაძლევ და გვერდით ვჯდები. ერთი მათგანი, წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილი, წამოწოლილია მორზე. ის ფეხშია დაჭრილი, ყავარჯნები იქვე მორზე მიუყუდებია. ვეკითხები ვინაობას. ეს არის ცხრამეტი წლის ივანე ბურდული. დაჭრილია მოზდოკის ფრონტზე, ჯერ ტყვიით, მერე აფეთქებული ნალმით.

ბურდული მეტყვიამფრქვევეა. გათენებისას დაიწყოო ჩვენი ნაწილების იერიში, — მიამბობს ის. — ჯერ მსროლელნი გადავიდნენ შეტევაზე, ჩვენ ტყვიამფრქვევებით ვეხმარებოდით. რადგან ისინი წინ წავიდნენ, ჩვენც ადგილი უნდა გვენაცვლებინა. წამოვდექი ტყვიამფრქვევიდან, მაგრამ ამ დროს ძლიერი ტკივილი ვიგრძენი კვირისთავში, რალაც მომხვდა, მხოლოდ არ მეგონა, თუ დავიჭერი. მწვავე ტკივილისაგან ვიყვირე. უფროსი მეკითხება, რატომ ყვირიო, შემრცხვა და ვერაფერი ვუთხარი. წინ წადიო, — მიბრძანა მან. მეც გავიარე დაჭრილი ფეხით ორმოცი ნაბიჯი და მეტი ველარ შევძელი. ის იყო, ძირს დავეშვი, რომ მტრის მხრიდან ნასროლმა ნალმმა იფეთქა. მეტი არაფერი მახსოვს.

როცა გონს მოვედი, ვნახე, რომ ოთხი სხვა ჭრილობა მქონდა იმავე ფეხში, მუხლს ზემოთ. ბარძაყი მთლად სასხლით იყო მოთხუპნილი. ერთი პაკეტი მქონდა, გავხსენი, შევიხვიე ჭრილობა, მაგრამ არ მეყო, პერანგი გავიხადე, დავჭერი და ისიც სახვევად გამოვიყენე.

შემდეგ წამომიყვანეს: ორჯონიკიძე, მახაჩ-კალა, ბაქო, კიროვაბადი. ვიწექი ოთხ თვეს. ეხლა დროებით თავისუფალი ვარ. ფეხს ველარ ვმართავ. ძარღვები მაქვს გაკავებული.

ახალგაზრდები მორებზე ჩამწკრივებულან და კვლავ ცხოველი ინტერესით უსმენენ, ალბათ, რამდენიმეჯერ მოსმენილ ამბავს.

ჩემს გვერდით ჭაბუკი ზის, ხარება ჰქვიან სახელად.

მე ყმაწვილებს ვესაუბრები. მერე ვთხოვ, მითხრან რაიმე ლექსი.

— ლექსები მაგან იცის, — მითითებენ ხარებაზე.

— აბა ზეპირად როგორა ვთქვა, მე ფანდურზე ვმღერი, — ინაზება ხარება. ბოლოს მაინც ამბობს ლექსებს, ლექსები გამოთქმულია სხვების მიერ, ხარება მათ ფანდურზე დამღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ნაწყვეტი ლექსიდან, რომელიც ომარაულელმა პავლე მაისურაძემ გამოუგზავნა თავის მშობლებს:

„... ხომალდში ჩაგვსხეს ჯარები, გზა სავალი გვაქვს ზღვაზედა,
ტიალსა, მოუღალავსა, რა დაასვენებს გზაზედა?
შვიდი დღე-ღამე ვიარეთ, გაველით გრანიცაზედა,
უპირდაპირეთ ერთურთსა ხუთშაბათ თენებაზედა.
ხელში ვინტოვკა მიჭირავ, კონდახს ვიტოლებ ყბაზედა.
მალი-მალ ჩავეტოლები, — ლამაზ თუ მიწევს მკლავზედა!
ჰიტლერის ჯარებს შევებით, წამოვუარეთ თავზედა,
ალარ გავიდა დიდხანიც, მკვდარი შავყარეთ მკვდარზედა.
— იმხნევეთ, ქართვლის შვილებო, გადადით ატაკაზედა!
ბევრ ტოტზე წაეყუდება, რომ მანძილა ხარ რქაზედა.
ომში შასულის ვაუკაცის გულ მაგარ გახდა ქვაზედა!
ტყვიაო ვარშავისარ, ახლოს ნუ იწევ ძვალზედა!
ნაძოძად გახდა საცმელი, რაც კი გვახვევავ ტანზედა...
დედიო, ხევსურის ქალო, გვარ არ აყივლო გვარზედა,
ვიცი, რომ მოგაგონდები, ცრემლ არ მაუშვა თვალზედა.
მამაჩემ ნიკოს უთხარით, არ აირიოს ჭკვაზედა,
ლეგუა ისევ მოვალის. ქუდს გაიბრუდებს თავზედა!..“

5 აგვისტოს საღამო.

ნაშუადღევს ილიკომ ერთი სატვირთო მანქანა გაავსო პარკი-ლობიოთი და გაგზავნა თბილისში თავის საკოლმეურნეო წერტში, გასასყიდად.

მდიდარი კოლმეურნეობაა. მისი ფართობი 480 ჰექტარს აღწევს. ილიკოს ეს ძალიან ცოტად მიაჩნია. ამ ფართობზე დათესილია პური, ქერი, კართოფილი, ლობიო, მზისუმზირა, ასლი.

წელს კოლექტივის თავმჯდომარემ სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში 230 ათასი მანეთი შეიტანა.

მას სტალინის მადლობა აქვს მიღებული დეპეშით.

მზე იწურება.

კოლექტივის კანტორის წინ მორებზე კოლმეურნეები სხედან, მასლაათობენ. მოდის ფორანი. ზედ ზის წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილი კაცი. ეს არის მიშა, თელაველი სომეხი, ოხუნჯი და დაუღალავი მოსაუბრე.

მიშა გამგეა სამხედრო ნაწილის ნაკვეთებისა, რომელიც კოლმეურნეობას აქვს გამოყოფილი.

მიშა ხტება ფორანიდან, კოფოს აღებს და რამდენიმე ბოთლი ღვინო გადმოაქვს.

იქვე მორებზე იმართება მცირე ღვინის სმა. მიხეილი უმასპინძლდება კოლმეურნეებს.

ფანჯრიდან გავცქერი. კარგად არ მესმის მათი ლაპარაკი. ეტყობა, მიხეილი ოხუნჯობს. დროგამოშვებით იფეთქებს ხოლმე ხმამაღალი ხარხარი.

მიხეილი ღვინოს ასხამს ჭიქაში და რიგრიგად აწოდებს გლეხებს. აი მეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ერთი სადღეგრძელოც მიხეილისა: — ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ კაცს, ვისაც თავისი ძმაკაცი უყვარს!

ვინ არის ეს კაცი? ვცდილობ, მაგრამ ვერ გამომიცვნია მისი ... ომამდე.

როგორ გამაკვირვა დღეს ხარება ჭინჭარაულმა, ამ მამა-პაპით ხევსურ-ყოფილმა ერწოელმა გლეხმა, როდესაც სიტყვა „ლეგუა" ამიხსნა „სვოი ბიჭად". როგორ შედის ხალხში ეს უცხო, ქართული ყურისთვის სახა-ძუშო ტერმინოლოგია!

აი მიხეილიც, სწორედ ეს „სვოი ბიჭია", ქალაქელი დარდიმანდი.

დაბავიწყდა: როდესაც ხარება ლექსებს მიკითხავდა, ღობეზე დედა გა-მოდგა, წინდას ქსოვდა. დაუძახა შვილს. იქვე მორზე ჩასხდნენ. დედამ უბი-დან წერილი ამოიღო და გადასცა ხარებას.

როცა დაბრუნდა, ხარებამ ამიხსნა, რომ წერილი უფროსი ძმისაგან არის მოსული, ბესო ჭინჭარაულისაგან. ის მფრინავია და ეხლა მოსკოვის მხარეს იმყოფება. წერილი რუსულად ყოფილა დაწერილი და ძლივს გავარჩიეთ.

6 აგვისტო.

წუხელის ვახშმად ვისხედით მე, ილიკო, მისი ცოლი და ორი პატარა ვაჟი, მარლენი და კამო. დევი ქალაქში გაჰყვა ავტომანქანას.

კამო გოჭების მწყემსია. დღეს მისი გოჭები კართოფილში გადასულან და მეველეს მისთვის პალტო წაურთმევია წინდად. ილიკო იცინის. ბავშვი დალო-ნებულია. ის ამბობს, რომ მართალია, გოჭები შევიდნენ კართოფილში, მაგ-რამ ძირები არ მოუთხრიათ. მეველემ კი ძველი ნათხარიც ჩემს გოჭებს და-აბრალაო. მამა ეუბნება, რომ მეველე მართებულად მოქცეულა. ის ხომ ვერ შევა იმის გარკვევაში, რომელი ღორის დინგმა გააფუჭა ნათესი, მიგასწრო და კიდევაც წაგართვა პალტო. სამაგიეროდ უნდა ზღა კიდეც ზარალიო. თავ-დებად დაგიდგები, — თუ პირობას მისცემ, რომ ზარალს გადაუხდი მოსა-ვალზე, დაგიბრუნებს შენს პალტოსო. კამო ათი წლის ბიჭია. სერიოზული, გაუცინარი ბავშვი. თავის დედას წააგავს, მთიულ ქალს.

ილიკო ეხლანდელ ბავშვებზე ჩამოაგდებს სიტყვას.

— აი ჩემი შუათანა ვაჟი, — გვითითებს მარლენზე, — უკვე თოთხმეტი წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ უმწეოა, მშობლების დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლიან. მე მაგაზე უმცროსი ვიყავი, რომ ოჯახში დამოუ-კიდებლად ვმუშაობდი, როგორც მომწიფებული ვაჟკაცი.

მაგონდება ჩემი ბავშვობა. ცამეტი წლისა ვიყავი, როდესაც ერთხელ მამა-ჩემმა ცხენი შეკაზმა, შეჯდა, უკან მომისვა და თიანეთისაკენ დაადგა გზას. მან გადასწყვიტა ჩემი სასწავლებელში შეყვანა. მაშინ ეს ამბავი — ბავშვის სასწავლებელში მიცემა — ერწოს ახალმოსახლე ხევსურებისათვის ახალი და უცხო ამბავი იყო. სწავლა უკვე ერთი თვის დაწყებული გახლდათ, მაგრამ მამა გულდაჯერებით მიდიოდა, შვილს მაინც მივაღებინებ, რომ უსწავლელი არ დამრჩესო.

ის იყო ხევსოფელს გავცდით და მთის აღმართს შევუდექით, რომ გზაზე კურდღელმა გადაგვირბინა. ეჰ, შვილო, მომიბრუნდა მამა, ცუდი ნიშანია, ვაი თუ განზრახული არ გამოგვივიდეს, მაგრამ ჩვენ მაინც წავიდეთ, რაც გულში ამოვიჭერ, საცადელს არ მოვაკლებ, უნდა შევასრულოო.

მივედით თიანეთს. მამამ ერთ ნათესავ დიაკვანთან მიმიყვანა. მეორე დღეს მამა წავიდა სასწავლებლის გამგესთან. იმან თურმე ძალიან შორს [illegible] მამის თხოვნა, — რაღა დროს არის, ერთი თვეა, რაც სწავლა [illegible], [illegible] კიდევ ადგილი აღარა მაქვსო სკოლაში და სხვა. მაგრამ მამა არ მოეშვა და ბოლოს დაითანხმა. სასწავლებლის გამგის მორბილება ფურმე იმისი შედეგი იყო, რომ მამა შეჰპირდა, ქალაქში თქვენს ოჯახს ერთ ურემ შეშასა და რვა ტომარა ნახშირს ჩავუტანო.

ასე დავიწყე სწავლა.

გავიდა ზამთარი. მოატანა ზაფხულის არდადეგებმაც.

მამა სიტყვის კაცი იყო. პირობას შესრულება უნდოდა. და აი ერთ დღეს გაამზადა ერთი დიდი ურემი შეშა, შიგ ყევარი ხარ-კამეჩი შეუბა, ხელში სახრე მომცა და მითხრა: აბა, შვილო, მეზობლები მიდიან ქალაქში, შენც იმათ ურემს გაჰყევი და ეს შეშა თქვენი გამგის ოჯახში მიიტანეო. თანაც პატარა ქაღალდის ნაგლეჯი მომცა, რომელზედაც მისამართი ეწერა.

წავედით, წინ ჩემი მეზობლები მიდიან, ორი ურემი მიჰყავთ, კართოფილით სავსე, უკან მე მივდევ ჩემი ორი უღელი ხარ-კამეჩით.

ქალაქში ნამყოფი ვიყავი, მაგრამ მარტოს, ისიც ტვირთიანი ურმით არ-ოდეს მევლო.

გლდანში რომ მივედით, მოსაღამოვდა. მეურმეები იმ ანგარიშით დადიოდ-ნენ, რომ გლდანში ღამე გაეთიათ და განთიადზე შესულიყვნენ ქალაქში.

იმ საღამოს ჩემმა თანამგზავრებმა თავისი კართოფილი გლდანშივე გაასა-ღეს, მე კი გამომიცხადეს, — ჩვენ ხვალ უკანვე უნდა დავბრუნდეთო.

მართლაც ასე მოიქცნენ. დავრჩი მარტო. რას ვიზამდი? შეშას უკანვე ხომ არ მივუტანდი მამაჩემს? გავუძეხ წინ ჩემს კამეჩებს და დავადექ ქალაქის გზას. დღის ორი საათი იქნებოდა ქალაქს რომ მივაღწიე.

ამოვიღე ჩემი ქაღალდის ნახევი და შევუდექ კითხვას. ვინც კი შემხვდე-ბოდა, ქალი თუ კაცი, ვეკითხებოდი, სად არის თუმანოვის ქუჩა, სად ცხოვ-რობს ესა და ეს კაცი-მეთქი.

— ქვევით იარეო, — მეუბნებოდა ყველა.

მეც ვიარე და ვიარე. ავდივარ და ჩავდივარ ამ ქუჩებში.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე დანიშნულ ადგილს. უკვე საღამო ხანი იყო. ურემი მაინც ვერ მიუყენე ჭიშკარს. აღმართი იყო ასავალი, მე კი გა-მოუცდელი მეხრე ვიყავი, არ ვიცოდი, როგორ წავძღოლოდი წინ ყევარს. გა-ვაჩერე ასი ნაბიჯის მანძილზე და მთელი ეს შეშა ბეჭით მივუზიდე პატრონს.

მერე გავიქეცი, მამა-ჩემის გამოტანებული ფულით ნავთი ვიყიდე, — მთელი კასრი მქონდა წალებული, და გამოვბრუნდი უკან.

ღრმაღელეს რომ გამოვცდი, დაბინდდა. მოვდივარ. რაღაც ხევი გავიარე. ბნელაში ვაკვირდები ადგილებს. უცნობ არემარეში მივდივარ. ბოლოს მო-სახლეები გამოჩნდნენ. სოფელია. არა, ამ სოფელში არ ვყოფილვარ, დანამდ-ვილებით ვიცი.

ვხვდები, რომ გზა დავკარგე. რა ვქნა? არც ვინმეს ვეკითხები, მეშინიან ხარ-კამეჩი არ წამართვან.

უკან უნდა დავბრუნდე, მაგრამ ღამეა. ვერ ვხედავ. გადავწყვიტე ღამის გათევა.

ვჩერდები რომელიღაც ეზოს წინ. საქონელი გამოვხსენი, ცოტა თივა მივეცი. მეც იქვე ჩავცუცქდი. მიმთვლემს, მერე უცებ თვალს გავახელ. მეშინიან პირუტყვი არავინ წაასხას.

ბიბლიოთეკა

როგორც იქნა, გათენდა დილა. შევაბი ურემი. გამოვბრუნდი, ის ხევი უკანვე გავიარე. ვაკვირდები გზას. ვხედავ, გზაჯვარედინი მოსჩანს. გული სიხარულით მევსება. აი გადავუხვიე კიდეც მარცხნივ. მოვედი გლდანში.

შუადღეა.

დუქანს გამოუარე, საჭმლის სუნი მეცა. მშია. ვაჩერებ ურემს, შევრბივარ დუქანში. გლეხები სვამენ, მთვრალები არიან. ზოგნი დახლს მისდგომიან, ყაყანებენ, დუქანში ღრიანცელია, ბოლი დგას. ამ დროს კუნჭულში არღანი იწყებს ჭიჭყინს.

მე დახლიდართან მივდივარ, ვთხოვ, პური და ყერძი მომცეს. მას ჩემი არ ესმის. ამ დროს ვხედავ, ჩემი კამეჩები იძვრიან ადგილიდან. გამოვრბივარ გარეთ. ვაჩერებ. ისევ შევრბივარ დუქანში. მაგრამ კამეჩები არ იცდიან. სულ ერთია, მთვრალ მიკიტანს ჩემთვის არა სცალიან. თავს ვანებებ დუქანს და ისევ ურმის კოფოზე ვჯდები. ვფიქრობ, როგორც იქნება, იოლას წავალ, მოვითმენ შიმშილს.

აი გლდანიც უკან მოვიტოვე, გავცდი მამკოდას. ალმართზე მივდივარ.

უეცრად ურემი ბრახვანით ეცემა ძირს. თვალი გამოვარდა. რა უნდა ვქნა? გარშემო არავინა სჩანს. მე კი იმ იმედით დავადექ ტყის გზას, რომ ვინმეს წამოვეწეოდი, მივეკედლებოდი და ვივლიდით ერთად. თუ დამჭირდებოდა, გაჭირვებაშიაც მომეხმარებოდნენ. ეხლა კი მარტო ვარ.

დიდის წვალებით ურემს ქვები შევუყუდე, ღერძი ავსწიე და ბორბალი მივადგი. დაკარგული რკინის მაგივრად წვრილი ხის რიკი ჩავარჭვე ღერძის ბოლოში, დავამაგრე თვალი.

შევუდექ გზას. ცხვარიჭამიას დაღმართზე ბორბალი ისევ გამოვარდა. წვრილმა ტაბიკმა ვერ გაუძლო თურმე და გატყდა. ბევრი ვიწვალე ბორბლის შედგმაზე. მაგრამ ცოტა გავიარე თუ არა, ურემი ისევ დამივარდა ძირს. ბორბალი კვლავ გამოსძვრა. ბორბალი ღერძის ბოლოში გაყრილ რიკს ხეხავდა და ამტვრევდა. ვერ მოვიფიქრე, რომ ბორბალსა და რიკს შუა წნელი დამეხვია, როგორც ეს შემდეგ მასწავლა მამამ.

სანამ საბადურის ალმართს შემოვუდგებოდი, ხუთჯერ დამივარდა ურემი. ამ წვალებაში დამიღამდა კიდეც. მაგრამ გაჩერება არ მინდა, მეშინიან საქონელი არ დამებნეს ტყეში. ისევ ვაკეთებ ბორბალს და მივდივარ. გადავწყვიტე მოკლე გზით ვიარო. სახელმწიფო შარას ვტოვებ და სოფლის გზით მივდივარ.

დაბინდდა. ვარსკვლავები ამოკიაფდნენ ცაზე.

გზა თანდათან ვიწროვდება, ბორბლებმა ჯაგებზე იწყეს გადავლა. ეს რაღა ახალი ამბავია?

გავრბივარ წინ. ვაჩერებ წინა უღელში გაბმულ ხარებს. ბინდ-ბუნდში ვაკვირდები გზას. წინ ბილიკს-ღა ვხედავ.

სიბნელეში სოფლის მოკლე გზაც დამიკარგავს. ტყის ბილიკს ვადგევარ. ეხლა რაღა ვქნა? უკან ვერ მივტრიალდები, წინ ვეღარ წავალ. ტყეში ვარ შესული. მწარე ფიქრები მერევა თავში.

ამ დროს ძაღლის ყეფა მესმის შორიდან. როგორც სჩანს, ცხვარიჭამია იქიდან შორს არ არის. გული მომეცა. გავმხნევდი.

გადავწყვიტე ადგილზე გავათენო. უკვე მესამე ღამეა, გზაში ვარ. ხარ-

კამეჩს უღლიდან ვხსნი, საქონელი მშიერია და ბალახისაკენ იწევს. მგლისა და დათვის არ მეშინიან, ხარებს ვერ შემიჭამენ, რადგან კამეჩებთან ერთად ხელში პატარა წალდს ვიღებ. მორზე ვჯდები. მეძინება, მაგრამ ფიქრობს: რად თვალებს ვაჭყეტ, ყურს ვუგდებ, შორს არ წავიდეს საქონელი.

ასე გადის ღამე. დილის სიო ფოთოლს აშრიალებს. აი ცისკრის ვარსკვლავიც კაშკაშებს ცაზე. მე გზის დასაზვერავად მივდივარ. რამდენიმე ათეული ნაბიჯი და ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს: ქვემო მოსახვევში ვხედავ საველმწიფო შარაგზას. საჩქაროდ ხარ-კამეჩს უღელში ვაბამ და გადავდივარ გზაზე. სამშვიდობოს გამოსული მხიარულად მოვეშურები შინისაკენ.

ამასობაში სახლში ჩვენსას დიდი შეშფოთებაა თურმე. როცა მეზობლები უჩემოდ დაბრუნდნენ სოფელში და მეც ძალიან დავიგვიანე, მამა-ჩემი გადამჯდარა ცხენზე და წამოსულა ჩემს შესახვედრად. გზაზე ყველას ეკითხებოდა თურმე, ასეთი და ასეთი ბიჭი ხომ არ გინახავთ ხარ-კამეჩიანი ურმითაო.

გლდაწში მედუქნეს უთქვამს, მე ვნახე, ჩემთან შემოირბინა, კერძი მთხოვა, მაგრამ ეშურებოდა, აღარ მომიცადაო, ზემოთ აიარაო. მამა უკანვე დაბრუნებულა, მაგრამ რაღას მნახავდა გზაში, მე ხომ გზა-კვალ აბნეული ტყეში დავეხეტებოდი ჩემი ურმით.

შუადღისას, როგორც იქნა, მივაღწიე სოფელს, ჩემი მშობლების სახლს.

ასეთი ამბავი გადამხდა. ჰო-და, მაშინ სულ ცამეტი წლისა ვიყავი.

ილიკო იგონებს თავისი მუშაობის დასაწყისს წლებს, იმ დროს, როდესაც ს. გუდანელებში კომუნა ჩამოყალიბდა. ეს პირველი მაგალითი იყო თიანეთის რაიონში და ერთი პირველთაგანი მთელ საქართველოში.

— კომკავშირელი ვიყავი. ერთ კვირა დღეს, — ეს იყო 1928 წელი, — ბიჭები შევიკრიბენით სკოლასთან. ვსაუბრობდით, ვხუმრობდით, ახალ-ახალ ამბებს ვუზიარებდით ერთმანეთს.

ვიღაცამ ჩამოაგდო სიტყვა, რომ ამა და ამ ადგილას კომუნა დაუარსებიათ. ასე და ასე ცხოვრობენო და სხვა ამგვარი. ინტერესით ვუგდებდით ყურს. მერე მე შევიტანე წინადადება: მოდით, ბიჭებო, ჩვენც დავაარსოთ კომუნა, ვნახოთ, გამოვცადოთ ახალი წესით ცხოვრება-მეთქი.

ყველანი ხალისით დამეთანხმენ. ვიქნებოდით თერთმეტი-თორმეტი ბიჭი. ვთქვით და დავაარსეთ კიდეც.

— რადგან შენი წინადადებით შევერთდით, მოდი ისევ შენ იყავ თავმჯდომარეო, — მითხრეს ამხანაგებმა.

ასე დავაარსეთ კომუნა.

დიდი ენტუზიაზმი იყო, მოხუცები არ ჩამორჩნენ ახალგაზრდებს, ყველანი ერთგულად, მეგობრულად ვმუშაობდით. ავაშენეთ სახლები, ხალხი მიწურებიდან ამოვიყვანეთ, ყველას ეძლეოდა მოთხოვნილებისამებრ. ზოგი ვერც კი ახერხებდა თავისი ხვედრი პროდუქტების მოხმარებას და საერთო საწყობში სტოვებდა. ეს პროდუქტები მრავალწევრიან ოჯახებს ურიგდებოდა.

გავმართეთ საერთო სასადილო, სამოცი კაცი ჯდებოდა. ყველაფრით გამართული იყო: ჭიქა, ხაინი, დანა-ჩანგალი, ყველაფერი რაც საჭირო იყო, გვქონდა. არავითარ უთანხმოებას არა ჰქონია ადგილი ჩვენ შორის. ცოტანი ვიყავით და ყველას შეგვეძლო ერთმანეთისათვის კონტროლი და მეგობრული დახმარება გაგვწია.

ნორმები არა გვქონდა დაწესებული. ყველანი ვცდილობდით არ ჩამოვრჩენოდით ერთმანეთს მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოვლათიც შევიძინეთ: ტრაქტორები, ფურ-კამეჩი, მოვაწყეთ სახეირო ქარხანა, ელექტრო-წისქვილი, სამჭედლო, საფუტკრე, ყველ-კარაქის ქარხანა, მელორეობის ფერმა და სხვა.

ასე გაგრძელდა ჩვენი არსებობა 1934 წლამდე. ჩქარა ამის შემდეგ მე გადამიყვანეს საბჭოთა ხაზით სამუშაოზე: ქვემო ერწოს თემალმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ თიანეთის რაიმიწგანის გამგედ...

ბოლოს, ილიკოს ჰგზავნიან ქალაქში ერწოს კოოპერაციის წარმომადგენლად. რამდენიმე თვეს რჩება თბილისში, მერე, თავის მთებსა და ველებს დანატრებული, ისევ უბრუნდება მშობლიურ კუთხეს.

თბილისიდან დაბრუნებული ის ერთხანს რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობს, მერე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა ერწოს რაიონში, შემდეგ ს. თრანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დგება 1940 წელი.

ამ დროისთვის ს. გუდანელების კოლმეურნეობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მისი საქმე უკან და უკან მიდის. კოლექტივის უხეირო თავმჯდომარე ცხვარსა და ხარ-კამეჩს ჰყიდის იმისთვის, რომ გაიტუმროს მძიმე ტვირთად დაწოლილი ხელფასი ზოოტექნიკოსის, მოანგარიშის, აგრეთვე სხვა ხარჯები.

რაიონის ხელმძღვანელობა ილიკოს კანდიდატურას აყენებს ს. გუდანელების კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაზე. პირველ ხანებში ილიკო უარზეა, მაგრამ ბოლოს თანხმდება და სათავეში უდგება საქმეს.

გაზაფხული იყო და სადაცაა ხვნა-თესვას უნდა შესდგომოდნენ. კოლექტივს კი სათესლე მარცვალი არ გააჩნდა.

აი აქ გამოადგა ილიკოს კეთილი ნაცნობობა და მეგობრული განწყობილება ერწოს რაიონის კოლმეურნეებთან. მან სესხად იშოვნა ტონა ნახევარი მარცვალი და ისე დასთესა თავისი ნაკვეთები.

მეორე წელიწადს მას უკვე საკუთარი სათესლე ფონდი ჰქონდა. საქმე ნელ-ნელა გაიმართა. ეხლა კოლმეურნეებს საკმაოდ აქვთ პური, საქონელი, წვრილფეხი.

კოლექტივს სამი ათასამდე ცხვარი ჰყავს, ექვსასი რქა საქონელი, აქედან ასი მეწველი ძროხა. ნათესები, ერწოს გარდა, შირაქშიაც აქვს გუდანელების კოლექტივს.

საუბარში ვერ ვატყობთ, როგორ გადის დრო.

გარეთ ბნელა. ჯაბო გაბრაზებული უყეფს მეზობლის ძაღლს.

შორიდან, წყაროთ-უბნიდან, მოისმის ძაღლების გაბმული ყეფა.

საათს დავყურებ — 2 საათია ღამის. ილიკო დგება. დროა დავიძინოთ, ის ხვალ ადრე ასადგომია. თბილისიდან მოელის სამკელ მანქანას. სხვა თადარიგიც არის დასაჭერი.

დღეს დილით სტუმრად გამოიარეს თიანეთიდან ერწოს რაიონზე მომაგრებულმა ამხანაგებმა.

მათ მოიტანეს ახალი ამბავი — ორიოლის და ბელგოროდის აღება ჩვენი ჯარების მიერ.

საღამოვდება. ილიკო თბილისში გაემგზავრა ავტომანქანით. ავტომანქანა არ ამოუტანეს, გაგულისებული თვითონ წავიდა. ხვალ უნდა დაბრუნდეს უკანვე.

მარტო ვზიავარ აივანზე. შორს, ღობეზე, ქალი გადმომდგარა და ყვირის:

— ჰაი, შალიკო, შალიკოოოო! — გასძახის ბოლოწამღერებით.

მაგონდება იონა მეუნარგიას ერთი ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. იონა სწერს: ერთხელ აივანზე ვისხედით ილიასთან, საგურამოში. ამ დროს ილიამ ვიღაც დაინახა ეზოს ბოლოზე მიმავალი. მოაჯირს მიადგა და გადასძახა:

— თეედორ, ااااا თედო!

მერე იონა აგვიწერს, თუ როგორ დაუძახებდნენ ამავე თედოს გურიაში, ლეჩხუმში და სამეგრელოში.

ილიკომ მიამბო ზოგიერთი ჩვეულების ნაშთებზე ერწოში.

ხევსურებმა თავიანთ მთებიდან იქაური საკულტო ტრადიციები ძოიტანეს. თავიანთ ხატებიდან მოჰქონდათ ქვა და აქ საგულდაგულოდ არჩეულ ადგილებში ასვენებდნენ, როგორც წმინდა ნიშანს. ერწოში ხევსურთა სოფლებს თავიანთი ხატები ჰქონდათ, თავიანთი ხატობა-დღესასწაული იცოდნენ.

წინათ ხევისბერებიც ჰყავდათ.

იყო აგრეთვე ჩვეულება ქალის ბოსელში ჩამწყვდევისა მშობიარობის და თვიურის დროს.

— მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ და დედა-ჩემი ბოსელში იმყოფებოდა ასეთ დროს, დიდედა ჯამით საჭმელს გამატანდა მასთან და მეტყოდა: ისე მიუტანე საჭმელი, რომ შენი ჯამი იმისას არ შეეხოსო. თუ უნებურად მოხდა და შეეხო, ჯამი იქვე დასტოვე, ის უკვე უწმინდურიაო.

ჩვენ, კომკავშირლები, ვცდილობდით ბოსლობის ჩვეულება აღგვეკვეთა სოფელში. შევიკრიბებოდით ბიჭები,—ერთიც კომკავშირელი ხევსური გოგო გვერია,—და დავდიოდით ეზო-ეზო. ხან თხოვნით, ხან საყვედურით, ხან კიდევ ხუმრობით ვარწმუნებდით, დაენგრიათ სპეციალურად აგებული ბოსლები.

ვანგრევდით კიდეც. დიდ წინააღმდეგობას არ გვიწევდნენ მაინცა და მაინც. მხოლოდ მახსოვს, ერთმა ქალმა დაგვიფრინა და არ მიგვაკარა ბოსელს.

ვერსად ერწოში ვერ გაიგონებთ ვირის ყროყინს. ყოფილ ხევსურებს, ფშაველებს და გუდამაყრელებს უდიდეს სირცხვილად მიაჩნიათ ვირის ყოლა, მით უმეტეს ვირზე ჯდომა. გუშინწინ, როცა აქ მოხუცი გლდანელი გლეხი მოვიდა, მისმა ვირმა უეცრად ყროყინი ასტეხა. აქაური ბავშვები მიესივნენ და სიცილით დაიხოცნენ სულელი პირუტყვის ღრიალზე.

7 აგვისტო.

დილიდანვე ცა მოღრუბლულია. წვიმს დაყინებით, წვრილად. ბრკოლდება პურის აღება.

მე გავსცქერი საბადურისა და იკვლივის ნისლით დაბურულ მთებს. ჩემს წინ სიმინდისა და პურის ყანებია. ყანების თავში მოჩანან კრამიტით დახურული ქვის სახლები, უწესრიგოდ ნაგები, მიმობნეული დაქანებულ ველზე. ეს არის სოფელი წყაროთ-უბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანზე ილიკოს ცოლი ზის, ანიკო. ის წიკლაურის ქალია, გუდამაყრელი. წინდასა ქსოვს.

ანიკო მიამბობს სოფლის ზოგიერთ ავან-ჩავანს.

ხატობა ეხლაც იციან ამ სოფელში. ხატი აქვთ ტოლათ-სოფელში. იცან გიორგობის დღესასწაული, მოდიან აგრეთვე აღდგომასაც. ამ ხატს იაღსარს უწოდებენ.

გიორგობას ცხვარს მოიყვანენ. მოხუცი კაცი დაჰკლავს, ცხვრის თავი მისი კუთვნილებაა. მოაქვთ ქადებიც. მოხუცი გასჭრის, ნახევარს თვითონ დაიტოვებს, მეორე ნახევარი-კი შეიჭმევა.

დასხდებიან ორ რიგად. სვამენ არაყს. ასეთი ღრეობა არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით წინათ, კაცის დაჭრით ან მოკვლით არ დამთავრებულიყო.

ამას მოჰყვებოდა სისხლის აღება.

თრანელ ხევსურს ეხლაც მართებს სისხლი თოღოლჩელებისა. სოფელში რომ მიდის, არასდროს არ გაივლის სოფლის გზაზე, უსათუოდ ყანის ნაპირებს შეჰყვება. ერიდება. გაფრთხილებულია. იცის, რომ არ შეაწყვენ.

ქალის გათხოვება ან შუამავლობით ხდება, ან ქალისა და ვაჟის შეთანხმებით, ურთიერთი სიყვარულით.

თუ მშობლები წინააღმდეგნი არიან და არ მოსწონთ სასიძო, ქალი სულ ერთია ადგილს დაუნიშნავს თავის შეყვარებულს და გაჰყვება, ვითომ მოიტაცეს.

8 აგვისტო, კვირა.

სოფლის შვიდწლედის დირექტორი სოგრატ სითათიშვილი ახალგაზრდა კაცია, 26 წლისა, რაჭველი, უმაღლესი ცოდნა აქვს, მათემატიკოსია. გუდანელებში 1939 წლიდან არის ჯერ მასწავლებლად, შემდეგ სკოლის გამგედ.

კანტორის ეზოში ვზივართ მორებზე და ვსაუბრობთ. სოგრატს წვერი სუფთადა აქვს გაპარსული.

თამბაქოს ახვევს, კვესით აბედს უკიდებს და მიამბობს იმ პირველი დღეების შესახებ, როდესაც თიანეთის რაიონში გაიგეს ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყების ამბავი.

ყოველ წელიწადს, 22 ივნისს, მოწაფეების საზაფხულოდ დათხოვნის შემდეგ, თიანეთში იმართება მასწავლებელთა კონფერენცია. 1941 წელსაც ასე იყო. თიანეთში ვიყავით. გათავდა კონფერენცია, ჩვენ, ყველანი, ბაღში ვისვენებდით. ამ დროს დაგვიბარეს რაიკომში და გვაცნობეს ეს ამბავი. მაშინვე ყველანი ჩაგვსვეს მანქანაში და წავედით სოფლებში სახელდახელო მიტინგების ჩასატარებლად.

სოგრატი ეხება თავისი სკოლის ამბებსაც.

ომამდე ბავშვებს დიდი ხალისით ჰგზავნიდნენ სკოლაში. ომის დაწყების შემდეგ მუშა-ხელის საგრძნობი ნაწილი წითელ არმიაში გაიწვიეს. ზოგგან მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. ბავშვები სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში არიან ჩაბმულნი და ზოგიერთი ოჯახი ვეღარ ელევა მათ სკოლაში გასაგზავნად. ამ ნიადაგზე მშობლებთან ხშირად მქონია დავა და უკმაყოფილება.

ძველ ჩვეულებათა ნაშთებსაც შევებრძოლებივართ, ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ კი უნაყოფოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ვხედავ, რომ ესა და ეს გოგო უეცრად სწყვეტს სკოლაში სიარულს. მივდივარ მასთან ოჯახში ამბის გასაგებად.

ვეკითხები მშობლებს, რატომ არ დადის თქვენი ქალი სასწავლებელში მეთქი.

— უწმინდურია, ვერ ივლის, — მიპასუხებენ ისინი.

ირკვევა, რომ ქალს თვიური აქვს, ბოსელშია გამომწყვდეული.

ნაშუადღევს კიმოთე, მე და მიხეილი მინდორში მივდივართ. იქ სამხედრო ტრაქტორი მუშაობს. ზედ ორი წითელარმიელი ტრაქტორისტი ზის. უკრაინელები არიან.

ერთი მათგანი ლამაზი, მწვანე-თვალებიანი ჭაბუკია, გრიგორი ქვიან.

დარდიმანდი და გრიგორი დიდხანს საუბრობენ. ითვლიან, რამდენი საწვავი დახარჯეს, რამდენი სჭირდებათ კიდევ.

კოლექტივს სამხედრო ნაწილისათვის ფართობი აქვს გამოყოფილი. სიმინდი, კართოფილი, ჭარხალი სთესია. კოლექტივი ნაკვეთს თავისი ძალებით ამუშავებს. სამაგიეროდ სამხედრო ნაწილმა ტრაქტორი გამოგზავნა და კოლექტივს საშემოდგომო ანეულს უხნავს.

— ხელი ხელს ჰბანსო, ორივე კი პირს, — მეუბნება დარდიმანდი. ის გამგეა სამხედრო ნაკვეთებისა.

გრიგორი ხელს იშვერს დახნული ფართობისაკენ.

— რამდენი იქნება თქვენის აზრით, ამხანაგო მდივანო? — მიმართავს ის კიმოთეს.

მდივანი გასცქერის ნახნავს.

— შვიდი იქნება, — ამბობს ის მცირე ხნის შემდეგ.

— თერთმეტია. ამაღამაც ორს მივუმატებთ. მთელი ღამე უნდა ვიმუშაოთ.

გრიგორი ტრაქტორზე ჯდება. მუშაობას იწყებს.

— ეს სულ ნაჭაობარი ადგილია, — ამბობს კიმოთე, — არასოდეს ქვეყნის გაჩენიდან აქ მიწა არ დახნულა. არხები გავიყვანეთ ამ ფართობის თავზე, ადგილი ნელნელა გაშრა. ეხლა კი თესვასაც ვაპირებთ. პური უნდა დაითესოს. წინათ აქ, ერწოში, მეტწილად ასლი და ქერი ითესებოდა. პურსაც სთესავდნენ, მაგრამ გაუწმენდავს. სარეველათი იყო სავსე. ოცდაცხრამეტი წლიდან კოლმეურნეებს დავაწყებინეთ სათესლე პურის ხელით რჩევა. იგივე გავაკეთეთ ორმოცსა და ორმოცდა ერთ წელში. ეხლა შესანიშნავი პური მოდის ერწოში. სარეველა რამდენიმე პროცენტი თუ გამოერევა.

ჩვენ ვბრუნდებით მინდვრიდან. შემოღობილი ადგილის ნაპირს მივდევთ. ღობის იქით ხეხილია, ბოსტანი, სკები.

— ეს ბესო წიკლაურის ეზოა, კულტურული ხელი ეტყობა მის საკარმიდამო ადგილს, — მეუბნება კიმოთე — ეგ კაცი ოდესღაც მღვდელი იყო, მაგრამ ანაფორა გაიხადა, ხელი მიჰყო მასწავლებლობას. სასარგებლო შრომას ეწეოდა. ეხლა მოხუცდა, კოლექტივის მოანგარიშედ მუშაობს. სოფელი მაგას ემადლიერება, პატივს სცემს.

წყაროსთან მორებზე კოლმეურნეები სხედან. მოხუცები, ახალგაზრდები. ერთი რუსია, სეზონური მუშა.

მოხუცი გლეხი ესაუბრება რუსს. დამტვრეული, მაგრამ საკმაოდ წესიერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულით უამბობს თავის მოგზაურობას. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის მისი ლაპარაკი. ვარჩევ სიტყვებს: ლენინგრად, მოსკვა, ცარიცინ.

ეტყობა, ნავალი კაცია.

მეველე ლევან არაბული მორზე ზის.

გულმოსულია: ორჯერ-სამჯერ უნახავს ქერში დაბმული ინდაურები. მერე ისიც შუაგულ ყანაში. ნაპირიდან ვერ შეამჩნევ, მთელი დღე ქერშია და ძღება ფრინველი...

ლევანი მეტის მეტად უქცევს ხევსურულად, ხშირად ვერც კი ვარჩევ მის ლაპარაკს.

ხვალ თუ წვიმა არ მოვიდა, ქერებს მკას დაუწყებენ.

ასე ამბობს ილიკო. მორზე ჩამომჯდარს გვერდით ბრიგადირები უსხედან.

დღეს მარტყოფიდან სამკალი მანქანა მოიტანა. კოლექტივისაგან იყიდა, ხუთასი კილო პურის მარცვალი უნდა მისცეს.

— რა ვქნა, მიღირს, — ამბობს ილიკო, — ეხლა უკვე რვა სამკელი მანქანა მაქვს და ერთი კომბაინი. დარზეა საქმე: ხვალ თუ დარი დაგვიდგა, გვეშველება.

ყველანი დასავლეთისაკენ იცქირებიან. სქელი შავი ღრუბლის ქვეშ წითელი ცის ზოლი მოსჩანს.

— იქნება დარი, უსათუოდ დარი იქნება, — დაჯერებით ამბობს მოხუცი ჭინჭარაული.

---

9 აგვისტო, ორშაბათი.

საუცხოო მზიანი დღე თენდება: ლურჯი, ულრუბლო ცა დაჰქათქათებს ერწოს.

პირს ვიბან, ეზოში გამოვდივარ. პირდაპირ კოლექტივის კანტორაა.

კიმოთე კოლმეურნეებს ესაუბრება.

— გალმა სოფელში მივდივარ, წავიდეთ, — მეუბნება კიმოთე.

ცხენებზე ვსხდებით და მივდივართ. ჩემი ცხენი ოდნავ კოჭლობს მარჯვენა ფეხზე.

— რა დაემართა? კოლექტივის ცხენია, აჭენეს ალბათ, — ჯავრობს კიმოთე.

ყანის პირებს მივყვებით.

გადავდივართ საშემოდგომო ანეულის ხნულებს და სიმინდის ყანებს ეახლოვდებით.

— ეს სიმინდები პირველი წელიწადია, რაც აქ ითესება, წინათ აქაც ჭაობები იყო, — მიხსნის კიმოთე.

სიმინდი კარგია, მხოლოდ ხშირი. იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში ვერ ნახავთ ასეთ ხშირ სიმინდს. აქ ჯერ კიდევ არ იციან სიმინდის კულტურის მოვლა.

ჩვენ ერწოს „მტკვარს" ვუახლოვდებით. ეს არის ლამიანი, მდორე, მცირე წყლიანი მდინარე; უცნაური სახელი ჰქვიან მას — ამეძა. ორი წლის წინათ ერწოს კოლმეურნეებს კილომეტრ ნახევრის მანძილზე გაულრმავებიათ მისი კალაპოტი, არხისებურად სწორად გაუჭრიათ. დანარჩენ მანძილზე კი მხოლოდ გაულრმავებიათ და ნაყარი მიწით ნაპირები აუმაღლებიათ.

წინათ, როდესაც ნიალვრების გამო მდინარე მოდიდდებოდა და ნაპირებს გადალახავდა, მთელი ეს მიდამოები ჭაობად იქცეოდა ხოლმე. ეხლა ეს მდინარე წყალდიდობის დროსაც კი ვეღარ სცდება ნაპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღმა სოფელი საყდრიონია, ფერდობზე შეფენილი.

ჩქარა სოფელში შევდივართ.

ქვის სახლები, კრამიტით დახურული. კედლები უმთავრესად რიყის ქვით არის ნაგები. საკვირველია, ეს რიყის ქვა აქეადან კი არ არის მოზიდული, მაღლა სერებიდან არის ჩამოტანილი.

— არც ისე დიდიხნის წინათ მთელი ეს მოსახლეობა მიწურებში ცხოვრობდა, — შენიშნავს კიმოთე, — ხალხი მიწის ზედაპირზე ამოვიდა. რიგიანი საცხოვრებლები გაიჩინა.

შუა სოფელში ძველი საყდარი დგას. გზა გვერდით ჩაუდის, იქვე სოფლის წყაროა, კეთილნაშენი.

ვაკვირდები ამ ძველ ტაძარს და თვალს ვეღარ ვაშორებ. პატარაა, მაგრამ მკვიდრად ნაგები. მეტად საინტერესო არქიტექტურული ძეგლია.

უცნობი ქართველი ოსტატი აშენებდა ამ ეკლესიას. და ეტყობა, იმ დროს მას წელზე განუშორებელი ხანჯალი ეკიდა და იქვე მიყუდებული თოფი ჰქონდა მზად.

საყდარს გარეგნობაზე ეტყობა იმ შფოთიანი და განუკითხავი დროის ბეჭედი. ერწო და თიანეთი საქართველოს დასუსტების ეპოქებში, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში, ლეკთა თარეშით იყო გაწამებული.

ეს პატარა ტაძარი საომარი კოშკისა და ეკლესიის სინთეზს წარმოადგენს. სქელ კედლებიანი დაბალი სამრეკლო, რომელიც გოდოლის როლს ასრულებდა, იმავე დროს გვერდის შესავალი იყო ქვით ნაშენ ბაზილიკაში.

ვიხედები ამ დაბალ თაღიან შესავალში. ეტყობა, ერთ დროს ის ურდულიანი რკინის კარებით იკეტებოდა.

— აქ მახლობლად, ხევსურთ-სოფელში, მანქანა-ტრაქტორების სადგურია. მე იქ რამდენიმე წელიწადს ვიყავი დირექტორად. სახლები უნდა ამეშენებინა, აგური არა მქონდა. გადავწყვიტე ამ ეკლესიის დანგრევა, რომ აგური და ქვა გამომეყენებინა...

მე გაკვირვებით შევცქერი კიმოთეს.

— მერე?

— მერე და ხალხმა არ დამანება. მეც აღარ ავუხირდი.

გულით მეცინება.

— რატომ იცინი?

— რატომ და კარგად მოქცეულა ის ხალხი. მართალია, მას სხვა მოტივები ამოძრავებდა, როდესაც წინააღმდეგობას გიწევდა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მან განადგურებას გადაარჩინა თავისი ისტორიული ძეგლი. აგურები ხომ მაინც იშოვეთ?

— როგორ არ ვიშოვე. მოტანა იყო მხოლოდ ცოტა ძნელი, მაგრამ მოვიტანეთ. ხედავ, აი ის არის სადგური.

ვიცქირები დასავლეთისაკენ და ვხედავ ველზე აგურით ნაგებ სახლებს და გრძელ ფარდულებს.

საყდრიონის ტაძარმა, პრიმიტიულად, მაგრამ საინტერესოდ ნაგებმა, გამახსენა ნოქალაქევის პატარა საყდარი, სამეგრელოში, სენაკის ზემოთ, ტეხურის ხეობის პირას.

ის სხვაა, სულ სხვა სტილით ნაგები. პატარაა, თეთრი. წაგავს ერთ-ერთ კორდზე დაფრენილ მტრედს.

საყდრიონი ძველი სოფელია. მას ვახუშტიც იხსენიებს თავის „აღწერაში“. ერწოს საზღვრების დასახელების დროს ის სწერს: „... და-ზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისიო“.

მივდივართ კოლექტივის კანტორაში. აი ისიც. ცხენებს ღობეზე ვაბამთ და ეზოში შევდივართ.

მშვენიერი კოინდარით არის დაფენილი ეს პატარა ეზო. ხეხილიც არის შიგ გაშენებული. ყორესთან ვეებერთელა თეთრი ჯიშიანი დედა ღორია დაბმული.

სოფლებში აქ ხშირად ვხვდები ჯიშიან ღორებს. ბევრი ვნახე ასეთი თრანში. სამაგიეროდ ერწოში არ შევხვედრივარ თიანეთურ ველურ, შავ და გრძელ ჯაგრიან ღორს.

კოლექტივის კანტორაში მხოლოდ მოანგარიშე დაგვხვდა. ორი შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი რვეულებში იწერდნენ ბრიგადირის მიერ მოტანილ ცნობებს შრომა-დღეების შესახებ. ბრიგადირი, შუახნის კაცი, და აგრეთვე ორი ახალგაზრდა, მაგიდასთან ისხდნენ.

კანტორის იატაკი, ეტყობა, დღეს ჯერ კიდევ არ იყო დახვეტილი, ტალახი და ნამწვავები ეყარა აქა-იქ.

— რასა ჰგავს აქაურობა, ეს კანტორაა თუ საღორე?—გაჯავრდა კიმოთე.

ქალები გაწითლდნენ და ვერაფერი სთქვეს.

— სად არის თავმჯდომარე?

მიხა ბურდული კალოზეა. პატარა ბიჭი გარბის მის დასაძახებლად.

კიმოთე სინჯავს კოლმეურნეობის მოსავლის აღების გეგმას. მაგრამ მას ფაქტიური მდგომარეობა აინტერესებს. მოსავლის აღებისათვის მოსამზადებელი მუშაობა კოლექტივს კარგად ჩაუტარებია: ურმები მზადაა, ბეღლები დასუფთავებულია, კალოები გამართული, ბრიგადები ჩამოყალიბებული. ყველამ უკვე წინასწარ იცის, ვინ სად იმუშავებს, ზოგი კომბაინზე, ზოგი თიბვაზე, ლეწვაზე, ახვეტაზე, აბულულებაზე, მოსავლის ურმებით ზიდვაზე. ბავშვები უმთავრესად ქერისა და პურის თავთავების აკრეფაზე იმუშავებენ.

პატარა ბიჭი ბრუნდება. მიხა ბურდული კალოზე ყოფილა და წასულა, არ იციან, სად წავიდა. იქნებ პურებშია წასული? იქ უკვე სცელავენ ყანებს. ან იქნებ მანქანა-ტრაქტორის სადგურში გადავიდა კომბაინის თადარიგის დასაჭერად?

ძნელია ასეთ დროს კოლექტივის თავმჯდომარის პოვნა.

ცხენებზე ვსხდებით და ხევსურთ-სოფელში მივდივართ.

სახელწოდება ამ სოფლისა უკვე ცხადჰყოფს, თუ ვინ არიან აქაური მცხოვრებნი.

აქაურ კოლექტივს „ჯეჯილი“ ეწოდება. მას სრულიად ახალგაზრდა თავმჯდომარე ჰყავს, 26 წლის ლამაზი, შავთვალწარბა ზაქრო კენკიშვილი. ის მომღიმარი შემოდის კოლექტივის კანტორაში, თავაზიანად გვართმევს ხელს და პირველ სიტყვისთანავე გვხიბლავს თავისი პიროვნებით.

ზაქრო კოლმეურნეობის თავმჯდომარის ახალი ტიპია. ის ახალი ცხოვრების შვილია, ახალ ვითარებაში გაზრდილი, დავაჟკაცებული. მან არა თუ წერა-კითხვა იცის, მას საშუალო განათლებაც აქვს მიღებული. მანგლისში პედტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ თავის მშობლიურ ხევსურთ სოფელში მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებლად იყო, რვა წელიწადს. ექვსი თვეა, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

ლექსოს ცოლი ეხლა ამავე სოფლის მასწავლებელია. მას ... ... პედტექნიკუმი დამთავრებული.

ზაქრო ჩვენი სოფლის ახალი ინტელიგენციის იმ კადრებს ეკუთვნის, რომლებიც თანდათან სცვლიან კოლმეურნეობის ძველი ტიპის ხელმძღვანელობას, ჭირ-გადახდილსა და ცხოვრებაში გამოცდილს, მაგრამ შედარებით მაინც ჩამორჩენილ მუშაკებს.

ზაქროს ლურჯი ხალათი, ხოლო ფეხზე ლამაზად ასხმული ქალამნები აცვია. თავზე კოხტა თუშური ნაბდის ქუდი აქვს წამოდებული.

მარცხენა მხარეზე დარდიმანდულად მოუგდია მწვანე სამხედრო სათბური. ის მარჯვენა ხელით ჯიბიდან სათუთუნე ქისას იღებს, ქაღალდზე თამბაქოს ჰყრის და ცალი ხელითვე სწრაფად ახვევს, მერე ენას გაუსვამს და უკვე კბილებში აქვს პაპიროსი გამორჭობილი. ნამდვილი ფასი ამ ვირტუოზული სიმარჯვისა ჩემთვის უფრო გასაგები ხდება ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მეუბნებიან, რომ ზაქროს მარცხენა ხელი არა აქვსო. ხელი მას ჯერ კიდევ თორმეტი წლის ბავშვს დაუკარგავს, როდესაც გაჭენებულ ცხენს ჩამოუგდია ძირს.

დღეს პირველი მზიანი დღეა ხანგრძლივი უამინდობის შემდეგ. კოლმეურნეები მინდვრად არიან გასულნი.

ზაქრო ერთგვარ აჟიოტაჟს განიცდის, როდესაც გვიამბობს, რა გულმოდგინედ ემზადებოდნენ ისინი ამ დიდი და პასუხსაგები მუშაობის დაწყებისათვის. სანამ პურისა და ქერის მკას დაიწყებდნენ, კოლექტივს უკვე მოთიბული ჰქონდა თავისი სათიბები, თივა — მოზიდული და დაზვინული.

დღეს ქერი და პური იმკება. თორმეტი მთიბავი მუშაობს ცელებით. ორ დღეში ქერს მორჩებიან. შემდეგ პურებს შეუდგებიან. მათ გარდა იმუშავებს ერთი სალეწი მანქანა და ერთი კომბაინი. ცხრა კალო არის გაძართული და საძიც კიდევ მზადდება.

ზაქრო სიამაყით გვიამბობს, რომ ვაკაცებს გარდა, მინდვრის სამუშაოებში თავდადებით მუშაობენ მოხუცები და ქალები. ბავშვები უმთავრესად გამოყენებულნი არიან მეხრეებად, თავთავის ამკრეფლებად. ხევსოფლის სკოლის მოსწავლე შალიკო ჯაბაგიძემ ერთ დღეში ათი კილო ქერის თავთავი მოკრიფა, მოსწავლე სანდრია სულიაურმა დღემდე უკვე გამოიმუშავა ოთხმოცდაათი შრომა-დღე, წლიური მინიმუმი კი ას შრომა-დღეს შეადგენს თვითეულ კოლმეურნეზე.

10 აგვისტო, სამშაბათი.

საცხოვრებლად გადავდივარ ს. თრანში, ის სამი კილომეტრით არის დაშორებული გუდანელებს და უფრო მაღლობზეა გაშენებული.

ვიწყებ ცხოვრებას არჩილ ბურდულის სახლში. არჩილი აგრონომია, ომის დაწყებიდან ფრონტზეა წასული.

შინ მხოლოდ მისი და ანიკო დარჩენილა, გასათხოვარი ქალი. მთელ დღეს მინდვრის სამუშაოზეა გასული.

ეზოში შავი ნაგაზი აბია, სახელად ჩოდარა. ის არის ერთად-ერთი ყარაული სახლისა და ეზოსი.

ძალიან მიყეფდა, მაგრამ ჩქარა დიდი მეგობრები გავხდით, ერთი ნატეხი პური გადაიქცა ჩვენი მეგობრობის მიზეზად.

12 აგვისტო.



დღეს დილით თრანში მესტუმრა ბალებისხეველი მიხა წიკლაურიშვილი, ლამაზი ვაჟკაცი, 50 წლისა, სამწუხაროდ უკვე ავადმყოფი [illegible] დაძაბუნებული. ხუთი წლის წინათ მას დამბლა დასცემია. ხელი და ფეხი სტკივა, ენას უკავებს.

მას, შედარებით თავის მეზობლებთან, მდიდარი ბიოგრაფია აქვს.

ათი-თორმეტი წლის ბავშვი მამას წაუყვანია წინამძღვარიანთ-კარში, საშეურნეო სკოლაში. წინამძღვარიანთ-კარი ერწოს ახლოს არის, ს. ბალებისხევს სულ 12 კილომეტრით არის დაშორებული.

1903 წელს წინამძღვარიანთ-კარის სკოლამ საზეიმო დღე გადაიხადა. ამ ზეიმს დაესწრო თვით ილია წინამძღვრიშვილი და თბილისიდან ჩასული სხვა სტუმრები. მათ შორის ილია ჭავჭავაძეც იყო.

მიხას კარგად ახსოვს ილია — მთლად ჭალარა იყო, მრგვალი, დაბალი, ჩაბსკვნილი.

სიტყვებს ამბობდნენ რატომღაც რუსულად; მას, მიხას, არაფერი ესმოდა. ხედავდა კი, რომ ყოველ სიტყვის ბოლოს ტაშს უკრავდნენ.

ილიას არაფერი უთქვამს, ის იდგა, ხალხს და ბავშვებს შესცქეროდა, იღიმებოდა.

ასე ნათლად ჩაებეჭდა მის ბავშვურ მეხსიერებას ილიას სახე.

ცხრაას ხუთში მამამ უკანვე წაიყვანა ბავშვი სკოლიდან.

მერე ილია მოჰკლეს საგურამოსთან. დიდხახს მიხას ვერ გაეგო, რად უნდა მოეკლათ „გლახის ნაამბობის“ და „კაკო ყაჩაღის“ დამწერი?

სამი წლის წინათ ის ქალაქში იყო და იყიდა წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. იქ ამოიკითხა და გაიგო პირველად, რომ თურმე ილია მეფის მოსყიდულ ბანდიტებს მოუკლავთ.

იმპერიალისტური ომის დროს მიხა გერმანიის ფრონტზეა, 1914 წელს ტყვედ ვარდება. ოთხი წელიწადი ტყვედ არის უცხო ქვეყანაში. სილეზია, საქსონია, ბერლინის მიდამოები. ქართველი ტყვეები ერთად იყვნენ. მას, როგორც ფელდფებელს, არ ამუშავებდნენ. ბოლოს, თვითონ მოითხოვა სამუშაოზე წასვლა. ამ დროს ის ხშირად ხვდებოდა მოსახლეობას, ცოტა გერმანული ენაც ისწავლა.

თვრამეტ წელში ის სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად ბრუნდება სამშობლოში.

1930 წლიდან მოკიდებული შვიდი წლის განმავლობაში ის კოლექტივის თავმჯდომარედ იყო თავის სოფელში. ბევრი ჯაფა გადახდა, ბევრი უძილო ღამე, თავსატეხი და ნერვიული შრომა გადაიტანა.

— ერთხელ ცხენიდან გადმოვვარდი, 1937 წელს, წავიქეცი, გონება დავკარგე, და ასე უგონოთ ვიყავი სამი კვირა. მერე, როგორც იქნა გამოვბრუნდი, ქალაქში ვიყავი ექიმებთან, ვმკურნალობდი. ექიმმა მითხრა, სისხლი ჩაგქცევიაო. როგორც გატეხილი ჯოხი არ გამთელდება, ისე შენ აღარ გამოკეთდებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხა დიდიხანია ლექსებსა სწერს. ჯერ კიდევ ტყვეობაში ყოფნის დროს მთელი რვეული გაუვსია ლექსებით.

ის გურამიშვილივით თავის დარდებს ლექსებში აქსოვდა.

გურამიშვილივით მწარედ ოხრავდა პრუსიაში ტყვეობის დროს. ესეც ოთხ წელს ოცნებობდა თავის სამშობლოზე.

ხევსურთ-სოფელში ყოფნის დროს ჩავიწერე ხარ-კამეჩის სახელები:

ხ ა რ ე ბ ი: კოხტა, სურმა, შვინდა, თვალშავა, მურა, თოქმა, ღვინა, ჭოტა, კომშა, ვასკა, თაფლა, ასანა, კოფია, ნებიერი, შამილა, ლომა, ნიკორა, წაბლა, ღილა, ნიშა, ჯერენა, წონია, ბაზიერი, ვარდია, გიჟა, კუდა, კუმსა.

კ ა მ ე ჩ ე ბ ი: ირმა, ლაღა.

ძ რ ო ხ ე ბ ი: თაფლა, მარწყვა, შველა, მასკვლია, აწგალა, სურათა, ბეკოია, წითურა, სოფა, ნატო, მინა, ჭოტა, ბალდადა, მაყვალა, ბენეშა, კუდვარდა.

დ ე კ ე ულ ე ბ ი: ანეტა, რეტიანი, მასკვლია, კურდღელა, ნიშა, წაბლა, მთვარია, ალია, ნინა, ქოთანა, ოლია, სურათა, ციცინათელა.

მ ო ზ ვ რ ე ბ ი: ღვინა, შუქურა, ნიშა, ღილა, კუდვარდა, კუზიანი, ვეფხვია, ნაცარა, კუმსა, კუდა, ჩალა, კონდოლა, შვინდა, მურა, ღრიალა, ჯერანა, სიკვდილა, რევაზა, წაბლა, კუდა, მურა.

ბ უ ღ ე ბ ი: თვალშავა, ყარამანი.

ზ ა ქ ე ბ ი: მარგალიტა, ნალება, შამილა, როსტომა, კარანა, ყელქედანა, ნიკორა, ლაღა, ლომა.

---

14 ა გ ვ ი ს ტ ო.

კალოზე, ფარდულში, პირველი ბანალეწი მოიტანეს. ეს კომბაინის ნამუშევარია. ერთი ჰექტარიდან დაახლოებით ერთ ტონამდეა აღებული პურის ხორბალი.

— შარშანწინ ტონა ნახევარი ავიღეთ ჰექტარიდან, — მეუბნება იოსებ წიკლაური. ის და დათიკო წიკლაურები ფარდულში შენახულ პურს ყარაულობენ.

იოსებ წიკლაური ცნობილი გუთნისდედა იყო ამ მხარეში. ეხლა მთიბავია. ის სამოცი წლისაა. შვილი მარჯვე ვაჟკაცი ჰყავს.

— აძეძაზე რომ არხი გავჭერით, — ექვსი მეტრი იქნება, თუ მეტი არა სიგანით, — ჩემმა შვილმა კოლამ უთხრა არხზე მომუშავეებს, — რამდენიმე ასი კაცი იქნებოდა, — ნიძლავზე თითო მანეთი მომეცით, არხზე გადავფრინდებით. არ მისცეს, არ გადახტა. გადახტებოდა-კი. ხტომა მაგარი იცის. მუშაც კარგია.

მოდის მიხა წიკლაური. მოაქვს წერილები, გაზეთები.

ფარდულში მე გაზეთს ვუკითხავ კოლმეურნეებს. ამასობაში მიხა სოფელში მიდის და არიგებს დარჩენილ წერილებს.

უმეტესი ნაწილი წერილებისა ფრონტიდანაა გამოგზავნილი. მიხა წიკლაური სასურველი სტუმარია კოლმეურნის ოჯახში. მისი გამოჩენა ფრონტზე წასული ძმისა თუ შვილის ამბის მოსვლას ნიშნავს.

იოსებ წიკლაური მეუბნება მიხას შესახებ, როდესაც ის წავიდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ვაჟკაცი იყო, ჭკვიანი. თავიანად მიჰყავდა კოლექტივის საქმე... ცხენმა გადმოაგდო, მას შემდეგ არის ავად. ნახე, ენასაც უკავებს.

საღამოს ცა ისევ იღრუბლება. მხოლოდ ცის კიდურზე მოსჩანს ფართო მეწამული ზოლი. მზე დიდებულად ესვენება მთებს იქით. მისი უკანასკნელი სხივები სისხლის ფრად ღებავენ ღრუბლებს.

გავდივარ სახლიდან, გზას ვიმოკლებ ზურაბ ბურდულის მწვანით დაფენილ ეზოზე. ზურაბი აივანზეა. სალამს ვაძლევ.

— ხვალ კარგი ამინდი იქნება? რას იტყვი?

— არა, ეს წვიმისა არის, — მიპასუხებს ზურაბი.

მივდივარ ილიკო ბურდულთან. მისი ცოლი თებრო ფურნესთან დგას, ცხელ-ცხელ პურებს იღებს.

— ნუ თუ ხვალაც იწვიმებს? აი ზურაბი ამბობს, რომ ეს წითელი ზოლი ცის დასავალზე წვიმის ნიშანიაო.

— მართალს ამბობს, — შენიშნავს თებრო. და იცქირება დასავლეთისაკენ, — მთის ხევსურები იტყვიან: „მწუხრად წითდაო და დილა წვიმდაო“.

სავსე მთვარე ამოდის. ერწოს ველზე მუქი ცისფერი ბინდია გაწოლილი.

15 აგვისტო, კვირა.

გუდანელების წყაროსთან ვხვდები მიხა წიკლაურს. დილის თერთმეტი საათია. ის უკვე კარგა ხანია მიცდის. შორიდანვე ვიცანი წყაროს ქვაზე ჩამომჯდარი მიხა. იქვე სხედან — კოლექტივის აგრონომი, მიწის-მზომელი, კიდევ ორი კოლმეურნე — ჭინჭარაული და ქერაული.

ჭინჭარაული ახალ ამბავს გადმოგვცემს: წუხელ ორხევში ვილაც უცნობებს მოუკლავთ ხევსური სიკვდილა.

მე და მიხა ვეთხოვებით მოსაუბრეებს და მივდივართ. ჩვენი მარშრუტია: კვირის-ხევი, კვერნაულა, ბალების-ხევი, სიონგორი და, ბოლოს, სიონის ეკლესია, რომელიც მაღლა გორაზეა წამოდგმული, დაბურული ტყის პირად.

აი მივდივართ ტოლათ-სოფლის შარაზე. მიხა ჯიბიდან იღებს და მაწოდებს ძველებურ ფულს, რომელიც მან ამას წინათ იპოვნა კვერნაულში, გზაზე.

ფული სპილენძისაა, ირანული წარწერის გვერდით სასწორია ამოტვიფრული.

მიხა მთხოვს ეს ფული მუზეუმს გადავსცე.

შოსე გადავჭერით და მინდორ-მინდორ მივდივართ ბილიკზე.

აი სოფელი კვირის-ხევი.

რიყის ქვით და აგურით ნაშენი სახლები, კრამიტით დახურული. კრამიტი ყველას ახალი ხურავს. სახურავები ყაყაჩოებივით ელავენ მწვანე და ყვითელ ფერებით მობიბინე ველზე.

— ოცი-ოცდახუთი წლის წინათ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აქ და მთელ ერწოში მიწურებში ცხოვრობდა, საქონელთან ერთად, — ამბობს მიხა, — ეხლა ვერსად შეხვდებით მიწურებს.

მივდივართ ქერისა და პურის ყანების გასწვრივ.

აი ვეებერთელა პურის ყანაში სამკელი მანქანა მუშაობს. სამი ულელი ხარი უბია სამკელს. სამკელის ფრთები ქარის წისქვილის ფრთებივით ტრიალებენ. მეძნეური ქალები ჩარიგებულან ყანის ირგვლივ, [illegible] ჩამოიკლის სამკელი, გადმოჰყრის მოჭრილ პურის თავთავებს, მეძნეურები ძნებს ჰკრავენ და რიგში აწყობენ.

მერე მეურმეები მოვლენ, ძნებით დატვირთავენ ურმებს და კალოზე წაიღებენ.

მინდვრად ყველგან გახურებული მუშაობაა. იქ, სადაც სამკელი მანქანები არა ჰყოფნით, ყანებს მთიბავები შესევიან. ყანის თავიდან ვხედავთ: ორი მცელავი, ერთი წინ, მეორე ცოტა უკან, მიჰყვებიან პურს და სთიბავენ. ისინი მღერიან და რიტმიულად უსვამენ ცელს.

მზე მაგრა აცხუნებს, მიწას ალმური ასდის, ჰაერში ყრუ ერიალი ისმის.

— წინა მთიბავი ახალი დაბრუნებულია წითელი არმიიდან. ფეხშია დაჭრილი, შვებულება აქვს. მაგრამ რაც ჩამოვიდა, მისი ხელი არ ვაჩერებულა. საუკეთესო მთიბავია, დღეში ჰექტარნახევარს სთიბავს.

მიხა ამბობს, რომ ასეთი საუკეთესო მთიბავები მარტო აქ არ არიან,— გუდანელებში ერთი არაბულია, ჰექტარნახევარი ჩვეულებრივი ნორმაა მისთვის დღეში.

პატარა ხევს გადავდივართ.

ამის შემდეგ იწყება სოფელი კვერნაულა. აი სოფლის ბოლოში უზარმაზარი ზვინებია. ზვინებს იქით კალოებია გამართული. ყანიდან გზაზე გადმოდის ძნებით დატვირთული ურემი.

ორი უზარმაზარი კამეჩია გაბმული საძნე ურემში. ამ ლევიაფანებს წინ უძღვის სამოცი წლის მოხუცი. წითელი პერანგი აცვია, თავზე თუშური ქუდი ხურავს.

სალამს ვაძლევთ მოხუცს.

მიხა მაცნობს მას, სამაგალითო კოლმეურნეა, ვანო დიდებაშვილი, ცნობილი კაცი ბალების-ხევის კოლექტივში.

ვანოს ოთხი შვილი წითელ არმიაშია წასული. დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოსდის წერილები შვილებისაგან. ორი მოსკოვის მხარეს არის, ერთი უკრაინისაკენ, მეოთხე შვილი წყნარ ოკეანეს წითელფლოტელია.

სად არ არიან წასული ბალების-ხეველი ბიჭები! მოსკოვის მისადგომებზე, უკრაინის ველებზე, წყნარ ოკეანეს შორეულ ნაპირებზე. ისინი იცავენ თავიანთ სამშობლოს თავისუფლებას, ისინი სისხლს ღვრიან, რომ დაიცვან თავიანთი ხალხის მშვიდობიანი შრომა.

მათი გული უწყვეტი ძაფებით არის დაკავშირებული თავის ქვეყანასთან, თავის ხალხთან, თავის პატარა კოლექტივთან, რომელიც ერწოს ვრცელ ველის ტყიან კუნჭულშია მიფენილი.

ვანო ჭარმაგი მოხუცია. ორმოცი წლის ვაჟკაცს წააგავს. სხარტი ლაპარაკი, მკვირცხლი მოძრაობა, გასაოცრად ახალგაზრდული სიცილი, რომლის დროსაც მას უჩანს ბროლივით თეთრი კბილები, — ყოველივე ეს ადასტურებს მის მაგარ ჯანს და დაუღეველ ენერგიას.

— ოჯახში მე დავრჩი ჩემი უმცროსი ქალით და პატარა ბალღით, ჩემი შვილიშვილით. სამნივე ვმუშაობთ, ჯერჯერობით ხუთასი შრომა-დღე გვაქვს გამომუშავებული. რა ვქნათ, უნდა კარგად ვიმუშაოთ, რომ ჩვენც დავრჩეთ, ქვეყანასაც პური მივცეთ. უნდა ვეცადოთ, არ შევიმჩნიოთ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯელები შინ ალარა გვყავან. იქაც დავეხმარებით, ჩამოვლენ და გაუხარდებათ, მადლობას გვეტყვიან, რომ საქმე არ წაგვიხდენია.

ვანო ლიმილით ახედ-დახედავს მიხას.

— რაოგორა ხარ, მიხავ?

მერე მე მომმიბრუნდება:

— ეს ჩვენი კოლექტივის პირველი თავმჯდომარე იყო. პირში არ ვაქებ, ძალიან თავიანად უძღვებოდა საქმეს. ძალიან ვემადლიერებოდით. მაგრამ მერე ავად გახდა, დაძაბუნდა, ველარ შეიძლო მუშაობა. გახსოვს, მიხა, კოლექტივში რომ არ მინდოდა შემოსვლა? რა ვიცოდი, ახალი საქმე იყო, ვუცხობოდით.

— ჰო-და, ჩემო ძმაო, ეხლა ხომ დაგიჯდათ ჭკუაში? — ამადლის მიხა.

— დაგვიჯდა, დაგვიჯდა, — იცინის ვანო, — ეხლა რომ გამაგდონ კიდეც, კოლექტივიდან გამსვლელი არა ვარ!

ვანო გრძელ სახრეს უტყლაპუნებს კამეჩებს. ურემი ნელა იძვრის ადგილიდან და მიდის კალოსკენ.

კალო რამდენიმე ადგილას არის გამართული. პატარა გოგო დგას კალოს შუაგულში, გრძელი თოკით უჭირავს სამი-ოთხი ცხენი და როგორც ცირკში, გრძელი შოლტის მოქნევით დაარბენინებს მათ თავის ირგვლივ.

ქერს ლეწავენ.

ერწოში ეხლაც მეტწილად ცხენის ფლოქვებით ლეწავენ კალოს. ცხადია, ეს პრიმიტიული წესი შემორჩენილია და იყენებენ ამყამად, რადგან სალეწი მანქანები და კომბაინები არა ჰყოფნის აქაურ ყანებს.

ბალების-ხევში კანტორის წინ ყმაწვილები დგანან. ერთი მათგანი მოანგარიშეა, მეორე, ახალგაზრდა ვაჟკაცი, მიხაკო გაბიდაური. მას ხელში ცელი უჭირავს და მინდორში აპირებს წასვლას. მესამე — უცნობი მგზავრია, მეზობელ სოფლიდან.

კოლექტივის თავმჯდომარე ბერდია არაბული კანტორაში არ არის. მინდორშია წასული. ის წუხანდელი ნაქეიფარია, მაგრამ დილაადრიან მაინც სამუშაოზე გასულა.

— წუხელის, — ამბობს გაბიდაური, — ტოლათ-სოფელში ქორწილში ვიქეიფეთ, კოოპერატივის ნოქარმა ქალი მოიყვანა სვიმონიანთ-ხევიდან.

ქალი საბარგო ავტომანქანით გადმოუყვანიათ სამეფოსთან. მთელი საქორწილო კორტეჟი ერთ მანქანაში იყო მოთავსებული. ცხენები, ფარ-შუბები, ძველი ტრადიციული რიტუალები დავიწყებული აქვთ აქაურ ხევსურებს. საქორწილო მოგზაურობაც-კი ავტომანქანებით სწარმოებს აქაურ სოფლებში.

გაბიდაურს გზაში ვერ მოუთმენია, ბერდიასათვის თოფი გამოუტაცნია და სამჯერ უსროლია ჰაერში. ბერდიას დაუტუქსია ჭაბუკი, მაგრამ, მგონი, გუნებაში თითონაც არ იყო წინააღმდეგი ასეთი სამმაგი სალიუტისა ნეფე-დედოფლის პატივსაცემად.

გაბიდაური გვიამბობს ქორწილის ამბებს. ოხუნჯობა, გაშაირება ბევრი იყო, ვიცინეთ კარგად, მხოლოდ ქორწილი არა ჰგავდა ქორწილს:

— აბა რა ქორწილია, არც ზურნა იყო, არც საკრავი რამე. გიტარაზე უჩხაკუნებდნენ, მერე პატეფონი ააყვირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბიდაურს არ მოსწონს გიტარა და პატეფონი, რაც ერწოს ხევსურებში ძალიან მოდაშია ეხლა. იშვიათია ოჯახი, რომ გიტარა და პატეფონი არ ჰქონდეთ ამ სოფლებში.

მაგრამ გაბიდაური ძალიან გაერთო საუბარში. ის მხარზე იდებს ცელს და მიდის მინდორში.

ბერდია არა სჩანს.

მიხას მივყევარ თავის სახლში.

მიხას ქვითკირის ორსართულიანი სახლი უდგას. ქვემოთ გომურია, ზემოთ ორი საცხოვრებელი ოთახი. წინ საუცხოვო ხეხილის ბაღია, ძალიან იშვიათი აქაურ სოფლებში. საკარმიდამო ნაკვეთზე სიმინდი, კარტოფილი და თამბაქო უთესია.

აივნიდან გავსცქერი ერწოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს. აი გალმა მოსჩანს ხევსურთ-სოფელი, თოლენჯი, გორანა, ნადოკრა. ქვემოთ ველზე პურია და ქერის ყანებია. ზოგგან საშემოდგომო ანეულები უკვე გადახნულია, სწორი ყავისფერი ნაკვეთები ენაცვლებიან მწვანე სიმინდის ყანებსა და ოქროსავით მოელვარე პურებს.

ოთახში შევდივართ.

მიხა კარადიდან იღებს პ. უმიკაშვილის ხალხური პოეზიის კრებულს და მიჩვენებს იმ ლექსს, სადაც მამა-მისი, ქალიანთ ზაქარა არის მოხსენებული.

ვინმე ხევსურ ვ. კოპტონაშვილს 1888 წელს ჩაუწერია ეს ლექსი.

აი დასაწყისი ტაეპი:

„წიქა ნაცვლად დააყენეს, გაუხარდა ქვეყანასა,
პურადი კაცი ყოფილა, პატივსა სცემს სუყველასა,
უფრო მალ-მალ პატივსა სცემს სვიმონას და ბასილასა,
კალოზედ ჩაიბრაცუნებს იმ ქალიანთ ზაქარასა“.

მიხა კმაყოფილი სახით შემომცქერის, როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობ. შემდეგ შლის მეორე წიგნს — ქართული ლიტერატურის ქრესტომათიას კითხულობს ბარათაშვილის ლექსს.

საკვირველია ამ კაცის განსაკუთრებული სიყვარული მწერლობისა და წიგნისადმი.

ნახევარი საათის შემდეგ გზას ვადგევართ. ვტოვებთ ბალების-ხევს და სოფლის შარა-გზას მივყვებით. აი დაბლობში სოფელი სიონ-გორია. ეზოებზე გადავდივართ, გზის შესამოკლებლად.

მოულოდნელად გააფთრებული ყვითელი ცერბერი გამორბის გომურის გვერდიდან. მას უზარმაზარი ხახა აქვს დაღებული, წვეტიანი კბილები უჩანს, შეუპოვრად მოდის ჩვენზე და გამძვინვარებით გვიყეფს. მას მეორე ქოფაკი ეხმაურება შორიდან, მერე ისიც თავს გამოჰყოფს ორღობიდან და მორბის ჩვენსკენ. ეს უკვე თეთრი, გრძელბეწვიანი ნაგაზია.

ორივენი გრძელი ჯოხებით ვართ შეიარაღებულნი და დიდის მონდომებით ვიგერიებთ თავდამსხმელებს. ძაღლები თავს გვივლიან, მოპირდაპირე მხრიდან გვიტევენ.

ჩვენი ბრძოლა ხანგრძლივი იქნებოდა, რომ ქვითკირის სახლიდან მოხუცი დედაკაცი არ გამოსულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილეული ხმით ტუქსავს ის მურას და ტუგას. დედაბერი, ... ლეკმად არ ეყოფა ორივე ძაღლს, მაგიურ გავლენას ახდენს პირუტყვებზე. ისინი მორჩილად ბრუნდებიან უკან, თავს გვანებებენ, მაგრამ გულის მოსაოხებლად კიდევ დიდხანს გვიყეფენ შორიდან.

გავედით სოფლიდან და აღმართს შევუდექით.

სიონის ძველი ეკლესია მაღალ გორაზეა წამოჭიმული. მის უკან ულრანი ტყით დაფარული მთაგრეხილია. ამ მთის იქით არის საგურამოს სანახები.

ეკლესია პატარაა. საკურთხევლის მხრით, ეს იგი აღმოსავლეთით, ის მიბჯენილია მაღალ, მკვიდრად ნაშენ, ოთხსართულიან საომარ კოშკზე. კოშკს მრავალი სათოფური აქვს. კოშკის შიგნით, კედელში საიდუმლო კიბეა.

კოშკი და ეკლესია ცემენტით არის გადახურული, წყალი არ ჩადის.

ეკლესიაში კედლის მხატვრობის ნიშან-წყალი აღარა სჩანს, ის თეთრი კირით არის შელესილი.

კოშკის ჩრდილოეთით მიდგმული ყოფილა რაღაც შენობა, იქნებ ძველი ტაძარი, იქნებ ბერების სადგომი. ის ეხლა ჩამონგრეულია. ქვა დაშლილი არ არის, კედელი ცალკე დიდ ნატეხებად არის მორღვეული და დაქცეული.

ამ ნანგრევის გვერდით რაღაც სარდაფის მაგვარი შენობაა.

მიხას ჩავყავარ ამ სარდაფში.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს.

შევდივარ ქვით ნაშენ დარბაზში, რომელსაც თაღიანი ჭერი აქვს. თაღის შუაგულში სარკმელია, რომელიც საუცხოოდ ანათებს მთელ დარბაზს. კუთხეებში ორი დიდი ნიშია.

ეს შენობა მარანია.

ცხრა თუ ათი უზარმაზარი ქვევრია იატაკში ჩაფლული. კედლის გაყოლებაზე, სამის მხრივ, ქვის ამაღლებული ფართო კარნიზებია დატოვებული ტახტებივით.

შესავლის მარჯვნივ, ქვევრის თავზე, კედლიდან ქვის ღარი გამოდის. როგორც სჩანს, დერეფანში, რომელიც მარანს წინიდანა აქვს მიდგმული, საწნახლები ყოფილა გამართული. იქნებ ეს ღარი უფრო შორიდანაც იყოს გამოყვანილი, არა სჩანს, ნაშალი ქვა და ღორღი აყრია მას თავზე.

გარეთ გამოვდივარ. ეზო სავსეა საუცხოო ნამყენი ხეხილით.

მიხა მეუბნება, რომ ამ ოცდახუთი წლის წინათ ამ მონასტერში ცხოვრობდა ბერი, გვარად მიქაძე. მას გაუშენებია ნამყენი ხეხილი. კარგად უვლიდა ეზო-გარემოს. საქონელს არ უშვებდა შიგ, უფრთხილდებოდა.

ბერი იქვე მარხია ეკლესიის კარებთან.

ეზოს ეხლა ანწლი და ეკალი ფარავს. არავინ აღარ ამოდის ამ ეკლესიაში. წინათ აქ ხატობა იცოდნენ. ხევსურები მოდიოდნენ ამაღლებას და ფერიცვალებას. მოჰქონდათ საკლავი, ლუდი, არაყი.

ეკლესიის შიგნით, შუა ადგილას, ამაღლებული ადგილია, ძველი ლოდი დევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხა მეუბნება, ასე გამიგონია, ეს არჩილ მეფის საფლავიაო.

მე ჩაწერილი მაქვს ვახუშტის მიერ დასახელებული „გეოგრაფიული ადგილ-ტები ერწოს მიდამოებისა.

არსად ის სიონს არ ახსენებს. აქვს მხოლოდ მოხსენებული „მონასტერი". იქნებ ამ სიონს გულისხმობს ვახუშტი „მონასტრად"?

ბებერი წიფლის ჩრდილში, რძიან ბალახზე ვისვენებთ მე და მიხა.

აქედან ხელისგულივით მოსჩანს ერწო მთელ სიგრძეზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, კახეთის მთებამდე, რომელსაც ძირს იორი ჩაუდის ორხევისა და ბოჭორმის გაყოლებით.

მიხა მიამბობს სოფლის ამბებს.

— ბალების-ხევში ცხოვრობდა მოხუცი გიორგი ჭოლიკაური. ზედმეტ სახელად რაჭელს ეძახდნენ. რაჭელს ლამაზი ქალი ჰყავდა, სოფო. ეს გოგო კვერნაულელ ბიჭს უყვარდა, გოგია ბასილაურს.

და აი ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა. სოფელში ვიყავ, წყაროსთან. ამ დროს მესმის, მინდორში თოფი გავარდა.

ბავშვები მოცვივდნენ, მითხრეს, მინდორში, წნორებთან, რაჭელის ქალი ნახირს მიდენიდა, ბიჭები დახვდნენ და იტაცებენო. შენი ბიძაშვილი შაქრო წიკლაური ეშველება, მაგრამ მარტო რას გახდებაო.

ვიფიქრე, შაქროს მოჰკლავენ, თუ არ ჩავეშველე-მეთქი.

მაშინ კიდევ ჯანზე ვიყავი, მკლავიც და გულიც მერჩოდა. ხელად სახლში შევვარდი, ხანჯალი შემოვირტყი და დავექანე ქვემოთ, წნორებისაკენ.

მივედი, ვხედავ შვიდი-რვა ბიჭი შემოხვევია ქალს. ერთი მათგანი გოგია არის ბასილაური, დანარჩენები კიდევ — მისი ამხანაგები. გოგო ბალახებში გაწოლილა, ისინი მიათრევენ. მენახირეები, ყმაწვილი ბიჭები ესევიან, უნდათ ქალი დაატოვებინონ. ერთი მომტაცებელთაგანი, ლევან ზარიძე, ქალს ზურგით აჰფარებია, ხმალს იქნევს, მიმშველებლებს იშორებს თავიდან.

ქალი ყვირის:

— უძმო ქალი ვარ, ვაჟკაცებო, მიშველეთ!

— უძმო ქალის ძმა მე ვარ-მეთქი, — შევაძახე მე.

ხანჯალ-ამოღებული მივვარდი და მოუქნიე ლევანს. მაგრამ იმან ხმალი მომიქნია, მომწვდა, ხელში დამჭრა.

ამ დროს სხვებიც მოცვივდნენ სოფლიდან. ქალმა ისარგებლა შეხლა-შემოხლით, ხელიდან გაუძვრა გამტაცებლებს და მოუსვა სოფლისაკენ.

მიხას დაჭრა არ აკმარეს თურმე: ვიღამაც მაგარი ქვა ხეთქა კისერში. მან იქვე ჩაიკეცა, მაგრამ იმავე წუთს გონს მოვიდა და წამოიწია.

— თვალი გავახილე, შევხედე, — მინდვრის ბოლოზე რაჭელის ქალი გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს.

ჩვენც ვანებეთ თავი და გავეცალეთ იქაურობას.

ქალი შემდეგ სხვაზე გათხოვდა, ბიჭმა სხვა გოგო ითხოვა.

ასე გათავდა მათი ამბავი.

შემდეგ მიხა მიამბობს კოლექტივის დაარსების პირველი ხანების ამბავსაც. ჩვენ სოფელში კოლექტივი დაარსდა 1930 წელს თებერვალში. თავმჯდო-

მარედ ერთი ახალგაზრდა ამხანაგი იყო. ექვს თვეს მუშაობდა, შემდეგ სასწავლებელში გაგზავნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა საერთო კრება. მე ამირჩიეს თავმჯდომარედ. მახსოვს, შემოდგომა იყო. ჩვენ ახალ კოლმეურნეებისაგან სათესლე ხორბალი შევაგროვეთ, რომ საშემოდგომო ანეულები დაგვეთესა.

ერთ დღეს საწყობში ვართ, ტრიერით ხორბალს ვარჩევთ. მე ვარ, ჩვენი მასწავლებელი ქალი, — მარჯვე და მაგარი გოგო იყო, პარტიული, — და კიდევ რამდენიმე. ვხედავთ, გლეხები მოვიდნენ, ორი თუ სამი კაცი. ცივად მოგვესალმნენ.

— რაზე მოსულხართ? — ვეკითხებით.

— ჩვენი სათესლე ხორბალი, რაც წაიღეთ, უკან უნდა დაგვიბრუნოთ.

— რატომ, განა კოლექტივში არა ხართ? დავთესავთ და ერთი ასად დაგიბრუნდებათ თქვენი ხორბალი.

— აი ბიჭები მოვიდნენ, გვითხრეს, გლდანში კოლექტივი დაიშალაო და ჩვენც უნდა დავიშალოთო. არ გვინდა, მოგვეცით ჩვენი ხორბალი.

საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. ხან დავუყვავეთ, ხან დარწმუნების მეთოდს მივმართეთ, ზოგს კიდევაც დავემუქრეთ.

არ იქნა, არავითარი გავლენა არ იქონია ჩვენმა ლაპარაკმა.

— არაფერსაც არ გაგატანთ, — გულმოსული იძახდა ჩვენი მასწავლებელი ქალი, — ყურს ნუ უგდებთ თქვენს მტრებს, დაგვიჯერეთ, ჭორებს ნუ აჰყოლიხართ, იცოდეთ, ბოლოს ინანებთ...

რამდენიმე კაცმა მაინც წაიღო შემოტანილი ხორბალი.

გავიდა ერთი კვირა და ისინი დარცხვენილნი მოვიდნენ, უკანვე მოიტანეს სათესლე.

— მოგვატყუეს, გლდანში კოლექტივი დაშლილაო. ჭორი ყოფილა, ჩვენ კი მართალი გვეგონა, — თავს იმართლებდნენ ისინი.

გლდანი დიდ მოწინავე სოფლად და მისაბაძ მაგალითად მიაჩნდათ ჩვენებს, ის ხომ ყველაზე ახლო მდებარეობდა თბილისზე!

მიხას ვთხოვ, იმღეროს რამე. დიდ უარზეა. ბოლოს ტკბილი და საამო კრინით მღერის შაირს:

„გადმოგიხედე, ჯიჯეთო,
ველიანო და ტყიანო,
სადა ხარ, ჩემო წაწალო,
ჭრელ-თვალა, ყვითელ-თმიანო?“

— საკრავზე ხომ უკრავ, მიხა?

— ვუკრავ ფანდურზე... ტყეობაში გიტარაზედაც ვუკრავდი.

— მართალი გითხრა, არ მიყვარს გიტარა.

— რატომ, კარგი საკრავია, აქ ხევსურთ ოჯახებში ბევრსა აქვს გიტარა.

— ძველი საკრავი თუ რამეა შემორჩენილი?

— ეხლა აღარ არის. ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, საზანდარზე უკრავდნენ, აი გუდით რომ იკვრება, გეცოდინებათ. უკრავდნენ კიდევ ჭიანურზე. ამჟამად ჭიანურზე დამკვრელი ერწოში მხოლოდ ერთი ხევსურიღა მეგულება—ღვთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო ქიბიშაური, მეწისქვილე ბალების-ხევში. იქნება ასე ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი.

— ახალგაზრდები აღარ ეტანებიან ძველებურ საკრავებს?

— აღარ. უფრო გიტარას და მანდოლინას ეტანებიან. პატეფონს უკრავენ. ერთმა გლეხმა აქ შარშან პიანინოც კი მოიტანა ქალაქიდან. ორმოცი ფუთი ხორბალი მიეცა.

მიხა მიხსნის ზოგიერთ ხევსურულ სიტყვას:

ბუჭულა — პატარა წისქვილი.

კვიმსი ანუ კუმსი — ხმიადი პური, აუფუარი.

კუსი — ყველი.

სერა — ჭიანურის გობზე გადაჭიმული ტყავი.

უკან დაბრუნებულებს გზაზე ოფოფმა გადაგვირბინა.

— ფუი, დასწყევლის გამჩენი! ხევსურები იტყვიან, ეშმაკუჭა (ოფოფს ეძახიან) გზას რომ გადაგივლის, ცუდ ამბავს შეემთხვევიო. თუმცა მე კი არ გამომიცდია, არ ვიცი, — დასძენს მიხა.

---

17 აგვისტო.

მთელ ღამეს წვიმდა. დილას გადიდარა, მაგრამ დაბალი ნისლი მაინც აწვა მთელ ერწოს.

ნაშუადღევს მოიწმინდა, მცხუნვარე მზემ გამოანათა.

კალოზე მუშაობა კვლავ დაიწყო.

თრანში ჯერ ლეწვა არ დაუწყიათ. საკალოე ადგილს სწმენდენ, ძნებს ზიდავენ, ზვინებს სდგამენ, ფარდულებს ამზადებენ. ორი მზად არის, მესამე ეხლა მთავრდება.

ბრიგადირი ჩიტო წიკლაური ნახევრად დაშლილ ზვინზე შემდგარა, სამთითით ასწორებს ძნებს.

— ცუდი ნაკეთები იყო ძნა, დავშალე, ხელახლა ვზვინავ, — მეუბნება ჩიტო.

ახალგაზრდა კაცია, შავგვრემანი, შავთვალწარბა.

— წვიმა არ გვაცდის, ვცდებით ხალხი. თუ ასე იქნება, ჭირნახული გაგვიფუჭდება ყანებში.

ჩიტო სწრაფად მუშაობს სამთითით. გამოცდილი და მარჯვე ვაჟკაცია. წითელ არმიაშია ნამყოფი, ქართულ დივიზიაში მსახურებდა. ღვიძლის ტკივილის გამო უმწყობროში იქნა გადარიცხული. სოფელში დაბრუნდა, გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას. მისი ბრიგადა საუკეთესო მაჩვენებლებით გამორჩევა.

ჩიტოს ათწლედი აქვს დამთავრებული სიმონიანთ-ხევში. უნდოდა უმაღლესში განეგრძო სწავლა, მაგრამ ოჯახში მარტოხელობამ შეუშალა ხელი.

---

18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანებში გახურებული მკაა.

ილიკო ჭინჭარაული დადის, ათვალიერებს ბრიგადების მუშაობას. ახლავან ბრიგადირები ილიკო და ჩიტო წიკლაურები.

ერთ ადგილას დაქირავებული მომკელები მუშაობენ. ერთი მათგანი შესჩივის თავმჯდომარეს, რომ დღეს სადილი დაუგვიანეს. ილიკო საყვედურს ეუბნება ბრიგადირს, ჰპირდება მოხუცს მომკალს, ხვალიდან ასეთი რამ აღარ გამეორდებაო. თავის მხრივ ილიკო შენიშნავს მომკალს, ნელა მუშაობთ შენ და შენი ამხანაგებიო.

— რა ვქნათ, ხომ ხედავთ, როგორი ყანაა, თავთავი ერთმანეთშია არეული და ჩახვეული, ცხრილი გაგორდება ზედ, — იმართლებს თავს მომკალი.

თავმჯდომარე ბრიგადირს ილიკო წიკლაურს ეკითხება კალოს ამბავს.

ბრიგადირი კმაყოფილი არ არის.

— მოზვრები მოგვცეს სამუშაოდ კალოზე. გაუხედნელები არიან, წვებიან.

— შენც, რომ დაწვება, ააყენე და ისევ ამუშავე, — უპასუხებს ჭინჭარაული, — განა პირველად რომ გამოხვედი ყანაში, მკა იცოდი? არა. მაგრამ ისწავლე და ეხლა ხომ კარგად მკი? ეგრეა საქონელიც.

ბრიგადირს ეცინება.

— არა, ეგ კი მართალია, მაგრამ... ვნახოთ, გაიხედნებიან, ალბათ, კარგად იმუშავებენ...

— ნუ გეშინიათ, დღეს თუ ხვალ მთიდან ცხენები ჩამოგვივლენ და კარგად წავა ლეწვის საქმე, მოზვრების მაგივრად ცხენები ამუშავეთ, — აიმედებს თავმჯდომარე თავის ბრიგადირს.

---

21 აგვისტო.

კომბაინი მუშაობს, ტრაქტორს მიჰყავს. ტრაქტორს წინიდან კიდევ ორი უღელი ხარ-კამეჩი ეწევა. გუშინდელი ნაწვიმარია, მიწა სველია, კომბაინის ბორბლები ღრმად მიდიან მიწაში, ტრაქტორს უჭირს გაწევა.

კომბაინი გარშემო უვლის უზარმაზარ პურის ყანას. წვიმებმა დააზიანეს ყანები, პურის თავთავი ჩამუქებულია, ჩახვეული ერთმანეთში — მართლა რომ „ცხრილი გაგორდება“ ზედ.

შორიდან ვხედავ, კომბაინერის გვერდით მანქანაზე შუატანის კაცი დგას, ლურჯ-ხალათიანი. ეს ჭინჭარაულია.

ილიკო კაპიტანივით შემდგარა ზევით და მზრუნველი თვალით გადმოსცქერის ზღვასავით მღელვარე ყანას. ხშირად აკვირდება კომბაინის კონვეიერის მუშაობას. კომბაინი ზღაპრულ ვეშაპივით იტენის პირში მოჭრილ ძნებს.

ხან კომბაინერს მისცემს მითითებას, ხან ბუნკერს გადახედავს, სადაც ღარიდან იყრება ოქროსფერი ხორბალი.

აი ბუნკერი ივსება ხორბლით. მოდის კამეჩებ-შებმული ურემი, რომელსაც ფიცრის ძარი აქვს შედგმული. კომბაინი ჩერდება, ბუნკერიდან ხორბალი იყრება ურემში.

იცლება ბუნკერი, კომბაინი ისევ განაგრძობს სვლას.

ილიკო კმაყოფილია მეტად, რომ კომბაინი დაუბრკოლებლად მუშაობს.

ჩვენ ყანის პირას მწვანეზე ვსხდებით და თამბაქოს ვახვევთ.

— თუ ასე გაგრძელდა მუშაობა, ხუთ დღეში დავამთავრებ მკას, — ამბობს ილიკო. — კომბაინს გარდა სამკელები მუშაობენ. ნამგლით და ცელებითაც ვამკევინებ. გახურდა მუშაობა, გახურდა.

ილიკო აბოლებს მაღლა და...

— დასწყევლა ღმერთმა, რას გადამეკიდა ეს ოხერი!

ცაში ღრუბლის ნაფლეთები დაინახა. აი რაც ილიკოს ეხლა თვალით არ დაენახვება. მეორე კვირაა, რაც ზედიზედ გადაბმულად ორ დღეს არ უმუშავნიათ მოსავლის აღებაზე. ასეთი გამუდმებული წვიმები აგვისტოში ჯერ აქაურებს არ ახსოვთ.

— არა, მე მგონი, აღარ იწვიმებს, — იმედიანად ამბობს ილიკო. ის თავის მწვანე თვალებით იცქირება ყანის გადაღმა.

იქ, შორს, სამკელები მუშაობენ. სამ-სამი უღელი ხარია გაბმული იმ სამკელებში.

ილიკო სამ დღეს იყო თიანეთში წასული, რომ კომბაინისთვის ტილო ეშოვნა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ერწოში ორი კომბაინი აქვს. ერთი ხევსურთ-სოფლის კოლექტივს ემსახურება, მეორე აქ, გუდანელების კოლექტივის ყანებში მუშაობს.

— რატომ სხვა კოლექტივებსაც არ ემსახურება კომბაინი, რად გაძლევენ თქვენ უპირატესობას? — ვეკითხები ილიკოს.

ეცინება.

— იმიტომ, რომ დიდ სარგებლობასთან ერთად, რომელიც კომბაინს მოაქვს, იგი მოითხოვს დიდ ზრუნვასა და ყურადღებასაც. კომბაინი ხშირად ჩერდება, მას ნაწილები აკლია, ნაწილებს შოვნა უნდა, წასვლა, მოტანა. ეს ბევრ ენერგიას, დროს და შრომას მოითხოვს. აკი გითხარით, სამი დღე დავკარგე კომბაინის ტილოს საშოვნელად. უტილოოდ კი კომბაინის კონვეიერი არ იმუშავებდა. სხვა კოლექტივები ამჯობინებენ ისევ სამკელ მანქანებთან და თვითმკვრელებთან ქონდეთ საქმე, ესენი უფრო მარტივი მანქანებია.

ფარდულებში მოაქვთ გალეწილი პური და ქერი, აქ უნდა გაირჩეს და დახარისხდეს ხორბალი. აქედან უნდა გაეგზავნოს ხორბალ-დამზადებას სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი პირველი განალეწი.

ეს არის უწმინდესი და საპატიო მოვალეობა ყველა კოლექტივებისა და, რასაკვირველია, ილიკოც ცდილობს, პირველი იყოს ამ საქმეში.

ილიკო ათვალიერებს პურის ხორბლის ფარდულს. არ მოსწონს, ძალიან დახუთული ჰაერია. ბრიგადირს დათიკო წიკლაურს განკარგულებას აძლევს, გახსნას ფარდულის თავი და გვერდები, რომ ჰაერმა იმოძრაოს, — პური უფრო სწრაფად გაშრება.

ილიკო შემდეგ ათვალიერებს ტრიერს. ყოველ ბრიგადას თავისი ტრიერები აქვთ. ხვალიდან შეუდგებიან მარცვლის რკვევას.

ფარდულში გრილა. ხორბალით სავსე ტომრებზე ვსხედვართ. გარეთ თაკარა მზე აცხუნებს. ფარდულების წინ, ფართობის ერთ კუთხეში, უკვე გაუმართიათ კალო, ქალები ანიავებენ გალეწილ ქერს.

კალოს ქვემოთ დასუქებული ულაყები სძოვენ ბალახს. ისინი გრძელი თოკებით არიან პალოზე მიბმულნი.

ეს ულაყები რამდენიმე დღის წინათ ჩამოარეკინა ილიკომ ბრიგადა. კოლექტივს მთელი ჯოგი ჰყავს ცხენების.

სწორედ ამ ულაყებს ალეწინებენ აქ ქერებს. ილიკო მეუბნება, რომ ქერის ლეწვა ცხენის ფლოქვებით უფრო ჩქარა ხდება და უდანაკარგისოდ, ვიდრე კევრებით, რომლებშიაც ხარები არიან შებმული.

ცხენებს გავსცქერით. უეცრად ერთი ულაყი ღონივრად მოიქნევს თავს, — ალბათ, აბეზარა ბუზანკალის მოსაშორებლად, — და მაგრა დაჰქაჩავს თოკს. პალო ძვრება მიწიდან, ჰაერში შეტრიალდება და მთელი ძალით ეფერთხება ცხენს ფეხებში.

დაფეთებული ულაყი გვერდზე ხტება. პალოც მისდევს. ცხენი გარბის. პალო ხტუნვით მიჰყვება.

შეშინებული ცხენი ზვინებს გარშემო უვლის. რამდენიმე კაცი ხვდება მას დასაჭერად. მაგრამ წყეული პალო ყოველ გადარბენაზე კოჭებში ეხლება მთაში გაგარეულებულ ცხენს. ფაფარ-აშლილი ულაყი თავქვე ეშვება, გადარბის გზაზე და ელვის სისწრაფით მიფრინავს დალმართზე.

— აი შე სამგლეკ, აი, შე წყეულო! — მიჰყვირის ბრიგადირი ილიკო წიკლაური, მას შუბლზე ფართო ხელი მიუჩრდილებია და გასცქერის გაქცეულ ცხენს. ჰგზავნის კაცებს, რომ დაიჭირონ გადარეული პირუტყვი.

ლექსო არაბული, კოლექტივის საწყობის გამგე, ფარდულში შემოდის. ისიც სეირს უყურებდა. თამბაქოს ახვევს და ძველ ამბავს იგონებს.

— თოლოლჩაში ერთი არაბული იყო, ფშაველას ეძახოდნენ თურმე. მე მისი მომსწრე არა ვარ, მაგრამ ამბობენ, გოლიათი იყოო, მთელ ამ მხარეში ვერავინ შეედრებოდა ღონით. ერთხელ თურმე ფშაველამ დაინახა, სოფლის გზაზე სადოლე ცხენი მორბის, ზედ პატარა ბიჭი ზის, თავს ვერ უკავებს, ფშაველამ იფიქრა, ეს ცხენი სოფელში უსათუოდ დააშავებსო ვინმეს, და წინ გადაუდგა. ამბობენ, ფშაველამ მხოლოდ მკლავი გაიშვირა, ცხენს ჰკერდზე დაახვედრა და ისე გააჩერაო.

უფრო მეტის დამაჯერებლობისათვის ლექსო არაბული გვიამბობს, რომ ფშაველას ხელებზე თურმე მაჯის სისხო თითები ჰქონდაო, იმდენად მსხვილი, რომ ხორბლის მარცვლის აღება არ შეეძლოო.

საუბარი შეეხო სხვა ქართველ გოლიათებს, ძველსა და თანამედროვეს. გაიხსენეს მოჭიდავეები: ნესტორ ესებუა, სანდრო კანდელაკი, თიანელი და საგარეჯოელი ფალავნები.

სალამოთი ჩემთან სტუმრად მოდის მეზობელი, ახალგაზრდა ყმაწვილი, ვასილ ბურდული. ის თხუთმეტი წლისაა, მაგრამ იერი და ლაპარაკი მომწიფებულ ვაჟკაცს მიუგავს.

მას შვიდწლედი დაუმთავრებია წელს ტოლათ-სოფელში და შემოდგომიდან წინამძღვრიანთ-კარში მიდის სწავლის გასაგრძობად. უნდა ან ვეტექიმობა ისწავლოს, ან მემინდვრეობა, ან კიდევ ფუტკრის მოვლა.

ალსანიშნავია ერწოელ ხევსურთა სოფლის ახალგაზრდობის უდიდესი მისწრაფება განათლებისაკენ. ერწოს სოფლებში ოთხწლედები და შვიდწლედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია გახსნილი. სვიმონიანთ-ხევში ათწლედია. აქაური ბავშვები ალარ სჯერდებიან ათწლედის დამთავრებას და ბევრი მათგანი, თუ კი ოჯახური გარემოება ხელს შეუწყობს, უმაღლესი განათლებისაკენ მიისწრაფის.

ვასილ ბურდულიც არ კმაყოფილდება შვიდწლედის ცოდნით. მას რაიმე სპეციალობის შესწავლაც სურს. ვასილი მეუბნება, თუ კი წინამძღვრიანთ-კარის სკოლამ არ დამაკმაყოფილა, სწავლას თბილისში განვაგრძობ.

ვასილი ცნობისმოყვარე თვალს ავლებს განჯინაზე შეწყობილ ჩემს წიგნებს და მთხოვს მივცე რაიმე წასაკითხავად.

მე ვაკმაყოფილებ მის თხოვნას.

22 აგვისტო, კვირა.

კალოზე, ფარდულში, გალეწილ და გაწმენდილ ქერს სწონიან. სასწორზე დგას ფარდულის ყარაული დათიკო წიკლაური. ის იბარებს ქერს.

დათიკო იწონის ქერს, იწერს დავთარში, ანგარიშობს, ეშლება მიმატება, ხელახლა იწყებს ანგარიშს.

იქვე ქერის ტომარაზე ზის აგრონომი სანდრო ორჯონიკიძე, ის ზეპირად ითვლის მოტანილ ტომრების წონას და ეხმარება დათიკოს.

სანდროს ანგარიში თითქმის მუდამ სწორი გამოდის.

— ჰო, მეც ეგრე ვიანგარიშე, სწორია,—ამბობს დათიკო და უბეში იდებს დავთარს და ფანქარს.

აგრონომს მთელი რიგი ახალი ღონისძიებები შეუტანია კოლექტივის მემინდვრეობაში, ჭირნახულის შენახვასა და სხვა საქმეში.

სანდრო ამბობს, რომ წელს პირველად დასთესა აქ ამერიკული ჯიშის სიმინდი, რომელსაც ახასიათებს ვეგეტაციის მცირე პერიოდი — მწიფდება 20 — 25 დღით ადრე ადგილობრივი ჯიშის სიმინდებზე. გარდა ამისა, ამ სიმინდს გამოსავალიც მეტი აქვს, თითო ღერი სამ-ოთხ ტაროს ისხამს, მაშინ, როდესაც ადგილობრივ ჯიშებს 1 — 2 ტარო ასხიათ.

წელს სანდრო აპირებს და კოლექტივის თავმჯდომარეც თანახმაა, პირველად დაარღვიოს ტრადიციული წესი ერწოში სიმინდის ტეხვის და შენახვისა. აქამდე ერწოში თითქმის ყველგან ტარომოუტეხლად სჭრიან ჩალას. ეს წესი სანდროს მიუღებლად მიაჩნია: ხშირად ადრეული წვიმები ყანაშივე უსწრებენ მოუტეხელ სიმინდს, ამიტომ როცა ნოტიო ჩალას მოსჭრიან და მოზიდავენ, ტარო მეტწილად ფუჭდება და მატლიანდება სინესტისაგან.

სანდრო აპირებს ჯერ ტარო მოატეხინოს, როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოში ხდება, მოაზიდვინოს ფარდულში და გაარჩევინოს. ჩალის მოჭრა შემდეგაც შეიძლება, დეე დასველდეს, ჩალა გაშრება, არ გაფუჭდება. სანდროს წინადადებითვე კოლექტივი წელს აშენებს რამდენიმე სასიმინდეს, აქამდე სიმინდი ინახებოდა გომურების თავზე და ხშირად ფუჭდებოდა.

დათიკო წიკლაური მიამბობს ერწოში მოსახლე ჭავჭავაძეების ავან-ჩავანს.

მას ახსოვს მხოლოდ ერთი მოსახლე თავადი ჭავჭავაძე ს. საყარაულოში.

— ორი ძმა იყო, — ამბობს დათიკო, — უფროსი თამამი, ხოლო უმცროსი ბეჩავი. უფროსი არ ვიცი, რა იქნა, ხოლო ბეჩავი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ერქვა, კარგად მახსოვს. ძმები გაუყოფლები იყვნენ. მათ ეკუთვნოდათ ... რაულო და აგრეთვე იმ მიდამოების ტყე და ველები. კარგი მამული ჰქონდათ.

ცხოვრობდნენ სასახლეში, რომელიც ერთი თოფის სასროლზე იდგა სოფლიდან. სასახლესთან ჰქონდათ ნამყენი ხილის საუცხოვო ბაღი.

იორზე ჭავჭავაძეებს ეკუთვნოდათ ორი დიდი წისქვილი, ერთში ათი თვალი ბრუნავდა, მეორეში რვა.

კოტეს ერთი ქალი სიყვარულით გაჰყვა მთის ხევსურს, ახალგაზრდა ვაჟკაცს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ თავადის ქალი გაჰყოლოდეს მდაბიოს.

ეხლა ის ქალი ცოცხალია და ცხოვრობს ქმართან დუშეთის რაიონში.

კოტეს ვაჟი ეხლაც საყარაულოს კოლექტივშია, მოანგარიშედ მუშაობს.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჭავჭავაძეების მამულში ხევსურები ჩამოეხიზნენ. ისინი ამუშავებდნენ თავადის ყანებსა და მინდვრებს.

რევოლუციის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს დასახლება იმ ნაკვეთებზე, რომელიც უშუალოდ ეკრა თავადის სასახლეს.

რამდენიმე კომლი დასახლდა, გაჩნდა პატარა სოფელი, ეხლა იმ სოფელს სასახლე ეწოდება.

ჭავჭავაძეთა არსებობა თიანეთის მხარეში თითქოს ერთგვარად ადასტურებს ზეპირსა და ლიტერატურულ გადმოცემას ჭავჭავაძეთა მთიულური წარმოშობის შესახებ.

მაგონდება ერთი ფშაური ლექსი, შეტანილი დ. ხიზანაშვილის კრებულში, რომელიც შემდეგი სტრიქონებით იწყება.

„ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში, ჭავჭავაძეო“... და სხვ.

სოფელი ფუძნარი ეხლაც არსებობს თიანეთისა და დუშეთის რაიონების მიჯნაზე ბოდავის ხევის პირას. არის მთა ფუძნარიც, იმავე სანახებში.

საგულისხმოა აგრეთვე გარსევან ჭავჭავაძის (ალექსანდრეს მამის) სიტყვები, შეტანილი იოანე ბატონიშვილის მიერ „კალმასობაში“:

„მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვა“.

---

23 აგვისტო, ორშაბათი. თრანი.

დილით მივდივარ გუდანელებში.

გავყურებ უსაზღვრო ველს. ღრუბლის ნაფლეთებიდან მზე იხედება და ყვითლად აელვარებს პურისა და ქერის ყანებს.

გზაზე ვეწევი ლექსო არაბულს.

ის მესაუბრება მოსავალზე, ამინდზე. იგონებს ზოგიერთ ძველ ამბავს.

მაგონდება ფშაველა არაბული.

ლექსო ფშაველას შესახებ კიდევ ერთ ამბავს მომითხრობს:

ერთხელ ფშაველას ჩხუბი მოუვიდა ღერენა წიკლაურთან, სოფელ თრანიდან. ღერენა ძამურების გვარს ეკუთვნოდა. ისიც ძალიან მაგარი ვაჟკაცი იყო თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ფშაველა და ღერენა მეზობლებმა გააშველეს. ღერენა წავიდა და თან დაეჭადნა ფშაველას, შეგხვდები, გაგისწორდებიო.

მეორე დღეს ღერენა დილა ადრიან ადგა და ჩუმად წავიდა, ტყეში. ტყე-ტყე იარა, რომ არავინ შეხვედროდა. ჩუმად მიუახლოვდა ფშაველას სახლკარს, თხილებში ჩაიმალა და იქიდან დაზვერა თავისი მტრის ეზო-გარემო.

უნდოდა პირისპირ შეხვედროდა ფშაველას და ჭკუა ესწავლებინა გათამამებულ ვაჟკაცისათვის.

აი ისიც: ფშაველა ეზოს კუნჭულში ფუსფუსებს. ვეებერთელა ქვაბი უდგას ცეცხლზე, ცეცხლი გიზგიზებს. ფშაველა თავს დასტრიალებს ქვაბს— არაყს ხდის.

აი ფშაველა დაიხარა, ხუთკოდიან ქვაბს იქით-აქეთ ყურებში ხელი დაავლო, გადმოიღო ცეცხლიდან და იქვე ღელეში ჩასდგა, როგორც სჩანს, გასაცივებლად.

ღერენა სახტად დარჩა,—სამ კაცს გაუჭირდებოდა იმ ქვაბის ადგილიდან დაძვრა. ფშაველამ კი ბუმბულივით ასწია, თითქოს არაფერიო.

შეკრთა ვაჟკაცი. ღერენა ჩუმად წამოდგა, თხილებიდან გაძვრა და იმავე გზით გაიპარა უკან, საიდანაც მოვიდა.

ჩავიდა სოფელში და არავისთვის არ გაუმხელია ეს ამბავი.

კარგა ხნის შემდეგ ღერენამ თვითონვე უამბო სიცილით თავის მეზობლებს, თუ როგორ გადაარჩინა ის საარაყე ქვაბმა მაგარ მიბეგვას.

---

24 აგვისტო.

დილაა. დაბალი ნისლი აწევს ერწოს ველს. მანქანაზე ვზივარ და მივდივარ თბილისში. უკანასკნელად თვალს ვავლებ გარშემო მიდამოს.

აი მზე აბრძანდა,—როგორც აქაური ხევსურები იტყვიან, განათდა ველი, ნისლმა აიწია.

შორს გარკვევით მოსჩანს საყდრიონი, ხევსურთ-სოფელი.

ტყეში შევდივართ. გზა ალმართზე მიიკლაკნება, ასწლოვანი ხეები დაგვცქერიან თავზე. ტყეში ჯერ კიდევ ბინდია. სულ ზევით და ზევით მივდივართ. სქელი ნისლი გვხვდება კორტოხზე.

გზის დარაჯის სახლია იქ წამოდგმული. გზა ცოტა ხანს ვაკეზე მიდის, შემდეგ თავქვე ეშვება. ნისლში არაფერი სჩანს, სამ მეტრზე კაცს ველარ იცნობ.

ილიკო თბილისში მოდის. საწვავი მასალა მიწურულზე აქვს, სასწრაფოდ უნდა იშოვოს და მიაწოდოს კომბაინს, თორემ ამ გახურებული მუშაობის დროს მისი შეჩერება არ იქნება. ტრაქტორსაც სჭირდება შველა. ანეულების ხვნა მთავრდება, სულ ცოტა-ღა დარჩა და ეხლა ტრაქტორის დადუმება, დღე და ღამ რომ ქოთქოთობდა აძეძის პირას, გეგმის შეუსრულებლობას ნიშნავს.

მაგრამ მანქანა დღესვე დაბრუნდება უკან. დღეს საღამოს საწვავის მარაგი ექნებათ მანქანებს.

ილიკო ოპტიმისტია, მის სახეზე ენერგია და მშვიდი დაჯერება იხატება. ყველაფერს იშოვის, ყველაფერს გაარიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ დაბლა და დაბლა ვეშვებით. ნისლები სწრაფად გადარბიან ჩვენს თავზე, თითქოს ქარიშხალი მიერეკებოდეს მათ, მაგრამ ჰაერი არ ძვრის, ტყეში მყუდროებაა.

აი გამოვედით ნისლებიდან. ქვემოთ ისევ ტყეები და პურის ყანები მოსჩანან. ძირს, ხევის პირას პატარა სოფელია.

ახლად ამოსული მზე დაჰყურებს სოფელს და წითლად აკრიალებს კრამიტის სახურავებს.

ეს არის ცხვარიჭამია. სოფლის თავში ძნის ვეება ზვინები გაწოლილან. იქ კალოებია. პურს ლეწავენ. ქალები ნიჩბებით მისდგომიან და ანიავებენ ხორბალს.

დაილოცა ხვავიანი შემოდგომა!

ცის ნამი, მიწის ბარაქა, კოლმეურნის მადლიანი შრომა დღეს ერთ წმინდა მიზანს ემსახურება: ჩვენი სამშობლოს გამარჯვებას ვერაგ მტრებზე!

მთებსა და მთებს შუა, გადასახედში, მოსჩანან თბილისის ჩალისფერი მიდამოები. ცხელი ნიავი გვცემს დაბლობიდან. ეს ჩვენი მშობლიური დედაქალაქის სუნთქვაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ რილსკი
უკრაინა

უკრაინას

უკრაინავ ძვირფასო, მწვანე ველებიანო,
მშობლიურო ქოხებო, ქალაქებო მზიანო.
მკერდით იცავ სამშობლოს ძლევის ცეცხლით გზნებული-
ვერ გაშინებს ვერაგ მტრის ურდო გამხეცებული.

უკრაინავ, შრომაში ხარ ბეჯითი, თამამი,
აისის ჟამს შენს წყლებსა ჰშვენის ლურჯი კამკამი.
დღეს შენს გვერდით იბრძვიან შენი მოძმე ერები,
შენთან ერთად მტერს სპობენ ბასრ მახვილის ძგერებით.

შემოჭრილან წინადაც მკვლელები შენს არეში,
გახსოვს გამხეცებული ბათიების თარეში.
მაგრამ ნანგრევებიდან — ლურჯ გვირგვინის ციალით, —
კვლავ აღმდგარა კიევი — ლაღი, ხალისიანი.

ხედავ — რუსი მხარს გიდგას შენი მოძმე ერთგული,
ქართველი და ტაჯიკი — შენთვის თავდადებული.
ჩვენი ძმობა მტკიცეა და უშრეტი ძალები,
ვიცით რისხვით ანთება ლომის გამძვინვარებით.

გწამდეს, მალე დადგება აღსასრული მტრებისა,
დაჰკრავს ჟამი დიადი ჩვენი გამარჯვებისა.
იცისკროვნებს მარადის შენი ბრძოლა მძლეველი,
შენი ბასრი მახვილი, ცეცხლის ალის მფრქვეველი!

თარგმანი **ხარიტონ ვარდოშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკოლა გაჟანი
უკრაინა

არწივებს

ხიშტით და ტანკით, ბომბით, ყუმბარით
ვმუსრავთ ქვემძრომებს დარტყმით მედგარით,
ვსპობთ იმათ რიგებს ჩვენ რკინის ღვარით —
სისხლისმსმელ ძაღლებს არ აქვთ ხსნა, შვება!

ირგვლივ გაჩაღდა ხანძარი სწრაფი,
დიად მიზნისკენ ერთად ვისწრაფვით
ორასმილიონ ხალხის ღვართქაფით, —
და გზას გვინათებს ჩვენ გამარჯვება.

იდიდოს ხმალი გმირის ლომ-გულის,
შავბნელ ურდოზე მძლედ ამართული,
ფაშისტურ წყვდიადს მოელის სრული
განადგურება ომით დიადით.

დაიძრა ხალხთა მრისხანე ჯარი,
გმირობისათვის ყველა მზად არი;
სჭექს საერთო ხმა მტრისთვის საზარი:
„მოვსპოთ ფაშიზმი ცეცხლით, ფოლადით!“

თქვენ მოტორებო, მეტ გააფთრებით
გაჰკვეთეთ სივრცე, ფოლადის ფრთებით,
რისხვად დაატყდით ხროვას ბილწ მტრების,
შეტევის ზათქში დასცხეთ ბომბები!

მსოფლიო ლოცავს ამ შურისგებას,
ჩვენი ბომბებით ხანძრის ანთებას,
ელვისებრ დარტყმას, მძლედ დაჯახებას,
რომ ცოფიანი მოვსპოთ ძაღლები!

მძლე არწივებო! აფრინდით ჩქარა!
ცის კამარიდან მტერს დასცხეთ ზარი,
ბილწი სვასტიკა ობობასგვარი
გასრისეთ, მოსპეთ, დაადგით ფეხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, ქვემძრომთ იგრძნონ შიშის ციება,
რომ აღარ ელით მათ პატიება, —
საბჭოთა ხალხის შურისძიება,
მათ დღეს უმოკლებთ თავს დანატეხი.

სიკვდილი იმათ! სვლა ულმობელი,
დარტყმა ზეზუსტი, დარტყმა ფიცხელი,
ქვეყანა, ტყვექმნილ მსოფლიოს მხსნელი,
დღეს გადამწყვეტი ფრენით იმართვის.

ფაშისტთა ხროვავ, აწ არსად არი
თქვენთვის ხსნა, ხვრელი, თავშესაფარი!
ჰფრენენ არწივნი, სჩექს ხმა მედგარი:
„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

თარგმანი **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარიტონ პლიევი
სამხრეთ-ოსეთი

ანდერძი

ჩემო მერანო, დღე და ღამ ბრძოლით
შენ მოსვენებას ვერსად ჰპოებდი,
როს მამაც მხედარს გულანათრთოლი
ომის ქარცეცხლში დააქროლებდი.

მტრების ბანაკში, რისხვად ანთებულს,
მიმაქანებდი შიშველი ხმალით,
და სამშობლოს მტერს, გაბოროტებულს,
ჩემი მახვილის აგემე ძალი.

ჯერ დაისვენე ცოტახანს ველზე,
სძოვე ბალახი მსუყე და მწვანე;
ხვალ კი, როცა მზე იელვებს მთებზე —
მტრისკენ ჭენებით კვლავ გამაქანე.

ისევ მოგველის ბრძოლების ქარი,
მტრის სისხლი ისევ ჩვენ უნდა ვღვაროთ,
და მხოლოდ ერთი მაქვს სათხოვარი —
წმინდა ანდერძი მსურს დავიბარო:

ომში ხიფათს ვერ აცდება კაცი,
და, თუ დავეცი მტერთან ბრძოლაში,
მწარე ამბავის მაუწყებელად
შენ გრიგალივით გაფრინდი მთაში.

დილით ადრიან დაადექ გზასა,
ჩემ სახლთან ფლოქვი დაჰკარ მიწაზე
და, როცა ნახავ შეგროვილ ხალხსა,
შენ ჩემს მეზობლებს უთხარი ასე:

— თქვენი ვაჟკაცი — მე თვითონ ვნახე —
მტერთან ბრძოლის დროს დაეცა მთებში,
დე, იგონებდნენ მარად მის სახელს
სალამურის და ფანდურის ხმებში!

თარგმანი **ვახო გორგაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. პუშკინი

ზღაპარი მეფის მკვდარ ასულზე და შვიდ გოლიათზე

მეფე, დედოფალს — მნათობის მსგავსსა, —
გამოეთხოვა, გაუდგა გზასა.
ზის დედოფალი სარკმელთან, მარტო,
მეფეს მოელის, ველს გასცქერს ფართოს.
გასცქერის ვიდრე ცას, მოკამკამეს,
შავი ბინდებით დაბურავს ღამე.
ზის მოლოდინით განაწვალები,
მარადჟამ ჰვრეტით სტკივა თვალები,
მაგრამ მეგობარს ვერ ხედავს ვერსად,
გარეთ გრიგალი ჰქუხს უმძაფრესად.
ზეციდან ცვივა თოვლის ფანტელი,
თეთრად მორთულა მიდამო ვრცელი.
ზის დედოფალი და მეფეს ელის,
თვალუწვდენ ველებს ცხრა თვე გასცქერის,
და შობა ღამეს, ვაით და კვნესით —
შობა ასული უსაყვარლესი.

*
* *

როს დილის შუქმა გაჰფანტა ბნელი —
მარად ძვირფასი და სასურველი
დაბრუნდა სახლში მგზავრი გვიანი,
ოჯახის მამა, მეფე სვიანი.
ცოლმა შეხედა ქმარს — გულის იმედს,
და ფიცხლავ კვნესა აღმოხდა მძიმე,
ვერ ზიდა გრძნობა ღელვით გზნებული
და შუადღის ჟამს დალია სული.

*
* *

დიდხანს სტანჯავდა მეფეს ნაღველი,
მაგრამ ცოდვებმა დარიეს ხელი,
როგორც სიზმარი გაფრინდა წელი —
მეფემ შეირთო სხვა — სასურველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზნე, ახალგაზრდა და მშვენიერი,
მართლაც მეფური ჰქონდა იერი.
ბროლივით თეთრი, ხალისიანი,
სარო ტანადი, მეტად ჭკვიანი.
მაგრამ ამაყი და იჭვიანი,
თან კუდაბზიკა და ეინიანი.
არ იშორებდა, დაჰქონდა მარად —
დედის მზითევი — სარკე პატარა.
სარკე იშვიათ თვისებით სავსე
ენამეტყველი და მობაასე.
დედოფალს სარკე უყვარდა გულით,
მისი სიამე და სიხარული.
მასთან ხუმრობდა ტკბილ მოკისკასე,
და მოკრძალებით ეტყოდა ასე:
— „სარკეო, ძვირფასო, სინათლევ თვალის,
მისმინე თხოვნა, მითხარ მართალი,
ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“
სარკემ მიუგო: „მართალი არის —
ქვეყნად ვინ ჰპოვოს შენი სადარი.
შენებრ კეკლუცი, ლამაზი, კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი“.
და დედოფალმა იწყო ხარხარი,
მიმოარხია მხრები ნარნარი.
ააკამკამა თვალი ლამაზი,
აატკაცუნა თითები ნაზი.
იწყო ტრიალი კვლავ უზრუნველად
და მედიდურად სარკეში ცქერა.

*
* *

მაგრამ ხელმწიფის ასული, ჩვილი,
იფურჩქნებოდა, როგორც ყვავილი.
ვულმკერდს ივსებდა სისხლით და ჯანით,
და გაიფურჩქნა, აუშვა ტანი.
თეთრ სახეს წარბი ზვენოდა შავი,
იყო გულმშვიდი და მომხიბლავი.
და გამოუჩნდა საქმარო მაშინ,
მძლე ელისეი — ხელმწიფის ვაჟი.
მეფეს ეწვია სიძის მზახალი,
უხვი მზითევი უკვე მზად არი:
შვიდი საკაჭრო ქალაქი — ვრცელი,
და საჯალაბო აურაცხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ქალთა ნადიმის ახლოა ჟამი,
და დედოფალი, ამპარტავანი, —
კოხტად ირთვება, სარკის წინ მდგარი
და ეუბნება: — „სარკევ, მითხარი,
ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“
სარკე მიუგებს: — „შენც კარგად იცი
ხარ მშვენიერი, არ უნდა ფიცი.
მაგრამ შენ გჯობნის მეფის ასული,
მწველ სილამაზის ხატება სრული“.
დედოფალი მყის შეტრიალდება,
სახეს ემჩნევა რისხვით ანთება.
მისწვდება სარკეს, ძირს დაანარცხებს,
ფეხით გასთელავს და ეტყვის ასე:
— „აჰ, საზიზღარო, ბოროტო, სარკევ,
არ ამბობ მართალს, ცილს შწამებ განგებ.
ჩემს უტურფესად ის ვით ჩასთვალე.
მის სისულელეს ავლაგმავ მალე!
რას ბედავს, ბრიყვი, შეხედეთ ერთი!
მერმე რა, ისიც რომ არის თეთრი?
ფეხმძიმობის ჟამს მაგისი დედა
იჯდა მარტოკა და თოვლს უცქერდა.
მას როგორ ძალუძს ყოველმხრივ მჯობდეს,
ჩემზე უალრეს სიტურფეს ჰფლობდეს?
არა, ლამაზი და ჩემზე მშვენი,
მთლად რომ მიმოვლო სამეფო ჩვენი —
ან დედამიწა, — ვერ ნახო მეტი.
ხომ მართალია?“ სარკე კვლავ ეტყვის:
— „მეფის ასული უფროა კარგი,
უფრო ლამაზი და სახე მანგი!“
დედოფალი კვლავ აივსო შურით,
გულს გაუღვივდა ზრახვა მაცთური,
სარკე მიაგდო კუთხეში, იქვე,
მოსამსახურე მოიხმო მყისვე,
შავტუხა გოგო, ერთგული მონა, —
და განზრახული მას შთააგონა:
თან წაიყვანოს მეფის ასული
ტყეში, სად სუფევს სიჩუმე მკვდრული.
იქვე დასტოვოს ხელფეხშეკრული,
რომ მგლების ხროვამ იჯეროს გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

როს დიაცსა ჰფლობს რისხვით ანთება
მასთან ეშმაკიც ვერას გახდება.
და მეფის ასულს გოგო, ფარეში, —
სწვდა, წაიყვანა უდაბურ ტყეში.
ასულმა იგრძნო დედინაცვალის
ავი ზრახვა და იწყო კანკალი.
გოგოს მიმართა ცრემლიან თვალით:
— „რა დავაშავე დაო, მითხარი.
მსხვერპლად ნუ გამხდი მაცდური ვნების,
და დედოფალი როცა გავხდები,
მე დავაფასებ შენს ამაგს ყარგად“.
მეფის ასული მსახურს უყვარდა,
მიტომ არ მოჰკლა, თან შეიბრალა,
ტყეში დასტოვა და უთხრა წყნარად:
— „ნუ სწუხ, ღმერთია შენი მფარველი!“
შინ როს დაბრუნდა მსახური ქველი,
მოესმა კითხვა დედოფლის თქმული:
— „რა ჰქენ, სად არის მეფის ასული?“
— „დავტოვე, მარტო, უდაბურ ტყეში. —
მიუგებს რიდით გოგო-ფარეში. —
შებოჭილს ცრემლი უსველებს თვალებს,
ნადირის კერძი გახდება მალე.
დიდი ლოდინით ბევრს არ იწვალებს,
განაწამებ სულს ადვილად დალევს“.

*
* *

მეფის ასულის დაკარგვის ცნობამ
ხალხს მწუხარების ალუძრა გრძნობა.
და ელისეი — ხელმწიფის შვილი,
აივსო სევდით და სიმძიმილით.
ღმერთს შეევედრა, შესთხოვა შველა
და გაეშურა მთასა და ველად
რათა იპოვოს საცოლო ნაზი,
სულის საუნჯე, სატრფო ლამაზი.

*
* *

მეფის ასული, შთენილი ტყეში,
დიდხანს ვიდოდა კლდესა და ღრეში.
და აისის ჟამს კოშკი იხილა,
მის კარიბჭესთან მივიდა ფრთხილად,
შემოეფეთა ფინია გზაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყეფა შესწყვიტა, იწყო თამაში.
ასულმა კოშკის შეალო კარი,
ირგვლივ მიდამო იყო მდუმარი.
და აირბინა გრძელი კიბენი,
უკან ფინია მისდევდა ლრენით.
და დერეფანი როს განვლო ვრცელი,
კარის სახელურს შეახო ხელი.
შევიდა იგი დარბაზში მალვით,
და მიმოავლო მის კედლებს თვალი:
შუქით ელავდა დარბაზი სრული,
იდგა მერხები მოფარდაგული,
ხატების ქვემოთ მაგიდა გრძელი,
საწოლ ტახტითურთ ლუმელი ძველი.
ხედავს ასული, გულდაწყვეტილი,
რომ აქ ბინადრობს ხალხი კეთილი
და არ მოელის საწყენი ავი,
მეფობს დუმილი, არ ჩანს არავინ.
შემოიარა დარბაზი ვრცელი,
დაასუფთავა ნივთი ყოველი.
ხატებს აუნთო სანთელი კრძალვით,
და გააჩაღა ლუმელში ალი.
შემდეგ, როს გათბა, დაღლილი დიდად,
რბილ შანიშანზე წამოწვა მშვიდად.

*
* *

სადილობის ჟამს ესმა ხმაური —
ფეხის ხმა მძლავრი და უცნაური.
დარბაზში გაჩნდა რაინდი შვიდი,
ლოყა ღაჟღაჟა, ბრგე, ტანად დიდი.
უფროსი ამბობს: „ვიშ, რარიგ შვენის
დღეს რა სუფთაა აქ ყველაფერი.
ეს საქმე არის უცნობი ხელის,
ალბათ აქ არის, ჩვენს ნახვას ელის.
ვინ ხარ, გამოჩნდი, ნუ იმალები,
დაგვიმეგობრდი, ნუ გვეკრძალები.
თუ ხარ მოხუცი კაცი საამო,
ბიძად გიწამებთ სამარადჟამოდ.
თუ ჰაბუკი ხარ ლოყაწითელი,
საყვარელი ძმა გახდები ჩვენი.
თუ დედაბერი ხარ, ხანდაზმული,
დედას გიწოდებთ, ჩვენ, წრფელი გულით.
და თუ ასული ხარ, სავსე ეშხით,
იყავ ჩვენი და უსაყვარლესი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ამ დროს გამოჩნდა ხელმწიფის ქალი
და მათ წინ თავი დაჰხარა კრძალვით,
თან უმდაბლესი სალამი მისცა,
და დარცხვენილმა მოიბოდიშა,
რომ უნებართვოდ მათ სახლში არის —
მოუწვეველი, უცხო სტუმარი.
მათ მოისმინეს უცნობის თქმული, —
იცვნეს — ნათ წინ დგას მეფის ასული.
კუთხეში დასვეს სტუმარი ზრდილი,
შემდეგ მიართვეს ნამცხვარი ტკბილი.
ღვინით ააესეს თასი ნარნარი,
და მიაწოდეს ძვირფას ლანგარით.
მან გადახედა მასპინძელს კეთილს,
ღვინო არ შესვა არც ერთი წვეთი.
მხოლოდ ნამცხვარი შეჭამა ცოტა,
და რადგან, დაღლილს, ძილი სწყუროდა, —
დაეტყო რული, იწყო მთქნარება,
და მოსვენების ითხოვა ნება.
მათ წაიყვანეს მეფის ასული,
გააღეს კარი ზემო სართულის,
იქ მიუჩინეს ნათელი ბინა.
და მთვლემარ ასულს მყის ჩაეძინა.

*
* *

დღენი-დღეთ სცვლიან, სიცოცხლით მჩქეფნი,
და ახალგაზრდა ასული მეფის,
კვლავ ტყეში ცხოვრობს, მოსული შორით,
არ გრძნობს მოწყენას რაინდთა შორის.
როს წყვდიადს გაჰკვეთს აისის ფრთები,
აიშლებიან ძმა-რაინდები,
და სასეირნოდ მიდიან ველად,
ხან იხვს მოჰკლავენ, ხელის საკთელად,
ხან მდიდარ ვაჭარს, საროჩინელსა,
თავზარს დასცემენ, ართმევენ ცხენსა.
ხან საწყალ თათარს, ბასრი ხმლებითა,
თავს წააცლიან ფართო მხრებიდან.
ხანაც იფრენენ უდაბურ ტყიდან —
გულზვიად ჩერქეზს, ძალლონით მდიდარს.
მეფის ასული — შთენილი მარტო,
დიასახლისობს, ჰგვის დარბაზს ფართოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლს გააჩაღებს, საჭმელს ამზადებს,
ზრდილი, ავ სიტყვას არავის ჰკადრებს.
მასაც პატივს არ აკლებენ ძმები,
და ასე სცვლიან დღეებს — დღეები.

*
* *

ძმებს შეუყვარდათ მეფის ასული,
მშვენიერების ხატება სრული.
ერთხელ დილის ჟამს, დიდ მოკრძალებით,
შევიდნენ მასთან რაინდი ძმები.
უფროსმა ჰკითხა: — „შენც კარგად იცი,
დად მიგიჩნიეთ, არ უნდა ფიცი.
შვიდი რაინდის ისმინე თქმული:
შვიდთავეს შენი გვწვავს სიყვარული.
გვწადიან ცოლი რომ გახდე ჩვენი,
მაგრამ ეს არის შეუძლებელი.
გთხოვთ მოგვარიგო რაყიფი ძმანი,
და ერთერთ ჩვენგანს უწოდო ქმარი.
სხვებისთვის მაინც დაი იქნები.
თავს რისთვის აქნევ, რისთვის ფითრდები?
ნუთუ გვაწბილებ და გვეტყვი არას,
ლირსეულ საქმროდ აღარ გვთვლი განა?“
— „ო, მშობლიურო, ძვირფასო ძმებო,
ნამუსიანო ახალგაზრდებო! —
ეუბნება მათ ასული მწველი, —
დეე მომაგოს ღმერთმა სასჯელი,
თუ გატყუებდეთ ამომხდეს სული,
მე საქმარო მყავს, ვარ დანიშნული.
ჩემთვის ერთია ყველა თქვენგანი,
ვგრძნობ ხართ ჭკვიანი, აღსავსე ჯანით.
გულით მიყვარხართ, ნდობა მაქვს თქვენი,
მაგრამ სხვა არის ჩემი მფლობელი.
იგი ჩემია, ვერ გავცვლი სხვაში —
მძლე ელისეი, ხელმწიფის ვაჟი“.

*
* *

გაშეშდნენ ძმები. დაეტყოთ ვნება,
და მოიფხანეს მოწყენით კეფა.
შემდეგ უფროსმა მიმართა რიდით:
— „კითხვა ხომ ცოდვა არ არის დიდი.
გთხოვთ გვაპატიოთ და ვფიცავთ ზენას —
კვლავ ამ საგანზე არ დავძრავთ ენას“.
— „მე არა ვწყრები, — მიუგო კრძავლით, —
უარის თქმისთვის არ მიდევს ბრალი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ასულის წინ თავი დახარეს,
მყისვე განშორდნენ, მიჰფარდნენ თვალებს.
ერთად ცხოვრება განაგრძეს კვალად,
და-ძმური გრძნობით, თანხმობით მარად.

*

* *

დედოფალი-კი, ბოროტი დიდად,
მეფის ასულზე ფიქრობდა ხშირად,
შურისძიების ცეცხლს გულში ზრდიდა,
სარკის ხსენება მარად ზიზღს გვრიდა.
ასე განვლო დრომ და ერთხელ, დილით,
კვალად მონახა სარკე გმობილი.
და მასთან დასხდა, იცვალა ფერი,
მყის უკუაგდო რისხვა ძლიერი.
ღიმით აენთო ცბიერი სახე —
ალერსიანად მიმართა სარკეს:
„სალამი სარკევ, სინათლევ თვალის,
დამიგდე ყური, მითხარ მართალი, —
ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“
სარკემ მიუგო: — „ქვეყანამ იცის,
ხარ მშვენიერი, არ უნდა ფიცი,
მაგრამ შორს, ტყეში, სად კოშკი არის —
ცხოვრობს უცნობი და უჩინარი, —
შვიდ გოლიათთან — ასული მწველი,
შენზე ლამაზი და მომხიბვლელი“.
დედოფალი კვლავ აენთო ზიზღით,
და მსახურ გოგოს შესძახა რისხვით:
— „ჩემთან ტყუილი გაბედე როგორ?“
— „ვარ დამნაშავე!“ — მიუგო გოგომ.
დედოფალს რისხვა დაეტყო მეტი,
და მოუღირა მსახურ ქალს კეტი,
თანაც სთქვა: — „მოვკვდე, ამომხდეს სული —
თუ არ დავღუპო მეფის ასული!“

*

* *

ერთხელ ასული ნაზი, ნარნარი,
ღია სარკმელთან მარტოკა მჯდარი,
ძაფს რთავდა, ძვირფას ძმებს მოელოდა,
შუადღე იყო, ნიავი ჰქროდა.
უცებ აყეფდა ფინია მწყრალი,
ასულმა ეზოს მოავლო თვალი,
და დაინახა ბებერი ქალი,
ძაღლს იგერებდა, შიშით შემკრთალი.
და გადასძახა სარკმლიდან: — „ბები,
დაიცა, ეხლავ მოგეშველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თვით ავლაგმავ მაგ წუწკ ფინიას,
დაგასაჩუქრებ, ნუ გეშინია!"
გაასავსავა ბებერმა ხელი:
— „ო, კარგო ბავშვო, — მიუგო წყენით, —
რამ გაახელა ეს ლეკვი ავი,
ალარ მეშვება, შემჭამოს ლამის.
რა ამბავშია შეხედე ერთი,
მოდი, მიშველე, იწამე ღმერთი!"
ასულმა პური აიღო მარდად,
და დედაბრისკენ მყის გაემართა.
მაგრამ მასაც სწვდა ძაღლი, თავნება,
ბებერთან მისვლა არ დაანება.
ბებერმა სცადა წინ წასდგას ფეხი,
უფრო გამხეცდა ძაღლი უკმეხი
და შეუტია დედაბერს ღრენით.
— „ცუდად იძინა, ალბათ, წუხელის!"
სთქვა ასულმა და ამართა ხელი,
ბებერს მიუგდო პურის ნაჭერი.
მან დაიჭირა პური ნასროლი,
და მეფის ასულს მიუგო თრთოლვით:
— „გმადლობ, ღმერთია მფარველი შენი,
აჰა, დაიჭი ეგ ჩემი ძღვენიც!"
და მეტად ქორფა, სიმწიფით მშვენი,
თურაშაული ლოყა-წითელი —
ესროლა ასულს ხელის ცახცახით.
ამ დროს საშინლად გაგიჟდა ძაღლი.
მაგრამ ასულმა ორივე ხელით
მყის დაიჭირა ვაშლი წითელი.
ბებერმა უთხრა: — „კარგია მეტად,
მიირთვი ვაშლი სადილთან ერთად".
და დედაბერი, ძლივს მოფამფალე,
ლანდივით გაჰქრა, მიჰფარდა თვალებს.
ასული უკან გაბრუნდა, მყისვე,
მის ახლოს გაჩნდა ფინია ისევ.
იწყო ყმუილი, შეხედა წყენით,
დალონებული და გულნატკენი —
თითქოს ანიშნებს არ სჭამოს ვაშლი,
მაგრამ ასული კეთილი, ნაზი,
ერთგულ ფინიას დაუწყებს ალერსს,
ეტყვის: — „რა მოხდა, რა გაწრიალებს.
დაწექ!" — და იგი მშვიდი და წყნარი
შევიდა სახლში, ჩაჰკეტა კარი.
სარკმელთან დასხდა, რთვას მიჰყო ხელი,
იქვე დაიდო ვაშლი წითელი.
და კვლავ შეხედა ალსავსემ ლხენით,
ნაყოფს გაიღენთილს უტკბილეს წვენით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტად ქორფას და სურნელით სავსეს,
ოქროსფრად მბრწყინავს და მოლაჟლაჟეს.
თითქოს თაფლია შიგ სანუკვარი,
შავი მარცვალნი გამოკრთის კანით,
უნდოდა ვაშლი მეფის ქალს, ლამაზს,
სადილობამდე არ შეეჭამა.
მაგრამ ვერ სძლია სურვილი მწველი,
ნელა აიღო ვაშლი წითელი,
პირთან მიიდო, შეახო კბილი,
ფიცხლავ შეჭამა ნაჭერი ტკბილი.
მყისვე დაეტყო არევა გულის,
და წაბარბაცდა სულშეხუთული.
მოწყვეტით დაბლა დაუშვა ხელი,
და გაუვარდა ვაშლი წითელი.
გონდაკარგულმა იწყო კანკალი,
მთლად დაუბნელდა სინათლე თვალის.
ხატების ქვემოთ დაეცა პირქვე,
აღმოხდა კვნესა, გაქვავდა იქვე.

*
* *

ამ დროს დაღლილნი სასტიკ ბრძოლებით,
შინ ბრუნდებოდნენ რაინდი ძმები.
როდესაც ეზოს შეავლეს თვალი
მოესმათ ძაღლის ყეფა-ღრიალი.
ხედავენ მათკენ ისწრაფის ძაღლი,
ძმებმა წარმოსთქვეს შემკრთალი სახით:
— „ეს კარგს არ ნიშნავს, ნაღველი გველის!“
კოშკის შეაღეს მყის კარიბჭენი —
და იწყეს ოხვრა, ეცვალათ ფერი.
ფინია ამ დროს ვაშლს მისწვდა ღრენით.
შეჭამა იგი, ძირს დაგდებული
და მყის გაქვავდა, დალია სული.
რაინდებს დარდით აევსოთ გული, —
იგრძნეს რომ იყო ის მოწამლული.
და მკვდარ ასულის წინაშე კრძალვით,
მუხლთ მოიდრიკეს, დაჰხარეს თავი.
და სდუმდნენ დიდხანს, — ამაოებით;
შემდეგ წრფელ ლოცვით და სასოებით —
ქალთან მივიდნენ, მოკაზმეს ამოდ,
დასამარხავად სამარადჟამოდ.
მაგრამ შეჩერდნენ, შეხედეს კვალად,
მეფის ქალს თითქოს ეძინა წყნარად.
მკვდარს არ უგავდა იერი ტურფა,
თითქოს წუთის წინ შესწყვიტა სუნთქვა.
სამ დღეს უცდიდნენ, კვლავ სდუმდა ქალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაახილა ერთხელაც თვალი.
ასე გავიდა კვლავ მცირე ჟამი,
და მეოთხე დღეს აიღეს გვამი.
ბროლის კუბოში ჩასდეს და მყისვე
წაიღეს მოთქმით უდაბურ მთისკენ.
ღამეში განვლეს შორი მანძილი,
და დანიშნული ჰპოვეს ადგილი.
ალმართულიყო იქ ბოძი ექვსი,
ყველა მაღალი და უმტკიცესი.
ჯაჭვით მიაკრეს მათ კუბო მინის,
გარს მოაჯირი მოავლეს რკინის.
და გარდაცვლილ დის წინაშე, წყნარად,
უხუცესმა ძმამ თავი დაჰხარა,
წარმოსთქვა: „დაო, იძინე ტკბილად,
შურმა ჩაგიქრო სიცოცხლის დილა.
ხარ ბოროტების მსხვერპლი ალალი,
შენს სულს მიიღებს ზეცა მაღალი,
გვიყვარდი გულით და გფარველობდით,
ბედნიერებას შენსას ველოდით.
ველარ მოესწარ საყვარლის ალერსს,
უდროოდ გერგო კუბო სამარის.“

*
* *

ბოროტ დედოფალს, ავსა და უნდოს,
საამო ამბის გაგება სურდა.
კვალად აიღო გრძნეული სარკე
და კმაყოფილმა მიმართა ასე:
— „ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“
სარკემ მიუგო: — „არ უნდა ფიცი —
მთელ ქვეყანაზე — ეს ვინ არ იცის,
ხარ უტურფესი, ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე — მანგი!“

*
* *

და ელისეი — ხელმწიფის ვაჟი,
მიმოდის ყველგან — ბარსა თუ მთაში.
საცოლოს ეძებს, აცეცებს თვალებს,
და როს ვერ ჰპოებს სტირის, ვალალებს.
ყველგან კითხულობს და პასუხს ელის —
მაგრამ ვერ ჰპოვა მისი მნახველი.
ზოგი დასცინის, აბუჩად იგდებს,
და ზოგიც თვალებს წამსვე არიდებს.
შემდეგ გაჰხედა შორეულ არეს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შეეკითხა მზეს — მოელვარეს:
— „მზეო, დიადო, სინათლეო ჩვენო,
ზეცის ლაჟვარდში მარადჟამს მსვლელო,
შენ მოგყავს ქვეყნად ზაფხულ-ზამთარი,
ყველაფერს ხედავ ირგვლივ რაც არი.
გთხოვ მიპასუხო, მიმიხვდე ზრახვას,
ნუთუ ამ ქვეყნად არსად გინახავს
მეფის ასული, ალსავსე კდემით,
ჩემი საცოლო, სიცოცხლე ჩემი“.
მზემ უპასუხა: „სინათლეო თვალის
არსად მინახავს ხელმწიფის ქალი.
ალბათ მას ჰფარავს შავი სამარე;
ან, იქნებ, ჩემს კარგ მეზობელს, — მთვარეს, —
შეხვდა ოდესმე — ღამით მეტადრე,
ან თვალი მოჰკრა მის აჩრდილს სადმე“.
ელისეის ჰფლობს ფიქრი სადარდო,
უკუნ ღამეში მიმოდის მარტო.
როს ცა აანთო სხივებმა მთვარის,
მან ლაჟვარდ სივრცეს მიაპყრო თვალი —
მიმართა: „მთვარეო, საამოვ, ნაზო,
მოოქროვილო რქაო, ძვირფასო.
უკუნ ღამეში შენ გიყვარს სრბოლა,
პირგაბადრულო, იფრქვევი ბროლად.
ვარსკვლავებს უყვართ ადათი შენი,
და გიცქერიან სიამით, ლხენით.
გთხოვ მიპასუხო, მიმიხვდე ზრახვას,
ნუთუ ამ ქვეყნად არსად გინახავს —
მეფის ასული, ალსავსე კდემით,
ჩემი საცოლო, იმედი ჩემი?“
— „არა, ძმობილო, — მიუგებს მთვარე,
ზეცის წიაღში შუქმოელვარე.
მეც ხომ ყოველთვის არ ვახელ თვალებს,
მხოლოდ რიგობით ვდარაჯობ არეს.
ალბათ უჩემოდ განვლო ბნელეთი,
შენმა საცოლომ, ასულმა მეფის!“
— „როგორ მწყინს!“ — ამბობს ვაჟი მწუხარე.
— „დაიცა! — ისევ განაგრძობს მთვარე, —
იქნება ქარმა, სტუმარმა მიწის,
ნახა ასული და რამე იცის.
მაშ წადი ქართან, მიმოვლე მთები,
იგი გიშველის, ნუ დალონდები!“

*
* *

ელისეიმ მყისვ მოვლო მთა-ბარი,
მძლეთამძლეველი იპოვა ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა: — „ო, ქარო შენ ხარ მედგარი,
შენს ფრთებს გაურბის ღრუბელთა ჯარი.
ლურჯ ზღვას აღელვებ, გარდაქმნი ტალღად,
და სივრცეებში დაფრინავ ლაღად.
ხან სტვენ, ხან მოსთქვამ ვაით და ვიშით,
თვით ღმერთის გარდა არვის გაქვს შიში.
გთხოვ მიპასუხო, მიმიხვდე ზრახვას,
ნუ თუ ამ ქვეყნად არსად გინახავს —
მეფის ასული, აღსავსე კდემით,
ჩემი საცოლო, ოცნება ჩემი?“
— „ყური დამიგდე, — მიუგებს ქარი, —
იქ, სად წყარო სდის, მშვიდად მჩქეფარი,
ხედავ, მთა მოსჩანს მეტად მაღალი,
ამ მთას შუა ჰყოფს დიდი ნაპრალი,
და ამ ნაპრალში, სად მარად ბნელა,
ბოძზე მიკრული ქანაობს ნელა —
კუბო ბროლისა, ლანდივით მკრთალი.
ირგვლივ კაცთ მოდგმას ვერ ნახავს თვალი.
სუფევს საზარი სიჩუმე მხოლოდ,
ამ კუბოში წევს შენი საცოლო“.

*

* *

სთქვა და ზეცისკენ გაფრინდა ქარი,
ვაჟმა დაიწყო მოთქმა საზარი.
გასწია მთისკენ, აღვსილმა ურვით,
რომ ერთხელ მაინც საყვარელს გულის —
შეავლოს თვალი, დარწმუნდეს მართლა.
განვლო მანძილი და აღიმართა —
მის წინ ხრიოკი, მთა რუხი ფერის,
ირგვლივ მიდამო უკაცრიელი.
მთის ძირს შენიშნა ბილიკი ბნელი,
ამ ბილიკს გაჰყვა, განვლო გზა გრძელი,
მთაში სუფევდა სიჩუმე მკვდრული,
უცებ იხილა ბოძზე მიკრული —
კუბო ბროლისა, გასაოცარი.
ზიგ ღრმად მძინარე ასულის გვამი.
სატრფოს კუბოზე ვაჟი, მკვნესარი,
მძიმედ დაეცა — მოჭრილ ხესავით.
კუბო დაიმსხვრა და მეფის ქალი
მყისვე გაცოცხლდა, ახილა თვალი.
მიმოიხედა, გაოცდა დიდად,
ამოიოხრა, წარმოსთქვა მშვიდად:
— „აჰ, მიძინია რამდენი ხანი!“
და შეარხია ნარნარი ტანი.
წამოდგა, თვალი აევსო ცრემლით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მათ ალმოხდათ კვნესა დამწველი.
შემდეგ ჭაბუკმა მოხვია ხელი —
გამოიყვანა, დასტოვა ბნელი,
თან საუბარი გაუბა ტკბილი
და ასე განვლეს გრძელი მანძილი.
ამ დროს მთა-ბარად გაისმა ხმები:
— ცოცხალი არის ასული მეფის!

*
* *

და დედოფალი — ბოროტი დიდად,
მდიდრულ დარბაზში მარტოკა იჯდა,
იხედებოდა სარკეში კრძალვით,
ეუბნებოდა: — „სარკეო, მითხარი,
ხომ მე ვარ ქვეყნად ყველაზე კარგი,
ლოყაწითელი და სახე მანგი?“
სარკემ მიუგო: — „არ უნდა ფიცი,
ხარ მშვენიერი, — ეს ვინ არ იცის,
მაგრამ გჯობიან მეფის ასული,
ვით სილამაზის ხატება სრული“.
ამ სიტყვამ რისხვა აღუძრა დიაცს,
სარკე აიღო და დაამხვრია.
გარეთ გაიჭრა სიბრაზით მთვრალი,
და მეფის ასულს შეავლო თვალი.
მყის მეტი ბოლმით აევსო გული,
და განუტევა ბოროტი სული.
დაასაფლავეს დიაცი ფლიდი.
შემდეგ გამართეს ქორწილი დიდი.
და დაიწერეს სასწრაფოდ ჯვარი,
ერთიმეორის გახდნენ ცოლქმარი.
ქვეყნად ბინადარს მთისა და ბარის
არსად უნახავს ლხინი ამგვარი.
მეც იქ ვიყავი, ლუდი ვსვი ბევრი,
და დავისველე ულვაში, წვერი.

თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკადემიკოსი **გიორგი ჩუბინაშვილი**

ივანე ჯავახიშვილი

(1876 — 1940)

1943 წლის 18 ნოემბერს სამი წელიწადი შესრულდა, რაც გარდაიცვალა სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი და სრულიად-საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი.

მრავალ წელს გაგრძელდა მისი სამეცნიერო მუშაობა. მან ძალიან ადრე დაიჭირა ცენტრალური წამყვანი ადგილი საქართველოს კულტურული წარსულის ცალკეულ მხარეთა კვლევა-ძიების განვითარებაში. ამასთან ერთად იგი მრავალნაირად ეხმაურებოდა ეპოქის საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს.

ამით განისაზღვრება მისი, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მნიშვნელობის მასშტაბი.

ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა კულტურულ-განმანათლებელი ინტერესებისა და ტრადიციების მქონე ოჯახში. ამ ოჯახმა და საკუთარმა მძიებელმა გონებამ ფართო საფუძველი შეუქმნეს მას, როგორც მეცნიერს.

სტუდენტობის წლებში ინტერესთა ეს დიაპაზონი უფრო ფართოვდება და ღრმავდება: მან შეისწავლა არა მარტო სხვადასხვა აღმოსავლური ენა, არამედ შეითვისა აგრეთვე ძირითადი ფილოლოგიური და იურიდიული დისციპლინები ზოგადი მნიშვნელობისა. ამის გარეშე განსვენებული განაგრძობდა მეცადინეობას მუსიკაში და მუსიკისა და ხელოვნების ისტორიის სფეროში.

ეს ფართო მომზადება და სამეცნიერო-საკვლევო ინტერესთა მრავალმხრიანობა ნაწილობრივ გამოაშკარავდა პირველი ათი წლის მანძილზე დაბეჭდილ ნაშრომებში, — როგორც ცალკეული საკითხების სპეციალურ გამოკვლევებში, ისე საქართველოს სამართლის ისტორიის, ეკონომიკის და პოლიტიკური ისტორიის ცნობათა განზოგადოების მთელ რიგ ცდებში.

აქ თავიდანვე გამომჟღავნდა თავისებურება ივანე ჯავახიშვილისა, როგორც მეცნიერისა: მისი მახვილი მოანალიზე გონება ანაწევრებდა ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში პირვანდელ მონათხრობს ნართაულებისა და მორთულებისაგან, ააშკარავებდა შემთხვევათა ჭეშმარიტ დენას, რაც ოდნავ ნათქვამსა ან მერმინდელ ცვლილებათა ნაშთებს იქით იმალებოდა, და ამნაირად ადგენდა ქართული ისტორიის პირველ-წყაროების ქრონოლოგიურ ადგილს, ხასიათსა და მოცულობას. ამასთან ერთად განსვენებული პირველ წლებიდანვე გრძნობდა, როგორც აუცილებლობას და მოვალეობას, რათა კრიტიკის მიერ დანადგენი და გაშუქებული დებულებები დალაგებულ ისტორიულ თხრობად ყოფილიყო მოცემული.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი ქართველი ერის ისტორიის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიზმის უღელქვეშ, ივანე ჯავახიშვილმა მოახერხა და მოაწყო პეტერბურგის უნივერსიტეტთან სტუდენტთა წრე ქართული ისტორიისა, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ენის შესასწავლად.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ცარიზმის ჩამოგდებამ შესაძლებელი გახადა გვეფიქრა ქართულ უნივერსიტეტზე და დაბეჯითებით მოგვეთხოვნა მისი დაარსება. იგი გაიხსნა, რასაკვირველია, როგორც კერძო კოლექტიური წამოწყება მეცნიერთა სათანადო ჯგუფისა. უნივერსიტეტი სწრაფად იზრდებოდა. ერთი ფაკულტეტის ნაცვლად რამდენიმე ფაკულტეტი გაჩნდა. ამასთან ამ ფაკულტეტების ნაწილი შემდეგში გამოიყო დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად (სამედიცინო, საინჟინერო-საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვ.). ამნაირად, საესებით გამართლდა ივანე ჯავახიშვილის იმედი და ვარაუდი, ჯერ კიდევ რევოლუციამდელი წლების საანკეტო ცნობებზე დამყარებული: საქართველოს არა მარტო ესაჭიროებოდა საკუთარი ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი, არამედ მას უნარიც ჰქონდა მიეცა მისთვის საჭირო საპროფესორო და საპედაგოგო პერსონალი და სტუდენტების უდიდესი კონტიგენტი, რომელიც რიცხობრივ ერთავად იზრდებოდა.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისას ივანე ჯავახიშვილი არა მხოლოდ მისი ადმინისტრატიული მეთაური იყო თითქმის პირველი ათეული წლის განმავლობაში, არამედ იგი უძღვებოდა მეცადინეობასაც სხვადასხვა ისტორიულ დისციპლინებში და არა მარტო საქართველოს შესახებ, არამედ ხომხეთისა და წინა-აღმოსავლეთის შესახებაც.

ეს კიდევ ცოტაა. ივანე ჯავახიშვილი იმ წლებში გახდა ცენტრალური ფიგურა რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ყველა საკითხში, თვით იქამდე, რომ ქართული ანბანის დამწერლობის დადგენა, სამედიცინო, იურიდიული და სხვა ტერმინოლოგიის შედგენა, ან უმაღლესი მუსიკალური განათლების რეორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტა და სხვა მისი აუცილებელი მონაწილეობით მიმდინარეობდა.

ახლა განსაკუთრებით აშკარაა, თუ რა მადლმოსილი ნაყოფი მოიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივმა სამეცნიერო მომზადებამ და სხვადასხვა სამეცნიერო ინტერესმა.

დამახასიათებელია, რომ ივანე ჯავახიშვილი აღიარებდა და აფასებდა, როგორც ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებელს, მის მხატვრულ შემოქმედებას და არა მარტო ლიტერატურულს, არამედ აგრეთვე წარსული ეპოქების საქართველოსათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვან პლასტიკურ ხელოვნებებს — არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ. და აი რატომ - იყო, რომ მას 1913 წელს უკვე ჰქონდა გეგმა ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენისა. ხოლო მის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში გამოყოფილი იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ცალკე კათედრა ხელოვნების ისტორიის სპეციალური კათედრით.

ამ გაფართოებულმა საქმიანობამ გავლენა იქონია მის სამეცნიერო შრომებზედაც: ისინი გაიზარდნენ რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც. იმ ხანებში დაამთავრა მან დიდ გამოკვლევათა ცალკეული ტომები, რომლებიც საფუძვლად დაედვნენ შემდგომ კვლევა-ძიებას საქართველოს ისტორიის სფეროში და რომლებიც წლითი-წლობით იბეჭდებიან: 1924 წელს გამოვიდა „ქართველი ერის ისტორიის“ მე-4 ტომის პირველი ნაწილი, 1928 წელს—იმა-

ვე ისტორიის დამუშავებული პირველი ტომი, ხოლო მესამე ტომი უკვე მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა (1941). გამოვიდა აგრეთვე გამოკვლევა დახმარებითს ისტორიულ დისციპლინებზე — პალეოგრაფია, დიპლომატიკა და ნუმიზმატიკა მეტროლოგიითურთ (1925 და 1926); შემდეგ, სამი წიგნი „ქართული სამართლის ისტორიისა“ (1928 — 29), „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორი ტომი (1930—1934), პირველი წიგნი „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (1935) და, ბოლოს, უდიდესი ტომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937), მოფიქრებული როგორც ისტორიული ბაზისი და შესავალი ქართველი ხალხის იმ ისტორიისა, რომლის ოთხი ტომი მან გამოაქვეყნა და რომელიც შეიძლება დაწერილიყო ნაციონალური წყაროებისა და უცხო მწერალთა ცნობების მიხედვით.

ამ უკანასკნელ დიდ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი, როგორც მკვლევარი, გასცილდა არა მარტო საკუთრივ ისტორიული მასალის ფარგალს (იყენებდა რა წმინდა ლინგვისტიკურ ცნობებს), არამედ აგრეთვე საკუთრივ ქართველი ხალხის ისტორიისა და ამ ხალხის ისტორიული სვე-ბედის ფარგლებსაც: იგი ეხება ამაზე ადრინდელ საუკუნეთა პერიოდს და მოიცავს მასალას საერთოდ კავკასიის ყველა ხალხის შესახებ, ამყარებს რა მათ ნათესაურ კავშირს. აი რატომ გამოჰყო მან ეს ნაკვლევ-ნაძიები, როგორც ქართველი ერის ისტორიის შესავალი, მოგეგმა-რა იგი სამ დიდ ტომად. I ტომში იგი აპირებდა განეხილა ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები წინა-აღმოსავლეთისა საქართველოთი და მთელი კავკასიითურთ (იმიერ-ამიერ კავკასია) ერთად, II (უკვე დაბეჭდილ) ტომში — ყველა კავკასიური ენის აგებულების, ნათესაობისა და თავდაპირველი ბუნების საკითხები, ხოლო III ტომში „ქართველთა და კავკასიელთა უუძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქმნება, წარმოდგენილი ენისა, ზნე-ჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით“.

ყველა ამ ნაშრომში დაზვინდა ათობითი წლების საკვლევო მუშაობის შედეგები.

პარალელურად განსვენებული მეცნიერი ეწეოდა სხვა კვლევა-ძიებასაც, რომლის შედეგებსაც აცნობდა ჩვენს საზოგადოებრიობას სხვადასხვა სახალხო კომისარიატისა და ორგანიზაციის თხოვნით წაკითხული მთელი რიგი ლექციების ციკლებში. მხოლოდ ერთი ციკლი ამ საკითხებისა მან გააფორმა წიგნის სახით საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს ხალხური შემოქმედების კაბინეტის თაოსნობით. ეს არის წიგნი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938), წიგნი, რომელიც ამ სფეროში ისეთივე ფუძეა შემდგომი კვლევისათვის, როგორიც სხვა მისი მონუმენტალური ნაშრომები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური ან სამართლის ისტორიის საკითხებში: იგი კრიტიკულად განიხილავს სისტემატური წესით ქართული მუსიკის ისტორიული განვითარების ყველა ძირითად საკითხს — მის მრავალხმიანობის, წარმართული და საეკლესიო მუსიკის ეტაპების, მღერის, საკრავების და, ბოლოს, მუსიკის სწავლების ორგანიზაციისა და შემოქმედების საკითხებს. სამწუხაროდ ნაკვლევ-ნაძიები მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ისტორიის საკითხებზე მას საბოლოოდ არ გაუფორმებია. ამჟამად ეს გამზადებულია გამოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემად ლექციების სტენოგრამებისა და ხელნაწერი მასალის მიხედვით და, მთავრობის დადგენილების თანახმად, უახლოეს ხანში საყოველთაო ნაკითხ-მისაწვდომი გახდება. იგი ეხება, მშენებლობის ტერმინოლოგიასა და ორგანიზაციას, ტანსაცმელის, ავეჯის, ჭურჭლეულის ისტორიის საკითხებს, ადათებსა და ყოველდღიური ცხოვრების წესსა და რიგს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და სხვ.

უკანასკნელ წლებში ივანე ჯავახიშვილი აღარ ფიქრობდა ქართული ხელოვნების ისტორიაზე და თავისი მუშაობა მან შემოზღუდა ლიტერატურული ცნობების ანალიზით. მაგრამ, რასაკვირველია, ამის შესრულება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის მეოხებით, რომ განსვენებულს უკვე მოპოებული ჰქონდა როგორც არქიტექტურისა და სხვა პლასტიკური ხელოვნების და მუსიკის ნაწარმოებთა გაგება-შეფასების უნარი, ისე ხელოვნებისა და მუსიკის ზოგადი ისტორიისა და ამ სამეცნიერო დისციპლინების სპეციალურ საკითხთა ღრმა ცოდნა. ეს ჩანს ძირითად წიგნებში, მაგრამ გვხვდება აგრეთვე როგორც მისი „ქართველი ერის ისტორიის“ იმ თავებში, რომლებიც კულტურას ეხებიან, ისე ნაშრომში პალეოგრაფიაზე.

ივანე ჯავახიშვილი ამ ხანში თავის სამეცნიერო მიღწევათა მწვერვალზე იყო. საკუთარ კვლევა-ძიებასა და ნაკვლევ-ნაძიების ლიტერატურულად გაფორმებაში მისმა მუშაობამ შეიძინა ის განსაკუთრებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა განსახილველი და მისთვის აწ სრულიად ხელმისაწვდენი მასალისადმი მოპყრობაში, რამაც შეაძლებინა მას არა მარტო დაედგინა ისტორიის ფაქტები, როგორც ეს მისი მუშაობის წინანდელ ეტაპებზე იყო, არა მარტო გაეკვალა სამეცნიერო გზა და შეექმნა მუშაობის შესაძლებლობა, არამედ აგრეთვე წარმოექმნა კიდეც ლიტერატურულ თხრობაში წარსული ისტორიული პერიოდის ცხოვრების ცხოველმყოფელი სურათი. ამ მხრივ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში საბოლოოდ დაწერილი „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომის (XIII — XIV საუკუნეები) თხრობა თვალნათლივად განსხვავდება სხვა, ბევრად ადრე გამოცემული ტომების თხრობისაგან. მაგრამ ეს თვისება — წარსული საუკუნეების ცხოვრების, ყოფის, შემთხვევათა სურათების დამთავრებულება და მოთარაზოება — გამომჟღავნდა მეტადრე შოთა რუსთველის და მისი „ვეფხის-ტყაოსნის“ საიუბილეო ზეიმის დღეებში.

ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მაშინ თბილისის სხვადასხვა ორგანიზაციაში მრავალი ლექცია დიდებულ პოეტზე. ამასთან იგი ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებდა საქართველოს ცხოვრების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და აღნიშნავდა, თუ როგორ აისახა იგი პოემაში. ამნაირად, მან დაგვიხატა საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია, ვაჭრობისა და სოვდაგართა ორგანიზაცია და მათი კავშირი როგორც ხმელეთით, ისე ზღვით აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან, იმავე ეპოქის სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, მისი პროდუქცია და სხვა, როგორც საერთო ფონი მთელი პოემისა. მაგრამ განსაკუთრებით უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ოსტატურ შედარებითს სურათში მოცემულ და შემოწმებულ სოციალურ ურთიერთობათა ანალიზს, სახელდობრ, მაშინდელი ეპოქის ქართველი ქალის ადგილს ცხოვრებაში, მის როლსა და წონას საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მაშინ, როდესაც არამარტო მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში, არამედ თვით მდიდარი და გაფაშფაშებული კულტურით სახელგანთ-

ქმულ ბიზანტიაშიაც კი ქალი ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას, მას შეეძლო გამოჩენილიყო მხოლოდ ჩადრდაფარული სახით. ამ საკითხების ისტორიული გაშუქება გვიჩვენებს, რომ სოციალური ფუძე, რომელიც ეპოქის მსოფლმხედველობის საძირკველს შეადგენს, ძირითადად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების სოციალური ფუძისაგან, დასავლეთ ევროპის გარდა მისი რაინდობითა და ქალის კულტით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდებული პოეტის ნაწარმოების ორიგინალობამ ჰპოვა, როგორც იქნა, თავისი ობიექტური დადასტურება და დამტკიცება თვით ნაწარმოების შიგნით და იგი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმაზე მითითებით, ვითომ მისი ნაგულვები სპარსული პირველწყარო დაკარგული იყოს.

ამ ლექციებს რომ დავუპირისპიროთ თხუთმეტი წლით უფრო ადრე ივანე ჯავახიშვილის მიერ ამავე პოემაზე წაკითხული მოხსენება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დაემტკიცებინა ქრონოლოგიურად მისი ადგილი და ორგინალობა, აშკარა გახდება განსვენებული მეცნიერის წარმატებითი ზრდა.

იმავე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილმა მიიღო მთავრობის წინადადება — სათავეში ჩასდგომოდა პოეტისა და მისი ეპოქისათვის მიძღვნილი დიდი გამოფენის ორგანიზაციას და, კერძოდ, შეექმნა ეპოქის მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილება, — განყოფილება, რომელიც საქართველოს მუზეუმის ახალმა დირექციამ გახსნა ამ დღეებში მებრძოლთა, მოსწავლეთა, მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების მიერ დასათვალიერებლად, გახსნა იმავე სახით, როგორც იგი აგებული იყო განსვენებული მეცნიერის მიერ შოთა რუსთველის საიუბილეო დღეებში.

აქ, სხვათა შორის, მხატვრული ასლების სახით შეკრებილია და სისტემატურად დაჯგუფებული თანამდებობის პირთა, სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა ტანსაცმლის ცალკეული ნაწილები, თავის სამკაული, ფეხსაცმელი ან მთელი ტანისამოსი ასაკისა და სქესის განსხვავებით; შემდეგ, ხელნაწერების თავსართები, ასომთავრული ასოები, სხვადასხვანაირად გამშვენებული ცხოველებით, ადამიანებით, მცენარეებით ან ორნამენტით; მრავალი ფრაგმენტი სარწყავი, აგრეთვე სხვადასხვა ნაყშით მოხატული, მრავალფეროვანი კერამიკის ჭურჭლისა და ლითონის — სპილენძისა და ვერცხლის — ჭურჭლის ცოტაოდენი ნიმუში და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დროის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარე ივანე ჯავახიშვილმა დაასურათა და გვიჩვენა მთელი თავისი ნაირსახეობით ხელოვნების მაშინდელ ძეგლთა სათანადო ექსცერპირების მეშვეობით.

ამნაირად, ორმოც წელიწადზე მეტ ხანს ივანე ჯავახიშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ და სამეცნიერო ასპარეზზე. ამ მრავალმხრივი მოღვაწეობის პერიოდში მან განვლო ერთავად თვალსაჩინო ზეაღმავლობისა და დიდი შემომქმედი გაქანების გზა. სიკვდილმა მოგვტაცა იგი სრული განვითარების მწვერვალს მიღწეული და მის მიერ ფართოდ ორგანიზებული კოლექტიური მუშაობის მწყობრად მიმდინარეობის წამს თავის პასუხსაგებ სადარაჯოზე თავდადებულ გუშაგად მდგარი.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებდნენ მის მუშაობას და მზრუნველობით ეპყრობოდნენ მის მოღვაწეობას: არქეოლოგიური გათხრების მისი დიდი პროექტები, რომლებიც მაშინ ჩვენ განუხორციელებლად გვეჩვენებოდნენ, ბოწონებულ იქნენ და საამისოდ საჭირო სახსარიც გადაიდო. ასე იქნა ჩატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული მრავალწლიან კამპანიებად ეს გათხრები. ნაწილობრივ დღესაც, მისი სიკვდილის შემდეგ, მისი მოწაფეების ხელმძღვანელობით მიმდინარეობენ გათხრები ბოლნისში, გეგუთში, დმანისში, სამთავროს მინდორში, ბერეთში და პიტიახშების უძველეს სამარხ არმაზში, — გათხრები, რომლებმაც მოგვცეს, როგორც განსვენებული მეცნიერი ვარაუდობდა, დიდად მხატვრული საგნების უხვი და მაჩვენებელი მასალა, დამახასიათებელი არა მარტო შოთა რუსთველის ეპოქისა, არამედ აგრეთვე საკუთრივ საქართველოს ისტორიის დასაწყისი ხანისა.

სწორედ ასევე განხორციელებულ იქნა მისი პროექტი ჯერ კიდევ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში შერჩენილი შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მასალის შეგროვებისა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ამ პროექტისათვის, მისი შუამდგომლობით, გადადებული იყო სპეციალური სახსარი და ეს საქმე განახორციელეს საამისოდ ადგილობრივ გაგზავნილმა ახალგაზრდა მომუშავეებმა განსვენებული მეცნიერის მიერ შემუშავებული პროგრამით.

ასევე მოწყობილ იქნა შოთა რუსთველის ეპოქის მუზეუმი, რომელმაც განსვენებულის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის მასალის შესაკრებად, კერძოდ, ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ტერმინების ლექსიკონის შესადგენად ქართული მწერლობის მასალის მიხედვით უძველეს დროიდან XIX საუკუნემდე. ეს მუზეუმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, შეუერთეს აკადემიის ერთ-ერთ ინსტიტუტს მისთვის ბუნებრივი ადგილის მიკუთვნებით სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმის მიხედვით.

სწორედ ამნაირადვე შესაძლებლობა მიეცა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას გაეშალა მთელი რიგი წლების განმავლობაში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე თავისი საქმიანობა ხელოვნების და უძველესი დროის სხვა ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისათვის, რისთვისაც ამ განყოფილებამ დიდი სახსარი მიიღო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან.

რაც შეეხება განსვენებული მეცნიერის მონუმენტალური მონოგრაფიების გამოქვეყნებას, რასაკვირველია, ლაპარაკიც-კი მეტია იმაზე, რომ ყველა ეს ნაშრომი ისევე, როგორც მის მიერ გამოსაცემად განმზადებული ცალკეული უძველესი ტექსტი და აგრეთვე მის მიერვე რედაქტირებული სამუშაოები მისგანვე აღზრდილი სამეცნიერო კადრების ახალგაზრდა მუშაკებისა, თავის დროზე დაიბეჭდა და ახლა ისინი მიმდინარე მუშაობის ფუძესა და გამოსავალ პუნქტს შეადგენენ.

რაღა თქმა უნდა, არც პირადი წარჩინება დაჰკლებია განსვენებულს: იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, დაჯილდოვებულ იქნა მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის ოცი წლის თავზე შრომის წითელი დროშის ორდენით, და, ბოლოს, არჩეულ იქნა სრულიად-საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

მისი გარდაცვალებისას, რამაც თავისი მოულოდნელობით ყველანი დიდად დაამგლოვიარა და რაც ისეთ წამში მოხდა, როდესაც იგი მთლად ჩაბმული იყო უაღრესად ნაყოფიერ გამოკვლევებში, მთავრობამ გამოიტანა დადგენილება განსვენებული მეცნიერის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი გამოუცემელი ნაშრომების დაბეჭდვის შესახებ, რაც ახლა საქართველოს მეც-

ნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტების მზრუნველობის საქმეს შეადგენს. მისი გარდაცვალების მესამე წლის თავზე დაკმაყოფილებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მზრუნველობა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტს ეკუთვნა ივანე ჯავახიშვილის სახელი. მთავრობის დადგენილებითვე საქართველოს მუზეუმის შენობაში დატოვებულ იქნა განსვენებულის უკანასკნელი წლების სამუშაო კაბინეტი, და ამ კაბინეტში ახლა გამოფენილი ფოტო პორტრეტები გვიჩვენებენ მას სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე, დაწყებული გიმნაზიაში ყოფნის დროიდან.

და აი სწორედ ეს პორტრეტები იძლევიან, როგორც მართებულად აღნიშნა კაბინეტის გახსნის დღეს ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა, იმის სურათს, თუ როგორ ვითარდებოდა განსვენებულის პიროვნება სულიერად და, სახის განუხრელ ფორმირებასთან ერთად, როგორ განუხრელადვე იზრდებოდა სწორედ მოწიფულობისას, მეტადრე ბოლო წლებში, ამ სახის გარეგანი სილამაზე, — სახისა, რომელიც გაცისკროვნებულია შინაგანი შუქით და კმაყოფილებით შრომაში გატარებული ცხოვრების გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. ლადო დონაძე

ზაქარია ფალიაშვილი*

ზაქარია ფალიაშვილი ჩვენი თანამედროვე იყო. მისი მოღვაწეობის საუკეთესო წლები თითქმის ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდნენ. 10 წელიწადი, რომელიც გვაშორებს კომპოზიტორის გარდაცვალების დღიდან, მეტად მცირე ხანია ისტორიის განაჩენისათვის. ჩვენ იმდენად ახლოს ვდგევართ მას პიროვნებასთან, რომ მოკლებულნი ვართ აუცილებელ ისტორიულ დისტანციას მისი მონუმენტალური ფიგურის გაზომვისა და შეფასებისათვის. მაგრამ ყოველი დიდი კლასიკოსის შემოქმედება არსებითად მემკვიდრეობას წარმოადგენს ჩვენი თაობისათვის. ზაქარია ფალიაშვილს-კი წილად ხვდა მუსიკოსისათვის იშვიათი ბედი. იგი სიცოცხლეშივე კლასიკოსად იქნა გამოცხადებული და „აბესალომ და ეთერის“ შესანიშნავ ავტორს „ქართველი გლინკა“ უწოდეს. ქართულ მუსიკისმცოდნეობას ჯერ არ უთქვამს თავისი ღირსეული სიტყვა ზაქ. ფალიაშვილის შემოქმედების შესახებ. იმავე დროს „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ მუსიკამ იმდენად ღრმა კვალი გაავლო ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ ფალიაშვილის მემკვიდრეობას ანალიზი სავსებით მომწიფებულია, როგორც ისტორიული პრობლემა. უფრო მეტიც: იგი მეტად მრავალმხრივ პრობლემას წარმოადგენს ქართული მუსიკალური ისტორიოგრაფიისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის 35 წელი ნამდვილი გმირული პერიოდი იყო ქართული მუსიკის ისტორიაში. იგი გმირული იყო არა იმდენად თავისი იდეებით და ესტეტიური სტილით, რამდენადაც ისტორიული მნიშვნელობის სიდიადითა და მრავალმხრივობით. მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ეროვნულ-მუსიკალური სტილის განუმეორებელ ბეჭედს ატარებს თავისი მნიშვნელობით და მასშტაბით, იგი შორდება ვიწრო ნაციონალურ ფარგლებს და ზ. ფალიაშვილი, როგორც ისტორიული პრობლემა, საერთაშორისო მუსიკალური კულტურის მოვლენათა ფონზე უნდა იქნას გადაჭრილი.

დღეს თითქმის პარადოქსად გვეჩვენება ის გარემოება, რომ ქართველი ხალხის უდიდესი მუსიკალური პოტენცია ძველთაგანვე საკმარისად ცნობილია, ხოლო მისი შემოქმედებითი ძლიერების ინდივიდუალური გამოვლინება შეტად გვიან მოხდა. მუსიკალური კომპოზიციის პლასტიურ ფორმებში დიდი დაგვიანებით განსახიერდა ის უშრეტი ენერგია, რომელიც მრავალ ეამთა განმავლობაში სტიქიონისებურად ბობოქრობდა ქართულ ხალხურ ეპოსში. ქართულ მხატვრულ მუსიკას თითქმის არავითარი ევოლუცია არ

* მოხსენება, წაკითხული სახ. კონსერვატორიის დარბაზში 16 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის გარდაცვალების 10 წლის თავისადმი მიძღვნილ საღამოზე.

განუცდია წარსულში და საუკუნეების განმავლობაში, იგი მხოლოდ ეთნოგრაფიულად არსებობდა. თვით განახლებისა და აღორძინების გზაზე დამდგარი მე-19 საუკუნის მნიშვნელოვანმა ნაწილმა უქმად დარჩენილ ფოდ ჩაიარა ქართული მუსიკის ისტორიისათვის. თუ ქართულ ხალხურ მუსიკას არაჩვეულებრივად დიდი წარსული აქვს და მისი ნაკადების პირველი სათავე უხსოვარ დროთა წიაღებში იკარგება, მისი პროფესიული არსებობის ისტორია სულ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. მაგრამ ამ პირველი შთაბეჭდილებით პარადოქსალურ მოვლენას ღრმა ისტორიული მიზეზები აქვს და ქართველი ხალხი ამ მხრივ მსოფლიოში თითქმის ყველა პატარა ერის ბედს ინაწილებს.

მე-19 საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე საერთაშორისო მუსიკალური კულტურის საჭე ძირითადად ევროპის სამი ხახელმწიფოს, სახელდობრ, იტალიის, გერმანეთისა და საფრანგეთის ხელში იყო. ინსტრუმენტალური მუსიკა მრავალი წლის განმავლობაში გერმანულ ხელოვნებად ითვლებოდა, კერძოდ სიმფონიური მუსიკის მხრივ გერმანია ნამდვილ მეტროპოლიას წარმოადგენდა დასავლეთში, საოპერო ხელოვნების დარგში კი იტალია და საფრანგეთი ინაწილებდნენ მსოფლიო ჰეგემონიას. ყველა დანარჩენი ერი მუსიკალური კულტურის მხრივ გერმანიისა ან იტალიის პროვინციას წარმოადგენდა. საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ხანგრძლივი ომების შემდეგ დიდმა ნაციონალურ-რომანტიულმა მიმდინარეობამ სხვადასხვა ევროპელ ხალხებში ეროვნული თვითარსებობისა და თვითგამორკვევის წყურვილი აღძრა. ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ მოიცვა დასავლეთ ევროპის მრავალი ერი. ბრძოლა პოლიტიკური და კულტურული ემანსიპაციისათვის განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს პატარა ერებში ღებულობს. ირღვევა და იქსაჭსება განათლების ეპოქისა და კლასიციზმის ცენტრალისტური და კოსმოპოლიტური კულტურა. მე-19 საუკუნის მუსიკალური კულტურა უაღრესად დიფერენცირებულია. საერთაშორისო კულტურის ასპარეზზე ახალი ნაციონალურ-მუსიკალური სკოლები გამოდიან.

პირველად იღვიძებს ევროპის მატერიკის ჩრდილოეთი მხარე, შემდეგ — აღმოსავლეთი. ფრედერიკ შოპენი პოლონეთში, გლინკა რუსეთში, ედუარდ გრიგი ნორვეგიაში, ნილს გადე დანიაში, სმეტანა და დვორჟაკი ჩეხიაში, სიბელიუსი ფინეთში მეთაურობენ და დასაბამს აძლევენ თავიანთი ქვეყნების მუსიკალურ ხელოვნებას და იმავე დროს თავიანთი სამშობლოს ორიგინალური რიტმებით და ინტონაციებით ეხმაურებიან მსოფლიო მუსიკალურ კულტურის სარბიელს. დიდ რუსეთთან ერთად მცირე ერები გამოდიან საერთაშორისო კულტურის ასპარეზზე და, თავიანთი ელასტიური სულითა და ძლიერი მიმღეობის უნარით აღჭურვილნი, თავიანთ სამშობლოს გულისძგერას მსოფლიო მუსიკალური მოძრაობის უნივერსალურ რიტმს უკავშირებენ.

ქართული პროფესიული მუსიკის წარმოშობა და განვითარება იმ დიადი ისტორიული პროცესის შედეგი იყო, რომლის სოციალურ გამოხატულებას ჩვენში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა. გასული საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენი ერის ისტორიის ფურცლებზე აღიბეჭდა, როგორც დასაწყისი დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში მეთაურ,

გამძღოლ როლს მუდამ მწერლობა მესვეურობდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გუთნეულობა საკუთრებით ღრმა კვალი გაავლო მხატვრულ ლიტერატურაში, ... როდესაც ევროპეთწოდებულ თერგდალეულთა ლიტერატურული თაობა თავისი რადიკალური იდეებით და შეურიგებელი სულით ნამდვილ „შტურმის და დრანგის“ ცეცხლს აჩაღებდა მეფის რუსეთის პერიფერიად ქცეულ საქართველოში, ქართული მუსიკა აკვანში განისვენებდა და მეტად ბუნდოვანი იმედებით შეჰყურებდა განახლებული ისტორიის განთიადს.

მაგრამ ეროვნული თვითგამორკვევა და განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მომხდარიყო. ბრძოლა კულტურული ემანსიპაციისათვის გამოხატულებას ჰპოვებდა ხელოვნების ყოველ დარგში. იქმნებოდა ნაციონალური თეატრისა და მხატვრობის მოთხოვნილება. საჭირო გახდა მუსიკალურ-მხატვრული პროექციაც იმ იდეალებისა, რომლებიც იმ ხანად ყოველ მოწინავე ქართველს ამოძრავებდნენ. ნაციონალური თვითგამორკვევის მიზნებით აღფურვილმა თაობამ ხელოვნების ეს დარგიც გამოაფხიზლა და გზა მისცა მუსიკოსთა პატარა რაზმს. ამ მხრივ გასული საუკუნის 60-70 წლები უთუოდ მნიშვნელოვანი თარიღია ქართული მუსიკის ისტორიაში. მართალია, ეს თარიღი არავითარ დრამატიულ და გმირულ ეპიზოდებს არ შეიცავდა, იგი წარმოადგენდა მხოლოდ დაბადების წლებს, მაგრამ არა ერთი პიროვნების, არამედ მთელი თაობის დაბადების წლებს. ეს თაობა პირველად ამბობდა თავის, ჯერ კიდევ არავისაგან თქმულ სიტყვას, და მუსიკალური კულტურის მხრივ „უისტორიო“ და „უტრადიციო“, მანამდე მთვლემარე საქართველო იღვიძებდა. იგი ხუთმა ადამიანმა გამოაღვიძა. მ. ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ნ. სულხანიშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი და აგრეთვე პატარა ჯგუფი უსახელო ეტნოგრაფებისა იმ დროს გამოდიან მოღვაწეობის სარბიელზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის რჩეული ადამიანები ეროვნული კულტურის ხელახალ აღორძინებას მესვეურობდნენ. მეტად დამახასიათებელია, რომ ამ თაობის მოწინავე, შემოქმედებითი ძალები წარსულში ეძიებდნენ შთაგონების წყაროებს.

ეროვნული გრძნობა არსებითად ტრადიციულია, და რომანტიული ისტორიზმი დამახასიათებელი იყო ყოველი დროის და ფორმაციის მოწინავე პატრიოტებისათვის. ჯერ კიდევ დინასტიურ საქართველოს დაცემის დღიდან პატრიოტული მოტივი ქართული მხატვრული ლიტერატურის იდეურ ლეიტმოტივად გადაიქცა. ქართველ მუსიკოსთა პირველი თაობაც ღრმა ინტერესებს იჩენდა თავისი ქვეყნის ისტორიულ კულტურისადმი და განსაკუთრებით ხალხური შემოქმედების ძეგლებისადმი. ყველა ისინი ისტორიულ საქართველოში ეძიებდნენ უკეთეს საქართველოს, რათა რუსეთის კოლონიად გადაქცეულ სამშობლოში სულიერ მონობას გაჰქცეოდნენ. ხალხი, როგორც „კოლექტიური პიროვნება“, როგორც შემოქმედი საკუთარი პოეზიისა და მუსიკისა, ხდება უმაგალითო ყურადღებისა და შესწავლის საგნად. საქართველოს ათასწლოვან ეპოსში შეხიზნული და მრავალთათვის უცნობი ფენომენი — ქართული ხალხური სიმღერა მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ქართველი ეტნოგრაფების და მუსიკოს-დილეტანტების ძიებისა და გატაცების საგანი ხდება. უფრო მეტიც: იგი სერიოზულ ინტერესს იწვევს თვით უცხო მუსიკოსთა შორის. საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური სასიმღერო მასალა რუს კომპოზიტორთა შემოქმედებაში უფრო ად-

ეროვნული

რე იქმნა გამოყენებული, თუნდაც დეფორმირებული სახით, ვიდრე ქართულ მუსიკაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო მუსიკალურ-[illegible] მხრივ რუსეთის ახალშენს წარმოადგენდა. საოპერო თეატრი, საკონცერტო ესტრადა, მუსიკალური განათლების საქმე და თვით ქართული გუნდის ხელმძღვანელობაც იმ დროს უცხოელების ხელში იყო. დიდი უსამართლობა იქნებოდა ამ პერიოდის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის სრული იგნორაცია თუნდაც წმინდა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. ეს პერიოდი, რომელიც ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიის თავისებურ პრეისტორიულ ხანას წარმოადგენს, საგრძნობ გავლენას ახდენს იმ თაობის ქართველ მუსიკოსთა განსაზღვრულ ნაწილზე. მაგრამ არსებითად ეს მაინც ტრანზიტით შემოტანილი და მთლიანად იმპორტზე დამყარებული ოფიციალური მუსიკალური კულტურა იყო, რომელიც თავის წიაღში ეროვნული გადაგვარებისა და დენაციონალიზაციის აშკარა ელემენტებს შეიცავდა. ცხადია, ამ პერიოდის კულტურის შემწეობით შეუძლებელი იყო ეროვნულ-კულტურული განახლება და აღორძინება.

ქართველ მუსიკოსთა პირველი თაობის მოღვაწეობა ერთსა და იმავე კულტურულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ყველა მათ ცალი ფეხი მე-19 საუკუნეში ედგათ. მათ იტაცებდა და ამოძრავებდა ერთი და იგივე მისწრაფება, სახელდობრ, ქართული მუსიკის აღორძინებისა და განსაკუთრებით ნაციონალური ოპერის შექმნის იდეა. თითქმის ყველა ისინი ეგრეთწოდებული თერგდალეული მწერლების მსგავსად, თერგს გადალახავენ, რომ რუსეთის საშუალებით ზოგად-ევროპულ მუსიკალურ კულტურას ეზიარონ. მაგრამ, მიუხედავად რამდენიმე საერთო თვისებისა, ისინი მაინც ერთ მუსიკალურ სკოლას და მიმდინარეობას არ წარმოადგენენ და ქართული მუსიკის განვითარებაში მათ სულ სხვადასხვა როლი შეასრულეს. ერთი და იგივე თაობა ღრმა შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავდა. განსაკუთრებით ითიშებიან მათი გზები. მკვეთრი განსხვავება იჩენს თავს მათ შორის, როდესაც შეგნებულად თუ ინსტინქტიურად მათ წინაშე დგება ქართული მუსიკის მომავალი განვითარების საკითხი.

ზაქარია ფალიაშვილს ხშირად ასახელებენ და აყენებენ თავისი თანამედროვე ქართველი მუსიკოსების გვერდით. ამ თაობის კომპოზიტორთა სახით კი ჩვეულებრივად გულისხმობენ პოპულარულ ტრიადას — მ. ბალანჩივაძეს, დ. არაყიშვილს, ზ. ფალიაშვილს. მაგრამ, როგორც ბიოლოგიური უნარიანობით და ოსტატობით, ისე მუსიკალურ-მხატვრული მსოფლმხედველობით და ისტორიული დანიშნულებით ზაქარია ფალიაშვილი მათგან ღრმა უფსკრულით არის დაშორებული. თავისი შემოქმედებითი ბუნების ზოგიერთი თვისებით ზ. ფალიაშვილი უფრო ნაკლებად ცნობილ ნ ი კ ო სულხანიშვილს ენათესავება. ორივენი ხალხურ-კლასიკური კულტურის ნაადაგზე იდგნენ და ძველ გუნდურ ეპოსში ხედავდნენ ქართული მუსიკის გაწმენდისა და აღორძინების საწყისს. მაგრამ ნ. სულხანიშვილი ტიპიური ავტოდიდაქტიკოსია. თავისი ხალასი და სტიქიური ნიჭით იგი სისტემისა და დისციპლინის ურჩი იყო და მისი ფრონდისტული ბუნება საბოლოოდ მაინც უცხო იყო ზ. ფალიაშვილისათვის.

ზ. ფალიაშვილის კავშირი თავის გარომემცველ წრესთან არი იყო ღრმა და იდეური და საერთოდ იგი განმარტოებით სდგას ამ თაობაში. ზაქარია

ფალიაშვილი არ იყო მომქმედი და მებრძოლი პიროვნება. უფრო ეტიც: იგი არ იყო საერთოდ ხელოვანი-მოაზროვნე. მუსიკოს-განმანათლებლისა და კულტურტრეგერის მრავალმხრივი ინტერესები მას არასოდეს [illegible] თებდნენ. ქართველი ხალხი ზ. ფალიაშვილს აფასებს არა როგორც ფილარმონიული საზოგადოების ერთ-ერთ მესვეურს ან როგორც კონსერვატორიის რექტორს და პროფესორს, არამედ როგორც „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ ავტორს. ზ. ფალიაშვილის პიროვნება ჩვენს ყურადღებას იქცევს უმთავრესად თავისი მუსიკალურ-მხატვრული მიღწევებით. ზაქარია ფალიაშვილი წმინდა მუსიკოსი იყო, შეიძლება ითქვას — მხოლოდ მუსიკოსი. მისი ერთად-ერთი მოვალეობა შემოქმედება იყო, ხოლო ერთად-ერთი წოდება კომპოზიტორი. ამ მხრივ იგი ნაკლებად უახლოვდებოდა რომანტიული საუკუნის იმ ევროპელ კომპოზიტორებს, რომელნიც მეტად ცხოველ ინტერესებს იჩენდნენ ფილოსოფიურ, ესტეტიურ და სოციალურ პრობლემებისადმი და რომელთა მოღვაწეობა საკუთარი ერის მთელ ინტელექტუალურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ზ. ფალიაშვილი სულიერად ეხათესავებოდა უფრო მე-17 და მე-18 საუკუნის იმ ძველ ოსტატებს, რომელნიც მხოლოდ მუსიკაში ხედავდნენ თავიანთი მოწოდების აზრსა და მიზანს. ოდესღაც კათოლიკეთა ტაძრის გუნდის მგალობელი, ხოლო შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, ლოტბარი და ეკლესიის ორღანისტი, ზაქარია ფალიაშვილი თავისი ცხოვრების სტილითაც ბევრნაირად ჰგავდა იმ ჩუმ და მოკრძალებულ ოსტატებს, რომელნიც მეტად დიდი წარმოდგენისა იყვნენ მუსიკოსის დანიშნულებაზე და თვით მუსიკასაც ისე უყურებდნენ, როგორც საიდუმლოებით მოცულ ტაძარს.

ამიტომ დღეს შეიძლება ბევრს მეტად ეუცხოოს და ეუცნაუროს ის გარემოება, რომ ფართო მსოფლმხედველობითს დიაპაზონს და მებრძოლ ტემპერამენტს მოკლებულმა ხელოვანმა ზაქარია ფალიაშვილმა ნამდვილი ნოვატორისა და რეფორმატორის როლი შეასრულა ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. მაგრამ დღეს ისიც ცხადია ჩვენთვის, რომ ეს რეფორმა მეტად შთაგონებული ხელოვანის უშუალო გრძნობისა და ინტუიციის შედეგი იყო და არა თეორიული ექსპერიმენტებისა და შეგნებული ტენდენციისა. თავისი მძლე ნიჭით და ოსტატობით პირველად ზაქარია ფალიაშვილმა აგრძნობინა ყველას, თუ რამდენად დიდი ყოფილა ჩვენი უნარი ხელოვნების იმ დარგში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოვლინებული არ იყო.

ზაქარია ფალიაშვილის მემკვიდრეობის და, უპირველეს ყოვლისა, მისი „აბესალომ და ეთერის“ შეფასების დროს თვალში გეცემათ მისი ისტორიული მნიშვნელობის მრავალმხრივობა და სიდიადე. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ისეთი დიდ საოპერო ნაწარმოების წარმოშობა ქართულ მუსიკაში, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“, შეიგრძნობა უფრო როგორც „ნ ა ხ ტ ო მ ი“, ვიდრე განსაზღვრული ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ე ტ ა პ ი.

ეროვნულ-მუსიკალური სტილის ჩამოყალიბების პერიოდში ზ. ფალიაშვილმა ქართული მუსიკის წინაშე დასახული მრავალი პრობლემის გადაწყვეტა შესძლო. პირველ ასეთ პრობლემას წარმოადგენდა ქართული მუსიკის პროფესიონალიზაცია. ზ. ფალიაშვილი აღჭურვილი იყო უფრო ძლიერი შემოქმედებითი ნიჭით და აზროვნების სიღრმით, ვიდრე სხვა რომელი-

მე მისი თანამედროვე. იმავე დროს იგი დიდად განსხვავდებოდა მათგან ღრმა პროფესიული მიდგომით მუსიკალური შემოქმედებისადმი. ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურის ისტორიაში ზაქარია ფალიაშვილი შეიძლება, როგორც პირველი კომპოზიტორი-ოსტატი, რომელსაც ქართული მუსიკა გამოჰყავს დილეტანტიზმის პრიმიტიულ მდგომარეობიდან და რომელიც პროფესიულ ხელოვნების მტკიცე საფუძველზე ამკვიდრებს მას. თუ ზაქარია ფალიაშვილის თანამედროვეებს მუსიკალური შემოქმედება „სასხვათაშორისო" საქმედ მიაჩნდათ და ხშირად ჰედონისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ ხელოვნებისადმი, ზაქარია ფალიაშვილმა თავისი ღრმა და პრინციპიალური პროფესიონალიზმით ლაგამი ამოსდო აღვირახსნილ დილეტანტიზმს და ნამდვილი დაოსტატებული ხელოვანის დისციპლინა და მეთოდი შეიტანა ქართულ მუსიკალურ აზროვნებაში. ეს მხარე ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული დამსახურებისა არა ნაკლებ დასაფასებელია, ვიდრე მისივე მხურვალე ინტერესი ქართულ ხალხურ შემოქმედებისადმი, რადგან თვით ხალხური მუსიკის ორიგინალური წყაროებისა და მისი თავისებური ინტონაციური სისტემის მხატვრული გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ შემოქმედებითი შრომის კულტურის ღირსების შეგნებისა და დაოსტატების გზით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პროფესიონალიზმის მნიშვნელობა არ განიზომება ამ შემთხვევაში ვიწრო აკადემიური ოსტატობის კულტით. მას ფართო ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა და იგი საბოლოოდ ნაკარნახევი იყო ქართული ევროპეიზმის იმ იდეალით, რომელიც მე-19 და მე-20 საუკუნის ყოველი მოწინავე ქართველის ძირითად ტენდენციას შეადგენდა, ე. ი. პროფესიონალიზმის შემწეობით ზ. ფალიაშვილი გზას უჭრიდა მე-19 საუკუნიდან მომდინარე „ტეტიათა მოტრფიალეების" პატრიარქალურ ტრადიციებს და მათი პროვინციალური ნაციონალიზმის ინერციას ქართულ მუსიკაში.[1]

ქართული მუსიკის ევოლუციის თვალსაზრისით, არა ნაკლებ თვალსაჩინოა ის, რომ ზაქარია ფალიაშვილის მისწრაფება მიმართული იყო აგრეთვე ეკლექტიზმის სხვადასხვა ეპიგონური ფორმის წინააღმდეგ ქართულ მუსიკაში. ზაქარია ფალიაშვილის უშუალო წინამორბედნი და თვით თანამედროვენიც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ნაციონალურ ხალხურ თემატიკას, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ნაციონალური და ზოგად-ევროპული ელემენტების ორგანიულად შერწყმა და შეკავშირება. ეს ორი ნაკადი — სპეციფიურ-ქართული და ზოგად-ევროპული მათ შემოქმედებაში თავს იჩენდა ხოლმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამით აიხსნება ამ პერიოდის მრავალ ნაწარმოების ეკლექტიკური „ორენიანობა" და მცირე მხატვრული ღირებულება. არსებითად ეს იყო ქალაქური ყარგონის ნიადაგზე შექმნილი ერთგვარი კომპრომისული სტილი ეკლექტიზმისა, ანუ არსებითად უსტილობა, რომელშიაც გათქვეფილი იყო იტალიური, რუსული და ირანულ-ქართული სტილის ელემენტები. ღრმა ეროვნული ალღოს მეოხებით ზაქარია ფალიაშვილი ცდილობდა დაებრუნებინა ქართული მუსიკისათვის მისი ნამდვილი სახე და უდიდესი ისტორიული აზრი მისი შემოქმედებისა ის არის, რომ იგი ერთსა და იმავე დროს არის დასასრული დილეტანტიზმის

[1] ქართული მუსიკალური ცხოვრების პროფესიონალიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე კომპოზიტორ-განმანათლებელს დ. არაყიშვილს.

და ეკლეკტიზმის პერიოდისა ქართულ მუსიკაში და დასაწყისი ნაციონალურ-კლასიკური სტილის ორგანიული პერიოდისა.

რას წარმოადგენდა რუსული და ევროპული მუსიკა იმ დროს, როდესაც მოსკოვის კონსერვატორიაში აკადემიურად განსწავლული ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილი ბრუნდება თავის სამშობლოში? მეოცე საუკუნის დასაწყისში მისტიკოსი და ვიზიონერი სკრიაბინი რუსული დეკადენტური მუსიკის ნამდვილი მეტრი იყო. ხოლო დასავლეთ ევროპაში იმ დროს თავის გამარჯვებას ზეიმობდა „იმპრესიონიზმის" უაღრესად რაფინირებული და სალონური მუსიკალური კულტურა. ესე იგი იმ დროს, როდესაც მთელი ზოგად-ევროპული მუსიკალური ხელოვნება, სიბერის უძლურებისაგან დავრდომილი, სამხრობისა და მწუხრის ჟამს უახლოვდებოდა, ქართული მხატვრული მუსიკა სიყრმის პერიოდს განიცდიდა. და რამდენად უდღეური და უნიადაგო იქნებოდა ზაქარია ფალიაშვილის ნაბიჯი, რომ მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულს პროფესიულ ოსტატობასთან ერთად რუსული ან ევროპული მოდერნიზმის იდეები ჩამოეტანა და ამ იდეების საშუალებით შესდგომოდა ჩვენი მუსიკალური ცხოვრების გარდაქმნას. თავისი უტყუარი მხატვრული ინტუიციით ზაქარია ფალიაშვილმა კარგად იგრძნო, რომ ეს გზა მაცდური და სახიფათო იქნებოდა ახლად დეხადგმული ქართული მუსიკის განვითარებისათვის. უფრო მეტიც. მან არ იკმარა აკადემიური განათლების მაღალი სკოლა და მოსკოვიდან დაბრუნებული კომპოზიტორი მიდის ხალხში, რომ იქ ხალასი და რეფლექსიით შეულახველი ხალხური შემოქმედების სკოლა გაიაროს. დიდია „აბესალომ და ეთერი" როგორც ისტორიულ-კულტურულ მოვლენა, მაგრამ უფრო საოცარია იგი, როგორც ეპოსი და ზაქარია ფალიაშვილის სიდიადეც ის არის, რომ მან ამ მრავალ-საუკუნოვანი ეპოსის სიმაღლიდან უჩვენა ქართულ მუსიკას დასაბამი და შემდგომი განვითარების საკუთარი, ორგანიული გზა.

ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული როლის გარკვევისათვის აუცილებელია შევეხოთ მისი შემოქმედების წყაროებსაც. ფალიაშვილის მასწავლებლები ჩაიკოვსკის მოწაფეები იყვნენ. ესენი არიან ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორი და დირიჟორი, მაგრამ საკმარისად განათლებული მუსიკოსი კლენოვსკი, რომლის ხელმძღვანელობითაც ახალგაზრდა ფალიაშვილი ამთავრებს თბილისში მუსიკალურ სასწავლებელს, და ჩაიკოვსკის უდიდესი მოწაფე, გამოჩენილი თეორეტიკოსი და კომპოზიტორი ს. ტანეევი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც იგი გაივლის მოსკოვის კონსერვატორიის უმაღლეს კურსს. ზაქარია ფალიაშვილი, როგორც კომპოზიტორი, საერთოდ რუსეთში ჩამოყალიბდა, მაგრამ როგორც ტანეევ-ჩაიკოვსკის სკოლას, ისე რუსული მუსიკის სხვა ოსტატებს პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა არ მოუხდენია ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაზე, თუ „დაისის" მუსიკალური ფაქტურის და, განსაკუთრებით, გარმონიული ენის ზოგიერთ ხერხს უსათუოდ ემჩნევა რიმსკი-კორსაკოვის სკოლის გავლენის კვალი, „აბესალომის" ავტორს არც ერთი რუსი თუ ევროპელი კომპოზიტორის პირდაპირი გავლენა არ განუცდია. ეს ფაქტი „აბესალომის" სტილის დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალურ-ნაციონალური თავისებურობისა მით უფრო საკვირველია, რომ იგი არსებითად კომპოზიტორის პირველი საოპერო ნაწარმოები იყო, შექმნილი და წარმოშობილი იმ დროს, როდესაც ქართული პროფესიული მუსიკა საერთოდ შთანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც რუსულმა, ისე ზოგად-ევროპულმა კულტურამ, რასაკვირველია, ბევრი რამ შეესძინა და გზა გაუკაფა ზაქარია ფალიაშვილს, როგორც ზიტორს-ოსტატს. მაგრამ, როგორც ფუძემდებელი ნაციონალური ქართული ოპერისა და მისი კლასიკური სტილის ხუროთმოძღვარი, იგი არავისგან არ იყო ისე დავალებული, როგორც იმ უცნობი და უსახელო ავტორებისაგან, რომელთაც ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორი შეჰქმნეს. ვიდრე „აბესალომისა“ და „დაისის“ მრავალი ჰანგი შემოქმედებითი დამუშავების გზით საოპერო ინტონაციად იქცეოდა, ისინი უდიდესი დროის განმავლობაში ხალხში ხმოვანებდნენ. ხალხურმა კულტურამ შეჰქმნა ეს ინტონაციები და ხალხში ჩამდგარი კომპოზიტორის შემწეობით გადაიქცნენ ისინი პროფესიულ კულტურად. ამით მოიპოვეს მათ გასავალი ეპოსის ვიწრო ბილიკებიდან ისტორიის ვრცელ მარაგზისკენ. თუმცა პირველი თაობის ქართველმა კომპოზიტორებმა ერთი და იგივე ნაციონალური მისწრაფება გამოამჟღავნეს, მაგრამ ზოგმა მათგანმა ამ მისწრაფებას ადგილობრივ-კუთხური გამოხატულება მისცა, სხვებმა-კი, პირიქით, იგი უცხო კულტურის ტრადიციებს დაუმორჩილეს. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების კავშირი როგორც ხალხურ, ისე ზოგად-ევროპულ კულტურის ტრადიციებთან ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგრამ ამ ტრადიციებთან კავშირს არასოდეს არ მიუღია მის შემოქმედებაში შემბოჭველი ტრადიციონალიზმის და პასიური ეპიგონობის ხასიათი.

ზაქარია ფალიაშვილის აზროვნების ხალხური სტილი ხალხური სასიმღერო მასალის გამოყენებით როდი აიხსნება. ის უფრო შედეგი იყო მისი აზროვნების ხალხურობისა, ვიდრე მიზეზი. ჯერ კიდევ კომპოზიტორის სიცოცხლეში ქართველ მუსიკოსთა ერთმა ჯგუფმა მეტად მკაცრი იერიში მიიტანა მისი შემოქმედების წინააღმდეგ. „აბესალომის“ ავტორი ეტნოგრაფიული ნაციონალიზმის წარმომადგენლად დასახეს და მთელი მისი შემოქმედება ხალხური შემოქმედების უბრალო გაგრძელებად გამოაცხადეს. დღესაც გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ზ. ფალიაშვილის შემოქმედებას ფოლკლორის გაელენის ჩარჩოებში აქცევენ და ისეთ შეუწყნარებელ დასკვნამდეც კი მიდიან, თითქოს მის მუსიკაში ისპობოდეს ზღვარი ინდივიდუალურ და ხალხურ შემოქმედებას შორის. უპირველეს ყოვლისა, ხალხური აზროვნების სტილი არასოდეს არა ჩრდილავს დიდი ხელოვანის დამოუკიდებელ სახეს. „აბესალომ და ეთერის“ კომპოზიტორი საკმაოდ მდიდარი ფანტაზიის ხელოვანი იყო, იმდენად მდიდარი, რომ მისი ინდივიდუალური ფიზიონომია ფოლკლორულ წყაროებში ვერ გაითქვიფებოდა. დიდად საყურადღებოა, რომ „აბესალომის“ და „დაისის“ უძვირფასესი ფურცლები თვით მათი ავტორის ორიგინალური აზროვნების ნაყოფია. ძნელია მეორე მონუმენტალური ნაწარმოების დასახელება ქართულ მუსიკაში, სადაც ესოდენ მცირე ადგილი ეჭიროს წმინდა ფოლკლორულ მასალას, როგორც „აბესალომ და ეთერში“. ზაქარია ფალიაშვილის აზროვნება საკმაოდ ხალხური იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იგი ფოლკლორული არ ყოფილა. მართალია, თავისი ინდივიდუალური აზროვნება მან ხალხურს შემოქმედებას შეაუღლა, მაგრამ ეს შეუღლება ნიშნავს არა ზღვარის მოსპობას მათ შორის, რაც არსებითად ხელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გაუპიროვნებას იწვევს, არამედ ორგანიულ სინტეზს, რის შემწეობითაც ყოველი მაღალი სტილის ნაწარმოები გამომხატველი ხდება მთელი ერის სულიერი თვისებებისა და არა მარტო ერთი ადამიანისა. როგორც ხალხურ შემოქმე-



დებასთან, ისე ზოგად-ევროპულ მუსიკალურ კულტურასთან ზ. ფალიაშვილის დამოკიდებულება არ ყოფილა პროვინციული. იგი ჭეშმარიტად ეროვნული ნაციონალური სტილის კომპოზიტორი იყო საქართველოში. ... ქართველოს იღებდა არა ეტნოგრაფიულად, არამედ მთელი თავისი შინაგანი არსებით და შემოქმედებითი აზრით. ნაციონალურ-მხატვრული სტილი არ წარმოადგენს მასალის და ტექნიკის და მათი გამოყენების უშუალო პროდუქტს. ყოველი ერის ნაციონალური სტილის საფუძველს წარმოადგენს ნაციონალური ხასიათი და ტემპერამენტი, თვით ერის ზოგადი სული, მისი სინტეზი. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების ეროვნულობა, მეტადრე მის საუკეთესო ნაწარმოებებში, გამოიხატება არა მარტოოდენ მისი მუსიკალური ენის ხალხურ წარმოშობაში, არამედ, — რაც მთავარია, — თვით მუსიკალურ-მხატვრული სახეების ნაციონალურ ხასიათში. ხალხური სიმღერა ზ. ფალიაშვილისათვის იყო არა სტილიზაციის საგანი, არამედ უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური ფაქტორი. „აბესალომ და ეთერის“ სტილი ეროვნული სინტეზის უდიდესი გამომხატველია.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედების კონკრეტული წყაროები მრავალმხრივია თვით ხალხური შემოქმედების თვალსაზრისითაც, რადგან მრავალმტო

ღირსშესანიშნავია, ეს სიმღერაც როგორც ფსიქოლოგიური და მუსიკალურ-სტილისტური ფაქტორი, გვაძლევს გასაღებს „აბესალომის“ მუსიკის ყოველ-მხრივი ანალიზისათვის. გვინდა ვსთქვათ, რომ საზეიმო სიმღერების ანალიზებულ და ჰიმნიურ კილოზე აამღერა ზ. ფალიაშვილმა „ეთერიანის“ მითოსი. „საზეიმო სიმღერების“ ერთსა და იმავე დროს ჰარმონიულ-პოლიფონიური წყობა მათი ოდნავ რეჩიტატიული, ორატორული მელოსი, თავისებური ქართული ორნამენტიკა, წყობითი დიატონიზმი და პედალებით მდიდარი ჰარმონია არა მარტო ოქროს ძირია „აბესალომ და ეთერის“ კომპოზიციისა, არამედ მისი ხერხემალიც.

საზეიმო ხასიათის ხალხური სიმღერა მრავალმხრივ შესანიშნავი ძეგლია. ქართული აზროვნების. არცერთ დარგში ნაციონალური სტილი ისე წმინდათ და შეურყვნელად არ გამოცხადებულა, როგორც ქართულ ხალხურ მუსიკაში, ხოლო საზეიმო ჟანრის სიმღერა ქართული კულტურის ორგინალობის ყველაზე ნათელი მაჩვენებელია. ამ მხრივ მას უდიდესი ისტორიულ-კულტურული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს. ეს არის თავისებური გუნდი — დიფირამბი, ნამდვილი De profundis ნაციონალური თვითშეგნებისა, რომელიც რაინდული სულით გაჟღენთილი ქართული ეპოსის ხალხმა შეჰქმნა. საქართველო კლასიკური ქვეყანაა ამ საზეიმო სტილის გუნდური კულტურისა, და ზაქარია ფალიაშვილი პირველი კლასიკოსი იყო ამ კულტურისა ქართულ პროფესიულ მუსიკაში. ეჭვი არ არის, ეს საზეიმო სიმღერები, ისტორიული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ქართველ ხალხს შეეძლო შეექმნა თავისი არსებობის უმაღლეს ძლიერებისა და აყვავების ხანაში. რასაკვირველია, ძნელია ზუსტად დავათარიღოთ მათი წარმოშობა. შეგვიძლიან მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ თავისი მძლე და ახოვანი სულით ისინი მიეკუთვნებიან საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“. ამიტომაც „აბესალომის“ მუსიკას თანამედროვე ადამიანი გადაჰყავს ჩვენი ისტორიის კლასიკურ საუკუნეებში და თითქოს საკუთარი გულით აგრძნობინებს ქართული რენესანსისა და ჰუმანიზმის ეპოქის სიდიადეს. ზაქარია ფალიაშვილის საოპერო სტილი მის საუკეთესო ქმნილებებში საქართველოს ათასწლოვანი გუნდური კულტურის უდიდესი განზოგადოებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით „აბესალომ და ეთერი“ უმაღლესი მწვერვალია ქართულ პროფესიულ მუსიკაში, რომელიც ანვითარებს და აგვირგვინებს ხალხური გუნდური მუსიკის გრანდიოზულ მთაგრეხილს.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედების სათავე მარტოოდენ საზეიმო სიმღერებიო არ განისაზღვრება. აღსანიშნავია კიდევ ერთი წყარო, რომელიც ანაყოფიერებს არა მარტო ისეთი მაღალი სტილის ტრაგედიას, როგორიც „აბესალომ და ეთერია“, არამედ თვით ისეთ ყოფაცხოვრებითი ტიპის ოპერას, როგორიცაა „დაისი“. მხედველობაში გვაქვს სასულიერო საგალობელი, ანუ ქართული და კათოლიკური ხორალი. რელიგიურ-სარწმუნოებრივი გრძნობა, როგორც ერთერთი სათავე ზ. ფალიაშვილის შემოქმედებისა, ავტორის ვიწრო კლერიკალური ტენდენციებით არ აიხსნება, იგი უფრო ფართოა და ღრმა, ვიდრე საეკლესიო credo და დოგმატიკა. სასულიერო, ქორალური თემატიკა ზ. ფალიაშვილის შემოქმედებითი ალმაფრენის ერთ-ერთი საწყისთაგანი იყო ჯერ კიდევ „აბესალომის“ შექმნამდე და მას ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს, ყოველ შემთხვევაში წყაროების ძიების დროს. ცნობილია, რომ ზაქარია ფალიაშვილმა მუსიკის პირველი გაკვეთი-

ლები ეკლესიაში მიიღო. კათოლიკური ეკლესია, რომელთანაც ზაქარია ფალიაშვილი სიყრმიდანვე იყო დაკავშირებული, როგორც გუნდის ხელმძღვანელი, ლოტბარი და, რაც მთავარია, ორღანისტი, უთუოდ ერთგვარი სკოლა იყო კომპოზიტორისათვის. იქ გაეცნო იგი ქართულ სიმღერებზე ადრე ევროპული მუსიკის ნიმუშებს.

ისიც ცნობილია, რომ ქართლ-კახეთისა და სვანეთის თვალშეუდგამ ეპოსში ზაქარია ფალიაშვილი ეძებდა არა მარტო ხალხურ სიმღერებს, არამედ სასულიერო საგალობლებსაც. როდესაც ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების ამ პარალელურად მიმდინარე ორ წყაროს ვეხებით, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „აბესალომის“ შექმნამდე იგი სწერს ორ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს. პირველია „აბესალომის“ მომავალი ლიბრეტისტის პ. მირიანაშვილის ტექსტზე დაწერილი და აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი რვახმიანი საზეიმო სიმღერა „მრავალჟამიერი“, სადაც ნათლად ჩანს ახალგაზრდა ფალიაშვილის დიდი შემოქმედებითი ოსტატობა და უნარი არა ხალხურ მასალაზე ხალხური სტილის ღირსშესანიშნავი ნაწარმოების შექმნისა. მეორე არის უფრო მნიშვნელოვანი, წმინდა რელიგიური საკულტო კომპოზიცია — „ლიტურგია“ იოანე ოქროპირისა. გარდა განსაკუთრებული მხატვრული თვითღირებულებისა, ეს ორი ნაწარმოები წარმოადგენს იმავე დროს ორ წყაროს, რომელიც ასაზრდოებს და ამზადებს ნიადაგს „აბესალომ და ეთერის“ მუსიკისათვის. ქართული ხორალით იწყება „აბესალომის“ საორკესტრო პრელიუდია და იგივე „ხორალი-აკაპელა“ აბოლოებს ოპერის ვოკალურ ნაწილს. თვით ისეთი მკაცრი და ულმობელი პერსონაჟი, როგორიც მურმანია, სიყვარულის გრძნობის სადიდებლად ოპერის მეორე სურათში მღერის ჰიმნიური ხასიათის მონუმენტალურ არიას, რომელიც თავიდან ბოლომდე ხმოვანებს, როგორც ფიგურირებული ხორალი. საგულისხმოა, რომ მეორე აქტის შესანიშნავი გუნდის „აბიოს“ თემის პირველი სათავე ასტრალური ჰიმნია „მზეო“. ეთერისა და აბესალომის განშორების ზარდამცემი მომენტისათვის (III აქტი) კომპოზიტორი სწერს ხალხური სტილის ზარს, რომლის ძირითადი ტონუსი არსებითად ლიტურგიულია. ძველი, საეკლესიო ინსტრუმენტის ორღანოს სტილით არის გამსჭვალული „აბესალომის“ მრავალი შთამგონებელი ფურცელი, პირველ-ყოვლისა მისი საორკესტრო ფაქტურა: ორღანო, როგორც თავისებური „უსიტყვო გუნდი“, ბუნებრივად ეუღლება და ესიტყვება გუნდური ხმლით გამსჭვალულ „აბესალომის“ მუსიკას. თვით ისეთი საეანრო და საყოფაცხოვრებო რეალიზმით აღსავსე ოპერა, როგორც „დაისია“, საეკლესიო დღეობის ფონზე მიმდინარეობს, სადაც ნაბდის-ქუდიანა პერსონაჟები ხან სვანურ ხორალს გალობენ, ხან კათოლიკური სტილის მონუმენტალურ საგალობელს. მწუხრის პატარა ლოცვა აბოლოვებს ამ ოპერას. ღრმა, ქართული სტილის გრძნობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სთვლემდა ძველ ხალხურ გუნდურ სიმღერებში და საგალობლებში, პირველად პლასტიურად განსახიერდა „აბესალომისა“ და „დაისის“ კომპოზიციებში.

მაგრამ ზ. ფალიაშვილის ისტორიული მნიშვნელობა მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ იგი ისწრაფოდა წმინდა ნაციონალური სტილის მუსიკისაკენ. თავისი შემოქმედების ნაციონალურ-ხალხურ საფუძველს იგი აღრმავებს იმით, რომ ქართულ მუსიკას აზიარებს ზოგად-ევროპულ მუსიკალურ კულტურას. „აბესალომ და ეთერის“ უდიდეს მნიშვნელობას შეად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს არა მისი ეროვნული სტილის სიწმინდე, არამედ ნაციონალური და ზოგად-ევროპული მუსიკის ღრმა და რთული სინტეზი. ეტყვს ეჭვი, რომ მხოლოდ ამ სინტეზის გზით ეხატებოდა „აბესალომის“ ავტორს ქართული მუსიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივა. მაგრამ თუ ზ. ფალიაშვილის მიზანი იყო ეზიარებინა ქართული მუსიკა ზოგად-ევროპული მუსიკალური კულტურისათვის, რასაკვირველია, მიმართავდა ამას არა იმ აზრით და გაგებით, რომ ქართული სასიმღერო მასალა დაემორჩილებინა ზოგად-ევროპული გაფორმების ხერხებისათვის, რასაც სწორედ მისი თანამედროვენი სჩადიოდნენ. ზ. ფალიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო ქართულ კომპოზიტორთა შორის, რომელმაც ღრმად შეიგნო ქართული მუსიკალური ხელოვნების სტილისტური თავისებურებანი. მან ორგანიულად შეითვისა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ არა ხალხური სასიმღერო მასალა უნდა დაექვემდებაროს მისი ბუნებისათვის უცხო კონსტრუქტიულ ნორმებს, არამედ თვით სასიმღერო მასალაში უნდა ვეძიოთ მისი განმსაზღვრელი საკომპოზიციო პრინციპები: ზ. ფალიაშვილის ფრიად განსხვავებული თვისება ის არის, რომ მისი გზა მიემართება არა ზოგად-ევროპული მუსიკალური ტრადიციებიდან ქართული ხალხური შემოქმედებისაკენ, რაც მის თანამედროვეთ ემჩნეოდათ, არამედ, პირიქით, იგი მიმდინარეობს ქართული ხალხური შემოქმედებიდან ევროპულ მუსიკალურ კულტურისაკენ. ნაციონალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ მებრძოლი, ზ. ფალიაშვილი ცდილობდა დაეძლია პროვინციალური გათიშულობა მრავალნაირ დიალექტებად დაქსაქსული ქართული ხალხური შემოქმედებისა და ამით წარემართა ქართული მუსიკა ერთიანი „ცენტრალიზებული“ ენის გამოძებნის გზით.

არსებითად ეს იყო ბრძოლა ქართული მუსიკალური ენის განთავისუფლებისათვის ყოველგვარი კუთხური, კერძოობითი ელემენტებისაგან, მისი სინტეტიური არსის გამოვლენებისა და ზოგადმნიშვნელობის დამკვიდრებისათვის. და ზ. ფალიაშვილის სიდიადეც სწორედ ის არის, რომ იგი პირველი ამკვიდრებს ქართულ მუსიკაში ნამდვილ „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ“ ენას. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ „ლიტერატურული ენის“ საშუალებით იყო შესაძლებელი ნამდვილი კლასიკური ოპერის შექმნა. მაგრამ იმავე დროს იგი იმ გარემოებასაც კარგად გრძნობდა, რომ ჩვენში ლიტერატურული ენის სიწმინდისა და ღირსების საზომი მუდამ ცოცხალი ხალხური მეტყველება იყო. ზაქარია ფალიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შესძლო ქართული ტიპის მელოდიის გარმონიზება ისე, რომ არ შელახულიყო მისი დიატონიურ-წყობითი ბუნება. მას კარგად ესმოდა, რომ ქართული ნაციონალური მელოსი, ისე როგორც ყოველი ელემენტი ქართული მუსიკალური მეტყველებისა, უაღრესად თავისებური მოვლენაა და, მაშასადამე, მოითხოვს შესატყვის, სპეციფიურ გარმონიულ სტილს.

ზაქარია ფალიაშვილის თანამედროვენი ქალაქურ ფოლკლორს დაემყარნენ და აგრეთვე იმ დროინდელი თბილისის ოფიციალური მუსიკალური კულტურის უშუალო ზეგავლენა განიცადეს. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება კი, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, გუნდური ეპოსის ნიადაგზე აღმოცენდა. ამიტომ ობიექტურად დიდი განსხვავებაა ზაქარია ფალიაშვილის ქართულ სტილსა და მის თანამედროვეთა ერთი ნაწილის ფსევდო-ქართულ სტილს შორის.

ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული მნიშვნელობა ქართულ მუსიკაში

არაჩვეულებრივად დიდია და იგი შეგვიძლიან ამ მხრივ შევადაროთ ილია ჭავჭავაძის როლს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მართალია ჭავ-ჭავაძე უფრო მრავალმხრივი პიროვნება იყო და თავისი [illegible] პაზონით სჭარბობდა ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც აგრეთვე მოკლებული იყო ილია ჭავჭავაძის მებრძოლ სულს, მაგრამ ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში მათ რამდენადმე ანალოგიური როლი შეასრულეს. ხოლო თუ ილიასეული პერიოდი ქართულ მწერლობაში ვეებერთელა ლიტერატურული ევოლუციით იყო მომზადებული, ზაქარია ფალიაშვილი მოკლებული იყო ღირსეულ წინამორბედებს, რათა მისთვის გზა გაეხსნათ და გაეკაფათ. ილია ჭავჭავაძე იყო მამამთავარი ახალი ქართული ლიტერატურისა, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი სრულიად ღირსეულად ითვლება ქართული კლასიკური ოპერის მამამთავრად. ორივენი დამამკვიდრებელნი არიან თანამედროვე ლიტერატურული და მუსიკალური ენისა ცოცხალი ხალხური ენეტყველების ნიადაგზე. ი. ჭავჭავაძის მსგავსად ზაქარია ფალიაშვილიც ქართველ გლეხკაცობაში ხედავდა ერის სულიერ პოტენციას და კარგად გრძნობდა, რომ მდაბიო და დაბალი ხალხი ჰქმნიდა ჩვენში მაღალ და ფაქიზ კულტურას. როგორც კლასიკური კულტურის ტრადიციებზე აღზრდილ ხელოვანს, ზაქარია ფალიაშვილს, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, შემოქმედებითი აზრის პლასტიური გადმოცემის უნარი და კომპოზიციის მახვილი გრძნობა ჰქონდა. ი. ჭავჭავაძეც და ზ. ფალიაშვილიც თავიანთ სამშობლოს ნიადაგზე იდგნენ, მაგრამ მათი ტენდენციები ერთსა და იმავე დროს ნაციონალურიც იყო და უნივერსალურიც. ქართული მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატების ნ. ბარათაშვილის და ი. ჭავჭავაძის მსგავსად, ზაქარია ფალიაშვილი თავისი რწმენითა და მოწოდებით ნამდვილი ქართველი ევროპელი იყო. „აბესალომ და ეთერის“ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ამ ოპერის ქართული მუსიკა ყველაზე მეტად ქართულია მათ შორის, რაც-კი იმ ხანებში შექმნილა და იმავე დროს ყველაზე უფრო ზოგად-კაცობრიული. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ საფუძველი იმ ქართული ევროპეიზმისა, რომელიც „აბესალომ და ეთერის“ შთაგონებულ ოსტატს ესმოდა არა როგორც ქართულის ევროპიზაცია ან ევროპულის გადმოქართულება, რაც ორივე შემთხვევაში უთუოდ დენაციონალიზაციის საფრთხეს ჰქმნიდა, არამედ როგორც ქართული მუსიკალური ხელოვნების ამაღლება საერთაშორისო კულტურის დონემდე.

ქართველ მუსიკოსთა პირველ თაობაში ეს გარემოება არავის არ უგრძვნია ისე ნათლად, როგორც ზ. ფალიაშვილს. თითქმის ყოველთვის და ყველგან კლასიკური სტილი როგორც მუსიკაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში მუდამ ხანგრძლივი ევოლუციის ნაყოფი იყო. მაგრამ თუ ბუნებაში არა, ისტორიაში ზოგჯერ დიდი ეპოქის გაზაფხული ერთ მერცხალს მოჰყავს ხოლმე და ზ. ფალიაშვილის ნოვატორობაც სწორედ ის არის, რომ „აბესალომ და ეთერის“ სახით მან შეჰქმნა არა მარტო ქართული ნაციონალური ოპერა, არამედ, რაც არა ნაკლებ საგულისხმოა, იგი პირველ კლასიკოსად მოგვევლინა ამ ჟანრით. ნამდვილი ნაციონალური ოპერა იმავე დროს პირველი კლასიკური ოპერა აღმოჩნდა. ნაციონალური ტენდენციებისა და კლასიკური სტილის დაპირდაპირების ტრადიცია არ მართლდება ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში. „აბესალომ და ეთერის“ მუსიკაში ნაციონალური და კლასიკური ერთი მეორეს ემთხვევა და ეს ორმაგი დანიშნულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნაწარმოების მიერ შესრულებული, განსაკუთრებულ რელიეფს აძლევს ზაქარია ფალიაშვილის ისტორიულ სახეს.

„აბესალომ და ეთერის" კომპოზიტორი ნამდვილი და ჭეშმარიტი კლასიკოსია, მაგრამ არა იმ აზრით და გაგებით, რომ იგი ზოგად-ევროპული კლასიციზმის განსაზღვრულ სტილისტურ პერიოდს დაემყარა, როგორც ეს კლასიკური სკოლის ეპიგონებს ან ნეოკლასიკოსებს სჩვევიათ. ზ. ფალიაშვილის კლასიციზმი ორგანიული მოვლენაა და ჭეშმარიტად ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. როგორც მისი შემოქმედების გენეტიკურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, სულ რაღაც 25 წლის წინათ შექმნილი „აბესალომ და ეთერის" სათავე უფრო ღრმაა და უფრო არქაული, ვიდრე პირველი შთაბეჭდილებით შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. „აბესალომ და ეთერის" სტილი და თვით მისი აღნაგობაც ხილული თუ უხილავი წყაროებით ჩვენი სულიერი კულტურის უძველეს ტრადიციებთან არის დაკავშირებული: ამიტომაც სოციალური პრობლემებისა და რევოლუციების ეპოქაში მცხოვრები ზ. ფალიაშვილი უფრო ჩვენი ისტორიის კლასიკურ ეპოქიდან მოსულ კაცს ჰგავდა, რომელიც ტაძრის აგებას შეუდგა ჰანგებისაგან იმ საუკუნეში, როდესაც ტაძრებს უკვე ქვისაგანაც აღარ აგებდნენ. რუსთაველის ეპოქის ცხოველმყოფელი ნათელი მე-19 საუკუნის მხატვრული მოვლენების მეტად მცირე რიცხვს სწვდება. გასულ საუკუნეში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების იდეები და მოტივები ძირითადად ემპირიულ-ყოფაცხოვრებითი აზროვნების რკალში არიან მოქცეული. „აბესალომ და ეთერის" ამაღლებული სტილი არ აგრძელებს მე-19 საუკუნის მხატვრული კულტურის განვითარების ხაზს და იგი უფრო იმ დიდი ისტორიული ეპოქის ტრადიციების აღდგენისა და გაცოცხლების ცდას წარმოადგენს, როდესაც ქართველი ხალხის სულიერმა ძლიერებამ ბრწყინვალებით იფეთქა. ნუ მოვერიდებით გაბედულ თქმას. ახალი საქართველოს არც ერთი მხატვრული ქმნილება არ ამჟღავნებს ძველი კლასიკური კულტურის გამაღვიძებელ სულს ასე მკაფიოდ და ცხადად, როგორც „აბესალომ და ეთერი". იგი ჭეშმარიტად ქართული კულტურის კლასიკური პერიოდის დიდებული ნაშთის შთაბეჭდილებას სტოვებს, ამას მოწმობს ოპერის როგორც იდეური კონცეპცია, ისე მისი ფორმის კეთილშობილური პროპორციები და კონტურები. ნაციონალური კლასიკური საფუძველი აქვს „აბესალომ და ეთერის" არა მარტო ინტონაციურ საწყისს, არამედ მის პლასტიკას და არქიტექტონიკას. „აბესალომ და ეთერის" როგორც მუსიკალური, ისე დრამატურგიული ფაქტურა ისევე მასივია და მკვიდრი, როგორც ძველი ქართული ტაძრის მასალა და ნაგებობა.

„აბესალომის" მუსიკის ორივე ნაკადი — მაღალი თვისების ხალხური საზეიმო სიმღერა და სასულიერო საგალობელი თითქოს თავისებური მუსიკალური ორეულებია იმ ხოტბითი და ჰიმნიური ლირიკისა, რომლის პოპულარულ ფორმებს დიდებისა და გამარჯვების გრძნობით აღსავსე ოდები და ჰიმნები წარმოადგენენ კლასიკურ საქართველოს საუკუნეებში.

როგორც წმინდა ქართული კლასიკური სტილის განუმეორებელ ნიმუშს „აბესალომის" მუსიკას და პოეზიას აქვს კიდევ ერთი თვისება, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის კულტურულ ღირებულებათა შორის თითქმის მარტოოდენ მის თავისებურებას შეადგენს. მხედველობაში გვაქვს კლასიკური ქართული აზროვნების ბუნებისათვის დამახასიათებელი სინტეზი წარმართული და ქრისტიანული კულტურის ელემენტებისა. ქართულ აზროვ-

ნებას არ გაუთხრია უფსკრული ამ ორ მოპირდაპირე საწყისებს შორის თვით ისეთ დუალისტურად განწყობილ ისტორიულ ეპოქაში, როგორც საშუალო საუკუნეები იყო. ტრაგედია დუალიზმისა, ესოდენ დამახასიათებელი დასავლეთ-ევროპის აზროვნებისათვის, შედარებით უცხო იყო ქართული სულიერი კულტურისათვის. ამ ორიგინალური სინტეზის მბიბლავი ძალა ნათლად იგრძნობა ქართული კლასიკური ლიტერატურის და ხუროთმოძღვრების ძეგლებში, ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებში და განსაკუთრებით ქართულ ხალხურ სიმღერებში და საგალობლებში.

ანტიურ-წარმართული „ზარისა“ და რელიგიურ-ქრისტეანული „რეკვიემის“ ელემენტების შეზავების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტის ფინალი. დიდად საყურადღებოა, რომ ქრისტეანული და წარმართული ელემენტების ერთი მეორეში შეჭრას და შეჯვარებას ჩვენ ვხედავთ არა მარტო ხალხურ საზეიმო სიმღერებში, რომელნიც „აბესალომის“ მუსიკალურ წყაროს შეადგენენ, არამედ ოპერის თვით პოეტურ საწყისში — „ეთერიანში“, რომელიც ქართული ხალხური ეპოსის ულამაზეს რელიკვიას წარმოადგენს. ეს თავისებური და თითქმის უცნაური სანტეზი მამხილებელია ქართველი ხალხის არა მარტო ეროვნული ინდივიდუალობისა და ნაციონალური იდეალის, არამედ იგი ნათელს ჰფენს ძველი ქართული კულტურის სულიერ ნათესაობას ელინისტურ სამყაროსთან. კერძოდ, „აბესალომ და ეთერისთვის“ აბსოლუტურად უცხოა აღმოსავლეთის ეპიკურეიზმი და სენსუალიზმი და იგი დაკავშირებულია ქართული კულტურის კლასიკური პერიოდის არა აღმოსავლურ ხაზთან, არამედ იმ კულტურის დასავლურ-ევროპული მაგისტრალის ტრადიციებთან. ამ შემთხვევაშიც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დასავლურ-ევროპული საწყისის ორივე ნაკადი—წარმართულ-ელინური და ბიზანტიურ-ქრისტეანული. ძველი ქართული კლასიკური კულტურის ძეგლების მსგავსად, „აბესალომ და ეთერის“ მხატვრული სტილი ხალხურიც არის და ამაღლებულიც — ერთსა და იმავე დროს.

*
* *

ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული როლისა და ქართული მუსიკის განვითარებაში მისი ადგილის განსაზღვრისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ კიდევ ერთი თავისებურება. ყოველი ერის მუსიკალური აღორძინება მუდამ ვოკალური ხელოვნებით დაწყებულა. თავისი განვითარების დაწყებით პერიოდში ყველა ქვეყნის მუსიკოსები მიმართავდნენ ყველაზე უძველეს და ყველაზე მელოდიურ ინსტრუმენტს — ადამიანის ხმას. ინსტრუმენტალური, სიმფონიური ხელოვნება, როგორც უფრო რთული ფორმა მუსიკალური აზროვნებისა, ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების შედეგად იქმნება და იგი ახალგაზრდა მუსიკალურ კულტურას არ ახასიათებს. ქართველ კომპოზიტორთა პირველი თაობა და მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებითი ფანტაზიაც არ შეხებია, ოპერის გარდა, თითქმის არც

ერთ სხვა ჟანრს. მართალია, თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე, იგი მიმართავდა საგუნდო და სარომანსო მუსიკის ჟანრებსაც, მაგრამ თავისი მხატვრული ინდივიდუალობის ბუნებიდან გამომდინარე, ეს-ეს-ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ლეგენდის სიუჟეტში კომპოზიტორს იტაცებს არა მარტო იდეა სიყვარულის უკვდავებისა, არამედ ძველი, ანტიური იდეა ბედისწერისა და ფატალობისა. სიყვარული როგორც საბედისწერო ძალა განხორციელება, ხან იგრძნობა ოპერაში, ხან კი პირდაპირ აშკარად ეღერს. ჩვენ ვგულისხმობთ „შინაგან ბედისწერას“, ანტიურ ხასიათს და პრინციპს ტრაგიზმისას „აბესალომ და ეთერში“. ეპიურ სტილს დეტალიზაცია არ ახასიათებს. მთელ ნაწარმოებში არ მოიპოვება არც ერთი ადგილი წვრილმანი საყოფაცხოვრებო ეპიზოდებისათვის, არ არის არც ერთი გარეგნული დეკორატიული სამკაული, საოპერო რიტორიკისა და ფრაზეოლოგიის არც ერთი ელემენტი. კომპოზიტორს იზიდავს მარტოოდენ თავისი გმირების შინაგანი ცხოვრება და განცდა, ხოლო გმირებად აქ გვევლინებიან არა მარტო პიროვნებანი, არამედ ხალხიც. ანტიური ტრაგედიის ხოროს მსგავსად, „აბესალომში“ გუნდი-ხალხი ნამდვილი გმირია ტრაგედიისა. ფრიად საგულისხმოა, რომ ზ. ფალიაშვილი, როგორც ჭეშმარიტი მუსიკოსი, ყველა თავის ოპერაში, რომელიც მოკლებულია ლიტერატურულ ტენდენციებსა და გარეგანი ალწერილობის მომენტებს, მუსიკას აკისრებს დომინიურ როლს, რათა იმოქმედოს უშუალოდ თავისი საკუთარი ძალოვნებით.

„აბესალომის“ და „დაისის“ ავტორი მუსიკალური დრამატურგიის ჩინებული ოსტატია. ყველა მის ოპერაში დრამატურგიის განმსაზღვრელი ფაქტორი ლოგიკაა მუსიკალური განვითარებისა, ხოლო ყოველივე დანარჩენი გამოიხატება და განისაზღვრება ამისდა მიხედვით. ფართოდ გაშლილი ეპიური მანერა წერისა, განსაცვიფრებელი შეთავსება უდიდესი სკულპტურული და ექსპრესიული ძალოვანებისა, ფაქტურის სიმკვრივე და მონოლიტობა, ე. ი. სტილი „ალფრესკო“, ცხადად მეტყველებენ „აბესალომ და ეთერის“ დიადობასა და მონუმენტალობაზე. ზაქარია ფალიაშვილმა შეჰქმნა ლირიკულ-ეპიური ტრაგედია, რომელიც თავისი კეთილშობილი სისადავით და ამაღლებული ხასიათით, ისევე, როგორც დრამატურგიული აღნაგობით, უთუოდ ენათესავება ძველი ბერძნული ტრაგედიის ნიმუშებს. „აბესალომ და ეთერი“ როგორც ანტიური სტილის ტრაგედია, ვეებერთელა პრობლემის სახით სდგას ჩვენს წინაშე.

ამრიგად, ზაქარია ფალიაშვილის ისტორიული როლის თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მან შეჰქმნა ისეთი სახეობა ტრაგედიისა, რომლის მსგავსების დამსახველ პროტოტიპს ვერ ვიპოვნით მთელი ქართული აზროვნების ისტორიაში.

ზაქარია ფალიაშვილის მაესწავლებლის ოცნების საგანს შეადგენდა შეექმნა მონუმენტალური სტილის მუსიკალური ნაწარმოები რუსული ხალხურსასიმღერო მასალის საფუძველზე. მაგრამ ოპერა „ორესტეას“ ავტორია ტანეევის მონუმენტალიზმი არ იყო ნაციონალურ-ხალხური წარმოშობისა. რასაც ტანეევი ეძებდა, ის მისმა ღირსეულმა ქართველმა მოწაფემ იპოვა.

ზაქარია ფალიაშვილი მარტო ნაციონალურ-კლასიკური ოპერის („აბესალომ და ეთერის“) ფუძემდებელი როდი იყო. მან ვეუკაფა გზა სხვა მიმართულებასაც — ნაციონალურ-რომანტიულ ოპერას („დაისი“). ამ შემთხვევაშიაც აღვნიშნავთ მისი რომანტიზმის ხალხურ-ეროვნულ საფუძველს, რადგან „დაისის“ რომანტიკა ევროპული წარმოშობისა არ არის, — იგი ხალხური ფანტაზიის წყაროებიდან მომდინარეობს. იმავე დროს, ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე ერთსა და იმავე ავტორის

ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებობს. როდესაც „აბესალომ და ეთერის“ შემდეგ „დაისის“ პარტიტურას უსმენთ, ისეთი გრძნობა გეუფლებათ, თითქოს ამაღლებული ეპოსის სფეროებიდან ემპირიულ სინამდვილეში ეშვებით.

თუ „აბესალომ და ეთერი“ მაღალი სტილის ტრაგედიას წარმოადგენს და, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გრანდიოზულ ძეგლების მსგავსად, კლასიკური ეპოსის ჭაღარა ქედებზეა აღმართული, „დაისი“ უფრო კამერული ტიპის ლირიკული დრამაა, მაგრამ არა ინტერიერის ოთხ კედელში ჩაკეტილი, არამედ ჟანრისა და პეიზაჟის კოლორიტულ ფონზე გაშლილი. „აბესალომ და ეთერის“ უაღრესად განზოგადოებული სტილის ტრაგედიას „დაისის“ სახით სცვლის ყოფაცხოვრებითი ტიპის რომანტიული მელოდრამა, ფილოსოფიურ ლირიკას — ინტიმურ-კამერული განწყობილება, რომლის უპირატეს როლს ოპერაში თვით გმირული საწყისიც კი ეწირება. „აბესალომ და ეთერის“ მუსიკაში ლირიკაც და ეპოსიც „სიბრძნის დარგს“ მიეკუთვნებიან და ერთისა და იმავე არსის სხვადასხვა მხარეს შეადგენენ. „დაისში“-კი ეპოსი მხოლოდ ფონია და კანვა, რომელზედაც კომპოზიტორმა მშვენიერი პოემა ამოქარგა. „დაისი“ საგრძნობლად აფართოებს და ამდიდრებს ქართული მუსიკის ინტონაციური სისტემის სფეროს და როგორც დრამატიული სტრუქტურის, ისე მეტადრე მუსიკალური ენის მხრით ახალ პრობლემას სწყვეტს ქართულ საოპერო მუსიკაში. „დაისის“ სტილი ქართული და ირანული ელემენტების რთული ასიმილიაციის ნაყოფია. ირანულ-არაბული კულტურის ზეგავლენა ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე საყოველთაოდ ცნობილია. ამ გავლენას ვერც ქართული მუსიკა ასცდა. დინასტიურ საქართველოდან მომდინარე მუხამბაზებისა და ბაიათების რეზონანსი დიდხანს ისმის მე-19 საუკუნეშიც. მაგრამ თუ იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში ირანიზმის ელემენტები უკვე უნიადაგო ანაქრონიზმის დაღს ატარებენ „ძველი ტფილისის“ საყოფაცხოვრებო მუსიკაში ისინი კვლავ ინარჩუნებენ თავის მიმზიდველ ძალას.

გეოგრაფიულ-ფიზიკური არსებობის მიუხედავად, ქართულ მუსიკას აღმოსავლურისაგან არა ნაკლებ ღრმა უფსკრული მიჯნავს, ვიდრე ევროპულისაგან. ზაქარია ფალიაშვილის თანამედროვეებს არა ერთხელ უცდიათ ქართულ მუსიკაზე ირანულ-არაბული კულტურის ელემენტები დაემყნოთ, მაგრამ მათ ცდებში ყოველთვის ქართული საწყისი იჩრდილებოდა, რის შედეგად ვიღებდით ორიენტალურ-ქართული სტილის ნარევ ხელოვნურ სიმბიოზს. „დაისის“ მუსიკაში კი ირანული კულტურის ელემენტებმა ღრმა და რთული ტრანსფორმაცია განიცადეს როგორც ინტონაციური, ისე ემოციონალური შინაარსის მხრივ. „დაისის“ მრავალი სოლო, ქართულ ნიადაგზე გარდაქმნილი აშუღური ბაიათების შორეულ გამოძახილს წარმოადგენს, სადაც ძალიან სუსტია კავშირი ირანული მუსიკის ტრადიციებთან, ე. ი. მათში აღმოსავლური მუსიკის ელემენტი იჭრება არა უშუალო და პირდაპირი გავლენით, არამედ ძველი თბილისის ქალაქური ჟანრის მუსიკალური კულტურის გზით. „დაისის“ სათავეს წარმოადგენს არა გუნდური ეპოსი, არამედ ქართული ყოფაცხოვრებითი მუსიკის როგორც ქალაქური, ისე სოფლური შტო. „დაისში“ პირველად შეიჭრნენ ყოფაცხოვრებითი მუსიკის მასობრივი ჟანრები—ცეკვის, სიმღერის და რომანსების სახით. თუ „აბესალომის“ პრობლემა შეიძლება ფორმულირებულ იქნას, როგორც ტრაგედიის წარმოშვება ეპოსის სულიდან, „დაისის“ ლირიკა ქალაქური რომანსის კულ-

ტურის ნიადაგზეა აღმოცენებული და ეს კულტურა განსაზღვრავს ამ ოპერის რომანსულ-არიოზულ სტილს და თვით მის მელოდრამატიულ ხასიათს. თუ „აბესალომში“ ნაციონალურ-ხალხური სტილი კლასიკური ფორმებში განსახიერდა, „დავითი“ მთლიანად ლოკალურ ფარგლებშია მოქცეული და აქ ცნება „ხალხური“ უფრო „ყოფაცხოვრებითს“ ნიშნავს. „დავითის“ ავტორი ჩვენს წინაშე სდგას, როგორც ჟანრისტი და ინტიმიურად განწყობილი ლირიკოსი. გრანდიოზულ მუსიკალურ ფრესკას „აბესალომ და ეთერს“ მკვეთრად დაუპირდაპირდა ქართულ-ალმოსავლური სტილის მშვენიერი მოზაიკა, რომელიც დღემდე ხიბლავს ადამიანს თავისი სათუთი პოეტური სულით და კონტრასტებით, კომპოზიციის იშვიათი მოქნილობით და ფაქიზი ოსტატობით.

სულ სხვა გზა აქვს ზაქარია ფალიაშვილის უკანასკნელ ოპერას „ლატავრას“. როგორც ჟანრისა და თემატიკის, ისე მუსიკალური ენის მხრივ, იგი კვლავ ახალი საფეხურია კომპოზიტორის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში. მიუხედავად შესანიშნავი გუნდური სცენებისა და რამდენიმე სოლო-ეპიზოდისა, „ლატავრა“ არ არის კომპოზიტორის სრული გამარჯვების მაჩვენებელი. „ლატავრას“ ავტორი უფრო სტილიზატორია, ვიდრე სტილისტი. მუსიკალურ-სცენიურ სტატიკაში გაყინული ისტორიული ქრონიკა თავისი ბატალური ტიპის ჰეროიკით და ეგზოტიკით, დეკორატიულ-თეატრალური სტილის გუნდური სცენებით, პირობითი ორიენტალიზმით, ჭარბი სანახაობით და ფინალური აპოთეოზით „ლატავრა“ უფრო ფრანგული გრანდ-ოპერის ტრადიციებთან არის დაკავშირებული.

ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალების დღეებში ჩვენ შემთხვევა გვქონდა შეგვედარებინა მისი ისტორიული როლი რუსული და გერმანული ნაციონალური ოპერის ფუძემდებლების გლინკას და ვებერის როლისათვის. „აბესალომის“, „ივან სუსანინის“ და „ფრაი შუცის“ ავტორებმა თავიანთ სამშობლოს წინაშე ბევრის მხრივ ანალოგიური როლები შეასრულეს. მაგრამ ეს ისტორიული პარალელი, ძირითადად მართებული და დამაჯერებელი, ერთგვარ კორექტივს საჭიროებს. ყოველი ერის ნაციონალური ოპერის ფუძემდებელს წინ უძღოდნენ ისეთი შემოქმედნი, რომელნიც მას გზას უკაფავდნენ და მისთვის ნიადაგს ამზადებდნენ. ისტორიულად ასე იყო საფრანგეთში, გერმანიაში და, ბოლოს რუსეთში. მაგრამ „ქართველ გლინკად“ წოდებული ზ. ფალიაშვილის მოვლენება, ისტორიული თვალსაზრისით, უფრო საოცარ ფაქტს წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილი გლინკასი.

რუსული კლასიკური ოპერის ფუძემდებლის გლინკას მიღწევები რუსულ მუსიკაში განუზომელია და იგი არავითარ გადაფასებას არ საჭიროებს. ოდესღაც გლინკას გაჩენა რუსულ მუსიკაში სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენდა მისი შემოქმედების მკვლევარებზე, მაგრამ დღეს ყოველი დაკვირვებული მუსიკოსისათვის ნათელია, რომ გლინკა ტიპოლოგიური გენიოსების რიცხვს ეკუთვნოდა, რომ მას ღირსეული წინამორბედები ჰყვანდნენ და ისტორიულად საკმაოდ მომზადებული იყო ნიადაგი მისი შემოქმედებისათვის. გლინკას სტილი მეტად რთული და თავისებური სინტეზია რუსული, იტალიური და გერმანული მუსიკის ელემენტებისა.

თითქმის იგივე ითქმის ფრანგული და გერმანული ნაციონალური ოპერის დამფუძნებლებზე. ვიდრე გერმანიაში ნაციონალურ-რომანტიული ოპერა შეიქმნებოდა, გერმანულ მუსიკალურ ხელოვნებას უდიდესი გზა ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლილი და, რაც მთავარია, თვით ვებერს წინ უძღოდა უბრწყინვალესი პერიოდი კლასიკური საოპერო სკოლისა.

როცა ამ ისტორიულ პერსპექტივას ვითვალისწინებთ, ადვილად ... ნია, რომ ნაციონალური და კლასიკური ოპერის არც ერთ ფუძემდებლის ისტორიული ბედი არ ყოფილა ისე მძიმე, როგორიც ზაქარია ფალიაშვილის ბედი იყო. ზ. ფალიაშვილი არ იყო პირველი ქართველი კომპოზიტორი და, მეტადრე, პირველი ქართველი მუსიკოსი საქართველოში. მას ჰყვანდნენ წინამორბედნი, მაგრამ ფალიაშვილი არ ჩაითვლება მათ მემკვიდრედ და მისი შემოქმედებითი პიროვნება არსებითად გენეალოგიის გარეშეა. თითქოს ხანგრძლივი ევოლუციის გზის გავლა იყო საჭირო, რომ ერის მუსიკალურ კულტურას „აბესალომის“ მწვერვალისათვის მიეღწია. თუ საზოგადოდ ყოველი დიდი შემოქმედი თავის მოღვაწეობის უმაღლეს საფეხურს გარკვეული სულიერი ევოლუციის შედეგად აღწევს, ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობაში ჩვენ ვხედავთ ფაქტს საკმაოდ არაჩვეულებრივს, აპრიორულად თითქოს შეუძლებელს, მაგრამ რეალურად მაინც მომხდარს და ცხადზე უცხადეს. პირველი საოპერო ნაწარმოები ზაქარია ფალიაშვილისა, ოპერა „აბესალომ და ეთერი“, მოგვეევლინა კულმინაციურ წერტილად არა მარტო კომპოზიტორის პირადი ევოლუციის, არამედ მთელი ქართული მუსიკალური ხელოვნების, მისი განვითარების პირველ პერიოდში.

დიდი ხელოვანის ისტორიული მნიშვნელობა როდი განიზომება მარტო იმით, რომ მან დასძლია და გადალახა ის, რაც დასაგმობი და უარსაყოფელი იყო, — იგი ფასდება პირველ ყოვლისა თავისი შემოქმედების პერსპექტიულობით და ისტორიული რეზონანსითაც. თუ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებითი კავშირი მის უშუალო წინამორბედ და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორებთან თითქმის სულ არ იგრძნობა, შემდგომი, საბჭოთა პერიოდი ქართული მუსიკის განვითარებისა უმჭიდროესი ძაფებით არის დაკავშირებული მისი შემოქმედების ტრადიციებთან. „აბესალომისა“ და „დაისის“ ორმა მოპირდაპირე ხაზმა როგორც მუსიკალურის, ისე დრამატურგიულის მხრივ წინასწარ განსაზღვრა ქართული საოპერო მუსიკის შემდგომი განვითარება და ათეული წლებით უზრუნველჰყო მისი ევოლუცია.

წარსულში მრავალი ხელოვანის ბიოგრაფია ტრადიციული ფურცლებით არის ალბეჭდილი, მრავალი დიდი მუსიკოსის სიცოცხლეს თითქმის შეუმჩნევლად ჩაუვლია თანამედროვეებისათვის. ბევრნი მათ შორის „იბადებოდნენ“ სიკვდილის შემდეგ. ზაქარია ფალიაშვილის ბიოგრაფიაშიც უნდა განვსაზღვროთ ორი ცხოვრება, რადგან იგი მართლაც ორჯერ დაიბადა. მისი მოღვაწეობის პირველი ნახევარი საკმაოდ უფერული იყო. არც მისი ახალგაზრდობის მახლობლებს, არც მის დიდ მასწავლებელს არ უწინასწარმეტყველებია მისთვის დიდი მომავალი. ქართველ კომპოზიტორთა პირველი თაობის მოღვაწეობის პერიოდში მუსიკოსები საკმაოდ არა პოპულარულნი იყვნენ ჩვენში. მაგრამ სამი ოპერა მუსიკალური პრაქტიკის მაშინდელ უფერულ არეზე საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მათ წარჩინებულ ავტორს ფრიად პოპულარული და მოწინავე კომპოზიტორის სახელი მოეხვეჭა. მაგრამ დღეს არა მარტო მუსიკოსთა შორის, არამედ მთელი ქართული ხელოვნების ოსტატებს შორისაც საქართველოში არავინ არ არის ისე პოპულარული, როგორც ზაქარია ფალიაშვილი. უფრო მეტიც. ქართველ მუსიკოსთა შორის პირველი სახალხო არტისტის, ზ. ფალიაშვილის სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასცილდა ნაციონალურ საზღვრებს და საბჭოთა კავშირის ოთხმოცი მთელ ტერიტორიაზე იქმნა დაფასებული: პირველად „აბესალომ და ეთერის“ მუსიკამ იხალა მოსკოვის დიდი თეატრის სცენა და რუსეთის ფეოდალურმა საზოგადოებამ თითქოს ხელახლად აღმოაჩინა ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელი. ამ წლებში „აბესალომის“ სახელოვანი ტრიუმფატორი ავიდა ისეთ სიმაღლეზე, როგორზედაც არ ასულა არც ერთი ქართველი ხელოვანი ჩვენი თაობის ხსოვნაში.

თავის ორ საუკეთესო ნაწარმოებში ზ. ფალიაშვილი სდგას ჩვენს წინაშე არა მარტო როგორც დიდი ქართული ეპოსის მემატიანე, არამედ როგორც მეტად გრძნობიერი გულის ლირიკოსი და ეს კავშირი წმინდა ლირიზმისა ზეშთაგონების ხალხურ წყაროებთან ზ. ფალიაშვილის მუსიკას ანიჭებს უდიდეს განმაზოგადოებელ ძალას.

როგორც ყოველ დიდ ხელოვანს სჩვევია, ზაქარია ფალიაშვილის ესთეტიური გრძნობა და ეთიკური იდეები ერწყმოდნენ ერთმანეთს განუყოფელ მთლიანობად. მისი რჩეული ქმნილებანი გამსჭვალულნი არიან მაღალი, ჰუმანისტური იდეებით და ეს ღრმად ხალხური და ზოგად-ადამიანური თვისება ზ. ფალიაშვილის შემოქმედებას ხდის არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის განძად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲜᲐᲢᲝ ᲛᲔᲡᲮᲘ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲙᲝᲯᲔ ᲛᲔᲡᲮᲖᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘ ᲙᲝᲢᲔ

ჩვენს მეზობლად გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა ოთარ ამილახვრის ოჯახი, სადაც დედაჩემმა რაღაცისთვის გამგზავნა. იქ გავიცანი. მარიამ საფაროვ-აბაშიძისა. გავიდა ერთი კვირა და მაკო საფაროვმა შემომითვალა, ცოტახნით მათთან მივსულიყავი. ისიც იქვე ახლოს იდგა. მაშინვე გავიქეცი. დამხვდა ცოლ-ქმარი, ვასო აბაშიძე და მისი მეუღლე მაკო. იქვე იყვნენ პატარა ტასო და ერთი სტუმარი, ყმაწვილი კაცი — კოტე მესხი. თუმცა გულმა რაღაც შეკრთომა იგრძნო, მაგრამ მე მაშინვე ტასოს მივუბრუნდი და თამაში დავუწყე. ტასო მაშინ სამი წლისა იქნებოდა, მეტად ცოცხალი და ცქრიალა ბავშვი იყო. მიმიზიდა მისმა ცელქობამ. კოტე ემასხრებოდა, და ისიც ცელქობდა.

როცა შინ დავბრუნდი, იმ ღამეს თვალწინ სულ ის შეხვედრა მედგა. ვცდილობდი დამევიწყა, არ მომეგონებინა, მაგრამ არა მშორდებოდა თვალთაგან. უეცრად მომეჩვენებოდა და რაღაც სითბოსა მგვრიდა ის მოჩვენება.

ერთი კვირის შემდეგ მაკომ სადილად დამპატიჟა. დედაჩემს სთხოვა დღეს ჩემთან გამოუშვიო, დედამაც ნება დამრთო. კოტე მესხი იქ დამხვდა. თურმე კოტეს თხოვნით ვიყავი მიწვეული, ეს მერე გავიგე. გაიმართა რამსის თამაში, რაც მე არ ვიცოდი. კოტემ მითხრა გასწავლიო. დავიწყეთ თამაში, ე. ი. შათ დაიწყეს. კოტე თავისა და ჩემს მაგივრად თამაშობდა, რადგან მე არა გამეგებოდა-რა. მაშინ მე თოთხმეტი წლისა არც-კი ვიყავი, სრულებით არაფერი ვიცოდი ცხოვრებისა. იმ დღეს მითხრეს ვასომ და მაკომ, ჩვენთან უნდა წამოხვიდე თეატრში, როლს მოგცემთ და ითამაშებო. მომცეს ყმაწვილი ქალის როლი, სადაც ჩემი სიტყვები იყო და მერე უაზრო რეპლიკები, რაც მე არ მესმოდა. არ მენახა არც პიესა, არც წარმოდგენა. ან კი ვინ წამიყვანდა მანამდე თეატრში, როცა თეატრი გარყვნილებად მიაჩნდათ (რა ბედნიერია ახლანდელი თაობა).

როლი კი მომცეს, მაგრამ არ მითამაშია, რადგან კოტემ გამომიცხადა, მომწონხარ და ცოლად გამომყევიო. შეკრთი, გავჩუმდი, თუმცა მომწონდა უზომოდ, მაგრამ არ ვიყავ გარკვეული გრძნობებში. მოხდა ეს 1882 წ. სექტემბერს. უთხარი არ ვიცი, დედა-ჩემს ვეტყვი-მეთქი. მაშ კარგი, უთხარიო.

ჩემი მშობლები უარზე დადგნენ. მაგრამ კოტემ სიცილით გამოუცხადა, ნებით გთხოვო, მაგრამ თუ უარს მეტყვი, მე მაინც წავიყვანო. თუ გნებავთ „დროების“ რედაქციაში მიბრძანდით სერგეი მესხთან და იმას ჰკითხეთ ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის კოტე მესხი. ის ყველაფერს გეტყვით. სერგეი მესხი ჩემი უფროსი ძმა არისო.

თუმცა მამაჩემი პეტრე ივანეს-ძე მესხი იყო, მაგრამ ამ მესხებს ... ...და. არც ნასწავლი იყო. ლეკების ომში დიდად დაჯილდოვებული იყო ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით და მედლებით. ჩინი კი პატარა ჰქონდა. არ მახსოვს, რა ჩინი ჰქონდა. დედა-ჩემი, მარიამი ივანეს ასული ლორთქიფანიძის ქალი, მოტაცებული ჰყავდა მამა-ჩემს. ის ჭკვიანი, დარბაისელი და მასთან ლამაზი, მაღალი, თვალტანადი დედაკაცი იყო. ჩვენს უბანში ეხლაც იგონებენ, როგორც გულკეთილ ადამიანს. გარდაიცვალა 1922 წ. მარტში. ორი შვილი ვყავდით, მე და ვაჟი, რომელიც შვიდი წლისა გარდაიცვალა. 7 ოქტომბერს ქორწილი გადავიხადეთ, რომელსაც დაესწრნენ ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, „სამშობლოს" ავტორი (გიორგი ერისთავის შვილი), მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ალ. ყაზბეგი (მამად იყო), ავქსენტი ცაგარელი (მეჯვარედ იყო), დავით სარაჯიშვილი, სერგეი მესხი, დავით მესხი, ეფემია მესხი, კეკე მესხი და სხვანი. მე ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს ასეთ საზოგადოებაში. ბავშვი ვიყავი და ჩემს საპატარძლო მოწყობილობაში ჩემი თავი სათამაშო დედოფალას მაგონებდა. ხან ერთი მაზლი მომიჯდებოდა, ხან მეორე, მელაპარაკებოდნენ. მე კი დაჭერილი ჩიტივით გული მიფართხალებდა. ქორწილი დილის რვა საათზე გათავდა. ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა ეტლებით ქალაქში და ბაღებში სეირნობა და ქეიფი. ეს მეორე დღეს გვიამბეს. ყველას უკვირდა, ასეთი მხიარული ილია არასოდეს არ გვინახავსო. ყველას მოეწონა ნატო გაბუნიას სიმღერა. საერთოდ დიდად ილხინეს იმ დღეს.

კოტეს მშობლები და ნათესავები

კოტეს მამას არ მოვსწრებივარ. ისე-კი ყველასაგან კარგი გამიგონია. მეტად კარგი და კეთილი ადამიანი იყოვო, ასე გადმომცემდნენ. კოტეს დედა, მაგდანი—ანდრია მარჯანიშვილის ასული იყო, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის მამიდა. მასთან რვა წელიწადი ვიცხოვრე და ერთი წყენა არ მახსოვს, ისეთი კეთილი, ღვთის მოყვარე და სათნოიანი ადამიანი იყო. გარდაიცვალა წყალმანკით. კოტეს მამა სიმონ მესხი, ოლქის სასამართლოს მდივანი ყოფილა. მას ყველანი პატივს სცემდნენ თურმე. მაგდანის ერთი და ზურაბ ერისთავს ჰყოლია ცოლად. პოეტი განდეგილი — (დომინიკა) ზურაბ ერისთავის ქალი იყო, ე. ი. ანდრია მარჯანიშვილის შვილიშვილი. ზურაბ ერისთავიც პოეტი ყოფილა. მას თავის სიმამრთან სახუმარო იამბიკური ლექსებით მიწერ-მოწერა ჰქონია. ეს ლექსები ზეპირად იცოდა კოტეს დედამ და ხშირად გვიამბობდა ხოლმე და გვაცინებდა. კოტეს მამა ბავშვებს არასოდეს არ გაუჯავრდებოდაო, მიამბობდა დედამთილი, კოტეს დედა. მან ყველა შვილს სწავლა-განათლება მისცა, ზოგს საშუალო, ზოგს უმაღლესი. შვილი კი 13 ჰყავდა, 8 ვაჟი და 5 ქალი. უფროსი ვაჟი, გიორგი მესხი, პედაგოგი ყოფილა უმაღლესი ცოდნით. იგი ვერიკო ანჯაფარიძის ბაბუა იყო, დედის მამა. მალე გარდაცვლილა. სერგეი მესხი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველდღიური გაზეთის „დროების" რედაქტორი იყო პუბლიცისტი. მას მთელი საქართველო იცნობდა და იცნობს დღესაც. ივანე მესხი, რომელმაც ჟენევაში მიიღო უმაღლესი განათლება, მსახურობდა ბათუმში ქალაქის სასამართლოში. მგონი 40 წელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წადს მდივნად იყო. მისი მოგონებები „მნათობში“ დაიბეჭდა. მესტეროი კარგი ვაჟკაცი, კარგი მომღერალი, მომლხენი იყო. ისიც უდროოდ დაიმარცხა. კოტე — არტისტი-დრამატურგი, ფელეტონისტი, მოსწრებული სიტყვაპასუხის პატრონი, დათიკო — მწერალი-იუმორისტი.

კოტეს დებიდან ერთი პელაგია ავალიანისა იყო, მეორე ანა პეტრიაშვილისა. ეს უკანასკნელი საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი იყო. ხშირად სცენაზედაც გამოდიოდა. მესამე და ეფემია მესხი დამსახურებული არტისტია, საზოგადო მოღვაწე, მარიამ გამრეკელი დედა იყო მსახიობ ქალებისა ნინო გამრეკელი-თორელის და ბაბუცა გამრეკელისა. ნინო მესხი მასწავლებელი იყო უფასო სკოლისა. ხანდისხან სცენაზედაც გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებში. გიორგი მესხის ქალი—მაშო ანჯაფარიძისა მეტად ნიჭიერი მსახიობი იყო, თუმცა იშვიათად თამაშობდა. როცა თამაშობდა, აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. ვერიკო ანჯაფარიძეს მესხებისა და მარჯანიშვილების ნიჭი გამოჰყვა, ასევე ითქმის ნინო გამრეკელ-თორელზე და ბაბუცა გამრეკელზე. ნინო თორელი პირველი და ერთად-ერთი რეჟისორი ქალი იყო ქართულ სცენაზე, ნიჭიერი და ჭკვიანი.

სიმონ მესხის ოჯახს დიდებულ ოჯახს უწოდებდნენ. სამწუხაროდ მომავალ თაობას, ამ ოჯახის გაგრძელებას ველარ ვხედავთ. შვილები დარჩა მხოლოდ ივანეს, ორი ვაჟი და ერთი ქალი. ერთს ერთი ქალი ჰყავს, მეორეს ცოლი არ შეურთავს.

კოტეს ხასიათი

კოტე მესხი იყო ფიცხი, სწრაფი, ოხუნჯი, მხიარული. არ იცოდა მოწყენა და არ უყვარდა არავის მოწყენა. სწუხდა, როცა მოწყენილს მნახავდა, მეტყოდა — ავად ხომ არა ხარო. ხშირად მომმართავდა, თუ გიყვარვარ, არასოდეს მოწყენილი არ დამიხვდე. ხომ იცი, თეატრში რამდენ შრომას, ნერვიულობას განვიცდი და ვბრუნდები სახლში იმ იმედით, რომ მშვიდი და მანუგეშებელი სახე დავინახო, რომელიც დამავიწყებსო ყველა უსიამოვნებას. მეც ვცდილობდი, ავადაც რომ ვყოფილვიყავი, გამეცინა. კოტეს ნასადილევს ძილი უყვარდა, მეტყოდა უეჭველად ამ საათზე გამაღვიძეო, მეც ვაღვიძებდი. მაგრამ იქ იწყებოდა გაუთავებელი ვაჭრობა, რაც ხან ნახევარ, ხანაც ერთ საათს გასტანდა ხოლმე. მერე დაიწყებდა საყვედურს — რატომ უფრო ადრე არ გამაღვიძეო. ასე იყო ყოველთვის.

კოტეს არ უყვარდა არავისი წყენა და თუ ვინმე მას აწყენინებდა, მეტად სწუხდა.

ქონებრივად კოტე დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სამაგიეროდ მისი ხანა მდიდარი იყო მსახიობებით. ქართულ სცენას ამშვენებდნენ ისეთი ბუმბერაზები, როგორნიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვ. გუნია, ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვ-აბაშიძე, ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ლიზა ჩერქეზიშვილი. ეს ორი უკანასკნელი მოესწრო დიდებულ დროს. დღესაც განაგრძობენ ისინი სცენაზე მოღვაწეობას და დარწმუნებული ვარ, ბედნიერად გრძნობენ თავს.

კოტე მეტად თავმოყვარე იყო. ადვილად არავის არაფერს თხოვდა, რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო. მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მსახიობები მაშინ. ხუთ თვეს იღებდნენ სულ უმნიშვნელო ჯამაგირს,

დანარჩენ შვიდ თვეს დიდი გაჭირვებით ირჩენდნენ თავს. მიდიოდნენ წარმოდგენების გასამართავად პროვინციაში და ზოგჯერ უფრო [illegible] და დავალიანებულნი ბრუნდებოდნენ, რადგან მაშინ ხალხი ნა[illegible] ბოდა თეატრს. ბევრჯერ იტყოდა კოტე, ვიცი, ზარალი იქნება, მაგრამ მაინც საჭიროა ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო, განვავითაროთ, რომ გაიგოს, შეიგნოს ავი და კარგი, თორემ ჩვენი ქვეყანა რუსმა ჩინოვნიკებმა დაიუფლეს და წარმოდგენებსაც რუსები მართავენო. კოტეს საჭიროდ მიაჩნდა მდაბიო ხალხის განათლება თეატრის საშუალებით.

ეპიზოდები კოტეს ცხოვრებიდან

კოტე მესხი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როდესაც ქალაქ ქუთაისში წარმოდგენების დადგმა დაუწყია. პირველად გუბერნატორის სახლში გაუმართავთ წარმოდგენა. წარმოდგენებს საკმაოდ ხშირად მართავდა თურმე, რაც კოტეს იუბილეის დროს მოლოცვაში აღნიშნა განსვენებულმა ალექსი ჭიჭინაძემ. იგი სწერდა: გილოცავ არა ოცდაათს, არამედ ოცდახუთმეტ წელს, რადგან შენ ჩემთან ერთად დაიწყე მუშაობაო. ალექსი ჭიჭინაძე იყო ქართული გემნაზიის დირექტორი, ჯერ ქუთაისში, მერე თბილისში. კოტე ჯერ ქუთაისში მართავდა წარმოდგენებს, შემდეგ თბილისში. 1880 წელს წასულა ოდესის უნივერსიტეტში, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა და საფრანგეთში გაპარულა. იქ არტისტი და რედაქციის თანამშრომელი დიდის პატივით მიიღეს ჟურნალისტებმა. დაჰყავდათ თეატრებში, აცნობდნენ დირექტორ-არტისტებს. ერთხელ თურმე სადილზე დაჰპატიჟეს ჟურნალისტებმა. ყველანი ფრანგები იყვნენ, სთხოვეს, რამე ლექსი გვითხარიო. კოტეს უცბად არაფერი გახსენებია, მოაგონდა მხოლოდ ერთი უხეირო ლექსი, ხუმრობით ნათქვამი ბავშვებისათვის („ბებია შენი ბერია, ლობიოს გაუბერია"). ისე რიხიანად უთქვამს ეს ლექსი, წამოდგნენ და „ვივას" იძახოდნენ დიდხანს. იცინოდა კოტე, იმათ ეგონათ რაღაც კარგი ვთქვიო.

კოტე მესხი და ქუთაისის თეატრი

კოტემ დააარსა ქუთაისში მუდმივი ქართული თეატრი, ეგრეთწოდებული ხარაზოვის თეატრი. 1884 წელს ქუთაისში მან დადგა ლერმონტოვის „დემონი". ეფემია თამარის როლს თამაშობდა, კოტე — დემონის, მე კი ანგელოზს. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ქართულ სცენაზე. მახსოვს დიდხანს მეძახოდნენ ახალგაზრდები ქუჩაში ანგელოზს. შემდეგ სხვა როლებშიაც გამოვედი. წარმოდგენები ქუთაისში იმართებოდა ჯერ ხარაზოვის თეატრში, შემდეგ ნიკოლოზ გამრეკელმა და კოტემ გადააკეთეს ბულვარში ალექსანდრე მესამეს მისალებად აგებული პავილიონი. იქ ვთამაშობდი, ვიდრე არ დაიწვა. მე 1894 წლამდე ვთამაშობდი ჩემი ქმრის კოტე მესხის ხელმძღვანელობით. ჩვენ მაშინდელ დასში შედიოდნენ ქალები: ეფემია მესხი, მარიამ კაუხჩიშვილი, დესპინე ივანიძე, პატიკო მიქელაძე, ნატო მესხი, მაშო ჩხეიძე, ნუცას და, და შემდეგ ნუცა ჩხეიძე. კაცები: კოტე მესხი, ნიკო ბადრიძე, გიორგი თუთბერიძე, ვასო ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, დავით ჩარკვიანი, დათიკო მესხი, კოწია მესხი (კოტეს ძმები), გრიგოლ ჩარკვიანი, ბოლქვაძე. სხვების გვარები აღარ მახსოვს.

ერთხელ მახსოვს კოტეს საბენეფისოდ „კოვერლეის მკვლელობას“ გამზადებდით. კოტეს უსიამოვნება მოუვიდა ერთ ოფიცერთან, რომელმაც სიტყვით შეურაცხჰყო. კოტემ ვერ მოითმინა და ჯოხი დაარტყა, [illegible] იყო იმ დროს მიღებული, პოლკმა ოფიცერს მოსთხოვა მუნდირი [illegible] დუელში გაწვევით გამოიხატებოდა, და ოფიცერმა გამოიწვია დუელში კიდეც კოტე. მე რასაკვირველია ამიტანა შიშმა, მაგრამ კოტე მარწმუნებდა, სულელი ხომ ა[illegible] ვარ, რომ დუელში გავყვე ჩემს გალახულს, თუ ვაჟკაცი იყო, მაშინვე უნდა გადაეხადა შეურაცხჰყოფაო. ასე მარწმუნებდა და მეც მჯეროდა. ამას ჩემს მოსატყუებლად ამბობდა თურმე. კვირას კოტეს ბენეფისი იყო, შაბათს, გენერალური რეპეტიციის შემდეგ, კოტე მეუბნება, ამაღამ კლუბში წავალ და იქნება დამაგვიანდეს—მე ნუ მომიცდი და დაიძინეო. მეც დავუჯერე. ჩაუჯექი სცენაზე ჩასაცმელი კაბის კერვას და მთელ ღამეს გათენებამდის ვკერავდი, სანამ სულ არ გავათავე. იმ დროს არა გვქონდა იმდენი საშუალება, რომ მკერავისათვის მიგვეცა შესაკერად, ძლივს ვიყიდდით და საჩქაროდ უნდა შეგვეკერა. გავათავე თუ არა კერვა, დავწექი, მაგრამ არ დამეძინა, ფიქრებმა წამიღეს. ამ დროს გვერდით ოთახში ჩემს მაზლს დათიკოს ეძინა. აუტყდა ხველა. ფრუტუნი. მერე ადგა და ბუხარში ცეცხლი შეუკეთა და დაიწყო წინ და უკან სიარული. ეს მე არ მომეწონა და დავუძახე — დათიკო, რატომ არა გძინავს-მეთქი, ან კოტემ რატომ დაიგვიანა, კი არაფერი აუტეხოს იმ კაცმა-მეთქი. არაო, მითხრა, საცაა მოვა, მე შემცივდა და ცეცხლი დავანთეო. თურმე დათიკომ იცოდა ყველაფერი და იმიტომ ვერ ისვენებდა. დუელი იმ დილისთვის იყო დანიშნული საღორიის ტყეში. იმ ღამეს სეკუნდანტებმა კოტე დათა მიქელაძესთან წაიყვანეს, იქ ასწავლიდნენ თურმე დამბაჩის სროლას, რადგან არ იყო სროლას შეჩვეული. მე შიშმა ამიტანა და ამ დროს მომესმა ისმაილ მესხის ხმა, რომელიც კოტეს სეკუნდანტი იყო თურმე. ისა და დავით მიქელაძე (პუბლიცისტი). მოსულიყვნენ. ახალი გათენებული იყო. მეძახდა: აბა რძალო ჩაი დაგვალევინე, ქმარი მოგიყვანეთ მთელი და უვნებელი. მართალია, ცოტა ხელში დაიჭრა, მაგრამ ეს არაფერიაო. მე ძარღვები ამეშალა, ტირილით მივაძახე: ჯალათებო, რომ მომკვდარიყო, რას ფიქრობდით-მეთქი. კოტემ დამშვიდება დამიწყო, ხუმრობდა, რა დროს ტირილიაო, ეხლა გმართებს მხიარულებაო. მე ვერ ვითამაშებ-მეთქი, ვუთხარი, რადგან ავად ვარ და გამაცივა-მეთქი. რას სულელობ, დღეს გვმართებს კარგად თამაში და ვითამაშებთ კიდეც, რადგან სიკვდილს გადავურჩი და ცოცხალი ვარო.

მოაწია საღამომ. მოვემზადენით. თუმც უძილო ვიყავი, დაღლილი, მოწყვეტილი, მაინც მოვიკრიბე ძალ-ღონე და წავედი თეატრში. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რაღაც უფრო აღტაცებულნი და აღფრთოვანებული იყვნენ მსახიობებიცა და მაყურებლებიც. მე ვთამაშობდი კოვერლეის საცოლეს, ეფემია გორდონის დედას, კოტე კოვერლეის და გორდონს (კოვერლეის მკვლელს). თეატრს ზანზარი გაჰქონდა, იმდენი ხალხი მოაწვა. ამბობდნენ— დღეს კოტეს ორი ბენეფისია, ორნაირი გამარჯვებისაო, საჩუქრებსა და ოვაციებს დასასრული არა ჰქონდა, ხალხი არ მიდიოდა, სანამ სინათლე არ ჩააქრეს (მაშინდელი ლამფები), ხალხი გარეთ დაგვხვდა, კოტე ხელში აიყვანეს და ისე მიიყვანეს სახლამდე.

ასიკო ცაგარელის ამბავი

1885 წელს გვეწვივნენ ასიკო ცაგარელი და ნატო გაბუნია. დადიანს ცაგარელის მგონი „ხანუმა". თითონ ავქსენტი ცაგარელმა დივერტისმენტში ძალიან მონაწილეობა. წარმოსთქვა სცენები, ლექსები, მაგრამ ხალხი მაინც არ მოეშვა და განმეორებას ითხოვდა. გამოვიდა, წაიკითხა შეგრელებზე „მეგრელების ფაცხაშია, ტურა კივა ნაცარშია". პირველ რიგში იჯდა თავადი კოწია დადიანი, დიდად გადაბრინჯული და ამაყი კაცი, შეიარაღებული ხმლით, ხანჯლით და ფიშტოთი. იუკადრისა მეგრელებზე თქმული სცენა და წამოვარდა სკამიდან, იშიშვლა ხმალი და გაექანა სცენისაკენ. ამ დროს ფარდა ჩამოუშვეს, ასიკო ცაგარელი გააპარეს, წაიყვანეს ჩვენს სახლში. დადიანს შემოესივნენ, დაუწყეს დამშვიდება, წაიყვანეს სასტუმროში, სადაც ის ცხოვრობდა. ჩვენ მივედით ჩვენს სახლში, მაგრამ ნატო გაბუნია ძალიან შეშინებული იყო. არ გაუვლია ათ წუთს, დადიანის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, გაიხმეს კოტე და ასიკო და უთხრეს: დადიანი გაგიჟებულია და თხოულობს წახვიდეთ ბოდიშისთვისო, ცაგარელმა უთხრა, ბოდიშს მოვუხდი, მაგრამ ვაი რომ არ დამჯერდეს, ამკუწოს, ის შეიარაღებულია, მე კი არაო. დაარწმუნეს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო. ეს რომ ნატომ გაიგო, კინაღამ გაგიჟდა და დაიწყო ტირილი. ჩასჭიდა ხელი ასიკოს და არ უშვებდა. როგორც იყო წაიყვანეს, წაჰყვნენ კოტე და მისი სამი ძმა, ჩემი მაზლები. კოტე წინ შევიდა თურმე, დაუწყო დადიანს ოხუნჯობა და გააცინა, ისეც იამა, რომ მიიყვანეს ცაგარელი, შერიგებით დამთავრდა საქმე. ნატოს ვამშვიდებდით, სანამ მოვიდოდნენ, ცოტა შესარიგებელიც დაელიათ. მეორე დღეს თბილისისაკენ გაეშურა ცოლ-ქმარი. კოტემ უთხრა, მოიცადეთ, ერთი წარმოდგენა კიდევ დავდგათო, კაცო გინდა გიჟმა კნიაზმა მომკლას, არა ძმაო, გამიშვი ჩემს ქალაქშიო. წავიდნენ. ჩვენც გავაცილეთ სადგურზე. თურმე დადიანს გაუგია ამათი წასვლა და ისიც მოვიდა ამათ გასაცილებლად. ამათ კი შეეშინდათ არაფერი აგვიტეხონო, უფრო ნატოს, მაგრამ ნატოსთან ბოდიში მოიხადა და კარგი თაიგული მიართვა.

ქუთაისის თეატრის დაწვა

1894 წელს კოტემ მოინდომა სუნდუკიანცის პიესის დადგმა, რისთვისაც თბილისიდან მიიწვია არტისტი არაქსიანი. აი ამ პიესის უკანასკნელი რეპეტიციის დროს გაუჩნდა მაღლა სართულში გარდერობს ცეცხლი და რამდენიმე საათის განმავლობაში მთლად ჩანთქა თეატრი. ჩაიფერფლა პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი და კოხტა თეატრი. ეს თეატრი ქალაქის ბაღში იყო და ცეცხლისაგან ბევრი ხეც დაიწვა. ამის შემდეგ გადმოვედით თბილისში, რადგან დრამატიული საზოგადოების გამგეობამ სთხოვა კოტეს იმ სეზონში რეჟისორობა და კოტეც დასთანხმდა.

კოტე და გიორგი წერეთელი

გუნიამ კალენდარი გამოსცა. და შიგ მოათავსა სხვადასხვა სურათი, მათ შორის კოტეს სურათიც. გიორგი წერეთელმა თავის „კვალში" დასწერა კოტე მესხს თავი ქართულ გოგრას მიუგავსო, ამაზე კოტემ „სახალხო ფურცელში" უპასუხა გიორგი წერეთელს: ძალიან საწყენია რომ მისი სურათიც არ იყო

კალეიდარში მოთავსებული, მაგრამ რა ექნა გუნიას, მისი ბრალი არ იყო, რამდენი არ ეცადა მის დაბეჭდვას, არ იქნა და არა, ტანი გამოვიდა თავი კი არა. ეს რომ წაიკითხა წერეთელმა, თურმე ავად გახდა. ანატოლიოვიჩ კოტესთან და შეეხვეწა, შენი ჭირიმე ასე აღარ ეხუმროო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მოგზაურობა საფრანგეთში

1900 კოტე მეორედ წავიდა საფრანგეთს. მაისის დამლევს გავაცილე ბათუმამდე. მე ვერ წამიყვანა უფულობის გამო. მასთან ერთად მიდიოდა კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ჯერ ლენინგრადში წავიდნენ, ხოლო იქიდან საფრანგეთში. თურმე კოტეს არსად უშვებდა, როცა დააგვიანდებოდა ღამით სადმე, ეტყოდა — კოტე, იცოდე, შენს ცოლს მივწერ დეპეშასო, კოტეს დეიდაშვილები იყვნენ მაშინ იქ და იმათთანაც უშლიდა წასვლას, შენმა ცოლმა მე ჩამაბარა შენი თავიო, და მე ვარ პასუხისმგებელიო. ამაზე დომინიკა განდეგილი მწერს: ნატო, კოტეს შესახებ ნუ გეშინიან, რადგან კარგი გამდელი ჰყავს და არსად არ უშვებსო. განდეგილი იმ დროს პეტერბურგში იყო და კოტეს ხშირად ხედავდა. კოტე ოქტომბერს დაბრუნდა პარიზიდან და რაც გამოგზავნა, ოდესის დამოჟნაში გაეხსნათ. რაც კარგი რამ იყო, ამოეღოთ, ამაზე ძალიან სწყდებოდა გული.

კოტე მესხი ბაქოში

1906 წელს პირველი რევოლუციის დროს, კოტე შეუდგა პატარა ყოველდღიური გაზეთის გამოცემას. გამოდიოდა „პატარა გაზეთის“ სახელწოდებით. გაზეთი ცოცხალი და პროგრესიული შინაარსისა იყო. საზოგადოება ინტერესით კითხულობდა. მაგრამ საუბედუროდ მოკლე დღისა გამოდგა. ერთ უბედურ დღეს გაზეთი მიკეტეს, ერთი ცალიც ვერ ვიშოვეთ იმ ნომრისა, რისთვისაც დაკეტეს. რასაკვირველია კოტე პასუხისგებაში მისცეს და გაასამართლეს კიდეც რევოლუციური გაზეთის გამოცემისათვის. მიუსაჯეს დაპატიმრება, მაგრამ იმ დროს ალექსანდრე (საშიკო ორბელიანი) იყო მსაჯულად ზემო ინსტანციაში და ის ძალიან დაეხმარა. სასჯელი მოუხსნეს.

ამ დროს კოტეს ბაქოში მოუხდა წასვლა დასთან ეფემია მესხთან და იქაური თეატრის გამგეობამ სთხოვა ბაქოში თეატრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა. კოტე დასთანხმდა. ერთ დიდ შენობაში მოაწყეს სცენა, ლოჟები და პარტერი. იქ ვთამაშობდით სამ წელიწადს.

ამ დასში ძალიან კარგი სცენის მოყვარენი იყვნენ. კოტე რეჟისორიც, მსახიობიც და მმართველიც იყო. მუდმივად მონაწილეობდნენ ეფემია მესხი, ნინო გამრეკელი-თორელი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ნატო მესხი, ვ. შველიძე, მამუკა ამაშუკელი, ნადირაძე.

თეატრის მოწყობაში დიდ მონაწილეობას იღებდა ივანე მიხეილის-ძე გეპნერი, ეფემია მესხის ქმარი. გეპნერი პედაგოგი იყო, დიდი სტუმართმოყვარე, მრავალი ქართველი მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა. გეპნერის გიმნაზიაში რუსული გვარის ორი პედაგოგი იყო ემელიანოვი და რიჟოვი. ორივე ქართველი დედის შვილი. ხშირად ოხუნჯობდნენ, ჩვენ აქ სამი ქართველი ვართო — გეპნერი, რიჟოვი და ემელიანოვი. გეპნერი მოწაფეების ჟურნალს სცემდა და ეხმარებოდა კიდეც მოწაფეებს. ერთხელ მთავარმართებელმა ვორონცოვმა ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოში გაიარა. ჯაშუშებმა დააბეზღეს გეპნერი და მოხსნეს სამსახურიდან და ის მოწაფეებიც დაითხოვეს, ვინც მასთან თანამშრომლობდა. [illegible] უადგილოდ იყო.

ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით ბაქოში ნიკოლოზის ქუჩაზე. იქ იყო თეატრი, საცხოვრებელი სახლი და უზარმაზარი დარბაზი. აი სწორედ ამ სახლიდან ესროლეს ყუმბარა პოლიცმეისტერს. ატყდა ერთი უბედურება, პოლიცია, კაზაკები შემოცვივდნენ სახლში, გაჩხრიკეს ყველაფერი, გვემუქრებოდნენ. აქედან იყო გასროლილიო, ცდილობდნენ ვინმე ჩვენიანი დაეჭირათ, მაგრამ აღმოჩნდა ვიღაც ბოქაული, რომელმაც გაიგო ჩვენი ვინაობა, რომ კოტე მესხი, ეფემია მესხი და დანარჩენნი მსახიობები და პედაგოგები იყვნენ. მან გადაგვარჩინა. ქართველი იყო, თორემ ხიფათი არ აგვცდებოდა.

მოგზაურობა საქართველოში

1908 წელს ჩვენი დასი სამოგზაუროდ იყო გორში, სურამში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, ბათუმში, ოჩემჩირეში, ზუგდიდში, სოხუმში, გაგრაში, ოზურგეთში. დაბრუნებისას გორში გვირჩიეს, ცხინვალში წავსულიყავით. წაველით კიდეც. იქ კოტე ავად გახდა, დიდი სიცხე მისცა, რამაც ძალიან შემაშინა, მაგრამ წარმოდგენაზე მაინც უარი ვერ ვათქმევინე. სასტუმროს მაგივრად დუქნის ოთახში შეგვიყვანეს, საიდანაც თოფ-ნაკრავივით გამოვარდით. ისეთი საშინელი სუნი იდგა თუთუნის, ღვინის თუ არყისა და სიმჟავისა. ერთ მტკაველზე ნაგავი ეყარა. კოტემ მედუქნეს დაუძახა, მედუქნემ გააღო ფანჯარა, დააგვევინა და გაარეცხვინა იატაკი. ბოდიში მოიხადა, აქ მთელ დღე-ღამეს ბანქოს თამაშობდნენ აქაური ახალგაზრდები და ვერ მოვასწარით დასუფთავებაო. იმათ გაწმენდას არ დავჯერდი, ხელმეორედ მოვითხოვე ტილო და წყალი და მე თვითონ გავწმინდე და მერე მივაწყე საწოლები. მოვასვენე კოტე, წამალი დავალევინე. მეორე დღეს უნდა ეთამაშნა. მეორე დღეს წავედით თეატრში, კოტეს 38° სიცხე ჰქონდა. თეატრი ფარღალალა იყო, მარტო ზემოდან იყო დახურული, გვერდებიდან კი ქარი უბერავდა, გორაკი ჩამოუჭრიათ, სცენად გაუკეთებიათ სადაც მსახიობები კოჭლობით დადიოდნენ ოღრო-ჩოღრო მიწაზე. მიუხედავად კოტეს ავადმყოფობისა, მან კარგად ჩაატარა თავისი „სტატბკი-სოვეტნიკი“. შემოსავალი ძალიან ცოტა იყო, ისე რომ გორამდე ძლივს გვეყო. გორშიაც ცოტა იყო შემოსავალი, ასე რომ სამგზავრო ფული არავის ჰქონდა. მოვიდა კოტე და მეუბნება: — ნატო შენი ბეჭდები მომეცი, გზის ფული არა გვაქვს, გორში ხომ ვერ დავრჩებით ამდენი ხალხიო, მერე რას უპირებ-მეთქი. უნდა დაუგირავო ოქრომჭედელს და ზეგ თბილისში ჩამოვა და გამოვისყიდიო. არ დამიკარგავსო. ძალიან არ მიამა, მაგრამ რას ვიზამდი, მეტი გზა არ იყო და მივეცი. მე სადგურზე წავედი, სადაც დამხვდნენ ჩვენი მსახიობები კოტეს მოლოდინში რომ ბილეთები ეყიდნათ. ერთმა მსახიობმა ქალმა დაღონებულმა მითხრა — ეს რა უბედურება მოგვივიდა, თურმე კოტეს თქვენი ბეჭდები წაუღია დასაგირავებლადო, მე უთხარი — ეს უბედურება კი არა, ბედნიერებაა, უბედურება მაშინ იქნებოდა, რომ ბეჭდები არ მქონებოდა-მეთქი. ასე დასრულდა ეს მოგზაურობა.

მესამე დღეს მართლაც მივიღე ჩემი ბეჭდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მესხიშვილთან ერთად

კოტემ შეადგინა სამოგზაურო დასი. ჩვენთან ერთად ლადო მესხიშვილიც იღებდა მონაწილეობას მოგზაურობაში. მიგვიწვიეს სამტრედიაში, სადაც ახლად აშენებული ლამაზი და კარგად მოზრდილი თეატრი აღმოჩნდა. სამოგზაუროდ „ჰამლეტი“ გვქონდა წაღებული. ლადო თამაშობდა ჰამლეტს. კოტე პოლონიუსს. მე გერტრუდას, მატარაძე მეფეს, მდივანი—ოფელიას და სხვ. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა: როდესაც ოფელიას მიასვენებდნენ, იატაკი თურმე კარგად არ იყო ამოჭრილი და კუბო არ ჩაეტია, შეუდგნენ ძირიდან ხელახლა ამოჭრას. მოგვიხდა დიდხანს ცდა სანამ ამოჭრიდნენ, ამის შემდეგ ჰამლეტისა და ლაერტის შეხვედრა მიხვდებით როგორი იქნებოდა.

სამტრედიიდან ფოთში წავედით, ჩავედით თუ არა, დილით ჩვენს მეფეს, მატარაძეს, წყალი დაულევია და ერთ საათში ტუჩები საშინლად გასივებია, მივუყვანეთ ექიმი, რომელსაც ეთქვა, შენი ბედი, რომ გამოგყარა, თორემ მოკვდებოდიო. საღამოთი გამოვეწყე, გამოვედი და მოუჯექი მეფეს გვერდით, რომელიც არ მენახა იმ დღეს. წარმოდგენის დროს როდესაც ჰამლეტი მეფე-დედოფალს მიმართავს, ლადოს სიცილი შევნიშნე, თან თვალით მანიშნა მეფეზე. შევხედე და სიცილი ვეღარ შევიკავეთ ვერც მე და ვერც ლადომ. კოტემ შეგვნიშნა და თითონაც აუტყდა სიცილი: საშინელი სანახავი იყო, ნამდვილ ორანგ-გუტანგს ჰგავდა, თვალები პროექტორს მიუგავდა, გრიმში დიდად გასივებული ტუჩები საზარელიც და სასაცილოც იყო. ლადომ ყურში ჩამჩურჩულა, არ გეშინიან, მაგას რომ უზიხარ გვერდითო. მე უფრო გამეცინა, ძლივს ვიმაგრებდი თავს, რომ ხალხს არ შეენიშნა სიცილი, თვითონ მატარაძესაც ეცინებოდა. მიხვდა, რომ ის იყო ჩვენი სიცილის საგანი. როგორც იყო მივიყვანეთ ბოლომდე სცენა, სამაგიეროდ კულისებში ბევრი იოხუნჯეს კოტემ და ლადომ და ბევრიც ვიცინეთ თავისუფლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ“

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ“, 1943 ᲬᲔᲚᲘ.

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა გიორგი ნატროშვილის საინტერესო წიგნი „დასავლეთის ფრონტზე“. ამ წიგნის ავტორი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. მწერალი იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, სმოლენსკთან. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ფურცლებს დღიურიდან, სადაც საინტერესოდ და მეტად დამაჯერებლად არის გადმოცემული ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებანი. მწერალი გვიამბობს იმ დიდ ბრძოლებზე, რომლებშიაც თვით იღებდა აქტიურ მონაწილეობას, მოგვითხრობს ვერაგი მტრის მიერ ჩადენილ იმ არაადამიანურ საქმეებზე, რომლის მოწმეც თვით ყოფილა.

„სწვავდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ — თვის ზვინი იქნებოდა ის მინდორში, თუ ლევ ტოლსტოის ხელნაწერები იასნაია პოლიანაში, კოლმეურნეობის საჯინიბო იქნებოდა, თუ მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი წარსულისა“, — გადმოგვცემს ავტორი და დასძენს: „ბნელ საშუალო საუკუნეებში კაცის ოთხად განკვეთა იცოდნენ, ადამიანთა საგლეჯი ჩარხები ჰქონდათ, მაგრამ აქ ამ ტყეში უფრო საშინელი და შემზარავი ამბის მოწმენი ვიყავით“.

ამ ამბების გადმოსაცემად ავტორმა ნარკვევის ჟანრი გამოიყენა. პირველ ნარკვევში „სიკვდილის ნაკვალევზე“ მწერალი უპრეტენზიოდ შენიშნავს: „მე მინდა ვილაპარაკო ამ ხალხის შესახებ, დასავლეთის ფრონტის ადამიანების შესახებ, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდი ნახევარი წლის განმავლობაში“.

მართლაც, წიგნში მკაფიოდ არის გამოხატული პორტრეტები ფრონტის სახელოვანი ადამიანებისა, ნაჩვენებია ჩვენი ხალხის უძლეველობა, სიძულვილი მოძალადე ფაშისტ-ბარბაროსების მიმართ. მწერალი გვიამბობს ჩვენს სახელოვან ადამიანებზე, რომლებიც გულდინჯად და დაჯერებით აკეთებენ თავიანთ წმინდა საქმეს. ყოველი დღე, რომელსაც ისინი ფრონტზე ატარებენ, აღსავსეა ვაჟკაცური შურისძიებით იმ ტანჯვისა და წამებისათვის, რომელიც მტერმა ჩვენს ქვეყანას მიაყენა.

წიგნში წარმოდგენილი ნარკვევების ძირითადი ფონი ფრონტია. მაგრამ თემატიური მრავალფეროვანება მაინც ახასიათებს გ. ნატროშვილის დასახელებულ წიგნს. ჩვენი ხალხის გმირულ თავდადებას გამოხატავს ნარკვევი „ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ“. სმოლენსკის ოლქის გაუვალ ტყეში მდებარეობდა სოფელი, რომელსაც მალაია პრეჩისტაიას უწოდებდნენ. მთელი სოფელი გაურღვეველი კედელივით აღიმართა მტრის წინაშე. მან არ მოისურვა მტერი უვნებლად წამოწეულიყო ჩვენს წმინდა მიწა-წყალზე. მტერს კი სოფლის მოსახლეობა საფარად უნდოდა გამოეყენებინა, მაგრამ ისინი არ დანებდნენ მოძალადეებს და გმირულად დაიღუპნენ. ჩვენი ნაწილების გმირული შეტევის შედეგად გერმანელები განადგურებულ იქნენ. ჩვენს ნაწილებს საზარელი სანახავი დახვდათ სოფელ მალაია პრეჩისტაიაში: თოვლზე ეყარნენ დახოცილი ბავშვები და ქალები, ჭოხები ისევ იწვოდნენ. მწერალი ნაღვლიანად შენიშნავს: „ასე მოკვდა პატარა სოფელი მალაია პრეჩისტაია“. ჩვენი ხალხის გმირულ სულს, გაუტეხავ ნებისყოფას მეტად დამაჯერებლად გამოხატავს ეს პატარა, მაგრამ კარგად დაწერილი ნარკვევი.

მტრის მუხანათობა, მისი ავაზაკური დივერსიული მოქმედება ფრონტზე მწერალმა გამოხატა „ოფიცრის სიკვდილში“. ღრმა ემოციურობა ახასიათებს ნარკვევს „ცოცხალი ნაღმსაძებრები“, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ნარკვევი მკითხველზე. ნარკვევში აღწერილია მტრის ბოროტება: მესანგრის ის სპეციალური ხელსაწყო, რომელსაც ნაღმსაძებარი ეწოდება, მან ცოცხალი ადამიანებით შესცვალა. ტყუილად კი არ შენიშნავს ცინიკურად რომელიღაც გარეწარი მტრის ბანაკიდან თავის დღიურში: „ნაღმსაძებარი 1942 წლის ნიმუშისაო“.

საინტერესოა ნარკვევი „ჩვეულებრივი გერმანელი“. ავტორი გვიხატავს მხდალ და მშიშარა გერმანელს. იგი შეიარაღებულია ავტომატით. თუ მის წინ ბავშვები [illegible] ერთ [illegible] ერთ [illegible] ერთ

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თვით სახელწოდება მატიანის ამ ხელნაწერისათვის „ანა დედოფლისეულისა“, შემოღებული ივ. ჯავახიშვილის [illegible] ციზუსტის მხრივ ეჭვს იწვევს. გადამწერი თავის ეგრედწოდებულ ანდერძში [illegible] იხსენიებს იმ პირთ, რომელთაც მას შეუკვეთეს ხელნაწერის დამზადება: „ღმერთო (იგულისხმება შეეწიე და მფარველ ექმენ), დედოფალთა დედოფალსა ნესტან დარეჯანსა და ძესა მათსა ღმრთივ გვირგვინოსანსა მეფესა ალექსანდრესა და დედოფალსა ანასა, რომლისა მიერ გვებძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა“. აქ იგულისხმებიან კახეთის მეფე ალექსანდრე (მეფობდა 1476—1505 წლებში), ცოლი მისი ანა და დედა ნესტან დარეჯანი. წიგნის შემკვეთი არის ერთი პირი („რომლისა მიერ გვებძანაო“, სწერს გადამწერი), მაგრამ რომ ეს შემკვეთი ანა დედოფალი იყოს, მაშინ მთელი ფრაზა სხვაგვარად იქნებოდა შედგენილი. სახელდობრ, ჯერ იქნებოდა მოხსენებული ანა და შემდეგ ზრდილობისათვის, თუ სხვა მოსაზრებით, გადამწერს შეეძლო მოეხსენებინა ქმარი მისი ალექსანდრე და ამ ალექსანდრეს დედაც. მაგრამ ის გარემოება, რომ ჯერ ზემოდ ციტირებულ ნაწყვეტში ალექსანდრეს დედა ნესტანი არა უბრალო დედოფლად, არამედ დედოფალთა დედოფლად არის დასახელებული, ცხადჰყოფს, რომ ხელნაწერის შემკვეთი სწორედ ეს ნესტან დარეჯანი უნდა ყოფილიყო. მართალია, კახეთის ამ მეფის ალექსანდრეს სიგელებში ჩვეულებრივ თავში ჯერ ნესტან დარეჯანია მოხსენებული, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ეს დედა-დედოფალი დიდი უფლების მქონე ყოფილა და თავისი შვილის პატარა სამეფოს მართვა-გამგეობაში აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას. ნაკურთხ მეფედ ალექსანდრე ითვლებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, რის შესახებ ჩვენ ცნობა არა გვაქვს (რადგანაც ამდროინდელი მატიანე არ არსებობს), პირველი როლი მაინც ალექსანდრეს დედას ეკუთვნოდა. კონტექსტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ხელნაწერის შემკვეთად უფრო ეს ნესტან დარეჯანი უნდა იგულისხმებოდეს, ვიდრე ანა დედოფალი. ადვილი შესაძლებელია, უფრო სწორი ყოფილიყო, რომ ხელნაწერს თავიდანვე ნესტან-დარეჯანისეული დარქმეოდა და არა ანასეული.

ხელნაწერის წარმოშობის შესახებ არსებობს კიდევ ერთი მცირე გაუგებრობა. ივ. ჯავახიშვილი იხსენიებს, რომ ხელნაწერი მან იპოვნა თავად ალექსანდრე ორბელიანის სახლში და მის საგვარეულო წიგნთსაცავში, სოფ. ლამისყანაში. მაგრამ ლამისყანა მდებარეობდა ქსნის საერისთაოში, ამიტომ ცხადია, ლამისყანაში ორბელიანის კუთვნილი სასახლე, ძველი კოშკებით, არსებითად ქსნის ერისთავიანთა ერთ-ერთ განშტოების უნდა ყოფილიყო. და შემდეგ გადასულა, ქორწინების გზით, ერთ-ერთ ორბელიანზე. ამის მიხედვით ხელნაწერი შენახული ყოფილა არა ორბელიანთა საგვარეულოს, არამედ ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს კუთვნილ წიგნთსაცავში. საჭიროა ამის შესახებ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, ინსტიტუტმა სათანადო ზეპირი ცნობები შეკრიბოს და ფიქსაცია უყოს მათ.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეში სენკოვსკის, ლანგლუას და შემდეგ პატკანოვის მხრივ უკვე არსებობდა სერიოზული დაეჭვება „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის რეალურ-მეცნიერულ ღირებულებაში (ეს დაეჭვება, როგორც ცნობილია, გაბატონებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ეხლაც, და ჩემის აზრით, უსაფუძვლოდ), რაც მაშინ მოწინავე ქართველებში დიდ აღშფოთებას იწვევდა. და აი იმ დროს, ისეთი პატრიოტები, როგორიც იყვნენ ქართული თეატრის დამაარსებელი გიორგი ერისთავი და შვილი მისი, დავით ერისთავი, საგვარეულო ადგილ-სამყოფელ სოფ. ოდისიდან სამიოდე კილომეტრზე, მათივე მოგვარის და ნათესავის წიგნთსაცავში ინახებოდა ძვირფასი უნიკუმი, ეგრედწოდებული ანა დედოფლისეული ხელნაწერი, და ეს ყველასათვის უცნობი რჩებოდა. როგორც გიორგი ერისთავი, ისე დავით ერისთავი, საქართველოს ისტორიის გულწრფელი მოყვარულნი იყვნენ. სოფ. ოდისში მოთავსებული დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც ამ 30—35 წლის წინად მე თვითონ მინახავს, ამის ცხადი მაჩვენებელი იყო. ამიტომ უფრო ჩვეულებრივ ქართველურ დაუდევრობას უნდა მივაწეროთ ის, რომ ასეთი მეტად საყურადღებო ხელნაწერი მე-19 საუკუნეში სავსებით შეუმჩნეველი დარჩა.

თავისი გამოცემის წინ წამძღვარებულ წერილში პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დაწვრილებით არჩევს ვახტანგის (ე. ი. მე-18 საუკუნის) წინადროინდელ და ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებს მატიანის ტექსტისას და მიდის იმ დასკვნამდის, რომ ეგრედწოდებულ ვახტანგ მეექვსის კომისიას არავითარი შესწორება-შევსება ძველ ქართლის ცხოვრებაში არ შეუტანია, რომ ასეთი შესწორება-შევსება უკვე არსებობდა ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში, ხოლო თვით ვახტანგის კომისიას უნდა მიეწეროს მხოლოდ ქართლის ცხოვრების გაგრძელების შედგენა. ეს აზრი საერთოდ განმტკიცებულია ჩვენს ლიტერატურაში უკვე დიმ. ბაქრა-

ძის და თედო ჟორდანიას დროიდან და სიმ. ყაუხჩიშვილი ეხლა მას ადასტურებს ახალი ფაქტებით, კერძოდ იმ მონაცემებით, რომელსაც იძლევა ქართლის ცხოვრების ანასეული ხელნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ანასეული ხელნაწერის გარჩევა ს. ყაუხჩიშვილს მოცემული აქვს დიდი და ამომწურავი სიზუსტით. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ თვით ტექსტის გადმოცემისას რედაქტორს ძლიერ ხშირად დატოვებული აქვს ხელნაწერის შეცდომითი წაკითხვანი. მართალია, ასეთ შემთხვევაში მას იქვე სქოლიოში აქვს მატიანის სხვა ხელნაწერების ვარიანტებიც, — რაც მკვლევარისათვის სურათს სავსებით ცხადჰყოფს, — მაგრამ ტექსტებით თავისუფლად სარგებლობისათვის ეს გარემოება ერთგვარ დაბრკოლებას მაინც წარმოადგენს. აჯობებდა, რომ რედაქტორს ტექსტში ეს შეცდომებიც გაესწორებინა, ხოლო გადამწერის შეცდომა აღენიშნა სქოლიოში, როგორც ამას ის ჩვეულებრივ სხვა შემთხვევაში ჩადის. ამგვარად ჩვენ გვექნებოდა ქართლის ცხოვრების ძირეული ტექსტი, მოცემული ანასეულ ხელნაწერზე დამყარებით. ეს იქნებოდა სავსებით აკადემიური გამოცემა, დამყარებული ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე უფრო ძველ ხელნაწერზე, რაც მით უმეტეს გამართლებული იქნებოდა, რომ ანასეული ხელნაწერი წარმოადგენს თავისი მოცულობით ქართლის ცხოვრების უძველეს რედაქციას, მოტანილს მხოლოდ დავით აღმაშენებლის მეფობამდის, თანჩათვლით, ე. ი. მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედამდის, თანჩათვლით. მოცულობის მხრივ ეს ის რედაქციაა, რომელიც წარმოდგენილია მატიანის მე-12 საუკუნეშიც შესრულებულ სომხურ თარგმანში.

ქართლის ცხოვრების ტექსტს ანასეულ ხელნაწერში მიყვება გიორგი ლაშას მემატიანის ისტორიული ქრონიკა, რომელიც ეხება ერთი საუკუნის ამბებს: 1125 — 1223 წლებისას. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ანასეული ხელნაწერი გადმოწერილია 1220 წლების დედნიდან, როდესაც თამარის მატიანეები სავსებით ახალი, შესრულებული იყო და, შესაძლებელია, მათ არ ჰქონდათ ჯერ კიდევ ფართო გავრცელება, მოპოვებული, ანდა ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გადამწერი, გიორგი ლაშას დროინდელი ავტორის მოკლე ქრონიკის მაგივრად, შეიტანდა ხელნაწერში თამარის ვრცელი მატიანეების ერთ-ერთ ვერსიას. მით უმეტეს, მაშასადამე, მეტი საფუძველი იყო, რომ ანასეული ხელნაწერი საფუძვლად დასდებოდა ჩვენი მატიანეების ნამდვილ აკადემიურ გამოცემას.

პროფ. სარგ. კაკაბაძე.

„მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელოგის შესახებ".

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, პოლიტლიტერატურის სექტორი. თბილისი, 1943 წ.

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა სთარგმნა და გამოსცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ შედგენილი ფრიად საინტერესო ბროშურა — „მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ", რომელიც მოგვითხრობს გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის განვითარებას და რეაქციული პრუსიელობის ბარბაროსულ დამოკიდებულებას, როგორც თავისი ხალხისადმი, აგრეთვე სხვა ხალხების მიმართ.

ჰიტლერულმა ფაშიზმმა აითვისა პრუსიელობის ყველაზე უფრო რეაქციული თვისებები: უხეში, აღვირახსნილი ძალადობა, მონური მორჩილების მოთხოვნა, არმიაში პრუსიული სამხედრო წრთვნა და ჯოხის დისციპლინის დანერგვა. საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მოტყუება, ვერაგობა და პროვოკაცია. ჰიტლერულმა ხრეგამ ხორცი შეასხა თავის წინაპრების — პრუსიელობის ყველა ამ საზიზღარ თვისებებს და გამოხატა ის ყველაზე ბარბაროსულ ფორმებში. მარქსი და ენგელსი თავის დროზე დაუნდობლად ამათრახებდნენ პრუსიელობის ყველა ამ ბარბაროსულ გამოვლენას, ამეღავნებდნენ პრუსიელ იუნკრებისა და შემამულეების მტაცებლურ მისწრაფებებს. მარქსი და ენგელსი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ებრძოდნენ რეაქციულ პრუსიელობას, რომელიც ბორკავდა გერმანელი ხალ-

ხის თავისუფალ განვითარებას და იუნკრულ-პრუსიის მონამორჩილ იარაღად ხდიდა მას.

რატომ ჰარბობდა გერმანიაში ყოველთვის რეაქციის დიდი ძალა, ხოლო გერმანელი ხალხი ყოველთვის უმწეო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ იყო, რომ გერმანიის ძირითადი ნაციონალური ამოცანები ყოველთვის წყდებოდა გერმანელი ხალხის არა პროგრესიული ძალების, არამედ რეაქციის მიერ, — გერმანელი ხალხის საზიანოდ?

სად უნდა ვეძიოთ გერმანიის ისტორიის ამ თავისებური განვითარების მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან მარქსი და ენგელსი, რომელთაც მოგვცეს ახსნა-განმარტება გერმანიის თავისებური და წინააღმდეგობრივი განვითარებისა.

„იმ დროს, — ვკითხულობთ სარეცენზიო ბროშურაში, — როდესაც დასავლეთ-ევროპის სხვა ქვეყნებმა უკვე მოასწრეს კაპიტალისტური განვითარებისა და თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოთა შექმნის გზაზე დადგომა, — გერმანია ჯერ კიდევ დიდხანს რჩებოდა ნაციონალურად გათიშულ, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნად". 1500 — 1789 წ. წ. პერიოდის გერმანიის ისტორიის შესახებ თავის შენიშვნებში ენგელსი სწერდა: „გერმანიის დაქუცმაცება იზრდება, მისი ცენტრი სულ უფრო და უფრო სუსტდება. და ეს ხდება XV საუკუნის დასასრულს, როცა საფრანგეთი და ინგლისი ბევრად თუ ცოტად უკვე ცენტრალიზებული იყვნენ და ერი უკვე ყალიბდებოდა". დეცენტრალიზებულ და ეკონომიურად ჩამორჩენილ გერმანიაში ვერ განვითარდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობაზე საკმაო გავლენა ვერ მოიპოვეს იმ მოწინავე ძალებმა, რომლებმაც პროგრესიული როლი ითამაშეს ინგლისისა და საფრანგეთის ისტორიის განვითარებაში. გერმანიის ბურჟუაზია ეკონომიურად ფეოდალურ თავადაზნაურობაზე დამოკიდებული და პოლიტიკურად სუსტი იყო. მას არ შეეძლო რაიმე წინააღმდეგობა გაეწია ფეოდალური მიწათმფლობელობისათვის. „იმ დროს, როდესაც, — ამბობს ენგელსი, — ინგლისსა და საფრანგეთში მძლავრმა და მდიდარმა ბურჟუაზიამ, თავმოყრილმა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, სრულიად მოსპო ფეოდალიზმი, ან სულ ცოტა, როგორც ინგლისში, იგი რამდენიმე უმნიშვნელო ნაშთამდე დაიყვანა, — გერმანიაში ფეოდალურმა თავადაზნაურობამ თავის ძველ პრივილეგიათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეინარჩუნა. ფეოდალური მიწათმფლობელობის სისტემა თითქმის ყველგან გაბატონებული რჩებოდა. ამრიგად, ხელმძღვანელი როლი გერმანიაში დარჩა რეაქციული კლასების ხელში, რომლებიც წარმოების ფეოდალური წესის მატარებელი იყვნენ. გერმანიას არ გააჩნდა მსხვილი სამეურნეო ცენტრი და დაქუცმაცებული იყო მრავალ წვრილ სამთავროდ. გერმანიაში რეაქციის ბატონობას აძლიერებდა აგრეთვე აბსოლუტური მონარქია. იმ დროს, როდესაც ინგლისსა და საფრანგეთში აბსოლუტური მონარქია ხელს უწყობდა ერთიანი ცენტრალური სახელმწიფოს შექმნას, გერმანიაში აბსოლუტური ხელისუფლების მატარებელნი იყვნენ ყველა წვრილი და უწვრილესი სახელმწიფოების მმართველნი. გერმანიის თავადები პოლიტიკით რეაქციული კლასების ინტერესებს გამოხატავდნენ, პროგრესიულ, საერთო ნაციონალურ ინტერესებს მოკლებული აბსოლუტიზმი გერმანიაში გადაიქცა ტირანიად, რომელიც ხალხის ყოველგვარი ინიციატივის გამოვლენას ახშობდა".

ამრიგად, მლიქვნელობის, ვერაგობის, მოტყუების და ძალადობის გზით წარმოიშვა გერმანელი ხალხისადმი მტრულად განწყობილი იუნკრულ-თავადაზნაურული პრუსიის სამეფო, რომელიც რეაქციისა და მილიტარიზმის განსახიერებად იქცა. პრუსიამ ეს თავისი მილიტარისტული ხასიათი დღემდე შეინარჩუნა. სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციამ თავისი დაღი დაასვა ამ სახელმწიფოს ცხოვრებას. თავადაზნაურობა, — სამხედრო წოდება, — იყო გაბატონებული წოდება, რომლის ხელში თანდათან მოიყარა თავი მიწის უდიდესმა ნაწილმა და რომელიც პრუსიის სახელმწიფოს მმართველ კლასად გადაიქცა. მას თავი მოჰქონდა სამშობლოს ერთგულ დამცველად.

საგარეო პოლიტიკაში ვერაგობა, მოტყუება მოკავშირეების მიმართ ყოველთვის ახასიათებდა ფაშისტების წინაპრებს. მაგალითად, მე-18 საუკუნეში ფრიდრიხ მეორემ ვერაგული დამპყრობლური პოლიტიკით იძულებული გახადა ავსტრია, რომ მას კოალიცია შეექმნა პრუსიის წინააღმდეგ, ამ კოალიციამ სასტიკად დაამარცხა ფრიდრიხ მეორე. 1760 წელს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს აღმოსავლეთი პრუსია და მისი დედაქალაქი ბერლინი.

როგორც თანამედროვე გერმანიის ფაშისტური არმია, ფრიდრიხ მეორის არმიაც შედგებოდა „მთელი გერმანიის მაწანწალათაგან, ლოთებისაგან, ქურდებისაგან, არამზადებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან და საერთოდ დამნაშავეთაგან". სწორედ ასეთი არმია ეწეოდა სასტიკ ძარცვა-გლეჯას და ხალხის აწიოკებას დაპყრობილ ქვეყნებში. ფრიდრიხ მეორემ თავისი ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა განსაკუთრებით გამოავლინა პოლონეთის მიმართ. პრუსიელი ბუნკერები თარეშობდნენ მათ მიერ დაკავებულ პოლონეთის ოლქებში. პოლონეთში ისინი ეწეოდნენ ცხენების, ფულის, საკლავის, პირუტყვისა და ადამიანების მოპარვას. მარქსი სწერს: „1771 წლის დასაწყისში პრუსიული პოლონეთის მთელი ოლქები აივსო პრუსიულ მოქარავნეთაგან, რომელნიც გაუგონარ ძარცვა-გლეჯას, სისასტიკეს, საზიზღროებასა და ყოველგვარ მხეცობას ჩადიოდნენ. მშიერი მუდრეგები არ დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ საკუთარი ინიციატივით და სახელმწიფოს ბრძანებით. ისინი წინასწარ შედგენილ სიების მიხედვით სოფლებიდან ხარკსაც კი კრეფდნენ ქალების სახით, რომელთაც აიძულებდნენ საზიზღარ პრუსიელ მუდრეგ უზრდელებთან ერთად ცხოვრებას".

მარქსი და ენგელსი ამათრახებდნენ გერმანელ ხალხის პასიურობას, რომლებიც სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ ვერ აჯანყდა რევოლუციური ბრძოლისათვის, „ყველა ხალხები — სწერდა ენგელსი 1848 წ. თებერვალში — წინ მიდიან. ყველაზე პატარა, სუსტი ნაციები მუდამ იხელთებენ ხოლმე რთულ ევროპულ ურთიერთობათა განვითარებაში თავისთვის მოხერხებულ მომენტს, რათა თავიანთი ძლიერი რეაქციული მეზობლების ჯიბრზე, სულ ახალ-ახალი, თანამედროვე დაწესებულებანი შემოიღონ. მხოლოდ ორმოცი მილიონი გერმანელი არ იძვრის ადგილიდან.. გერმანელებმა ჯერ საფუძვლიანად უნდა გაიტეხონ სახელი ყველა დანარჩენი ნაციის წინაშე, ისინი ჯერ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ამჟამად, სასაცილო უნდა გახდნენ მთელი ევროპისათვის. საჭიროა აიძულო ისინი მოახდინონ რევოლუცია და მაშინ ისინი ნამდვილად აჯანყდებიან — არა მხდალი გერმანელი ობივატელები, არამედ გერმანელი მუშები: ისინი აჯანყდებიან, რათა ბოლო მოუღონ ყველა უწმინდურ, დაბურდულ, ოფიციალურ გერმანულ წესწყობილებას, რათა რადიკალური რევოლუციით ალადგინონ გერმანული ღირსება".

მარქსს და ენგელსს სძულდა რეაქციული გერმანია, — ეს ძარცვა-გლეჯისა და დესპოტიზმის ქვეყანა ევროპაში. ისინი ყოველთვის უდიდესი სიძულვილით ლაპარაკობდნენ იუნკრულ პრუსიაზე. ამ ვერაგ, მატყუარა, ლაჩარ სახელმწიფოზე, რომელმაც ესოდენი ტანჯვა და წამება მოუტანა ევროპის ხალხებს. „საერთოდ, — ამბობს მარქსი პრუსიის შესახებ, — მსოფლიო ისტორიას ამის მსგავსი სისაძაგლე ჯერ არ შეუქმნია". მარქსი დასძენს: „იმ საზიზღროებებში, რაც გერმანიის საშუალებით ჩადენილია სხვა ქვეყნებში, დამნაშავეა არა მარტო მთავრობა, არამედ მეტწილად თვით გერმანელი ხალხიც". ხოლო გერმანიის რეაქციული მთავრობის დასახასიათებლად მარქსი იუმორისტულად შენიშნავს, რომ გერმანიის მმართველთა სიაში მუდამ მხოლოდ სამი დამახასიათებელი ტიპია, რომლებიც ისევე სცვლიან ერთმანეთს, როგორც დღე სცვლის ღამეს: ფარისეველი, უნტერ-ოფიცერი და რეგვენი".

ამრიგად სარეცენზიო ბროშურაში მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულია ბრწყინვალე დახასიათება პრუსიის იუნკრულ-თავადაზნაურულ სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარებისა, მისი რეაქციული და შავრაზმული როლი ევროპის ხალხების მიმართ.

დღეს, როდესაც გერმანული ფაშიზმი სისხლისმღვრელ ომს აწარმოებს პროგრესულ კაცობრიობის წინააღმდეგ, მარქსისა და ენგელსის ეს მრისხანე წინასწარმეტყველური სიტყვები, მიმართული პრუსიულ რეაქციული რეჟიმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, მათი მგზნებარე მოწოდება მონურ-ბატონყმური რეაქციული პრუსიის წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე მკვეთრად ეღერს, როგორც ისტორიის განაჩენი ჰიტლერულ რეაქციული რეჟიმის მიმართ. თანამედროვე სისხლისმღვრელ ომში გერმანელ ფაშისტ მტაცებელთა ურდოების განადგურება — ნიშნავს განადგურებას იმ გერმანულ ბარბაროსულ რეაქციისა, რომელიც ასე სტანჯავდა და აწამებდა ევროპის ხალხებს საუკუნეების მანძილზე!

ვ. გავაშელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭავჭავაძე — „მეზღვაურის ნაამბობი".

საბლიტგამი, 1943 წ. გვ. 22, ფასი 5 მან.

საბლიტგამმა უკანასკნელ წელს გააცხოველა თავისი მუშაობა და წიგნის ბაზარზე გამოუშვა ბევრი საინტერესო ნაწარმოები, უმთავრესად ლექსები და რამდენიმე მცირე ზომის პოემა. უმეტესი ნაწილი ამ წიგნებისა ქართველი პოეტების მიერ არის დაწერილი, რაც იმას მოწმობს, რომ საბლიტგამმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ქართველი მწერლების ჩასაბმელად საბავშვო ლიტერატურის დარგში.

სარეცენზიო წიგნაკი ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა თავისი ყდის წარწერით, სადაც ავტორად დასახელებულია ცნობილი კლასიკოსი პოეტი. მკითხველი დიდის ინტერესით შლის წიგნს, დაიმედებული, რომ გაეცნობა პოეტის მანამდე უცნობს ნაწარმოებს. მაგრამ წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ ავტორი წიგნისა სრულიად სხვა ალექსანდრე ჭავჭავაძეა, რომელსაც, გარდა სახელისა და გვარისა, არავითარი კავშირი ქართველ რომანტიკოს პოეტთან არა აქვს. რა საჭირო იყო ასეთი ამბავი? გამომცემლობა და აგრეთვე რედაქტორი წიგნისა ვალდებულნი იყვნენ თავი აერიდებინათ ასეთი სარეკლამო, მკითხველის „მისაზიდი" წარწერისაგან და ავტორი წიგნისა მოეხსენებინათ სახელისა და მამის სახელის აღმნიშვნელი ინიციალებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი გამორჩევა „ნამდვილი" ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან.

წინასიტყვაობიდან (ავტორი პლ. ხუნდაძე) ვეცნობით წიგნის დამწერის ვინაობას. ალექსანდრე მამუკას-ძე ჭავჭავაძე (1869 — 1925 წ. წ.) მეზღვაური ყოფილა, თითქმის ჩვენი თანამედროვე. აი მისი ბიოგრაფიული ცნობებიც: 1887 წლიდან, როდესაც ა. ჭ-ძე შორი ნაოსნობის შტურმანად იწყებს მუშაობას, იგი მუდამ ფლოტში იმყოფება სიკვდილამდე. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იგზავნება შორეულ აღმოსავლეთში, — ის მეთაურობს ნაღმოსანს. პირველი იმპერიალისტური ომის დროს, 1916 წელს, ა. ჭავჭავაძე ბალტიის ზღვის წყალქვეშა ნავების დივიზიონის უფროსია. 1919 წელს ინიშნება ფოთის ნავსადგურის უფროსად. 1923 წ. მისი თაოსნობით ბათუმში იხსნება საზღვაო სასწავლებელი. ა. მ. ჭავჭავაძე რუსეთის ფლოტში ცნობილი იყო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილ, გამოცდილ მეზღვაურად.

ა. ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო ზღვაოსნობასთან. მას, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ბევრი უმოგზაურნია ზღვებსა და ოკეანეებზე, გამოუვლია ბევრი განსაცდელი და ფათერაკი. თავისი თავგადასავალი ა. მ. ჭავჭავაძეს აუწერია დღიურებში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

სარეცენზიო წიგნაკში აღწერილია ერთი ეპიზოდი ავტორის თავგადასავალიდან იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ის ამერიკასა და იაპონიას შორის დაცურავდა. ეპიზოდი ავტორს ჯერ კიდევ 1893 წელს გამოუქვეყნებია გაზეთ „კავკაზ"-ის ფურცლებზე. ეპიზოდი დიდი არ არის, მაგრამ იმდენად ცხოველ ინტერესს იწვევს, რომ უსათუოდ ღირდა მისი ცალკე წიგნაკად გამოცემა ქართულ ენაზე.

ავტორი გვიამბობს იმას, თუ როგორ იმოგზაურა იაპონიიდან ამერიკის მიმართულებით სამ-ანძიან ამერიკულ გემზე, რომელიც დაიღუპა სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში, კუნძულ ნორდ-ნატუნიდან 18 მილის მანძილზე. გემის ეკიპაჟმა დიდის ვაივაგლახით მიაღწია პატარა კანჯოებით კუნძულს, სადაც მალაელები ცხოვრობდნენ. მალაელებმა გულთბილად მიიღეს ფათერაკგამოვლილ მეზღვაურები. ოთხი დღის შემდეგ გემის კაპიტანმა გადასწყვიტა ხუთი მეზღვაურის გაგზავნა სინგაპურის ნავსადგურში, რომელიც კუნძულიდან 360 მილით იყო დაშორებული. მათს ამოცანას შეადგენდა, ამერიკეს ელჩისათვის ეცნობებინათ გემის დაღუპვის ამბავი და ეთხოვნათ მისთვის დახმარება, ეკიპაჟის დანარჩენ წევრთა სინგაპურში გადასაყვანად. ამ ხუთ გულად მეზღვაურთა შორის ჩვენი წიგნის ავტორიც იყო. ხუთნიენ პატარა ნავში ჩასხდნენ, თან წაიღეს რუკა, კომპასი, სექსტანტი (კუთხსაზომი) და სანოვაგე, რომელიც 48 ქოქოსის კაკლისაგან შესდგებოდა და თავი მიანდვეს თვალუწვდენელ ოკეანის ტალღებს. ძლიერი ღელვა იყო და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა ღელვა. მეორე დღეს შუადღისას მათი კანჯო ძლიერმა ტალღამ გადააბრუნა. ხუთივე მეზღვაური წყალში აღმოჩნდა.

ამის შემდეგ იწყება ამბავი ხუთი გაბედული ვაჟკაცის ბრძოლისა გაფურებულ სტიქიონთან. მრავალი საცადელისა და ტანჯვის შემდეგ მათ მოახერხეს კანარის გამოცურვება და ისევე შიგ ჩასხდომა. მაგრამ მათ აღარ გააჩნდათ აღარც აფრა, აღარც კომპასი, არც სანოვაგე. ოთხ დღესა და ღამეს მიდიოდნენ ბედის ანაბარა ოკეანის გაშლილ სივრცეებში. მეხუთე დღეს მათ მოულოდნელად დაინახეს შორეული ნაპირი. ეს მალაელთა კუნძული იყო. ველურმა მალაელებმა აქაც დიდი კაცთმოყვარეობა და ადამიანობა გამოიჩინეს ტანჯული თეთრკანიანი მეზღვაურების მიმართ: მოუარეს, იარები მოურჩინეს, გაშოჭკვებეს, დაასაჩუქრეს და ბოლოს სინგაპურის ნავსადგურში გაისტუმრეს ყველანი.

„მალაელებთან ყოფნის დროს, — სწერს ავტორი, — მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ, გარდა ალერსისა და სალამისა, არა გვინახავს-რა. ისე შეეთვისეთ მათ, რომ კიდევაც დაგვენანა ამ სტუმართმოყვარე ტომის მიტოვება“.

სინგაპურიდან ჩვენი ავტორი სამშობლოში გამოემგზავრა. მალე ის ქ. ოდესაში მოვიდა. ოთხი წლის უცხოეთში ყოფნის შემდეგ მან იხილა სამშობლო მიწა! ის მზად იყო დამხობილიყო მიწაზე და დაეკოცნა იგი, რომ ამ დროს მას ქანდარმი მიუახლოვდა და პასპორტი მოსთხოვა. ამის შემდეგ იწყება მოკლე, მაგრამ ცარიზმის რეჟიმისათვის მეტად დამახასიათებელი ისტორია ჩვენი ავტორის ტანჯვის და შეურაცხყოფისა ოდესის პოლიციელების ხელში. „ველურებმა მაჩვენეს ალერსი, მიმკურნალეს, თანაგრძნობით მიმიღეს და ყოველმხრივი დახმარება გამიწიეს, და აი მშობლიურ მიწაზე პირველ ფეხის დადგმისთანავე ვნახე უხეში მოპყრობა, ნაცვლად მისალმებისა და გულთბილი შეხვედრისა, რისი ღირსიც ვიყავი, როგორც ბევრი უბედურების გადამტანი“, — სევდიანად დასძენს ავტორი.

წიგნი „მეზღვაურის ნაამბობი“ სასარგებლო საკითხავი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ის მოუწოდებს მკითხველს იყოს გამბედავი, „ჭირთამთმენი“ და შეუპოვარი დასახული მიზნისათვის ბრძოლაში. სასურველია საბლიტგამმა მეტი გამოსცეს ასეთი სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორებისა.

წიგნის ყდის გაფორმება ლამაზია, ის ეკუთვნის ნიჭიერ მხატვარს ს. გაბაშვილს. კორექტურა წიგნისა ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე: მაგალითად, ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელწოდება სამჯერ არის მოხსენებული და სამჯერვე სხვადასხვაგვარად: მე-10 გვ. — „ნორდ-ნატიუნი“, მე-11 გვ. — „ნორდნატუნი“ და მე-12 გვ. — „ნორდ-ნატენი“, — რომელს დაუჯეროს მკითხველმა?

ნ — ი.

1943 წლის ჟურნალ „მნათობში“ მოთავსებული ნაწარმოებნი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცობრიობის უდიდესი გენიოსი (მოწინავე) № 1.

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. 1943 წელი, 23 თებერვალი, № 95, ქ. მოსკოვი, № 2.

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. 1943 წელი, 1 მაისი, № 195, ქ. მოსკოვი, № 4 — 5.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება. № 11 — 12.

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. 1943 წელი, 7 ნოემბერი, № 309, ქ. მოსკოვი, № 11 — 12.

I. ლექსები და პოემები

აბაშელი ალ.—სტალინგრადი (ლექსი) № 2; სიმღერა სტალინზე (ლექსი) № 7; სიმღერა ბერიაზე (ლექსი); თბილისი ღამით (ლექსი) № 9 — 10; წითელი ყვავილები (ლექსი); და როგორც ქარში თაფლის სანთელი (ლექსი) № 11 — 12.

აბაშიძე ირ. — ქართული ბალადა (ლექსი) № 3.

ანტოკოლსკი პ. — მოსკოვის ღამე (ლექსი) თარგ. შ. აფხაიძისა.

აფხაიძე შ. — წერილი დედას (ლექსი) № 11 — 12.

ბაჟანი მიკოლა — არწივებს (ლექსი) თარგ. გრ. ცეცხლაძისა № 11 — 12.

გრიშაშვილი ი. — დაობლებულ ბავშვებისათვის (ლექსი) № 1; აცრემლებული თვალით (ლექსი) № 8.

გაბესკირია ვიქტ. — ავადმყოფი (ლექსი) № 7.

გოეთე ი. ვ. — ტრილოგია ვნებისა (ლექსი) თარგმ. ხ. ვარდოშვილისა № 4—5. ლექსები, თარგმ. ხ. ვარდოშვილისა № 1.

ეული ს. — სოფელი ტყვეობაში (ციკლი ლექსებისა) № 6.

თომაშვილი დ. — გუჯარეთი (ლექსი) № 3.

იასამანი — სლავური სონეტები № 8.

კალაძე კ. — შეხვედრები ბრძოლის ველზე (ლექსი) № 1.

კაჭახიძე გ. — ტყეში (ლექსი) № 8; შიშველი მიწა (ლექსი) № 9 — 10.

ლეონიძე გ. — ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა (ლექსი) № 2; ოთხი ლექსი № 3.

მაშაშვილი ალიო — ნახვამდის (ლექსი) № 6.

მღვიმელი შიო — ჩემ შვილ ნინოს (ლექსი) № 3.

მარგიანი რ. — ფრონტელის დღიურიდან (ლექსი) № 6.

ნონეშვილი ი. — ვეფხი (ლექსი) № 7.

პლიევი ხარიტონ — ანდერძი (ლექსი) თარგმ. ვ. გორგაძისა № 11 — 12.

პუშკინი ალ. — ზღაპარი მეფის მკვდარ ასულზე და შვიდ გოლიათზე (თარგმ. ხ. ვარდოშვილისა) № 11 — 12.

რილსკი მაქსიმ — უკრაინას (ლექსი) თარგმ. ხ. ვარდოშვილისა № 11 — 12.

სელვინსკი ი. — ბალადა ლენინიზმზე (ლექსი) თარგმ. კ. კალაძისა № 4 — 5.

საჯაია ა. — ჩემი სოფელი (ლექსი) № 3.

ტაბიძე გ. — ლენინი (ლექსი) № 1; ლექსები რკალიდან „ისტორიის ახალი გვერდი“ № 7.

ტიხონოვი ნ. — კიროვი ჩვენთანაა (ლექსი) თარგმ. კ. კალაძისა № 6; სამი საოდეგრძელო (ლექსი) თარგმ. ალიო მაშაშვილისა № 9 — 10.
უტკინი ი. — ჩემო ძვირფასო, თუ ველარ გნახე (ლექსი) თარგმ. ბ. ბატალიაძისა № 9 — 10.
ჩიქოვანი ს. — არმაზის აჩრდილები (ლექსები) № 9 — 10, 11 — 12.
შჩიპაჩოვი სტ. — მოდის ზამთარი, ბრძოლის ველი (ლექსები) თარგმ. ხ. ვარდოშვილისა № 9 — 10.
შენგელია ალ. — ორდენოსან მფრინავს ნ. შენგელიას (ლექსი) № 9 — 10.
ქუჩიშვილი გ. — განახლებულ რაჭას (ლექსი) № 4 — 5; ცხრანი (ლექსი) № 8

II. ზეპირსიტყვაობა

ილია მურომეცი (ბილინა) — თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა № 4 — 5.

III. რომანები, მოთხრობები, ნარკვევები

ავალიანი ლადო — კიროვის პორტრეტი (ნოველა) № 11 — 12.
ასათიანი ლევან — ერწოს კოლმეურნეები (ნარკვევი) № 11 — 12.
ბელიაშვილი აკ. — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (რომანი) №№ 4 — 5, 6, 7, 8, 9 — 10, 11 — 12.
გაბე ჰანს — ათასნი დაეცემიან (რომანი) თარგმ. ილია აგლაძისა №№ 6, 7, 8, 9 — 10.
დოლიძე ნ. — გაფრინდი შავო მერცხალო (მოთხრობა) № 8.
ვასილევსკაია ვ. — ცისარტყელა (მოთხრობა) თარგმ. ბ. აბრამიასი №№ 1, 2, 3.
ზოლა ე. — წისქვილის დარბევა (მოთხრობა) თარგმ. ი. ქავთარაძისა № 4 — 5.
ზურაბიშვილი ი. — ურმული (ნარკვევი) № 3.
თავაძე ს. — კავკასიონის კარებთან (რომანი) №№ 7, 8, 9 — 10, 11 — 12.
კლდიაშვილი ს. — კარაბადინი (ნოველა) № 11 — 12.
ლისაშვილი ი. — სიცოცხლისათვის (მოთხრობა) № 1, 2, 3.
ნატროშვილი გ. — ფურცლები საფრონტო დღიურიდან (მოთხრობა) № 7.
პავლენკო პ. — ცხოვრების გზა (ნარკვევი) № 1; შალვა დავითულიანი (ნარკვევი) № 9 — 10.
სულიაშვილი დ. — თეოდორეს მაღლობი (მოთხრობა) № 4 — 5.
ქიაჩელი ლეო — წინამორბედი (ნოველა) № 2.
ქორქია რ. — ზღვის ლომი (ნარკვევი) № 11 — 12.
ჩიქოვანი გრ. — მეორედ შეხვედრა (მოთხრობა) № 2; დაბრუნება (მოთხრობა) № 8.
ჩხეიძე ოთ. — გერი (ეტიუდი) № 1; გამქრალი ნათელი (მოთხრობა) № 3.
ჩხეიძე ბორის — ლიახვის პირას (რომანი) № 4 — 5, 6, 7, 8, 9 — 10, 11 — 12.
ჩაჩიბაია ა. — შეხვედრა (მოთხრობა) № 1; მხედარი (მოთხრობა) № 3; მე ისევ შევცქერი მზეს (მოთხრობა) № 4 — 5; ჰაშიმბაის სიმღერა (მოთხრობა) № 9 — 10.
ცაგარელი გ. — დონაურის ხმალი (მოთხრობა) № 2.
ჯოხი ჯ. — ლრუბლის ქულა (მოთხრობა) თარგმ. ა. გაწერელიასი № 9—10.

IV. დრამატურგია

გოთუა ლ. — მეფე ერეკლე (პიესა) № 4 — 5.
გაბესკირია ვ. — ქეთევან წამებული (ადგილები პიესიდან) № 6.
კორნეიჩუკი ვ. — ფრონტი (პიესა) № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. კრიტიკა, ლიტერატურის თეორია და ისტორია, ხელოვნება

გორკი მ. — ლევ ტოლსტოი № 3.
გოკიელი ფ. — მსოფლიოს ანტიფაშისტური მწერალი ქალები № 3.
დონაძე ვ. — ზ. ფალიაშვილი № 11 — 12.
ნატროშვილი გ. — „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროები № 1.
ჟღენტი ბ. — ქართული მხატვრული პროზა სამამულო ომის დღეებში № 6; გ. ტაბიძე № 9 — 10.
რადიანი შ. — ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები № 4 — 5, 6, 7.
ტატიშვილი ი. — გრიგოლ ტატიშვილი № 8.

VI. ფილოსოფია

დობროლუბოვი ნ. — ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები № 7.
ქუთელია ა. — შემეცნების მარქსისტული თეორიის ზოგიერთი საკითხი № 3, 4 — 5; — ნ. ა. დობროლუბოვის წერილი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების შესახებ“ № 7.

VII. მეცნიერება

ნუცუბიძე შ. — განათლება და საგანმანათლებლო იდეები ქართულ რენესანსში № 9 — 10.
შადური ვ. — ლენინგრადი და ქართული კულტურა № 8.
ჩუბინაშვილი გ. — ივანე ჯავახიშვილი. № 11 — 12.

VIII. პუბლიცისტიკა

გუგუშვილი პ. — კ. მარქსი ქართულ საზოგადოებრივობასა და პუბლიცისტიკაში № 9 — 10.
პიკსანოვი ნ. — გორკი ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში № 3.
ტალახაძე ი. — სამამულო ომი და ეროვნული საკითხი № 9 — 10.
ჯიბლაძე გ. — გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში № 1.

IX. მემუარები

ნატო მესხი — მოგონებანი კოტე მესხზე № 11 — 12.

X. ბიბლიოგრაფია

ასტვაცატუროვი ე. — ა. აბაშელი „სამშობლოსადმი“ № 9 — 10.
გავაშელაშვილი ვ. — მ. დოდი — „საელჩოს ფანჯრიდან“ № 1; მარქსი და ენგელსი რეაქციულ პრუსიელობის შესახებ № 11 — 12.
კობიძე დ. — ალ. ბარამიძე „ნარკვევები“ № 9 — 10.
მებუკე გ. — შ. დადიანი — „გამარჯვება“ № 1.
სალარიძე — ა. ბელიაშვილი „პატარა ნოველები“ № 1.
ნატროშვილი გ. — თ. ლომოური „პეტრე ბაგრატიონი“ № 2.

შამათავა დ. — ა. ბარამიძე — „პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში“ № 3; ლ. ქიაჩელი (მოთხრობები) № 4 — 5; ი. [illegible] — „საბავშვო ლექსები“ № 6; ა. ქუთათელი — „პირისპირ“ № 9 — 10; გ. ბატაროშვილი — „დასავლეთის ფრონტზე“ № 11 — 12.

გ. ნ. — რ. გვეტაძე — „ლექსები“ № 2; ხარიტონ ვარდოშვილი — „ლექსები“ № 6.

ნ. ი. — ა. ქუთათელი „მებრძოლები“ № 2.

ნ. ი. — ალ. ჭავჭავაძე — მეზღვაურის ნაამბობი № 11 — 12.

რ. გ. — ლიტერატურის მატიანე მესამე და მეოთხე წიგნი — № 4 — 5; ნ. კეცხოველი „თოვლიან მთებში“ № 8.

კაკაბაძე სარგის — ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა № 11—12.

მკითხველი — ალ. ჭეიშვილი „მშობლიური ხმა“ № 3; ვანდა ვასილევსკაია „დღეები, რომლებიც შობენ გმირებს“ № 7.

[illegible]

შინაარსი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ჭ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე 5

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა, — 1943 წ. 7 ნოემბერი № 309, ქ. მოსკოვი 17

მხატვრული ლიტერატურა

ალ. აბაშელი — წითელი ყვავილები (ლექსი) 21

„ „ — და როგორც ქარში თაფლის სანთელი (ლექსი) . . 22

ლადო ავალიანი — კიროვის პორტრეტი (ნოველა) 23

სიმონ ჩიქოვანი — დედაჩემი (ლექსი) 28

„ „ — ნანგრევის სურო (ლექსი) 29

„ „ — ციხით შობილი (ლექსი) 30

ხ. კლდიაშვილი — კარაბადინი (მოთხრობა) 31

შალვა აფხაიძე — წერილი დედას (ლექსი) 35

აკაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა (რომანი) . 36

სოლ. თავაძე — კავკასიონის კარებთან (რომანი) 76

ბორის ჩხეიძე — ლიახვის პირას (მოთხრობა) 113

სამამულო ომის ფრონტზე და ზურგში

როდიონ ქორქია — ზღვის ლომი (ნარკვევი) 143

ლევ. ასათიანი — ერწოს კოლმეურნეები (ნარკვევი) 154

მოძმე ხალხთა მწერლობა

მაქსიმ რილსკი — უკრაინას (ლექსი) თარგმ. ხ. ვარდოშვილისა . . 189

მიკოლა ბაჟანი — არწივებს (ლექსი) თარგმ. გრ. ცეცხლაძისა . . 190

ხარიტონ პლიევი — ანდერძი (ლექსი) თარგმ. ვ. გორგაძისა . . . 192

ალ. პუშკინი — ზღაპარი მეფის მკვდარ ასულზე და შვიდ გოლიათზე (თარგმ. ხ. ვარდოშვილისა) 193

მეცნიერება

აკად. გ. ჩუბინაშვილი — ივ. ჯავახიშვილი 207

ხელოვნება

პროფ. ლადო დონაძე — ზაქარია ფალიაშვილი 215

მემუარები

ნატო მესხი — მოგონებანი კოტე მესხზე 236

ბიბლიოგრაფია

დ. შამათავა — გ. ნატროშვილი — დასავლეთის ფრონტზე 245

პროფ. ხარგ. კაკაბაძე — ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა 246

ვ. გავაშელი — მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ 248

ნ — ი — ალექსანდრე ჭავჭავაძე — მეზღვაურის ნაამბობი 251

1943 წელს ჟურნალ „მნათობში" მოთავსებულ ნაწარმოებთა ნუსხა . 253

ფასი 8 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. 188/ ი

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ